

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



**Arnold Chikobava Institute of Linguistics
Tbilisi Ivane Javakhishvili State University**

Институт языкознания имени Арнольда Чикобава

**Тбилисский государственный университет имени
Иванэ Джавахишвили**

Arn. Chikobava

**Works
II**

А. С. Чикобава

**Труды
II**

Tbilisi 2010 Тбилиси

არნოლდ ჩიქობავა

შრამები

II

თბილისი
2010

რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?

ქართულს გრამატიკებში ამჟამად ტრადიციულია ბრუნვათა შემდეგი თანამიმდევრობა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, ვნებითი და წოდებითი; რუსულში კიდეც — **именительный, родительный, дательный, винительный, творительный, предложный, звательный**: ქართული (ვნებითის გამოკლებით) იმეორებს რუსულს, მაგრამ არც რუსულში შექმნილა ასეთი რიგი; ბრუნვათა სახელწოდებანიც, ბრუნვათა ასეთი დალაგებაც ბერძნულმა ფილოლოგიურმა გრამატიკამ შემოიტანა ენათმეცნიერებაში; დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკეში“ (მეორე საუკუნეში ქრისტეს წინ) უკვე არის ყველა ბრუნვა (მოქმედებითისა და ვნებითის გარდა).¹ ბერძნული სახელწოდებანი ითარგმნა ლათინურად, ლათინურიდან — რუსულად; ბრუნვათა რიგიც დარჩა უცვლელი. ქართული თუ რუსული მისდევს, რუსული ბერძნულ-ლათინურის უკუფენაა. და განა მართო რუსული? სხვა ევროპულ ენათა გრამატიკებიც, რამდენადაც ეს ბრუნვები გააჩნიათ... ისტორიას რომ მივყვით, იმასაც გვეტყვიან, რომ ბერძნულმა გრამატიკამ პირველი ოთხი ბრუნვის სახელწოდებაცა და რიგიც ბერძნული ფილოსოფიისაგან მიიღო მემკვიდრეობად: პირდაპირი (სახელობითი), ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი — სტოელებმა შექმნეს და ეს ტერმინები შერჩა გრამატიკას იმ დროთა მოსაგონრად, როცა მის ცნებათა გამომუშავებაში ფილოსოფია აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მას აქვთ ოცდაერთმა საუკუნემ განვლო და მაინც ტრადიციის ლოცვა-კურთხევა გზას უნათებს სტოელ ფილოსოფოსთა ტერმინებსა და პირველადვე განწესებულს მათს თანამიმდევრობას.

ბრუნვათა ეს თანამიმდევრობა უვარგისია ქართულისათვის, რადგანაც: 1) **ხელს გვიშლის სწორი წარმოდგენა გამოვიმუშაოთ ბრუნვათა შედგენილობის თავისებურებათა შესახებ ქართულში** და 2) **არ ეგუება ქართული ბრუნვების (კანკლედობის) პროცესს.**

1. ქართულსა (და, საერთოდ, ქართველურ ენებს) არ გააჩნია ბრალდებითი ბრუნვა (**винительный, accusativus**); შევადაროთ: **ученик читает книгу** (ბრალდებ. ბრ.) = მოწაფე კითხულობს წიგნს (მიცემ. ბრ.); **ученик**

¹ ეს ტერმინები ბერძნულის მიხედვით ვერ შეიქმნებოდა: სათანადო ბრუნვები ბერძნულს არა აქვს.

прочел книгу (ბრალდებ. ბრ.) = მოწაფემ წაიკითხა წიგნი (სახელობ. ბრ.) რუსული книгу-ს გადმოსაცემად ხან მიცემითი მოვიშველიეთ, ხან სახელობითი (და არა ბრალდებითი). რატომ? იმიტომ, რომ ბრალდებითი არა გვაქვს. ეს შემთხვევითი არ არის: ბრალდებითის ბრუნვის უქონლობა მომდინარეობს ქართული ენის ბუნებიდან, ამ კერძობით ფაქტში მოჩანს ქართული ზმნისა და ქართული მეტყველების აგებულების სხვაგვარობა; ამიტომაც ამაო იყო ანტონ კათალიკოსის (და მის მიმდევართა) ცდა ბრალდებითი ბრუნვა აღმოეჩინა (თუ დაენერგა) ქართულში: „ენა არ ღებულობს წესებს, იგი თვით იძლევა მათ“.

ქართულისა (და, საერთოდ, ქართველური ენების) მეორე, დიდმნიშვნელოვანი თავისებური მოვლენაა მოთხრობითი ბრუნვა: **ученик читает** = მოწაფე კითხულობს; **ученик прочел** = მოწაფემ წაიკითხა. რუსულში ორსავე შემთხვევაში **ученик** არის, სახელობითია; ქართულში — ერთგან სახელობითია, მეორეგან — მოთხრობითი. ჩვენი მოთხრობითის შესატყვისად რუსული ისევ სახელობითს ხმარობს, რადგანაც არც რუსულში, არც სხვა რომელსამე ევროპულს ენაში ჩვენი მოთხრობითის მაგვარი არაფერი მოიპოვება.

რა გამოვიდა? რუსულის ბრუნვებთან შედარებით **ქართულს აკლია ბრალდებითი და მეტი აქვს მოთხრობითი**. რუსულ ბრუნვათა სქემა რომ ქართულში გადმოვიტანოთ, ბრალდებითის ადგილი ცარიელი დაგვრჩება, სამაგიეროდ უადგილოდ გვრჩება მოთხრობითი: უბინაო მოთხრობითს გრამატიკოსმა ბრალდებითის თავისუფალი ადგილი მიუჩინა, ქართული მოთხრობითი რუსულისა (და ევროპული ენების) ბრალდებითის ადგილას დაბინადრდა! ეგების ეს კარგი იყოს, ეგების ამ „ზედმეტმა“ მოთხრობითმა აგვინაზღაუროს ბრალდებითის უქონლობა, გასწიოს მისი მაგივრობა? საქმეც ის არის, რომ არა: ბრალდებითის მოვალეობა შეიძლება დაეკისროს ქართულში მხოლოდ მიცემითსა და სახელობითს, არავითარს შემთხვევაში მოთხრობითს (ეს ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ!), და პირიქით: ის როლი, რომელიც ქართულში მოთხრობითს განეკუთვნება, რუსული ბრალდებისათვის სრულიად შეუფერებელია; მოთხრობითი მუდამ აღნიშნავს **მოქმედს, აქტიურს** (ზმნის თვალსაზრისით, ე. წ. მორფოლოგიურს სუბიექტს), ბრალდებითი კი რუსულში — **უმოქმედოს, პასიურს**, — სხვის მოქმედების ობიექტს. ერთის სიტყვით, მოთხრობითი და ბრალდებითი ისეთსავე ურთიერთობაში იმყოფება ერთმანეთთან, როგორშიც ვთქვამთ, რუსულში ქვემდებარე და დამატება. ცხადია, ერთმანეთის მაგივრობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ასეთს პირობებში რუსული ბრალდებითის ადგილას მოთხრობითის მოთავსება შეუწყნარებელია: 1) ამან შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს და გვაფიქრებინოს, თითქოს ქართული მოთხრობითი რუსულის (და ევრო-

პული ენების) ბრალდებითი იყოს. ეს შიში უსაფუძვლო არ არის: ასეთი შეცდომა მოუვიდა, მაგალ. ერთს ქართველს, გრამატიკის ავტორს (დასახელება არ არის საჭირო!). და ვინ იკისრებს თავდებობას იმისთვის, რომ ასეთი შეცდომისაგან დაზღვეულია რიგითი მასწავლებელი, არა გრამატიკოსი. მაგრამ ასეთ დიდ უხერხულობასაც რომ გადავრჩეთ, ის ხომ ეჭვს გარეშეა, რომ მოთხრობითის მოთავსება ბრალდებითის ადგილას სრულიად უჩინარს ხდის ორს კარდინალურს ფაქტს: რომ გვაკლია ჩვეულებრივი ბრუნვა — ბრალდებითი, და გვაქვს სპეციფიკური ბრუნვა — მოთხრობითი.

ამ ფაქტებს კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო იმიტომ, რომ მათშია მოცემული ქართული კანკლედობის სპეციფიკურობა, არამედ იმიტომაც, რომ მათ შესახებ სწორმა შეხედულებამ დიდის გაჭირვებით გაიკაფა გზა ჩვენს გრამატიკულს ლიტერატურაში: მოთხრობითი არ მიაჩნდათ ბრუნვად, მას კანონიერ უფლებებს ართმევდენ; ბრალდებითს კი უკანონოდ ენიჭებოდა ბრუნვის უფლებები და ეთმობოდა ბრუნვათა რიგში ადგილი. და მერე რატომ? უმთავრესად იმიტომ, რომ ხელმძღვანელობდნენ არა ქართული ენის სინამდვილით, არამედ უცხო ენათა საგრამატიკო ნორმებით, ამ ენებში კი ბრალდებითი ბრუნვა აუცილებელი იყო, მოთხრობითის ტოლი და მსგავსი კი არ მოიპოვებოდა.

ორიოდე ცნობა ამ ბრუნვათა ისტორიიდან. არც მაჯოს, რომელსაც ეკუთვნის უცხო ენაზე დაწერილი პირველი გრამატიკა ქართული ენისა (1643 წ.) არც ფატერს (1822 წ.), არც შანშოვანს, ქართულად დაწერილი პირველი გრამატიკის (1737 წ.) ავტორს, არა აქვთ მოთხრობითი; ეს ბრუნვა, როგორც ჩანს, პირველად ანტონ კათალიკოსმა შეიტანა ქართულ კანკლედობაში (1767 წ.); შემდეგ სხვა ბრუნვათა შორის მოთხრობითი მოხსენებული აქვს ყველა იმ გრამატიკოსს, რომელნიც ანტონის გრამატიკის ნიადაგზე იდგნენ, სახელდობრ გაიოზს (1789 წ.), ვარლამ არქიეპისკოპოსს (1802 წ.), გ. ფირალოვს (1820 წ.), სოლ. დოდაშვილს (1830 წ.) და კლაპროტს (1837 წ.); ვარლამ არქიეპისკოპოსი ამ ბრუნვას უწოდებს „сложный именительный“-ს (მისი გრამატიკა რუსულად არის დაწერილი) კლაპროტი კი demonstratif“-ს (ფრანგ.). ანტონის ავტორიტეტმა თითქოს დაამკვიდრა მოთხრობითი სხვა ბრუნვათა შორის, მაგრამ მის წინააღმდეგ ამხედრდა აკად. მარი ბროსე: „მოთხრობითი არ არის ცალკე ბრუნვა, იმიტომ რომ ნაწევარი-მსაზღვრელი, რომელიც მას დაერთვის, — მან — (კაც-მან), ემატება ორივე რიცხვის ყველა ბრუნვასა“-ო(?), — (ქართ. ენის თვთმასწავლ. პარიზი, 1834 წ., გვ. 43).

ამავე აზრს იმეორებს დავით ჩუბინაშვილი: 1) „მოთხრობითი ბრუნვა იგივე სახელობითია მან“-ის მიმატებით; მოთხრობითი მიუგებს კითხვაზე „ვინ?“, ისევე როგორც სახელობითი: 2) ვერც ერთს ენაში ვერ ვიპოვით

მაგალითს, რომ ორი სხვადასხვა ბრუნვა ერთისა და იმავე კითხვის ამოცნობოდეს; 3) ეს **მან** (კაც-მან) არ არის დაბოლოება ნათესაობითის **ისა**-ს, მიცემითის **სა**-ს მსგავსი, არამედ ნაცვალსახელია მესამე პირისა, რაიც იქიდან ჩანს, რომ სახელთა ბოლოში იგი იკანკლედების: დავით მან, დავითისა მის, დავითსა მას...“ (იხ; Цагарели, А., Свед. о памяти груз. письмен. т. I, вып. III, СПб. 1894 წ. გვ. 82-3). დ. ჩუბინაშვილის ეს არგუმენტები წარმოდგენილია მის პასუხში რეცენზენტებს „სახელმძღვანელოთა შემდგენელი კომიტეტიდან“; ამ კომიტეტის ქართულ განყოფილებას თავმჯდომარეობდა დიმიტრი ყიფიანი, წევრად, სხვათა შორის, პლატ. იოსელიანიც ყოფილა. ერთიცა და მეორეც მოთხრობითს იცავდა; რეცენზია, როგორც ჩანს, დიმ. ყიფიანს ეკუთვნოდა; მან მშვენივრად შენიშნა თავის რეცენზიაში: „მოთხრობითი მართლაც **მან**-ს დაირთავს, მაგრამ რაღაა ეს **-მან**, თუ არ მოთხრობითი ბრუნვა ნაცვალსახ. **იგი**-საო?“ (იქვე, გვ. 60). სამწუხაროდ, ასევე სწორი არ არის მისი არგუმენტაციის სხვა ნაწილები.

ყოველს შემთხვევაში, რეცენზიაზე პასუხის მიღების შემდეგაც დიმ. ყიფიანი ერენგიულად იცავდა ამ ბრუნვას; მან საგანგებო მოხსენება წარუდგინა ოლქის მზრუნველ ა. ნიკოლაი-ს, სადაც მოთხრობითი ბრუნვის შესახებ ვრცლად მსჯელობს და სხვათა შორის ამბობს: „აკად. მ. ბროსეს მეცნიერული შემოკამათებისდა მიუხედავად მოთხრობითს ბრუნვას მე ვთვლი ყოველ ქართველთან ერთად ჩვენი ენის უდავო კუთვნილებად და ჩვენი მეტყველების გარკვეულობის უცილობელ პირობად“ (იქვე, გვ. 97). დ. ჩუბინაშვილი არ ეთანხმება ჩვენს შეხედულებას — განაგრძობს. დ. ყიფიანი, — მას მხარს უჭერს **ბროსე, რომლის გავლენასაც მიეწერება მოთხრობითის ამოშლა ბრუნვათა რიცხვიდან**. ბროსეს აზრს იზიარებს სამეცნიერო აკადემია, მაგრამ დ. ჩუბინაშვილის გრამატიკა აქაურ სკოლებში სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს ნახმარი; ასეთ პირობებში შეუწყნარებელია არ იყოს ეს ბრუნვა შეტანილი გრამატიკაში; აქ ბავშვები თვალწინ დაუწყებენ დაცინვას მასწავლებელს, თუ მან მოსთხოვა სახელობითის ხმარება მოთხრობითის ნაცვლად; სოფლელი სასაცილოდ გახდის მოხელეს, რომელიც მასთან ლაპარაკში სახელობითს იხმარს მოთხრობითის ნაცვლად, ხოლო სასამართლოს პრაქტიკაში ამ წესის გამოყენებას შეუძლია მოგვიტანოს სრულიად არა სასაცილო შედეგები“ (იქვე, გვ. 99). ილუსტრაციისათვის დიმ. ყიფიანს მოჰყავს ოქმი, შედგენილი მკვლელობის თაობაზე მოთხრობითის ნაცვლად სახელობითის ხმარებით და დასძენს: აბა ვინ გაიგებდა, ასეთი ოქმი რომ დაიწეროს, ვინ ვინ მოკლაო.

დიმ. ყიფიანი ასე დაასკვნის: „ქართული გრამატიკა, რომელიც ამ ბრუნვას გამორიცხავს კანკლედობიდან, არ შეიძლება და არ უნდა იქნეს მიჩნეული აქაურ სასწავლებლებში სახმარებლადო (გვ. 100). **„შესაძლოა, გრამატიკის ფილოსოფიის მიხედვით ეს სადაო ბრუნვა არსად არ უნდა**

არსებობდეს, მაგრამ ჩვენ, ქართველები, უიმისოდ ერთმანეთისას ვერას გავიგებთ“ და ამიტომ დაბეჭდილებით უნდა ვთხოვოთ დ. ჩუბინაშვილს უთუოდ შეიტანოს მოთხრობითი ბრუნვათა რიცხვში (იქვე, გვ. 101)...

დ. ჩუბინაშვილმა თავის გრამატიკაში მართლაც შეიტანა მოთხრობითი, შეიტანა თავის ადგილას, სახელობითის შემდეგ... მას შემდეგ მოთხრობითის უფლებები არ დარღვეულა, ოღონდ შემდეგმა გრამატიკოსებმა პ. კვიციანიძემ (1888 წ.), ქუთათელაძემ (1889 წ.), ს. ხუნდაძემ (1907 წ.) პლატონ იოსელიანის მსგავსად გადასვეს ეს ბრუნვა და მიცემითის შემდეგ ბრალდებითის ადგილი განუკუთვნეს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ვინ იფიქრებდა, რომ მოთხრობითისთვის, ამ სპეციფიკური ქართული ბრუნვისათვის, ქართულს გრამატიკაში ადგილის დათმობას ამდენი ბრძოლა დასჭირდებოდა? ვინ წარმოიდგენდა, რომ შესაძლებელი იყო ქართველს, ისიც გრამატიკოსს, დაეწერა: (ესა და ეს წიგნი, — ვეფხისტყაოსანი, — მავანსა და მავანს) პატივისცემის ნიშნად შევსწირეთ ჩვენ, დამბეჭდველ-ნი ბროსეტ, ფალავანდიშვილი, ჩუბინოვი“ (იქვე, გვ. 59)?!

ამდენი ბრძოლა არავის გაუმართავს ბრალდებითი ბრუნვის გამოსარიცხვად; არც მისი შემოტანა დაუსაბუთებია ვისმე; იყო ეს ბრუნვა სხვა ენებში, შემოიღეს ქართულშიც. არა მარტო უცხოელები (მაჯო, ფატერი, კლაპროთი, ბროსე) ხმარობდნენ ქართულში ბრალდებითს, არამედ თვით ქართველებიც, დაწყებული ანტონიდან: გაიოზი, ვარლამ არქიეპისკოპოსი, ს. დოდაშვილი, ფირალოვი, ვიდრე პლატონ იოსელიანამდე. პლატონ იოსელიანმა თავის 1840 წელს გამოსულს გრამატიკაში ბრალდებითი „უქმად“ გამოაცხადა, რადგანაც „ყოვლად არს მჰსგავსი სახელობითისაო“. ასეთივე აზრისა უნდა ყოფილიყო დავ. ჩუბინაშვილიც, რომელმაც აგრეთვე არ შეიტანა ეს ბრუნვა თავის გრამატიკაში. პლ. იოსელიანის ხაზს მიჰყვებიან, როგორც ჩანს, პ. კვიციანიძე, ა. ქუთათელაძე, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი: ბრალდებითი არც ერთს მათგანს არა აქვს. არც დიმიფიანი თვლის ამ ბრუნვას საჭიროდ, მაგრამ მეტად თავისებურ მოსაზრებათა გამო. მისი საბუთები იმდენად საინტერესოა, რომ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ სათანადო ადგილი მთლიანად: „შემასმენლობითი არის პირდაპირი თარგმანი ლათინურისა *accusativus*, როგორც რუსული *винительный* და ჰნიშნავს „ბრალდებულებას“, — „დაწამებას“, „შესმენას“, „შემასმენლობას“; ქართულს ენაში ამ ბრუნვას სრულებით არა აქვს ადგილი; ახლა შეიძლება აქა-იქა იპოვებოდეს ისეთი კაცი, რომ იმის დასახელებით სიტყვა გამიმტყუნონ! მაგრამ თვითონ მე მახსოვს ის დრო, როდესაც მოყვასის გაცემა, დაბეჭდება, დასმენა, ისეთი სათაკილო საქმე იყო ქართველებში, როგორც, მაგალითად, ქურდობა, — და **შემასმენლობითი ბრუნვა რაღად გვექნებოდა** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ); ამას გარდა — ყოველს

შემთხვევაში თითონ საკითხავიც პირველი ბრუნვის სახის მექონია და პასუხიცა“... (იხ. ახალი ქართული გრამატიკა, ს. პეტერბურლი, 1882 წ., გვ. 22).

ასე მსჯელობს ისეთი დიდად ნიჭიერი მოაზროვნე, როგორც დიმ. ყიფიანი იყო. სხვას რაღა მოეთხოვებოდა?! დასმენა სათაკილოა და შემასმენლობითი ბრუნვა როგორღა უნდა დავტოვოთ გრამატიკაშიო?! ანდა: სახელობითს ჰგავს და იმიტომ ზედმეტია! მაშ, ბრუნვა არის, მხოლოდ სახელობითს არის დამსგავსებული! ასეთი საბუთის მიხედვით ბრალდებითს გამორიცხვა, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებელია, შემთხვევითის ხასიათს ატარებს. ამიტომ გასაკვირიც არ არის, თუ პლ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის, დიმ. ყიფიანის შემდეგ თედო ჟორდანიას მაინც შეაქვს ბრალდებითი (შესმენილობითი) თავის გრამატიკაში.

ეს 1889 წელს იყო. იქნებ შემდეგ მაინც არავის მოჰგონებია ეს ბრუნვა? როგორც ჩანს, არა: 1920 წ. არის გამოცემული „ქართული პრაქტიკული გრამატიკა“ მელ. კელენჯერიძისა; მის წინასიტყვაობაში წერია: ქართულ ძველ გრამატიკებში ბრუნვათა შორის შემასმენლობითიც ურევია. ახალი გრამატიკებიდან **ეს ბრუნვა ფაქტიურად გააძევეს, საბუთი გაძევებისა კი ჯერ არაფერია** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)... ჩვენც უსამართლოდ და გაუგებრობით გაძევებული შემასმენლობითი ბრუნვა აღვადგინეთ და მივიღეთ შვიდის მაგიერ რვა ბრუნვა“. არსებითად ავტორის ამ დებულების განხილვა საჭირო არ არის: თვით ავტორმა თავისი წიგნის მეორე გამოცემაში (1925 წ.) ეს აღდგენილი ბრუნვა „გააძევა“ და სრულიად სამართლიანადაც. პირველი გამოცემის წინასიტყვაობის ეს ადგილი კი მაინც მნიშვნელოვანია. ის ცხადყოფს, რომ **ჯერ კიდევ ბუნდოვანია ბრალდებითის საკითხი, არ არის გათვალისწინებული, რომ ქართული მთელი თავისი არსებით გამორიცხავს ამ ბრუნვის შესაძლებლობას**. ამიტომაც შემთხვევითს ხასიათს ატარებდა მისი გამორიცხვაც და მისი აღდგენაც... ამრიგად, უცხო ენათა გრამატიკულ შაბლონებს მიჩვეული ბევრი ქართველი ინტელიგენტი დღესაც ვერ ამჩნევს, რამდენად თავისებურია ქართული კანკლედობა, **მოთხრობითის მქონე და ბრალდებითის არამქონე**.

ამიტომაც: **ბრუნვათა ყოველი დალაგება, თუკი მოთხრობითს ბრალდებითის ადგილი უჭირავს, უვარგისია და შეუწყნარებელი**.

მოთხრობითი უნდა დაიძრას თავისი ტრადიციული ადგილიდან და დაისვას იმ ადგილას, რომელიც მას შეეფერება, სახელდობრ, სახელობითის მეზობლობაში; მოთხრობითი სახელობითის ძმია, ისტორიულად მაზე უფროსი, უფრო ადრე ჩამოყალიბებული; ისტორიული თვალსაზრისით ეს არის „პირველი სახელობითი“; თუ სახელობითის წინ არა, სახელობითის უშუალო მეზობლობაში მაინც უნდა იქნეს დასმული. ამისდა კვალობაზე **რიგის დასაწყისი ასეთი უნდა იყოს: 1. სახელობითი, 2. მოთხრობითი...**

რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, თამამად შეიძლება ტრადიციული თანამიმდევრობა დაგვეტოვებინა, ყველა სახელი რომ „ფუძეუკუმშველი“ იყოს, ე. ი. ისე იბრუნებოდეს, როგორც, მაგალ., კ ა ც ი : კაცი, კაცმა, კაცის, კაცს, კაცით, კაცად, (კაცო!). მდგომარეობას არ შეცვლიდა ის შემთხვევებიც, როდესაც ფუძე ყველა ბრუნვაში „შეკუმშულია“: კედლები კედლებმა, კედლების, კედლებს, კედლებით, კედლებად, კედლებო! მაგრამ სხვა ვითარებას ქმნის ის სახელები, რომელთაც ფუძე ეკვეცებათ მხოლოდ ზოგიერთს ბრუნვაში; სახელდობრ: ა და ე-ფუძიანი სახელები ნათესაობითა და მოქმედებითი კარგავენ ამ ფუძისეულ ხმოვნებს (ქვ-ის, ქვ-ით; ხ-ის, ხ-ით...), თანხმოვანფუძიან სახელთა წყება კი კარგავს ფუძისეულს ხმოვანს ნათესაობითა, მოქმედებითა და მიმართულებითს ბრუნვებში: კედლ-ის, კედლ-ით, კედლ-ად, შდრ.: კედელ-მა, კედელ-ს... ფუძის კუმშვა-ლობა იმდენად არსებითი მოვლენაა ქართულ სახელთა ბრუნვაში, რომ გამოყენებულია ბრუნვის დროს სახელთა დაჯგუფების კრიტერიუმად. შეუძლებელია ასეთ მოვლენას ანგარიში არ გაეწიოს, და ამიტომ: **აუცილებელი ხდება ბრუნვები ისე დალაგდეს, რომ სამმა ბრუნვამ, რომლებშიაც ფუძე იკუმშება, ერთად მოიყაროს თავი; მაშინ „ფუძე შეკუმშული“ და „ფუძეუკუმშველი“ ბრუნვები ერთმანეთში არ აირევა.** ამ მო-რფოლოგიურს გარემოებას ვუწევთ ანგარიშს, როცა მოთხრობითის გარდა დანარჩენ ბრუნვათა რიგსაც ვცვლით: ჯერ ის ბრუნვები, რომლებშიაც ფუძე არ იკუმშება, მერე კი ისინი, სადაც ფუძე შეიძლება შეიკუმშოს. ამის-და კვალობაზე შემდეგს თანამიმდევრობას ვღებულობთ: სახელობითი, მო-თხრობითი, მიცემითი, ვნებითი, ნათესაობითი, მოქმედებითი. საილუსტრა-ციოდ მოგვყავს „ფუძეუკუმშულ“ სახელთა კანკლედობის ნიმუში:

სახელობითი:	კედელ-ი	მთა	ხე	} ფუძე არ კუმშება
მოთხრობითი:	კედელ-მა	მთა-მ	ხე-მ	
მიცემითი:	კედელს(ა)	მთა-ს(ა)	ხე-ს(ა)	} ან არ იკვეცება
ვნებითი:	კედლ-ად	მთა-დ	ხე-დ	
ნათესაობითი:	კედლ-ის(ა)	მთ-ის(ა)	ხ-ის(ა)	} ფუძე იკუმშება
მოქმედებითი:	კედლ-ით(ა)	მთ-ით(ა)	ხ-ით(ა)	

მრავლობითი რიცხვისთვის ასეთ გარჩევას მნიშვნელობა არა აქვს: ფუძე ყველა ბრუნვაში უცვლელია, ერთგვარია; თუ სახელობითში შეიკუმშა, ყველგან შეკუმშული დარჩება, თუ არა და არა; ასე, მაგალ.: კედლები კედლებმა, კედლებს, კედლებად, კედლებისა, კედლებითა — ფუძე ყველგან შეკუმშულია: **კედლ-ებ-ი**; ასევე: მთ-ებ-ი, მთ-ებ-მა, მთ-ებ-ს... მაგრამ ხე-ებ-ი, ხე-ებ-მა, ხეებ-ს... არსად არ არის შეკვეცილი.

ბრუნვათა ამ წესით დალაგებას მხოლოდობითი მოითხოვს; აქ შეიძლება ფუძე შეკუმშულიც იყოს და შეუკუმშავიც... ზედმეტია ლაპარაკი

იმის შესახებ რომ **ბრუნვათა ასე დალაგება აადვილებს ბრუნების შესწავლას** ისევე, როგორც ანბანის მიხედვით გვარების დალაგება, ვთქვათ, კატალოგში ამარტივებს ამა თუ იმ წიგნის დაძებნას. სიადვილის შესახებ როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში გყავს მოსწავლე, რომელმაც უნდა შესწავლოს ბრუნება, და არა მასწავლებელი; ამ უკანასკნელს ხშირად ისე აქვს ძვალ-რბილში გამჭდარი ტრადიციული რიგი, იმდენად დოგმატიკურად აქვს შეთვისებული გარკვეული თნამიმდევრობა, რომ აზრადაც არ მოუვა თავის თავს ჰკითხოს: რატომ უნდა იყოს ასე დალაგებული? რა გამართლება აქვს იმ რიგს, რომელსაც იგი მისდევს?¹ ამისდა მიუხედავად (უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ ამიტომ) ტრადიციული რიგის შეცვლა ბევრს მათგანს გეოლოგიურ კატასტროფად მოეჩვენება, ისე შეეჩვია ტრადიციულ რიგს!

აქ საჭიროდ მიგვაჩნია დავუმატოთ, რომ ტრადიციული რიგი ერთადერთი როდი იყო ქართულს გრამატიკებში. იგი პლატ. იოსელიანიდან უნდა იწყებოდეს (1840 წ.); მისი რიგი ასეთია: 1. სახელობითი (ტერმინი მან შემოიღო; მანამდე წრფელობითი იხმარებოდა); 2. ნათესაობითი; 3. მიცემითი; 4. მოთხრობითი; 5. მოქმედებითი და 6. წოდებითი (გვაკლია მხოლოდ ვნებითი). პ. კვიციანიძემ (1888 წ.) გაიმეორა იგივე რიგი, მხოლოდ ჩაუტოო **გადაქმნითი** (აწინდელი ვნებითი) მოქმედებითის შემდეგ; არ. ქუთათელაძე თავის გრამატიკაში (1889 წ.) იმავე რიგს ტოვებს, ოღონდ ვნებითისათვის **განვითარებითი** აქვს ნახმარი; დასასრულს, ს. ხუნდაძის გრამატიკაში (1907 წ.) ხდება ამ რიგის კანონიზაცია; განვითარების ნაცვლად ვნებითია შემოღებული; ამ მხრივ ახალი არაფერია.

რა როლიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისთვის პლ. იოსელიანის რიგმა ითამაშა, ისეთივე როლი ხვდა წილად პირველ ნახევარში ანტონის რიგს: მისი რიგი საკმაოდ განსხვავდება ზემოხსენებულისგან: 1. წრფელობითი (სახელობითი); 2. ნათესაობითი; 3. მიცემითი; 4. შემასმენლობითი (*accusativus*); 5. დაწყებითი (კაცისაგან); 6. მოთხრობითი; 7. მოქმედებითი; 8. წოდებითი. სრულის ზედმიწევნობით განმეორებული აქვთ სახელწოდებანიცა და ეს რიგიც: გაიოზს (1789 წ.), ვარლამ არქიეპ. (1802 წ.), ფირალოვს (1820 წ.), სოლ. დოდაშვილს (1830 წ.), კლაპროთს (1837 წ.). როგორც ვხედავთ, **ეს რიგი უფრო გავრცელებული ყოფილა ძველად**, ვინემ **ტრადიციული, ახლანდელი**. ამას გარდა: თავისებური რიგი აქვს ა) **ბროსეს**: 1. წრფელობითი და შემასმენლობითი; 2. ნათესაობითი; 3. მიცემითი; 4. წოდებითი; 5. მოქმედებითი; 6. მოდალობითი (=ვნებით-

¹ ენათმეცნიერების ისტორიაში გასაგებად მიაჩნიათ, რატომ არის სახელობითი პირველად; მაგრამ სრულიად გაუარკვეველია, რატომ დააღაგეს სტოელებმა სხვა ბრუნვები ისე, როგორც ეს ტრადიციულს განრიგებაშია. ამას დასაბუთება არ მოეპოვება.

თი); 7. დამთავრებითი (ბაგა-მდე). — ბ) **დ. ჩუბინაშვილს: 1. სახელობითი; 2. მოთხრობითი;** 3. ნათესაობითი, 4. მიცემითი; 5. მოქმედებითი; 6. წოდებითი; 7. გარდაქმნითი (=ვნებითი); 8. სადაობითი (მამისას). — გ) **თ. ჟორდანაის: 1. სახელობითი, 2. შემასმელობითი (=ბრალდებითი, accusativus), 3. ნათესაობითი, 4. მოქმედებითი, 5. მიცემითი, 6. მოთხრობითი, 7. ზმნიზედითი (=ვნებითი) და 8. წოდებითი.** — დ) **მოსე ჯანაშვილს: 1. სახელობითი, 2. სახელობითი მეორე (=მოთხრობითი), 3. ნათესაობითი, 4. მიცემითი, 5. შემოქმედებითი, 6. ზმნისზედითი, 7. წოდებითი.** — ე) **მელ. კელენჯერიძეს: 1. სახელობითი, 2. ნათესაობითი, 3. მიცემითი, 4. მოთხრობითი, 5. ვნებითი, 6. შემასმელობითი, 7. მოქმედებითი, 8. წოდებითი.** აქედან ნათლად ჩანს, რომ **ტრადიციული რიგი ქართულში ერთადერთი სრულებითაც არ არის.**¹


რა უდევს საფუძვლად ამ სხვადასხვაგვარ დალაგებას? **არავითარი გარკვეული ობიექტური პრინციპი**, მხოლოდ შემთხვევა, ავტორის გემოვნება-სურვილით გამართლებული.

გამონაკლისს, საყურადღებოსა და სასიამოვნოს, შეადგენს დ. ჩუბინაშვილისა და მოსე ჯანაშვილის რიგი; ორსავე შემთხვევაში მოთხრობითი სახელობითს მოსდევს; ორსავე ავტორს ნათლად აქვს გათვალისწინებული, რომ მოთხრობითს სახელობითთან აქვს კავშირი; დ. ჩუბინაშვილს, როგორც ვიცით, არც უნდოდა მოთხრობითი გამოეყო სახელობითისაგან (რაც შეცდომა იყო); და რაკი გამოყო(უკეთ, გამოაყოფინეს), შესაფერი ადგილიც მიუჩინა; მ. ჯანაშვილი მოთხრობითს „მეორე სახელობითს“ უწოდებს და ამით უკვე ნათქვამია, რაც არის ეს ბრუნვა და სად უნდა იყოს იგი. ეს დიდი პროგრესია. სამწუხაროა მხოლოდ, რომ სხვა ბრუნვათა დალაგებისას არ იქნა მათ მიერ გარკვეული პრინციპი წამოყენებული.

ამგვარად: ის დალაგება, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ მოთხრობითის საკითხში, არაფერს ახალს არ წარმოადგენს. მისი დასაბუთებლად შეიძლება იყოს ახალი; სხვა ბრუნვათა რიგის საკითხში ჩვენს დალაგებას მხოლოდ ერთი პრეტენზია აქვს: იგი არ არის სუბიექტური გემოვნება-სურვილით ნაკარნახევი, არამედ **დამყარებულია ქართული ბრუნების (კანკლედობის) თვისებაზე, ითვალისწინებს ამ ბრუნების პროცესებს**, მათ ეგუება, ამდენადვე მას აქვს პრეტენზია იყოს ობიექტური.

¹ არა თუ ქართულში, არამედ ლათინურშიაც კი, სადაც ტრადიციულ რიგს ორი ათასი წლის ისტორია აქვს, შესაძლებლად მიაჩნიათ რიგის შეცვლა. რამდენადაც მახსოვს, ლოპატინსკის „ლათინური გრამატიკის“ ერთ გამოცემაში ბრუნვები ასე იყო დალაგებული: სახელობითი, ბრალდებითი, მიცემითი, მოქმედებითი, ნათესაობითი. სამწუხაროდ, ამ შენიშვნების წერის დროს ეს გრამატიკა ხელთ არ მქონდა და შეიძლება ამ ჩვენებას ზედმიწევნილობა აკლდეს.

არსებითი სახელი



მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახელობითი	ბავშვი	მეგობარი	მასწავლებელი	მინდორი	ობოლი
წოდებითი	ბავშვო	მეგობარო	მასწავლებლო	მინდორო	ობოლო
მოთხრობითი	ბავშვმა	მეგობარმა	მასწავლებელმა	მინდორმა	ობოლმა
მიცემითი	ბავშვს(ა)	მეგობარს	მასწავლებელს	მინდორს	ობოლს
მიმართულებითი	ბავშვად(ა)	მეგობრად	მასწავლებლად	მინდვრად	ობლად
ნათესაობითი	ბავშვის(ა)	მეგობრის	მასწავლებლის	მინდვრის	ობლის
მოქმედებითი	ბავშვით(ა)	მეგობრით	მასწავლებლით	მინდვრით	ობლით

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახელობითი	ბავშვები	მეგობრები	მასწავლებლები	მინდვრები	ობლები
წოდებითი	ბავშვებო	მეგობრებო	მასწავლებლებო	მინდვრებო	ობლებო
მოთხრობითი	ბავშვებმა	მეგობრებმა	მასწავლებლებმა	მინდვრებმა	ობლებმა
მიცემითი	ბავშვებს(ა)	მეგობრებს	მასწავლებლებს	მინდვრებს	ობლებს
მიმართულებითი	ბავშვებად(ა)	მეგობრებად	მასწავლებლებად	მინდვრებად	ობლებად
ნათესაობითი	ბავშვების(ა)	მეგობრების	მასწავლებლების	მინდვრების	ობლების
მოქმედებითი	ბავშვებით(ა)	მეგობრებით	მასწავლებლებით	მინდვრებად	ობლებით

სახელობითი	ბავშვნი	მეგობარნი	მასწავლებელნი	მინდორნი	ობოლნი
წოდებითი	ბავშვნო	მეგობარნო	მასწავლებელნო	მინდორნო	ობოლნო
მოთხრობითი	ბავშვთ(ა)	მეგობართ(ა)	მასწავლებელთ(ა)	მინდორთ(ა)	ობოლთ(ა)

მიცემითი	ბავშვთ(ა)	მეგობართ(ა)	მასწავლებელთ(ა)	მინდორთ(ა)	ობოლთ(ა)
მიმართულებითი	—	—	—	—	—
ნათესაობითი	ბავშვთ(ა)	მეგობართ(ა)	მასწავლებელთ(ა)	მინდორთ(ა)	ობოლთ(ა)
მოქმედებითი	—	—	—	—	—

მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახელობითი	მოწაფე	მუშა	ქარხანა	გოგონა	ივანე	წყარო	ყრუ	გიორგი
წოდებითი	მოწაფე(ვ)	მუშა(ვ)	ქარხანა(ვ)	გოგონა(ვ)	ივანე	წყარო(ვ)	ყრუო	გიორგი
მოთხრობითი	მოწაფემ	მუშამ	ქარხანამ	გოგონამ	ივანემ	წყარომ	ყრუმ	გიორგიმ
მიცემითი	მოწაფეს	მუშას	ქარხანას	გოგონას	ივანეს	წყაროს	ყრუს	გიორგის
მიმართულებითი	მოწაფედ	მუშად	ქარხნად	გოგონად	ივანედ	წყაროდ	ყრუდ	გიორგიდ
ნათესაობითი	მოწაფის	მუშის	ქარხნის	გოგონას	ივანეს	წყაროს	ყრუს	გიორგის
მოქმედებითი	მოწაფით	მუშით	ქარხნით	გოგონათ(ი)	ივანეთ(ი)	წყაროთ(ი)	ყრუთ(ი)	გიორგით

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახელობითი	მოწაფეები	მუშები	ქარხნები	გოგონები	წყაროები	ყრუები
წოდებითი	მოწაფეებო	მუშებო	ქარხნებო	გოგონებო	წყაროებო	ყრუებო
მოთხრობითი	მოწაფეებმა	მუშებმა	ქარხნებმა	გოგონებმა	წყაროებმა	ყრუებმა
მიცემითი	მოწაფეებს	მუშებს	ქარხნებს	გოგონებს	წყაროებს	ყრუებს
მიმართულებითი	მოწაფეებად	მუშებად	ქარხნებად	გოგონებად	წყაროებად	ყრუებად

ნათესაობითი	მოწაფეების	მუშების	ქარხნების	გოგონების	წყაროების	ყრუების
მოქმედებითი	მოწაფეებით	მუშებით	ქარხნებით	გოგონებით	წყაროებით	ყრუებით

სახელობითი	მოწაფენი	მუშანი	ქარხანანი	გოგონანი	წყარონი	ყრუნი
წოდებითი	მოწაფენო	მუშანო	ქარხანანო	გოგონანო	წყარონო	ყრუნო
მოთხრობითი	მოწაფეთ(ა)	მუშათ(ა)	ქარხანათ(ა)	გოგონათ(ა)	წყაროთ(ა)	ყრუთ(ა)
მიცემითი	მოწაფეთ(ა)	მუშათ(ა)	ქარხანათ(ა)	გოგონათ(ა)	წყაროთ(ა)	ყრუთ(ა)
მიმართულებითი	—	—	—	—	—	—
ნათესაობითი	მოწაფეთ(ა)	მუშათ(ა)	ქარხანათ(ა)	გოგონათ(ა)	წყაროთ(ა)	ყრუთ(ა)
მოქმედებითი	—	—	—	—	—	—

ПОЧЕМУ НЕОБХОДИМО ВИДОИЗМЕНИТЬ
ПОСЛЕДОВАТЕЛЬНОСТЬ
ПАДЕЖЕЙ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ?*

(РЕЗЮМЕ)

Существующий в грузинских грамматиках традиционный порядок падежей мешает формированию правильного представления об особенностях состава падежей, и в то же время не уживается с процессом грузинского склонения.

Основной особенностью грузинского склонения является наличие эргативного падежа и отсутствие винительного. Всякое распределение падежей, в котором повествовательный падеж стоит на месте винительного, неприемлемо.

В склонении грузинского языка существенным является стяжение основы. Необходимо такое расположение падежей, при котором не смешивались бы формы со "стяженной" и "нестяженной" основами.

Представленный автором порядок расположения падежей опирается на особенности склонения с учетом процесса склонения.

* Резюме составил В. Шенгелиа.

რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში?

1. მორფოლოგიური ობიექტი¹ ძველს ქართულში შეიძლება იყოს მიცემითსა და სახელობითს ბრუნვაში: ჰ-კლავ-ს იგი მ ა ს; კლა მან ი გ ი... გ-კლავ-ს იგი შ ე ნ; გ-კლა მან შ ე ნ... მ-კლავ-ს იგი მ ე; მ-კლა მან მ ე... თუ **MO**ი მესამე პირისაა და მიცემითშია, ზმნას უჩნდება პრეფიქსი: ხ; ჰ; ჰ || ს || შ.² ეს პრეფიქსი თანაბრად აღნიშნავს მხოლოობითის მიცემითსაც და მრავლობითისასაც: **MO**ის რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს.

თუ **MO**ი მესამე პირია სახელობითის ბრუნვისა, მხოლოობითს რიცხვში იგი პრეფიქსით (ან სხვა რაიმე ფორმანტით) არ აღინიშნება:³ კლა მან ი გ ი... პოვა მან ი გ ი... მაგრამ თუ ეს **MO**ი მრავლობითში დავსვით, ზმნაში გარკვეული ფორმანტი ჩნდება; კლ-ნ-ა მან ი გ ი ნ ი... პოვ-ნ-ა მან ი გ ი ნ ი... ყვ-ნ-ა მან ი გ ი ნ ი... ჰ-კლ-ენ შენ ი გ ი ნ ი... ჰ-ყვ-ენ შენ ი გ ი ნ ი... ვ-კლ-ენ მე ი გ ი ნ ი... ვ-პოვ-ენ მე ი გ ი ნ ი... ვ-ყვ-ენ მე ი გ ი ნ ი... აქ **MO**ი ყველგან მესამე პირისა იყო; თუ მეორისა და პირველის პირისას ავიღებთ, იგივე ფორმანტი მოგვევლინება: კლ-ნ-ა მან ი გ ი ნ ი... გ-კლ-ნ-ა მან თ ქ უ ე ნ; მ-კლ-ნ-ა (|| გუ-კლ-ნ-ა) მან ჩ უ ე ნ... ჰ-კლ-ენ შენ ი გ ი ნ ი... მ-კლ-ენ (|| გუ-კლ-ენ) შენ ჩ უ ე ნ... ვ-კლ-ენ მე ი გ ი ნ ი... გ-კლ-ენ მე თ ქ უ ე ნ...

ეს საშუალებას იძლევა დავასკვნათ: მრავლობითის რიცხვის სახელობითს ბრუნვაში **MO**ი, რომელი პირისაც უნდა იყოს იგი, თანაბრად

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1925 წლის 22 დეკემბერს.

² იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე: „სუბიექტ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულს ზმნებში“. ტფილ. 1920, გვ. 20, 83...

³ შესაძლებელია ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ მესამე პირის ნაცვალსახელს (მ ა ნ) სახელობითი ბრუნვა არ გააჩნია (ე ს ე, ე გ ე, ი გ ი ხომ ჩვენებითი ნაცვალსახელებია; მესამე პირის ნაცვალსახელის სახელობით ბრუნვად ისინი ენამ გამოიყენა მას შემდეგ, რაც სახელობითი ბრუნვა ჩამოყალიბდა). ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ პირველისა და მეორე პირის **MO**ი ზმნაში აღინიშნება პრეფიქსით, იმისდამიუხედავად მიცემითშია იგი თუ სახელობითში (გ-კლავ-ს; მ-კლავ-ს — გ - კ ლ ა; მ - კ ლ ა). ალბათ იმიტომ, რომ ამ პირთა ნაცვალსახელებს (მ ე, შ ე ნ) სახელობითი ბრუნვა „აქვსთ“: მ ე, შ ე ნ სამი ბრუნვის: სახელობითისა, მოთხრობითისა და მიცემითის, — როლს ასრულებს.

აღინიშნება **-ენ-** || **-ნ-** ფორმანტით; პირის განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს; ანუ: **-ენ-** || **-ნ-** არის (MOის) მრავლობითის აღმნიშვნელი ფორმანტი.

2. ეს ფორმანტი სუფიქსია ნამყო ძირითადის პირველსა და მეორე პირში,¹ ამავე დროის მესამე პირში მხოლოდობითის რიცხვისა, მრავლობითის სამსავე პირში, მთელს ნამყო ჩვეულებითში და კონდუნქტივის მეორეში — ინფიქსს წარმოადგენს. კონდუნქტივს მეორეში ამ ინფიქსის ჩართვა იწვევს მომდევნო **ა** და **ო** ფორმანტების **ე**'დ ცვლას; **ე** ფორმანტი კი უცვლელად რჩება.

მოგვყავს სათანადო ფორმები ჯერ განცალკევებით, შემდეგ ტექსტებში:

ნამყო ძირითადი:

1. იგი:	იგინი:	2. იგი:	იგინი:
ყო მან	: ყვ-ნ-ა მან	კლ-ა მან	: კლ-ნ-ა მან
ჰ-ყავ შენ	ჰ-ყვ-ენ შენ	ჰ-კალ შენ	ჰ-კლ-ენ შენ
ვ-ყავ მე	ვ-ყვ-ენ მე	ვ-კალ მე	ვ-კლ-ენ მე
ყვ-ეს მათ	ყვ-ენ-ეს მათ	კლ-ეს მათ	კლ-ნ-ეს მათ
ჰ-ყავ-თ თქვენ	ჰ-ყვ-ენ-(ი)-თ თქვენ	ჰ-კალ-თ თქვენ	ჰ-კლ-ენ-(ი)-თ თქვენ
ვ-ყავ-თ ჩვენ	ვ-ყვ-ენ-(ი)-თ ჩვენ	ვ-კალ-თ ჩვენ	ვ-კლ-ენ-(ი)-თ ჩვენ

3. მას იგი:	მას იგინი:
მი-ს-ც-ა მან	: მი-ს-ც-ნ-ა მან
მი-ეც შენ	მი-ს-ც-ენ შენ
მი-ვ-ეც მე	მი-ვ-ს-ც-ენ მე
მი-ს-ც-ეს მათ	მი-ს-ც-ნ-ეს მათ
მი-ეც-(ი)-თ თქვენ	მი-ს-ც-ენ-(ი)-თ თქვენ
მი-ვ-ეც-(ი)-თ ჩვენ	მი-ვ-ს-ც-ენ-(ი)-თ ჩვენ

ნამყო ჩვეულებითი:

1. იგი:	იგინი:	2. იგი:	იგინი:
ყვ-ი-ს მან	: ყვ-ნ-ი-ს მან	კლ-ი-ს მან	: კლ-ნ-ი-ს მან
ჰ-ყვ-ი შენ	ჰ-ყვ-ნ-ი შენ	ჰ-კლ-ი შენ	ჰ-კლ-ნ-ი შენ
ვ-ყვ-ი მე	ვ-ყვ-ნ-ი მე	ვ-კლ-ი მე	ვ-კლ-ნ-ი მე
ყვ-ი-ან მათ	ყვ-ნ-ი-ან მათ	კლ-ი-ან მათ	კლ-ნ-ი-ან მათ
ჰ-ყვ-ი-თ თქვენ	ჰ-ყვ-ნ-ი-თ თქვენ	ჰ-კლ-ი-თ თქვენ	ჰ-კლ-ნ-ი-თ თქვენ
ვ-ყვ-ი-თ ჩვენ	ვ-ყვ-ნ-ი-თ ჩვენ	ვ-კლ-ი-თ ჩვენ	ვ-კლ-ნ-ი-თ ჩვენ

¹ აქაც, და სხვაგანაც ქვემოთ, გამოსავალია MSის პირი.

3. მას იგი:

მას იგინი:

მი-ს-ც-ის მან	:	მი-ს-ც-ნ-ის მან
მი-ს-ც-ი შენ	:	მი-ს-ც-ნ-ი შენ
მი-ვ-ს-ც-ი მე	:	მი-ვ-ს-ც-ნ-ი მე
მი-ს-ც-ი-ან მათ	:	მი-ს-ც-ნ-ი-ან მათ
მი-ს-ც-ი-თ თქვენ	:	მი-ს-ც-ნ-ი-თ თქვენ
მი-ვ-ს-ც-ი-თ ჩვენ	:	მი-ვ-ს-ც-ნ-ი-თ ჩვენ

კონფიქტივი მეორე :

1. იგი:

იგინი:

2. იგი:

იგინი:

ყ-ო-ს მან	:	ყვ-ნ-ე-ს მან	კლ-ა-ს მან	:	კლ-ნ-ე-ს მან
ჰ-ყ-ო შენ	:	ჰ-ყვ-ნ-ე შენ	ჰ-კლ-ა შენ	:	ჰ-კლ-ნ-ე შენ
ვ-ყ-ო მე	:	ვ-ყვ-ნ-ე მე	ვ-კლ-ა მე	:	ვ-კლ-ნ-ე მე
ყ-ო-ნ მათ	:	ყვ-ნ-ე-ნ მათ	კლ-ა-ნ მათ	:	კლ-ნ-ე-ნ მათ
ჰ-ყ-ო-თ თქვენ	:	ჰ-ყვ-ნ-ე-თ თქვენ	ჰ-კლ-ა-თ თქვენ	:	ჰ-კლ-ნ-ე-თ თქვენ
ვ-ყ-ო-თ ჩვენ	:	ვ-ყვ-ნ-ე-თ ჩვენ	ვ-კლ-ა-თ ჩვენ	:	ვ-კლ-ნ-ე-თ ჩვენ

3. მას იგი:

მას იგინი:

მი-ს-ც-ე-ს მან	:	მი-ს-ც-ნ-ე-ს მან
მი-ს-ც-ე შენ	:	მი-ს-ც-ნ-ე შენ
მი-ვ-ს-ც-ე მე	:	მი-ვ-ს-ც-ნ-ე მე
მი-ს-ც-ე-ნ მათ	:	მი-ს-ც-ნ-ე-ნ მათ
მი-ს-ც-ე-თ თქვენ	:	მი-ს-ც-ნ-ე-თ თქვენ
მი-ვ-ს-ც-ე-თ ჩვენ	:	მი-ვ-ს-ც-ნ-ე-თ ჩვენ

მან — იგი

მან — იგინი

დაჰბადა	:	დაჰბად-ნ-ა:	რომელმან სიბრძნით დაჰბადა ცანი მალაღნი ს ა ს. პ ო ე ზ. სდგ ²⁶
დააბნელა	:	დააბნელ-ნ-ა:	დააბნელნა სამყაროდსა მნათობნი ს ა ს. პ ო - ე ზ. ტბ ¹¹
განზომა	:	განზომ-ნ-ა:	რომელმან განზომნა ცანი მტკავლითა თვისითა კ ი მ . 182 ²⁴
შეკრიბა	:	შეკრიბ-ნ-ა:	და ვითარცა წარემართებოდა გზასა თუსსა, შე- კრიბნა ყოველნი მორწმუნენი ს ა ბ ა 20 ¹
აკურთხა	:	აკურთხ-ნ-ა:	და სხუანი იგი თითოვეულად აკურთხნა ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ . 2 ²⁶
მოიკითხა	:	მოიკითხ-ნ-ა:	და წმინდანი მამანი მოიკითხნა ა თ ო ნ . კ რ . 293 ³
განამტკიცა	:	განამტკიც-ნ-ა:	ამცნო მათ და განამტკიცნა იგინი კ ი მ . 195 ¹⁹
პოვა	:	პოვ-ნ-ა:	და პოვნა გუამნი იგი წმიდათანი კ ი მ . 113 ¹⁹
აღასრულა	:	აღასრულ-ნ-ა:	ამას სულიერისა ცხორებასა შინა აღასრულნა დღენი თუსნი ა თ ო ნ . კ რ . 16 ¹⁶

განუტევა	: განუტევ-ნ-ა:	და ვითარცა განუტევნა იგინი მთავარმან მან კ ი მ . 56 ₂₀
დაფარა	: დაფარ-ნ-ა:	ლეღვამან მისმან დაფარნა წინააღმდეგომნი ს ა ს . პ ო ე ზ . სუბ ₁₄
შეიწყნარა	: შეიწყნარ-ნ-ა:	და შეიწყნარნა მის თანა ათნი ძმანი კ ი მ . 15 ₂₅
მოწყვდა	: მოწყვდ-ნ-ა:	რადთამცა ყრმანი იგი მის წინა მოწყვდნა კ ი მ . 47 ₃₁
აღწერა	: აღწერ-ნ-ა:	ესე ოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან... აღწერნა ა თ ო ნ . კ რ . 310 ₂₉
იხილა	: იხილ-ნ-ა:	იხილნა ორნი ნავნი მდგომარენი კიდესა ჰ ა ე - მ ე ტ . ტ ე ქ . 382 ₅
განბანა	: განბან-ნ-ა:	სულნი ჯორცთა თანა განბანნა კ ი მ . 10 ₂₉
წარგზავნა	: წარგზავნ-ნ-ა:	და წარგზავნნა ცრემლითა აღსავსენი ც ხ ო რ . ს ე რ ა პ . 30 ₁₁
წარპგრაგნა	: წარპგრაგნ-ნ-ა:	და წარპგრაგნა იგინი ტილოსა წმიდასა კ ი მ . 113 ₂₄
აღადგინა	: აღადგინ-ნ-ა:	აღადგინნა დაცემულნი და ს ა ს . პ ო ე ზ . ტპ. ₁₂
თარგმნა	: თარგმნ-ნ-ა:	რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძნულად ა თ ო ნ . კ რ . 4 ₂₄
მოითმინა	: მოითმინ-ნ-ა:	მხიარულებით რად მოითმინნა მრავალფერნი სა- ტანჯველნი გ რ . ხ ნ ძ თ . იე ₂₅
დათრგუნა	: დათრგუნ-ნ-ა:	და დათრგუნნა ყოველნი ძალნი მკდომისანი ი . ბ ო ლ . 5 ₂
განკურნა	: განკურნ-ნ-ა:	და მრავალნი მათგანნი განკურნნა ღმერთმან კ ი მ . 32 ₂₂
განარინა	: განარინ-ნ-ა:	რომელნი იგი ღმერთმან... განარინნა მონებისა გან ფარაოდსა ს ა ბ ა 11 ₂
ქმნა	: ქმნ-ნ-ა:	მღღელთ მთავარმან ზაქარია ესმ სასწაულნი ქმნნა გ რ . ხ ნ ძ თ . მე ₁₈
დაიღრჭინა	: დაიღრჭინ-ნ-ა:	დაიღრჭინნა კბილნი მისნი კ ი მ . 14 ₆₈
აღმოიყვანა	: აღმოიყვან-ნ-ა:	რომელმან ბნელსა შინა მსხდომარენი ნათლად აღმოიყვანნა ს ა ს . პ ო ე ზ . იზ ₂₆
განაშუენა	: განაშუენ-ნ-ა:	ერთმან... განაშუენნა დღესასწაულნი მისნი ა თ ო ნ . კ რ . 348 ₇
განაბნია	: განაბნი-ნ-ა:	ყო ძლიერებად მკლავითა თჳსითა, განაბნინა ამ- პარტავანნი ა დ ი შ . 104 ₁
დასთხია	: დასთხი-ნ-ა:	მოუდრიკა მახვლსა ქედი და დასთხინა სისხლნი თჳსნი ს ა ს . პ ო ე ზ . რჟ ₂
გამოირჩია	: გამოირჩი-ნ-ა:	რომელმან გამოირჩინა მონანი თჳსნი და შე- იწყნარნა კ ი მ . 44 ₁
დააქცია	: დააქცი-ნ-ა:	და ბაგინნი მათნი დააქცინა და დაამჳუნა კ ო ნ ს ტ ა ნ . ვ ს ნ ა 43 ₂₀
აღიპყრა	: აღიპყრ-ნ-ა:	ველნი აღიპყრნა ზეცად და ჰმადლობდა ღმე- რთსა კ ი მ . 162 ₁₆
ყო	: ყვ-ნ-ა	შთავიდა და სრულ ყვნა იგინი სქემითა ა თ ო ნ . კ რ . 54 ₂₀

შვა : შვ-ნ-ა: შვნა რად სამნი ესე ნაშობნი ცხორ. სე რ ა პ.
424

მან - იგი მას მან - იგინი მას

დაპკრა ,, : დაპკრ-ნ-ა : ,, ათნივე თითნი ნებთა მისთა ზედა დაპკრნა
გრ. ხ ნ ძ თ. ნე16
მისცა ,, : მისც-ნ-ა ,, მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპა-
ლატსა მისცნა ა თ ო ნ. კ რ . 622.
განუტევა იშხანს და ორნი მოწაფენი მი-
სცნა მას გ რ. ხ ნ ძ თ. კ10
მოხვა ,, : მოხვ-ნ-ა ,, მიეახლა წმიდასა მას და მოხვანა ხელნი
კ ი მ. 1557 კ რ.

შეამკვე შენ იგი : შეამკვე-ენ შენ იგინი: მნათობად რად სოფლისა გამოგა-
ჩინა ქრისტემან... შეამკვენ ეკლე-
სიანი ს ა ს. პ ო ე ზ. რლა9
მოპკალთ თქუენ იგი : მოპკ-ლ-ენ-ით თქუენ ,, : მამანო. ვნებანი მოპკლენით მარ-
ხვითა და წყურილითა ს ა ს.
პ ო ე ზ. რმბ18
შეუკართ ,, ,, (მას): შეუკრ-ენ-ით თქუენ შეუკრენით მაგისნი ფერჯნი და
იგინი (მას) : ჯელნი ა დ ი შ 47b1
შეიპყართ ,, ,, : შეიპყრ-ენ-ით თქუენ წერილ არს შეიპყრენით მელნი
იგინი : მცბიერნი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ . 245
გარდაართხ შენ იგი: გარდაართხენ შენ იგინი : შენ გარდაართხენ ცანი ბრძანე-
ბით ს ა ს. პ ო ე ზ. კბ11
აღმოსცენდი ნერგი უბიწოდ და
განირთხენ შენ რტონი ს ა ს.
პ ო ე ზ. რკდ18
შეჰქმენ ,, ,, : შეჰქმ-ენ ,, ,, : შენ რომელმან... შეჰქმენ წყალნი
ს ა ს. პ ო ე ზ. სკბ26
(ჰ)ყავ ,, ,, (ჰ)ყვ-ენ (ბრძ.) შენ იგინი ყვენ სულნი მიცვალეხულთანი
წიალთა აბრაჰამისთა ს ა ს.
პ ო ე ზ. კ22
ყავთ თქუენ იგი : ყვ-ენ-ით თქუენ იგინი : ძუალნი ჩუენნი ღირს ყვენით და-
სხმად წმიდათა თანა ძუალთა
თქუენთა გ რ. ხ ნ ძ თ. იდ15
ჰშევ შენ იგი : ჰშვ-ენ შენ იგინი : კრებულთა მათ შინა ჰშვენ კრე-
ბულნი მოწაფეთა ქრსთტეს-თან
ს ა ს. პ ო ე ზ. რკზ25
მიეც ,, ,, : მისც-ენ ,, ,, : რომელმან წყრლისა მას სიტ-
ყუანი შენი მისცენ კ ი მ. 20014
დაეციოთ თქუენ იგი: დასც-ენ-ით თქუენ იგინი: და მღვდელნი იგი სიცრუვისანი
დასცენით მსგავსად ქურუმთა ბა-
ალისათა ს ა ს. პ ო ე ზ. ყე11

აცუ შენ იგი :	აცუ-ენ შენ იგინი :	შრომითა ჯორცნი ჯუარს აცუენ ს ა ს . პ ო ე ზ . რ ი ვ 18
მოვიდრიკე მე იგი :	მოვიდრიკ-ენ მე იგინი:	მოვიდრიკენ მუჯლნი ჩემნი თაყუა- ნისცემად წ ა რ ტ ყ . ი ე რ . ი ღ 9
დავივიწყე „ „ :	დავივიწყ-ენ „ „	რამეთუ ცნებანი შენნი მე არად დავივიწყენ ი . ბ ო ლ . 28 ₁₆
მოვილოცე „ „	მოვილოც-ენ „ „	მივედ ელიად და მოვილოცენ წმიდანი ადგილნი კ ი მ . 28 ₁₆
განვიპყარ „ „	განვიპყრ-ენ „ „	განვიპყრენ შენდამი ჳელნი ჩემნი ა ბ ო 41 ₃
მოვსარ „ „	მოვსრ-ენ „ „	მბრძოლთა თანა მოვსრენ მრა- ვალნი სულნი რ ა ვ ა ხ . 97 ₁₂
დავყავ „ „	დავყვ-ენ „ „	დავყვენ მუნ მცირედნი დღენი კ ი მ . 28 ₂₃
ვპოვე „ „	ვპოვ-ენ „ „	და ვპოვენ იგინი ყოველნი კ ი მ . 42 ₃
ვპოვეთ ჩუენ იგი :	ვპოვ-ენ-ით ჩუენ იგინი :	პირველ ყოველთასა ვპოვენით ამის ნეტარისა თჳსნი ა თ ო ნ . კ რ . 326 ₉
დავჰფალთ „ „	დავჰფლ-ენ-ით „ „	და დავჰფლენით იგინი მ ა რ ტ ყ . ი ე რ . ძ ბ 17
შევწირეთ „ „	შევწირ-ენ-ით „ „	განთენდა რად შევწირენით ლოც- ვანი ც ხ ო რ . ს ე რ ა პ . 21 ₂₁

ნ ა მ ყ ო ჩ გ ე უ ლ ე ბ ი თ ი :

აღადგინის მან იგი :	აღადგინ-ნ-ის მან იგინი:	და აღადგინის ლეკუნი იგი ს ა - ხ ი ს მ ე ტ ყ . 4 ₁₄
გარდავლის „ „	გარდავლ-ნ-ის „ „	ნეტარმან მამამან გრიგოლ თა- ვადნი დიდნი მარხვანი გარდა- ვლის მცირედითა კალნაბითა უმ- ბგვრითა გ რ . ხ ნ ძ თ . კ ა 36
აღივსის „ „	აღივს-ნ-ის „ „	მივიდის ირემი იგი და აღივსის ფერდნი თჳსნი წყლითა ს ა - ხ ი ს მ ე ტ ყ . 42 ₁₃
შეიკრიბის „ „	შეიკრიბ-ნ-ის „ „	ვითარცა ქათამმან შეიკრიბის მარ- თჳნი ქუეშე ფრთეთა ა დ ი შ . 51 _{a2}
მოიკუეთის „ „	მოიკუეთ-ნ-ის „ „	თაკუმან მან მოიკუეთის საურ- ველნი იგი ს ა ხ ი მ ე ტ ყ . 34 ₁₁
გარკურნის „ „	განკურნ-ნ-ის „ „	რომელმან განტეხილნი განკურ- ნის კ ი მ . 140 ₃₃
აღმართის „ „	აღმართ-ნ-ის „ „	და აღმართის დაცემულნი ი . ბ ო ლ . 5 ₁₉
დაამტკიცის „ „	დაამტკიც-ნ-ის „ „	კურთხევამან მამისამან და დედი- სამან დაამტკიცის სახლნი უკუ- ნისამდე გ რ . ხ ნ ძ თ . ლ დ 35

დაუტევის	„	„	დაუტეგ-ნ-ის	„	„	ვითარცა იხილის მგელი მომავალი დაუტეგნის საცხოვარნი ა დ ი შ . 176b ₂
მოიტაცის	„	„	მოიტაც-ნ-ის	„	„	ესრწთ ტყუვილით მოიტაცნის იგინი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ . 23 ₂₀
დაიყვის	„	„	დაიყვ-ნ-ის	„	„	ვითარცა დაშურის, დაიყვნის ფრთენი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ . 7 ₄
შვის	„	„	შვ-ნ-ის	„	„	რადჟამს შვნის ძუმან ლომმან ლეკუნი მკუდარნი ს ა ხ ი მ ე ტ ყ . 4 ₈
წარსცის	„	„	(მას): წარსც-ნ-ის	„	(მას):	და მრავალნი წიგნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატსა ა თ ო ნ . კ რ . 27 ₂
ყვის	„	„	ყვ-ნ-ის	„	„	ღმრთისა შიშმან ყვნის მოშიშნი ს ა ს . პ ო ე ზ . კლ25

კ ო ნ ძ უ ნ ქ ტ ი ვ ი მ ე ო რ ე

წარავლინოს მან იგი:	წარავლინ-ნ-ის	მან იგინი:	ეტყოდა მას რადთა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყნად სამცხისა ც ხ ო რ . ს ე რ ა პ . 6 ₂₆			
განაქარვოს	„	„	განაქარვ-ნ-ის	„	„	ვევდრებოდე... რადთა სრულიად განაქარვნეს მზაკუვარებანი მტერთა ჩუენთანი ს ა ს . პ ო ე ზ . რმგ ₆
დააკლოს	„	„	მას: დააკლ-ნ-ის	„	მან	და მოსწრაფე იყო რადთა დააკლნეს ყოველნი მსახურებასა კ ი მ . 118 ₁₁
ყოს	„	„	ყვ-ნ-ის	„	„	და იავარ ყვნეს სიმუნენნი შენნი ს ა ხ ი მ ე ტ ყ . 28 ₁
ალაშენოს	„	„	ალაშენ-ნ-ის	„	„	ჩუეულებად აქუს, რადთა წმიდათა მათ უდაბნოთა მონასტერნი... ალაშენნეს გ რ . ხ ნ ძ თ . კლ32
წარწყმიდოს	„	„	: წარწყმიდ-ნ-ის	„	„	: ღმერთმან წარწყმიდნეს ყოველნი მოქმედნი უმჯულოებისანი წ ა რ ტ ყ . ი ე რ . ნთ ₂₅
ივსნას	„	„	ივსნ-ნ-ის	„	„	რადთა ივსნნეს შეცთომილნი ნათესავნი კაცთანი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ . 3 ₁₉

შეიძლება დავკმაყოფილდეთ ამ საილუსტრაციო მასალითაც. MS-ისა და MO-ის სხვა პირებს აქ არ გამოვუდგებით: მსურველს საშუალება ექნება საამისო მასალები საკმაო ოდენობით მოიძიოს ხსენებულს ნარკვევში: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ I, გვ. 235-256.

3. სახელობითს ბრუნვაში დასმული **მო**ის მრავლობითობის მაჩვენებელი ფორმანტი არის **-ენ-** და არა **-ნ-**, როგორც ეს სათანადო ლიტერატურაში არის ნაჩვენები (იხ. მაგალ. აკად. ნ. მარის: *Граммат. древне-литерат. грузин. яз. Ленинград, 1925*, § 145, 3, გვ. 119); მართალია, ეს ფორმანტი **-ნ'**ს სახითაც გვევლინება და **-ენ-**'ის, მაგრამ პირვანდელი, ნამდვილი სახე მოცემულია **-ენ'**ში რადგანაც: 1) **-ენ'**ზე დაყრდნობით ადგილი ასახსნელია, როგორ მივიღეთ მეორე სახეობა **-ნ-**; და 2) გასაგები ხდება ის ცვლილებანიც, რომელთაც ფუძე მასთან დაკავშირებით ხშირად განიცდის. წინაუკმო შემთხვევაში, ე. ი. თუ **ნ'**დან გამოვალთ, ვერც იმ ცვლილებებში გავერკვევით, რომელთაც ფუძეში აქვს ადგილი და ვერც **-ენ-** სახეობის გამოვლენას მოვუძებნით დამაკმაყოფილებელ ახსნას.

ფუძის რა ცვლილებებზეა ლაპარაკი? ჩვენ წინ არის რიგი ფუძემეკუმშულ ზმნათა:

მო-ვ-კალ, მო-ჰ-კალ, მაგრამ: მო-კლ-ა მან; მო-კლ-ეს მათ... მო-კლ-ი-ს მან; მო-კლ-ი-ან მათ... მო-კლ-ა-ს მან; მო-კლ-ა-ნ მათ... შე-ვ-კარ, შე-ჰ-კარ, მაგრამ: შე-კრ-ა მან; შე-კრ-ეს მათ... შე-კრ-ი-ს მან; შე-კრ-ი-ან მათ... შე-კრ-ა-ს მან; შე-კრ-ა-ნ მათ. შე-ვ-ამკვე; შე-ამკვე, მაგრამ შე-ამკო (← შე-ამკვ-ა); შე-ამკვ-ეს მათ... შე-ამკვ-ი-ს მან; შე-ამკვ-ი-ან მათ... შე-ამკვ-ო-ს (← შე-ამკვ-ა-ს) მან; შე-ამკვ-ო-ნ (← შე-ამკვ-ა-ნ) მათ. შე-ვ-ქმენ, შე-ჰ-ქმენ, მაგრამ: შე-ქმნ-ა მან; შე-ქმნ-ეს მათ... შე-ქმნ-ი-ს მან; შე-ქმნ-ი-ან მათ... შე-ქმნ-ა-ს მან; შე-ქმნ-ა-ნ მათ. ვ-ყავ, ჰ-ყავ, მაგრამ ყო (← ყვ-ა) მან; ყვ-ეს მათ... ყვ-ი-ს მან; ყვ-ი-ან მათ... ყო-ს (← ყვ-ა-ს) მან; ყო-ნ (← ყვ-ა-ნ) მათ; ვ-შევ, ჰ-შევ, მაგრამ: შვ-ა მან; შვ-ეს მათ... შვ-ი-ს მან; შვ-ი-ან მათ... შვ-ა-ს მან; შვ-ა-ნ მათ. და-ვ-ეც, და-ეც, მაგრამ: და-ს-ც-ა¹ მან; და-ს-ც-ეს მათ... და-ს-ც-ი-ს მან; და-ს-ც-ი-ან მათ; და-ს-ც-ე-ს მან; და-ს-ც-ე-ნ მათ... და-ვ-ჭერ, და-ს-ჭერ, მაგრამ: და-ჭრ-ა მან; და-ჭრ-ეს მათ... და-ჭრ-ი-ს მან; და-ჭრ-ი-ან მათ... და-ჭრ-ა-ს მან; და-ჭრ-ა-ნ მათ. გან-ვ-ვსენ, გან-ჰ-ვსენ, მაგრამ: გან-ვსნ-ა მან; გან-ვსნ-ეს მათ... გან-ვსნ-ი-ს მან; გან-ვსნ-ი-ან მათ... გან-ვსნ-ა მან; გან-ვსნ-ან მათ.

ფუძის შეკუმშვა ამ ზმნებში სრულიად ბუნებრივია: ხმოვნით დაწყებული სუფიქსის ზეგავლენით იკარგება ფუძისეული ხმოვანი (**ა, ე** ჩვენს შემთხვევაში). მაგრამ რად შეიკუმშება ზმნის ფუძე მრავლობითობის **-ნ-** ფორმანტის წინ? რატომ მივიღეთ ფორმები: კლ-ნ-ა, შე-კრ-ნ-ა, შე-ამკვ-ნ-ა; შე-ქმნ-ნ-ა, ყვ-ნ-ა, შვ-ნ-ა, და-ს-ც-ნ-ა, და-ჭრ-ნ-ა, გან-ვსნ-ნ-ა (მან იგინი)? იმიტომ, რატომაც გვაქვს შეკუმშული ფუძეები ნამყო ძირითადის პირველსა და მეორე პირში ამ ფორმანტის წინ: ვ-კლ-ენ; ჰ-კლ-ენ; შე-ვ-კრ-ენ, შე-ჰ-კრ-ენ; შე-ვ-ამკვ-ენ; შე-ვ-ქმნ-ენ, შე-ქმნ-ენ; ვ-ყვ-ენ; ჰ-ყვ-ენ; და-ვ-ს-ც-ენ, და-ს-ც-ენ; და-ვ-ჭრ-ენ; და-ს-ჭრ-ენ; გან-ვ-ვსნ-ენ, გან-ჰ-ვსნ-ენ (მე, შენ — იგინი): მ ე ს ა მ ე პ ი რ შ ი **ნ'** ს წ ი ნ ფ უ ძ ე ი მ ი ტ ო მ შ ე ი - კ უ მ შ ა , რ ო მ ფ უ ძ ე ს ა ქ მ ო ს დ ე ვ დ ა **-ენ-** ფ ო რ მ ა ნ ტ ი

¹ ფუძისეული ე'ს დაკარგვის შემდეგ ზმნას პრეფიქსი უჩნდება; ე'ს წინ, საერთო წესით, ჰ პრეფიქსი ვერა ძლებს... ასე რომ, ამ ზმნას პირველსა და მეორე პირში კი არ უჩნდება „ე“, არამედ მესამეში ეკარგება იგი ა სუფიქსის ზეგავლენით.

ისევე, როგორც პირველსა და მეორე პირში.

ამრიგად, ფუძის შეკუმშვა მესამე პირში **-ნ-** ფორმანტის წინ გამოწვეულია იმით, რომ ეს ფორმანტი ნამდვილად **-ენ** არის, და საერთო წესით შესაძლებლობა ჩნდება მისი ზეგავლენით ფუძისეული ხმოვანი დაიკარგოს.

რად ეცვალა სახე ამ ფორმანტს და რად მოგვეჩვენა იგი **-ნ-**'ს სახით? იმავე ფონეტიკური მოვლენის გამო, რომლითაც აიხსნება ფუძის შეკუმშვა: მომდევნო ხმოვნის ზეგავლენით **-ენ** მა დაკარგა **ე** და წარმოვიღვა **-ნ-**'ს სახით. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ეს ფორმანტი **-ნ**'ს სახეს არასოდეს არ იღებს, თუ სუფიქსია, და ყოველთვის იღებს, როცა ინფიქსია და შემდეგ ხმოვნით დაწყებული ფორმანტი მოსდევს (იხ. ზემოთ — გვ. 108-9; კლა, ყო და მისცა ზმნების უღვლილების პარადიგმები).

ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს ნამყო ძირითადის პირველი და მეორე პირი მრავლობითის რიცხვისა: აქ ეს ფორმანტი ინფიქსია, მაგრამ **-ენ**'ის სახით გვევლინება და არა **ნ**'სი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო: მო-ვ-კლ-ენ-ი-თ; მო-ჰ-კლ-ენ-ი-თ; ვ-ყ-ენ-ი-თ; ჰ-ყ-ენ-ი-თ, მი-ვ-ს-ც-ენ-ი-თ; მი-ს-ც-ენ-ი-თ... ეს აიხსნება იმით, რომ მომდევნო **-ი-** არ არის მორფოლოგიური ელემენტი (შდრ. ნამყო ჩვეულებითის **-ი-** ფორმანტს, რომელიც იწვევს ფუძისეულ ხმოვნის დაკარგვას), არამედ ფონეტიკურად ხელსაყრელ გარემოში ანალოგიურად განვითარებული **ი**'ა. სათანადო პროცესი ჩვენ ასე წარმოვიდგინოთ: ზოგიერთ ზმნებს ნამყო ძირითადში (მაგალ. ვიდა, კუდა...), ხოლო ნამყო უსრულში ყველა ზმნებს მრავლობით რიცხვის პირველსა და მეორე პირში **-თ**' დაბოლოების წინ **დ**' მოუდიოდა: მო-ვ-ვედ — მო-ვ-ვედ-თ; მო-ხ-უედ — მო-ხ-უედ-თ; მო-ვ-კუედ — მო-ვ-კუედ-თ; მო-ჰ-კუედ — მო-ჰ-კუედ-თ... ვ-აკეთებ-დ — ვ-აკეთებ-დ-თ; ვ-ასრულებ-დ — ვ-ასრულებ-დ-თ. ასეთ კონტექსტში **დ** და **თ**'ს ერთად თავის მოყრა ფონეტიკურად აუტანელი იყო. იმავე დროს პერმანსიული **-ი-** ამავე პირებისათვის ანალოგიურ წარმოებას ხელს უწყობდა. ამიტომაც გაუგებარი არ უნდა იყოს, რატომ გაჩნდა ასეთ პირობებში **ი**: მო-ვ-კუედ-ი-თ; მო-ვ-ვედ-ი-თ... ვ-აკეთებ-დ-ი-თ... ვ-ასრულებ-დ-ი-თ...

მრავლობითის მეორე და პირველი პირიდან **-ი-** მხოლოდობითშიც გადმოვიდა: მო-ვ-კალ-ი, ვ-ყავ-ი... ძველს ქართულში, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის ასეთი **ი**'ანი პირველი და მეორე პირი. — ყოველ შემთხვევაში საგულისხმო ის არის, რომ მის ზეგავლენით ფუძე ხმოვანს არ კარგავს: ვ-კალ-ი-თ. ვ-ყავ-ი-თ და სხვ. და თუ ეს **-ი-** ფუძეს ვერ უკარგავს ხმოვანს, რა გასაკვირია, თუ ის უძლური აღმოჩნდება დაუკარგოს **-ენ**'

ფორმანტს **ე**. საკმარისია შევადაროთ ნამყო ძირითადის მრავლობითის პირველი და მეორე პირი ნამყო ჩვეულებითის იმავე პირებს, რომ ნათელი გახდეს ის განსხვავება, რომელსაც ადგილი აქვს ამ ფორმათა **ი**ებს შორის:

ნამყო ძირითადი:	ნამყო	
	ჩვეულებითი:	
ვ-ყვ-ენ-ი-თ ჩუენ იგინი	: ვ-ყვ-ენ-ი-თ ჩუენ იგინი	:ნამყო ძირითადის -ი- ვერ იწვევს -ენის ეს დაკარგვას, ნამყო ჩვეულებითისა კი უკარგავს წინა მარცვალს ეს
ჰ-ყვ-ენ-ი-თ თქუენ ..	ჰ-ყვ-ენ-ი-თ თქუენ ..	
ვ-შვ-ენ-ი-თ ჩუენ ..	ვ-შვ-ენ-ი-თ ჩუენ ..	
ჰ-შვ-ენ-ი-თ თქუენ ..	ჰ-შვ-ენ-ი-თ თქუენ ..	

ასე რომ: ნამყო ძირითადის მრავლობითის პირველისა და მეორე პირის გამოკლებით, ყველგან, სადაც **-ენ-** ფორმანტი ინფიქსია, შესაძლოა, მთელი ფორმა ორ ხმოვნის დაკარგვით იყოს მიღებული: **ენ**'მა ამოავდოს ფუძისეული ხმოვანი, სუფიქსის ხმოვანმა კიდევ **-ენ**'ს მოაცილოს **ე** და **ნ**'ს ანაბარა დატოვოს:

ნამყო ძირითადი:	ნამყო ჩვეულებითი:	
ვ-შვ-ენ ← ვ-შვე-ენ	იგინი	ვ-შვ-ენ-ი ← ვ-შვე-ენ-ი ← ვ-შვე-ენ-ი (იგინი)
ჰ-შვ-ენ ← ჰ-შვე-ენ	..	ჰ-შვ-ენ-ი ← ჰ-შვე-ენ-ი ← ჰ-შვე-ენ-ი ..
შვ-ენ-ა ← შვ-ენ-ა ← შვე-ენ-ა	..	შვ-ენ-ის ← შვე-ენ-ის ← შვე-ენ-ის ..
ვ-შვ-ენ-ი-თ ← ვ-შვე-ენ-ი-თ	..	ვ-შვ-ენ-ი-თ ← ვ-შვე-ენ-ი-თ ← ვ-შვე-ენ-ი-თ ..
ჰ-შვ-ენ-ი-თ ← ჰ-შვე-ენ-ი-თ	..	ჰ-შვ-ენ-ი-თ ← ჰ-შვე-ენ-ი-თ ← ჰ-შვე-ენ-ი-თ ..
შვ-ენ-ეს ← შვ-ენ-ეს ← შვე-ენ-ეს	..	შვ-ენ-ი-ან ← შვე-ენ-ი-ან ← შვე-ენ-ი-ან ..

კონაუნქტივი მეორე:

ვ-შვ-ენ-ე ← ვ-შვენ-ე ← ვ-შვე-ენ-ე ¹	(იგინი)
ჰ-შვ-ენ-ე ← ჰ-შვენ-ე ← ჰ-შვე-ენ-ე	..
შვ-ენ-ეს ← შვენ-ეს ← შვე-ენ-ეს	..
ვ-შვ-ენ-ეთ ← ვ-შვენ-ეთ ← ვ-შვე-ენ-ეთ	..
ჰ-შვ-ენ-ეთ ← ჰ-შვენ-ეთ ← ჰ-შვე-ენ-ეთ	..
შვ-ენ-ენ ← შვენ-ენ ← შვე-ენ-ენ	..

თუ მრავლობითის მაჩვენებლად **-ნ**'ს დავსახავდით, ვწერე, ვპოვე² ტიპის ზმნების ფორმების უმეტესობა ადვილად აიხსნებოდა, რადგანაც ამათ პირველსა და მეორე პირში **ე** ისედაც აქვსთ (ეს **ე** და **ენ**'ის **ე** ერთუერთს ერთვიან),² და ვწერენ² ში მხოლოდ **-ნ-** შეგვეძლო

¹ ე ფორმანტის შესახებ იხ. ქვემოთ.
² ლიად ვტოვებთ ვ - წ ე რ - ე 'ს ეს შესახებ: იგი საგანგებო ძიებას მოითხოვს.

ჩაგვეთვალა მრავლობითობის ფორმანტად; ამას გარდა: რაკი ეს ზმნები ფუძე შეუკუმშავნი არიან **ენ**'ის ზეგავლენა ფუძეზე არსადა ჩანს. იმავე დროს სუფიქსის ხმოვანი **ენ**'ის **ე**'ს კარგავს (წერ-ნ-ა ← წერ-ენ-ა) და **ნ**'ს გვრჩება. ასევე — ნამყო ჩვეულებითსა და კონდუნქტივს მეორეში. მაინც რჩება ორი შემთხვევა, როცა **ენ**' ასეთ ზმნებშიაც იჩენს თავს, სახელდობრ, ნამყო ძირითადის მრავლობითის პირველსა და მეორე პირში: ვ-წერ-ენ-ი-თ; ს-წერ-ენ-ი-თ... ამის ახსნა შეუძლებელია **-ნ**'ზე მითითებით. ამას გარდა **-ნ**- ვერას გვშველის ვ-ყვ-ენ... ვ-თქუ-ენ... ვ-აცუ-ენ და მაგვარ ზმნებში **-ენ**'ის ახსნისას; აგრეთვე: ვ-ყვ-ენ — ყვ-ნ-ა, შგ-ენ — შგ-ნ-ა'ს ფუძისეულ **ა** და **ე**'ს დაკარგვის მიზეზებს სრულიადაც ვერ გაგვითვალისწინებს. ყოველივე ნათქვამიდან გამომდინარეობს: სახელობითს ბრუნვაში დასმულ **MO**ის მრავლობითობის აღსანიშნავად ძველს ქართულში გვაქვს **-ენ** (|| → **ნ**).

4. არის შემთხვევები, როცა **MO**ი მრავლობითის სახელობითშია, მაგრამ ზმნაში არ არის იგი აღნიშნული **ენ** (|| → **ნ**) ფორმანტით და პირიქით: **MO**ი არ არის მრავლობითში, ზმნაში კი ფორმანტი მოიპოება; მაგალ.: განიმზადეს თავნი მათნი... კიმ. 41₁₈... მისცა ადგილნი შეჴნიერი... ათონ. კრ. 320₁₄... გამოუცხადა მას ბოძოლანი თვისნი... ათონ. 323₁... რომელმან უწყის დაფარულნი... კიმ. 35₁₆... წარჴგრაგნეს ჯორცნი... კიმ. 42₂₆... დასდვა ჯელი და განკურნა იგინი... აღიმ. 111_{b1}... განკურნა მრავალნი სნელნი... აღიმ. 66_{b2}... ქმნა მუნ შინა სასწაულნი... კიმ. 193₂₀... და ევედრებოდეს მას ლობიერად: რაფთა... იჯსნეს იგინი... საბა 20₉... ევედრებოდეს რაფთა განკურნეს ვნებანი მათნი... საბა 18₇... განხეთქის ღუნომან თხიერნი იგი... აღიმ. 68_{b1}. ამ მაგალითებში არის **MO**ი მრავლობითში, არ არის სათანადო ფორმანტი ზმნაში.

შემდეგს მაგალითებში... დაწერნა წიგნი პატრიარქისათანა... ათონ. კრ. 317₃₅... წიგნი დაწერნის საკურთხეველსა ქუჴეშე დასხნის... ათონ. 317₃₀... განუჯრიტნა სასტიკად ნები მარცხენისა ჯელისა მისისაფ... კიმ. 194₁₂... — მრავლობითობის ფორმანტი ზმნაში არის, **MO**ი კი მხოლოდობითში ჩანს.

ამ მაგალითების განსამარტებლად შემდეგს ვიტყვით: ამ ხუთმეტოდე მაგალითში საკმაოდ მოიპოება ისეთები, სადაც **ნ**(-ენ) არა ჩანს **ნ**'ს შემდეგ: წარჴგრაგნეს, განკურნა, ქმნა, იჯსნეს, ასეთივეა „წიგნი“ (მეორე ჯგუფში); აქ ფუძისეული **ნ**'ს წყალობით

უნდა გამორჩენოდა მწერალს თუ გადამწერს ფორმანტი **-ნ**; დანარჩენი მაგალითები უბრალო ლაფსუსი შეიძლება იყოს. საერთოდ, ამ ხუთმეტრიოდე უმართებულო ფორმას, რაკი ისინი შემთხვევითი ჩანან, ვერ გაეწევა ანგარიში მაშინ, როდესაც რამოდენიმე ასეული მაგალითი, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია და რომლიდანაც მხოლოდ საილუსტრაციოდ რამოდენიმე ათეული ზემოთ მოვიყვანეთ, სრულიად გარკვეულს დასკვნებს გვაგალებს.

5. თუ მრავლობითის სახელობითი **ებ**'ით არის ნაწარმოები, **MO** ზმნაში არ აღინიშნება; ობიექტობა აქ არაფერს შუაშია: **MS**იც, მრავლობითობის სახელობითში თუ **ები**'ა ზმნის ფორმანტებში ცვლილებას ვერ იწვევს (სათანადო მაგალითებისათვის იხ.: მ ა რ ტ ი ვ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ა ქ ა რ თ უ ლ შ ი : I: ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“; გვ. 251-256). ეს გარემოება ეჭვმიუტანლად მოწმობს, რომ **ენ**($\parallel \rightarrow \text{ნ}$) ფორმანტი ზმნაში და **-ნ**-ფორმანტი სახელისა მრავლობ. რიცხვში გენეტურად მჭიდროდ უკავშირდება ერთერთს; მეტსაც ვიტყვით: ეს ერთი და იგივე ფორმანტია, თავის პირვანდელ, სრულ სახით (**-ედ** \parallel **-ენ**) შენახული ზმნაში და **დ**($\rightarrow \text{თ}$)'ისა და **ნ**'ის სახით წარმოდგენილი სახელთა ბრუნებაში (მხედველობაში გვაქვს **თ-ა ნ**-ი მრავლობითის რიცხვისა).

6. აილო, დადვა \parallel დასვა ზმნები არსებით ცვლილებას განიცდიან, თუ მრავლობითობის აღმნიშვნელი **ენ** ($\parallel \rightarrow \text{ნ}$) ფორმანტი დაერთვისთ. რამდენადაც თვით ეს ფაქტი ცნობილია (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე : პრეფიქსები ქართულს ზმნებში, გვ. 34, შენ. 2 და გვ. 36 შენ. 2), ხოლო ახსნა ჩვენს მიზნებში ამჟამად არ შედის, შეიძლება აქ ამას გვერდი ავუაროთ.

7. მრავლობითობის **ენ** ($\parallel \rightarrow \text{ნ}$) ფორმანტის ზეგავლენით აღდგება ნამყო ძირითადის მესამე პირის **-ა** დაბოლოება, რომელიც ფონეტიკურ მიზეზთა გამო თუ ანალოგიის წყალობით **ო**'თი იყო შეცვლილი: ასე მაგალითად:

მან იგი:	მან იგინი:	
განავო	: განავ-ნ-ა:	ამისა შემდგომად განავნა რაჲ საქმენი მის ჟამისანი ათონ. კრ. 320 ₅
განვლო	: განვლ-ნ-ა:	რომელმან განვლნა ცანი კრეტსაბმელითა ჯორცთაჲთა სას. პოეზ. ტლვ ₅
აღავსო	: აღავს-ნ-ა:	და ტაკუკნი საილუმლოთანი აღავსნა სასუმელითა სას. პოეზ. ნდ ₂ სირცხვილითა აღავსნა სომეხნი იგი მეფემან ათონ. კრ. 333 ₇

დაალტო	: დაალტვ-ნ-ა:	ამან ცრემლითა დაალტვნა ფერვნი ჩემნი ა დ ი შ . 118b ₁
შეამკო	: შეამკვ-ნ-ა:	დაადუმნა პირნი ბილწთა მწვალებელთანი და შეამკვნა ეკლესიანი ს ა ს . პ ო ე ზ . ჟე ₂₉
დაამვო/უა ¹	: დაამვუ-ნ-ა:	შევიდა ეკლესიად და დაამვუნა და დაარვნა ყოველნი საკურთხეველნი კ ი მ . 6 ₁₀
განაპო	: განაპ-ნ-ა:	იორდანისა უმდიდრესნი და უღრმესნი მდინარენი საღმრთოთა წერილთანი მადლითა მით... განაპნა ა თ ო ნ . კ რ . 300 ₁₃
დაპროთო მას	: დაპროთ-ნ-ა მას:	რომელმან სიბრძნით დაპროთნა ცანი უფესკრულთა ს ა ს . პ ო ე ზ . ია ₁₆
მოსპო	: მოსპ-ნ-ა:	ვნებულმან ჟუარითა მოსპნა სოფლისა ვნებანი... ს ა ს . პ ო ე ზ . ტთ ₁₆
შეიტკბო	: შეიტკბ-ნ-ა:	ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი მისნი ესრეთ შეიტკბნა ა თ ო ნ . კ რ . 299 ₇
ყო	: ყვ-ნ-ა:	მერმე მოვიდა ჩვენთანა და დაყვნა დღენი მრავალნი ი ო ს . ა რ ი მ . 58 ₁₁
დაიწყო	: დაიწყ-ნ-ა:	და დაიწყვნა ჳელნი და ფერვნი თჳსნი და შეისუენა კ ი მ . 34 ₃₀

8. ნამყო ძირითადის მესამე პირის **ა** დაბოლოების აღდგენა ასეთს შემთხვევაში განსაკუთრებით ძვირფასია; იშლება **ნ** (\rightarrow **ენ**)¹ შემდეგ **ო** და აღდგება წინანდელი **ა**. ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, რომ ამ **ნ**-ს შემდეგ კონდუნქტივ მეორეში **ა** და **ო**-ს ნაცვლად **ე** ჩნდება: ვ-პოვ-ო ი გ ი : ვ-პოვ-ნ-ე ი გ ი ნ ი ... ვ-კლ-ა ი გ ი : ვ-კლ-ნ-ე ი გ ი ნ ი ... **ე** კი უცვლელად რჩება (მი-ვ-ს-ც-ე მე ი გ ი მას: მი-ვ-ს-ც-ნ-ე მე ი გ ი ნ ი მას), სწორედ ისევე, როგორც უცვლელად რჩება ნამყო ძირითადის **ა ნ**-ს შემდეგ (კლ-ნ-ა მან ი გ ი ნ ი). ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს აღდგენილი **ე** კ ო ნ დ უ ნ ქ ტ ი ვ მე ო რ ის პ ი რ ვ ა ნ დ ე ლ ი ფ ო რ მ ა ნ ტ ი უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო.

თუ ამჟამად ძირითადი ფორმანტი აქ **ა** არის (**ო** ან წინამავალ **ვ**-სთან შერთულ **ა**-სგან არის მიღებული ან ანალოგიით),² წინად **ე** უნდა ყოფილიყო; ამას მოწმობს: 1. დ||ნ¹ით ნაწარმოებ ვნებითა კონდუნქტივი მეორე, **ე**თი ნაწარმოები: გ ა ნ მ დ ი დ რ - დ - ე ს , ა ლ მ ა ლ - დ - ე - ს ... გ ა ნ კ ა ც - ნ - ე - ს , გ ა ნ ჳ ა პ უ კ - ნ - ე - ს ... ასეთი ვნებითი უძველესის ფორმაციისა და მისი ჩვენებაც სათანადო წონის მქონეა; 2. კონდუნქტივი პირველის **-ე**- ფორმანტით წარმოება ყველა ზმნებში: ჳპოვ-დ-ეს; მდიდრ-დ-ებ-ოდ-ე-ს... და სხვ. კონიუნქტივს პირველში ჩვენ უნდა გვქონდეს შენახული კონდუნქტივი მეორის პირვანდელი დაბოლოება, ისევე როგორც

¹ დაამვუა... და დაამვუა იგი ზ^ა იატაკსა მას... კიმ. 135₈

² შდრ. აკად. ნ. მარის Граммат. древне-грузин. литератур. яз. § 194, Ав, გვ. 161.

ნამყო უსრულში გვაქვს ნამყო ძირითადისა და ნამყო ჩვეულებითის დაბოლოებანი: 3) ზნმა მისცა ახლაც ე'თი აწარმოებს კონდუნქტივ მეორეს; ამას გარდა, ზოგიერთ ზმნებს, რომელთაც ამჟამად უკვე -ა- აქვსთ ჩვეულებრივად, შემოუნახავსთ ე'ნიანი ფორმებიც; ჩვენ ძველი ქართულის ნომრების მიხედვით ვიტყოდით: შ ვ ა ს , ი ვ ს ნ ა ს , ქ მ ნ ა ს ... მაგრამ ტექსტებში ე'იან ფორმებსაც წავაწყდებით; აი მაგალითად:

შთაგზნეს:	თიგად რომელი დღეს არს? და ხვალე თორნესა შთაგზნეს ა დ ი შ . 131a ₂
ესმეს, გესმეს:	ყოველსა რომელსა ესმეს მამისაგან... მოვიდეს ჩემდა ა დ ი შ . 168b ₁ რადმეთუ არარად სხუად გესმეს ჩუენგან თვნიერ ამისა კ ი მ . 110 ₂₃
გქმნე, გქმნეთ, ჰქმნეთ, გექმნე:	მოძღუარ ქველის მოქმედ რად კეთილ გქმნე რადთა მაქუნდეს ცხორებად საუკუნოდ ა დ ი შ . 41a ₂ უფალო კეთილ არს აქა ჩუენდა ყოფად გნებაეს გქმნეთ აქა სამ ტალავარ ჰ ა ე მ ე ტ . 369 ₄ ; ა დ ი შ . 123b ₂ არამე იციან რად ჰქმნე რადთა ცხორებად საუკუნოდ დაიმკვდრო ი . ბ ო ლ . 59 ₁₅ გაქუნდეს თუ სარწმუნოებად... არა ხოლო ამის ლედუსა ჰქმნეთ ა დ ი შ . 45a ₂ მე თავსმდებ გექმნე ქრისტეს მიმართ გ რ . ხ ნ ძ თ . ნვ _{37-ნზ} ₁ ხოლო რომელმან არა იცოდის და ქმნეს რადმე ღირსი ტანჯვისად ა დ ი შ . 132a ₂ -b ₁
შვე, შვეს, გიშვეს:	და აჰა მიუდგე და შვე ძე... ა დ ი შ . 103a ₁ ... ეტყოდა აჰა ესერა შვე ყრმად წული ა თ ო ნ . კ რ . 286 ₂₁ აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძმ. ო თ ხ თ ა - ვ ი 3 ₂₆ ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძეჴ ა დ ი შ . 102a ₁
დავიცვეთ:...	განხოხვათა გან გახრწნადთა განვეშორნეთ და ესრეთ დავიცვეთ ბეჭედი ნათლისად ს ა ს . პ ო - ე ზ . მა ₁₁
ვიჴსნე, იჴსნე, განჴსნე, იჴსნეს... და სხვ.	არა მოვედ ვითარმცა დავსაჯე სოფელი არამედ რადთა ვიჴსნე სოფელი ა დ ი შ . 182b ₂ რადთა იჴსნე ხრწნილებისაგან ბუნებად კაცობრივი ს ა ს . პ ო ე ზ . რიბ ₃₁ რადთა მან იჴსნეს ერი თჴსი ცოდვათა მათთაგან ო თ ხ თ ა ვ ი 3 ₃₀ რომელი განჴსნე ქუეყანასა ზედა ჴსნილ იყოს ცათა შინა ი . ბ ო ლ . 86 ₁₄

მან მხოლოდ უფალმან მიხსნეს ჩუენ სატანჯუ-
ლისა ამისგან. წ ა რ ტ ყ . ი ე რ . მთ²⁷
რად სარგებელ გეყოს ქრისტჳ იგი შენი ანუ ვინ
გიჳსნეს ჳელთაგან ჩუენითა ა ბ ო 26³
ნუ გეშინინ... რადთა... გამოგიჳსნე ველყოფად ესე
შენ გან კ ი მ . 140¹³

9. იმ გარემოებას, რომ **MO**ის მრავლობითობას **-ენ-** აღნიშნავს დი-
დი პრინციპული მნიშვნელობაც აქვს. დროთა პირველს ჳგუფში **-ენ-**
MSის მრავლობითობას აღნიშნავს, მაგალ. აწმყოში, — ჩვეულებრივ გრა-
დამავალ ჳმნებთან; ნამყო ძირითადის ჳგუფში კი — კონაუნქტივს მეორე-
ში, და თვით ნამყო ძირითადშიაც, რომელსაც მრავლობ. მესამე პირის
ბრძანებითისათვის **-ედ-** აქვს გამოყენებული; ეს **-ედ-** კი **ენ**ის პარალელი
ჩანს. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ **-ენ-** ფორმანტს ძველს ქარ-
თულში შეეძლო აღენიშნა **MO**ის მრავლობითობაც და **MS**ისაც. ეს
ა რ ი ს ნ ა შ თ ი ი მ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა , რ ო დ ე ს ა ც **MS** ის ა
და **MO** ის ფ ო რ მ ა ნ ტ ე ბ ი ა რ გ ა ნ ი რ ჩ ე ო დ ნ ე ნ , ე რ თ ი -
ს ა და ი მ ა ვ ე ფ ო რ მ ა ნ ტ ი თ შე ი ძ ლ ე ბ ო დ ა აღ ნ ი შ ნ უ -
ლ ი ყ ო , რ ო გ ო რ ც ე რ თ ი , ის ე მე ო რ ე .

აღსანიშნავია შემდეგი მოვლენაც: **-ენ-** აღნიშნავს სამივე პირის
მრავლობითობას თუ **MO**ს ეხება საქმე (მ ა ნ კ ლ ნ ა , გ კ ლ ნ ა ,
მ კ ლ ნ ა) და მხოლოდ მესამე პირის მრავლობითობას თუ **MS**ს. ამ ჟა-
მად ძნელი სათქმელია **-ენ-** თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ მესამე
პირის **MO**ის მრავლობითობას და შემდეგ გაიფართოვა ასპარეზი თუ პი-
რიქით: თავდაპირველად **MS**ის სამივე პირის მრავლობითობა **-ენ-** (ან
-ედ-)ით აღინიშნებოდა და მხოლოდ შემდეგ განეკუთვნა **-ენ-** ოდენ **MS**ის
მესამე პირს, პირველისა და მეორის მრავლობითობის აღნიშვნა კი
თ(←**დ**)ს დაეკისრა. არა ერთი მოსაზრების მოყვანა შეიძლებოდა, რო-
გორც ერთის, ისე მეორე შესაძლებლობის სასარგებლოდ. აქ მათს განხილ-
ვას არ შევუდგებით; ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ პირველ შესაძლებლობის
ნიდაგზე დავდგებოდით, — ე. ი. თუ ვივარაუდებდით, რომ **-ენ-** თავდა-
პირველად სამივე პირის მრავლობითობას კი არ აღნიშნავდა, არამედ მხო-
ლოდ მესამისას, გაუგებარი და უჩვეულო არაფერი იქნებოდა, რომ შემ-
დეგში მას მეორე და პირველ პირის მრავლობითობის აღნიშვნაც დაკისრე-
ბოდა. ქართველური ენები უცილობლად მოწმობენ, რომ ს რ უ ლ ი ა დ
შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ი ს
ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ფ ო რ მ ა ნ ტ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ქ ნ ე ს მე ო -
რ ი ს ა და პ ი რ ვ ე ლ ი პ ი რ ი ს ა თ ვ ი ს და პ ი რ უ კ უ : ს ვ ა ნ უ რ ს ა
და მეგრულ-ჭანურში მესამე პირის ფორმანტი **-ხ ან**ია გამოყენებული მე-

ორე (და პირველ) პირისათვის, ქართულში პირიქით — პირველისა და მეორე პირის **-თ** — მესამეში გადადის; შღრ.

	სვანური		მეგრული		ახ. ქართული
ეჯიარს	ხოირა-ხ	თინენს	უჭარუ-ნ-ან	მათ	უწერია-თ
სგად	ჯირა-ხ	თქუა	გიჭრუ-ნ-ან	თქვენ	გიწერია-თ
ნად	{ ნირა გუირა	ჩქი	მიჭარუ-ნ-ან	ჩუენ	გვიწერია

სვანურსა და ქართულში პირველ პირში **მო**ის მრავლობითობას თავსართი აღნიშნავს, ამიტომაც **-თ**, **-ხ** არ დაერთვის; მეგრულს ეს არა აქვს; ამიტომაც მესამე პირის **-ან** მეორეშიც გადმოვიდა და პირველშიც.

მართალია, ეს ახალი მოვლენაა, მაგრამ მაინც ნათელს ფენს იმ შესაძლებლობათ, რომელნიც ქართველურ ენათა მორფოლოგიაშია ჩამარხებული.

	წ ე რ ი ლ შ ი ნ ა ხ ს ე ნ ე ბ ძ ე გ ლ ე ბ ი ს შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა თ ა გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა :
ა ბ ო:	წმიდა მოწამე აბო ტფილელი, გამოც. საეკლ. მუზეუმისა, ტფილ. 1899.
ა დ ი შ.:	ადიშის ოთხთავის ტაბულები, ფოტოტიპურად გამოცემული: <i>Материалы по археологии Кавказа. Вып. XIV: Москва, 1916.</i>
ა თ ო ნ . კ რ.:	ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, გამოც. საეკლეს. მუზეუმისა, ტფილ. 1901.
გ რ . ხ ნ ძ თ.:	Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского, გამოც. აკად. ნ. მარის მიერ: <i>Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии Кн. VII. СПб. 1911.</i>
ი . ბ ო ლ.:	იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, საეკლ. მუზეუმის გამოცემა, ტფილ. 1911.
ი ო ს . ა რ ი მ:	Иосиф Аримафейский, გამოც. აკად. ნ. მარის მიერ. <i>Тексты и разыскан. по арм.-гр. фил. кн. II СПб. 1900.</i>
კ ი მ.:	კიმენი, გამოც. პროფ. კ. კეკელიძის მიერ, ტფილ. 1918.
კ ო ნ ს ტ . ჯ ს ნ ა:	ღვთისმშობლისა მიერ სასწაულებრვი ჯსნა კონსტანტინოპოლისა... საეკლ. მუზეუმ. გამოც. ტფილ. 1903.
ო თ ხ თ ა ვ ი:	სახარებად ოთხთავი, გამოც. პროფ. ვლად. ბენეშევიჩის მიერ: <i>СПБ. 1909.</i>
რ ა ვ ა ხ.:	ცხოვრებად: და წამებად: წმიდისა ანტონი: რავახისი... გამოც. ი. ყიფშიძის მიერ: <i>Хр. Вост. т. II, вып. I СПб. 1913.</i>
ს ა ბ ა:	ცხოვრებად საბა ასურისად გამოც. სვ. ჯანაშიას მიერ, „არილი“, ტფილ. 1925.

ს ა ს . პ ო ე ზ .:	ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგ. I, გამოც. პ. ი ნ - გ ო რ ო ყ ვ ა ს მიერ, ტფილ. 1913.
ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ .:	მეცთათუს: სახისა: სიტყუაჲ:... გამოც. აკად. ნ. მ ა რ ი ს მიერ; <i>Тексты и разыск. по арм.-груз. фил. кн. VI, СПб. 1904.</i>
ც ხ ო რ . ს ე რ ა პ .:	ცხოვრება და მოქალაქობაჲ... სერაპიონისი, გამოც. მ. ჯ ა - ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ: ქართული მწერლობა, წიგ. II, ტფ. 1909.
წ ა რ ტ ყ . ი ე რ .:	წარტყუნვაჲ იერუსალჴმისაჲ, გამოც. აკად. ნ. მ ა რ ი ს მიერ: <i>Тексты и разыск. кн. IX, СПб. 1909.</i>
ჰ ა ე მ ე ტ . ტ ე ქ .:	ჰემეტი ტექსტები, გამოც. პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს სმიერ, ტფილ. უნივ. მოამბე, ტ. III.

პირველი ციფრი მიუთითებს გვერდს, მეორე — სტრიქონს, ზემოდან ნაანგარიშევეს; აღიშინიდან ციტატებში პირველი ციფრით აღინიშნება ტაბულა, ა'თი ზედა ორი გვერდი, ხ'თი ქვედა; ამის შემდეგ: 1 — მარცხენას, 2 — მარჯვენა ნაწილს.

ქარაგმები ყველგან გავხსენით, რადგანაც რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია ციტატები პეტიტით აწყობილიყო, ქარაგმის ნიშნები კი ამ შრიფტისათვის სტამბას არ გააჩნდა.

ЧЕМ ПРЕДСТАВЛЕН В ДРЕВНЕ-ГРУЗИНСКОМ
МОРФОЛОГИЧЕСКИЙ ОБЪЕКТ, СТОЯЩИЙ
В ИМЕНИТЕЛЬНОМ ПАДЕЖЕ
МНОЖЕСТВЕННОГО ЧИСЛА *

(РЕЗЮМЕ)

Морфологический объект в древнегрузинском может стоять в дательном или именительном падежах. Если МОп является третьим лицом и стоит в дательном падеже, тогда у глагола появляются префиксы \mathfrak{b} ; \mathfrak{z} ; $\mathfrak{z}/\mathfrak{s}/\mathfrak{z}$. Не имеет значения число МОп.

Если МОп является третьим лицом и стоит в именительном падеже, то в форме единственного числа он не имеет префикса, а формант множественного числа во всех трех лицах $-\mathfrak{z}\mathfrak{b}-//-\mathfrak{b}-$, который представлен то в виде суффикса, то в виде инфикса.

В статье высказывается предположение, что $-\mathfrak{b}-$ получен из $-\mathfrak{z}\mathfrak{b}-$; проанализированы случаи различных форм времен и наклонений; даны сравнения со сванским и мегрело-чанским.

* Резюме составила М. Джгаркава.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჯ ო

ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), **ნ. ანდღულაძე** (თბილისი), **ა. არაბული** (თავმჯდომარე, თბილისი), **შ. აფრიდონიძე** (თბილისი), **ე. ბაბუნაშვილი** (თბილისი), **გ. ბედოშვილი** (თბილისი), **ბ. ბერსიროვი** (მაიკოპი), **ი. ბრაუნი** (პოლონეთი), **ჰ. გამჯათოვი** (მაჰაჩყალა), **თ. გამყრელიძე** (თბილისი), **გ. გოგოლაშვილი** (თბილისი), **ტ. გურგენიძე** (ვლადიკავკაზი), **კ. ვამლინგი** (შვედეთი), **ნ. თაოვი** (ნალჩიკი), **ა. თიმაევი** (გროზნო), **მ. კუმანოვი** (მოსკოვი), **ნ. მაჭავარიანი** (თბილისი), **ფ. ოზდოევა** (ნაზრანი), **ე. ოსიძე** (თბილისი), **ს. პაოვი** (კარაჩაევსკი), **თ. უთურგაიძე** (თბილისი), **ბ. უტიე** (საფრანგეთი), **კ. ჰ. შმიდტი** (გერმანია), **ი. ჩანტლაძე** (თბილისი), **ა. ჭინჭარაული** (თბილისი), **ლ. ჭკადუა** (სოხუმი), **ზ. ჭუმბურიძე** (თბილისი), **რ. ჯანაშია** (თბილისი), **ა. ჰარისი** (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

ც. ბარამიძე, ლ. ეზუგბაია, გ. კვარაცხელია, მ. სუნიშვილი, მ. ქურდიანი, გ. შენგელია (მთავარი რედაქტორი), **მ. ჩუხუა**
ტომის რედაქტორი **გ. გოგოლაშვილი**

Editorial Council

I. Abdulaev (Makhachkala), **N. Andguladze** (Tbilisi), **Sh. Apridonidze** (Tbilisi), **A. Arabuli** (Chairman, Tbilisi), **E. Babunashvili** (Tbilisi), **G. Bedoshvili** (Tbilisi), **B. Bersirov** (Maikop), **I. Brown** (Poland), **I. Chantladze** (Tbilisi), **H. Gamzatov** (Makhachkala), **Th. Gamkrelidze** (Tbilisi), **G. Gogolashvili** (Tbilisi), **T. Guriev** (Vladikavkaz), **A. Harris** (USA), **R. Janashia** (Tbilisi), **M. Kumakhov** (Moscow), **N. Matchavariani** (Tbilisi), **E. Osidze** (Tbilisi), **F. Ozdoeva** (Nazran), **B. Outtier** (France), **S. Pazov** (Karachaevesk), **K. H. Schmidt** (Germany), **Kh. Taov** (Nalchik), **A. Tchintcharauli** (Tbilisi), **L. Tchkadua** (Sokhumi), **Z. Tchumburidze** (Tbilisi), **A. Timaev** (Grozny), **T. Uturgaidze** (Tbilisi), **K. Vamling** (Sweden)

Editorial Board

Ts. Baramidze, M. Chukhua, L. Ezugbaia, M. Kurdiani, G. Kvaratskhelia, V. Shengelia (Editor-in-chief), **M. Sukhishvili**

Editor of the volume **G. Gogolashvili**

წიგნი იბეჭდება „კავკასიის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით
The book is published with the financial support of the Caucasus Foundation
Книга печатается по финансовой поддержке "Фонда Кавказа"

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN (მრავალტომეული)
ISBN (ტომი II)

რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?

I

[შესავალი]

საკითხი რომ ნათელი იყოს, წინასწარ აუცილებელია ზოგი რამ განვმარტოთ. „აგებულების“ შესახებ რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის თვისებები, რომლითაც ხასიათდება ცალკე სიტყვა (სახლი, კედელი, მდინარე... ააშენა, მოუკლავს...) და შესიტყვება (ანუ სიტყვათა შეხამება: ხურომ სახლი ააშენა... მონადირეს დათვი მოუკლავს... მეზობელს ცხენი ყავს...). ამათი თვისებების გათვალისწინება არსებითად ქართულის აგებულების დახასიათება იქნება.

ახლა „თავისებურების“ შესახებ. „თავისებურებად“ რამე მიიჩნევა სხვა რაღაცასთან შედარებით: „ეს ისეთია, ის კი — სხვაგვარია, თავისებურია“, ვამბობთ ხოლმე. ქართული ენის თავისებურება-სხვაგვარობის შესახებაც ლაპარაკი შეიძლება რაიმე სხვა ენასთან შედარებით; ამ მიზნით ჩვენ აღებულნი გვაქვს ინდო-ევროპული ენები, კერძოდ, მისი ის წევრები, რომელთაც ჩვენში უკეთ იცნობენ: ინგლისურ-ფრანგულ-გერმანული და პირველ რიგში — რუსული. ეს ენები ერთისა და იმავე ტიპის არის, თუმცა ზოგს რაშიმე თვალსაჩინოდაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან...¹

კითხვა ისმის: რაღა მაინც და მაინც ევროპულ ენებთან შედარებით ვმსჯელობთ ქართულის შესახებ? მართალია, პრაქტიკულად ეს მოხერხებულია, მაგრამ არსებითად ეგების არ იყოს მიზანშეწონილი, ეგებ უკეთესი იქნებოდა მხედველობაში გვქონოდა რომელიმე სემიტური ენა (მაგალ., არაბული) ან კავკასიური ენები (დაღესტნის ენები, ჩაჩნური...)? პრაქტიკულ მომენტს გარდა არის ერთი გარემოება, უაღრესად ანგარიშგასაწევი, და იგი ევროპულ ენათა არჩევას გვიკარნახებს.

¹ ასე, მაგალითად, ინგლისურში კანკლედობა სახელთა თითქმის გადაშენებულია, ფრანგულში აღინიშნება აღწერით, სინტაქსურად, მაშინ როდესაც გერმანულში კარგად არის დაცული, თუმც რუსულისებრი სიმდიდრე ფორმათა არც მას აქვს... ზმნის ფორმებით ყველაზე ღარიბია ისევ ინგლისური, შეუდარებელი მდიდარია სხვა აქ მოხსენებული ენები... ტიპი ყველასი მაინც ერთია.

საქმე შემდეგშია. ენათმეცნიერება პირველად ჩამოყალიბდა **ინდო-ევროპულ ენათა** სინამდვილეში, ამ ენათა მასალაზე; ეს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ამბავია. გრამატიკა კი, როგორც სისტემატურად დალაგებული აღწერა ენობრივ მოვლენათა, შეიქმნა ქრ. წინ, ჩვენი ერის დაწყებამდე. ორ ხალხს ეკუთვნის ამაში პირველობა: ინდოელებსა და ბერძნებს, და **ორივე ინდო-ევროპულ ენაზე** მოლაპარაკეა. ინდოელებმა და ბერძნებმა შექმნეს გრამატიკა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელივ, ინდოელებმა უფრო ადრეც და „უკეთესიც“: პანინი-ს ცნობილი შრომა ეკუთვნის მეხუთე საუკუნეს ქრ. წინ, დიონისე თრაკიელის პირველი ბერძნული გრამატიკა („ხელოვნება გრამატიკული“) თარიღდება მეორე საუკუნით ქრ. წინ.

იშვიათი ბედი ეწვია ამ ბერძნულ გრამატიკას: მისი შაბლონი საუკუნეები ბატონობდა, მის მიხედვით ჩამოყალიბდა ჯერ ლათინური და მერე ყველა სხვა ევროპულ ენათა გრამატიკები, მისი ცნებები (სახელი, ზმნა, მიმღეობა, ნაცვალსახელი...) დღესაც ცოცხალია; და რაც ჩვენთვის აქ მთავარია, **მის პრეპარატების (ზემოხსენებულისა და მრავალი სხვა ცნების) მომხმარებელი ჩვენცა ვართ**; ჩვენი ენის გრამატიკათა აგებულებას ეს ბერძნული საგრამატიკო სისტემა განსაზღვრავდა მეცხრამეტე საუკუნის მეორეოთხეულამდე და თუ შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან, რუსული გრამატიკის გავლენა შეეცილა ბერძნულ-ლათინურისას, ამით არსებითად არაფერი შეცვლილა: რუსულიც ხომ იმავე საგრამატიკო სისტემაზე იყო დაფუძნებული.

ერთი სიტყვით, ქართული გრამატიკის ბედი ამ ბერძნულ გრამატიკულ აზროვნებასთან არის ისტორიულად დაკავშირებული ისევე, როგორც სხვა ევროპულ ენათა გრამატიკებისაც. რაში შეგვიწყო ამან ხელი ან რა ზიანი მოუტანა თუ მოაქვს ჩვენთვის, მხოლოდ მაშინ იქნება გასაგები, თუ გვეცოდინება, რაში გავს **ტიპოლოგიურად** ჩვენი მეტყველება ბერძნის, რომაელის, გერმანელის თუ რუსის მეტყველებას. აი ამიტომაც არა მარტო პრაქტიკულად მოხერხებული, არამედ არსებითადაც მიზანშეწონილი ევროპულ ენათა აღნაგობა გვქონდეს მხედველობაში ქართულის თავისებურებათა შესახებ საუბრისას.

გვგონია, რომ ქართულის თავისებურებათა მიმოხილვა ზედმეტი არ იქნება: მასწავლებელი, რომელიც იცნობს ერთ-ერთს ევროპულ ენას, ისეთ რასმე მიაპყრობს ქართულის აგებულებაში გულისყურს, რაც ჩვეულებრივ შეუძნეველი რჩებოდა; ხოლო მოწაფე, რომელმაც ქართულის გარდა სხვა ენა არ იცის, იმ მხრივ მაინც გამოიყენებს სათანადო ცნობებს, რომ ეცოდინება, რა არის სპეციფიკური ქართული და, მაშასადამე, რას არ უნდა მოელოდეს იგი, მაგალ., ევროპულს ენებში; ამისდა კვალობაზე ადვილად მიხვდება, რატომ არის შეუფერებელი: „я прошу ему, вам...“ (მე ვთხოვ

მას) ანდა „უცნაური“ ფრაზა, ასე ხშირად რომ ისმის ტფილისის ტრამვაის ვაგონებში: — „кому не имеют билеты?“ (ვის არა აქვს ბილეთი?).

ქართული ტიპოლოგიურად¹ კავკასიური ენაა. ასეთი სახელწოდებით ცნობილია არა ყოველი ენა, რომელსაც კავკასიაში ვხვდებით, არამედ სასტიკად გარკვეული წრე ენებისა: დაღისტნის ენები (ხუნძური, ლაკური, დიდოური და სხვ.) ჩაჩნური (ბაცბიური, ქისტური, ინგუშური...) ჯგუფი და აფხაზურ-ყაბარდოულ-ადიღეური (ჩერქეზული) ჯგუფი; ქართული ჭანურ-მეგრულითა და სვანურით ქართველურ ჯგუფს შეადგენს.

სხვა კავკასიურ ენათა შორის ქართული ერთად ერთი ენაა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მწერლობა აქვს (სახელდობრ, მეექვსე საუკუნიდან ქრ. შემდ.). თავის დროზე (1895 წ.) ეს ხაზგასმით აღნიშნა გამოჩენილმა გერმანელმა ენათმეცნიერმა პ. შუხართმა, რომლის საენათმეცნირო პორიზონტის სიფართოვეს მისივე აზროვნების სიღრმე-და თუ შეედრება. ქართული ენა, როგორც სამწერლობო ენა, ქართული კულტურის პროდუქტია; მის გამომუშავება-ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდა არა ერთი ქართველი ტომი, მათ შორის ისიც, ახლა რომ ჭანურად და მეგრულად ლაპარაკობს... ამ ენის თავისებურებათა საკითხი დგას ჩვენ წინ.

1. ქართულში ცალკეული სიტყვისა და შესიტყვების ანალიზს საჭიროა წარუმიმდგაროთ ორიოდ ცნობა ქართული ბგერების შესახებ: 1) ქართულს არა აქვს **ფ (f)**, კბილბაგეობითი ბგერა; ნასესხებ სიტყვებში მის ნაცვლად იგი ხმარობს **ფ'**: ფრონტი, ფორმა, ფინანსი, ფონდი, ფუტბოლი... 2) ქართულს აქვს სპეციფიკური ბგერები: **წ, ჭ, ყ**... ეს ბგერები ჩვეულებრივია კავკასიურ ენათათვის, მაგრამ სრულიად უცხო ევროპულ ენებისათვის²... 3) ქართულში მოიპოვება ამის გარდა რამოდენიმე ბგერა, რომლებიც, ერთის შეხედვით, ევროპულ ენებშიაც ყოველ ფენის გადადგმაზე გვხვდება; ესენია: **პ, ტ, კ**. აბა ვინ იფიქრებდა, რომ **პ, ტ, კ** სპეციფიკური ქართული ბგერებია, და მაინც ესენი იმდენად თავისებურნი არიან, რომ საკმარისია ქართველმა წარმოთქვას **который... так как... потому что...**, წარმოთქვას რუსული სიტყვები ქართულ **პ, ტ, კ**-ს ხმარებით, რომ სრულიად უეჭველი იქნება: ლაპარაკობს ყოველ შემთხვევაში არა

¹ მკვლევართა რიგი: უსლარი, პ. შუხართი, ნ. მარი (ნაწილობრივ), ივ. ჯავახიშვილი... — ფიქრობს, რომ მსგავსება ტიპოლოგიით არ ამოიწურება: კავკასიური ენები ერთერთს ენათესავენ. ქართველურ ენების სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი შეიძლება ცალკე განვიხილოთ სხვა დროს.

² მართალია სომხურს აქვს **წ, ჭ**, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ინდო-ევროპული ფენის კუთვნილება. ბგერები **ძ, ჯ, ც, ჩ** უცხო არ არის ინდო-ევროპულ ენათათვისაც; ასე, მაგალ., **ჯ** ქონდა ძველს ინდურს, ახალ ენებში აქვს — ინგლისურს, იტალიურს..., **ძ** — ძვ. ბერძნულს და ახალ-იტალიურს... **ც** და **ჩ** უფრო ჩვეულებრივია.

რუსი! ასეთი **პ, ტ, კ** იცის ქართველურს გარდა სხვა კავკასიურმა ენებმაც (მათი ბუნების შესახებ მოიპოვება სპეციალური გამოკვლევა პროფ. გ. ახვლედიანის „მკვეთრი ხმულნი ქართულში“)... 4) არც ქართული **გ** არის რუსული **В**-ს ბადალი; რუსული **В** კბილ-ბაგეობითია, ქართული **გ** უფრო წყვილ-ბაგეობითი (შდრ.: **ВИНО** — ღვინო, **ВОЙНА** — ვაჭარი...)...

ქართული ბგერების თავისებურებათა ზოგადი დახასიათებისას შეიძლება ამას დავჯერდეთ.

II. ცალკე სიტყვათა შორის მთავარია სახელი და ზმნა; სახელი ანუ ისეთი სიტყვა, რომელსაც ბრუნვის კატეგორია გააჩნია, რომელიც იკანკლედება (კედელი, მდინარე, დროშა); ზმნა ანუ ისეთი სიტყვა, რომელიც იცვლება პირის მიხედვით: კლავს, აშენებს, ყავს... სხვა ნიშნებიც გააჩნია ზმნას, მაგრამ ძირითადია — პირი; მეტყველების ხერხემალს ეს ორი მეტყველების ნაწილი, სახელი და ზმნა, შეადგენს.

სახელი ქართულში მაქსიმალურად მარტივია, ზმნა — უაღრესად რთული; ქართული მორფოლოგიის დახასიათება ამით უნდა დაიწყოს.

რაში გამოიხატება სახელის სიმარტივე?

ა) **ქართულში სახელი არ იცვლება სქესის მიხედვით, სქესი ქართულ სახელს არა აქვს;** რუსული красивый дом, красивая картина, красивое озеро ქართულში გადმოიცემა ერთნაირად: ლამაზი სახლი, ლამაზი სურათი, ლამაზი ტბა... „ლამაზი“ უდრის რუსულს: красивый, красивая, красивое-ს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, ხალხურს სიტყვახმარებაში რუსული გამოთქმები რომ თავისებურად კეთდებოდეს: „სუხოი დრავა, სლივოჩნი მასლა, ანტონოვსკი დაბლუკი, ჩაინი კალბასი, ზდობნი ბულკი, სვეჟი დაიცა, ხაროში უგლი“... და მრავალი სხვა, ტფილისი ქუჩებს რომ აყრუებს.

არც ერთს შემთხვევაში რუსულ ზედსართავს მდებრობითის და საშვალო სქესის ფორმა არა აქვს, ყველგან მამრობითი ჩანს, თითქოს ქართულმა უპირატესობა მხოლოდ ამ ერთს ფორმას არგუნაო; მაგრამ ეს მხოლოდ გვეჩვენება: სლივოჩნი, ანტონოვსკი, ჩაინი... ისევე არ არის მამრობითის ფორმის მატარებელი ზემოხსენებულ ფრაზების მთქმელთათვის, როგორც ქართ. „ლამაზი“, „კარგი“, „მაღალი“, „წითელი“... ამ ფრაზების მთქმელი რუსულ ზედსართავებს ყველგან აბოლოებს ქართულ სახელობითის **ი**-თი, ისევე როგორც სიტყვებში: სტოლ-ი, ოჩერედ-ი, პესოკ-ი (შაქრის)...

ამიტომაც, „სუხოი“ მისთვის ისეთივე ფორმაა, როგორც ქართული „ხმელი“; ამით აიხსნება ისიც, რომ „სუხოი“ ისევე უბოდიშოდ არის ნახმარი „დრავა“-სთან, ისევე არ უწევს ანგარიშს უკანასკნელის რიცხვს, როგორც ქართული „ხმელი“: ხმელი შეშა; შდრ.: მაღალი ხე — მაღალი ხეები...

ბ) ქართულში **სახელი მრავლობითში დაირთავს იმავე დაბოლოებას**, რაც **მხოლოობითში ქონდა სათანადო ბრუნვას**; ასე მაგალითად:

	მხოლოობითი:				
სახელობითი:	სახლ- ი	კედელ- ი	}	ეს დაბოლოებები საერთოა მრავლობითსა და მხოლოობითისათვის¹	
მოთხრობითი:	სახლ- მა	კედელ- მა			
მიცემითი:	სახლ- ს(ა)	კედელ- ს(ა)			
ვნებითი:	სახლ- ა-დ	კედელ- ა-დ			
ნათესაობითი:	სახლ- ის(ა)	კედელ- ის(ა)			
მოქმედებითი:	სახლ- ით(ა)	კედელ- ით(ა)			
	მრავლობითი:				
სახელობითი:	სახლებ- ი	კედლებ- ი			-ი
მოთხრობითი:	სახლებ- მა	კედლებ- მა			-მა
მიცემითი:	სახლებ- ს(ა)	კედლებ- ს(ა)			-ს(ა)
ვნებითი:	სახლებ- ა-დ	კედლებ- ა-დ	-ა-დ		
ნათესაობითი:	სახლებ- ის(ა)	კედლებ- ის(ა)	-ის(ა)		
მოქმედებითი:	სახლებ- ით(ა)	კედლებ- ით(ა)	-ით(ა)		

თუ სათანადო სიტყვებს რუსულში დავაკანკლებთ, დავინახავთ, რაოდენი განსხვავებაა რუსულსა და ქართულს შორის, რამდენად მარტივია ქართული რუსულთან შედარებით:

	მხოლოობითი:	მრავლობითი:		
სახელობითი:	дом	дома	}	
ნათესაობითი:	дом-а	дом-ов		
მიცემითი:	дом-у	дом-ам		
ბრალდებითი:	дом	дом-а		
მოქმედებითი:	дом-ом	-дом-ами		
ადგილობითი:	о дом-е	о дом-ах		
	ანდა: მხოლოობითი:	მრავლობითი:		
სახელობითი:	стена-а	стен-ы		
ნათესაობითი:	стен-ы	стен		
მიცემითი:	стен-е	стен-ам		
ბრალდებითი:	стен-у	стен-ы		
მოქმედებითი:	стен-ою	стен-ами		
ადგილობითი:	о стен-е	о стен-ах		

მრავლობითის სულ სხვა დაბოლოებანი აქვს, მხოლოობითის — სხვა.

არის ქართულშიაც ზოგიერთი შემთხვევა, როცა მრავლობითში ზოგიერთი ბრუნვა განსხვავებულად ბოლოვდება მხოლოობითთან შედარებით, მაგრამ ასეთი მოვლენა ყველგან მერმინდელია და, მაშასადამე, თავდაპირ-

¹ მხედველობაში არ ვიღებთ „ნი“-თ წარმოებულ მრავლობითს; სახელობითი აქაც იმეორებს მხოლოობითს: სახლ-**ი** — სახლ-**ნი**; მაგრამ მოთხრობითში ნათესაობითში **-თ-ა** დაბოლოება გვაქვს, რომელსაც განსაკუთრებული ისტორია აქვს.

ველად აქაც ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც სხვაგან; ასე მაგალ., ახლა გვაქვს მთა-მ (მოთხრობითი მხოლოობითისა) მაგრამ მთებ-**მა** (მოთხრობითი მრავლობითისა); განსხვავება ახალს ქართულში შეიქმნა; ძველს ქართულში ორსავე შემთხვევაში იყო — **მან**: მთა-**მან**, მთებ-**მან**; ეს — **მან** ახალ ქართულში ხან **ნ**-ს კავავს და **მა**-ს სახეს იღებს, — სახელდობრ, მა-შინ, თუ ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება (მთებ-მა), ხან **-ან**-ს კარგავს და მხოლოდ **მ** გვრჩება, თუ ფუძე ხმოვნით ბოლოვდება (მთა-მ).

ეგვე უნდა ითქვას მეორე შემთხვევის შესახებ; მრავლობ. სახელობითში ყოველთვის არის **-ი**: სახლებ-**ი**, კედლებ-**ი**, მთებ-**ი**, კლდეებ-**ი**, წყაროებ-**ი**, ყრუებ-**ი**, მხოლოობითში კი პირველ ორ სიტყვას აქვს **ი**, სხვებს — არა: სახლ-**ი**, კედელ-**ი**, მაგრამ: მთა, კლდე, წყარო, ყრუ! არც ერთ სიტყვას, რომლის ფუძე ხმოვნით ბოლოვდება, **-ი** არ გააჩნია. მაშასადამე, ირღვევა დებულება ერთისა და იმავე დაბოლოების შესახებ მრავლობითისა და მხოლოობითში?! სრულებითაც არა: ესეც მერმინდელი მოვლენაა; ძველ ქართულში მხოლოობითის სახელობითში ყოველ სახელს ისევე ქონდა ი(ე), როგორც ახლაც გვაქვს მრავლობითში; იყო: სახელ-ი, კედელ-ი, მთა-ე (← მთა-ი), კლდეც (← კლდე ← კლდეი), წყარო-ე (← წყარო-ი), ყრუ-ე (← ყრუ-ი). ახლაც კილოებში ცოცხალია ეს ი, როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს საქართველოში; მოვიგონოთ: ბაბაე (ბაბეე), ნანაე..., კალოე, გზაე... ფუძისეულ ხმოვნების შემდეგ კი — დაიკარგა.

ასე რომ, ძალაში რჩება დებულება: მრავლობითში ამა თუ იმ ბრუნვას იგივე დაბოლოება აქვს, რაც მხოლოობითში ქონდა, **დაბოლოების მიხედვით მრავლობითსა და მხოლოობითს შორის განსხვავებას ადგილი არა აქვს.**¹

მაშ როგორღა იწარმოება მრავლობითი, რაღა აღნიშნავს მრავლობითობას? **მრავლობითობა ფუძეში აღნიშნება ცალკე ფორმანტით**; ეს ფორმანტია **-ებ**: სახლ-ი, — სახლებ-ი, სახლ-ებ-მა, სახლ-ებ-ს(ა), სახლ-ებ-ად, სახლ-ებ-ის(ა), სახლ-ებ-ით(ა)... როგორც ვხედავთ, კანკლედობის ფორმანტებს განაწილებული აქვსთ ფუნქციები: **ერთი ფორმანტი -ებ — მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავს, სულ ერთი რა ბრუნვაც იყოს; მეორე ფორმანტი მხოლოდ ბრუნვას აღნიშნავს, სულ ერთია, რა რიცხვიც იქნება, მხოლოობითი თუ მრავლობითი: ი — სახელობითს, მა(||მ), — მოთხრობითსა და სხვ...**

არაფერი ამის მსგავსი რუსულში არ არის: აქ ერთი და იგივე ფორმანტი ბრუნვასაც აღნიშნავს და რიცხვსაც (მაგალ. дом-у: у იმის მაჩვენებელიცაა, რომ ეს სახელი მიცემით ბრუნვაშია და იმისიც, რომ ეს მიცემი-

¹ ადამიანთა სახელების კანკლედობას არ ვეხები, არც განსაკუთრებულ სიტყვათა (ვინ, რა, მე, შენ, იგი...) კანკლედობას... ეს ზოგადი ანალიზისათვის საჭირო არ არის.

თი — მხოლოდობითისა; სიტყვაში: **стен-е** კი **е**-ს ეკისრება იგივე მოვალეობა, მაგრამ არც **у** და არც **е** აღარ გამოდგება მრავლობითის მიცემითის გამოსახატავად; ვერც მრავლობითისათვის გამოგვადგება ეს ფორმანტი და ვერც მიცემითობისათვის; გვჭირდება ახალი ფორმანტი **-ам**: **дом-ам, стен-ам...**

გ) ზემოთ ვნახეთ, რომ მრავლობითს იგივე დაბოლოებები აქვს, რაც მხოლოდობითს; ამას უნდა დავძინოთ: **მხოლოდობითში ყველა სახელი ერთსა და იმავე დაბოლოებას დაირთავს**, ასე რომ, **ქართულში** არსებითად **ერთი კანკლედობაა**; მცირეოდენ სხვაობას აქვს ადგილი, მაგრამ ეს განსხვავება ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული; სათანადო მთავარი მოვლენები ასეთი სახისაა: 1) ფუძისეულ ხმოვნის შემდეგ იკარგება სახელობითის **ი** (იხ. ზევ.); 2) ხმოვნით დაბოლოებული ფუძე მოთხრობითში — **მ**-ს დაირთავს (მთა-მ, კლდე-მ, წყარო-მ, ყრუ-მ), თანხმოვნით დაბოლოებული კი — **მა**-ს: სახლ-მა, კედელ-მა... (იხ. ზევ.). 3) **ა**-თი დაბოლოებული ფუძე კარგავს ამ **ა**-ს ნათესაობითსა და მოქმედებითში **-ის**, **-ით** ფორმანტების წინ, აგრეთვე მრავლობითის **-ებ** ფორმანტის წინ: მთ-ის, მთ-ით... მთ-ებ-ი... 4) **ე**-თი დაბოლოებული ფუძე კარგავს ამ **ე**-ს აგრეთვე ნათესაობითსა და მოქმედებითში, მაგრამ ინარჩუნებს მრავლობითში: კლდე: კლდ-ის, კლდ-ით... კლდე-ებ-ი... 5) **ო**-თი და **უ**-თი დაბოლოებული ფუძეები ნათესაობითსა და მოქმედებითში ინარჩუნებენ ბოლოკიდურ ხმოვანს, სამაგიეროდ, იკარგება ფორმანტის **ი**: წყარო, ყრუ: წყარო-ს, ყრუ-ს... წყარო-თ(ი), ყრუ-თ(ი)... ამის გამო ასეთ სიტყვათა ნათესაობითი დაემსგავსება მიცემითს: წყაროს (ნათესაობ.) წყალი დავლიე, წყაროს (მიც.) მივუახლოვდი... ასეთ შემთხვევათა მიხედვით ჩვენ ვერ დავასკვნით, რომ ნათესაობითს ორნაირი დაბოლოება ქონდეს: **-ის** და **-ს**, ისევე, როგორც ზოგიერთ დასახიჩრებულ ცალფეხა ადამიანთა არსებობიდან არავინ ასკვნის, თითქოს ადამიანი ორფეხაც იყოს და ცალფეხაც...

სხვადასხვა სახელების დაბოლოებათა ერთგვარობა ქართული კანკლედობის მთავარი მორფოლოგიური ფაქტია. განა რუსულში ან ძველ ბერძნულში, ლათინურში გინდ თანამედროვე გერმანულში არის ამისი მსგავსი რამ? რა თქმა უნდა, არა: ყოველ მათგანში არის ორი, სამი და მეტი კანკლედობა; სხვადასხვა სახელი სხვადასხვაგვარად იკანკლედება; ქართულში კი, როგორც ვნახეთ, არსებითად ერთი კანკლედობაა.

დ) თუ **მთელი შესიტყვება იკანკლედება**, ორისა და მეტი სიტყვისაგან შემდგარი, და მსაზღვრელი სიტყვა წინ უძღვის სასაზღვრს (ღრმა მდინარე, მხნე ვაჟკაცი, ყრუ მოხუცი, ბეჭითი მოწაფე...), კანკლედობაში თავს იჩენს საკმაოდ თავისებური მოვლენა: **წინა სიტყვა ან სრულიად არ იღებს ბრუნვის დაბოლოებას არც მხოლოდობითში, არც მრავლობითში, ანდა მხოლოდ ნაწილობრივ იღებს**; სახელდობრ, თუ ხმოვნით დაბოლო-

ბული ფუძე აქვს, სულ არ იცვლება, თუ თანხმოდნით დაბოლოებული, იცვლება ნაწილობრივ; ასე მაგალითად:

	მხოლოდ:	მრავლობა:	
სახელობა:	ღრმა მდინარე	ღრმა მდინარეები	} ასევე იბრუნვის: მხნე, ვაჟკაცი, თოთო ბავშვი, ყრუ მოხუცი და სხვ.
მოთხრობა:	ღრმა მდინარემ	ღრმა მდინარეებმა	
მიცემ:	ღრმა მდინარეს	ღრმა მდინარეებს	
ვნებით:	ღრმა მდინარედ	ღრმა მდინარეებად	
ნათესაობა:	ღრმა მდინარის	ღრმა მდინარეების	
მოქმედ:	ღრმა მდინარით	ღრმა მდინარეებით	

რუსულში ამის მსგავსი რამ წარმოუდგენელია: იქ მსაზღვრელიც იბრუნვის და სასაზღვრიცა; მაგალ., **მხოლოდ:** глубокая река, глубокой реки, глубокий реке, глубокую реку... **მრავლობა:** глубокие реки, глубоких рек, глубоким рекам... და სხვა.

თანხმოდნით დაბოლოებული ფუძეები, როგორც ვთქვით, ნაწილობრივ იცვლება...

	მხოლოდ:	მრავლობა:
სახელობა:	ბეჯითი მოწაფე	ბეჯითი მოწაფეები
მოთხრობა:	ბეჯითმა მოწაფემ	ბეჯითმა მოწაფეებმა
მიცემ:	ბეჯით მოწაფეს	ბეჯით მოწაფეებს
ვნებით:	ბეჯით მოწაფედ	ბეჯით მოწაფეებად

ნათესაობა: ბეჯითი (||ბეჯით||ბეჯითის) მოწაფის ბეჯითი (||ბეჯით || ბეჯითის) მოწაფეების მოქმ.: ბეჯითი (||ბეჯით || ბეჯითის) მოწაფით ბეჯითი (||ბეჯით || ბეჯითის) მოწაფეებით.

მრავლობითში, როგორც ვხედავთ, მსაზღვრელი არ შეიცვალა: **კანკლედობაში იგი მონაწილეობს მხოლოდითის ფორმით**; მრავლობითობა მხოლოდ სასაზღვარში, მომდევნოში, აღინიშნება; მხოლოდობითში მხოლოდ სახელობითსა და მოთხრობითში მიიღო სრული დაბოლოება; მიცემითსა და ვნებითში დაბოლოება მას არა აქვს, მხოლოდ ფუძეა; ნათესაობითსა და მოქმედებითში შესაძლოა სამი საფეხური გვექონდეს: ბეჯითის, ბეჯითი, ბეჯით... ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ **მსაზღვრელი შეიძლება ნათესაობითში იყოს, სასაზღვრი მოქმედებითში**: ბეჯითის მოწაფით (გახარებული მასწავლებელი)... მშვენიერის ხმით (მომღერალი)... ჩემის აზრით... რუსულში ეს შეუძლებელია: **прилежным учеником... прекрасным голосом...**: ორივე ერთ ბრუნვაშია. რა თქმა უნდა, ქართულში ეს იმის მაჩვენებელია, რომ ნათესაობითი და მოქმედებითი ერთის წარმოშობისაა, მაგრამ ასეა თუ ისე, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: მსაზღვრელი ნათესაობითში, სასაზღვრი მოქმედებითში ძალზე ორიგინალური რამ არის.

თავი რომ მოვუყაროთ ყველაფერს, რაც სახელის შესახებ ითქვა, მივიღებთ შემდეგს: სქესი სახელს არა აქვს; მრავლობაში მას იგივე დაბოლოებანი აქვს, რაც მხოლოდობითში; მხოლოდობითში ყველა სახელი ერთნაირ დაბოლოებას დაირთავს; თუ შესიტყვება იკანკლედება, მსაზღვრელი, წინდასმული, სრულებით არ იცვლება, თუ მისი ფუძე ხმოვნით ბოლოვდება, და ნაწილობრივ-და იცვლება, თუ ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება (ისიც ოდენ მხოლოდობითში). ყოველივე ეს ამარტივებს კანკლედობის პროცესს ქართულში.

რაც შეეხება ცალკე ფორმებს, ბრუნვებს, დიდმნიშვნელოვანია ორი ფაქტი: ბ რ ა ლ დ ე ბ ი თ ი ს (accusativus, винительный) უქონლობა და მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ს არსებობა. რუსულმა და სხვა ევროპულმა ენებმაც არ იცის მოთხრობითი, ქართულისა და სხვა კავკასიური ენებისათვის ზოგიერთის გამოკლებით უცხოა ბრალდებითი; ორივე ბრუნვის შესახებ საუბარი მქონდა ამ ჟურნალის წინა ნომერში, „რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?“

ცალკე სიტყვათაგან განსახილველად დაგვრჩა ზმნა, ზმნის აგებულების თავისებურებანი. ამის შესახებ შემდეგ წერილში.

II

შენიშვნები ქართული ზმნის შესახებ

წინა წერილში (იხ. „ახალ სკოლისაკენ“ №4, იანვარი 1929 წ.) ჩვენ ვამბობდით: „**სახელი ქართულში მაქსიმალურად მარტივია, ზმნა — უადრესად რთული**“ (იხ. გვ. 60 (254)).* ქართული ენის აგებულების ძირითადი ტიპოლოგიური თავისებურება ამაშია მოცემული. რა იწვევს სახელის სიმარტივეს, მოკლედ იყო აღნიშნული ხსენებულს წერილში; რაოდენ რთულია ზმნა, ნაჩვენები იქნება ქვემოთ.

„ქართული საენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი; თვითეულსა ზმნასა აქვს თვისება გარდაკეთებისა სხვად ზმნად მიმატებითა რომელთამე მარცვალთა; მრავალთა სხვათა სიტყვისა ნაწილთა ძალ-უძსთ გარდაქცევა ზმნათ; აქედან გამოვალს სიძნელე კანონთა მიღებისა მათთვის“... — წერს გასული საუკუნის პირველი ნახევრის საუკეთესო ქართველი გრამატიკოსი პლ. იოსელიანი (იხ. მისი „პირველ დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისანი“, ტფილ. 1840 წ., გ. 49, შენიშ.; ამონაწერში აწ უხმარი ასოები შეცვლილია; ხაზიც ჩვენია — ა.ჩ.). ყოველი ზმნა შეიძლება სხვა ზმნად გადაკეთდეს; მეტყველების არა ერთი ნაწილი შეიძლება ზმნად იქცეს: ამიტომ ჭირს „კანონის“ დაძებნა, — „ყოველი ზმნა უკანონოა“-ო, ასეთი უიმედო დასკვნა გამოატანინა ხსენებულ გრამატიკოსს ქართული ზმნის სირთულემა და მასში გარკვევის სიძნელემ.

მას შემდეგ მშ წელმა განვლო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც ვერავინ იტყვის, რომ ეს სიძნელე დაძლეული იყოს: „ქართული ზმნის ხლართში მეცნიერული ანალიზის შუქმა ჯერაც ვერ შეატანა და, ალბათ, საკმაოდ დრო გაივლის, სანამ მისი უჩინარი მექანიზმის პირველადი ბერკეტები გაშიშვლდებოდეს“... თქმა არ უნდა, ბევრი რამ არის უკვე გარკვეული, შეიძლება ითქვას, ძირითადად შეიცვალა წარმოდგენა ქართული ზმნის შესახებ, მაგრამ ახლაც არა თუ გადაწყვეტილი არ არის ყველა საკითხი, არამედ დასმულიც კი სათანადოდ...

ზმნად იწოდება ისეთი **სიტყვა**, რომელსაც **პირის ფორმა გააჩნია**, რომელიც **პირის მიხედვით იცვლება**. ეს განსაზღვრება გამოდგება

* [აქ: გვ. 35].

რუსული ზმნისთვისაც და ქართულისთვისაც: პირის ქონა აუცილებელი ნიშანიც არის და საკმარისიც, რომ ესა თუ ის სიტყვა ზმნად მივიჩნიოთ.

და სწორედ პირის საკითხში არის ქართული ზმნა უადრესად ორიგინალური: **ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი (და სამპირიანიც)**, მაშინ როდესაც რუსულში (და სხვა ევროპულ ენებშიც) ზმნა მხოლოდ ერთპირიანია. ერთპირიანობაზე და ორპირიანობაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს **ერთს ფორმაში** მოცემული პირები, თორემ ნორმალური ზმნა ევროპულ ენებშიაც და ქართულშიც იცვლება სამივე პირის მიხედვით: **читаю, читаешь, читает...** ვკითხულობ, კითხულობ, კითხულობს...

ერთპირიანია ქართული ზმნა, თუ მის ამა თუ იმ ფორმაში აღნიშნულია მხოლოდ ერთი სახელის პირი. ასე მაგალ.: — ვარ, ვარსებობ, ვცხოვრობ, ვსეირნობ, ვთამაშობ, ვამაყოფ... ვდგები, ვწვები, ვჯდები, ვშრები, ვსუსტდები, ვძლიერდები, ვტკბები...: აქა და მრავალ სხვა შემთხვევაში ზმნა დაკავშირებულია მხოლოდ ერთ სახელთან; ეს სახელი არის „**მე**“: ვარ, ვთამაშობ, ვდგები — **მე**; არც ერთ სხვა სახელს ზმნის ეს ფორმები არ იგუებენ; არ შეიძლება, მაგალ., „ვარ, ვთამაშობ — **შენ**“ ან „ვდგები **ის**“...

ეს სახელი — „**მე**“ — ზმნაში აღნიშნულია **ვ** წინსართით: **ვ**-არ, **ვ**-არსებობ, **ვ**-თამაშობ, **ვ**-დგები... **ვ**- წინსართი არის ზმნაში „**მე**“-ს წარმომადგენელი, და ბუნებრივი და გასაგებია, თუ **ვ**-ინიანი ფორმა (ვარ, ვარსებობ, ვთამაშობ...) არ შეიძლება დაუკავშირდეს არც ერთს სხვა სახელს, გარდა ამ „**მე**“-სი.

ახლა თუ ავიღებთ ფორმებს: არის, ცხოვრობს, არსებობს, თამაშობს, ამაყოფს, სეირნობს..., ესენი ვერ იგუებენ ვერც „**მე**“-ს, ვერც „**შენ**“-ს, მაგრამ ამ ორი სახელის გარდა ყოველ სხვა სახელს (მხოლოდითი რიცხვის) სახელობითს ბრუნვაში: „არსებობს სამყარო... ცხოვრობს მოქალაქე... თამაშობს ბავშვი...“ ამ სხვადასხვა სახელის მაგივრობას სიმარტივისათვის აკისრებენ სახელს „**ის**“ („იგი“): არსებობს, ცხოვრობს, თამაშობს — **ის** (იგი); ეს სახელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ალგებრაული ფორმულაა ყველა სხვა სახელისათვის („**მე**“, „**შენ**“-ის გამოკლებით). იგი ჩვენს მაგალითებში წარმოდგენილია **ს**-ბოლოსართით (არსებობს-**ს**, ცხოვრობს-**ს**, თამაშობს-**ს**¹), და სანამ ეს წარმომადგენელი ზმნაში მოიპოვება, ზმნის ფორმაზე პრეტენდენტი სხვა სახელი ვერ იქნება, თუ არ — „**ის**“ („იგი“).

ცოტა სხვა მდგომარეობა შეიქმნება, თუ ასეთ ფორმებს ავიღებთ:

¹ სხვა მაგალითები რომ აგველო: დგება, წვება, შრება, ძლიერდება... **-ს** ბოლოსართი მათ არ აღმოაჩნდებოდათ; მის მაგივრობას აქ **ა** ეწევა: დგება-ა, წვება-ა, შრება-ა... ძველ ქართულში აქაც **-ს** იყო: დგები-ს, წვები-ს, შრები-ს და სხვა.

არსებობ, ამყოფ, სეირნობ, შრები, ხმები... ამ ფორმებში ჩვენ ვერ ვიპოვით ისეთ ნაწილაკებს, რომელიც მიგვითითებდეს ამ ფორმებთან დაკავშირებულ სახელებზე; სხვანაირად რომ ვთქვათ, სათანადო სახელი აქ არ არის **რეალურად**, რაიმე ფორმანტიტ, აღნიშნული (ისე როგორც „მე“ და „იგი“-ს შემთხვევაში). ამისდა მიუხედავად, სრულიად უდავოა, რომ ასეთ ფორმებს მხოლოდ გარკვეული სახელი შეიძლება დაუკავშირდეს: ჩვენ ვერ ვიტყვით: „არსებობ ის“, „არსებობ მე“, არამედ მხოლოდ: „არსებობ შენ“... ესე იგი: სახელი „შენ“ „აღნიშნულია“ ზმნაში, **პოტენციალურად** (როგორც შესაძლებლობა).

სხვა შემთხვევაში ეს სახელი შეიძლება რეალურადაც იყოს აღნიშნული; ასე მაგალ., ზმნაში: ხ-არ (ვ-არ მე, ხ-არ შენ, არი-ს ის) ხვალ || ხვედ: მო-ხ-ვალ; მოხვედი (მოხვალ, მოხვედი — შენ; ანდა უპრევერბოდ: „ვიდრე ხვალ (=სად მიდიხარ), უფალო?“ — ჰ. სენკევიჩის ცნობილი ნაწარმოების სათაური!). კლასიკურ ქართულში (9-11 ს.) ამ ორ ზმნას გარდა ყოველთვის ჩნდებოდა ამ პირის მაჩვენებლად: **ჰ** ან მის მაგიერ **ს** || **შ**: ჰრბი, ჰშრბი... სდგები, სწვები; შჯდები. იკარგებოდა ეს **ჰ** ხმოვნის წინ, ესე იგი „**შენ**“ აღნიშნებოდა ხან რეალურად (თანხმოვნების წინ), ხან პოტენციალურად (ხმოვნების წინ), უფრო ძველად კი იგი ყველგან აღნიშნებოდა რეალურად **ხ**-თი (ე. წ. ხანმეტს ძეგლებში) და **ჰ**-თი (ე. წ. ჰამეტს ძეგლებში).

დასკვნა: ერთპირიან ზმნებში ზმნის პირი მიუთითებს მხოლოდ ერთ სახელზე; ეს სახელი წარმოდგენილია ზმნაში ან რეალურად (სათანადო თავსართის თუ ბოლოსართის საშვალებით) ან პოტენციალურად (წარმომადგენელი ნულს უდრის): ვ-არ, ხ-არ, არი-ს; ვ-სეირნობ, სეირნობ, სეირნობ-ს.

შევუდაროთ რუსული ზმნა: **гуляю я, гуляешь ты, гуляет он...** აქაც ზმნის თითოეულ ფორმასთან დაკავშირებულია თითო სახელი **я, ты, он...** სახელები აღნიშნულია ზმნაში რეალურად: ბოლოსართები **-ю, -е-шь, е-т** მიუთითებენ ამა თუ იმ სახელზე. ამდენადვე მსგავსებას უფრო აქვს ადგილი, ვინემ განსხვავებას. არსებითი განსხვავება მაინც არის და ის შემდეგში მდგომარეობს: რუსულში პირის ნიშნები ბოლოში დაისმის, ბოლოსართებია: (**гуля-ю, гуля-е-шь, гуля-е-т**)..., ქართულში კი პირველსა და მეორე პირში თავსართია (**ვ-არ, ხ-არ... ვ-სეირნობ, სეირნობ...**), მესამეში ბოლოსართი (არი-**ს**, სეირნობ-**ს**). ქართველურ ენათა ისტორია არკვევს, რომ თავდაპირველად მესამე პირის მაჩვენებელიც წინსართი (პრეფიქსი) უნდა ყოფილიყო. ასე რომ, შეიძლება ზოგადად ითქვას: **ქართული ზმნის უდვლილება წინსართებით წარმოებს, წინსართოვანია, რუსულისა კი — ბოლოსართებით წარმოებს ბოლოსართოვანია.** მართალია, ჩვენ ჯერ არ განგვიხილავს ორპირიანი (და სამპირიანი) ზმნები, მაგრამ ამ

ზოგადი დებულების წამოყენება მით უფრო შეიძლება, რომ ჩვენთვის უცნობი პირები ორპირიან (და სამპირიან) ზმნათა ყოველთვის წინსართით არის აღნიშნული.

ეს — ერთი თავისებურება ქართულის ზმნისა; არის მეორეც; იგი მრავლობითობის წარმოებას შეეხება: **ვ**-არ მე — **ვ**-არ-თ ჩვენ; **ხ**-არ შენ — **ხ**-არ-თ თქვენ; არი-**ხ** ის — არი-**ან** ისინი: პირველსა და მეორე პირში პირის მაჩვენებელი ცალკე ფორმანტია (**ვ, ხ** — ე. ი. ის, რაც მხოლოდობითში იყო), რიცხვის, მრავლობითობას, სხვა, საგანგებო, ფორმანტი აღნიშნავს — **თ**: ვ-არ-თ, ხ-არ-თ... მხოლოდ მესამე პირს არ გადმოყვება (ზოგიერთის გამონაკლისით) პირის ნიშანი და **ან** (**|| ხ || ეხ**) ბოლოსართს უხდება რიცხვის აღნიშვნაცა და პირისაც (ე. ი. რომ მესამე პირია მრავლობითისა, ამას მხოლოდ ეს, —რიცხვის მაჩვენებელი, = ან გვეუბნება). რუსულში საქმე სხვაგვარად არის: მრავლობითობის მაჩვენებელი ცალკე არ არსებობს; არის ერთი ფორმანტი და მასშია პირიც, რიცხვიც მოცემული, არაფერია იმის მსგავსი, რასაც ქართული მრავლობითის პირველი და მეორე პირი იძლევა; შეადარე: ვ-სეირნობ-თ, (ჰ)სეირნობ-თ, სეირნობ-ენ — гуля-е-м, гуля-е-те, гуля-ют ...

წინსართოვანი წარმოება (პრეფიქსაცია) და მრავლობითის ცალკე ფორმანტით აღნიშვნა — აი რა განასხვავებს ქართულ ერთპირიან ზმნას ასეთივე რუსული ზმნისაგან. მაგრამ ერთპირიანი ქართული ზმნები მინიმალურად თავისებურია; სპეციფიკურობა ქართულის ზმნისა სრული სახით იშლება ორპირიან (და სამპირიან) ზმნებში.

ორპირიანს ასეთ ზმნას იმიტომ ვუწოდებთ, რომ მის **ყოველ ფორმაში წარმოდგენილია** ო რ ი ს ა ხ ე ლ ი ს პ ი რ ი , ა ნ ო რ ი ვ ე რეალურად გარკვეულის ნიშნებით ან **ერთი პოტენციალურად** და **ერთი რეალურად**, ან **ორივე პოტენციალურად**. ასე მაგალითად:

ზმნის ფორმაში:

მ-აქებ-ს — ის მე : **ის** წარმოდგენილია **ს**-თი (მაქებ-ს), **მე** — **მ**-თი მ-აქებს).

გ-აქებ-ს — ის შენ : **ის** „ „ **ს**-თი (გაქებ-ს), **შენ** — **გ**-თი (გ-აქებს).

ორივე სახელი ორსავე შემთხვევაში ზმნაში რეალურად არის აღნიშნული გარკვეული ნიშნებით (**ს, მ, გ**).

ფორმაში: აქებ-ს — ის მას: **ის** წარმოდგენილია რეალურად **ს**-თი (აქებ-ს), **მას** — პოტენციალურად. „წარმოდგენილი“ მაინც არის: ჩვენ ვერ ვიტყვი — „აქებს ის შენ“ ან

„აქებს ის მე“, „მას“ ერთადერთი შესაძლო მონაწილეა ამ ფორმისა.

ასევე: ვ-აქებ — მე მას: **მე** წარმოდგენილია რეალურად ვ-თი (ვ-აქებ), **მას** პოტენციალურად.

შემდეგ ფორმაში კი: აქებ — შენ მას : **შენ** წარმოდგენილია პოტენციალურად, **მას**-იც — პოტენციალურად. ზმნის ამ ფორმაში არც ერთი სახელის რეალური წარმომადგენელი არა ჩანს და ამისდა მიუხედავად ამ ფორმასთან მხოლოდ ეს სახელები (**შენ — მას**) შეიძლება იქნენ დაკავშირებული და არც ერთი სხვა სახელი (არ შეიძლება: „აქებ შენ მე“ ან: „აქებ მას მე“ ან „აქებ მას ის“)... ასევე პოტენციალურად აღინიშნება სათანადო სახელები ფორმაში: „აქე — შენ ის“.

ორპირიან ზმნაში არ შეიძლება არც ერთი ფორმის დაძებნა, რომელთანაც ორი სახელი არ იყოს დაკავშირებული: ეს რომ ასე არ იყოს, ზმნა ორპირიანი არ იქნებოდა.

ორპირიანი ზმნა არ იცის არც რუსულმა (და არც სხვა ევროპულმა)¹ ენამ. ხშირად ქართულ ორპირიან ზმნას უტოლებენ რუსულს და ვერ ამჩნევენ განსხვავებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ერთი სახელის პირი დაა რეალურად აღნიშნული, მეორე კი პოტენციალურად არის წარმოდგენილი; მაგალ. — „აქებს“, ერთის შეხედვით ეს უდრის რუსულს — **хвалит**; მაგრამ ეს ასე როდია: **он хвалит — его, тебя, меня... их, вас, нас... хвалит** — ზმნაში ნაჩვენებია მხოლოდ ის, ვინც აქებს, მაქებელი, მაგრამ არ არის ნაჩვენები, ვინ არის საქები: შენ, მე, იგი, ჩვენ... თუ სხვა ვინმე; **хвалит** თანაბრად გამოდგება ყველგან, იმიტომ რომ არც ერთთან არ არის დაკავშირებული; ქართული „აქებს“ კი **ის**-ს გარდა მხოლოდ ერთ სახელს იგუებს — „**მას**“ („აქებს ის მას“) და არც ერთს სხვას; სხვა სახელისათვის სხვა ფორმა უნდა დაიძებნოს:

ის — **მას** აქებს, ის — **შენ** გაქებს, ის — **მე** მაქებს... და ეს იმიტომ, რომ ზმნის ფორმის მონაწილე ყოველთვის ორი სახელია, ზმნა ორივეს უწევს ანგარიშს, და შეუძლებელია ისეთი მდგომარეობა შეიქმნას, რომ მხოლოდ ერთი დაეუფლოს ზმნას.

ამასთან დაკავშირებულია ორპირიან ზმნათა ფორმანტების საკითხი.

¹ თითქოს ფრანგულში გვაქვს მსგავსი მოვლენა: **il m'aime** (გუყვარვარ), **je t'aime** (მიყვარხარ) და სხვ..., მაგრამ ფრანგული **me, te, le** ცალკე ნაწილაკებია (შეადარე: **il me leve, il te leve, il se leve**), ისევე როგორც **se (il se leve)**; ქართულმა კი **მ-, გ-,** ნაწილაკი, დამოუკიდებლად ხმარებული, არ იცის.

გ-აქებ **მე** მას, მ-აქებ-ს **მე** ის: ორსავე შემთხვევაში ჩვენ წინ არის **მე** სახელი; პირველ შემთხვევაში მისი წარმომადგენელია ზმნაში **გ** (გ-აქებ მე), მეორე შემთხვევაში — **მ** (მ-აქებს მე); ზმნა ასხვავებს ამ ორ **მე**-ს; პირველს შამთხვევაში (გ-აქებ მე) იგივეა, რაც **მე**, ერთპირიან ზმნებთან რომ იხმარებოდა (გ-არ მე, ვ-ცხოვრობ მე): პირის აღნიშვნის თვალსაზრისით მათ შორის განსხვავებას აღვიღო არა აქვს; ერთი **გ**-თი აღნიშნება და მეორეცა. ვუწოდოთ ამას „ერთპირიანთა **მე**“.

ამისაგან განსხვავებით „**მე**“ ფრაზაში „მაქებს ის მე“ წარმოდგენილია ზმნაში „მ“თი, ისეთი ნიშნით, რომელიც შეიძლება გააჩნდეს ორპირიანს (და სამპირიან) ზმნებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ერთპირიანს; ამ „**მე**“-ს შეიძლება ეწოდოს ორპირიანთა „**მე**“. ამგვარად, ერთმანეთს უპირისპირდება „**მე**“ ერთპირიან ზმნათა“ და „**მე**“ ორპირიანთა“, „**მე**“, **გ**-თი წარმოდგენილი (იქნება იგი ნახმარი ერთპირიან თუ ორპირიან ზმნებთან) და „**მე**“ — **მ**-თი წარმოდგენილი, ვიხმართ მას ორპირიან თუ სამპირიან ზმნასთან. „ერთპირიანთა **მე**“ — ის სახელია, რომელსაც ტრადიცია ჩვენი ღროისა, მართებულად თუ უმართებულად „სუბიექტს“ (პირველი პირისა) უძახის, ორპირიანთა „**მე** — კიდევ „**ობიექტად**“ (პირველი პირისა) იწოდება. „ერთპირიანთა **მე**“ აღნიშნავს მოქმედს, აქტიურს **ზმნის** თვალსაზრისით, „ორპირიანთა **მე**“ უმოქმედოს, სხვის მოქმედების ობიექტს, იმავ **ზმნის** თვალსაზრისით, — ზედმიწევნით რომ ვთქვათ, ზმნაში პირის აღნიშვნის თვალსაზრისით.

ზმნის თვალსაზრისით, იმიტომ დავძენთ, რომ არის შემთხვევები (და არც თუ იშვიათი), როცა რეალური ვითარება ზმნაში სხვაგვარად არის წარმოდგენილი. სახელდობრ, რეალობაში მოქმედი, აქტიური, ზმნისთვის უმოქმედო, პასიურია და პირიქით. ავიღოთ ზმნები: ვაშენებ, ვაქცევ, ვანგრევ, ვტეხ, ვრევ, ვლევ — „**მე**“; „**მე**“ რეალობაში მოქმედზე მიუთითებს, ზმნაშიაც ვ-თია აღნიშნული, როგორც მოსალოდნელი იყო. მაშენებს, მაქცევს, მრევს, მლევს, მტეხს — **მე**: ეს „**მე**“ კი რეალობაშიც უმოქმედოა, სხვის მოქმედების საგანია და ზმნაშიაც **მ**-თია წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევებში ზმნის თვალსაზრისი ხვდება სინამდვილის თვალსაზრისს. მაგრამ ზმნებში „მიშენებია, მიქცევია, მიგრევია“ — „**მე**“, რეალობაში მოქმედი, ზმნაში **გ**-თი კი არ არის წარმოდგენილი, არამედ **მ**-თი, ზმნისათვის ეს „**მე**“ ისევე უმოქმედოა, როგორც **მე** — ფრაზაში: მაშენებს, მაქცევს, მანგრევს — „**მე**“: და ეს იქიდან ჩანს, რომ ორივეს წარმომადგენელი ზმნაში არის **მ** (უმოქმედო „**მე**“-ს წარმომადგენელი). — ერთი და იგივე სახელი (**მე**) ორპირიან (და

სამპირიან) ზმნებში შეიძლება იყოს აქტიურიც, მოქმედიც (— სუბიექტი), და პასიურიც, უმოქმედოც (— ობიექტი). ერთად ერთი დასაყრდენი სახელის ასე თუ ისე დაფასებისას არის ზმნაში პირის ნიშანი: თუ „მე“-ს **გ** შეეფერება, ის აქტიურია, მოქმედი, სუბიექტია, თუ **მ** შეეფერება, პასიურია, უმოქმედოა, ობიექტია. ამ სუბიექტს, ობიექტს ჩვენ ვუწოდებთ „ზმნის სუბიექტს“, „ზმნის ობიექტს“ ანუ „ვერბალ სუბიექტს“ და „ვერბალ ობიექტს“ და აქვე ვიძლევიტ მათს განსაზღვრებას: **ზმნის სუბიექტი** ანუ **ვერბალი სუბიექტი** არის **სახელი, აღნიშნული ზმნაში ერთპირიანი ზმნის ფორმანტებით, ზმნის ობიექტი** ანუ **ვერბალი ობიექტი** არის **სახელი, აღნიშნული ზმნაში ორპირიანი ზმნის ფორმანტებით**.¹

ვერბალ სუბიექტად შეიძლება იყოს: **მე, შენ, ის (მან)**, — ბრუნვა სახელობითი და მოთხრობითი; ვერბალ ობიექტად — **მე, შენ ის** და **(მას)**, — ბრუნვა სახელობითი და მიცემითი;

ვერბალი სუბიექტი მე	„	„	აღნიშნება ზმნაში გ -წინსართით (გ-აქებ).
ვერბალი ობიექტი მე	„	„	მ -წინსართით (მ-აქებს) ²
ვერბალი სუბიექტი შენ	„	„	ან პოტენციალურად ან რეალურად (ხ, ჰ, ს შ) წინსართებით) (აქებ, ხ-არ...)
ვერბალი ობიექტი შენ	„	„	გ -წინსართით (გ-აქებს).
ვერბალი სუბიექტი ის (მან)	„	„	ს-, ა(-ო) ბოლოსართით (მხოლოდით რიცხვში) (აქებს-ს; კლ-ა, აქ-ო)
ვერბალი ობიექტი მას (მიცემ.)	„	„	ან პოტენციალურად ან რეალურად (ჰ, ს შ) ¹ (აქებს, მი-ს-ცა)

¹ ამ „ვერბალი სუბიექტისა“ და „ვერბალი ობიექტის“ ნაცვლად „ქვემდებარისა“ და „დამატების“ ხმარება შეცთომა იქნებოდა: პირველი არის სუბიექტი და ობიექტი **ზ მ ნ ის** თვალსაზრისით, მეორე (ქვემდებარე, დამატება) — „სუბიექტი“, „ობიექტი“ **შ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ის** თვალსაზრისით; ქართულში ისინი ერთურთს ოდნავაც არ ფარავენ. „ვერბალი სუბიექტის“, „ვერბალი ობიექტის“ ნაცვლად ჩვენ გვქონდა შემთხვევა გვეხმარა „მორფოლოგიური — სუბიექტი, ობიექტი“; მიუხედავად იმისა, რომ ზედმიწევნით იყო ნაჩვენები, რომ ეს აღნიშნავს „სუბიექტს“ თუ „ობიექტს“ ზმნის თვალსაზრისით, ზმნაში პირის აღნიშვნის თვალსაზრისით, ის მაინც არ აღმოჩნდა დაზღვეული გაუგებრობათაგან. ამიტომ პირდაპირ ვამბობთ „ვერბალი სუბიექტი, ობიექტი“ ანუ „სუბიექტი, ობიექტი“ **ზ მ ნ ის** თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ, **ზ მ ა შ ი** პ ი რ ი ს ა ღ ნ ი შ ვ ნ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ. თუ ესეც არ გადაარჩენს მათ ქვემდებარე, დამატებასთან აღრევას — სუბიექტიცა და ობიექტიც როგორც ტერმინები, სრულებით უნდა განიღვენოს ხმარებიდან.

² ახალი ქართული **გგ-** წინსართს ხმარობს, თუ ვერბალი ობიექტი პირველი პირისა მრავლობითია: გვაქვს ის ჩვენ, გვაქო მან ჩვენ.

ვერბალი ობიექტი **ის** (სახელ.) ,, ,, მუდამ პოტენციალურად
 ... (აქო, წერა, კლა...)...

ზმნის სუბიექტ-ობიექტების ყველა შესაძლო შეხამება რომ ავიღოთ, მივიღებთ ასეთ სურათს:

ვერბ.	სუბ.	ვერბ.	ობიექტ.	}	ხაზგასმული ფორმები: აქებს ის, აქებ შენ, ვაქებ მე — ის ფორმებია, რომელთაც ჩვეულებრივ სასკოლო სახელმძღვანელოებში ათავსებენ ხოლმე, ისიც ვერბ. ობიექტის აღუნიშვნელად; სხვა ფორმებს იშვიათად ეთმობა ადგილი (ანდა ეძლევა უცნაური გაშუქება — იხ. ქვ.); მიეწერება ეს, რა თქმა უნდა, უცხო (ევროპულ) ენათა ზეგავლენას. ევროპული სამი ფორმის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ მხოლოდობითში შვიდი; თუ მრავლობითში გადავიყვანთ ვერბალ სუბიექტსაც და ობიექტსაც, ფორმათა შემდეგი წყება წამოიშლება.
აქებ-ს	ის	მას			
გ-აქებ-ს	ის	შენ			
მ-აქებ-ს	ის	მე			
აქებ	შენ	მას			
მაქებ	შენ	მე			
ვაქებ	მე	მას			
გაქებ	მე	შენ			

ვერბ.	სუბ.	ვერბ.	ობიექტ.	ვერბ.	სუბ.	ვერბ.	ობიექტ.
აქებს	ის	მას, მათ		აქებ	შენ	მას, მათ	
აქებენ	ისინი	მას, მათ		აქებთ	თქვენ	მას, მათ	
გ-აქებს	ის	შენ		მაქებ	შენ	მე	
გაქებენ	ისინი	შენ, თქვენ		მაქებთ	თქვენ	მე	
გაქებთ	ის	თქვენ		გვაქებ	შენ	ჩვენ	
მაქებს	ის	მე		გვაქებთ	თქვენ	ჩვენ	

¹ თანამედროვე სამწერლობო ქართულში, როგორც ეს ცნობილია, ძალზე არეულია ვერბ. „შენ“-ისა და ვერბ. ობიექტი „მას“-ის ფორმანტების ხმარება: „**შენ**მე — შენ“, „**შენ**მე — შენ“ და მაგვარები იშვიათია, რომ ვინმემ იხმაროს; სამაგიეროდ „სჩანხარ, სდგები, სწვები, სცხოვრობ — შენ“ ჩვეულებრივია; მაგრამ შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ **ს**-ფორმანტი ამ შემთხვევაში ცოცხალია და მხოლოდ **შ**-ს უჭირს გაძლება! **ს**-ფორმანტის მართებულად ხმარება მოჩვენებითია; წერენ: სჩანხარ შენ, მაგრამ აგრეთვე: ვ ს ჩ ა ნ ვ ა რ მ ე, ს ჩ ა ნ ს ი ს ; ს ც ხ ო ვ რ ო ბ შ ე ნ , მაგრამ ამასთანავე — ვ ს ც ხ ო ვ რ ო ბ მ ე , ს ც ხ ო ვ რ ო ბ ს ი ს ... ასე რომ ეს **ს** გარკვეული ფორმანტი კი არ არის, არამედ „ფონეტიკური სამკაული“, რომლის მორფოლოგიური მნიშვნელობა მკვდარია და ამიტომ არაფერი უშლის მწერალს სამსავე პირთან იხმაროს იგი. **გ**-ს ან **მ**-ფორმანტს არასოდეს არ მოუვა ეს!

ეგვე ითქმის „მას“-ის შესახებ. სამწერლობო ენაში ყველა ხმარობს: „მ ი ს ც ა“ (მას), მაგრამ აგრეთვე ყველა წერს: „გ ა მ ო ს ც ა“ (იგი). ცხადია, აქ **ს** „მას“-ის წარმომადგენლად ვერ მიიჩნევა, იგი ფუძეს შეხორცებული ელემენტია.

მაქებენ	ისინი	მე	ვაქებ	მე	მას, მათ
გვაქებს	ის	ჩვენ	ვაქებთ	ჩვენ	მას, მათ
გვაქებენ	ისინი	ჩვენ	ვაქებ	მე	შენ
			ვაქებთ	ჩვენ	შენ, თქვენ
			ვაქებთ	მე	თქვენ

ჩვენ ვცვალეთ რიცხვი ჯერ ვერბალი სუბიექტისა, მერე ვერბალი ობიექტისა და მივიღეთ აწმყოში 19 განსხვავებული ფორმა: აქებს, აქებენ; ვაქებს, ვაქებენ; ვაქებსთ: მაქებს, მაქებენ; გვაქებს, გვაქებენ; აქებ, აქებთ; მაქებ, მაქებთ; გვაქებ, გვაქებთ; ვაქებ, ვაქებთ; ვაქებ, ვაქებთ (სამის გაგებით: მე — თქვენ, ჩვენ — შენ, ჩვენ — თქვენ)... რუსული ამავე შემთხვევაში დაჯერდებოდა რ ფორმას: **хвалю, хвалишь, хвалит, хвалим, хвалите, хвалят...** და ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ **хвалю-** ზმნა მხოლოდ ერთი სახელის პირს აღნიშნავს; ამიტომ მას ყოფნის სამი ფორმა მხოლოდობითში და სამი მრავლობითში; ყოველი ამ ფორმის შემდეგ დაუბრკოლებლივ შეიძლება იქნეს ნახმარი სახელი (დამატება), რომელიც გნებავთ იმ პირისა და რიცხვის; ეს სახელები ზმნაზეა დამოკიდებული, მაგრამ ზმნა მათ ანგარიშს არ უწევს: ზმნაში ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, არავითარ ცვლილებას არ იწვევენ; იხილე მაგალ...

ОН ХВАЛИТ	ЕГО,	ТЕБЯ,	МЕНЯ,	ИХ,	ВАС,
ТЫ ХВАЛИШЬ	ЕГО,	СЕБЯ,	МЕНЯ,	ИХ,	НАС,
Я ХВАЛЮ	ЕГО,	ТЕБЯ,	СЕБЯ,	ИХ,	ВАС...

ზემოხსენებულის მიხედვით, გგონია, გასაგებია, რატომ უნდა მივიჩნიოთ ზმნის ორპირიანობა მთავარ წყაროდ ზმნის ფორმათა მრავალფეროვნებისა და სირთულისა. სამპირიანი ზმნები მხოლოდ ოდენობრივ განსხვავდებიან ორპირიანისაგან: ამ უკანასკნელს თუ ო რ ი სა ხ ე ლ ი უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ო დ ა მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ა დ (ვერბალი სუბიექტი და ერთი ვერბალი ობიექტი), პირველთან სამი სახელია დაკავშირებული (ვერბალი სუბიექტი და ორი ვერბალი ობიექტი); ორი ვერბალი ობიექტიდან ზმნაში რეალურად წარმოდგენილია ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი; მეორე კი — თითქმის მუდამ პოტენციურად: მ-თხოვ-ა მან მე იგი, გ-თხოვ-ა მან შენ იგი, (ს)-თხოვ-ა მან მას იგი: სამსავე შემთხვევაში ზმნაში აღნიშნულია **მან** (ვერბ. სუბიექტი **-ა** ბოლოსართით), **მე, შენ, მას** (ვერბ. ობიექტები) — **მ, გ, (ს)**წინსართით, **იგი** — სახელის წარმომადგენელი კი ზმნაში არა ჩანს: იგი პოტენციურადლა მონაწილეობას ზმნაში..¹ მაგა-

¹ ორპირიანად ვერ გადავაქცევთ ზმნას „ვარ“, აგრეთვე ნასახელარ ზმნებს „მეფობს“-ის ტიპისა.

ლითში, მი-მ-აკრ-ა მან მე მას, მი-გ-აკრ-ა მან შენ მას, მი-აკრ-ა [ხანმეტ.: მი-ხ-აკრ-ა] მან იგი მას; სამსავე შემთხვევაში **ა** ბოლოსართი გამოწვეულია ვერბ. სუბ. **მან**; ამას გარდა **მე** აღნიშნულია **მ**-თი, **შენ** — **გ**-თი. ... „მიაკრა“-ში არც ერთი ვერბ. ობიექტი არ ჩანს, ორივე პოტენციურად არის ამჟამად აღნიშნული, მაგრამ ხანმეტი ფორმა რომ აღგვედგინა, გვექნებოდა მი-ხ-აკრ-ა მან იგი მას; **იგი** ს ა ე რ თ ო წ ე ს ი თ პ ო ტ ე ნ ც ი ა - ლ უ რ ა დ არ ის წარმოდგენილი, **ხ** ფორმანტი მეორე ვერბალი ობიექტის, **მას**-ისაა: მიაკრა (← მიხაკრა) ზმნაში, ამგვარად, უფრო ცხადია ორი ვერბალი ობიექტის აღნიშვნა, ვინემ „თხოვა“- ზმნაში...

მრავალს შემთხვევაში ქართული ერთპირიანი ზმნისაგან შეიძლება მივიღოთ ორპირიანი; მაგალითად: ზის იგი: უზის იგი მას, გიზის იგი შენ, მიზის იგი მე; ასევე: ზიხარ შენ, ვზივარ მე — უზიხარ შენ მას, ვუზივარ მე მას; მიზიხარ შენ მე, გიზივარ მე შენ... ეგევე ითქმის ზმნების: წევს, დგას, დგება, ჯდება, წვება, შრება, ხმება, კვდება და სხვ. შესახებ.¹ ეს გარემოება ისევ სირთულეს თუ მატებს ზმნას (თუმცა აქ საქმე გვაქვს სიტყვაწარმოებასთან და არა ფორმაცვალებასთან).

ჩვენს სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ ოციოდე წლის წინადაც ქართულ ზმნებში განარჩევდნენ ორ უღვლილებას (მიმოხრას). პირველ უღვლილებასად ის ზმნები ითვლებოდა, რომლებიც „აწმყო დროში პირველ პირში ვ-ით იწყება (მე ვაშენებ, ვსწერ...); მეორე უღვლილებასად ის ზმნები მიაჩნდათ, რომლებიც „აწმყო დროში მ-ით იწყებოდა“ (მიყვარს, მიხარია, მრწამს...): იხ. მაგალ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს „ქართული გრამატიკა“, ქუთაისი 1907 წ. გვ. 20.

ორპირიანობის საკითხი, ცხადია, ასეთ პირობებში ვერ დაისმებოდა. საინტერესოა, რომ ამ ნიშნის მიხედვით ზმნათა ორ უღვლილებად დაყოფა ძველთაგანვე მომდინარეობს: რამდენადაც ვიცით, პირველად იგი ამ სახით წამოაყენა გაიოსმა თავის კრემენჩუგის გამოცემულს გრამატიკაში 1789 წელს (იხ. გვ. 27). შემდეგ მას სიტყვასიტყვით იმეორებენ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში: ს ო ლ ო მ. დ ო დ ა შ - ვ ი ლ ი (იხ. „შემოკლებული ქართული ლრამატიკა“, ტფილ. 1830 წ., გვ. 23), პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი („პირველ დაწყებითი კანონი ქართულისა ლრამატიკისანი“, ტფილ. 1840 წ. გვ. 47, არ. ქუთათელაძე („პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა“ ტფილ. 1889, გვ. 89), ს. ხ უ ნ დ ა ძ ე... პ. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე ც კ ი, თუმცა გრძნობს ქართული ზმნის სხვაგვარობას, მაგრამ საკითხის მართებულად დასმას ვერ ახერხებს (იხ. მისი „ქართული სწორმეტყველება“, ტფილ. 1888, გვ. 126-130), თუმცა მაინც ეტყობა ერთს რამეში წინსვლა: ის, რაც სხვებს ორ მიმოხრად მიაჩნდა, მან ერთი მიმოხრის ორ ფორმად მიიჩნია: „მიმოხრა ქართულ ზმნას აქვს ერთად ერთი, რომელიც დამყარებულია ორს ფორმაზეო“... ამბობს იგი (— მხედვე-

ლობაში აქვს **გ** და **მ**-თი დაწყებული ფორმები: იქვე, გვ. 129).

მარი ბროსე ასხვავებს პირდაპირსა და არაპირდაპირ ზმნებს, ჩამოთვლის ვერბალ ობიექტის ნიშნებს, მაგრამ მისთვისაც არ არის ცხადი, რა მიმართებაშია ეს ნიშნები ვერბალი სუბიექტის ნიშნებთან (იხ. მისი *L'art liberal*, პარიზი, 1834, გვ. 169-171)...

ბრწყინვალე გამონაკლისს დიმიტრიანო წარმოადგენს. იგი აღარებს ქართულ ზმნას ევროპულ ენათა ზმნებს და გარკვევით აღნიშნავს ქართული ზმნის არა ერთს არსებითს თვისებას; ასე, მაგალ.: 1. ქართულ ზმნას ყოველგან და ყოველთვის თავისი საკუთარი ნიშნები აქვს, რომლითაც პირი და რიცხვი მაშინვე გაირჩევა და ნაცვალსახელი კი თუმცა შეიძლება ყოველთვის იხმარებოდეს, მაგრამ საჭირო არას დროს არ არის... („ახალი ქართული გრამმატიკა“, ს. პეტერბურდი, 1882, გვ. 74) ანდა: 2. „სხვა ენებში ზმნა რა ხმისაც უნდა იყოს ან რა სახისაც, ბოლოთი იცნობება და ჩვენი ზმნისა კი უმთავრესი ნიშანი თავი არის“ (იქვე, გვ. 75), ანდა 3. ევროპული ზმნა, რა სახისაც უნდა იყოს და რა დროისაც, ყოველთვის ერთსა და იმავე ბრუნვას ან ბრუნვებს მოითხოვს, მაგ. *писать, пишу, написал — просьбу...* ქართული ზმნა კი თავ-თავისს დროს სხვადასხვა ბრუნვას ითხოვს: მე ვსწერ... ლექსებსა... მე ვსწერე, ვსწერო ლექსები (იქვე, გვ. 76) და, რაც მთავარია დ. ყიფიანს შემოაქვს ცნებები „მიუმართავად და მიმართვით (ანუ: მიუმართველად, მიმართულებითად) და ხრისა“ (უღვლილებისა) — იქვე, გვ. 78.

მიმართვით დახრის შესახებ ლაპარაკობს, რომ იგი წარმოადგენს: „1. მიუმართველად მოქმედებას ან მდგომარეობას სამი პირისას ცალ-ცალკე, 2. პირველი პირის მიმართულებას [ჩვენ ახლა ვიტყვით: „მიმართებას“] მეორესთან და მესამესთან, 3. მეორე პირის მიმართულებას პირველთან და მესამესთან და 4. მესამე პირის მიმართულებას პირველთან და მეორესთან“ — (იქვე, გვ. 78); მაგალთად: მიუმართავად იქნებოდა ნაუღვლები: ვაკეთებ, აკეთებ, აკეთებს; მიმართვით პირვ. პირისაგან მეორეს და მესამესთან: ვაკეთებ... ვაკეთებ... მეორე პირისაგან პირველთან და მესამესთან: ვაკეთებ... აკეთებ... მესამე პირისაგან პირველსა და მეორესთან: ვაკეთებს... აკეთებს... (იქვე, გვ. 78-88).

როგორც აქიდან ჩანს, „მიუმართავი“ ისეთი ფორმაა, როდესაც ვერბალ ობიექტად მესამე პირია: ვაკეთებ, აკეთებ, აკეთებს — „მას“, მიმართვითს კი ვერბალ ობიექტად მეორე და პირველი პირიც აქვსთ... მიუმართავი უღვლილება დიმიტრიანისა იგივეა, რასაც შემდეგ აკად. ნ. მარმა¹ თავის ტაბულებში აბსოლუტური უღვლილება უწოდა (*аbco-*

¹ აკად. ნ. მარამდე ამავე ნიადაგზე იხილავს ქართულ ზმნებს და მიუმართველსა და მიმართვითს ფორმებს არჩევს მეტის ზედმიწევნილობით კ. დოდაშ-

ლუთное спряжение), მიმართვითი კიდევ — აკად. ნ. მარის — მიმართვითი (относительное спряжение). ორპირიანობის საკითხი არც დიმ. ყიფიანს დაუსვამს, მაგრამ მან არსებითად ყველაფერი მოგვცა ამისათვის.

ზმნის ერთპირიან ფორმას აბსოლუტურს უწოდებენ, ორპირიანს (და სამპირიანს) — რელატიურს. ქართულში ფრაზის აგებულება ზმნაზეა დამოკიდებული; თუ ზმნა ერთპირიანია, სახელი, ვერბალი სუბიექტი, მუდამ სახელობითშია: **იგი** — დგება, დადგა, დამდგარა... **იგი** — კვდება, მოკვდა, მომკვდარა... **იგი** — ძლიერდება, განძლიერდა, გაძლიერებულა...; ამისი ფორმულაა: **სახელობითი + ზმნა...**

თუ ზმნა ორპირიანია, მოსალოდნელია ორნაირი მდგომარეობა: „1. ორპირიან ზმნასთან დაკავშირებული სახელები, ვერბალი სუბიექტი და ვერბალი ობიექტი, ბრუნვას არ იცვლიან, რადროშაც არ გადავიყვანოთ ზმნა, ვერბალი სუბიექტი სახელობითშია, ვერბალი ობიექტი მიცემითში: „შვილი უკვდება დედას, შვილი მოუკვდა დედას, შვილი მოკვდომია დედას... პირი უშრება ავადმყოფს, პირი გაუშრა ავადმყოფს, პირი გაშრობია ავადმყოფს. ასეთი ზმნიანი ფრაზის ფორმულაა **სახელობითი + ზმნა + მიცემით...** 2. ორპირიან ზმნასთან დაკავშირებული სახელები დროთა მიხედვით ბრუნვას იცვლიან: დროთა პირველს ჯგუფში (ამყო, ნამყო უსრული, კონიუნქტივი პირველი, მყოფადი): ვერბალი სუბიექტი სახელობითშია, ვერბალი ობიექტი — მიცემითშია, ერთი იქნება თუ ორი: მონადირე კლავს ირემს... მონადირე ართმევს მეზობელს თოფს... დროთა მეორე ჯგუფში (ნამყო ძირითადი ანუ აორისტი, კონიუნქტივი მეორე) ვერბალი სუბიექტი მოთხრობითშია, ვერბალი ობიექტი კი — სახელობითში, თუ ერთია, ხოლო თუ ორია, ერთი სახელობითშია, მეორე მიცემითში: მონადირემ მოკლა ირემი... მონადირემ წაართვა მეზობელს თოფი... დროთა მესამე ჯგუფში (ნამყო სრული, ნამყო წინარეწარსული, კონიუნქტივი მესამე) ვერბალი სუბიექტი ისევ სახელობითშია, ვერბალი ობიექტი მიცემითში (თუ ერთი იყო; თუ ორი, ერთი — მიცემითში დაისმის, მეორე — ნათესაობითში თანდებულითურთ და კარგავს მო-

გილი თავის წერილებში: „საგრამატიკო ესკიზი...“ („ივერია“, 1887, №214, 215, 216, 217, 219, 220, 222) და „ახალი გზა-კვალი გრამატიკის კვლევა-ძიებისა“ („მოამბე“ 1894 წ. №4, 6).

რფოლოგიურ კავშირს ზმნასთან): მონადირეს მოუკლავს ირემი... მონადირეს წაუტომევეია თოფი მეზობლისათვის...

ასეთ ორპირიან ზმნათა შემცველი ფრაზებისათვის არ კმარა ერთი ფორმულა, საჭიროა სამი, დროთა თითოეული ჯგუფისათვის ცალკე. დროთა პირველი ჯგუფისათვის: **სახელობითი** (ვერბ. სუბიექტი) + **ზმნა + მიცემითი** (ერთი ან ორი: ვერბ. ობიექტი). დროთა მეორე ჯგუფისათვის: **მოთხრობითი** (ვერბ. სუბ.) + **ზმნა + სახელობითი** (ვერბ. ობიექტი [+ მიცემითი (მეორე ვერბ. ობიექტი)]... დროთა მესამე ჯგუფისათვის: **მიცემითი** (ვერბ. ობიექტი) + **ზმნა + სახელობითი** (ვერბ. სუბიექტი)... უკანასკნელი ტიპის ორპირიანი ზმნა (კლავს იგი მას) იწოდება **გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ა დ**, ყველა სხვაგვარი (ორპირიანი თუ სამპირიანი) ზმნა — **გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ა დ** ითვლება. **გარდაუვალია** ყველა ზმნა, თუ მასთან დაკავშირებული **სახელის თუ სახელების** (ვერბალი სუბიექტის, ვერბალი ობიექტის) **ბრუნვა დროთა სამსავე ჯგუფში უცვლელია**; გარდაუვალი შეიძლება იყოს ერთპირიანი ზმნაც და ორპირიანიც. **გარდამავალია** ყოველი ზმნა, თუ მასთან დაკავშირებული **სახელების** (ვერბ. სუბიექტისა და ვერბ. ობიექტის) **ბრუნვა იცვლება დროთა მეორე ჯგუფში**: სახელდობრ, თუ **ვერბალი სუბიექტი მოთხრობითში დაისმის** და **ვერბალი ობიექტი** (ერთი მაინც) **სახელობითში, — მან იგი** (ან: **მან — მას იგი**), აი ჩვეულებრივი სქემა გარდამავალი ზმნისა დროთა მეორე ჯგუფში: **მან** დაწერა **იგი**, **მან** დაუწერა **მას იგი**, **მან** წაართვა **მას იგი**, **მან** ააშენა **იგი**, **მან** დაანგრია **იგი** და სხვ.¹

¹ მოთხრობითი ბრუნვა თანამედროვე სამწერლობო ქართულში ხშირად უმარტებულოდ იხმარება: „მან დაპირდა, მან დაეხმარა, მან დაენიზლავა, მან შეეკამათა“ და სხვ. ბევრს შემთხვევაში ამ შეცთომას ავგაცილებს ვერბალი ობიექტის კრიტერიუმი: თუ (ვერბალი) „ობიექტი სახელობითში არ დაისმის, ზმნა გარდამავალი არ არის“, ე. ი. მოთხრობითი არ შეიძლება ვიხმაროთ (პროფ. ა. შანიძე): შეეკამათა **მას**, დაენიზლავა **მას**, დაეხმარა **მას** — ობიექტი „**მას**“ არის, ვერბალი სუბიექტი სახელობითში უნდა დაისვას: შეეკამათა **მას იგი** (და არა „მან“), დაენიზლავა **მას იგი**, დაეხმარა **მას იგი**...

მაგრამ ყოველთვის ეს ნიშანი ვერ გვშველის: ვერბალი ობიექტის ბრუნვაც შეიძლება აიროს; ასე მაგალ. ზოგი უკვე ამბობს: მან დაპირდა ფული (ნაცვლად: იგი დაპირდა ფულს)... ამიტომ ახალი ქართულისათვის შეიძლებოდა ზმნის ფორმისთვის მიგვემართა: თ უ მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ს მ ე ს ა მ ე პ ი რ ი **-ეს**ით ბ ო ლ ო ვ დ ე ბ ა, ზ მ ნ ა გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ა, უ ნ დ ა ვ ი ხ მ ა რ ო თ **მან**, თუ **-ენ**ით ბ ო ლ ო ვ დ ე ბ ა, ზ მ ნ ა გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ა, უ ნ დ ა ვ ი ხ მ ა რ ო თ **ის** (ი გ ი) და ა რ ა მ ა ნ: დაწერეს, მოკლეს, წაიკითხეს, წაართვეს **მათ**, — დაპირდნენ, დაეხმარნენ, დაენიზლავდნენ, შეეკამათნენ, — **იგინი**... ეს მით უფრო საჭიროა, რომ არის რიგი გარდამავალ ზმნათა, რომლებთან ვერბალი ობიექტი არ იხმარება: იყვირა, ისკუბა, იტრიალა, იღრიალა, იწუხა... (მან); ობიექტის მიხედვით აქ რისამე გარკვევა

რუსულმა (და არც სხვა ევროპულმა) ენამ არ იცის ამგვარი რამ: ღროთა მიხედვით სახელთა ბრუნვები არ იცვლება; შეადარეთ ზემოთ მოყვანილ ფრაზებს რუსული ფრაზები: **охотник убивает оленя, охотник убил оленя; охотник, оказывается, убил оленя...**

ქართული ზმნის სირთულისა და თავისებურებათა მთავარი წყარო, ვიმეორებთ, პირის აღნიშვნიდან მომდინარეობს; ორპირიანი (და სამპირიანი) ზმნები რომ არა გვქონდეს, ზმნების პრობლემა სიმწვავეს დაკარგავდა. ამჟამად კი ქართული ზმნის სირთულე არის ის საფუძველი, რომელზედაც აღმოცენებულია ქართული ფრაზის შედგენილობისა და მექანიზმის თავისებურება: თავისებური მორფოლოგია იძლევა თავისებურ სინტაქსს.

დაგვრჩა განუხილავი ზმნის ქცევა. ქართულში ყოველი ფეხის გადადგმაზე იხმარება ასეთი ფორმები: ვ-კლავ, ვ-ი-კლავ, ვ-უ-კლავ... ვ-ხარშავ, ვ-ი-ხარშავ, ვ-უ-ხარშავ, ვ-ა-ხარშავ... ვჭრი, ვ-ი-ჭრი, ვ-უ-ჭრი, ვ-ა-ჭრი. შევადაროთ: ვ-კლავ და ვ-ი-კლავ; ვ-კლავ ცხვარს და ვ-ი-კლავ ცხვარს, — განსხვავება ნათელია; პირველს ფრაზაში (ვკლავ ცხვარს) არა ჩანს ვისია ეს ცხვარი, ან ვისთვის კლავენ მას: ვკლავ ცხვარს — ჩემსას, შენსას, მისას (სხვისას) ჩემთვის, შენთვის თუ სხვისთვის : ყოველი მათგანი შეიძლება ვიხმაროთ, რადგანაც არც ერთი არ არის ნაგულისხმები; ფრაზაში კი: „ვ-ი-კლავ მე ცხვარს“ სხვაგვარი მდგომარეობაა; ორში ერთი: ან ცხვარი ჩემია, „და-ვ-ი-კლავ“ ნიშნავს „ჩემსას ვკლავ“, ან „ვიკლავ“ ნიშნავს „ჩემთვის ვკლავ“ (ცხვარი შეიძლება შენი ან მისი იყოს)... რუსულად რომ გადაგვეთარგმნა ქართული ფრაზა „ცხვარს ვიკლავ“, უნდა გვეთქვა: **режу овцу для себя ან режу свою овцу...**

ამ ფრაზის შინაარსი ამჟამად ჩვეულებრივს ერთს შესაძლებლობას უფრო გულისხმობს: „ვიკლავ ცხვარს“ — „ვკლავ ჩემთვის“... მაგრამ შეიძლებოდა „ვიკლავ“- ზმნის შემდეგ ისეთი სახელი დაგვესვა, რომ ასეთი გაგება სრულიად შეუძლებელი ყოფილიყო: „ვიკლავ თავს“: ამ ფრაზას მხოლოდ ერთი შინაარსი შეიძლებოდა ქონდეს: „ჩემსას (ამ შემთხვევაში — „თავს“ —) ვკლავ“ („ჩემთვის ვკლავ“ — აქ უაზრობა იქნებოდა)... ამგვარად „ვ-ი-კლავ“- ზმნა კონტექსტის მიხედვით შეიძ-

არ შეიძლება, მრავლობითის დაბოლოება კი აქაც დაგვეხმარება: იყვირეს, ისკუპეს, იტრიალეს, იღრიალეს... ყველგან **-ეს** არის, მაშასადამე, ყველასთან **მან** უნდა ვიხმაროთ: მან — იყვირა, ისკუპა, იტრიალა, იღრიალა, იწუხა, მათ — იყვირეს, ისკუპეს, იტრიალეს, იღრიალეს, იწუხეს... და სხვა. ზოგი კუთხის მკვიდრნი (მაგალ. იმერლები) **-ეს** დაბოლოების ნაცვლად **-ენ**-ს ხმარობენ: „იმგენმა დაწერენ, გააკეთენ, ააშენენ“, ხოლო გარდაუვალ ზმნებთან **მან**-ს ხმარობენ: მან მოვიდა, მოკვტა... და სხვა. ჩვენი წესი მათ ვერას უშველის; წესები, საერთოდ, ასეთ შემთხვევაში უძლურია.

ლება აღნიშნავდეს ან: 1. „ჩემსას ვკლავ“ ან 2. „ჩემთვის ვკლავ“.¹ ასევე: „ვიჭრი — ვ-ი-ჭრი“: ვიჭრი პურს (= ჩემთვის ვიჭრი), ვიჭრი ხელს (= ჩემსას ვიჭრი)... ეს შინაარსი ზმნისა **შექმნა იმ „ი“-მ, რომელიც პირის ნიშანსა და ფუძეს შორის არის მოთავსებული**: ვ-ი-კლავ (ჩემსას ან ჩემთვის), ი-კლავ (შენსას ან შენთვის), ი-კლავ-ს (თავისას ან თავისთვის)... ვ-ი-კლავთ, ი-კლავ-თ, ი-კლავენ...

ამ „ი“-ს ადგილას რომ „უ“-ნი დაისვას, ზმნა ახალ, განსხვავებულ მნიშვნელობას მიიღებს: ვ-უ-კლავ მე (მეზობელს ცხვარს...); აქაც ორნაირი გაგებაა შესაძლებელი: ან ცხვარი მეზობლისაა და მე მას ვკლავ, ანდა: ცხვარს მეზობლისთვის ვკლავ, შეიძლება იგი ჩემი იყოს ან შენი; ამ ფრაზაში უპირატესობა მეორე გაგებას უნდა მიენიჭოს, ჩვეულებრივ: მეზობელს ცხვარს ვუკლავ — მეზობლისათვის ვკლავ... მაგრამ, ასეთი გაგება სრულებით შეუძლებელი იქნება ფრაზაში: გულს ვუკლავ (მშობლებს ჩემი სიზარმაცით); ეს შეიძლება მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდეს: მშობლების გულს ვკლავ... ასევე: სულს ვუწუხებ, ანდა: წიგნს ვუკარგავ ამხანაგს (= ვკარგავ ამხანაგის წიგნს)²...

ვ-ა-კლავ ცხვარს ჯირკს, ვ-ა-წერ დაფაზე მაგალითს... ამ ზმნებში „ა“-სთან არის დაკავშირებული სხვაგვარი შინაარსი: ვ-ა-წერ — რაღაცაზე ვწერ რაღაცას, ვ-ა-კლავ — რაღაცაზე ვკლავ რაღაცას, თუ ვიღაცას... ასევე ზმნებში: და-ა-სხა, და-ა-ფურთხა, და-ა-კრა...

ამ საილუსტრაციო მაგალითების განხილვიდან ჩანს, რომ **ქართულ ზმნაში ფუძის წინ შეიძლება ჩაერთოს ხმოვნები (ი, უ, ა), რომელნიც აღნიშნავენ სხვადასხვაგვარ მიმართებას ზმნის სუბიექტსა და ობიექტს ან თვით ობიექტებს შორის**. ქართული ზმნის ეს სიტყვაწარმოებითი კატეგორია იწოდება **ქცევად. ი, უ, ა** — ხმოვნები ქცევის მაჩვენებელი ხმოვნებია. **ი**-ით აღნიშნულ ქცევას **სათვისოს** უწოდებენ, **უ**-თი აღნიშნულს — **სასხვისოს**, ხოლო **ა**-თი აღნიშნულს — **საზედაოს**³... აქვე დავძენთ: 1. **-ი-** ფუძის წინ ყოველთვის ქცევის ნიშანი არ

¹ ნამყო ძირითადში გარჩეულია პრევერბებით: „მო-ვ-ი-კალი თავი“, მაგრამ „და-ვ-ი-კალი ცხვარი“, ანდა: „გა-ვ-ი-ჭერი ხელი“, „მო-ვ-ი-ჭერი პური“...

ისტორიულად პირველი შინაარსია უპირატესი: „სათავისობა“ აქიდან უნდა იყოს განვითარებული: ე. ი. თავდაპირველად „ვიკლავ“ ნიშნავდა მხოლოდ „ჩემსას ვკლავ“ და გულისხმობდა „თავს“, სხვა შემთხვევაში საკუთარი სხეულის ნაწილს; მაგალ. „ვიჭრი“ ნიშნავდა ჩემი სხეულის ნაწილს ვჭრი: ხელს, ფეხს ვიჭრი... მხოლოდ შემდეგ გაფართოვდა მისი შინაარსი: ჩემსას — ჩემთვის...

² უ-ს პირველადი შინაარსი ასეთი უნდა ყოფილიყო: ვ-უ-კარგავ — მისას ვკარგავ; ვ-უ-კლავ — მისას ვკლავ...

³ არას გამბობთ აქ ე. წ. **სარვისო** ქცევის შესახებ: სხვა ქცევებს იგი უპირისპირდება იმით, რომ ქცევის შინაარსი არა აქვს. ე. წ. სათანაო ჩვენ ქცევად არ

არის, არამედ ვნებითობის მაჩვენებელიც შეიძლება იყოს, მაგალ.: იკვლის, იწერება, იხარშება... 2. **-ი-** შეიძლება ვნებითობის მაჩვენებელი არ იყოს, ქცევის ნიშანი იყოს, მაგრამ არ ქონდეს სათავისო შინაარსი; მაგალ. და-ი-წყო, ა-ი-ლო... აგრეთვე იყოს **-უ-**, მაგრამ არ ჩანდეს „სასხვისო“ მოქმედება (მაგ. უყვარს, უკვირს, უჩანს...); განსაკუთრებით ეს ითქმის საზედაო ქცევის **-ა-**-ს შესახებ; საზედაობა მრავალ შემთხვევაში არ ჩანს, მაგალ.: მი-ა-რთვა, მი-ა-წოდა, მი-ა-ყენა მან იგი მას... უადგილობის გამო ვერ შევჩერდებით ასეთ მოვლენებზე; უყურადღებოდ ვტოვებთ იმ დიდად საინტერესო ფაქტებსაც, რომელნიც ახასიათებენ სათავისოსა და სასხვისო ქცევის ურთიერთობას, როცა ვერბალ ობიექტად **მე** და **შენ** არის (იგი — უკლავს მას მას, გ-ი-კლავს შენ მას, მ-ი-კლავს მე მას...): სათანადო ლიტერატურაში ეს ფაქტები განხილულია, მათი ახსნა კი აქ უადგილო იქნებოდა. ჩვენი მიზნისათვის საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ქართულ ზმნას აქვს კატეგორია ქცევისა და მისი ეს თავისებურებაც (თუმც ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ი ე ბ ი თ ი) ისევ სირთულეს ქმნის და ქართულ ზმნაში გარკვევას აძნელებს.

ევროპულ ენებთან შედარებით ე. წ. კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი ქართული ზმნის თავისებურებების ახალ მომენტს ქმნის.¹ კაუზატიურად იწოდება ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ი ე ბ ი თ ი ფორმები, რომლებიც ქართულს გრამატიკებში მეთვრამეტე საუკუნიდან „სხმით-გარდასვლითის“ (და „კვლავსხმით-გარდასვლითის“) სახელითაა ცნობილი; ამის მაგალითია: წერა — აწერინა,² ხატა — ახატვინა, ადგინა — ადგენინა, აშენა — აშენებინა... რუსულში (ან სხვა ევროპულ ენაზე) ეს ფორმები მთელი ფრაზით თუ გადმოიცემა: აწერინა — *заставил писать*, ახატვინა — *заставил рисовать*, აშენებინა — *заставил строить*... ქართულში კაუზატივებს შეუძლიათ სათავისო და სასხვისო ქცევა აწარმოონ, — სათავისო იშვიათად, სასხვისო — ჩვეულებრივ: გააყრევინა — გაიყრევინა (= თავისი გააყრევინა: მაგალ. მტვერი გაიყრევინა...), მოაჭედვინა — მოუჭედვინა = მოაჭედვინა მას იგი მისთვის (სხვისთვის).

ზმნაში ორისა და სამი პირის აღნიშვნა, ქცევათა და კაუზატივების წარმოება — თითოეული ცალკე და ყველა ერთად ქმნის ფორმათა იმ ხლართს, რომელიც ქართული ზმნის დამახასიათებელია და მის სიძნელეს

მიგვაჩნია: ქ ც ე ვ ა ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ი ე ბ ი თ ი (და არა ფორმაცვალებითი) კატეგორიაა; ამიტომაც ყოველ ქცევას თ ა ვ ი ს ი მ ა წ ა რ მ ი ე ბ ე ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი უ ნ დ ა ქ ო ნ დ ე ს; „სათანაო ქცევას“ კი ეს არ გააჩნია.

¹ კაუზატიური ფორმები ინდო-ევროპულ ენებში ძველ-ინდურს ქონდა.

² ქართულს გრამატიკებში აწარმოებენ „კვლავსხმითგარდასვლით“-საც: აწერინებინა, აშენებინებინა, ახატვინებინა: ხელოვნური წარმოება.

განსაზღვრავს. უკანასკნელ ორს, როგორც სიტყვაწარმოებითს კატეგორიას, ჩვენ ვაკვრიტ შევეხეთ, პირის საკითხი კი უფრო დაწვრილებით (თუმცა არა სრულად!) განვიხილეთ; ეს გასაგებიცაა: ქართული ფრაზის აგებულების თავისებურებისათვის ორპირიანობა-სამპირიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.¹ რა სახეს იღებს ასეთ პირობებში ქართული ენის სინტაქსი — ამის შესახებ ცალკე მოგვიხდება საუბარი.

¹ ვისაც მოესურვება ამ წერილში დასმულ საკითხებთან გაცნობა, მივუთითებ შემდეგს ლიტერატურაზე: 1. ნ. მარის „ძირითადი ტაბულები ძველი ქართული გრამატიკისა...“ პტრბ. 1908 წ. (რუსულ.); 2. მისივე: ძველი-სამწერლობო ქართულის გრამატიკა, — ლენინგრ. 1925 წ. (რუს.); 3. პროფ. ა. შანიძე: სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულში, ტფილ. 1920. აქ სხვა პირთა შესახებაც უხვად არის მოწოდებული ცნობები; ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი არ არჩევს ზმნის სუბიექტ-ობიექტს შესიტყვების სუბიექტ-ობიექტისაგან, და ვერბალ სუბიექტ-ობიექტს ქვემდებარესა და დამატებას უწოდებს, რაც შეცთომია. იმავე შეცთომას აქვს ადგილი ჩემს წერილში „პირის აღნიშვნა ქართულს ზმნაში“ (საქართ. განათლების მუშაკი, 1926 წ. №14); ეს შეცთომა თავიდან აცილებულია ჩვენს ნარკვევში: „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში I: ქვემდებარე-დამატების საკითხი ძვ. ქართულში“ ტფ. 1928. — ქცევათა და კაუზატივების შესახებ იხ. ა. შანიძე: „ქართული ზმნის საქცევი“ (ტფილ. უნივერს. მოამბე, ტ. VI).

III

შენიშვნები სინტაქსის შესახებ

ამ წერილში ჩვენი მსჯელობის საგანი უნდა ყოფილიყო ქართული სინტაქსის თავისებურებანი, მაგრამ აუცილებელი ხდება წინასწარ გავვრკვეთ საერთოდ სინტაქსის ძირითად საკითხებში ზოგადად მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული სინტაქსის თავისებურებათა შესახებ მსჯელობა შეიძლება დარჩეს სრულიად გაუგებარი.

რა არის სინტაქსი? ჩვენი სკოლის მასწავლებელს რომ შეეკითხოთ, მას უწინარეს ყოვლისა წინადადება მოაგონდება: სინტაქსი ხომ წინადადებას ეხება, მარტივსა, რთულს თუ შეერთებულს; ის ხომ გვასწავლის, რა არის ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება, გარემოება... აი სინტაქსის საკითხები, მის პრობლემათა არე გარკვეულს წრეებში გავრცელებული შეხედულების მიხედვით.

განათლებული ადამიანი, რომელსაც გრამატიკულ სინამდვილესთან უშუალო კავშირი არა აქვს, სინტაქსში სხვა რასმე გულისხმობს; სინტაქსი მისთვის ისეთი დისციპლინაა, რომელიც სწავლობს მეტყველების ფორმებს კი არა, არამედ შინაარსეულ მომენტებს; ეს არის თითქმის იგივე, რაც მოძღვრება სტილის შესახებ, ყოველ შემთხვევაში, რაღაც მჭიდროდ დაკავშირებული ამ უკანასკნელთან.

სინტაქსის ისტორიაში ჩვენ ვიპოვით ისეთ ფაქტებს, რომელნიც გასაგებად გახდიან, თუ რატომ და როგორ შეიძლება გაჩენილიყო ასეთი შეხედულებები, მაგრამ არც ისტორია, არც თანამედროვე ვითარება სინტაქსისა არ გვაძლევს საბუთს აქ წარმოდგენილი შეხედულებანი ერთადერთ შეხედულებად მივიჩნიოთ. მეორის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება, პირველიც კი მხოლოდ ერთ-ერთი შეხედულებაა, თუმცა საკმაოდ გავრცელებული. არსებობს სხვა შეხედულებაც, არა ნაკლებ გავრცელებული, შეუღარებელი უფრო დასაბუთებული.

ერთის სიტყვით, სინტაქსის გაგებაში ერთგვარობას ვერა ვპოვებთ, ადგილი აქვს სხვადასხვა მიმართულებას. ცნობილი ინგლისელი ლოგიკოსი ჯ.ს. მილი თავის შესანიშნავ კურსს ლოგიკისას იწყებს სიტყვებით: „ლოგიკის ავტორები ძალზე ცილდებიან ერთურთს, როგორც ლოგიკის განსაზღვრებაში, ისე მისი დეტალების დალაგებაში; ეს იმთავითვე იყო მოსალოდნელი ისეთ საგანში, სადაც მწერლები ერთი და იმავე

სიტყვებით აღნიშნავენ სხვადასხვაგვარ ცნებებს“ (ხაზი ჩვენია **ა.ჩ.**) ეს სიტყვები ზედგამოჭრილი იქნებოდა სინტაქსზედაც, გრამატიკოსები რომ ისევე, როგორც ლოგიკოსები, შეგნებულად მიყვებოდნენ ამა თუ იმ მიმართულების გზას, — რასაც ხშირად არა აქვს ადგილი. რა არის სინტაქსის საგანი? რა თვალსაზრისით შეისწავლის იგი ამ საგანს? რა მეთოდია აუცილებელი ამ თვალსაზრისით გარკვეული საგნის შესასწავლად? რა მიმართებაში იმყოფება ასე თუ ისე გაგებული სინტაქსი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინებთან (ფონეტიკასთან, მორფოლოგიასთან, სემასიოლოგიასთან?) — ეს ძირითადი საკითხები ხშირად არა თუ უპასუხოდ არის დატოვებული, არამედ მათი დასმის საჭიროებასაც კი არ გრძნობენ. და განა გასაკვირია, თუ სინტაქსურ ძიებას აკლია თანამიმდევრობა და მასში არეულია ის, რისი არევაც დაუშვებელია?! განა ბუნებრივი არ არის, თუ სინტაქსი ყველაზე მოუწყობელი უბანია ენათმეცნიერებაში და მის შესახებ არც თუ იშვიათად გაიგონებთ მწარე სიტყვებს, სამწუხაროდ მართებულს?! განსაკუთრებით ეს სასკოლო სახელმძღვანელოებს ეხება, რომელთა მართალი დახასიათება მოისმის ენათმეცნიერ ბუნდეს სიტყვებში: „ახლანდელი სინტაქსი არც თუ ლოგიკაა, არც ფსიქოლოგია, არც სემასიოლოგია; ეს არის რაღაც მეტად რთული, უპრინციპო, უსისტემო და უთავბოლო“ (**Основы синтаксиса русск. яз. 1913**; ხაზი ჩვენია — **ა.ჩ.**). ასეთი მდგომარეობა შემთხვევით არ შექმნილა; ეს გამოიწვია სათანადო სინამდვილის (სინტაქსის საგნის) სირთულემ¹ და მასთან დაკავშირებით ენათმეცნიერული აზრის ისტორიამ.

და ზოგიერთი ცნობები ამ ისტორიიდან საუკეთესო შესავალი იქნება სინტაქსის თანამედროვე მდგომარეობის გასათვალისწინებლად. როგორც ცნობილია, ძველ კულტურულ ხალხთაგან დამოუკიდებლად მხოლოდ ორმა ჩამოაყალიბა და განავითარა გრამატიკა: ესენი არიან ინდოელები და ბერძნები. ევროპულ ენათა თანამედროვე გრამატიკები დამყარებულია ბერძნულ გრამატიკულ სისტემაზე ისე, როგორც ეს არის წარმოდგენილი დიონისეთრაქიელის „გრამატიკულს ხელოვნებაში“ („ტექნე გრამმატიკე“-ში) მეორე საუკუნ. ქრ. წინ; ეს პირველი გრამატიკა

¹ სირთულის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის მჭიდრო კავშირი, რომელიც მეტყველებასა და აზროვნებას შორის არსებობს და რომლის წყალობით მეტყველებითი და აზროვნებითი მომენტების გათიშვა (ენისა და აზრის შესწავლისას) უდიდესი სიძნელისა აღმოჩნდა; ამ ნიადაგზე წარმოიშვა — ლოგიკაში შეტანა ისეთი რისამე, რაც გრამატიკას განეკუთვნება და გრამატიკაში, პირიქით, ისეთი რისამე, რაც ლოგიკაში უნდა იყოს, ე. ი. წარმოიშვა „ლოგიკის გრამატიზაცია“ და „გრამატიკის ლოგიზაცია“ (ამის შესახებ მსურველს შეუძლია ზოგიერთი ცნობები მოიპოოს ჩვენს ნარკვევში: „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში, I: ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“; ტფილ. 1928, თავი პირველი).

შეიცავს ელემენტარ მოძღვრებას ბგერათა („ასოთა“, როგორც მაშინ იტყოდნენ) შესახებ და საკმაოდ ვრცელ ანალიზს სიტყვის ფორმათა ცვალებისა და ფუძეთა წარმოებისა (ე. წ. მორფოლოგიას აწინდელის გაგებით). სინტაქსი არსადა ჩანს: მან სამი-ოთხი საუკუნე დაიგვიანა. სინტაქსის მამამთავრად ითვლება აპოლონიოს დისკოლო („მძიმე აპოლონი“), რომლის მოღვაწეობა განეკუთვნება მეორე საუკუნეს ქრ. შემდეგ. მორფოლოგია დიონისესი და სინტაქსი აპოლონიოსისა (მცირედის ცვლილებებით) საუკუნეთა განმავლობაში მისაბაძი მაგალითი და ერთადერთი სახელმძღვანელო იყო ჯერ რომაელთა ხელში და მთელი აწინდელი დასავლეთი ევროპისათვის საშვალო საუკუნეთა განმავლობაში.

ჩვენი საკითხის თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: დიონისეს „გრამატიკულს ხელოვნება“-ში სინტაქსს ადგილი არა აქვს, მაგრამ წინადადების შესახებ ლაპარაკი კი არის (რა სახით, ახლავ ვნახავთ), — აპოლონიოსმა სინტაქსი შექმნა, მაგრამ წინადადების შესახებ მის სინტაქსში არაფერი ისმის. **უწინადადებო სინტაქსი** (აპოლონიოსი), **უსინტაქსოდ წინადადება** (დიონისესი) — აი ორიგინალური მდგომარეობა, რომელიც ყოველ შემთხვევაში ახლა გავრცელებულ შეხედულებას სრულებით არ ეგუება. შეცთობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დიონისეს იხილავს წინადადებასა და მის ნაწილებს — ქვემდებარეს, შემასმენელს, დამატებას, განსაზღვრებას და სხვ., ასეთი რამ მას არ მოეპოება, თუმცა იგი წინადადების განსაზღვრებასაც იძლევა და მის ნაწილებსაც აგვიწერს.

რა არის წინადადება? „წინადადება (ლოგოსი) არის სიტყვათა შეერთება, რომელიც დამთავრებულ აზრს წარმოგვიდგენს“. წინადადების ნაწილებია: სახელი, ზმნა, მიმღეობა, ნაწევარი, ნაცვალსახელი, წინდებული, ზმნისართი, კავშირი (სულ რვა). აქიდან ცხადად ჩანს, რომ დიონისეს წინადადების ნაწილები იგივეა, რაც ჩვენი „მეტყველების ნაწილები“. ახლანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, დიონისეს აწარმოებს მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციას; წინადადება მას ჰირდება მხოლოდ როგორც ამოსავალი წერტილი: არის ფრაზა, აზრის გამომხატველი, არის სიტყვათა შენაერთი და უკანასკნელში ჩვენი გვაქვს სხვადასხვაგვარი სიტყვა: სახელი, ზმნა, ნაცვალსახელი...¹

¹ ამის აღნიშვნა საჭიროდ ვცანით, სხვათა შორის, ერთი მოსაზრების გამოც: სულ ბოლო ხანებამდე ჩვენს სასკოლო გრამატიკებში იხმარებოდა ტერმინი „სიტყვის ნაწილი“ ნაცვლად „მეტყველების ნაწილი“. რატომ უნდა დაერქმიათ სახელისა გინდ ზმნისათვის „სიტყვის ნაწილი“: ისინი ხომ მთელი სიტყვებია და არა ნაწილი სიტყვისა?! ეს ადვილი გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ გამოთქმა „სიტყვის ნაწილი“ „სიტყვა“ ნახმარია არა ახლანდელი, არამედ ძველი მნიშვნელობით: „სიტყვა“ = „თქმა“, „მეტყველება“, და გამო-

აპოლონოს დისკოლომ პირველმა მოხაზა სინტაქსის არე და ნათლად აღნიშნა ის საკითხები, რომელნიც სინტაქსს განეკუთვნებიან. აპოლონოსი ასევე სვამს საკითხს: რატომ არის სიტყვათა ერთი შენაერთი (ერთი შესიტყვება) სწორი და რატომ მეორე არასწორი? რატომ შეიძლება, მაგალ. „ბავშვი თამაშობენ“ და უნდა „ბავშვი თამაშობს“. პასუხი იყო: იმიტომ რომ, „თამაშობს“ და „ბავშვი“ ერთმანეთს შეეფერება: სახელიც მესამე პირია და ზმნაც, სახელიც მხოლოდობით რიცხვშია და ზმნაც. პირველ შემთხვევაში კი, — „ბავშვი თამაშობენ“ — ასეთ რასმე ადგილი არა აქვს: „ბავშვი“ მხოლოდობითია, „თამაშობენ“ — მრავლობითში... ზოგადად: შესიტყვების სისწორისა თუ უსწორობის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი სიტყვა, რომელსაც გააჩნია სქესი, ბრუნვა, რიცხვი, პირი, შეიძლება შევხამოთ შესაფერი სქესის, ბრუნვის, რიცხვის, პირის მქონე სიტყვასთან. აპოლონოსის ამ დებულებიდან ჩანს, რომ იგი უმთავრესად სიტყვათა შეთანხმებას აქცევს ყურადღებას. მართვა და შეთანხმება არ არის გარჩეული, მაგრამ დადგენილია კარდინალური მნიშვნელობის ფაქტი, სახელდობრ, რომ არსებობს გარკვეული დამოკიდებულებების სიტყვათა შორის. ამგვარად, აპოლონოს დისკოლომ დასვა და გადაწყვიტა სინტაქსის ძირითადი საკითხი. ადგილი გასაგებია, რად ეწოდა გრამატიკის ამ დარგს „სინტაქსი“. სინტაქსი (სუნტაქსის) ბერძნული სიტყვა, მისი ლათინური თარგმანია კონსტრუქცია (კონსტრუქციო) და ერთიცა და მეორეც ნიშნავს: „შეერთება“, „შენება“, „აგებულება“, „აგება“ (ორი ან მეტი სიტყვისაგან სიტყვათა შენაერთისა, შესიტყვების).

სინტაქსის საგანია სიტყვათა შენაერთი, შესიტყვება. ცხადია, რომ ერთი სიტყვის სინტაქსი შეუძლებელია. სიტყვათა შენაერთში მთავარ როლს ასრულებს სახელი და ზმნა; სხვა სიტყვები ამათ ეკედლება. აპოლონოსმა განიხილა შეხამება ნაწევარისა სახელთან, ნაცვალსახელისა ზმნასთან, წინდებულისა სახელებთან; არ განუხილავს (ყოველ შემთხვევაში ჩვენ დრომდე არ მოუღწევია) სახელისა და ზმნის შეხამება, მათი სინტაქსი.

აპოლონოსი არ აფასებს სიტყვებს იმ როლის მიხედვით,

ყენებულია დიონისეს „ლოგოს“-ის შესატყვისად, სხვანაირად რომ ვთქვათ, „სიტყვა“ ნახმარია „წინადადებას“ მნიშვნელობით. ასეა ნახმარი იგი ანტონ პირველის გრამატიკაშიც. ამისდა მიხედვით „სიტყვის ნაწილი“ ნიშნავს წინადადების ნაწილს — დიონისეს შემოხსენებული გაგებით. და როცა მეოცე საუკუნის რომელიმე ქართველი გრამატიკოსი ამბობს: „სიტყვის ნაწილებია: სახელი, ზმნა, ნაცვალსახელი...“ არც ჩვენ და, რაც უფრო საინტერესოა, არც თვით ის ოდნავადაც არ ამჩნევს, რომ ეს არის განმეორება ორი ათას ასი წლით ადრე გამოთქმული დებულებისა.

რომელსაც ისინი ასრულებენ შესიტყვებაში, არც ის პროცესები აქვს გარჩეული, რომელიც შესიტყვებას ქმნიან, — მართვა და შეთანხმება, — მაგრამ ისიც, რაც მან დაუტოვა შემდეგ საუკუნეებს, უდიდესი მნიშვნელობისაა: სინტაქსის კონსტიტუცია დაწერილია, ნაჩვენებია, რა უნდა შესწავლოს მან, რა საფუძველზე უნდა წარმოებდეს ეს შესწავლა.

თუ სადმე ტერმინი შეეფერება ცნებას, ტერმინი „სინტაქსი“ ზედგამოჭრილია იმისათვის, რასაც აპოლონიოსი სინტაქსს უწოდებს.

აპოლონიოსის სინტაქსი უცვლელად შეინახეს საშვალო საუკუნეებმა: მათ განასხვავეს მხოლოდ მართვა და შეთანხმება, სინტაქსური ურთიერთობის ეს ორი სახე. წინადადება, როგორც სინტაქსის საგანი, ქვემდებარე, შემასმენელი და სხვ., როგორც წინადადების ნაწილები ამ ხნის განმავლობაში არსადა ჩანს **სინტაქსში**. ეს ცნებები სინტაქსში ჩნდება მეცხრამეტე საუკუნეში. ამ ცნებათა გადმონერგვისათვის ნიადაგს ამზადებენ თანდათანობით მეჩვიდმეტე საუკუნიდან: ე. წ. რაციონალური გრამატიკა, შემდეგ ქრ. ვოლფი (მეთვრამეტე საუკ.), გოტ. ჰერმანი და (ფრ. შლეგელი და სხვ.), — მეცხრ. საუკ. —, ხოლო ამ ცნებებს ამკვიდრებს სინტაქსში კარლ ბეკერი...¹

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ხსენებული ცნებები არ იყო **სინტაქსში**. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ცნებები (წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი) შეიქმნა სინტაქსში მეცხრამეტე საუკუნეში,² მანამდე კი არ არსებობდა. არაფერი ამის მსგავსი: ეს ლოგიკის ცნებებია წარმოშობით; ლოგიკაში ეს ცნებები ძველთაგანვე იხმარებოდა; წინადადება („ლოგოსი“, იმავე დროს მსჯელობასაც აღნიშნავს), ქვემდებარე (აუბოკეიმენონი), შემასმენელი (კათეგორუმენონ) უკვე ნახმარი აქვს ლოგიკის მამამთავარს არისტოტელეს (მეოთხე საუკუნეში ქრ. წინ); ასე რომ, ეს ტერმინები უფრო ძველია, ვინემ თვით გრამატიკა: ისინი ორი საუკუნიტ წინ უსწრებენ დიონისეს გრამატიკას. მეხუთე საუკუნეში ქრ. შემდეგ ბოეთიუსმა ლათინურად თარგმნა ბერძნული ტერმინები: აუბოკეიმენონ — სუბიექტად (ქართ. ქვემდებარე), კათეგორუმენონ — პრედიკატად (ქართ. შემასმენელი); საბოლოოდ ლოგიკაში ეს ლათინური ტერმინები დამკვიდრდა მეთვრამეტე საუკუნეში ქრ. ვოლფის წყალობით.

ამრიგად, სინტაქსს არ ქონდა ეს ტერმინები, ისინი მან ლოგიკიდან ისესხა. ლოგიკის ამ ტერმინებისა (და ცნებების) დასახელებას გრამატიკაში წინ უძღოდა თავისებური გაგება იმ ურთიერთობისა, რომელიც

¹ კ. ბეკერის „ენის ორგანიზმი“ გამოვიდა 1826 წელს, ხოლო მისი გერმანული გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ლოგიკის-ტური სინტაქსის გავრცელების საქმეში, გამოცემულია 1837 წ.

² ასეთი განსაზღვრების დაფასება იხ. ქვემოთ.

მეტყველებასა და აზროვნებას შორის არსებობს; მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ე. წ. რომანტიკოსებმა წამოაყენეს დებულება აზროვნებისა და მეტყველების ორგანული ერთობის შესახებ და ამ ნიადაგზე წინადადება გამოცხადებულ იქნა აზრის განმახორციელებლად, აზრის ნაწილებისა და წინადადების ნაწილებს შორის დასვეს იგივეობის ნიშანი. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა გრამატიკაში წინადადების ის ცნობილი განსაზღვრება, რომლის პოპულარობას მისივე უკუღმართობა თუ შეედრება და რომელიც გვეუბნება: „აზრი, გამოთქმული ზეპირად ან წერით, არის წინადადება.“¹

ამ ისტორიული ექსკურსის მიზანი იყო დაენახვებინა, რომ ვაგრცვლებული შეხედულება სინტაქსის საგნისა და ცნების შესახებ წარმოიშვა საკმაოდ თავისებურ პირობებში ახლო წარსულში (მეცხრამეტე საუკუნეში). ამავე საუკუნემ დაგვიტოვა ორი სხვა არსებითად განსხვავებული გაგება სინტაქსისა. მეოცე საუკუნეს ახალი შეხედულება არ მოუცია.

ასე რომ, თუ თანამედროვე მდგომარეობას სისტემატურად მიმოვიხილავთ, ჩვენ წინ სინტაქსის სამი განსაზღვრება დადგება: 1. სინტაქსი არის მოძღვრება სიტყვის კლასებისა და სიტყვის ფორმების მნიშვნელობის შესახებ; 2. სინტაქსი არის მოძღვრება წინადადების შესახებ; 3. სინტაქსი არის მოძღვრება შესიტყვების ფორმისა და მნიშვნელობის შესახებ.² წინადადება, როგორც ერთ-ერთი სახე შესიტყვებისა, უკანასკნელ მიმართულებასაც აქვს ჩვეულებრივ სინტაქსის საგნად მიჩნეული; ამდენადვე უკანასკნელი ორი შეხედულება ერთმანეთს ნაწილობრივ ფარავს სინტაქსის საგნის გაგებაში (ოღონდ უფრო ვიწროა). რაც შეეხება პირველს, იგი არსებითად უპირისპირდება ორს უკანასკნელს.

შეხედულება, რომ სინტაქსი შეისწავლის სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობას, წამოაყენა სლავური ენების მკვლევარმა მიკლოშიჩმა; მისი „სლავური ენების შედარებითი გრამატიკის“ მეოთხე ტომის — „სინტაქსი“-ს (1872 წ.) პირველსავე თავში ნათქვამია: „გრამატიკის ის ნაწილი, რომელმაც უნდა განიხილოს სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობა, არის სინტაქსი. სინტაქსი ამის-

¹ ასეთი განსაზღვრების დაფასება იხ. ქვემოთ.

² საკმაოდ ხშირად სინტაქსში განიხილავენ ფორმათა მნიშვნელობასაც და წინადადებასაც; ასეთი სინტაქსი სრულებით არ ასაბუთებს, რატომ სწავლობს ის სწორედ ამ საგნებს და ამ თვალსაზრისით. რამდენადაც ასეთ შემთხვევაში დასაბუთებულ შეხედულებასთან არა გვაქვს საქმე, ცალკე მიმდინარეობად მისი გამოყოფა და დაფასება ზედმეტად ვცანით — არას ვამბობთ, აგრეთვე უკანასკნელ წლებში თანამედროვე ფილოსოფიის (კერძოდ, ედმ. ჰუსერლის) ზეგავლენით წამოწყებულ ორიგინალურ ცდაზე (პოციგისა, 1925 წ.), რომ სინტაქსი მიჩნეულ იქნეს მოძღვრებად მნიშვნელობათა შესახებ, — ამ სიტყვის სრულიად თავისებური გაგებით: ეს შეხედულება ჯერ საპროგრამო მსჯელობის ფარგლებს არ გასცილება.

და მიხედვით განიყოფება ორ ნაწილად, რომელთაგანაც პირველის საგანია სიტყვათა კლასების, მეორესი კი — სიტყვათა ფორმების მნიშვნელობა“. სიტყვათა კლასებში მიკლოშიჩი გულისხმობს მეტყველების ნაწილებს და სინტაქსის პირველს ნაწილში იხილავს: 1. არსებით სახელს; 2. ზედსართავს — მის სქესსა და რიცხვს; 3. რიცხვით სახელს; 4. ნაცვალსახელს; 5. ზმნისართს; 6. კავშირსა და 7. ზმნას — მნიშვნელობის მიხედვით, რა თქმა უნდა! მეორე ნაწილი მოგვითხრობს სიტყვათა ფორმების მნიშვნელობათა შესახებ; ეს ფორმებია: სახელთა ბრუნვები; პირი, რიცხვი, დრო და კილო. ამათ მნიშვნელობათა ანალიზს უნდება მეორე ნაწილი. გაკვირით, ამა თუ იმ მნიშვნელობასთან დაკავშირებით მიკლოშიჩი შენიშნავს, მაგალ.: ეს არის სუბიექტი, რომელსაც ლოგიკის [იმავე] ცნებისაგან განსხვავებით გრამატიკული შეიძლება ვუწოდოთ; ასევე — პრედიკატს, რამდენადაც ზმნა პრედიკატს გამოხატავს, ეწოდება გრამატიკული პრედიკატი. მაგრამ ეს ცნებები, ისევე როგორც წინადადება — ცნება (მაგალ., უსუბიექტო წინადადებათა შესახებ მსჯელობისას), ამოტივტივდებიან აქა-იქ იმდენად, რამდენადაც მნიშვნელობათა ანალიზისას მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს ამ ტერმინებს — და მხოლოდ!

ვერვინ უარყოფს, რომ მიკლოშიჩის შეხედულებას ერთნაირი თანამიმდევრობა და შინაგანი მთლიანობა ახასიათებს, ფონეტიკა — ბგერებს შეისწავლის, ცალკე სიტყვათა შედგენილობასა და ფორმებს მორფოლოგია არკვევს, იმავე ცალკე სიტყვათა მნიშვნელობათ სინტაქსი იძიებს. სინტაქსი მორფოლოგიისაგან საგნის მიხედვით კი არ განიხივება, არამედ მხოლოდ თვალსაზრისით; საგანი ორივესათვის ერთია — ცალკე სიტყვა, მის ფორმას მორფოლოგია სწავლობს, მნიშვნელობას — სინტაქსი.

კითხვა იბადება: რაღა უნდა აკეთოს სემასიოლოგიამ, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში წლებიდან (1839 წ. რაიზიგის მიერ) ცალკე საენათმეცნიერო დისციპლინად იქნა გამოყოფილი და მნიშვნელობათა კვლევა დაესახა მიზნად რა მიმართებაში იმყოფება სემასიოლოგია სინტაქსთან, რომელიც აგრეთვე მნიშვნელობას სწავლობს? ამ კითხვაზე პასუხი არ ჩანს. გარკვეული პასუხი კი აუცილებელია, თუ გვინდა ნათელი იყოს სხვადასხვა საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის არსებული ურთიერთობა. ამას გარდა: მიკლოშიჩს განუხილველი რჩება ის ურთიერთობა, რომელიც სიტყვათა შორის არსებობს, რომელიც ცალკეულ სიტყვათაგან მწყობრ ერთეულს, შესიტყვებას, ქმნის და რომელიც სინტაქსის საგნად იყო მიჩნეული სრულიად საფუძვლიანად იმ თავითვე აპოლონიოსის მიერ. ამ სპეციფიკური სინტაქსური სინამდვილის უყურადღებოდ დატოვება ისეთი ნაკლია, რომელსაც ვერ დაფარავს შემოსხენებული ღირსება მიკლოშიჩის შეხედულებისა.

მიკლოშიჩის გაგება ყველაზე ნაკლებად არის გაგრძელებული. როგორც ვიცით, ეს არ ითქმის მეორე შეხედულების შესახებ, რომელიც სინტაქსს თვლის მოძღვრებად წინადადების შესახებ და რომლის წარმოშობა ზემოთ გავითვალისწინეთ.

პირველი საკითხი, რომელიც ამ გაგების ნიადაგზე წამოიჭრება, არის წინადადების განსაზღვრის საკითხი: რა არის წინადადება? ორნაირ პასუხს შევხვდებით. ერთი ასეთია: წინადადება არის აზრი, გამოთქმული ზეპირად ან წერით. საგანი რომლის შესახებაც არის ლაპარაკი წინადადებაში, არის ქვემდებარე; ის, რაც ქვემდებარის შესახებ არის ნათქვამი, შემასმენელია. ეს პრიმიტიული გაგებაა; ის არც კი ამჩნევს, რომ მსჯელობა აღარ ეხება მეტყველების ფაქტებს, ლაპარაკია აზრის შესახებ ერთს შემთხვევაში, საგნის შესახებ მეორეში, ე. ი. ისეთი რისამე შესახებ, რაც გრამატიკის საგანი არ შეიძლება იყოს. აქ მოცემული განსაზღვრება ქვემდებარისა არის სიტყვა-სიტყვით გამეორება სუბიექტის განსაზღვრებისა ტრადიციული ფორმალური ლოგიკის მიხედვით, ხოლო შემასმენლის განსაზღვრება აგრეთვე პრედიკატის განსაზღვრებაა ლოგიკისა. ამ გაგებით ქვემდებარე და შემასმენელი წინადადებისა არ წარმოადგენს გრამატიკულ ცნებებს. ამ უკანასკნელთა ნაცვლად ლოგიკის ცნებებია მოცემული. ასეთ პირობებში სინტაქსის ბედი რომ სახარბიელო ვერ იქნება, ცხადზე უცხადესია. მაგრამ გაუგებრობა მწვერვალს აღწევს წინადადების განსაზღვრებაში: „წინადადება არის აზრი“ ...წინადადება აზრის ერთერთ სახეობად არის გამოცხადებული. დაახლოებით ეს იმას უდრის, ვინმემ რომ თქვას: „მუხა არის ცხოველი, რომელსაც რკო ასხია“.

არის მეორე გაგებაც, რომელიც უფრო ფრთხილია და თავს აღწევს პირველი გაგების უხეშ შეცთომებს. ის არ ამბობს — წინადადება არის აზრი, არამედ „წინადადება არის სიტყვა ან სიტყვათა შეერთება, რომელიც აზრს გამოხატავს“. ასევე: „ქვემდებარე არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს იმ საგანს, რომლის შესახებაცაა ლაპარაკი“; „შემასმენელი არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა არის ნათქვამი ქვემდებარის შესახებ“. ერთი სიტყვით ამ გაგების წარმომადგენელმა იცის, რომ სინტაქსი აზრსა და მის ნაწილებს არ სწავლობს, რომ წინადადება სიტყვაა ან სიტყვათა შეერთება, ქვემდებარეცა და შემასმენელიც აგრეთვე მხოლოდ სიტყვებია. ოღონდ იმის გარკვევა, — რანაირი სიტყვა (თუ სიტყვათა შეერთება) არის წინადადება, ხდება ლოგიკის ცნებათა საშვალეებით: თუ აზრს გამოხატავს, არის წინადადება, თუ არა და არა. აზრის ასეთ შემთხვევაში მსჯელობის, ლოგიკის ცნების, მაგივრობას ეწევა. თუ წინადადება აზრის გამომხატველი სიტყვაა (თუ სიტყვათა შეერთება), წინადადების ნაწილებიც (ქვემდებარე, შემასმენელი) აზრის (მსჯელობის) ნაწილების (სუბიექტის, პრედიკატის) გამომხატულება უნდა

იყოს. ესე იგი: მსჯელობა (ლოგიკის გაგებით) და მისი ნაწილები არის დასაყრდენი წინადადებისა და მის ნაწილების განსაზღვრისათვის. ორიენტაცია ლოგიკის ცნებებზე დამახასიათებელია ასეთი შეხედულებისათვის. მარტივია მეთოდიც: გამოიხატება თუ არა ამა თუ იმ სიტყვაში (თუ სიტყვათა შეერთებაში) „აზრი“? (წინადადებას ეძიებენ); რის შესახებ არის ლაპარაკი წინადადებაში? (ქვემდებარეს ეძიებენ); რა არის ნათქვამი ქვემდებარის შესახებ? (შემასმენელს ეძიებენ)...

ზოგიერთი გარემოების გათვალისწინება გაგვირკვევს, რამდენად გამოსადეგია ეს მეთოდი წინადადებისა და მისი ნაწილების დასადგენად და რამდენად მიზანშეწონილია ლოგიკის ცნებებზე დამყარებით ხსენებული გრამატიკული ცნებების განსაზღვრა. 1. არის წინადადებათა რიგი (ე. წ. კითხვითი, ბრძანებითი, ნატვრითი...), რომელნიც მსჯელობას არ გამოხატავენ და, მაშასადამე, წინადადებად ვერ მიიჩნევა. 2. ჩვეულებრივია ისეთი წინადადებები, რომლებშიც ქვემდებარესა და შემასმენელს გარდა სხვა ნაწილებიც მოიპოვება (ე. წ. დამატება, განსაზღვრება, გარემოება); ქვემდებარე, ვთქვათ, მსჯელობის სუბიექტს უდრის, შემასმენელი პრედიკატს გადმოგვცემს. რაღაა მსჯელობაში განსაზღვრების, დამატებისა და გარემოების შესაფერი? რას გამოხატავს წინადადების ეს ნაწილები? რაზე დაყრდნობით უნდა განვსაზღვროთ ისინი? მსჯელობა, რამდენი სიტყვითაც არ იყოს იგი გადმოცემული, ყოველთვის ორ ნაწილად იშლება: სუბიექტად და პრედიკატად; თითოეული ამათგანი შეიძლება შეიცავდეს ორსა და მეტ სიტყვას. დამატებისა, განსაზღვრებისა და გარემოებისათვის მსჯელობაში ადგილი არ რჩება. მაშასადამე, მსჯელობის ნაწილებზე დაყრდნობით წინადადების ეს ნაწილები არ შეიძლება იქნეს განსაზღვრული. 3. ზემოხსენებული წესით თვით ქვემდებარის ძიებაც ხშირად გასაჭირში ჩავგადლებს; ავიღოთ მაგალ., შესიტყვება: „ქეთო მოწონს ანდროს“. რომელი სიტყვაა აქ ქვემდებარე? „ის, რომლის შესახებაც არის საუბარი“-ო, გვეტყვიან. რომლის შესახებაც არის საუბარი? ქეთოს შესახებ, რომ იგი მოწონს ანდროს, თუ ანდროს შესახებ, რომ მას მოწონს ქეთო? ორივე ვარაუდი თანაბრად საფუძვლიანი იქნება, თუ ინტონაციასა და სახელთა ბრუნვებს არ მივმართავთ (მათთვის მიმართვის უფლება კი ჩვენ არა გვაქვს: ეს პრინციპის შეცვლა იქნებოდა!); უპირატესობას ვერც ერთ სახელს ვერ მივანიჭებთ. ორივეს ქვემდებარედ გამოცხადება კიდევ არ შეიძლება: ასეთ ფრაზაში ორი ქვემდებარე შეუძლებელია არსებობდეს.

ხოლო თუ პრინციპს ვუღალატებთ და ინტონაციას მოვიშველიებთ, გულის დამაღონებელი სურათი წარმოგვიდგება: **ქეთო** მოწონს ანდროს (ქეთო და არა კატო!) — ქეთო აღმოჩნდება ქვემდებარე: ქეთოს შესახებაა ლაპარაკი. ქეთო მოწონს **ანდროს** (ანდროს და

არა ვასოს); აქ უდავოა, რომ ყურადღების ცენტრია ანდრო, რომლის შესახებ ლაპარაკობენ, რომ მას მოწონს ქეთო: ანდრო იქნებოდა ქვემდებარე. დასასრულ შეიძლება ძლიერი ინტონაცია ხვდეს სიტყვას „მოწონს“, ქეთო **მოწონს** ანდროს (მოწონს და არა ძულს!): ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „მოწონს“; რა საბუთითაც ქვემდებარედ მივიჩნიეთ „ქეთო“ და „ანდრო“, იმავე საბუთით ეს სიტყვა „მოწონს“ უნდა გამოვაცხადოთ ქვემდებარედ, — ეს კი აბსურდი იქნებოდა.

რას მოწმობს ყოველივე ეს? მხოლოდ იმას, რომ როცა შესიტყვებას სწავლობენ ზემოხსენებულ თვალსაზრისით (რის შესახებაა ლაპარაკი? რაა ნათქვამი?), სიტყვათა ურთიერთობა კი არ ირკვევა, არამედ სხვა რაღაც, რაც სიტყვათა ურთიერთობის გასათვალისწინებლად არ გამოდგება; სიტყვათა ურთიერთობა არ შეცვლილა, სიტყვათა დაფასება კი შეიცვალა სამჯერ.

ლოგიკაზე ორიენტაციით სინტაქსის საკითხი ვერ მოგვარდება. ეს ადრევე შენიშნეს. შტაინთალმა თავის ცნობილ ნაშრომში (გრამატიკა, ლოგიკა, ფსიქოლოგია, 1855 წ.) საბოლოოდ დაამარცხა წინადადების ის თეორია, რომელიც ოცდაათიოდე წლის წინად ბეკერმა წამოაყენა, და ამ დროიდან დაიწყო ახალი გზის ძიება, ორიენტაცია ლოგიკაზე შეიცვალა ორიენტაციით ფსიქოლოგიაზე: ლოგიკის ცნების — მსჯელობის (აზრის) — ადგილი დაიჭირა მსჯელობამ, ფსიქოლოგიის ცნებამ. წინადადება აღიარებულ იქნა ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოხატულებად. ქვემდებარე და შემასმენელი ე. წ. ფსიქოლოგიური სუბიექტისა და ფსიქოლოგიური პრედიკატის ნიადაგზე უნდა განესაზღვრათ. მაგრამ ეს უფრო ძნელი და უიმედო საქმე აღმოჩნდა.

ყველა ლოგიკოსს მსჯელობა ერთგვარად არ ესმის; მიმდინარეობათა შორის არსებითი განსხვავებაა; ლოგიკის მოიმედე გრამატიკა ლოგიკოსთა შინაურ უთანხმოებას ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ ერთ გაგებას მიმართავდა, თუმცა ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებ საფუძვლიანი იყო. მსჯელობის საკითხი ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებას შორის გაცილებით მეტი განსხვავებაა, ვინემ ამას ლოგიკაში აქვს ადგილი. ამასთან დაკავშირებით საკითხი განსაკუთრებით გართულდა სწორედ იმიტომ, რომ თითქმის ყველა ძირითადი მიმართულება აისახა წინადადების განსაზღვრებაში. შედეგი ნათელია: არის (და შეიძლება იყოს) იმდენნაირი განსაზღვრება წინადადებისა, რამდენნაირი გაგებაც მსჯელობისა ფსიქოლოგიაში მოიპოვება. საილუსტრაციოდ ორს მაგალითს დავასახელებთ. 3. პ ა უ ლ ი ამბობს: წინადადება ისეთი ენობრივი გამოხატულებაა, რომელიც მიგვიოთხებს, რომ (მეტყვე-

ლისა და მსმენელის ცნობიერებაში) ადგილი ქონდა წარმოდგენათა **შეკავშირებას**; ვუნდტი პირიქით ამბობს: წინადადება არის ისეთი სიტყვიერი გამოხატულება, რომელიც გადმოგვცემს, რომ (მეტყველის ცნობიერებაში) ადგილი ქონდა მთლიანი წარმოდგენის **დაშლას** მის შემადგენელ ნაწილებად. წინადადების საზომად ერთს შემთხვევაში წარმოდგენათა **შეკავშირებაა** მიჩნეული, მეორეში — მთლიანი წარმოდგენის **დაშლა**. ასეთ პირობებში წინადადების პრობლემა, რა თქმა უნდა, დადებითად ვერ გადაწყდება.

რაც შეეხება წინადადების ნაწილებს, — დამატება, განსაზღვრება, გარემოება ამ ნიადაგზე არც შეიძლება იქნენ განსაზღვრული; ქვემდებარე — შემასმენლის განსაზღვრა კი ფსიქოლოგიურ სუბიექტსა და პრედიკატზე დაყრდნობით აუცილებლად იძლევა ისეთ შედეგებს, როგორც ზემოთ მივიღეთ ფრაზის (ქეთო მოწონს ანდროს) ანალიზისას ინტონაციისადმი აპელაციით.

ლოგიკაზე ორიენტაცია (სინტაქსში და საერთოდ გრამატიკაში) ლოგიციზმად იწოდება, ფსიქოლოგიაზე ორიენტაცია კიდეც ფსიქოლოგიზმად.

აქვე უნდა განვიხილოთ ერთი შეხედულება, რომელიც სინტაქსის საგნად აგრეთვე წინადადებას თვლის, მაგრამ ცდილობს წინადადება დაახასიათოს მხოლოდ ენობრივი ნიშნებით. მხედველობაში გვაქვს ცნობილი ინდო-ევროპეისტის დელბრეუკის შეხედულება. სხვათა შორის იგი წინადადების ასეთ განსაზღვრებასაც იძლევა: „წინადადება ფორმის თვალსაზრისით არის ის, რაც ორ პაუზას შორის არის მოქცეული ანუ... დანაწევრებულს მეტყველებაში წარმოდგენილი ექსპირაციული ერთიანობა, რომლის ფარგლებშიც ადგილი აქვს უფრო ძლიერისა და უფრო სუსტი ხმის — აწევის ცვლას“ (იხ. მისი შედარებით სინტაქსი, III). დელბრეუკი, როგორც აქიდან ჩანს, იმას კი არ აქცევს ყურადღებას, **რა** გამოიხატება (მსჯელობა, აზრი...), არამედ იმას, თუ **როგორ** და **რითი** გამოიხატება.

უეჭველია, ეს განსაზღვრება წმინდა ენობრივია, მაგრამ იგი არ არის სინტაქსური: ცნებები პაუზა, ექსპირაცია (ე. ი. ამოსუნთქვა), ხმის აწევა, რომელთა საშვალეებითაც დაახასიათა დელბრეუკმა წინადადება, ფონეტიკური ცნებებია. სიტყვათა ურთიერთობის დასახასიათებლად ისინი ვერ გამოგვადგებიან. კიდეც მეტი: ამ განსაზღვრებას რომ მივყვით, წინადადებაში ცალკე სიტყვებსაც ვერ გამოვყოფთ: მათ ნაცვლად ტაქტები გვექნება; ტაქტებისა და სიტყვათა ფარგლები ერთურთს მხოლოდ შემთხვევით თუ შეხვდება. ამიტომაც ბუნებრივია, თუ დელბრეუკმა ვერ მოგვცა ამავე პრინციპზე აგებული განსაზღვრება წინადადების ნაწილთა: მათი განსაზღვრისას იგი სხვადასხვა პრინციპს ემყარება; შემასმენელი განსაზღვრული აქვს, როგორც პრედიკატი ლოგიკაში („პრედიკატი არის ის,

რაც ქვემდებარის შესახებ არის ნათქვამი“), ქვემდებარე კი ნაწილობრივ მორფოლოგიურად, ნაწილობრივად აზრის მიხედვით არის დახასიათებული („ქვემდებარე არის არსებითი სახელი; რომელიც დასმულია სახელობითს ბრუნვაში და წარმოადგენს თქმის ცენტრალურ პუნქტს), დამატების განსაზღვრება კი „ყოველდღიური ლოგიკის“ ცნებებშია მოცემული („დამატება ის საგანია, რომელსაც უშუალოდ ეხება მოქმედება ზმნისა“).

საერთოდ დელბრეუკის განსაზღვრებებიც ოდნავადაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

რაც უნდა იყოს, განხილული მიმდინარეობისათვის დამახასიათებლად დელბრეუკს კი ვერ მივიჩნევთ, არამედ ლოგიკის ტებსა და ფსიქოლოგის ტებს. ამათვის მეორე ხარისხიანი განია, რისგან შედგება წინადადება: ერთი სიტყვისა თუ შესიტყვებისაგან ან როგორ ერთდებიან სიტყვები, რა სახისაა მათი კავშირი. გადამწყვეტი მნიშვნელობისაა რა აღინიშნება, რა ფსიქიკური შინაარსი აქვს ენობრივ ფაქტს, წინადადებად წოდებულს. რა თქმა უნდა, შესიტყვების დასახასიათებლად, მისი ბუნების გამოსარკვევად ისევე მართებულია, როგორც მართებული იქნებოდა მეტრის დახასიათება, როგორც სიგრძის საზომის, იმის მიხედვით, თუ რას იწონის ის მასალა, რომლისგანაც იგი არის გაკეთებული.

მართლაც: ერთი და იგივე აზრი (მსჯელობა) ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ერთნაირი თვისებებისა იქნება ამ ენებში ნახმარი სიტყვები, ერთნაირი იქნება ის კავშირი, რომელიც ამ სიტყვათა შორის არსებობს. სინტაქსი, რომელიც ამ თვალსაზრისით შეისწავლის წინადადებას, ვერც კი შენიშნავს იმ თავისებურებებს, რომელიც სხვადასხვა ენების წინადადებათ ახასიათებთ. ეს — ერთი. მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ზოგადი ნაკლი შემდეგში მდგომარეობს: წინადადება შეიძლება იყოს მთელი შესიტყვებაც და ცალკე სიტყვაც. მაშასადამე, ამ უკანასკნელს შემთხვევაში სინტაქსის საგნად ცხადდება ის, რაც მორფოლოგიის საგნად ითვლება: ცალკე სიტყვა. სხვანაირად რომ ვთქვათ: სინტაქსის საგნად წინადადების გამოცხადება შეუძლებლად ხდის მორფოლოგიისა და სინტაქსის გამიჯვნას საგნის მხრივ.

სინტაქსის საგანია შესიტყვება, ამბობს მესამე ძირითადი მიმართულება. იგი პირველად დაასაბუთა ჯონ რისმა ცნობილს გამოკვლევაში „რა არის სინტაქსი“? (1894 წ.). „სინტაქსი არ არის სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობათა შესახებ მოძღვრება, რადგანაც სინტაქსს უპირისპირდება ფორმათა შესახებ მოძღვრება კი არა, არამედ სიტყვის შესახებ მოძღვრება. საგნის მიხედვით სინტაქსი გრამატიკის მესამე ნაწილია (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი); ის განიხილავს შენაერთებს; მისი საგანია შესიტყვება, — ყველა შესიტყვება, და არა მხოლოდ

წინადადებანი... სინტაქსმა უნდა განიხილოს, როგორც ფორმა, ისე მნიშვნელობა შესიტყვებისა, ისევე, როგორც მორფოლოგიას ეკისრება ცალკე სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის განხილვა“... (იხ. გვ. 142-143).

უდიდესი ღირსება ამ გაგებისა ისაა, რომ მეთოდოლოგიური სინათლე შეაქვს სინტაქსის საკითხში და გარკვევით მიუთითებს — **რა** უნდა შესწავლოს სინტაქსმა (შესიტყვება) და **როგორის თვალსაზრისით** (როგორც ფორმა, ისე შინაარსი). სინტაქსის ასეთი გაგება რისს შემთხვევით არ წამოუყენებია; იგი შეფარდებულია მორფოლოგიის საგნის გაგებასთან, და გრამატიკის ობიექტები სისტემატურად არის დანაწევრებული: ფონეტიკა სწავლობს ბგერას, მორფოლოგია — სიტყვას, სინტაქსი — შესიტყვებას: **ობიექტები თანდათანობით რთულდება და ამოწურავს მთელს ენობრივ სინამდვილეს, ყველაზე ელემენტარულიდან მოყოლებული ურთულესამდე.**

სიტყვას და შესიტყვებას ორი მხარე აქვს: ფორმა და მნიშვნელობა; რის-ის აზრით ამათ ერთუერთს ვერ დავაცილებთ: მორფოლოგიამ უნდა შესწავლოს ცალკე სიტყვის, როგორც ფორმა, ისე მნიშვნელობაც; თავის მხრივ სინტაქსიც განიხილავს შესიტყვების ფორმასაც და მნიშვნელობასაც. ფონეტიკას რომ თავი დავანებოთ, რის-ის მთელი სქემა ასეთი სახისა იქნება:

- | | | |
|--|---|---|
| I. მოძღვრება ცალკე სიტყვის შესახებ: (მორფოლოგია) | } | 1. სიტყვის ფორმა { <ul style="list-style-type: none"> a. სიტყვათა სახეები (ფორმალური თვალსაზრისით) b. მოძღვრება ფლექსიათა შესახებ. |
| II. მოძღვრება შესიტყვების შესახებ: (სინტაქსი) | } | 2. სიტყვის მნიშვნელობა { <ul style="list-style-type: none"> a. სიტყვათა მნიშვნელობა (აწინდელი სემანტიკა) b. სიტყვათა სახეების მნიშვნელობა, c. ფლექსიათა ფორმების მნიშვნელობა |

ერთი დიდი, პრინციპული ხასიათის ნაკლი აქვს ამ შეხედულებას; იგი აერთიანებს იმას, რაც ენათმეცნიერებაში განცალკევებულია და განცალკევებულია სრულიად საფუძვლიანად. მორფოლოგია სწავლობს ცალკე სიტყვის **ფორმას** და მხოლოდ, — სწორედ ამიტომ ქვია მას მორფოლოგია,² — მნიშვნელობის თვალსაზრისით იმავე საგნის შესწავლა სემასიოლოგიას (მოძღვრე-

¹ იხ. რის-ის ხსენებული ნაშრომი, გვ. 83-84.

² „მორფოლოგია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მოძღვრებას ფორმის“ შესახებ.

ბას მნიშვნელობათა შესახებ) ევალუბა.¹ სიტყვაწარმოება კიდევ შეეძლო რისს გაეერთიანებინა მორფოლოგიასთან,² მაგრამ მორფოლოგიისა და სემასიოლოგიის ერთ ჩარჩოში მოქცევა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც ცალკე სიტყვას შეისწავლის, წინსვლად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება; ეს უთუოდ უკან დახევაა მეთოდოლოგიურის თვალსაზრისით.

ჩვენთვის ცხადია, თუ რამ გამოიწვია ეს: ცალკე სიტყვის მნიშვნელობის შესახებ მოძღვრებამ შეიძლება პრეტენზიები განაცხადოს — სინტაქსის საგანი მე ვარ და არა შესიტყვებაო — (მოვიგონოთ მიკლოშიჩის შეხედულება!), — და რისმაც ეს კონკურენტი მოაცილა სინტაქსს, განაწესა რა იგი მორფოლოგიაში. მაგრამ ამით რისმა გააკეთა მეტი, ვინემ საჭირო იყო: თავისი სისტემა მან გამიჯნა არა მარტო მიკლოშიჩის სისტემისაგან, არამედ თანამედროვე ენათმეცნიერების სრულიად საფუძვლიანი ტრადიციისაგან, რომელიც მკვეთრად ასხვავებს მოძღვრებას ცალკე სიტყვის ფორმის შესახებ მოძღვრებისაგან იმავე სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

სინტაქსმა თითქოს მოიგო, მაგრამ მორფოლოგია დაზარალდა.

მაგრამ მოიგო კი სინტაქსმა? მისი საგანი (შესიტყვება) სწორად არის ნაჩვენები, მაგრამ თვალსაზრისი (შესწავლა მისი ფორმისა და მნიშვნელობისა) შემცთარია! რას ნიშნავს — შესიტყვების ფორმის გარდა მნიშვნელობის შესწავლაც სინტაქსში? უთუოდ იქნეს დახასიათებული, როგორც ფორმის, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით; ასე მაგალ., წინადადება — ცნება³ უნდა მიუთითებდეს განსაზღვრებაში იმაზედაც, თუ რას აღნიშნავს იგი და იმაზედაც, თუ როგორ აღნიშნავს იგი მას. ეს უიმედო საქმეა. რისი ჯერჯერობით არ ცდილა, სამწუხაროდ, დაესვა ეს საკითხი (თავისი წიგნის მეორე — 1927 წელ., — გამოცემის წინასიტყვაობაში იგი გვპირდება ცალკე გამოკვლევას საკითხზე — რა არის წინადადება?), მაგრამ ამ თავითვე შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით უდიდესი სიძნელებებია მოსალოდნელი და ენობრივი თვალსაზრისის შენარჩუნება შეუძლებელია. რომ ეს ასეა, ამას არა მხოლოდ აპრიორი მოსაზრებანი გვაფიქრებინებს.

რისისებრი გაგება სინტაქსის საგნისა (უნდა ვიფიქროთ დამოუკიდებლად) წამოაყენა რუსმა მეცნიერმა ფორტუნატოვმა. ისიც ფიქრობს, რომ სინტაქსმა უნდა შეისწავლოს შესიტყვება. ის არას ამბობს

¹ ასეა ყოველ შემთხვევაში რაიზიგის შემდეგ (1839 წ.); რაიზიგი სემასიოლოგიის საგნად თვლიდა ფორმათა მნიშვნელობას.

² ჩვენის გაგებით არც ეს არის დასაშვები.

³ წინადადება, როგორც ერთერთი სახის შესიტყვება, რისმა დატოვა სინტაქსში.

ფორმისა და მნიშვნელობის შესახებ, შეიძლება იმიტომაც, რომ ეს მისთვის არ არის საჭირო; ხოლო საჭირო იმიტომ არ არის, რომ თვით ფორმა-ცნებაში მისი გაგებით შედის მნიშვნელობითი მომენტი: ფორმა ფორტუნატოვისათვის არის, ასე ვთქვათ, არა მარტო ბგერითი მონაცემი, არამედ ბგერითი მონაცემი პლუს მნიშვნელობა...

ფორტუნატოვის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოწაფეთა წყება (პორუჟინსკი, შახმატოვი, უშაკოვი, დურნოვო, პეშკოვსკი, ბუდე, დერჟავინი, პეტერსონი, პავლოვიჩი...) გაფაციცებით მუშაობს დღეს როგორც სინტაქსის, ისე საერთოდ გრამატიკის მწვავე მეთოდოლოგიურ საკითხებზე. თეორიულ წერილებს გარდა იწერება გრამატიკები, მრავალი მეშველი წიგნი, და მსურველს სრული საშუალება აქვს დაინახოს, როგორია აქ კერძოდ სინტაქსის ვითარება.

ცენტრალურ საკითხად სინტაქსში აბსოლუტურ უმრავლესობას წინადადება მიაჩნია. წინადადების საკითხში გაბატონებულია ფსიქოლოგიზმი (იხ. ზემოთ). ფსიქოლოგისტია ფორტუნატოვი, პეშკოვსკი, შახმატოვი, დურნოვო... ბუდე და დერჟავინი ფსიქოლოგიზმს უარყოფითად ეკიდებიან, მაგრამ სინტაქსური თვალსაზრისით შესიტყვების შესწავლას ვერ ახერხებენ; ასე, მაგალითად, დერჟავინს შემდეგი სახის განსაზღვრება აქვს მოცემული: „სახელობითი ბრუნვა შეადგენს წინადადებაში ქვემდებარეს. არსებით სახელთა, ზედსართავთა, მიმღებთა, რიცხვით სახელთა და ნაცვალსახელთა ყველა ირიბი ბრუნვა შეადგენს წინადადებაში დამატებას. ყველა ზედსართავი სახელი — განსაზღვრება“ და სხვ. არც ერთი ამ განსაზღვრებათაგანი არ მიუთითებს სიტყვათა ურთიერთობაში ამა თუ იმ სიტყვის როლზე; ამდენადვე არც ერთი არ შეიძლება მივიჩნიოთ სინტაქსურ განსაზღვრებად.

პეტერსონმა სცადა ინტონაციისა და პაუზის მიხედვით განესაზღვრა წინადადება; მივიღეთ დამახასიათებელი შედეგი: წინადადება აღმოჩნდა ცალკე სიტყვაც, და გამეორდა ის, რაც ფსიქოლოგისტებს მოსდიოდათ: წინადადება არ დაეტია სინტაქსში, სინტაქსისა და მორფოლოგიის საგნები ერთმანეთში აირია, რაც საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ ინტონაცია და პაუზა ენობრივ ფაქტს სინტაქსურად არ ახასიათებს.

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინტაქსის მართებულ თვალსაზრისის დამცველად იმავე სკოლიდან გამოსული ანდრ. პავლოვიჩი უნდა მივიჩნიოთ. თავის წერილებში¹ მან იშვიათის გარკვეულობით აღნიშნა, რომ სინტაქსი უნდა გვაძლევდეს იმ საშუალებათა

¹ იხ. კრებული: „Родной язык в школе“ №№4, 5; „Основные вопросы синтаксиса в аспекте формы“, „Грамматические классификации и мнимый „антагонизм“ их с „логикой“ языка“.

ანალიზს, რომელთაც შექმნეს შესიტყვება; ეს საშვალეებებია: მართვა, შეთანხმება, მიერთვა. ყოველი სიტყვის სინტაქსური დახასიათება უნდა მიუთითებდეს იმ როლზე, რომელსაც სიტყვა ასრულებს შეთანხმებისა, მართვისა თუ მიერთვის პროცესში. ანდ. პავლოვიჩისთვის წერილებში არ განუსაზღვრავს წინადადება, მაგრამ წარმოდგენილი აქვს წინადადების წევრთა განსაზღვრება, მაგალ., ქვემდებარისა, დამატებისა, განსაზღვრებისა; მოვიყვანთ მათ სანიმუშოდ: „ქვემდებარე არის სიტყვა, რომელიც მართავს შემასმენლის პირსა და სქესს“, „განსაზღვრება არის სიტყვა შეთანხმებული (სხვა სიტყვასთან ბრუნვაში) და მართული სქესში“; „დამატება არის მართული სიტყვა“... (ეს განსაზღვრებანი იხმარება კრებულში „Родной язык в школе“ № 4, გვ. 81).

შეიძლება საცილობელი იყოს ამ განსაზღვრებათა ესა თუ ის მხარე, მაგრამ პრინციპი, რომლის მიხედვითაც ანდრ. პავლოვიჩმა ეს ცნებები ჩამოაყალიბა, არა თუ სწორია, არამედ ერთადერთია, რომელიც უზრუნველყოფს წინადადებისა (და შესიტყვების) სინტაქსურის თვალსაზრისით შესწავლას. წინადადების ნაწილთა ამავე ტიპის განსაზღვრებანი მოეპოვება ა. პეშკოვსკის გაცილებით ადრე (1914 წ.) გამოსულს გამოკვლევაში „Русский синтаксис в научном освещении“ (გვ. 217, მეორე გამოცემა); სამწუხაროდ პეშკოვსკის იმავე წიგნში ამავე ცნებათა სხვაგვარი განსაზღვრებანიც გააჩნია, არასინტაქსურის ბუნებისა, და სწორედ ეს არის მისთვის უფრო დამახასიათებელი.

სინტაქსში არსებულ მიმდინარეობათა მიმოხილვა უცილობლად მოწმობს ორს რასმე. ჯერ ერთი იმას, რომ ძირითადი მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, რა იქნება გამოცხადებული სინტაქსის საგნად, არამედ იმას, თუ რა **თვალსაზრისით** შევისწავლით ამ საგანს: ორი მიმდინარეობა, რომელსაც განსხვავებულად ესმის სინტაქსის საგანი, უფრო უახლოვდება ერთმანეთს, თუ ერთს თვალსაზრისის ადგას, — ვინემ სხვადასხვა თვალსაზრისზე მდგომი მიმდინარეობის ორი წარმომადგენელი: ფორტუნატოვი პაულთან უფრო ახლოს დგას, ვინემ პავლოვიჩთან და თუ გინდ ბუდესთან (თუმცა სინტაქსის საგნის გაგება ფორტუნატოვის ბუდესთან და პავლოვიჩთან აერთებს!).

მეორეცაა და: ამჟამად სინტაქსში მწვავედ დგას სწორედ **თვალსაზრისის** საკითხი: საგნის საკითხი შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს: ენათმეცნიერებაში ყველაზე გავრცელებულია ის გაგება, რომელიც შესიტყვებას თვლის სინტაქსის საგნად.¹ სინტაქსმა დაძლია საგნის საკითხი;

¹ დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ ამაში თანამედროვე ენათმეცნიერება აპოლონიოს დისკოლოს უბრუნდება.

მწვავედა დგას თვალსაზრისისა და მასთან დაკავშირებული მეთოდის საკითხი; არა ერთი გზაა ნაცადი — და უშედეგოდ! ერთად ერთი გზა, რომელიც ჩიხით არ თავდება და არც შეიძლება გათავდეს, არის — შესიტყვების შესწავლა იმ პროცესთა გათვალისწინებით, რომელნიც ქმნიან შესიტყვებას; და აქიდან შინაგანის აუცილებლობით გამომდინარეობს სინტაქსის მეთოდი: **სინტაქსური ცნებები უნდა მიუთითებდნენ იმ როლზე, რომელსაც ესა თუ ის სიტყვა ასრულებს სიტყვათა ურთიერთობაში, შესიტყვებაში.** მოკლედ რომ ვთქვათ: სინტაქსმა უნდა შეისწავლოს შესიტყვების შედეგნილობა და მექანიზმი.

შესიტყვების მნიშვნელობა ისევე ვერ შევა სინტაქსში, როგორც მორფოლოგიაში მორფოლოგიური ცნებები არ ითვალისწინებს ცალკე სიტყვის მნიშვნელობას. მნიშვნელობა ცალკე სიტყვათა (ფორმათა), და შესიტყვებათა ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი, — სემასიოლოგიაში ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. და მაშინ: მოძღვრებას ცალკე სიტყვის აგებულების (ფორმის) შესახებ (მორფოლოგიას) გვერდში ამოუდგება მოძღვრება შესიტყვების აგებულების (მის შედეგნილობა-მექანიზმის) შესახებ (სინტაქსი). ორივე ერთის თვალსაზრისით გააშუქებს სხვადასხვა ფაქტებს, უფრო მარტივს ერთს შემთხვევაში (სიტყვას), უფრო რთულს — მეორეში (შესიტყვებას).

სინტაქსი ხან ენათმეცნიერების გარეთ, — ლოგიკასა და ფსიქოლოგიაში, — ეძიებდა დასაყრდენს, — ხან ენათმეცნიერების შიგნით — ფონეტიკასა და მორფოლოგიაში; არსებული მდგომარეობა მას უკარნახებს **საკუთარ მოვლენებში მოუპოვოს საყრდენი საკუთარ ცნებებს:** „სინტაქსური სინტაქსი“ მხოლოდ მაშინ მოიპოვებს საკუთარ თვალსაზრისს და პოებს თავის სახეს.

ეს არ არის მარტო სინტაქსის საკითხი, მისი „შინაური საქმე“. მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საენათმეცნიერო დისციპლინათა ურთიერთობის საკითხი, მთელი ენათმეცნიერების აღნაგობის ძირითადი საკითხი. ან სინტაქსი მართებულ გზას დაადგება, მოვევლება სინტაქსსაც, მოწესრიგდება საენათმეცნიერო დისციპლინათა ურთიერთობაც, ანდა დარჩება შემეტარი გზა სინტაქსში, — სინტაქსი იქნება წინანდებურად უთავბოლო, უპრინციპო, ხოლო საენათმეცნიერო დისციპლინათა ურთიერთობა მოუწყობელი, არეული... მესამე გამოსავალი არ არის.¹

¹ ვისაც სურს სინტაქსისა და კერძოდ წინადადების საკითხში არსებულ მიმდინარეობათ უფრო დაწვრილებით გაეცნოს, შეუძლია ისარგებლოს ჩვენი ნარკვევით: „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში: I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“. ტფილისი, 1928 წ.

IV

შენიშვნები შესიტყვების შესახებ

წინა წერილში (იხ. ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ“ №11-12, აგვისტო-სექტემბერი 1929 წ., გვ. 73-91) საუბარი გვქონდა იმის შესახებ, თუ როგორ ესმით ამჟამად ენათმეცნიერებაში სინტაქსი; ჩვენ განვიხილეთ ძირითადი მიმდინარეობანი; გამოიკვია, რომ ყველაზე დასაბუთებულიცა და გავრცელებულიც არის ის შეხედულება, რომელიც ფიქრობს, რომ სინტაქსმა უნდა შეისწავლოს შესიტყვება, სინტაქსი არის მოძღვრება შესიტყვების შესახებ.

ამით საკითხი არ წყდება საბოლოოდ; გასარკვევია, როგორ უნდა შევისწავლოთ შესიტყვება, რა თვალსაზრისით. ამის შესახებ ენათმეცნიერთა შორის დავა არსებობს; ამ დავის განხილვაში ჩვენ ვერ შევალთ: ეს ძალიან შორს წავიყვანდა, დაგვაშორებდა ჩვენი საუბრის საგანს („რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?“) და, რაც მთავარია, პირისპირ დაგვაყენებდა ენათმეცნიერების ისეთ ძირითად საკითხებთან, რომელთა განხილვა სასხვათაშორისოდ არ შეიძლება.

ჩვენ წარმოგიდგინთ იმ გაგებას, რომელიც, გვგონია, ყველაზე მართებულია; მართებულია, რომ მისი საშვალეებით ჩვენ შევძლებთ შესიტყვების ყოველი თვისების გათვალისწინებას, და, მაშასადამე, ცხადია შეუძლებელი არ დაგვრჩება ამა თუ იმ ენის შესიტყვების არც ერთი თავისებურება; შესიტყვების გრამატიკული ანალიზი ხომ სწორედ ამ მიზანს ისახავს, ჩვენი საუბრებიც ხომ ამავე დანიშნულებას ემსახურება.

გავეცნოთ სინტაქსის საგანს. სინტაქსი შეისწავლის შესიტყვებას. რა არის შესიტყვება? „სიტყვათა შენაერთი, სიტყვათა შეხამება“, იქნება ზოგადი პასუხი. უკვე ამ პასუხიდან უნდა დავასკვნათ, რომ ცალკე სიტყვა, როგორცაა „კაცი“, „მოწაფე“, „ჰაერი“, „წყალი“... შესიტყვება ვერ იქნება (ეს ცალკე სიტყვები, როგორც ასეთნი, სინტაქსის საგანი ვერ იქნებიან; მათ მორფოლოგია¹ სწავლობს)... მით უფრო ეს ითქმის ისეთი ბგერითი

¹ ამ ცნების განმარტება იხ. ვარ. თოფურიას წერილში „მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში“ („ახალ სკოლისაკენ“, №11-12, 1929 წ. აგვისტო-სექტემბერი, გვ. 93 (711)).

კომპლექსების შესახებ, როგორცაა „კაც-“, „ჰაერ-“, „წყალ-“... ესენი ხომ ცალკე სიტყვასაც არ წარმოადგენენ, სიტყვის ფუძელაა, უფორმო მასა.

„ქუდ-მოგლეჯილი“, „ზარ-დაცემული“, „სულ-წასული“, „თავ-შეკავე-ბული“, „დედ-მამა“, „ცოლ-ქმარი“, და სხვა ამგვარი თითქოს მეტია, ვინემ ცალკე სიტყვა; მათში ორი სიტყვა შედის თითქოს: ქუდი, მოგლეჯილი; ზარი, დაცემული... დედა, მამა; ცოლი, ქმარი... შესიტყვებად მათ მაინც ვერ მივიჩნევთ: ყოველი მათგანი ცალკე სიტყვაზე მეტია შინაარსით და არა ფორმით, საკითხს კი ფორმა წყვეტს.

მას შემდეგ, რაც **-ი** დაბოლოება („ქუდ-მოგლეჯილ-**ი**... ცოლ-ქმარ-**ი**) ბრუნვის მაჩვენებლად იქცა ორივე ნაწილისათვის,¹ მას შემდეგ, რაც პირველ ნაწილს (ქუდ-, ცოლ-), დაეკარგა უფლება კანკლედობის პროცესში თავისი დაბოლოება ქონოდა და საერთო წარმომადგენელი (-ი) გაიჩინა მეორე ნაწილთან (ცოლ-ქმარ-**ი**, ცოლ-ქმარ-**მა**, ცოლ-ქმარ-**ს**... ქუდ-მოგლეჯილ-**ი**, ქუდ-მოგლეჯილ-**მა**...), „ცოლ-ქმარი“, „ქუდ-მოგლეჯილი“... და სხვა მაგვარები ერთი სიტყვაა და არა ორი. იგი რთული სიტყვაა, კომპოზიტია, მაგრამ იგი მაინც ცალკე სიტყვაა და არა შესიტყვება; ჩანს, შესიტყვებაში შემავალ სიტყვებს თავის ფორმა უნდა ქონდეს: არ კმარა იყოს ერთზე მეტი ფუძე, საჭიროა ერთზე მეტი სიტყვა.

ავიღოთ ფორმის მქონე სიტყვათა წყება: „ადიდებულსა მდინარედ ბამბა ნათესებით წავლეკე“... ჩვენ წინ ხუთი სიტყვაა; თითოეულ მათგანს თავის ფორმა აქვს: „ადიდებულსა“ — სახელი (მიმღეობა) მხოლოობითი რიცხვის მიცემითს ბრუნვაში: „მდინარედ“ — სახელი მხოლოობით რიცხვის ვნებითს ბრუნვაში; „ბამბამ“ — სახელი მხოლოობითი რიცხვის მოთხრობითს ბრუნვაში; „ნათესებით“ — სახელი მრავლობითი რიცხვის მოქმედებითს ბრუნვაში; „წავლეკე“ — ზმნა, ნამყო ძირითადში (აორისტ-ში), მხოლოობით რიცხვის პირველი პირის ვერბალი სუბიექტითა² და მესამე პირის ვერბალი ობიექტით³.

ყოველი ფორმა ცალ-ცალკე სავსებით წესიერია, ყველა ერთად კი სრულიად წარმოუდგენელია, როგორც შესიტყვება; ქართულმა ენამ ასეთი შესიტყვება არ იცის. მაგრამ თუ ვიტყვით, „ადიდებულმა მდინარემ ბამბის ნათესები წალეკა“-ო, სავსებით წესიერ ქართულ შესიტყვებას მივიღებთ.

რა განსხვავებაა სიტყვათა ამ ორ წყებას შორის? პირველშიც („ადიდებულსა მდინარედ ბამბამ ნათესებით წავლეკე“) ხუთი სიტყვაა და მეო-

¹ „დედ-მამა“-ში სახელობითის მაჩვენებელი **-ი** არ არის, — ნოლია. სხვა ბრუნვებში კი მასაც იგივე დაბოლოებები ექნება, რაც „ცოლ-ქმარ“-ს, მცირედის ცვლილებით: დედ-მამა**მ**, დედ-მამა**ს**, დედ-მამა**ის**... შდრ. ცოლ-ქმარ**მა**, ცოლ-ქმარ**ს**, ცოლ-ქმარ**ის**...

² ამ ტერმინების შესახებ იხ. ამავე სერიის მეორე წერილი ჟურნ. „ახალ სკოლი-საკენ“ 1929 წლ. ივნის-ივლისი № 9/10, გვ. 53(567). [აქ: 19-20].

რემიც („ადიდებულმა მდინარემ ბამბის ნათესები წააღებ“). მეტი კიდევ: ორსავე წყებაში როგორც იტყვიან, „ერთი და იგივე სიტყვები ა, ოლონდ სხვადასხვა ფორმით“ და რაც უფრო საინტერესოა, ცალ-ცალკე აღებული ორსავე წყებაში თანაბრად წესიერი, ქართული ენისათვის თანაბრად ბუნებრივია.

მართლაც, რა უპირატესობა აქვს მოთხრობითს („ადიდებულმა“) მიცემითის („ადიდებულსა“) წინაშე ან რით არის უკანასკნელი პირველზე უარესი? ანდა რით ჯობს მოთხრობითი („მდინარემ“) ვნებითს („მდინარედ?“) სრულიად არაფრით! ეგევე ითქმის ყველა დანაწილების შესახებაც.

მაშ როგორ მოხდა, რომ პირველი წყების ხუთმა თავისდათავად სრულიად წესიერმა სიტყვამ ყოვლად უწესო შესიტყვება მოგვცა, უკეთ — შესიტყვება ვერ მოგვცა, მეორე წყების აგრეთვე ხუთმა ასევე წესიერმა სიტყვამ კი შექმნა წმინდა ქართული შესიტყვება? რა უპირატესობა გააჩნია მეორე წყების ხუთ სიტყვას ისეთი, რომელიც პირველი წყების სიტყვებს არ მოეპოვებოდა?

პასუხი ზოგადად ასეთი სახისა იქნება: ეს იმიტომ მოხდა, რომ პირველი წყების სიტყვები ერთმანეთს არ შეეფერებოდა თავისი ფორმით, მეორე წყებისა კი ერთმანეთის შესაფერი აღმოჩნდა. მაშასადამე: შესიტყვება რომ შეიქმნეს, საჭიროა, რომ მასში შემავალი სიტყვები ერთმანეთს შეეფერებოდეს თავი ფორმით. როდის შეეფერება ამა თუ იმ სიტყვის ფორმა მეორე სიტყვის ფორმას? იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის არსებობს გარკვეული დამოკიდებულება. ასეთი დამოკიდებულება არ არსებობდა პირველი წყების სიტყვათა შორის, მეორე წყებისაში კი მას ადგილი ქონდა.

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ: „სიტყვები ერთურთს შეეფერება ფორმით, სიტყვათა ფორმები ერთმანეთთან გარკვეულს დამოკიდებულებაში იმყოფება“-ო. ეს იმიტომ, რომ **ფორმათა** ეს დამოკიდებულება **აუცილებელიც** არის და **საკმარისიც**, რომ შესიტყვება შეიქმნას.

აუცილებელი იმიტომ არის, რომ მის მაგივრობას სხვა ვერაფერი გაწევს. მნიშვნელობა, მაგალითად, ორივე ჩვენი წყების სიტყვებს, ცალკე აღებულით, ერთნაირი აქვს: აკი ზემოთ ვთქვით, რომ ორსავე წყებაში ერთი და იგივე სიტყვები შედის... მნიშვნელობითი მხარე, მაშასადამე, ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას შესიტყვების შექმნისათვის, იგი არ კმარა. აუცილებელია ფორმათა დამოკიდებულება.

ჩვენ ვთქვით, რომ იგი საკმაოდ პირობაც არის შესიტყვების შესაქმნელად. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ თუ სიტყვათა ფორმებს შორის

სათანადო დამოკიდებულება არსებობს, შესიტყვებას მივიღებთ, თუნდაც რომ სიტყვები თავის მნიშვნელობით ერთმანეთს სრულებით არ შეეფერებოდნენ, უაზრობას იძლეოდნენ.

„ადიდებულმა მდინარემ ბამბის ნათესები წალეკა“ — ქართული ენის აგებულების თვალსაზრისით უნაკლო შესიტყვებაა, მისი აზრიც გასაგები და წესიერია, — ადიდებულ მდინარეს შეუძლია, მართლაც, წალეკოს ბამბის ნათესები.

მაგრამ, ვთქვათ ამ შესიტყვებაში ცვლილებები მოვახდინეთ, ერთი სიტყვა მეორის ადგილას დავსვით: „ადიდებულმა ბამბამ მდინარის ნათესები წალეკა!“ როგორია ამ ექსპერიმენტის შედეგი? მისი აზრი აბსურდულია, მაგრამ სიტყვათა დამოკიდებულება სრულიად ნორმალური, ქართული ენისთვის ბუნებრივი, — ესე იგი, ახალი შესიტყვება ისეთივე უნაკლოა, როგორც იყო შეცვლამდე; ენათმეცნიერი მას წუნს ვერ დადებს, ლოგიკოსი კი აღმფოთდება...¹

ასევე: „კომბოსტო დამჟავდა“ და „ტრაპეცია დამჟავდა“, ენობრივად, სიტყვათა დამოკიდებულების თვალსაზრისით, თანაბარი დირსებისაა: ქართული შესიტყვებისთვის ება-თავისებურებები მეორეშია ცისევე ნათლად არის წარმოდგენილი, როგორც პირველში... შინაარსის მიხედვით კი „ტრაპეცია დამჟავდა“ სრული უაზრობაა, ასეთ რასმე ფუტურისტი თუ იტყვის.

აღსანიშნავია, რომ „ტრაპეცია დამჟავდა“ უაზრობად მოგვეჩვენება იმ შემთხვევაში, თუ ვიცით, რასაც ნიშნავს ეს სიტყვა. სოფლელი, რომელსაც გეომეტრიის არაფერი გაეგება, შესიტყვებაში — „ტრაპეცია დამჟავდა“ — არავითარ უაზრობას არ დაინახავს. „ყოფილა რაღაც უცნაური ბოსტნეული და დამჟავებულაო“, შეუძლია მას თქვას...

ამიტომაც ვამბობთ: შესიტყვება რომ შეიქმნეს, სიტყვათა გარკვეული დამოკიდებულებაა აუცილებელი; თუ კი ეს პირობა შესრულებულია, შესიტყვებაში გვექნება, თუნდაც რომ სრულს უაზრობას შეიცავდენ ეს დამოკიდებულებაში მყოფი სიტყვები. შინაარსით უაზრო, მაგრამ აგებულებით სწორი შესიტყვება ისევე გამომდგება ამათუ იმ ენისთვის ებათა გასათვალისწინებლად, როგორც შესიტყვება, რომლის შინაარსი მეცნიერულად სწორ დებულებას გადმოგვცემს.

ვინც შესიტყვების ენათმეცნიერული შესწავლის დროს შინაარსს აქ-

¹ ვგულისხმობთ, რომ იგი ფორმალური ტრადიციული ლოგიკის წარმომადგენელი არაა.

ცევს ყურადღებას, ვინც ლოგიკისა და გრამატიკის ამოცანებს ერთმანეთში რევს, მას შეუძლება ვკითხოთ: განა ყოველდღიურად ყოველი ენის წესიერ შესიტყვებებში ათასობით და ათი-ათასობით არ გამოთქვამენ სრულ სიტყვებსა თუ შეუსაბამობას, უბრალო შეცთომებს რომ თავი დავანებოთ? ნუ თუ ასეთი შესიტყვებები არ გამოდგება ენათმეცნიერების ობიექტად?

არა მგონია, ამაზე ვინმემ უარყოფითი პასუხი გასცეს.

შარშან ზაფხულში დიდი გვალვის დროს ჩემის ყურით გავიგონე, ერთი მოქალაქე როგორ ყვებოდა: „სამ კაცს უნახავს... მთვარეს თურმე კაცი უჭდა გვერდით... „კაზიროკიანი“ ქუდი ეხურა, ფეხი ფეხზე გადაედო და უღვაშებს იგრეხდა... წვიმა აწი არ იქნება“-ო, დაასკვნა მომთხრობმა...

ეს ფრაზები — ჩვეულებრივი ქართული შესიტყვებებია. ქართული ენის სინტაქსის შესასწავლად ისინი ისევე გამოდგებიან, როგორც შესიტყვება: „ადიდებულმა მდინარემ ბამბის ნათესები წალეკა“. მაგრამ, შინაარსს თუ მიყვებით, ძნელი გადასაწყვეტია, რა არის უფრო აბსურდული: ჩვენს მიერ ნიმუშად მოყვანილი ფრაზა „ტრაპეცია დამყავდა“ თუ „კაზიროკიანი“ ქუდის პატრონის ამბავი.

ზემოთ ვთქვით: შესიტყვება რომ შეიქმნას, სიტყვათა ფორმები ერთმანეთთან გარკვეულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს. განსახილველი გვაქვს: რა სახისაა და რაში მდგომარეობს ეს დამოკიდებულება.

სიტყვათა დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ავიღოთ შესიტყვება: ბავშვი თამაშობს; ქართული ენისათვის ასეთი შესიტყვება ბუნებრივია. მასში ორი სიტყვა გვაქვს: „ბავში“; „თამაშობს“.

როგორი დამოკიდებულებაა მათ შორის? რომ ეს გავარკვიოთ, საჭიროა მოვიგონოთ რანაირი სიტყვებია ესენი და რა შესაძლებლობა გააჩნიათ მათ. „ბავში“ სახელია, სახელობითს ბრუნვაში, მხოლოდობითს რიცხვში. „თამაშობს“ — ზმნაა (ერთპირიანი), მესამე პირისა, მხოლოდობითის რიცხვისა, აწმყო დროში. სახელი იცვლება რიცხვის მიხედვით. „ბავში“ — „ბავშვები“; ზმნაც იცვლება რიცხვის მიხედვით: „თამაშობს“ — „თამაშობენ“.

ჩვენს შესიტყვებაში სახელი („ბავში“) მხოლოდობითს რიცხვშია, ზმნაც („თამაშობს“) მხოლოდობითს რიცხვშია: **ზმნა მხოლოდობითშია სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდობითშია სახელი** (ვერ ვიტყვით: „ბავში თამაშობენ“, ვერც ბავშვები თამაშობს“). სიტყვათა ასეთი დამოკიდებულება იწოდება **შეთანხმებად**: სახელი („ბავში“) ითანხმებს ზმნას („თამაშობს“) რიცხვში (ანუ, რაც იგივეა: ზმნა ეთანხმება სახელს რიცხვში).¹

¹ შეიძლება ვინმემ იკითხო: რატომ ზმნა ეთანხმება სახელს და არა პირუკუ, სახელი ზმნას? იმიტომ, რომ ვუპასუხებთ ჩვენ, სახელს არ მოეპოვება არავითარი ფორმანტი მასთან დაკავშირებულ ზმნის რიცხვს რომ აღნიშნავდეს, სახელი თავისუფ-

ორი სიტყვის შეთანხმება მაშინ არის შესაძლებელი, თუ ორივეს შეუძლია იცვალოს რაიმე ნიშნის მიხედვით, მაგალ., რიცხვის მიხედვით (იხ. ჩვენი მაგალითი), ან ბრუნვის მიხედვით (იხ. ქვემოთ: „ცელქი ბავში“...) ან სქესის მიხედვით... შეთანხმება იმაში გამოიხატება, რომ ერთი სიტყვა მეორეს დაემსგავსება გარკვეული ნიშნის მიხედვით, ასე რომ რა რიცხვშიაც, ვთქვათ, ერთი მათგანი არის, მეორეც იმავე რიცხვში იქნება, რა ბრუნვაც ერთსა აქვს, მეორეც იმაში იქნება...

ჩვენს მაგალითში („ბავში თამაშობს“) სახელი იცვლება ბრუნვათა მიხედვით („აქ იგი სახელობითშია“); ზმნა კი („თამაშობს“) ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება. ბრუნვის მიხედვით ამ ორ სიტყვას შორის დამოკიდებულებას ადგილი არა აქვს.

ახლა ზმნას მივუბრუნდეთ. ზმნის რიცხვი უკვე ვნახეთ, რომ სახელის რიცხვთან იყო შეთანხმებული, ზმნას პირიც აქვს: „თამაშობს“ მესამე პირია. რატომ მესამე და არა მეორე ან პირველი? იმიტომ, რომ არ შეიძლება „ბავში თამაშობ“ ან „ბავში ვთამაშობ“. „თამაშობ“ იქნებოდა, „ბავში“-ს ნაცვლად „შენ“ რომ ყოფილიყო („შენ თამაშობ“), „ვთამაშობ“ უნდა გვეხმარა, „მე“ რომ ყოფილიყო („მე ვთამაშობ“). ყველა სხვა სახელს (მხოლოდითი რიცხვის სახელობითს ბრუნვაში) შეეფერება მესამე პირის ფორმა — „თამაშობს“.

მაშასადამე, ზმნას მესამე პირის ფორმა იმიტომ ქონია, რომ სახელი, რომელთანაც იგი დამოკიდებულებაში იმყოფება, არც „შენ“ არის და არც „მე“. სხვა ყველა სახელისათვის კი შესაფერისი არის ეს ფორმა „თამაშობს“.

ამ შემთხვევაში ზმნის დამოკიდებულება სახელისაგან უთუოდ განსხვავდება იმ დამოკიდებულებისაგან, რომელიც დამყარდა მათ შორის რიცხვის მიხედვით: რიცხვის მიხედვით სახელიც იცვლებოდა და ზმნაც; პირის მიხედვით ზმნა იცვლება, სახელი კი არა. ამისდამიუხედავად გარკვეული დამოკიდებულება შეიქმნა: სახელმა მოითხოვა ზმნისაგან მესამე პირში ყოფილიყო, ესე იგი, მოითხოვა ისეთი ფორმა, რომელიც თვითონ მას, სახელს, არც ამ შემთხვევაში აქვს და არც, საერთოდ, შეიძლება ქონდეს. ასეთ დამოკიდებულებას **მართვა** ეწოდება: სახელი მართავს ზმნის პირს.

ამრიგად, კითხვაზე: რა დამოკიდებულება არსებობს ჩვენს შესიტყვებაში („ბავში თამაშობს“) შემავალ სიტყვათა შორის, უნდა ვუპასუხოთ: სახელი („ბავში“) ითანხმებს ზმნის („თამაშობს“) რიცხვს და მართავს მის პირს.

ფაქტია, ზმნა კი არ არის თავისუფალი, მას საგანგებო ფორმანტები აქვს სახელისათვის შეფარდებული; ამ შემთხვევაში, მაგალ., **ს**, რომელიც მესამე პირს აღნიშნავს, მაგრამ მხოლოდითი რიცხვისას.

დავუშვათ, რომ ჩვენ გვქონდა შესიტყვება: „მეზობლის ბავში თამაშობს“; ახალია აქ სიტყვა „მეზობლის“. რომელ სიტყვასთან არის ის დამოკიდებულებაში, და როგორია ეს დამოკიდებულება? ცხადია მას კავშირი აქვს სიტყვასთან „ბავში“: „მეზობლის ბავში“ (და არა „მეზობლის თამაშობს“).

ბავში, როგორც ვიცით, სახელია სახელობითს ბრუნვაში, მხოლოობითს რიცხვში; „მეზობლის“ აგრეთვე სახელია მხოლოობით რიცხვის ნათესაობითს ბრუნვაში; „ბავში“- სიტყვას შეიძლება ვუცვალოთ ბრუნვაც, რიცხვიც, მაგრამ ეს სრულებით არ იმოქმედებს „მეზობლის“- სიტყვის ბრუნვაზე: იგი ისევ ნათესაობითს ბრუნვაში აღმოჩნდება; მაგალ.: მეზობლის ბავში თამაშობს; მეზობლის ბავშმა წიგნი წაიკითხა; მეზობლის ბავშს საჩუქარი მოუტანეს; მეზობლის ბავშვით აღტაცებული ვარ...

აქ სიტყვა „ბავში“ ვუცვალეთ ბრუნვა; ახლა რიცხვი ვცვალეთ: მეზობლის ბავშვები თამაშობენ; მეზობლის ბავშვებმა წიგნი წაიკითხეს; მეზობლის ბავშვებს საჩუქარი მოუტანეს; მეზობლის ბავშვებით აღტაცებული ვარ...

როგორც ვხედავთ, ყოველი ფრაზა: ბავში თუ ბავშმა თუ ბავშვებმა, ბავშს თუ ბავშვებს და სხვა, მაინც მოითხოვს, რომ სიტყვა „მეზობლის“ უცვლელად დარჩეს, ისევ ნათესაობითში იყოს.

რაც შეეხება სიტყვას „მეზობლის“, მას შეუძლია იცვალოს რიცხვი, ეს შესიტყვებას არ დაარღვევს; ასე რომ, „მეზობლის ბავში თამაშობს“ და „მეზობლების¹ ბავში თამაშობს“ თანაბრად შესაძლოა. ბრუნვას კი სიტყვა „მეზობლის“ ვეღარ იცვლის; არ შეიძლება: „მეზობლებმა ბავში თამაშობს“ ან „მეზობელს ბავში თამაშობს“ და სხვ.

კი მაგრამ გვეტყვიან: განა არ შეიძლება სიტყვა „მეზობლის“ გადავიყვანოთ სახელობითში? რატომ არ შეიძლება: „მეზობელი ბავში თამაშობს“ („მეზობელი ბავში“ ისევე მართებულია, როგორც „მეზობელი ხალხი“, „მეზობელი ქვეყანა“)?

„მეზობელი ბავში თამაშობს“ სხვა რასმე ნიშნავს, „მეზობლის ბავში თამაშობს“ კიდევ სხვას, მაგრამ ამას საბუთად ჩვენ ვერ გამოვიყენებთ: აკი ჩვენ ვამტკიცებდით — თავი და თავი შესიტყვების აგებულებაა და არა შესიტყვების მნიშვნელობა-ო. საკითხი ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ, გამოიცვალოს თუ არა ამ მხრივ რამე, „მეზობლის ბავში“ რომ შევცვალეთ „მეზობელი ბავში“-თ?

¹ აზრის თვალსაზრისით ეს ცოტა უხერხულია: თითქოს ერთი ბავში რამდენსამე მეზობლისა იყოს, მაგრამ ეს შემთხვევითია; სხვა მაგალითში ასეთ უხერხულობას შეიძლება ადგილი არ ექნეს; მაგალ.: „მეზობლის მეზოვე მოვიდა“. ეს სხვათა შორის აღვნიშნეთ. ეს მხარე შესიტყვებისათვის გადამწყვეტი, როგორც ვიცით, არ არის.

რა თქმა უნდა გამოიკვალა! „მეზობლის ბავში“ სულ სხვა სინტაქსურ დამოკიდებულებაზე აღმოცენებული, „მეზობელი ბავში“ კიდევ სხვაზე; პირველს ის ახასიათებდა, რომ „ბავში“ ბრუნვას იცვლიდა, „მეზობლის“ კი უცვლელად რჩებოდა (მეზობლის ბავში, — მეზობლის ბავშია, მეზობლის ბავში... იხ. ზემოთ), მეორე შემთხვევაში კი „ბავში“ თუ ბრუნვას შეიცვლის, „მეზობელი“-ც ბრუნვას შეიცვლის და იმავე ბრუნვაში მოგვევლინება, რომელშიაც არის „ბავში“: „მეზობელი ბავში“, „მეზობელი ბავშია“, „მეზობელს ბავში“...

რა გამოვიდა? შესიტყვებაში „მეზობლის ბავში თამაშობს“ „ბავში“-სიტყვამ შეიძლება იცვალოს ბრუნვაც, რიცხვიც; სიტყვა „მეზობლის“ კი შეიძლება იცვალოს რიცხვის მიხედვით, მაგრამ ბრუნვას ვერ იცვლის, ნათესაობითში უნდა დარჩეს. თუ ბრუნვას შეიცვლის: ან შეუძლებელ სიტყვებს მივიღებთ, ესე იგი, შესიტყვება დაირღვევა (მაგალ. „მეზობლის ბავში თამაშობს“, „მეზობელი ბავში თამაშობს“) ან შესიტყვება მართებული სახისა იქნება, მაგრამ სულ სხვა შესიტყვებად იქცევა; ბრუნვის შეცვლა ამ შემთხვევაში სიტყვათა დამოკიდებულების ხასიათს ცვლის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესიტყვებას ცვლის.

დასკვნა: შესიტყვებაში „მეზობლის ბავში თამაშობს“ სიტყვა „ბავში“ მოითხოვს სიტყვისაგან „მეზობლის“ ისეთ ფორმას, რომელშიაც თითონ არ არის (ნათესაობითს ბრუნვას), თუმცა მას შეუძლია ეს ფორმა ქონდეს; სიტყვათა ასეთი დამოკიდებულებაც **მართვად** იწოდება. სახელი „ბავში“ მართავს სახელს „მეზობლის“ ბრუნვაში.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენს მსჯელობას ერთი განმარტება უნდა დაემატოს. როცა ჩვენ ვამბობთ: სიტყვა „ბავში“ მოითხოვს სიტყვისაგან „მეზობლის“ ისეთ ფორმას, რომელშიაც თვითონ არ არის, — იგულისხმება, რომ სხვა რომელიმე სიტყვა არ მართავს თვით ამ სახელს — „ბავში“.

თუ მესამე სახელიც ჩაერთა მართვაში, შესაძლებელია სიტყვისათვის „ბავში“ ისეთი მდგომარეობა შეიქმნეს, როგორშიდაც ჩვენს მაგალითში არის სიტყვა „მეზობლის“: მასაც დაევალება ნათესაობითში ყოფნა, მასაც მოესპობა საშუალება შეიცვალოს ბრუნვა! შეადარე მაგალითად: „მეზობლის ბავში თამაშობს“ და „მეზობლის ბავშის სათამაშო დაიკარგა“. უკანასკნელს შესიტყვებაში „ბავშის“ ისევე არის ნათესაობითს ბრუნვაში, როგორც „მეზობლის“. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე ფორმაში ყოფნა ამ ორი სახელის დამოკიდებულებით იყოს გამოწვეული, ამ დამოკიდებულებას ახასიათებდეს.

ეს იქიდან ჩანს, რომ ვერც ერთი მათგანი ამ ფორმას ვერ შეიცვლის: „მეზობლის ბავშის სათამაშო დაიკარგა“, მეზობლის ბავშის სათამა-

„მომ მოგვხიბლა“, მეზობლის ბავშვის სათამაშოს ვეძებთ“... ეს კი იმიტომ ხდება, რომ სახელი „სათამაშო“ ისევე მართავს სახელს „ბავშვის“, როგორც ეს უკანასკნელი მართავს სახელს „მეზობლის“.

ასევე შეიძლება ისეთი ახალი სიტყვა ჩავუერთოთ, რომელიც ჩააყენებს სახელს „სათამაშო“ ისეთსავე პირობებში, როგორშიც ჩვენს მაგალითში არის „ბავშვის“; მაგალ.: „მეზობლის ბავშვის სათამაშოს ფერი ლამაზია“: „ფერი“ მართავს „სათამაშოს“, „სათამაშოს“ მართავს „ბავშვის“, „ბავშვის“ მართავს „მეზობლის“¹...

განგავრცოთ ჩვენი შესიტყვება. „მეზობლის ცელქი ბავში თამაშობს“. აქ ახალია სიტყვა „ცელქი“; იგი დამოკიდებულებაში იმყოფება სიტყვასთან „ბავში“: „ცელქი ბავში“... ორივე სახელია და, მამასადამე, ბრუნვასა და რიცხვში შეუძლია იცვალოს; ჩვენს მაგალითში ორივე სახელობითშია; საგულისხმო ის არის, რომ როგორც კი ვცვლით „ბავში“-ს სახელის ბრუნვას, იცვლება „ცელქი“-ს ბრუნვაც; შეადარე: „მეზობლის ცელქი ბავში თამაშობს“... „მეზობლის ცელქმა ბავშმა ითამაშა“... „მეზობლის ცელქ ბავშს უთამაშია“...

ორი სახელი აქ ისეთს დამოკიდებულებაშია, რომ ერთის („ბავში“-ს) ბრუნვის ცვლა მეორის („ცელქი“-ს) ბრუნვის ცვლასაც იწვევს და რა ბრუნვაშიც ერთი იქნება, მეორეც იმავე ბრუნვაში დაისმის. ამაზე იტყვიან: სახელი („ცელქი“) ეთანხმება ბრუნვაში სახელს („ბავში“). შეად. ზმნის შეთანხმებას სახელთან რიცხვში: „ბავში თამაშობს“...

ავილოთ სხვა შესიტყვება: „იყიდე წიგნი!“ სახელი „წიგნი“ დამოკიდებულია ზმნაზე „იყიდე“. ეს დამოკიდებულება იმაში იჩენს თავს, რომ „წიგნი“ სახელობითშია და სანამ „იყიდე“ ზმნის ფუძე არ შეიცვლება, სახელობითში უნდა იყოს; არ შეიძლება „იყიდე წიგნს“, „იყიდე წიგნმა“ და სხვ. (სამაგიეროდ აუცილებელია: „იყიდის წიგნს“ და არა „წიგნი“)...

ზმნას ბრუნვა არ გააჩნია; სახელისაგან კი მან გარკვეული ბრუნვა მოითხოვა. ცხადია, აქ ადგილი აქვს **მართვას**: ზმნა „იყიდე“ მართავს სახელს „წიგნი“ ბრუნვაში.

სახელის რიცხვი ამ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული ზმნაზე: იყიდე წიგნი! — იყიდე წიგნები! ასეთი მდგომარეობაა ახალს ქართულში. ძველს ქართულში კი საქმის ვითარება სხვაგვარი იყო...

უადგილო არ იქნება შევადაროთ ზმნის დამოკიდებულება სახელთან

¹ შესაძლოა რომელსამე კუთხეში ითქმოდეს „თამაშობს ხეს ქვეშ“ მსგავსად „სახლს ქვეშ“, „წყლის ქვეშ“, — ჩვენ გავრცელებულ სალიტერატურო ფორმას ვიღებთ. „ხეს ქვეშ მოაბა თოკი“ უცილობლად მართებული აგებულების შესიტყვებაა, მაგრამ ეს არ უნდა ავირიოთ საცილობენ შესიტყვებაში „თამაშობს ხეს ქვეშ“; წინა მაგალითში „ხეს“ მიცემითშია ზმნის მოთხოვნით („ხეს მოაბა“) და არა „ქვეშ“ სიტყვასთან დაკავშირებით.

ჩვენს მაგალითში („იყიდე წიგნი!“) სახელის დამოკიდებულებას ზმნასთან შესიტყვებაში: „ბავში თამაშობს“. ზმნა „იყიდე“ სახელისაგან ბრუნვას მოითხოვს, თუმცა თვითონ ბრუნვა არა აქვს, ბრუნვის მიხედვით იცვლება. შესიტყვებაში „ბავში თამაშობს“ სახელი („ბავში“) ზმნისაგან პირს მოითხოვს, თუმცა პირის მიხედვით თვითონ არ იცვლება. ორსავე შემთხვევაში მართვაა; ოღონდ ერთს შემთხვევაში („იყიდე წიგნი!“) ზმნა მართავს სახელს, მეორეში კი — სახელი ზმნას („ბავში თამაშობს“).

ჩვენს მაგალითებში („ბავში თამაშობს“... მეზობლის ცელქი ბავში თამაშობს... იყიდე წიგნი!) შესიტყვებები ფორმაცვალებადი სიტყვებისაგან შედგებოდა: ყველგან ბრუნებადი და უღვლილებადი სიტყვები იყო.

მაგრამ შეიძლება დამოკიდებულებას ექნეს ადგილი ფორმაცვალებადსა და უფორმო სიტყვას შორის. ასე მაგალ. შესიტყვებაში: „მეზობლის ბავში ხის ქვეშ თამაშობს“, მონაწილეობს უფორმო სიტყვა „ქვეშ“. მასზე დამოკიდებულია სიტყვა „ხის“: ჩვენ ვერ ვიტყვით: „(თამაშობს) ხეს ქვეშ“¹ ან: „(თამაშობს) ხემ ქვეშ“ ან „(თამაშობს) ხედ ქვეშ“.

სიტყვასთან „ქვეშ“ სახელი ნათესაობითს ბრუნვაში უნდა გამოცხადდეს, ანუ, სხვაგვარად, სიტყვა „ქვეშ“ თვითონ არავითარს ბრუნვაში არ არის და არც შეიძლება იყოს. ცხადია: უფორმო სიტყვა „ქვეშ“ მართავს სახელს ბრუნვაში.

მართავს თუ არა იგი სახელის რიცხვს? სიტყვასთან „ქვეშ“ შეიძლება ვიხმაროთ სახელი, როგორც მხოლოდობითს, ისე მრავლობითს რიცხვში: „(თამაშობს) ხის ქვეშ“ — „(თამაშობს) ხეების ქვეშ“, — ესე იგი უფორმო სიტყვა სახელის რიცხვს არ მართავს.

სხვა უფორმო სიტყვების მართვის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითები გამოდგება: „ბავში თამაშობს სახლის წინ“: „წინ“ მართავს სახელს, მოითხოვს ნათესაობითს ბრუნვას... „წყალს გაღმა ბაღებია“: „გაღმა“ მართავს სახელს („წყალს“), მოითხოვს მიცემითს ბრუნვას.

ე. წ. თანდებულებიც მართავენ სახელს: „ცელქი ბავში ხესთან ხტის“: „თან“ მოითხოვს სახელს მიცემითში: „ხეს“-თან... „ცელქი ბავში ხეზე ავიდა“: „ზე“ მოითხოვს სახელს მიცემითში; „ხეზე“ მიღებულია „ხეს“-ზე-სგან (შდრ. ძვ. ქართ. „ხესა ზედა“)... „ცელქი ბავში ხიდან ჩამოვარდა“: „ხიდან“ არის გამარტივებული სახე „ხიდგან“-ისა, „ხიდგან“ კი მიღებულია „ხითგან“-ისაგან: აქ თანდებულია „გან“; მას შეუძლია მოითხოვოს ნათესაობითი ბრუნვაცა და მოქმედებითიც. აქ, როგორც ვხედავთ, იგი მართავს

¹ ბრუნვაში მართვის გრძელი ჯაჭვია შესიტყვებაში: „საქართველოს საბჭოთა... რესპუბლიკის... კომისარტა საბჭოს დადგენილება“... საკანონმდებლო ენაში მსგავსი შესიტყვებები ჩვეულებრივია...

სახელს მოქმედებითში: „ხით-გან“...

დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს: „მეზობლის ბავში ხის ქვეშ თამაშობს“. თავის ადგილას გავარკვიეთ, რა დამოკიდებულებაშიც იყვნენ ერთმანეთთან სიტყვები „მეზობლის ბავში თამაშობს“; აქ ახალია: „ხის ქვეშ“. ამჟამად ვიცით, რომ სიტყვა „ქვეშ“ მართავს სახელს „ხის“. დაგვრჩენია გავიგოთ სიტყვა „ქვეშ“ და მასთან ერთად მთლიანად „ხის ქვეშ“ რა სიტყვაზეა დამოკიდებული.

იგი ვერ იქნება დამოკიდებული სიტყვაზე „მეზობლის“; მართალია, უაზრობა არ იქნება, რომ ვთქვათ: „მეზობლის ხის ქვეშ ბავში თამაშობს“-ო, მაგრამ ეს სულ სხვა შესიტყვება იქნებოდა (სიტყვა „მეზობლის ხის“, ჩვენს მაგალითში კი სიტყვა „მეზობლის“ დამოკიდებულია სიტყვაზე „ბავში“: „მეზობლის ბავში“).

სიტყვა „ქვეშ“ ვერ იქნება დამოკიდებული სიტყვაზე „ბავში“: „მეზობლის ბავში ხის ქვეშ“... უცნაური რამ იქნებოდა. დაგვრჩა მხოლოდ ზმნა „თამაშობს“; ალბათ მასზეა დამოკიდებული სიტყვა „ქვეშ“. მართლაც, „თამაშობს (ხის) ქვეშ“ უცნაურად არ ისმის.

გამოვიძიოთ რანაირს დამოკიდებულებაშია „(ხის) ქვეშ“ ზმნასთან „თამაშობს“. შეთანხმება აქ შეუძლებელია იყოს: „თამაშობს“ ზმნაა, იცვლება პირის, რიცხვის, დროის, კილოს... მიხედვით; „ქვეშ“ უფორმო სიტყვაა; როგორც ასეთს, მას არც პირი, არც რიცხვი, არც დრო თუ სხვა რამ ფორმა არ გააჩნია.

ეგების ზმნა „თამაშობს“ მართავს სიტყვას „ქვეშ“? მაგრამ მართვა შეიძლება ან ბრუნვის, ან პირის, ან სქესის... მიხედვით, საერთოდ რაიმე ფორმის მიხედვით: მართვა აკი ნიშნავს გარკვეული ფორმის მოთხოვნას; მართო უფორმო სიტყვა ნიშნავს ფული გადაახდევინო ისეთ ადამიანს, რომელსაც არავითარი ქონება არ გააჩნია... რომ, მართლაც, ზმნა „თამაშობს“ არ მართავს სიტყვას „ქვეშ“, იქიდან ჩანს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ არა მარტო „თამაშობს ხის ქვეშ“, არამედ: „თამაშობს ხეს-თან“, „თამაშობს ხეზე“, „თამაშობს შიგნით“, „თამაშობს გარეთ“, „თამაშობს მუღამ“, „თამაშობს მოუხრდებლად“ და სხვ...

ამ მაგალითებიდან ირკვევა, რომ საერთოდ არავითარი დადებითი დამოკიდებულება არ არსებობს „თამაშობს“ ზმნასა და „ქვეშ“ სიტყვას შორის. თუ მართვა და შეთანხმება დადებით სინტაქსურ ოდენობად მიიჩნევა, ურთიერთობა ამ ორ სიტყვას შორის ნოლ ოდენობად უნდა დავსახოთ; ასეთი „დამოკიდებულება“ ნოლს უდრის. მას მ ი რ თ ვ ა ეწოდება. ამბობენ: უფორმო სიტყვა „ქვეშ“ მიერთვისო ზმნას „თამაშობს“.

ჩვენ გავაანალიზეთ შესიტყვებათა რიგი; სათანადო მაგალითებს თავი მოვუყაროთ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

ც ე ლ ქ ი ბ ა ვ შ ი თ ა მ ა შ ო ბ ს : { „ცელქი“ მხოლოდ. რიცხვის სახელობითი ბრუნვაა; „ბავში“-ც მხოლოდითი რიცხვის სახელობითს ბრუნვაშია; შეცვლით „ბავში“-ს ბრუნვას, შეიცვლება „ცელქი“-ს ბრუნვა („ცელქმა ბავშმა“, „ცელქ ბავშს“...); ს ა ხ ე ლ ი („ბავში“) ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს ს ა ხ ე ლ ს („ცელქი“) ბ რ უ ნ ვ ა შ ი.¹

ბ ა ვ შ ი თ ა მ ა შ ო ბ ს : { „ბავში“ — მხოლოდითს რიცხვშია: „თამაშობს“ — აგრეთვე მხოლოდითს რიცხვში („ბავში“ თუ მრავლობითში გვექნება: „ბავშები თამაშობენ“); ს ა ხ ე ლ ი („ბავში“) ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს ზ მ ნ ა ს („თამაშობს“) რ ი ც ხ ვ შ ი .

მ ე ზ ო ბ ლ ის ბ ა ვ შ ი თ ა მ ა შ ო ბ ს : { „მეზობლის“ — ნათესაობითს ბრუნვაშია; „ბავში“ — სახელობითში; სახელმა „ბავში“ შეიძლება იცვალოს ბრუნვა, „მეზობლის“ ისევ ნათესაობითში დარჩება: ს ა ხ ე ლ ი („ბავში“) მ ა რ თ ა ვ ს ს ა ხ ე ლ ს („მეზობლის“) ბ რ უ ნ ვ ა შ ი .

მ ე ზ ო ბ ლ ის ბ ა ვ შ ი თ ა მ ა შ ო ბ ს : { „ბავში“ არ იცვლება პირის მიხედვით, პირის ფორმა არა აქვს: „თამაშობს“ — მესამე პირია; სახელი მოითხოვს ზმნისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას ამ შემთხვევაში არა აქვს და არც საერთოდ შეიძლება ქონდეს: ს ა ხ ე ლ ი („ბავში“) მ ა რ თ ა ვ ს ზ მ ნ ა ს („თამაშობს“) პ ი რ შ ი .

ი ყ ი დ ე წ ი გ ნ ი ! { ზმნა „იყიდე“ მოითხოვს სახელისაგან „წიგნი“ სახელობითს ბრუნვას, თუმცა არც ეს და არც სხვა რომელიმე ბრუნვა მას თვითონ არ შეიძლება ქონდეს: ზ მ ნ ა („იყიდე“) მ ა რ თ ა ვ ს ს ა ხ ე ლ ს („წიგნის“) ბ რ უ ნ ვ ა შ ი .

მ ე ზ ო ბ ლ ის ბ ა ვ შ ი ხ ის ქ ვ ე შ თ ა მ ა შ ო ბ ს : { უფორმო სიტყვა „ქვეშ“ მოითხოვს სახელისაგან „ხის“ ნათესაობითს ბრუნვას, თუმცა მას თვითონ არც ეს, არც სხვა ბრუნვა არ გააჩნია: უ ფ ო რ მ ო ს ი ტ ყ ვ ა („ქვეშ“) მ ა რ თ ა ვ ს ს ა ხ ე ლ ის („ხის“) ბ რ უ ნ ვ ა ს .

¹ ქართულში სახელის სახელთან შეთანხმება საკმაოდ თავისებურია; ამას შემდეგ წერილში განვიხილავთ; აქ მხოლოდ შეთანხმების ცნების გასარკვევად მოგვყავს ეს მაგალითი.

მეზობლის ბავში ხის ქვეშ
თამაშობს: { უფორმო სიტყვა „ქვეშ“ არც იმართავს ზმნის მიერ“ („თამაშობს“), არც ეთანხმება მას: უფორმო სიტყვა („ქვეშ“) მიერთვის ზმნას („თამაშობს“).

შესიტყვება, როგორც ვნახეთ, სიტყვათა დამოკიდებულებას შეუქმნია. ამისდა კვალობაზე შესიტყვებაში ორგვარი სიტყვა გაირჩევა: გაბატონებული და დამოკიდებული. შესაძლებელია, ესა თუ ის სიტყვა გაბატონებული იყოს მეორის მიმართ, მაგრამ დამოკიდებული მესამეზე:

მეზობლის ↓
ბავშვის ↓
სათამაშო დაიკარგა { სახელი „ბავშვის“ გაბატონებულია სახელზე „მეზობლის“, მაგრამ დამოკიდებულია სახელზე „სათამაშო“.

შესაძლოა აგრეთვე ერთს სიტყვაზე ორი (და მეტი) სიტყვა იყოს დამოკიდებული:

მეზობლის ↓
ცელქი ↓
ბავში თამაშობს { ორივე სახელი: „ცელქი“, „მეზობლის“ დამოკიდებულია სახელზე „ბავში“: პირველი („ცელქი“) მას ეთანხმება, მეორე („მეზობლის“) მის მიერ იმართვის.

სიტყვათა დამოკიდებულება იძლევა **შეთანხმებას, მართვას და მართვას.**

შეთანხმება ეწოდება „დამოკიდებულების ისეთ სახეს, როცა გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისაგან ისეთ ფორმას, რომელშიაც ის თვითონ არის და რომლის მიხედვით ცვალების უნარი აქვს“.¹ ასეთია, მაგალ., ქართულში შეთანხმება სახელისა სახელთან ბრუნვაში, ზმნისა — სახელთან რიცხვში...

მართვა არის „დამოკიდებულების ისეთი სახე, როდესაც გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას თვითონ არა აქვს ამ მომენტში ან არც შეიძლება ქონდეს“.² ქართულში მართვის მაგალითებს იძლევა: სახელის მიერ სახელის მართვა ბრუნვაში, სახელის მიერ ზმნის მართვა პირში, ზმნის მიერ სახელის მართვა ბრუნვაში, უფორმო სიტყვის მიერ სახელის მართვა...

გაბატონებული სიტყვა, რომელიც მართავს,

¹ იხ. ჩვენი ნარკვევი: „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში I: ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“, ტფილ. 1928, გვ. 149.

² იქვე, გვ. 150.

იწოდება მმართველად; დამოკიდებული სიტყვა, რომელიც იმართვის, იქნება მართული. ასევე: გაბატონებული სიტყვა, თუ იგი ითანხმებს, შეიძლება იწოდოს მათანხმებლად;¹ დამოკიდებული სიტყვა, რომელიც ეთანხმება მეორე სიტყვას, იქნებოდა შეთანხმებულად.

სიტყვა, რომელიც მიერთვის სხვა სიტყვას, იწოდება **მირთულად**. მირთული სიტყვა არც ეთანხმება რომელსამე სიტყვას, არც იმართვის რომელიმე სიტყვის მიერ, იგი, ასე ვთქვათ, შესიტყვების თავისუფალი წევრია. მისი არსებობა შესიტყვებაში გამართულია არა სიტყვათა ურთიერთობით, არამედ აზრის საჭიროებით.

რადგან აზრთან (ცნობიერებასთან) ურთიერთობის საკითხს ჩვენ არ ვიხილავთ, შეიძლება მირთვა უყურადღებოდ დაგვეტოვებინა. მაგრამ ასე ვერ მოვიქცებით იმიტომ, რომ არის შემთხვევები, როდესაც მირთვაში დაჩნდება ხოლმე მართვის ნასახი, სიტყვათა ურთიერთობა მირთვის და მართვის მიჯნაზე დგას.² ამდენადვე მირთვაც მხედველობაში უნდა მივიღოთ. ქართულში შეიძლება მიერთოს უფორმო სიტყვა (მაგალ. ქვეშ, მუდამ, განუწყვეტლივ, გაღმა...), თანდებულიანი სახელი (მაგალ. თამაშობს „ხესთან“, „ხეზე“...) და სხვ.

ჩვენი ელემენტარული მაგალითების ანალიზიც ცხადყოფს, როგორც რთული ორგანიზაციაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შესიტყვება. ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუხვევთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა მიმართებაში იმყოფება სიტყვების დამოკიდებულება ჩვენი ცნობიერების მოვლენებთან, რამდენად შეესატყვისება იგი მათ ურთიერთ დამოკიდებულებას. **ჩვენი მიზანია ადვილად ჩვენი მეტყველების ფაქტები ისე, როგორც ეს არის მოცემული, იმისგან დამოუკიდებელივ, თუ რა უდევს მათ საფუძვლად, რას გამოხატავენ ისინი.**³ სიტყვათა დამოკიდებულების ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ შეთანხმებისა და მართვის პროცესებია (და არა მირთვა!), სიტყვებს რომ აკავშირებს შესიტყვებაში.

დავუშვათ ერთის წუთით, რომ შესიტყვებაში მხოლოდ მირთვას აქვს ადგილი; არ არის არც მართვა, არც შეთანხმება. ცხადია, ასეთ შე-

¹ ტერმინი „მათანხმებელი“ უხერხულია იმ მხრივ, რომ იგი არ არის მიმღობა სათავისო ქცევის ფორმისა — „თანხმებს“, არამედ საარვისოსი — „თანხმებს“. სამწუხაროდ, სათავისო ქცევას მიმღობა არ გააჩნია.

² სამწუხაროდ, ამ საუბარში არ მოგვიხერხდა სათანადო მაგალითების ჩვენება. ამ მოვლენის, ისევე როგორც საერთოდ, მირთვის საკითხს ცალკე დავუბრუნდებით.

³ რატომ არის ასე მოქცევა აუცილებელი, არის ნაჩვენები ზოგადად ჩვენს ნარკვევში: „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში“... (განსაკუთრებით იხ. გვ. გვ. 50-55, 136-139, გვ. 282, აგრეთვე წინასიტყვაობა გვ. VI-VIII...).

მთხვევაში, სიტყვათა დამოკიდებულების შესახებ ლაპარაკი უადგილო იქნებოდა; შესიტყვებას, როგორც სიტყვათა ორგანიზაციას, ადგილი არ ექნებოდა: გვექნებოდა სიტყვათა წყება და არა შესიტყვება...

ვფიქრობთ, გაუგებარი არ იქნება, თუ ჩვენი საუბრის დასკვნას ასეთის სახით ჩამოვაყალიბებთ: **შესიტყვება გულისხმობს სულ მცირე ორ სიტყვას. შესიტყვება არ არის სიტყვათა უბრალო წყება: შესიტყვება ისეთ სიტყვათა წყებაა, რომელნიც ერთმანეთთან გარკვეულს დამოკიდებულებაში იმყოფებიან; ეს დამოკიდებულებაა, სიტყვათა რიგს რომ შესიტყვებად წდის.**

აქედან შინაგანის აუცილებლობით გამომდინარეობს ერთადერთი დასკვნა: **არ შეიძლება შესიტყვების შესწავლა, თუ არ შევისწავლეთ ის, რაც შესიტყვებას ქმნის, თუ არ გავარკვიეთ სიტყვათა ურთიერთ დამოკიდებულება.**

სიტყვათა ურთიერთ დამოკიდებულების გარკვევა კი ნიშნავს იმის გამოკვევას, თუ რა როლს თამაშობს ესა თუ ის სიტყვა სიტყვათა ამ დამოკიდებულებაში: არის იგი გაბატონებული თუ დამოკიდებული? თუ გაბატონებულია, მმართველია თუ მათანხმებელი? თუ დამოკიდებულია, არის შეთანხმებული თუ მართული სიტყვა? რომელი სიტყვა რომელს ითანხმებს და რაში? რომელი სიტყვა რომელს მართავს და რაში? შეთანხმებისა და მართვის გარდა არის თუ არა მირთვა? და თუ არის, რა მიერთვის რას?

ერთი სიტყვით, შესიტყვების შესწავლა ნიშნავს — **სიტყვათა დამოკიდებულების შესწავლას და ამ დამოკიდებულებაში ცალკე სიტყვათა როლის გარკვევას.**

ტრადიციული სასკოლო გრამატიკა, როგორც ცნობილია, სულ სხვა შინაარსს დებდა სინტაქსში. ვთქვათ, გასარჩევი იყო ჩვენი მაგალითი: „მეზობლის ბავში ეზოში თამაშობს“. ამ შესიტყვების შესწავლა იწყებოდა კითხვით: „ვის შესახებ არის ლაპარაკი ამ წინადადებაში?“ ბავშვის შესახებ; ბავში — ქვემდებარეა. „რა არის ნათქვამი ბავშვის შესახებ?“ რომ ის თამაშობს: თამაშობს — შემასმენელი. „ვისი ბავში თამაშობს?“ მეზობლის: — განსაზღვრება. „სად თამაშობს ბავში?“ ეზოში: — ადგილის გარემოება.

ამ ფსევდო-ლოგიკურს ანალიზში ნაწილობრივ გამოყენებულია ტრადიციული ფორმალური ლოგიკის ტერმინოლოგია: ქვემდებარე — სუბიექტი, შემასმენელი — პრედიკატი. ოღონდ ქვემდებარეს აქ ერთი სიტყვა მიუჩინეს („ბავში“), შემასმენელსაც — ერთი („თამაშობს“); ლოგიკისათვის კი სუბიექტი იქნებოდა გადმოცემული ორი სიტყვით: „მეზობლის ბავში“, პრედიკატი — ორი სიტყვით: „ეზოში თამაშობს“.

ეს უფრო ბუნებრივიცაა. „მეზობლის ბავში ეზოში თამაშობს“. ვის შესახებ არის აქ ლაპარაკი? რა თქმა უნდა, „მეზობლის ბავში“-ს შესახებ. ასევე: რა არის „მეზობლის ბავშვის“ შესახებ ნათქვამი? რომ ის „ეზოში

თამაშობს“. წინადადების აზრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მხოლოდ ასეთი პასუხი შეიძლება გავცეთ ამ კითხვაზე: „ლოგიკური ანალიზი“ (უყვარსთ ზოგ სკოლის მოღვაწეთა ასეთი გამოთქმა!) ამას მოითხოვს, თუკი მას სურს იყოს ლოგიკური...

მაგრამ ეს იქნებოდა დემონსტრაციულად ხელის აღება გრამატიკაზე; მაშინ ყოველი ფრაზა ოთხსიტყვიანიცა და მეტსიტყვიანიც ორად გაიყოფოდა, თითოეულს ნაწილში რამდენიმე სიტყვა იქნებოდა მოქცეული და ცალკე სიტყვათა შესახებ ლაპარაკი სრულიად შეუძლებელი გახდებოდა (მაგალ. ფრაზაში: „ჩვენი მეზობლის ცელქი ბავში დილიდან საღამომდე ეზოში თამაშობს ამხანაგებთან“, პირველი ოთხი სიტყვა იქნებოდა ქვემდებარე = სუბიექტი, დანარჩენი ხუთი სიტყვა შემასმენელი = პრედიკატი).

„ლოგიკური ანალიზი“ მოყვარულმა სასკოლო გრამატიკამ თავი დაანება ქვემდებარისა და შემასმენლის ასეთ გაგებას და სრულიად თავისებურად თითო სიტყვით გასცა პასუხი კითხვაზე: ვის შესახებ არის ლაპარაკი? „ბავშვის“ შესახებ. რა არის ნათქვამი? რომ „თამაშობს“. „ლოგიკური ანალიზი“ ასე ულოგიკოდ დაიწყო. ლოგიკურ ტერმინებს „ქვემდებარე“, „შემასმენელი“ თავისებური ინტერპრეტაცია გაუკეთეს: ქვემდებარე — ერთი სიტყვა, შემასმენელიც — ერთიო.

ამით შესიტყვების სხვა სიტყვები „განთავისუფლდა“. მაგრამ მათვის ტერმინები ლოგიკას უკვე არ გააჩნდა; საჭირო ტერმინები და ცნებები — დამატება, განსაზღვრება, ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნის და ვითარების გარემოება თვით გრამატიკამ შექმნა.

როგორია ეს ცნებები? ავიღოთ გრამატიკის მიერ მოცემული გაგება. რა არის განსაზღვრება? ის სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს, განმარტავს მეორე სიტყვის აზრს, — ასეთია ჩვეულებრივი პასუხი. „მეზობლის ბავში ეზოში თამაშობს“. ვისი ბავში? მეზობლის (ბავში). როგორი ბავში? — „ცელქი“... „მეზობლის“, „ცელქი“ — განსაზღვრებაა. კი მაგრამ: „ეზოში“ — სიტყვაც ხომ განსაზღვრავს სხვა სიტყვის აზრს? „თამაშობს — ეზოში“ და არა ბაღში, ან დერეფანში თუ ოთახში. როგორც სიტყვები: „მეზობლის“, „ცელქი“ განსაზღვრავენ სიტყვას „ბავში“, ისევე განსაზღვრავს სიტყვა „ეზოში“ ზმნას „თამაშობს“...

ეგვე უნდა გვეთქვა, სხვა სიტყვებიც რომ გვექონოდა: ყოველი მათგანი ან სუბიექტს (ქვემდებარეს) „განსაზღვრავს“, ან პრედიკატს (შემასმენელს). სხვა დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, თუ თანამიმდევრობას დავიცავთ და მართლაც ლოგიკურ ანალიზს ვაწარმოებთ. ეს თანამიმდევრობა გრამატიკის „ლოგიკურ ანალიზს“ არ გააჩნია.

ერთის სიტყვით: ამ „ლოგიკურ ანალიზს“ სურს იყოს „ლოგიკურიც“ და შეისწავლოს მეტყველება: მაგრამ იგი ვერ არკვევს სიტყვათა დამოკიდებულებას, შეუსწავლელი რჩება მეტყველებითი მხარე, იმიტომ რომ,

ლოგიკის საკითხებს ეპოტინება, ლოგიკის ცნებებს ემყარება... მეორეს მხრით, ლალატობს ლოგიკას, ვერ იყენებს ლოგიკის ცნებებს, იმიტომ რომ თავი გრამატიკად წარმოუდგენია. ნამდვილად კი „ეს არც გრამატიკაა და არც ლოგიკა, რაღაც ნარევი, ყოველ შემთხვევაში ულოგიკო და უთავბოლო“.¹

გვჭირდება თუ არა სინტაქსში „წინადადება“, „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „დამატება“, „განსაზღვრება“, „გარემოებანი“? — სკოლის სინამდვილეში ამ ცნებებს გარკვეული შინაარსი ქონდათ და აქვსთ; მაგალ.: „წინადადება არის აზრი, გამოთქმული ზეპირად ან დაწერილი; ქვემდებარე არის ის, რის შესახებაც არის ლაპარაკი წინადადებაში; შემასმენელი არის ის, რაც ითქვა ქვემდებარის შესახებ“ და სხვ. და სხვ.

ასეთი გაგებით ამ ტერმინების ხმარება სინტაქსში (და საერთოდ, გრამატიკაში) ისევე **შეუწყნარებელია**, როგორც, მაგალითად, გეოგრაფიაში იმის მტკიცება, რომ დედამიწა კი არ ტრიალებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, არამედ მზე ამოდის აღმოსავლეთიდანო.

ეს ტერმინები შეიძლება დავტოვოთ სინტაქსში, თუ მათ გარკვეული სინტაქსური შინაარსი განეკუთვნებათ, ესე იგი, **თუ ისინი გამოყენებულინი იქნებიან სიტყვათა დამოკიდებულების აღსანიშნავად, სიტყვათა როლის დასახასიათებლად შესიტყვებაში.**

თუ ეს **აუცილებელი პირობა** არ შესრულდება, ამ ტერმინების ხმარება მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნება, რომ სინტაქსი „არასინტაქსურად“ შეისწავლება, რომ სინტაქსი ირევა სხვა რაღაცაში, რაც ყოველ შემთხვევაში გრამატიკის სახელით ვერ მოინათლება.

თუ ეს **აუცილებელი პირობა** არ შესრულდება, ეს ტერმინები იქნება გაუგებრობათა მუდმივი წყარო. მეცნიერულ საზოგადოებაში ტერმინის ერთადერთი დანიშნულებაა თავიდან აგვაცილოს ყოველგვარი გაუგებრობა. ვერ იქნება გამართლებული ისეთი ტერმინის არსებობა, რომელიც ამ დანიშნულებას არ შეეფერება. ასეთი ტერმინები უნდა აღიკვეთოს. ასეთ შემთხვევაში ტრადიცია (თუ „მეცნიერული პროტექციის“ სხვა ყოველი სახე) უძლური იქნება შეუნარჩუნოს მავნე ტერმინს არსებობა.

შემოგვეკითხებიან: განა წარმოსადგენია სინტაქსი, რომელშიც არ მოიპოება „წინადადება“, „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „დამატება“, „განსაზღვრება“, „გარემოებანი“?

¹ ასე დაახასიათა შტაინთალმა სტოელების ლოგიკა თავის ცნობილ გამოკვლევაში „ენათმეცნიერების ისტორია ბერძნებთანა და რომაელებთან“.

ჩვენი პასუხი მარტივი იქნება: სინტაქსი, როგორც მოძღვრება წინადადებისა და მის ნაწილების შესახებ, სინტაქსი ზემოხსენებული ტერმინებით, აწ ცნობილი სასკოლო, ტრადიციული გაგებით (ასე ვთქვათ, „წინადადებიანი სინტაქსი“) ჩვენში დამკვიდრდა ამ ორმოცდაათი წლის წინად, გასული საუკუნის მეოთხმოცე წლებში. მკაფიოდ დასრულებული სახით არის იგი მოცემული: 1) არ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს „პირველ-დაწყებითს ქართულს გრამატიკა“-ში (ტფილ. 1889, მეორე გამოც.); 2) პ. კ ვ ი ც ა - რ ი ძ ი ს „ქართულს სწორმეტყველება“-ში (ტფილ. 1888 წ. — ზოგს რა-შიმე ცილდება ტრაფარეტს!); 3) თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა ს ქართულს გრამატიკა“-ში (ტფილ. 1889). მეოცე საუკუნის გრამატიკოსები ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მ ე ლ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, ი ა ს. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი¹ ამ შემთხვევაში განაგრძობენ და ამკვიდრებენ უკვე არსებულ ტრადიციას.

ტრადიციული გაგების ჩანასახი მოჩანს დ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი ს „ქართულს გრამატიკა“-ში (1877 წ. უკანასკ. გამოც.) და პლატონ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გრამატიკაში („პირუფლ დაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამატიკისანი“ 1840 წ.). ეს უკანასკნელი, მაგალ., თავის „სინტაქსის“ დასაწყისში განსაზღვრავს „სჯას“, და წინადადებას, ქუჭმდებარეს, შესმენილს, — მაგრამ მისი სინტაქსი მთლიანად სულ სხვა ცნებებზეა აგებული.

ეს ცნებები პლ. იოსელიანს არ შეუქმნია: იგი ამ შემთხვევაში მიყვება ძველს ტრადიციას, რომელიც ანტონ პირველის გრამატიკიდან (1767 წლ.) მომდინარეობს.

როგორია ეს ტრადიცია? მისი ვრცელი დახასიათება შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ მის სინტაქსში ჭაჭანებაც არ ისმის ქვემდებარის, შემასმენლის, დამატების, განსაზღვრების და გარემოების, იმ ტერმინების, ურომლითოდაც სინტაქსი დღეს ბევრს წარმოუდგენლად მიაჩნია; არც წინადადების განსაზღვრებაა ამჟამად გავრცელებულივით უკუღმართი; სინტაქსის მიზანს არ შეადგენს წინადადებისა და მისი ნაწილების ძიება. სინტაქსის საგნად გამოცხადებულია „ლექსთა შეთხზვა“ ე. ი. „სიტყვათა შეკავშირება“; სინტაქსი სიტყვათა დამოკიდებულებას იძიებს და ამისდაკვალად ანტონ პირველის სინტაქსს შეუდარებლივ მეტი უფლება აქვს „სინტაქსად“ იწოდებოდეს, ვინემ იმ ფსევდო-ლოგიკურ ანალიზებს, ახლანდელი ტრადიციით სინტაქსის მაგივრობას რომ ეწევიან.

რასაკვირველია, სინტაქსის ზემოხსენებული გაგება ანტონ პირველით არ იწყება გრამატიკის ისტორიაში, მაგრამ ქართული ენის მასალაზე პირველად ანტონ პირველმა მოიხმარა იგი; ეს იყო მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში (ანტონ პირველს ორი ქართული გრამატიკა

¹ თავის გრამატიკის პირველ გამოცემაში.

ეკუთვნის: პირველი 1753 წ. არის დაწერილი, მეორე 1767 წ.; ეს უკანასკნელი რაფ. ერისთავმა გამოსცა 1885 წ.). იქიდან მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნის ქართულს გრამატიკაში (გაიოზისა, ვარლამისა, იესე ჩუბინაშვილსა, სოლ. დოდაშვილისა და პლატ. იოსელიანისა შიგნით!) ქართული ენის სინტაქსი ანტონ პირველის მიერ დამკვიდრებული გაგებით შეისწავლებოდა.

„წინადადების სინტაქს“ ქართულს გრამატიკაში ორმოცდაათი წლის ისტორიაც არა აქვს, „უწინადადებო სინტაქსი“ კი (თუ შეიძლება ასე ითქვას) ქართულს გრამატიკულ სინამდვილეში თითქმის მთელი საუკუნე არსებობდა. „უწინადადებო სინტაქსი“ არა თუ წარმოსადგენია, არამედ ფაქტია კიდევც, ფაქტი ორჯერ უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე ჩვენში, ვინემ ეს „წინადადებიან სინტაქსს“ გააჩნია.

ძველი ტრადიცია ანტონის ქართულმა სინტაქსმა უცხოეთიდან მიიღო, „წინადადებიანი სინტაქსიც“ ქართულს გრამატიკაში უცხოურ გრამატიკათა გავლენით გაჩნდა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ უფრო ახალი („წინადადებიანი სინტაქსი“) უფრო უმართებულო აღმოჩნდა, სინტაქსის საკითხები ვერ მოაგვარა და უწინდელი, უფრო მართებული გაგება კი იმდენად დაგვავიწყა, რომ დღეს მისი არსებობაც კი არავის წარმოუდგენია, დასამტკიცებელი ფაქტი გამხდარა.

V

შენიშვნები ქართული შესიტყვების აგებულების შესახებ

ჩვენ უკვე გავარკვიეთ, რა არის სინტაქსის საგანი, როგორ უნდა წარმოებდეს მისი შესწავლა (იხ. „კულტურული აღმშენებლობა“, 1930 წლ. თებერვალი, №5, გვ. 487 და შემდ.).* განსახილველი გვაქვს ქართული სინტაქსის თავისებურებათა საკითხი.

როგორც ვიცით, სინტაქსი შესიტყვებას შეისწავლის; შესიტყვება შედგენილობის მიხედვით სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს: მასში შეიძლება შედიოდეს **უფორმო სიტყვა** და **სახელი** (წყალს გაღმა; მთას იქით; სახლის წინ; სარკმლის ქვეშ...). **უფორმო სიტყვა** და **ზმნა** (აღრე დაზამთრდა; გუშინ გაავდარდა; ხვალ გამოიდარებს; ზეგ მივემგზავრებით; წუხელ ციოდა...) **სახელი** და **ზმნა** : მზე ამოვიდა; ბუნება იღვიძებს; ბულბულა გალობს; ქუჩა ხმაურობს; მდინარე მიიზლანება...

ჩვენი საუბრის საგანი იქნება უკანასკნელი ტიპის შესიტყვებანი; ჩვენი არჩევანი შემთხვევითი როდია; წინა საუბრებიდან ვიცით, რომ შესიტყვების შესწავლა შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა დამოკიდებულების ძიებას მოასწავებს; ეს დამოკიდებულება სიტყვათა ფორმების ნიადაგზე ჩნდება; ყველაზე მეტი შესაძლებლობა ამ მხრივ სახელსა და ზმნას მოეპოვება: ფორმით ისინი ყველაზე მდიდარნი არიან; მაშასადამე, მათი დამოკიდებულებაც ყველაზე რთულს სინტაქსურს ურთიერთობას მოგვცემს; და თუ ქართულს შესიტყვებას რაიმე თავისებურება ახასიათებს, ეს არ შეიძლება აქ არ დაჩნდეს. ამას გარდა, ასეთი ტიპის შესიტყვება ჩვეულებრივად ხმარებული რამ არის... სამწერლო ენაში ეს ტიპი უაღრესად გავრცელებულია.

ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ისეთი მაგალითები, რომლებშიაც სულ ორი წევრიდაა, — ერთი სახელი და ერთი ზმნა, მაგრამ ვრცელი შესიტყვებებიც რომ ავიღოთ, დავინახავთ, რომ მათშიც სახელი და ზმნა ჭარბობს... „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი! წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და იმ ადგი-

* [აქ: გვ. 61-77]

ლის შუაგულსა — ორსართულიანი სახლი ქვითკირისა. აი ის სართულები რა ფერისა იყო; ქვეშ იყო მარანი წალმით დახურული და იმ მარანის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ...“ ამ ვრცელს შესიტყვებებში სულ რამოდენიმე უფორმო სიტყვა და ნაწილაკია: და; აი; ქვეშ; -ში; -ურთ, -ზედ — დანარჩენი ბრუნებადი და უღვლილებადი სიტყვებია. ასევე შესიტყვებებში: „ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო და მის გარშემო წყლის ქვეშე უცხო წალკოტი ყვავისო“ — უფორმო სიტყვა თუ ნაწილაკია: და; გარშემო; ქვეშე; -ო,... სხვა სიტყვები ფორმიანია, სახელი და ზმნა... შესიტყვებაში კი: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა“, — არც ერთი უფორმო სიტყვა თუ ნაწილაკი არ ურევია, ყველა სიტყვა ფორმიანია, მთელი შესიტყვება სახელებისა და ზმნისაგან შესდგება... სახელი და ზმნა ხერხემალია ქართული მეტყველებისა და ჩვენც ბუნებრივია, თუ ამათგან შემდგარი შესიტყვების აგებულების შესახებ ვისაუბრებთ...

ჩვენ მარტივი მაგალითების ანალიზით დავიწყებთ, სახელდობრ ავიღებთ ისეთ შესიტყვებებს, სადაც მოიპოება ზმნა და მასთან ფორმის საშუალებით, — მორფოლოგიურად, — დაკავშირებული სახელი. რომ დაახლოებით მაინც გარკვეული იყოს, რას გულისხმობს „ფორმის მიხედვით კავშირი“, მოვიტანთ საილუსტრაციო მაგალითს „მოწაფემ დაწერა სამუშაო ფანქრით“... ამ შესიტყვებაში ზმნის გარდა სამი სახელია: „მოწაფემ“, „სამუშაო“, „ფანქრით“; სამივე სახელი ზმნასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს კავშირი სხვადასხვა სახისაა; სახელები: „მოწაფემ“, „სამუშაო“ ზმნასთან დაკავშირებულია ფორმით, — ზმნაში ორივეს პირი აღნიშნულია, პირველი სახელისა („მოწაფემ“) — რეალურად, „-ა“ სუფიქსის საშუალებით (შეადარე: მოწაფემ დაწერა, შენ დაწერე, მე დავწერე...), მეორე სახელისა („სამუშაო“) — პოტენციალურად,¹ ნულით (შეადარე: დაწერა სამუშაო, დაგწერა შენ, დამწერა მე...). მესამე სახელი („ფანქრით“) აგრეთვე არის დაკავშირებული ზმნასთან: ზმნაზეა დამოკიდებული მისი ბრუნვა, — ვერ ვიტყვით: „დაწერა ფანქრის“, ან „დაწერა ფანქრად“... ზმნა მართავს ამ სახელის ბრუნვას; ამ სახელის პირი ზმნაში არ აღინიშნება, **ზმნის აგებულებაში მას წილი არ უდევს**; „მოწაფე“ და „სამუშაო“ სახელების პირი ზმნაში აღინიშნება, **ზმნის აგებულებაში მათ წილი უდევთ**, ეს ენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხორციელად უკავშირდებიან ზმნას...

ფორმის საშუალებით ზმნასთან დაკავშირებული სახელების შესახებ

¹ სახელის პირის პოტენციალურად აღნიშვნის შესახებ იხ. ამავე სერიის მეორე წერილი („ახალ სკოლისაკენ“, №9/10, ივნის-ივლისი, 1929, გვ. 50 და შემდეგ.) [აქ: გვ. 44-დან].

რომ ვლაპარაკობთ, ისეთი სახელები გვაქვს მხედველობაში, როგორცაა „მოწაფემ“, „სამუშაო“... ასეთივე სახელები გვაქვს შესიტყვებაში: „მონადირემ თოფით დათვი მოკლა“: „მონადირემ“, „დათვი“ მორფოლოგიურად დაკავშირებულია ზმნასთან, „თოფით“ კი — არა. ასევე, შესიტყვებაში: „ბავშმა ჭინჭველი ფეხით გასრისა“, — სახელები „ბავშმა“, „ჭინჭველი“ წილის მქონეა ზმნაში, „ფეხით“ — სახელი კი არა...¹

ჩვენ ვთქვით, რომ ანალიზს დავიწყებთ ისეთი შესიტყვებებიდან, რომლებშიც მოიპოვება ზმნა და მასთან ფორმის საშუალებით დაკავშირებული სახელები; ზმნა და ასეთი სახელები წარმოადგენენ შესიტყვების ბირთვის, სხვა სახელები ამათ ეკვრის, შესიტყვება ამ ბირთვის გარშემო იშლება.

ჩვენ ვიცით, რომ ზმნა ქართულში შეიძლება იყოს **ერთპირიანი** (აბსოლუტური) და **ორ-** და **სამპირიანი** (რელატიური). ერთპირიანი ზმნა (ზის, დგება, შრება, იღვება...) გარდაუვალია; ორპირიანი — შეიძლება იყოს გარდაუვალიცა (უზის, უდგება, უშრება...), და გარდამავალიც (აშრობს, აქებს, აკეთებს). სამპირიანი მუდამ გარდამავალია (აძლევს, უგზავნის, აწერინებს...). — გარდამავლობა გარდაუვლობის შესახებ იხ. ამავე სერიის მეორე წერილი („ახალ სკოლისკენ“ 9/10, ივნის-ივლისი 1929 წ. გვ. 59* და შემდ.).

თქმულისდა მიხედვით ჩვენ საანალიზოდ გამოვყოფთ: 1. შესიტყვებას, რომელშიც მონაწილეობს ერთპირიანი (გარდაუვალი) ზმნა; 2. შესიტყვებას, რომელშიც მოიპოვება ორპირიანი გარდაუვალი ზმნა; 3. შესიტყვებას, რომელშიც ზმნა ორპირიანიც არის და გარდამავალიც. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სამპირიანი ზმნის შემცველ შესიტყვებასაც გავეცნობით.

შესიტყვება, რომელშიც მონაწილეობს ერთპირიანი ზმნა. ასეთ ზმნასთან მორფოლოგიურად შეიძლება იყოს დაკავშირებული მხოლოდ ერთი სახელი; ასე, მაგალ.: ქარი ქრის; წვიმა მოდის; ბავში თამაშობს; მოწაფე დგება; სანთელი ქრება... ზმნასთან დაკავშირებული სახელი სახელობითს ბრუნვაშია; რომელ დროშიც არ ავიღოთ ზმნა, სახელის ბრუნვა არ შეიცვლება: წვიმა მოდის, წვიმა მოდიოდა, წვიმა მოდიოდეს; წვიმა მოვიდა, წვიმა მოვიდეს; წვიმა მოსულა, წვიმა მოსულიყო, წვიმა მოსულიყოს... მოწაფე დგება, მოწაფე დგებოდა; მოწაფე დგებოდეს; მოწაფე ადგა, მოწა-

¹ ქართულში ზმნას ფორმის საშუალებით შეიძლება დაუკავშირდეს სახელი სამს ბრუნვაში: სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცემითში; არც ნათესაობითი, არც მოქმედებითი და არც ვნებითი ზმნას ამგვარად არ უკავშირდება: ისინი შეიძლება იყვნენ მხოლოდ სინტაქსურს დამოკიდებულებაში ზმნასთან.

* [აქ: გვ. 50 და შემდეგ].

ფე ადგეს; მოწაფე ამდგარა, მოწაფე ამდგარიყო, მოწაფე ამდგარიყოს...
სანთელი — გამქრალა, გამქრალიყო, გამქრალიყოს...

თითქოს სხვაგვარი მდგომარეობაა შესიტყვებაში: ქარი — ქრის, ქროდა, ქროდეს, მაგრამ: ქარმა — იქროლა, იქროლოს... „ქარმა“ მოთხრობითშია იმიტომ, რომ „იქროლა“ „ქრის“ — ფორმის ნამყო ძირითადი კი არ არის, არამედ „იქროლებს“ ზმნისა, რომელიც გარდამავალია (ქარი — იქროლებს, იქროლებდა, იქროლებდეს, ქარმა იქროლა); „ქრის“ — ზმნას საკუთარი ფორმიდან შეუძლია მხოლოდ დროთა პირველი ჯგუფი აწარმოოს (ქრის, ქროდა, ქროდეს); დროთა მეორე ჯგუფში იგი სესხულობს „იქროლებს“ — ზმნის ფორმას... იგივე ითქმის „თამაშობს“ ზმნის შესახებაც; მასაც მხოლოდ დროთა პირველი ჯგუფი გააჩნია საკუთარი! ამ განმარტებათა შემდეგ, გვგონია, რომ გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს ზემოთ თქმულმა: ერთპირიან ზმნასთან დაკავშირებული სახელი სახელობითს ბრუნვაშია იმისდა მიუხედავად, თუ რა დროშია ზმნა.

როგორია ხსენებული ტიპის შესიტყვების წევრ-სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა? უწინარეს ყოვლისა: რომელი სიტყვაა გაბატონებული და რომელი დამოკიდებული? „მოწაფე დგება“, მაგრამ: „მოწაფეები დგებიან“... „მოწაფე დგება“, მაგრამ „შენ დგები“, „მე ვდგები“: სახელის ცვლა ზმნის ცვლას იწვევს; სახელის მხოლოდობითს ზმნის ერთი ფორმა შეეფერება, მრავლობითს — მეორე. სახელია, მამასადამე, გაბატონებული, ზმნა დამოკიდებული...¹

რატომ არა პირიქით? რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზმნაა გაბატონებული, სახელი კი მასზეა დამოკიდებული; სახელი კი არ განსაზღვრავს ზმნის ფორმას, არამედ ზმნის ესა თუ ის ფორმა მოითხოვს ამა თუ იმ სახელს; ასე მაგალ.: დგები — შენ, ვდგები მე!² ხომ არ შეიძლება „დგება“ — ზმნის შემდეგ ვიხმაროთ „შენ“, „დგები“-ს შემდეგ „მე“ და „ვდგები“-სთან „შენ“... უდავოა, რომ ასეთი რამ („დგება შენ“, „დგები მე“, „ვდგები შენ“) არ ითქმის, მაგრამ ამის მიხედვით ვერ დავასკვნით — ზმნაა გაბატონებული და არა სახელიო. ვერ დავასკვნით იმიტომ, რომ „ვდგები“ ფორმა გააჩნია ზმნის ამ ფორმის განკუთვნიებამ „მე“ — სახელისათვის, რაიც აღნიშნულია ზმნაში „ვ“-თი, „ვ“-ს თავში დასმამ უკვე

¹ ცნებები გაბატონებული, დამოკიდებული, მართული, მათანხმებელი, შეთანხმებული, მართვა, შეთანხმება — განმარტებულია ამავე სერიის წინა (მეოთხე) წერილში; აქვეა მოცემული ამ ცნებათა განსაზღვრება (იხ. „კულტურული აღმშენებლობა“ №5, გვ. 491-8). [აქ: გვ. 57-66].

² წინა საუბარში (ამავე სერიის მეოთხე წერილში) გაკვრით შევხეთ ამ საკითხს. იხ. „კულტურული აღმშენებლობა“ №5, გვ. 491. [ამ გამოცემაში: გვ. 78] აქ უფრო დაწვრილებით განხილვა საჭიროდ ვცანით.

გადაწყვიტა, რომელია ის სახელი, ზმნის ამ ფორმაზე რომ ბატონობს; „მე“ სულაც რომ არ ვიხმაროთ, ეს დამოკიდებულება მაინც იარსებებს, სახელი მაინც იქნება ზმნის ბატონ-პატრონი, რადგანაც მისი წარმომადგენელი უკვე არის ზმნაში დაბუდებული. ეგევე ითქმის **ჩვენი** ზმნის სხვა ფორმათა შესახებ. **ზმნაში ცვლილება შეუძლებელია ისე, რომ მასში სახელის ნიშნები (წარმომადგენლები) არ იყოს. სახელის ცვლილას კი ზმნისეული ელემენტები არსად ჩანს.** ჩვენ შეგვიძლია, რომელიც გნებავთ ის სახელი სახელობითს ბრუნვაში წარვთქვათ და შემდეგ მას დაუბრკოლებლივ ესა თუ ის ერთპირიანი ზმნა მივუმატოთ, საჭირო პირის ფორმით, რა თქმა უნდა. ამას კი ვერ ვიზამთ, ვერც ერთ ორპირიან ზმნასთან (როგორც თავის ადგილას დავინახავთ).

ამგვარად: შესიტყვებაში „მოწაფე დგება“ გაბატონებული სიტყვაა „მოწაფე“; დამოკიდებულია — „დგება“.

რაში გამოიხატება ეს დამოკიდებულება? იმაში, რომ: 1. სახელი მართავს ზმნის პირს: მოწაფე დგება, შენ დგები, მე ვდგები... 2. სახელი ითანხმებს ზმნის რიცხვს: „მოწაფე დგება, მოწაფეები დგებიან; შენ დგები, — თქვენ დგებით; მე ვდგები — ჩვენ ვდგებით“... მრავლობითშია სახელი — მრავლობითშია ზმნა. ჩვენს მაგალითში ზმნას არ გააჩნია არც ერთი ფორმა, რომელიც სახელზე არ იყოს დამოკიდებული; სახელი განუყოფლად ბატონობს ზმნაზე: მართავს და ითანხმებს მას.

დასკვნა: შესიტყვება „მოწაფე დგება“ **შედგება** სახელისაგან (სახელობითს ბრუნვაში) და ერთპირიანი ზმნისაგან (აწმყო დროში, მხოლოდ. რიცხვ. მესამე პირში). **მექანიზმიც** ასეთი შესიტყვების მარტივია: მას ქმნის სახელის ბატონობა ზმნაზე; სახელი მართავს ზმნის პირს, ითანხმებს რიცხვს.

შევადაროთ ჩვენი შესიტყვება სათანადო რუსულ შესიტყვებას: **ученик встает.** ეს შესიტყვებაც შედგება სახელისაგან სახელობითს ბრუნვაში და ზმნისაგან აწმყო დროის მესამე პირში. **შედგენილობა** რუსული შესიტყვებისა ისეთივეა, როგორც ქართულის შესიტყვებისა „მოწაფე დგება“. რაც შეეხება **მექანიზმს**, აქაც სრული პარალელიზმია: სახელი **ученик** მართავს ზმნას **встает** პირში და ითანხმებს რიცხვში. სახელი შესიტყვების გაბატონებული წევრია, ზმნა დამოკიდებული.

ასეთს, **ზ მ ნ ა ზ ე მ ო ნ ო პ ო ლ ი უ რ ი უ ფ ლ ე ბ ი ს მ ქ ო ნ ე ს ა ხ ე ლ ს** **ქვემდებარე** ეწოდება: **ученик** იქნება ქვემდებარე რუსულ შესიტყვებაში „მოწაფე დგება“. სახელი „მოწაფე“ იმავე უფლების მქონეა, რაც **ученик**; ცხადია, „მოწაფე“-ც ქვემდებარე იქნება. ზმნას, რომელიც დამოკიდებულია ერთადერთ სახელზე — იმართვის მის მიერ პირში (და ეთანხმება მას რიცხვში) — შემასმენელს უწოდებენ; ამისდაკვალად ზმნა

встаёт (შესიტყვებაში: „**ученик встаёт**“) შემასმენელი იქნებოდა; ასევე ქართული „დგება“ (შესიტყვებაში: „მოწაფე დგება“) შემასმენელი იქნებოდა. რუსულისა და ქართულის ხსენებულ შესიტყვებაში სიტყვათა დამოკიდებულება ერთნაირ ცნებებს მოგვცემს; ერთნაირი მექანიზმი კი შესიტყვების ერთგვარობას მოწმობს: ქართული შესიტყვება, რომელშიაც მონაწილეობს ერთპირიანი ზმნა, ისეთივე სინტაქსური თვისებების მქონეა, როგორც მსგავსი რუსული შესიტყვება.

მაინც არის ორი გარემოება, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ რუსულთან შედარებისას:

1. რუსული შესიტყვების მექანიზმი ყოველთვის ისეთია, როგორც ჩვენს მაგალითში: **ученик встаёт**; გარდამავალი ზმნა თანაბრად არის დამოკიდებული **ერთადერთ** სახელზე; ეს სახელი ყოველთვის მართავს ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს. რუსულში ამ მხრივ ისეთი მდგომარეობაა, როგორც ქართულში გვაქვს ერთპირიანი ზმნის შემცველს შესიტყვებაში. და ეს არ არის შემთხვევითი; ზმნის მორფოლოგიური თვისება შინაგანის აუცილებლობით განსაზღვრავს ამას: რუსული ზმნა არ შეიძლება იყოს ორ- და სამ-პირიანი, იგი მუდამ ერთპირიანია, გარდაუვალიცა და გარდამავალიც.

2. ქართული **ერთპირიანი** ზმნა ყოველთვის არ აღნიშნავს სახელის მრავლობითობას. ეს მრავლობითობა უთუოდ აისახება ზმნაში, თუ სახელი პირველის ან მეორე პირისაა: მე ვდგები — ჩვენ ვდგებით, შენ დგები — თქვენ დგებით, აღუნიშვნელი არ რჩება მესამე პირის მრავლობითობაც, თუ მრავლობითი **-ნი**-თ არის დაბოლოებული: იგი დგება — იგინი დგებიან, მოწაფენი დგებიან. ხოლო თუ მრავლობითი **ებ**-ითაა ნაწარმოები, სახელის მრავლობითობა შეიძლება აღინიშნოს, შეიძლება — არა: მოწაფეები დგებიან... ბავშვები თამაშობენ... მოქალაქეები საუბრობენ... მაგრამ: ხეები დგას... მთები მოჩანს... ზამთრის დღეები ილევა... რუსულში კი სახელის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება ზმნაში: **ученик встаёт... дети играют... деревья стоят... горы виднеются... зимние дни кончаются...**

ამასთან დაკავშირებით შეიძლებოდა დაგვესვა საკითხი: როგორია სახელისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობა იმ შემთხვევაში, როდესაც სახელის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება? „ხეები დგას... მთები მოჩანს... დღეები ილევა“ — და მსგავს შესიტყვებებში... უდავოა, რომ სახელის სინტაქსური ძალა აქ უფრო სუსტია, ზმნაც ისე არ გრძნობს დამოკიდებულებას, რადგანაც საშუალება აქვს რიცხვში სახელს არ შეუთანხმდეს. ამისდა მიუხედავად პირში ის მაინც მართულია ზმნის მიერ, სახელი ისევ რჩება ერთადერთ გაბატონებულ სიტყვად. ეს მით უფრო, რომ მრავლობითობა აღუნიშვნელი რჩება არა ყოველთვის, არამედ **ებ**-იან სახე-

ლობითის ხმარების შემთხვევაში, ისიც არა ყოველთვის.¹

თუ შესიტყვება ერთპირიან ზმნას შეიცავს, მისი შედგენილობა მარტივია, მექანიზმიც ყოველგვარ სირთულეს მოკლებული. ქართულში რომ მხოლოდ ერთპირიანი ზმნები გვქონოდა, ქართული შესიტყვება არსებითად იმავე ტიპის იქნებოდა, როგორცაა რუსული (და, საერთოდ, ევროპულ ენათა) შესიტყვება, ქართული შესიტყვებათა ტიპურ თავისებურებათა საკითხი არც დაისმოდა (და თუ დაისმოდა, ერთობ მარტივი იქნებოდა). ორპირიანი ზმნის შემცველი შესიტყვება მიგვიითივებს სულ სხვა მდგომარეობაზე. გავეცნოთ მას.

შესიტყვება, რომელიც შეიცავს ორპირიან გარდაუვალ ზმნას: მოწაფე ეკითხება მასწავლებელს... მასპინძელი ესალმება სტუმარს... ცეცხლი ეკიდება სახლს... პირი უშრება ავადმყოფს... ტალღა აწყდება ნაპირს...

„მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“... ეს შესიტყვება შედგება ზმნისაგან (ეკითხება) და ორი სახელისაგან (მოწაფე, მასწავლებელს); ეს სახელები დაკავშირებულია ზმნასთან ფორმის საშუალებით: მოწაფე ეკითხება მასწავლებელს, მოწაფე ეკითხებოდა მასწავლებელს, მოწაფე ეკითხებოდეს მასწავლებელს... მოწაფე შეეკითხა მასწავლებელს, მოწაფე შეეკითხოს მასწავლებელს... მოწაფე შეეკითხებია მასწავლებელს... მოწაფე შეეკითხებოდა მასწავლებელს, მოწაფე შეეკითხებოდეს მასწავლებელს: ყველგან ზმნაში ჩანს ამ სახელთა პირები; აღინიშნება ეს უკანასკნელი რეალურად, სუფიქსის საშუალებით (-ა, -ა, -ს... „მოწაფე“ სახელის პირი) ან პოტენციალურად, ნულის საშუალებით („მასწავლებელს“ — სახელის პირი).

როგორია ამ სიტყვათა ურთიერთ დამოკიდებულება ანუ, რაც იგივეა, როგორია ამ შესიტყვების მექანიზმი? შესიტყვებაში „მოწაფე დგება“ ორი სიტყვა გვქონდა; მათგან პირველი, სახელი, გაბატონებული იყო მეორეზე, ზმნაზე; შესიტყვებაში „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“ სამი სიტყვა გვაქვს: ეგების აქაც ანალოგიური მდგომარეობაა: სახელი „მოწაფე“ გაბატონებულია ზმნაზე „ეკითხება“, ხოლო ეს უკანასკნელი სახელზე „მასწავლებელს“... ჩვენ უკვე ვიცით, რა უფლება ქონდა „მოწაფე“ — სახელს შესიტყვებაში: „მოწაფე დგება“; ახლა გავარკვიოთ იმავე სახელის უფლებები შესიტყვებაში „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“... ამ სახელის პირი, როგორც ვიცით, ზმნაში აღნიშნულია, — **ა** სუფიქსით (შეადარე: მოწაფე ეკითხება, — შენ ეკითხები, მე ვეკითხები...). მრავლობითში თუ დავსვით ეს სახელი, ზმნაში მისი მრავლობითობაც აისახება: მოწაფე ეკითხება — მოწაფეები ეკითხებიან...

¹ იმის გარკვევა, თუ როდის აღინიშნება **-ები**-ანი სახელობითის მრავლობითობა და როდის არა, ჩვენს მიზანს არ შეადგენს. მაინც ზოგადად ასე შეიძლება ითქვას: თუ **-ები**-ანი მრავლობითი გაპიროვნებული სახელია, მრავლობითობა აღინიშნება.

ამაზე მეტი უფლება ამ სახელს (მოწაფე) არ ქონდა შესიტყვებაშიც „მოწაფე დგება“, ხოლო რაც იქ ქონდა, აქაც გააჩნია! ჩანს, სულ ერთი ყოფილა სახელობითს ბრუნვაში დასმული სახელისათვის, დაკავშირებულია იგი ერთპირიან ზმნასთან (დგება), თუ ორპირიანთან (ეკითხება), სულ ერთი ყოფილა იმიტომ, რომ ზმნის პირის მართვას და რიცხვში შეთანხმებას იგი ორსავე შემთხვევაში თანაბრად ახერხებს!

კი მაგრამ, ნუთუ არაფერს ნიშნავს ის დიდი პრინციპული განსხვავება, რომელსაც ადგილი აქვს ამ შემთხვევაში: პირველს შესიტყვებაში: (მოწაფე დგება) „დგება“ — ზმნის ფორმა მთლიანად ეკუთვნის „მოწაფე“ — სახელს; თუ რომელიმე სახელი ფლობს ზმნას, ეს სახელია „მოწაფე“; მოზიარე და მონაწილე მას არ გააჩნია; მისი უფლება განუყოფელია; მეორე შესიტყვებაში კი (მოწაფე ეკითხება მასწავლებელს) ზმნაში მონაწილეობს მეორე სახელიც („მასწავლებელს“), და ამ უკანასკნელის პირი ზმნაში ისევე აღინიშნება, როგორც სახელისა „მოწაფე“. ესე იგი: სახელის განუყოფელი უფლება ერთს შემთხვევაში (მოწაფე დგება!) შეიცვალა მოზიარის უფლებად მეორეში (მოწაფე ეკითხება მასწავლებელს).

მერე რა დაშავდა ამით? სულ ერთი არ არის, გამოჩნდება თუ არა მოზიარე მეორე სახელი, თუკი პირველი ამ ახალს მდგომარეობაში იმდენსავე უფლებას შეინარჩუნებს, რამდენიც მას ქონდა პირველად, როცა იგი ერთპირიან ზმნასთან იყო დაკავშირებული! მაინც უნდა ვთქვათ: თუ ეს განსხვავება მართლაც პრინციპული ხასიათისაა, მას ვერ მოსპობს შემთხვევითი ერთგვარობა უფლებებისა, წილად რომ ხვდა სახელს „მოწაფე“. განა ერთნაირია უფლებრივი მდგომარეობა იმ პირისა, რომელსაც თავისი საწოლი უდგას დამოუკიდებელს ოთახში და იმ პირის, რომელსაც ივეთივე საწოლი უდგას საზიარო ოთახში! გვეტყვიან: შედარება არ არის დამტკიცება, ხოლო პრინციპული განსხვავება, თუ კი ფაქტიურად არაფერს შეცვლის, თეორიული ღირებულების მქონეა და მეტი არაფერიო.

ძველს ქართულში, მართლაც, ეს პრინციპული სხვაობა თეორიული მსჯელობით შეიცნობა;¹ ახალს ქართულში კი საქმის ვითარება სხვაგვარია: პრინციპული სხვაობა უჩინარია ისეთ შემთხვევაში, როგორცაა „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“, „საჩინარია“ სხვა შემთხვევებში...

ავილოთ შესიტყვება: „მოწაფე უყვარს მასწავლებელს“ და შევადაროთ იგი ჩვენს შესიტყვებას: „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“... ორსავე შემთხვევაში მონაწილეობს **ორპირიანი გარდაუვალი ზმნა**: „უყვარს, ეკითხება“. ორსავე შემთხვევაში ამ ზმნასთან დაკავშირებულია ორი სახელი:

¹ ამას დავინახავთ, როცა ქართული შესიტყვების ევოლუციის გათვალისწინებაზე მიდგება საქმე.

ერთი სახელობითში — (მოწაფე), მეორე — მიცემითში (მასწავლებელს). პირი ორივე სახელისა აღნიშნება ზმნაში: აკი ზმნა ორპირიანია. გამოსაკვლევი მრავლობითობის აღნიშვნის საკითხი: მოწაფე ეკითხება (მასწავლებელს)... — მოწაფეები ეკითხებიან (მასწავლებელს)... მოწაფე უყვარს (მასწავლებელს) — მოწაფეები უყვარს (მასწავლებელს)! რა მოხდა? **ერთს შემთხვევაში „მოწაფე“ — სახელის პირიც აღნიშნება და მრავლობითობაც, მეორეში კი მხოლოდ პირი, მრავლობითობა კი — არა.**

ერთპირიან ზმნასთან დაკავშირებით ჩვენ ვთქვით, რომ სახელის მრავლობითობა შეიძლება ზოგჯერ არ აღინიშნოს ზმნაში-თქო. ხომ არ არის აქ სწორედ ასეთი შემთხვევა? რა თქმა უნდა, არა. ისეთ სახელთა მრავლობითობა, როგორცაა „მოწაფე“, ერთპირიან ზმნაში ყოველთვის აღინიშნება (მოწაფე დგება — მოწაფეები დგებიან...), და თუ ჩვენს მაგალითში (მოწაფეები უყვარს...) არ აღინიშნა, უნდა ვიფიქროთ, აქ სხვა მიზეზია. ეს მიზეზი ზმნის ორპირიანობის ნიადაგზე ჩნდება, იმ პრინციპულ სხვაობის ნიადაგზე, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი... კონკრეტულად იგი ასე წარმოიდგინება: **სახელობითის მრავლობითობა იმიტომ არ აღინიშნა, რომ სახელობითის მიცემითი შეეცილა.** ორპირიანი ზმნა სახელობითთანაც არის დაკავშირებული და მიცემითთანაც; ხან სახელობითის მრავლობითობა აღინიშნება მასში, ხან კიდევ მიცემითისა;¹ თუ სახელობითის მრავლობითობა აღინიშნა, მიცემითისა — ვერ აღინიშნება და პირიქით: შეად:

მოწაფე ეკითხება მასწავლებელს { სახელობითის მრავლობითობა ზმნაში
 მოწაფეები ეკითხებიან მასწავლებელს { აღინიშნება

მოწაფე ეკითხება მასწავლებელს { მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ
 მოწაფე ეკითხება მასწავლებლებს { არის აღნიშნული

მოწაფე უყვარს მასწავლებელს { სახელობითის მრავლობითობა ზმნაში არ
 მოწაფეები უყვარს მასწავლებელს { არის აღნიშნული

მოწაფე უყვარს მასწავლებელს { მიცემითის მრავლობითობა ზმნაში
 მოწაფეები უყვარს მასწავლებლებს { აღინიშნება.

რას ნიშნავს ეს? უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მრავლობითობის აღნიშვნის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო შესიტყვებებში მიცემითს პრინციპში იმდენივე უფლება აქვს, რამდენიც სახელობითს (პირის აღნიშ-

¹ მხედველობაში გვაქვს ის შემთხვევები, როცა ორივე სახელი მესამე პირია; სხვა პირებთან, როგორც ვნახავთ, მდგომარეობა ცოტა სხვაგვარია: იქ შეიძლება ორივე სახელის მრავლობითობა აისახოს ზმნაში.

ვნის მხრივ ხომ მათ შორის განსხვავება არ იყო). და მამასადამე: **სახელობითი ორპირიან ზმნასთან ვერ სარგებლობს იმ უფლებით, რომელიც მას ქონდა ერთპირიან ზმნაში...** არც მიცემითს გააჩნია იმგვარი უფლებები. ერთპირიან ზმნაში ზმნის ფორმის ბატონ-პატრონი იყო სახელი სახელობითს ბრუნვაში. ორპირიან ზმნასთან ასეთი განუყოფელი უფლების მატარებელი არც სახელობითი და არც მიცემითი (საერთოდ, არ მოიპოვება ამ უფლების მქონე სახელი): ერთის განუყოფელი სამფლობელო (ზმნა) ორის საზიარო კუთვნილებად იქცა.

ჩვენს შესიტყვებებში ორივე სახელი მესამე პირი იყო. მოზიარე სახელთა უფლებრივი მდგომარეობა ნათელი რომ იყოს, მოვიტანთ ყველა პირთა ფორმებს მხოლოდობითშიაცა და მრავლობითშიც:

აწმყო დრო:

სახელობ.:		მიცემითი:		}	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება.
მოწაფე	ეკითხება	მასწავლებელს	„		
მოწაფეები	ეკითხებიან	„	„		
მოწაფე	ეკითხება	მასწავლებლებს	„		
მოწაფეები	ეკითხებიან	„	„		
მოწაფე	გეკითხება	შენ	„	}	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება (თუ სახელობითი — მხოლოდობითს რიცხვშია)
მოწაფეები	გეკითხებიან	„	„		
მოწაფე	გეკითხებათ	თქვენ	„		
მოწაფეები	გეკითხებიან	თქვენ ¹	„		
მოწაფე	მეკითხება	მე	„	}	სახელობითის მრავლობითობა აღინიშნება. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება (თუნდაც რომ სახელობითიც მრავლობითში იყოს და მისი მრავლობითობაც იყოს ზმნაში აღნიშნული).
მოწაფეები	მეკითხებიან	„	„		
მოწაფე	გვეკითხება	ჩვენ	„		
მოწაფეები	გვეკითხებიან	„	„		
შენ	ეკითხები	მასწავლებელს	„	}	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ არის აღნიშნული.
თქვენ	ეკითხებით	„	„		
შენ	ეკითხები	მასწავლებელს	„		
თქვენ	ეკითხებით	„	„		

¹ „თქვენ, ჩვენ, შენ, მე“ რატომ შეიძლება მივიჩნიოთ მიცემითისა თუ სხვა ბრუნვის როლის აღმასრულებლად, ნაჩვენები იქნება ქვემოთ.

შენ	მეკითხები	მე	{ სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება (თუნდაც რომ სახელობითიც მრავლობითში იყოს და მისი მრავლობითობა იყოს ზმნაში აღნიშნული).
თქვენ	მეკითხებით	„	
შენ	გვეკითხები	ჩვენ	
თქვენ	გვეკითხებით	„	
მე	ვეკითხები	მასწავლებელს	{ სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღნიშნული არ არის.
ჩვენ	ვეკითხებით	„	
მე	ვეკითხები	მასწავლებელს	
ჩვენ	ვეკითხებით	„	
მე	გვეკითხები	შენ	{ სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება (თუ სახელობითი მხოლოდობითს რიცხვში). მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება (თუ სახელობითი მრავლობითს რიცხვშია და ზმნაში თავის მრავლობითობას აღნიშნავს).
ჩვენ	გვეკითხებით	„	
მე	გვეკითხებით	თქვენ	
ჩვენ	გვეკითხებით	„	

როგორც ამ სქემიდან ჩანს, სახელობითის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება „ეკითხება“ ზმნაში: მოწაფეები — ეკითხებიან, გვეკითხებიან, მეკითხებიან; თქვენ — ეკითხებით, მეკითხებით; ჩვენ — ვეკითხებით, გვეკითხებით; მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა ჩვეულებრივ აღუნიშვნელი რჩება, მაგრამ მაინც არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მისი მრავლობითობა ზმნაში ჩანს; ეს ის შემთხვევაა, როდესაც „თქვენ“ და „ჩვენ“ არის მიცემითში: მოწაფე გვეკითხებათ თქვენ... მოწაფე გვეკითხება ჩვენ...

აქ განსაკუთრებით საინტერესოა ორი შემთხვევა: 1. „ჩვენ“ — სახელი მიცემითში თუ არის, ზმნას შეუძლია მისი მრავლობითობაც აღნიშნოს და სახელობითს ბრუნვაში დასმული სახელისაც: მოწაფეები **გვეკითხებიან** ჩვენ **გვ**-პრეფიქსი „ჩვენ“ — სახელის მრავლობითობაზე მიგვითითებს, **-ან** სუფიქსი „მოწაფეები“-ს მრავლობითობაზე; ასევე, შესიტყვებაში: თქვენ **გვეკითხებით** ჩვენ, — ზმნაში მრავლობითობის ორი ნიშანია: **გვ**-პრეფიქსი და **-თ** სუფიქსი. სინტაქსურად ეს ნიშნავს: **ორივე სახელი სრულიად თანაბარი ძალისა და მნიშვნელობისაა სათანადო შესიტყვებაში**. 2. როგორ უნდა დავაფასოთ ის შემთხვევები, როდესაც მიცემითის მრავლობითობა კიდევ აღინიშნება და კიდევ არა, — იმისდა მიხედვით, თუ რა რიცხვშია სახელობითი: თუ სახელობითი მხოლოდობითია, მიცემითის მრავლო-

ბითობა აღინიშნება: „მოწაფე გეკითხებათ თქვენ“; თუ სახელობითი მრავლობითშია, და ზმნას ითანხმებს რიცხვში, მიცემითის მრავლობითობისათვის „ადგილი არ რჩება“ ზმნაში, მაგალითად: მოწაფეები გეკითხებიან თქვენ. ასევე: მე გეკითხები თქვენ, მაგრამ: ჩვენ გეკითხებით თქვენ. რა თქმა უნდა, თუ გვაქვს: „მოწაფე გეკითხებათ თქვენ“, „მე გეკითხებით თქვენ“ — მიცემითის მრავლობითობის აღნიშვნის საკითხი დადებითად წყდება, ისეთ შემთხვევებში კი, როგორცაა: „მოწაფეები გეკითხებიან თქვენ“, ანდა: „ჩვენ გეკითხებით თქვენ“ — უარყოფითად... მაგრამ დაეუშვათ, რომ „თქვენ“ კი არ არის შესიტყვებაში, არამედ „შენ“ (მოწაფე გეკითხება შენ... მე გეკითხები შენ...); კითხვა ისმის, აღინიშნება თუ არა მისი მრავლობითობა? უნდა მივაკუთვნოთ ეს სახელი („შენ“) ისეთ სახელთა წყებას, რომელთა მრავლობითობა აღინიშნება, თუ ისეთ სახელთა რიგში უნდა მოვაქციოთ, რომელთა მრავლობითობა ზმნაში არ აისახება? არც ერთი და არც მეორე: **„შენ“ — სახელის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება პირობითად**, მისი სინტაქსური უფლებამოსილობა მერყევია ამ მხრივ.

დასკვნა. ჩვენს შესიტყვებაში: „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“ ორი სახელია ზმნასთან დაკავშირებული: ერთი — სახელობითში, მეორე მიცემითში. პირველის მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აღინიშნება, მეორის (მიცემითის) მრავლობითობა არას დროს არ აღინიშნება, თუ მესამე პირია; ყოველთვის აღინიშნება, თუ პირველი პირია („ჩვენ“) და პირობითად აღინიშნება, თუ მეორე პირია („თქვენ“). ჩვენ ვმსჯელობთ აწმყოს მიხედვით, მაგრამ დანასკვი ვრცელდება ყველა დროზე.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორპირიან „ეკითხება“- ზმნასთან უპირატესობით სარგებლობს სახელობითი. უნდა გავანალიზოთ ისეთი ორპირიანი ზმნის უღვლილება, რომელშიაც უპირატესობა მიცემითს ენიჭება; ასეთი ზმნის ნიმუში უკვე გვქონდა ზევით: „მოწაფე უყვარს მასწავლებელს“.

აწმყო დრო:

სახელობ.: მიცემითი:

მოწაფე	უყვარს	მასწავლებელს	} სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღნიშნული არ არის. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნა.
მოწაფეები	უყვარს	„	
მოწაფე	უყვარსთ	მასწავლებლებს	
მოწაფეები	უყვარსთ	„	

მოწაფე	გიყვარს	შენ	} სახელობითის მრავლობითობა აღნიშნული არ არის. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნა.
მოწაფეები	გიყვარს	„	
მოწაფე	გიყვარსთ	თქვენ	
მოწაფეები	გიყვარსთ	„	

მოწაფე	მიყვარს	მე	{ სახელობითის მრავლობითობა აღნიშნული არ არის. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნა.
მოწაფეები	მიყვარს	„	
მოწაფე	გვიყვარს	ჩვენ	
მოწაფეები	გვიყვარს	„	
შენ	უყვარხარ	მასწავლებელს	{ სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნა. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღნიშნული არ არის.
თქვენ	უყვარხართ	„	
შენ	უყვარხარ(?)	მასწავლებლებს	
თქვენ	უყვარხართ	„	
შენ	მიყვარხარ	მე	{ სახელობითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნა. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნა (სახელობითის მრავლობითობაც იმავე დროს).
თქვენ	მიყვარხართ	„	
შენ	გვიყვარხარ	ჩვენ	
თქვენ	გვიყვარხართ	„	
მე	ვუყვარვარ	მასწავლებელს	{ სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნა. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღნიშნული არ არის.
ჩვენ	ვუყვარვართ	„	
მე	ვუყვარვარ	მასწავლებლებს	
ჩვენ	ვუყვარვართ	„	
სახელობ.:	მიცემითი:		{ სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნა. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნა (რადგან სახელობითი — მე — მხოლოდობითს რიცხვშია) მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნა (რაკი სახელობითი მრავლობითს რიცხვშია — „ჩვენ“ და ზმნაში თავის მრავლობითობას აღნიშნავს).
მე	გიყვარვარ	შენ	
ჩვენ	გიყვარვართ	„	
მე	გიყვარვართ	თქვენ	
ჩვენ	გიყვარვართ	„	

რით განსხვავდება შესიტყვებათა ეს წყება მეორე წყებისაგან („მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“)? სახელობითისა და მიცემითის როლთა სხვაგვარი შეფარდებით, როცა ამ ბრუნვებში მესამე პირია. მესამე პირის სახელობითის მრავლობითობა ზმნაში („უყვარს“) არ აღინიშნება, იმავე პირის მიცემითის მრავლობითობა კი ზმნაში აღნიშნულია (თუ მისი მოზიარეა ისევ მესამე პირი სახელობითში). მიცემითის ბრუნვის სინტაქსური ძალა აქ იმდენადვე ჭარბობს სახელობითისას, რამდენადაც სახელობითისა ჭარბობდა მიცემითისას „ეკითხება“- ზმნასთან. სხვა მხრით განსხვავებას ადგილი არა აქვს.

ჩვენ დაკვირვებას ვაწარმოებდით აწმყო დროზე; მაგრამ ორპირიანი

გარდაუვალი ზმნა სხვა დროებშიც¹ რომ ავიღოთ, მდგომარეობა არ შეიცვლება, ზმნასთან დაკავშირებულ სახელთა შეფარდებითი წონა იგივე დარჩება.

რა გამომდინარეობს აქიდან? მხოლოდ ერთი რამ: **ორპირიან გარდაუვალ ზმნასთან სახელობითსა და მიცემითს ბრუნვას არსებითად ერთნაირი სინტაქსური როლი და მნიშვნელობა აქვს** (პირის საკითხში — სრული იგივეობაა, მრავლობითის საკითხში კი ხან სახელობითი გადაწონის, ხან — მიცემითი). **სახელობითი ბრუნვა ორპირიან ზმნასთან სრულებითაც არ არის იმ უფლებამოსილების მატარებელი, რომელიც მას ერთპირიან ზმნებთან ეკუთვნოდა... ორპირიან ზმნასთან არ მოიპოვება ზმნაზე მონოპოლიური უფლების მქონე სახელი.**

მაშ რა იქნებოდა სახელობითი ბრუნვა, ჩვეულებრივი ტერმინი („ქვემდებარე“, „დამატება“) რომ გვეხმარა? იქნებოდა თუ არა იგივე „ქვემდებარე“? ზევით, ერთპირიანი ზმნის შემცველ შესიტყვებასთან აღვნიშნეთ, რა შეიძლება (და უნდა) მივიჩნიოთ ქვემდებარედ. შეიძლება აქ გამოგვეყენებინა ის განსაზღვრება. მაგრამ უმჯობესია ჩვენი შესიტყვება („მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“...) სათანადო რუსულ შესიტყვებას შევადაროთ: ეს გაგვიადვილებს მიცემითი ბრუნვის კვალიფიკაციასაც.

„მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“: „ученик спрашивает учителя“; ამ შესიტყვებაში ученик მართავს ზმნას спрашивает პირში, ითანხმებს რიცხვში: შდრ.: ученик спрашивает, მაგრამ: ты спрашиваешь, я спрашиваю... ученик спрашивает — ученики спрашивают. სახელი ученик გაბატონებული სიტყვაა, спрашивает — დამოკიდებული; ამ შესიტყვებაში ученик გაბატონებულია ზმნაზე ისევე, როგორც შესიტყვებაში ученик встает; ორსავე შესიტყვებაში სახელობით ბრუნვას (ученик) თანაბარი სინტაქსური ძალა აქვს: თუ ერთს შემთხვევაში ученик არის ქვემდებარე, მეორეშიც ის ქვემდებარე იქნება.

კი მაგრამ შესიტყვებაში „ученик спрашивает учителя“ მეორე სახელიც ხომ გვაქვს („учителя“)? ასეთი სახელი აკი არ იყო პირველ შესიტყვებაში („ученик встает“)? მართალია, ასეთი სახელი არ იყო შესიტყვებაში „ученик встает“, მაგრამ მისი არსებობა შესიტყვებაში „ученик спрашивает учителя“ არავითარ გავლენას არ ახდენს ученик-სახელისა და спрашивает- ზმნის ურთიერთობაზე და აი რატომ: სახელი учителя... არის მართული ზმნის მიერ: спрашивает მოითხოვს მისგან ბრალდებითს ბრუნ-

¹ ჩვენი მაგალითებიდან „ეკითხება“ ყველა დროს აწარმოებს; „უყვარს“ ზმნა კი დროთა პირველ ჯგუფს... მის ნაცვლად შეიძლება აგვედო „(შე)უყვარდება“ ზმნა, — რომლისაგანაც ყველა დრო შეიძლება ვაწარმოოთ: შეუყვარდა, შეუყვარდეს... შეყვარები, შეყვარებოდა, შეყვარებოდეს.

ვას (არ შეიძლება: *спрашивает учителя*,¹ ან *спрашивает учителям...*) ზმნა მართავს ამ სახელს ბრუნვაში, მაგრამ თვით ეს სახელი (*учителя*) უძლურია რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინოს ზმნაზე; ზმნაში არ აღინიშნება არც მისი პირი, არც რიცხვი: ამიტომ რუსულში *спрашивает*- ზმნის შემდეგ თანაბრად შეიძლება იქნეს ნახმარი სხვა პირი სხვა რიცხვში: *спрашивает учителя, — тебя, — меня, — учителей, — вас, — нас...* ყოველი ამათგანი შეიძლება ვიხმაროთ, იმიტომ რომ არც ერთი არ აღინიშნება ზმნის ფორმაში (მდრ. ქართული: ეკითხება მას, მაგრამ გეკითხება შენ, გეკითხებათ თქვენ და სხვ.). ერთი სიტყვით: *учителя* მხოლოდ სინტაქსურად უკავშირდება ზმნას, იგი **მხოლოდ — მართული სახელია** (ისევე, როგორც *ученик* იმავე შესიტყვებაში **მხოლოდ — მმართველი სახელია**): მართული სახელი კი იწოდება **დამატებად** იმისდა მიუხედავად, იქნება იგი მართული ზმნისა თუ სახელის მიერ.

სინტაქსური მექანიზმი შესიტყვებისა „*ученик спрашивает учителя*“ სქემატურად ასე წარმოიდგინება:

<i>ученик</i> — მართავს ზმნის პირსა და რიცხვს: ზმნაზე გაბატონებული სახელი, მხოლოდ	
↓	მმართველი სახელი (ქვემდებარე)
<i>спрашивает</i> — იმართვის სახელის მიერ, რომელიც სახელობითს ბრუნვაშია	
↓	(იმართვის ქვემდებარის მიერ) — (შემასმენელი)
<i>учителя</i> — იმართვის ზმნის მიერ ბრუნვაში: მხოლოდ-მართული	
	სახელი (დამატება).

ქართულ შესიტყვებაში „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“ **სახელთა ურთიერთობა** შეიძლება ასეთი სქემით გავხადოთ თვალსაჩინო:

მოწაფე	მასწავლებელს:	ზმნაში აღინიშნება ორივე სახელის პირი; მრავლობითობის აღნიშვნის მხრივაც პრინციპული განსხვავება ამ ორ სახელის ბრუნვათა შორის არ არსებობს.
↓ეკითხება↓		

ამ ორი სქემის შედარება ცხადყოფს, რომ რუსული *учитель*- სახელი ორი საფეხურით დაბლა დგას, *ученик*- სახელზე; ქართულში კი სახელი „მასწავლებელს“ იმავე საფეხურზე დგას, როგორც სახელი „მოწაფე“. **ქართულში სახელობითს („მოწაფე“)** ნაკლები უფლება აქვს, ვინემ **რუსულ სახელობითს („ученик“)**; **ქართულ მიცემითს („მასწავლებელს“)** მეტი

¹ რუსულის სუსტად მცოდნე ქართველი ხშირად ხმარობს ასეთ გამოთქმას: *спрашивает ему* (его-ს ნაცვლად), *завет ему...* და სხვა, — ქართული შესიტყვების ანალოგიით: ეკითხება მას, უძახის მას ... და სხვ.

უფლება აქვს, ვინემ რუსულ შესატყვის ფორმას, ბრალდებითს ბრუნგას („учителя“)... ქართულში სახელოებითი და მიცემითი სინტაქსურის თვალსაზრისით პრინციპულად გათანასწორებული არიან: — ასეთი სახელოებითი ქვემდებარე ვერ იქნება, ასეთი მიცემითი დამატებად ვერ გამოცხადდება.

ამის უარყოფა ზემოხსენებული ქართული შესიტყვების ძირითადი თავისებურების უარყოფა იქნებოდა; მეტი კიდევ: ეს იქნებოდა მოწლა იმ ზღვარისა, რომელიც ერთპირიანსა და ორპირიან ზმნას შორის არსებობს, იმიტომ რომ სინტაქსის სინამდვილეში აღმოჩენილი თავისებურება შემთხვევითი ხასიათისა როდია, — იგი შინაგანის აუცილებლობით გამომდინარეობს ქართული ზმნის თავისებურებიდან, მისი ორპირიანობიდან; ეს პროცენტი იმ ძირითადი თანხის, რომელიც მორფოლოგიაში დააბანდა ქართულმა ზმნამ! ამიტომაც: ორპირიან ზმნასთან დაკავშირებული სახელების მონათვლა ქვემდებარე-დამატებად მხოლოდ სინტაქსური უკუღმართობა კი არ არის, ეს ქართული მორფოლოგიის ძირითადი თვისების უგულვებლყოფას მოასწავებს.

დავუბრუნდეთ ჩვენი შესიტყვების („მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“) ანალიზს. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის გამოვარკვიეთ, თუ როგორია სახელთა შეფარდებითი წონა. ამით არ დასრულებულა ძიება სინტაქსური ურთიერთობისა, რომელიც ამ შესიტყვების წევრ სიტყვათა შორის არსებობს. ჩვენს შესიტყვებაში ორი სახელია: ერთი სახელობითში, მეორე მიცემითში. რით არის ეს გამოწვეული? ზმნით. საიდან ჩანს ეს? შედარებიდან. „ეკითხება“ ორპირიანი ზმნაა. „უყვარს, ძულს; ესალმება, ეკიდება; უშრება, უკვდება“ — ორპირიანი ზმნებია. სათანადო შესიტყვებებში ერთი სახელი სახელობითს ბრუნვაში იქნება, მეორე — მიცემითში, იმისდა მიუხედავად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზმნას: მოწაფე ეკითხება მასწავლებელს — მოწაფე უყვარს მასწავლებელს... მასპინძელი ესალმება სტუმარს, ცეცხლი ეკიდება სახლს, პირი უშრება ავადმყოფს, შვილი უკვდება დედას... ასე, თუ ზმნა აწმყოშია; მაგრამ ზმნა სხვა დროშიც რომ აგველო, სახელთა ბრუნვა უცვლელად დარჩებოდა; ეს ნაწილობრივ აღვნიშნეთ კიდევ.

შეიძლება თუ არა, ეს დებულება გავავრცელოთ ყველა ორპირიან ზმნაზე? როგორც ვნახავთ, არა. აი მაგალითიც: „მოწაფე აქებს მასწავლებელს“... „აქებს“ — ზმნა ორპირიანია ისევე, როგორც „ეკითხება“: ზმნა (ეკითხება ის მას, გეკითხება ის შენ, მეკითხება ის მე... აქებს ის მას, გაქებს ის შენ, მაქებს ის მე); „აქებს“ — ზმნასთან ორი სახელია დაკავშირებული: ერთი — სახელობითში, მეორე — მიცემითში; შდრ.: მოწაფე ეკითხება, ეკითხებოდა, ეკითხებოდეს მასწავლებელს... მოწაფე აქებს, აქებდა,

აქედან მასწავლებელს. დროთა აწმყოს ჯგუფში ამ შესიტყვებათა აგებულებაში სრული პარალელიზმი ჩანს; მაგრამ თუ ზმნა დროთა მეორე ჯგუფში გადავიყვანეთ, მდგომარეობა არსებითად შეიცვლება: „შეეკითხოს მოწაფე მასწავლებელს“, — „აქოს მოწაფემ მასწავლებელი“... დროთა მესამე ჯგუფში კიდევ ასეთ კონსტრუქციებს ვხედავთ: „შეკითხებია მოწაფე მასწავლებელს, შეეკითხებოდა მოწაფე მასწავლებელს, შეეკითხებოდეს მოწაფე მასწავლებელს“ ერთი მხრით, „უქია მოწაფეს მასწავლებელი, ექო მოწაფეს მასწავლებელი, ექოს მოწაფეს მასწავლებელი“...

რა გამოვიდა? გვქონდა ორი ორპირიანი ზმნა: ორივესთან ორი სახელი იყო დაკავშირებული; დროთა აწმყოს ჯგუფში ეს სახელები ორივეს ერთნაირს ბრუნვაში ახლდა: ერთი — სახელობითში, მეორე — მიცემითში. დროთა მეორესა და მესამე ჯგუფში ერთს მათგანს („ეკითხება“) შერჩა სახელები იმავე ბრუნვაში, მეორესთან სახელთა ბრუნვა იცვლება: დროთა მეორე ჯგუფში სახელობითის ადგილი მოთხრობითმა დაიკავა (მოწაფე — მოწაფემ), მიცემითისა — სახელობითმა (მასწავლებელს — მასწავლებელი); დროთა მესამე ჯგუფში კიდევ სახელობითის ნაცვლად მიცემითი გვაქვს (მოწაფე — მოწაფეს), მიცემითის ნაცვლად — სახელობითი (მასწავლებელს — მასწავლებელი). მამასადამე, თუ ზმნა ორპირიანია, შეგვიძლია თუ არა იმ თავითვე ვთქვათ, დარჩება თუ არა სახელი უცვლელად ყველა დროში? ამის თქმა არ შეგვიძლია: **ზოგი ორპირიანი ზმნა ცვლის სახელთა ბრუნვას, ზოგიც უცვლელად ინარჩუნებს მას...**¹ ორსავე შემთხვევაში ძალაში რჩება დებულება: **ზმნაზეა დამოკიდებული სახელთა ბრუნვა: დარჩება ეს ბრუნვა უცვლელად თუ დროთა მიხედვით შეიცვლება, — ამ საკითხს ზმნა წყვეტს...**² სხვანაირად რომ ვთქვათ: **ორპირიანი ზმნა მართავს სახელთა ბრუნვას.** ამის უარყოფა გვაიძულებს დავასკვნათ, რომ ორპირიანი გარდაუვალი ზმნა უფრო ახლოს დგას ერთპირიან ზმნასთან, ვინემ ორპირიან გარდამავალთან. თქმა არ უნდა, ისეთი დასკვნა უმართებულო იქნებოდა.

თავი რომ მოგუყაროთ ყველაფერს ზემოთქმულს, მივიღებთ: შესიტყვებაში „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“ სიტყვათა დამოკიდებულება რთულია იმიტომ, რომ არ გვაქვს რუსულის მსგავსად დამოკიდებულების ცალფა იერარქია, როდესაც ერთი სიტყვა დამოკიდებულია მეორეზე, ეს მეორე მესამეზე და ასე ბოლომდის... ჩვენს შემთხვევაში, ქართულ შე-

¹ პირველ მათგანს, როგორც ცნობილია, გარდამავალი ეწოდება, მეორეს გარდაუვალი (იხ. სხვათა შორის, ამავე სერიის წერილი მეორე — ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ“ №9/10, ივნის-ივლისი, 1929 წ. გვ. 59 და შემდ.). [აქ: გვ. 25-დან].

² ორპირიანი გარდაუვალი ზმნა ამ მხრივ ხანდახან ძნელი გასამიჯნია ორპირიანი გარდამავალისაგან. ამის შესახებ იხ. „ახალ სკოლისაკენ“, №9/10, 1929 წ. გვ. 60. [აქ: გვ. 51].

სიტყვებაში, **არ მოიპოვება მხოლოდ-დამოკიდებული და მხოლოდ-გაბატონებული სიტყვა: დამოკიდებული იმავე დროს გაბატონებულიც არის;¹ დამოკიდებული რაიმე ნიშნის მიხედვით რომელსამე სიტყვაზე, ბატონობს იმავე სიტყვაზე სხვა ნიშნის მიხედვით,** — ერთი სიტყვით, დამოკიდებულებათა ქსელია და არა სადა ხაზები...

კონკრეტად ჩვენს შემთხვევაში: „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“ ზმნა („ეკითხება“) განსაზღვრავს მასთან დაკავშირებულ სახელთა ბრუნვას; ზმნის მოთხოვნით ისინი გვევლინებიან: ერთი — სახელობითში, მეორე — მიცემითში და მისივე მოთხოვნით რჩებიან იმავე ბრუნვებში: ზმნა მართავს სახელთა ბრუნვებს. სახელებიც თავის მხრივ მართავენ ზმნას: პირს — ორივე; რიცხვს რაც შეეხება: მხოლოდობითი თანაბრად „აღინიშნება“; უკეთ: თანაბრად არ აღინიშნება; მრავლობითობაც შეიძლება ორივესი აღინიშნოს: ხან სახელობითის მრავლობითობა აისახება (მოწაფეები ეკითხებიან მასწავლებელს), ხან მიცემითისა (მოწაფე გვეკითხება ჩვენ), ხან კიდევ, — თუმც იშვიათად, — ორივე სახელის მრავლობითობას მოვიპოებთ ზმნაში (მოწაფეები გვეკითხებიან ჩვენ)...

სხვა შესიტყვებაში, სხვა ორპირიან გარდაუვალ ზმნასთან, შეიძლება ისეთი მდგომარეობაც შეიქმნას, რომ არც ერთი სახელის მრავლობითობა არ აღინიშნოს ზმნაში; მაგალითად: „სახელები მიერთვის ზმნებს“, „დასკვნები აკლია მოხსენებებს“, „ვალეები ემატება ვალებს“...

კითხვა ისმის: რა სინტაქსურ ურთიერთობის ნიადაგზეა აღმოცენებული შესიტყვება: „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“? არის ეს შეთანხმება თუ მართვა? წინა საუბრებიდან — შესიტყვების შესახებ — ჩვენ ვიცით, რა ახასიათებს ერთსაც და მეორესაც. ამისთანა ურთიერთობა ჩვენ

¹ ჩვენ ვთქვით: „დამოკიდებული გაბატონებულიც არის იმავე დროსა“-თქო... შესიტყვებაში „ტფილისის უნივერსიტეტის წიგნთსაცავი“ არის ისეთი სიტყვა, რომელიც „გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი ც არის და დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ც“; ეს სიტყვაა „უნივერსიტეტის“; იგი დამოკიდებულია სიტყვაზე „წიგნთსაცავი“; მასზეა დამოკიდებული სიტყვა „ტფილისის“: „წიგნთსაცავი“ მართავს „უნივერსიტეტის“ — სახელს ბრუნვაში, სახელი „უნივერსიტეტის“ მართავს სახელს „ტფილისის“ ბრუნვაში. ასეთსავე მოვლენას ყოველ ფეხის გადადგმაზე შევხვდებით ქართულშიც, რუსულში თუ სხვა ენებში. მაგრამ ეს არ არის **საურთიერთო მართვა**, კოორდინაცია (ტ ე რ მ ი ნ ი ხ. ქვემოთ). ამ უკანასკნელის ნ ი შ ა ნ დ ო ბ ლ ი ვ ი თ ვ ი ს ე ბ ა იმაში მდგომარეობს, რომ დამოკიდებული სიტყვა გაბატონებულიც არის **იმავე სიტყვაზე, რომელზედაც არის დამოკიდებული**, შესიტყვებაში კი „ტფილისის უნივერსიტეტის წიგნთსაცავი“ სახელი „უნივერსიტეტის“ **დამოკიდებულია** ერთ სახელზე („წიგნთსაცავი“), გაბატონებულია კი სხვა სახელზე („ტფილისის“). აქ სინტაქსურ ურთიერთობაში **სამი** სიტყვაა აუცილებელი, საურთიერთო მართვას კი **ორ** სიტყვას შორის აქვს ადგილი. ეს განსხვავება მუდამ უნდა გვახსოვდეს.

იქ არ გაგვივალისწინებია. არ გაგვივალისწინებია იმიტომ, რომ სინტაქსურ ცნებათა დადგენისას ჩვენ ვიხილავდით ისეთ მოვლენებს, რომლებიც ყველა ფორმიან ენებში გვხვდება, თავისთავად მარტივნი არიან და საყოველთაოდ ცნობილნი.

ვიმეორებთ, ამისთანა სინტაქსური ურთიერთობა ჩვენ იქ არც გვქონია და ვერც გვექნებოდა. ეს ურთიერთობა სპეციფიკურ ქართულია; ზედმიწევნით რომ ვთქვათ, სპეციფიკურია ყველა ენისათვის, რომელსაც ორპირიანი ზმნა და ბრუნვადი სიტყვები (სახელები) გააჩნია...

ამ ურთიერთობის დასახასიათებლად ვერც **მართვა** — ტერმინი გამოდგება და ვერც **შეთანხმება**: იგი ვერც ერთ მათგანში ვერ ჩაეტევა; ის ახალ ცნებად უნდა ჩამოისხას და ახალი ტერმინი განეკუთვნოს. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ამ სპეციფიკური სინტაქსური ურთიერთობის აღსანიშნავად გვეხმარა ტერმინი **კოორდინაცია** და სათანადოდ ცნება ასე განგვესაზღვრა: „კოორდინაციად იწოდება ისეთი სინტაქსური ურთიერთობა, როდესაც სიტყვა, მართული რაშიმე მეორე სიტყვის მიერ თვით მართავს რაშიმე ამ სიტყვას“ (იხ. „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში, I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძვ. ქართ.“, ტფილ. 1928, გვ. 268). თუ სინტაქსური ურთიერთობა კოორდინაციაა, მის მონაწილე სიტყვებს ვერ დაერქმევა მმართველი თუ მართული; ვერ დაერქმევა იმიტომ, რომ თითოეული მათგანი მმართველიც არის და მართულიც ერთსა და იმავე დროს **ერთსა და იმავე სიტყვის მიმართ**; კოორდინაციის მონაწილე სიტყვები, კოორდინაციის წევრები, **კოორდინატები** იქნება. შესიტყვებაში „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“ სამივე სიტყვა კოორდინაციის უფლებამოსილი წევრია, სამივე კოორდინატია. მათში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის კოორდინატი, რომელიც ზმნით არის გადმოცემული: „კოორდინაციის ძაფები მასში იყრის თავს, იგია კოორდინაციის ცენტრი. ბუნებრივია, მას ვუწოდოთ **ძირითადი კოორდინატი**: სახელებს რაც შეეხება, მათ არსებითად ერთი და იგივე სინტაქსური ძალა აქვსთ, განსხვავდებიან ოდონდ მრავლობითობის აღნიშვნის მხრივ: ხან ერთის მრავლობითობა აღინიშნება ზმნაში, ხან მეორის; ამისდა მიხედვით, ხან ერთს აქვს მეტი მნიშვნელობა, ხან მეორეს; ესე იგი, ამ კოორდინატებიდან ხან ერთია დიდი კოორდინატი, ხან მეორე. **დიდი კოორდინატი** ის კოორდინატი-სახელია, რომლის პირიც აღინიშნება ზმნაში და მრავლობითობაც; **მცირე კოორდინატი** ის კოორდინატი-სახელია, რომლის პირიც აღინიშნება ზმნაში, მრავლობითობა კი — არა.¹

¹ კოორდინაცია ლათინური სიტყვაა; იგი შეიძლება გადმოგვეთ სიტყვით „შესაბამისობა“, „შეფარდებულობა“. „სიტყვათა კოორდინაცია“ ნიშნავს სიტყვათა შესა-

შესიტყვებაში: „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“ „ეკითხება“- ზმნა ძირითადი კოორდინატია; „მოწაფე“ — დიდი კოორდინატი („მოწაფე ეკითხება — მოწაფეები ეკითხებიან“); „მასწავლებელს“, — მცირე კოორდინატია (მოწაფე ეკითხება მასწავლებელს, მოწაფე ეკითხება მასწავლებლებს): ამ შემთხვევაში ძირითად კოორდინატს გარდა ორი კოორდინატიცაა: ერთი — დიდი, ერთიც მცირე...

ავილოთ შესიტყვება: „მოწაფე მეკითხება მე“: „მეკითხება“ — წინანდებურად ძირითადი კოორდინატია, მოწაფე — აგრეთვე დიდი კოორდინატი (შდრ. მოწაფე მეკითხება მე — მოწაფეები მეკითხებიან მე); „მე“ სახელი დიდი კოორდინატია (მოწაფე მეკითხება მე — მოწაფე გვეკითხება ჩვენ, მოწაფეები გვეკითხებიან ჩვენ: მისი მრავლობითობა უცილობლად აღინიშნება); ამგვარად შესიტყვებაში: „მოწაფე მეკითხება მე“: ძირითადს გარდა ორი კოორდინატი (სახელია), ორივე დიდი.

ამ შემთხვევებში სახელთა კვალი ფიკაცია სინელესარ წარმოადგენს; მაგრამ ვთქვათ, საქმე გვაქვს შესიტყვებასთან „მოწაფე გეკითხება შენ“: „მოწაფე“ დიდი კოორდინატია (მოწაფე გეკითხება შენ — მოწაფეები გეკითხებიან შენ). რაღაა „შენ“? დიდი თუ მცირე კოორდინატი? როგორც ვიცით, ეს დამოკიდებულია იმაზე, აღინიშნება თუ არა ამ სახელის მრავლობითობა ზმნაში. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ? არის ისეთი მდგომარეობა, როცა „შენ“ სახელის მრავლობითობა აღინიშნება, — ეს მაშინ, როდესაც „მოწაფე“ მხოლოდობითია: „მოწაფე გეკითხებათ^თ თქვენ“. „თქვენ“ დიდი კოორდინატია. მაგრამ, თუ „მოწაფე“ სახელი მრავლობითია, „თქვენ“ სახელის მრავლობითობა აღუნიშვნელი რჩება: „მოწაფე გეკითხებათ თქვენ“, მაგრამ „მოწაფეები გეკითხებიან თქვენ“: „მოწაფეები“ დიდი კოორდინატია, „თქვენ“ — მცირე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორპირიან ზმნასთან სახელობითი ბრუნვის მრავლობითობა შეიძლება არ აღინიშნოს და მაშინ „თქვენ“ სახელის მრავლობითობა ყოველთვის დაჩნდება ზმნაში, „თქვენ“ დაუბრკოლებლივ იქნება დიდი კოორდინატი (ასე, მაგ., „წიგნი გენატრება შენ“: — „წიგნი გენატრებათ^თ თქვენ“, — წიგნები გენატრებათ^თ თქვენ“... არას ვიტყვით ისეთი შემთხვევების შესახებ, როგორიცაა: „მოწაფე გიყვარს შენ, მოწაფე გიყვარსთ თქვენ, მოწაფეები გიყვარსთ თქვენ“ — აქ „შენ“, „თქვენ“ სახელის როლი საცილობელი არ არის: მათი მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება, ესენი — დიდი კოორდინატებია).

ბამისობას, შეფარდებულობას, ერთმანეთისათვის შესაფერისობას, „კოორდინატი“ — შესაბამ სიტყვათა, შეფარდებულ სიტყვას. ამგვარად ეს ტერმინები ხაზგასმით მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ სიტყვათა როლი ურთიერთთან მიმართების გარეშე ვერ გაირკვევა...

როგორ უნდა დავაფასოთ „შენ“ სახელის სინტაქსური როლი ისეთ შემთხვევებში, როგორცაა „მოწაფე გეკითხება შენ?“ ის, როგორც ვნახეთ, შეიძლება იყოს დიდი კოორდინატიცა და მცირეც, იმისდა მიხედვით, თუ როგორ პირობებს შექმნის მეორე სახელი სახელობითს ბრუნვაში. ამიტომაც „შენ“ სახელი „პირობითად დიდი კოორდინატი“.¹

ამასთან დაკავშირებით ორი საკითხი წამოიჭრება: რატომ „პირობით დიდი“ და არა „პირობით მცირე“: ხომ შეიძლება იგი „მცირე კოორდინატიც“ იყოს? იმიტომ, ვიტყვით ჩვენ, რომ ეს სახელი ჩვეულებრივ დიდი კოორდინატის უფლებებს მოიპოებს ხოლმე; სახელდობრ: 1. დიდი კოორდინატი იგი, თუ საქმე გვაქვს ისეთ ზმნებთან, რომელთანაც მიცემითი გადაწონის ხოლმე სახელობითს... 2. დიდი კოორდინატის უფლებები გააჩნია ამ სახელს მაშინ, თუ ზმნა „ეკითხება“-ს ტიპისაა, ე. ი. ისეთია, რომ ზმნის კარნახით სახელობითი (მესამე პირში) სარგებლობს გარკვეული უპირატესობით მიცემითის წინაშე, მაგრამ მრავლობითის სახელობითი - ებ-ითაა ნაწარმოები და უძლურია ზმნა რიცხვში შეითანხმოს. 3. დასასრულს, ისეთ შესიტყვებაშიც, როგორცაა „მოწაფე გეკითხება შენ“, „შენ“ სახელს არ აფერია უშლის იყოს დიდი კოორდინატი, თუ „მოწაფე“ მხოლოდობითია (იხ. ზემოთ, აქვე). ყოველივე ამის გამო ვამჯობინებთ გვეხმარა — „პირობით დიდი კოორდინატი“.

ახლა მეორე საკითხი: რამდენად დასაშვებია ასეთი, „პირობითი“ კვალიფიკაცია, რამდენად ბუნებრივია ამა თუ იმ სახელის სინტაქსური როლი ხასიათდებოდეს იმისგან დამოკიდებულებით, თუ რა უფლების მქონეა მეორე სახელი? ამაზე უნდა ვუბასუხოთ: ჯერ ერთი „პირობითობა“ უკუღმართობა იქნებოდა, ხელოვნურად რომ იყოს შენათხზი; აქ კი იგი აუცილებლობით არის გამოწვეული, რადგანაც საქმის ობიექტური ვითარებიდან გამომდინარეობს: ჩვენ ვემყარებით ზმნის ფორმას; მასში „შენ“-ის მრავლობითობა ხან აღინიშნება, ხან არა: **„შენ“ სახელის უფლებები მერყევია მორფოლოგიაში, ამიტომაც ვერ იქნება იგი მკვიდრი სინტაქსში.**

ერთის სახელის („შენ“) სინტაქსური უფლების რკვევისას გვერდს ვერ ავუქცევთ მეორე სახელის როლს: ზმნა ორპირანია; ამ ფაქტში უკვე მოცემულია შესაძლებლობა ზმნასთან დაკავშირებულ სახელთა კონფლიქტისა; ამ მხრივ „შენ“ სახელის უფლებრივი მდგომარეობა სწორედ იმით არის ძვირფასი, რომ თვალნათლივ გვიჩვენებს რას **ნიშნავს** ორპირიანობა, რანაირ სირთულეთა წყაროა ეს თითქოსდა უწყინარი ფაქტი ქართულის მეტყველებისა.

¹ გარკვეულობისათვის აღვნიშნავთ, რომ „შენ“ სახელის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ მის როლს შესიტყვებაში: „მოწაფე გეკითხება შენ“ (და არა „საერთოდ“).

ამაზე შეიძლება შევჩერდეთ. მოცემულია სანიმუშო ანალიზი შესიტყვებისა, რომელშიაც ორპირიანი გარდაუვალი ზმნა მოიპოება, წარმოდგენილია სათანადო ცნებათა განსაზღვრება და ტერმინები. როგორც ვნახეთ, ასეთ შესიტყვებაში ძირითად კოორდინატს გარდა ყოველთვის არის ორი სხვა კოორდინატი; ჩვეულებრივ ერთია დიდი კოორდინატი, მეორე მცირე; შეიძლება ორივე დიდი კოორდინატი იყოს; შეიძლება (თუმცა ისე ხშირად არა) ორივე მცირე კოორდინატი იყოს.

ამ ახალი ტერმინების ხმარებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: **ყურადღება მიგვაქცევინოს ქართული შესიტყვების აგებულების თავისებურებისათვის, როცა მასში ორპირიანი ზმნა მონაწილეობს; გვაშინოს, რომ ასეთ შესიტყვებაში მხოლოდ მმართველი სახელი (ქვემდებარე), მხოლოდ მართული სახელი (დამატება)¹ არ არსებობს და ვერ იარსებებს. და ამიტომ: ასეთ შემთხვევაში ქვემდებარისა და დამატების ძიება ან იმას მოწმობს, რომ „ქვემდებარე“, „დამატება“ — ცნებები სათანადო სახელთა სინტაქსურ როლს კი არ აღნიშნავს, არამედ სულ სხვა რამეს (ესე იგი ეს ცნებებია უკუღმართად აგებული), ანდა: ცნებები სწორად არის აგებული, მაგრამ შესიტყვებაში სიტყვათა ურთიერთობა და როლი არ არის მართებულად გარკვეული, ანდა, დასასრულ, შეიძლება ორივე უბედობამ ერთად იჩინოს თავი: არც ცნებები იყოს სინტაქსური, არც შესიტყვების ანალიზი — სწორი.**

ვიმეორებთ: ქვემდებარე-დამატების ძიება ასეთ შესიტყვებაში ორპირიან ქართულს ზმნაში ერთპირიანი ზმნის თვისებების ძიებაა. ახალი ტერმინების ხმარებით სინტაქსური სინამდვილის სხვაგვარობაა ხაზგასმული, მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, სრულებით არაფერი დაშავდება, თუ სათანადო ტერმინების გარდა აღწერითს გამოთქმებს ვიხმართ: მაგალითად, ნაცვლად ტერმინისა: „დიდი კოორდინატი“ — ვიტყვით: სახელი, რომელსაც ბრუნვაში მართავს ზმნა და რომელიც თავის მხრივ მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში (მრავლობითში); მცირე კოორდინატი: სახელი, რომელსაც ბრუნვაში მართავს ზმნა და რომელიც თავის მხრივ მართავს ზმნას პირში, მაგრამ ვერ ითანხმებს მრავლობითში; კოორდინაცია: ზმნისა და სახელის საურთიერთო მართვა... დიას, შეიძლება ვიხმაროთ არა ტერმინი, არამედ ეს ვრცელი გამოთქმები: საქმე ცნებაშია და არა ტერმინში. თუ ახალი ტერმინის შემოღება ქვეყნის დაქცევად გვეჩვენება, თავი დავანებოთ მათ, მაგრამ თავს ნუ დავანებებთ იმ ცნებებს, რომელიც ქართულმა შესიტყვებამ შექმნა და მანამდე იქნება, სანამ ქართული ორპირიანი ზმნა იარსებებს.

¹ იგულისხმება ზმნასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელი.

შესიტყვება, რომელშიაც ორპირიანი გარდამავალი ზმნა მონაწილეობს. ამ ტიპის შესიტყვებათა სინტაქსური ანალიზი ერთობ გაადვილებულია მას შემდეგ, რაც საკმაოდ დაწვრილებით გავეცანით ორპირიან გარდაუვალ ზმნის შემცველ შესიტყვებას: ორსავე შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტია ორპირიანობა; ორპირიანობით შექმნილი მდგომარეობა უკვე გათვალისწინებული გვაქვს. ზმნის გარდამავლობა მხოლოდ ამარტივებს ამ მდგომარეობის ანალიზის საქმეს, რადგანაც აქ თვალსაჩინო და ნათელია ის, რაც გარდაუვალ ზმნებთან ერთის შეხედვით არ შეიმჩნეოდა და საგანგებო განხილვას საჭიროებდა.

ს ა ნ ი მ უ შ ო დ ა ვ ი ლ ო თ შ ე ს ი ტ ყ ე ბ ა: „მოწაფე აქებს მასწავლებელს“. ზმნა „აქებს“ მართავს ორივე სახელის ბრუნვას; ეს მართვა აქ უფრო დემონსტრაციული სახით წარმოდგება, ვინემ შესიტყვებაში „მოწაფე ეკითხება მასწავლებელს“: იქ ზმნა ინარჩუნებდა სახელებს ერთსა და იმავე ბრუნვაში, აქ იგი ცვლის მათ ბრუნვებს დროთა მიხედვით: „მოწაფე აქებს მასწავლებელს“, მაგრამ: „მოწაფემ აქო მასწავლებელი“, — „მოწაფეს უქია მასწავლებელი“. „მოწაფემ აქებს მასწავლებელს“ ისევე შეუძლებელია, როგორც „მოწაფეს აქო მასწავლებელი“ ანდა „მოწაფის უქია მასწავლებელი“. აწმყოში — სახელობითი (მოწაფე), ნამყო ძირითადში — მოთხრობითი (მოწაფემ), ნამყო სრულში — მიცემითი (მოწაფეს) ზმნის სათანადო ფორმათა მოთხოვნით გაჩნდა: ას სახელის ბრუნვა ზმნაზეა დამოკიდებული, მას ზმნა მართავს.

ეგვე ითქმის მეორე სახელის შესახებაც: როცა ზმნა აწმყოშია, ეს სახელი მიცემითში დაისმის (აქებს მასწავლებელს); თუ ზმნა ნამყო ძირითადშია, ეს სახელი სახელობითის ბრუნვაშია (აქო მასწავლებელი), ნამყო სრულთან — ეს სახელი სახელობითს ბრუნვაში უნდა იყოს (უქია მასწავლებელი). სახელთა¹ ბრუნვებს ზმნა მართავს; სახელები კი ზმნის პირს მართავენ: „მოწაფე“ სახელი წარმოდგენილია ზმნაში **-ს** სუფიქსით (მოწაფე აქებ-ს), „მასწავლებელს“ სახელი ზმნაში აღინიშნება პოტენციალურად ნულ-ფორმანტით (ვერ ვიტყვით: „მოწაფე აქებს შენ, აქებს მე“, „აქებს“ ფორმა ვარაუდობს „მას“ სახელს, ანდა ზოგადად მიცემითს).

ასე და ამგვარად: ორივე სახელი იმართვის ზმნის მიერ, თავის მხრივაც მართავს ზმნას, ესე იგი, მრათულიც არის და მმართველიც. ცხადია, ეს სახელები ქვემდებარედ და დამატებად ვერ მიიჩნევა, ეს სახელები კოორდინატებია. რომელია მათგან დიდი კოორდინატი და რომელი მცირე? ამას გაარკვევს მრავლობითის აღნიშვნა: მოწაფე აქებს მასწავლებელს — მოწაფეები აქებენ მასწავლებელს: მოწაფე — დიდი კოორდინატი. მოწა-

¹ თქმული თითოეული დროის შესახებ, შეეფერება დროთა მთელ სათანადო ჯგუფსაც.

ფე აქებს მასწავლებელს — მოწაფე აქებს მასწავლებლებს: მასწავლებელს — მცირე კოორდინატია.

ასევე შესიტყვებაში: „მოწაფემ აქო მასწავლებელი“ „მოწაფემ“ — დიდი კოორდინატი იქნება (მოწაფემ აქო მასწავლებელი — მოწაფეებმა აქეს მასწავლებელი), მასწავლებელი — მცირე კოორდინატი (მოწაფემ აქო მასწავლებელი — მოწაფემ აქო მასწავლებლები).

შესიტყვებაში „მოწაფეს უქია მასწავლებელი“ — ერთი შეხედვით ისეთივე მდგომარეობაა, როგორც აწმყოში გვქონდა: ერთი სახელი სახელობითშია, მეორე — მიცემითში; მაგრამ სახელობითს არა აქვს ის სინტაქსური ძალა, რომელიც მას აწმყოში გააჩნდა; მიცემითს კიდევ, პირიქით, მეტი სინტაქსური შესაძლებლობა აღმოაჩნდება ხოლმე, ვინემ აწმყოში; მოწაფეს უქია მასწავლებელი, მოწაფეს უქია მასწავლებლები: მასწავლებელი — მცირე კოორდინატია; მოწაფეს უქია მასწავლებელი — მოწაფეებს უქიათ მასწავლებელი: მოწაფეს დიდი კოორდინატია. ამ დროსთან მიცემითს ისეთივე სინტაქსური მნიშვნელობა ახასიათებს, როგორც სახელობითს აწმყოში, და წინაუკმო: სახელობითი აქ აწმყოსთან ხმარებულ მიცემითს უდრის სინტაქსურად.

ჩვენს შესიტყვებებში სახელები მესამე პირშია აღებული. სხვა პირებიც რომ ავიღოთ და ხსენებული სამი დროის ფორმები მოვიტანოთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

აწმყო დრო:

სახელობ.:		მიცემითი:		}	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (მოწაფე, მოწაფეები) — დიდი კოორდინატი. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ არის აღნიშნული: მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) მცირე კოორდინატი.
მოწაფე	აქებს	მასწავლებელს			
მოწაფეები	აქებენ	„			
მოწაფე	აქებს	მასწავლებლებს			
მოწაფეები	აქებენ	„			

სახელობ.:		მიცემითი:		}	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (მოწაფე, მოწაფეები) — დიდი კოორდინატი. მიცემითის მრავლობითობა აღინიშნება (თუ სახელობითი მხოლოდითშია): მიცემითი (თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითის მრავლობითობა არ აღინიშნება (თუ სახელობითი მრავლობითშია): მიცემითი (თქვენ) — მცირე კოორდინატი. მიცემითი (შენ) — პირობითად დიდი კოორდინატი.
მოწაფე	გაქებს	შენ			
მოწაფეები	გაქებენ	„			
მოწაფე	გაქებსთ	თქვენ			
მოწაფეები	გაქებენ	„			

მოწაფე	მაქებს	მე	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (მოწაფე, მოწაფეები) — დიდი კოორდინატი. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მიცემითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი.
მოწაფეები	მაქებენ	„	
მოწაფე	გვაქებს	ჩვენ	
მოწაფეები	გვაქებენ	„	

შენ	აქებ	მასწავლებელს	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) — მცირე კოორდინატი.
თქვენ	აქებთ	„	
შენ	აქებ	მასწავლებლებს	
თქვენ	აქებთ	„	

შენ	მაქებ	მე	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მიცემითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი.
თქვენ	მაქებთ	„	
შენ	გვაქებ	ჩვენ	
თქვენ	გვაქებთ	„	

მე	ვაქებ	მასწავლებელს	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) — მცირე კოორდინატი.
ჩვენ	ვაქებთ	„	
მე	ვაქებ	მასწავლებლებს	
ჩვენ	ვაქებთ	„	

სახელობ.:		მიცემითი:	სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება (თუ სახელობითი — მხოლოდითშია): მიცემითი (თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითის მრავლობითობა არ აღინიშნება (როცა სახელობითი მრავლობითშია): მიცემითი (თქვენ) — მცირე კოორდინატი. მიცემითი (შენ) — პირობითად დიდი კოორდინატი.
მე	ვაქებ	შენ	
ჩვენ	ვაქებთ	„	
მე	ვაქებთ	თქვენ	
ჩვენ	ვაქებთ	„	

ნამყო ძირითადი:

მოთხრობა.:		სახელობა.:	
მოწაფემ	აქო	მასწავლებელი	მოთხრობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მოთხრობითი (მოწაფემ, მოწაფეებმა) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: სახელობითი (მასწავლებელი, მასწავლებლები) მცირე კოორდინატი.
მოწაფეებმა	აქეს	„	
მოწაფემ	აქო	მასწავლებლები	
მოწაფეებმა	აქეს	„	
მოწაფემ	გაქო	შენ	მოთხრობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მოთხრობითი (მოწაფემ, მოწაფეებმა) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა აღინიშნება (თუ მოთხრობითი მხოლოდითშია): სახელობითი (თქვენ) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა არ აღინიშნება (რაკი მოთხრობითი მრავლობითშია), სახელობითი (თქვენ) — მცირე კოორდინატი. სახელობითი (შენ) — პირობითად დიდი კოორდინატი.
მოწაფეებმა	გაქეს	„	
მოწაფემ	გაქოთ	თქვენ	
მოწაფეებმა	გაქეს	„	
მოწაფემ	მაქო	მე	მოთხრობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მოთხრობითი (მოწაფემ, მოწაფეებმა) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება სახელობითიც (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი.
მოწაფეებმა	გაქეს	„	
მოწაფემ	გვაქო	ჩვენ	
მოწაფეებმა	გვაქეს	„	
მოთხრობა.:		სახელობა.:	
შენ	აქე	მასწავლებელი	მოთხრობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მოთხრობითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი სახელობითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: სახელობითი (მასწავლებელი, მასწავლებლები) — მცირე კოორდინატი.
თქვენ	აქეთ	„	
შენ	აქე	მასწავლებლები	
თქვენ	აქეთ	„	
შენ	მაქე	მე	მოთხრობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მოთხრობითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი.
თქვენ	მაქეთ	„	
შენ	გვაქე	ჩვენ	
თქვენ	გვაქეთ	„	

მე	ვაქე	მასწავლებელი	მოთხრობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მოთხრობითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: სახელობითი (მასწავლებელი, მასწავლებლები) — მცირე კოორდინატი.
ჩვენ	ვაქეთ	„	
მე	ვაქე	მასწავლებლები	
ჩვენ	ვაქეთ	„	
მე	ვაქე	შენ	მოთხრობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მოთხრობითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: (თუ მოთხრობითი მხოლოდით-შია): სახელობითი (თქვენ) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება (რაკი მოთხრობითი მრავლობითია): სახელობითი (თქვენ) — მცირე კოორდინატი. სახელობითი (შენ) ასეთ შემთხვევაში — პირობითად დიდი კოორდინატი.
ჩვენ	ვაქეთ	„	
მე	ვაქე	თქვენ	
ჩვენ	ვაქეთ	„	

ე.წ. ნამყო სრული:

მიცემითი.: სახელობ.:

მოწაფეს	უქია	მასწავლებელი	მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მიცემითი (მოწაფეს, მოწაფეებს) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: სახელობითი (მასწავლებელი, მასწავლებლები) — მცირე კოორდინატი.
მოწაფეებს	უქიათ	„	
მოწაფეს	უქია	მასწავლებლები	
მოწაფეებს	უქიათ	„	
მოწაფეს	უქიხარ	შენ	მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: მიცემითი (მოწაფეს, მოწაფეებს) — მცირე კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი.
მოწაფეებს	უქიხარ ¹	„	
მოწაფეს	უქიხართ	თქვენ	
მოწაფეებს	უქიხათ	„	

¹ თანამედროვე სამწერლო ენაში ამ შემთხვევაში რყევას: შესაძლებელია ითქვას „მოწაფეებს უქიხართ შენ“, აგრეთვე შეუძლებელი არაა: „მოწაფეებს ვუქივართ მე“. ამისდა მიხედვით შეიძლება ორსავე შესიტყვებაში „მოწაფეებს“ დიდი კოორდინატი იყოს, თუ სახელობითი მხოლოდითშია. „მოწაფეს“ კი პირობითად დიდი კოორდინატი იქნებოდა. მაინცდამაინც ორსავე შემთხვევაში უპირატესობა აქვს სახელობითს „თქვენ“, ჩვენ“ — მათი მრავლობითობა ზმნაში უთუოდ აღინიშნება: „თქვენ, ჩვენ; შენ, მე“ — დიდი კოორდინატი იქნება.

მოწაფეს	ვუქივარ	მე	{ მიცემითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: მიცემითი (მოწაფეს, მოწაფეებს) — მცირე კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი.
მოწაფეებს	ვუქივარ	„	
მოწაფეს	ვუქივართ	ჩვენ	
მოწაფეებს	ვუქივართ	„	

შენ	გიქია	მასწავლებელი	{ მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მიცემითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: სახელობითი (მასწავლებელი, მასწავლებლები) — მცირე კოორდინატი.
თქვენ	გიქიათ	„	
შენ	გიქია	მასწავლებლები	
თქვენ	გიქიათ	„	

მიცემითი:		სახელობ.:		{ მიცემითი (თქვენ) — ხან დიდი კოორდინატია (თუ სახელობითია „მე“), ხან — მცირე (თუ სახელობითია „ჩვენ“). მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება პირობითად, თუ სახელობითი. მხოლოდობითშია: მიცემითი (შენ) — პირობითად დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი.
შენ	გიქივარ	მე		
თქვენ	გიქივართ	„		
შენ	გიქივართ	ჩვენ		
თქვენ	გიქივართ	„		

მე	მიქია	მასწავლებელი	{ მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მიცემითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება: სახელობითი (მასწავლებელი, მასწავლებლები) — მცირე კოორდინატი.
ჩვენ	გიქია	„	
მე	მიქია	მასწავლებლები	
ჩვენ	გვიქია	„	

მე	მიქიხარ	შენ	{ მიცემითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: მიცემითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი. სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: სახელობითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი.
ჩვენ	გვიქიხარ	„	
მე	მიქიხართ	თქვენ	
ჩვენ	გვიქიხართ	„	

ჩვენ გავანალიზეთ შესიტყვების მექანიზმი ზმნასთან „აქებს“ სამ დროში: აწმყოში, ნამყო ძირითადასა და ნამყო სრულში. ამ დროებში ავიღეთ ყველა შესაძლო კომბინაცია ზმნასთან და -

კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ა. ხსენებულ დროთგან თითოეული წარმოგვიდგენს შესიტყვების კონსტრუქციის ტიპს დროთა მთელს ჯგუფში: აწმყო — დროთა პრველ ჯგუფის კონსტრუქციას (აწმყოს გარდა ნამყო უსრული და კონაუნქტივი პირველი), ნამყო ძირითადი — დროთა მეორე ჯგუფისას (ნამყო ძირითადს გარდა კონაუნქტივი მეორე), ნამყო სრული — დროთა მესამე ჯგუფისას (ნამყო სრულს გარდა ნამყო წინარე-წარსული და კონაუნქტივი მესამე). ამიტომ ჩვენ მიერ გაანალიზებული შესიტყვებები გვითვალისწინებს „აქებს“- ზმნასთან დაკავშირებული **ყოველი შესაძლო შესიტყვების** აგებულება-მექანიზმს. „აქებს“ ზმნა ტ ი პ უ - რ ი ო რ პ ი რ ი ა ნ ი გ რ ა დ ა მ ა ვ ა ლ ი ზ მ ნ ა ა ; ამდენადვე, ა რ შ ე - ი ძ ლ ე ბ ა ა რ ც ე რ თ ი გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი **ორპირიანი** ზმნის შემცველი შესიტყვების მოძებნა, რომ არ შეეფერებოდეს ერთ-ერთ შესიტყვებას, ზემოხსენებულ 84 შესიტყვებიდან.

შესიტყვებათა მოცემულ ანალიზთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი უნდა განვიხილოთ: პირველი საკითხი ბრუნვათა როლის საერთო დახასიათებას შეეხება. ჩვენს შემთხვევებში სამი ბრუნვაა გამოყენებული: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი. ამათგან **ყველაზე მეტი სინტაქსური ძალა მოთხრობითს** აქვს: მისი მრავლობითობა ზმნაში აქ ყოველთვის აღინიშნებოდა. რაც შეეხება სახელობითსა და მიცემითს: სახელობითი ყველაზე ძლიერია აწმყოსა (და, საერთოდ, დროთა პირველ ჯგუფში); აქ მას მიცემითზე მეტი სინტაქსური ძალა გააჩნია. სამაგიეროდ, იგი სუსტია ნამყო სრულში (და საერთოდ დროთა მესამე ჯგუფში): აქ მიცემითი გადაწონის ხოლმე. ორსავე შემთხვევაში, სახელობითი — ვერბალი სუბიექტია. დროთა მეორე ჯგუფში (ნამყო ძირითადსა და მისგან ნაწარმოებს დროებში) ის ვერბალი ობიექტია; მისი როლი აქ ყველაზე სუსტია. მიცემითი, როგორც ითქვა, აწმყოში ჩვეულებრივ ჩამორჩება სახელობითს, დროთა მესამე ჯგუფში კი — პირიქით (იხ. სათანადო შესიტყვებანი).

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ბრუნვათა შედარებითი მნიშვნელობის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: სულ ერთი არ არის „რომელი პირისაა“ სახელი: ე. წ. პ ი რ ვ ე ლ ი პ ი რ ი (მე, ჩვენ) გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ძ ლ ი ე რ ი ა: **მისი მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება ზმნაში**, იმისდა მიუხედავად — ასრულებს ეს სიტყვა სახელობითის, მოთხრობითის თუ მიცემითის როლს, არის იგი ვერბალი სუბიექტი თუ ვერბალი ობიექტი. ასეთი უპირატესობის მოპოებაში მას, ცხადია, ხელი შეუწყო ცნობილმა მორფოლოგიურმა ფაქტმა, სახელდობრ იმან, რომ, მისი მრავლობითობა თავსართით (**გვ-**) აღინიშნება, როცა ის მიცემითისა და სახელობითის როლს ასრულებს და ვერბალი ობიექტია (გვაქებს... გვაქო... გვიქია). ამიტომაც, მეორე სახელის (ვერბალი სუბიექტის) მრავლობითობის აღნიშვნა მას არ ზღუდავს: ვერბალი სუბიექტის მრავლობითობა ბოლოსართით აღინიშნება. ამ უპირატესობით ე. წ. მეორე პირი (შენ, თქვენ) არ სარგებლობს: მისი მრავლობითობა ბოლოსართით აღინიშნება. ამას კი შედეგად ის მოყვება ხოლმე, რომ „თქვენ“-სახელის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება, თუ მეორე სახელის მრავლობითობაც არ არის აღსანიშნავი ბოლოსართით; როცა ეს მეორე სახელი

(ვერბალი სუბიექტი) მას შეეცილება, მისი მრავლობითობა ზმნაში შეუძლებელია აისახოს (შეად. ის გაქვბსთ თქვენ, — მაგრამ: ისინი გაქვბენ თქვენ). ამგვარად: „თქვენ“-ის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება, თუ ის ვერბალი სუბიექტია, მოთხრობითის ან სახელობითის ფუნქციის მქონეა, ხოლო თუ ვერბალი ობიექტია და მიცემითის ან სახელობითის ფუნქციის მქონეა, ხოლო თუ ვერბალი ობიექტია და მიცემითის ან სახელობითის როლს ასრულებს, მისი მრავლობითობა მაშინლა აღინიშნება, თუ ვერბალი სუბიექტის მრავლობითობა ხელს არ უშლის. „შენ, თქვენ“ — უფრო სუსტია სინტაქსურად, ვინემ „მე, ჩვენ“.

მესამე პირის სახელი ორივეზე სუსტია. მის შესახებ უკვე ითქვა, როცა ბრუნვათა შედარებითი როლის შესახებ ვლაპარაკობდით.

კი, მაგრამ, რა უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ, რომ „ჩვენ, თქვენ; მე, შენ“ მოთხრობითი, სახელობითი ან მიცემითი შეიძლება იყოს? მათ ხომ სათანადო ფორმა არ გააჩნიათ: არც სახელობითის ნიშანი **-ი**, არც მოთხრობითის **მა||მ (||მან)**, არც მიცემითის **-ს** მათთან არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ამ ბრუნვათა მიხედვით, ისინი არ იცვლებიან. მაშ, რა უფლება გვაქვს, ვილაპარაკოთ „მე, შენ, ჩვენ, თქვენ“ — ხან სახელობითია, ხან მოთხრობითი და ხან კიდევ მიცემითი? კერძოდ შესიტყვებებში: „შენ მაქვებ მე“, „შენ მაქე მე“, „შენ გიქივარ მე“, — საიდან ჩანს, რომ „შენ“ პირველ შემთხვევაში სახელობითია, მეორეში მოთხრობითი, მესამეში — მიცემითი? ანდა რომ „მე“ — მიცემითია პირველ შესიტყვებაში, მაგრამ სახელობითია უკანასკნელს ორში? და რაკი ეს საკითხად იქცევა, საკითხად იქცევა ხომ დებულება: ზმნა მართავს სახელთა ბრუნვასაო? ამ დებულებას კი, როგორც ვიცით, ძირითადი მნიშვნელობა აქვს ხსენებულ შესიტყვებათა სინტაქსური კონსტრუქციის მართებული ანალიზისათვის!

უდავოა, რომ ფორმის თვალსაზრისით (ანუ, როგორც იტყვიან, მორფოლოგიურად) არც ერთი ამ სიტყვათაგანი არ მიიჩნევა მოთხრობითად თუ მიცემითად! მეტსაც ვიტყვით: „მე, შენ, ჩვენ, თქვენ“ — სიტყვებს არავითარი უფლება არ აქვთ (მორფოლოგიაში) იწოდებოდნენ სახელობითად: საამისო ნიშანი მათ ისევე არ გააჩნიათ, როგორც არ გააჩნიათ მოთხრობითის თუ მიცემითის ფორმანტი. **შეცდომას დაუშვებს ამიტომ ის, ვინც უარყოფს ამ სახელთა მოთხრობითობასა და მიცემითობას, მაგრამ მიიჩნევს მათ სახელობითად.** მაშ, რა ბრუნვას წარმოადგენენ ეს სახელები? **არც ერთს.** სხვა სახელებში ამათი შესაფერისი რომ გვექნება, წრფელობითი ბრუნვა (სწორად რომ ვთქვათ, ფუტე) უნდა დაგვესახელებინა: „მე, შენ, ჩვენ, თქვენ“ ფორმის თვალსაზრისით უდრის „კაც“-ს, ფუძისეულ მასალას. ამ სახელებს ეს „უფორმო მასალა აქვთ გამოყენებული იქ, სადაც სხვა სახელები სახელობითის, მოთხრობითისა თუ მიცემითის ფორმაში წარმოდგებიან.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეს სახელები სინტაქსურად ყოველთვის ერთისა და იმავე ღირებულების მქონე არიან, სხვანაირად რომ ვთქვათ, რომ შესიტყვებაში მათ ერთი და იგივე როლი განეკუთვნებათ? რა თქმა უნდა, არა, და ეს ცხადი გახდება, თუ მოვიგონებთ, რა

ცვლილებასაც იწვევენ ეს სახელები ზმნაში... **მე** ვაქებ — მე **მაქებს**... შენ აქებ — შენ **გაქებს**... ერთმა „**მე**“-მ **ვ-** გააჩინა ზმნაში, მეორემ **მ-?** ერთს შემთხვევაში „შენ“- სიტყვა **გ-**თია წარმოდგენილი, მეორეში ნულით! რატომ? ეს სახელები ზომ ორსავე შემთხვევაში ერთი და იმავე სახისაა! რამ წარმოშვა განსხვავება? — იმ როლმა, რომელიც მათ განეკუთვნებათ ამ შესიტყვებაში. შესიტყვებებში „მე ვაქებ, შენ აქებ“ — ამ სახელებს იგივე უფლება აქვს, რაც სახელს „ის“, „მოწაფე“ (აქებს ის, მოწაფე), ეს სახელები სახელობით ბრუნვის ფუნქციით არიან აღჭურვილი. შესიტყვებაში კი: „მე მაქებს, შენ გაქებს“ ეს სიტყვები უფლებრივად ეთანაბრებიან სახელებს: „მას“, „მოწაფეს“ (მას, მოწაფეს აქებს), ესე იგი მიცემითის როლში გამოდიან... სხვა ყველა სახელებშიც რომ ასეთივე მდგომარეობა ყოფილიყო, ყველა სახელი რომ უცვლელად რჩებოდეს, ცხადია, ასეთი როლი მათ არ დაეკისრებოდათ: მაშინ საერთოდ ბრუნვათა და ბრუნების საკითხი ქართულში მოიხსენებოდა, მაგრამ სხვა სახელებს აქვს განსხვავებული ბრუნვის ფორმები, სხვა სახელებში იქმნება გარკვეული სისტემა ფორმათა ურთიერთობისა და ამ სისტემაში მოყოლილი, ეს სახელებიც იძენენ ისეთ სინტაქსურ ფუნქციას, რომელზედაც მათი ფორმა მათ უფლებას არ აძლევს...

ძველს ქართულში ასეთ მოვლენას ვპოვებთ: „მე გაქე შენ — მე გაქენ **ტქუენ**“, მაგრამ: „მე ვაქებ შენ — მე ვაქებ **ტქუენ**“... პირველს შემთხვევაში სახელმა „**ტქვენ**“ ზმნაში **-ნ** გააჩინა, მეორეში კი — არაფერი! რატომ? აკი გარეგნულად ამ ორ „**ტქვენ**“-ს შორის განსხვავება არ არის? აქაც უნდა გავიმეოროთ ის, რაც ზევით ვთქვით: მორფოლოგიური ერთგვარობა სინტაქსური როლის ერთგვარობას ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ არ მ ო ა ს წ ა - გ ე ბ ს . ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ა დ „**ტქვენ**“ — შესიტყვებაში: მე ვაქენ **ტქვენ** — იმავე უფლების მქონეა, რაც „იგინი, მოწაფენი“... (შდრ.: მე ვაქენ **ნ** **ტქვენ**... მე ვაქენ-**ნ** იგინი, მოწაფენი), „**ტქვენ**“ მას მიცემითის როლში გამოსვლა უხდება (შდრ. მე ვაქებ **ტქვენ**... მე ვაქებ მათ, მოწაფეებს).

ერთის წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ქართულს ზმნას პირისა და რიცხვის ფორმანტები არა აქვს. შეგვეძლებოდა თუ არა, მაშინ ამ სახელთა როლის სხვადასხვაობა ასე ხელშესახები გაგვეხადა, მათი **უფლების** ცვლა დაგვეანახა? რასაკვირველია, არა. განა ასეთივე მდგომარეობა არა გვაქვს ჩვენ, როცა ვარკვევთ მათი **მოვალეობის** საკითხს: მართავს თუ არა ზმნა ამ სახელებს? ზმნის მოთხოვნით ეს სახელები ასრულებენ თუ არა სახელობითისა, მოთხრობითისა და მიცემითის მოვალეობას? გარეგნულად მათ ეს არ დაეტყობათ, იმიტომ რომ მათ არა აქვთ საშუალება ეს გამოხატონ, მაგრამ რომ ზმნა მათგან იმასვე მოითხოვს, რასაც სხვა სახელისაგან, ეს უდავოა: ვალი მაინც ვალია, იმისდა მიუხედავად მოახერხებს თუ არა დებიტორი მის გადახდას... ეს სახელები რომ სათანადო **ვალდებულებას** კისრულობენ და ზმნის მოთხოვნით სათანადო ბრუნვის როლში რომ გამოდიან, ეს ჩანს იმ **უფლებებიდან**, რომლებიც მათ აღმოაჩნდათ სხვადასხვა შესიტყვებებში: მათი ვალდებულებები **გარეგნულ გამოხატულებას** ვერ პოულობენ (იმიტომ, რომ ამ სახელებს სათანადო ფორმა არ

გააჩნიათ), მათი უფლებები კი გარეგნულად მკაფიოდ დაჩნდებიან ხოლმე (იმიტომ, რომ ზმნას სათანადო ფორმები მოეპოვება). სინტაქსური უფლების საკითხი სინტაქსურ ვალდებულებათა საკითხსაც წყვეტს, ორივე ერთად კი გვაძლავს დავასკვნათ: სათანადო შესიტყვებებში ამ სახელებს **ეკისრებათ** სახელობითის, მრთხრობითისა და მიცემითის **სინტაქსური როლი**. არ შეიძლება ითქვას: სინტაქსური უფლების საკითხი აქ სინტაქსური მოვალეობის საკითხს ვერ გაარკვევსო, ეს იქნებოდა ცნობილი ანექლოტის უცნაური არგუმენტაციის განმეორება: თავიდან ფეხებამდე ორი მეტრია, ფეხებიდან თავამდე კი სამიო...

„მე, შენ, ჩვენ, თქვენ“ სახელები რომ სამი ზემოხსენებული ბრუნვის მოვალეობას ასრულებს, შეიძლებაოდა გაგვერკვია სხვა გზითაც. უმარტივესი მათ შორის ასეთია: მე მოწაფე, გაქებ შენ, მასწავლებელს... მე, მოწაფემ, გაქე შენ, მასწავლებელი... მე, მოწაფეს, მიქიხარ შენ, მასწავლებელი და სხვ. ჩართული სახელები შეთანხმებულია სახელებთან — „მე, შენ“. ეს უკანასკნელები უცვლელად რჩება, მაგრამ იცვლება მათთან შეთანხმებული სახელები (მოწაფე, მასწავლებელი) და ამით მიგვითითებს იმ როლზე, რომელიც უცვლელად დარჩენილ სახელებს შესიტყვებაში განეკუთვნებათ. ეს სახელები (მოწაფე, მასწავლებელი) ამგვარად ბარომეტრის როლს ასრულებს შესიტყვებაში.

უფლების რკვევით მოვალეობის დადგენა, მსაზღვრელების ჩართვა — ინდუქციური ხერხებია. ამათ გარეშე წმიდა დედუქციური გზითაც შეიძლება დაგვესკვნა, რომ „მე, შენ, ჩვენ, თქვენ“ სახელები არ შეიძლება იყვნენ ყველგან ერთი და იმავე სინტაქსური ფუნქციის მატარებელი, და აი როგორ. როცა სახელები მესამე პირისაა, ზმნა მართავს მათ ბრუნვებს (მოწაფე აქებს მასწავლებელს, მოწაფემ აქო მასწავლებელი, მოწაფეს უქია მასწავლებელი...): ვიღებთ მართვის ამ თვალნათლივ მოვლენას გარდამავალ ზმნებთან. დროთა მიხედვით ზმნის ცვლაში ზმნის ფუძეს უდევს ბრალი: ზმნის ფუძის ბუნების სხვადასხვაობაა მიზეზი სხვადასხვა ბრუნვის მოთხოვნისა.¹ ზმნის ფუძე ერთი დროის ფარგლებში არ იცვლება. მაშასადამე, აქედან **შინაგანის აუცილებლობით** გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე ფუძე გარკვეულს ბრუნვებს მოითხოვდეს, თუ სახელები პირველი ან მეორე პირისაა: ზმნა ყველა პირებს ერთსა და იმავე მოთხოვნილებას უყენებს და სინტაქსურ ურთიერთობას ვერ შეცვლის შემთხვევითი მორფოლოგიური გარემოება — ფორმათა უქონლობა საჭირო ბრუნვათათვის.

კიდევ ერთი საკითხი. ჩვენს მსჯელობაში ესა თუ ის სახელი დიდ თუ მცირე კოორდინატად მიიჩნეოდა იმისდა მიხედვით, აღინიშნებოდა თუ

¹ ეს დებულება წამოყენებულია ავტორის წერილში „მოთხრობითი ბრუნვის ისტორიისათვის ქართულში“ (იბეჭდება).

არა მისი მრავლობითობა ზმნაში. მრავლობითი წყვეტდა მხოლობითის საკითხსაც. მაგალ. შესიტყვებაში: „მოწაფემ აქო მასწავლებელი“ — „მოწაფემ“ დიდი კოორდინატი იყო, იმიტომ რომ „მოწაფეებმა“ (მრავლობითი) ზმნას რიცხვში ითანხმებდა: მოწაფემ აქო — მოწაფეებმა აქეს... აქ ასე შეიძლება დაისვას საკითხი: უფრო მართებული არ იქნებოდა განა მრავლობითის აღნიშვნა თუ აღუნიშვნელობა მრავლობითის დასახასიათებლად გამოგვეყენებინა, მხოლოობითის საკითხი — მხოლოობითში არსებული ურთიერთობის მიხედვით გადაგვეწყვიტა. მაშინ ჩვენ ასე უნდა გვემსჯელა: „მოწაფეებმა აქეს მასწავლებელი“: „მოწაფეებმა“ — სახელის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება; პირიც, როგორც ვიცით, აღინიშნება; „მოწაფეებმა“ — დიდი კოორდინატი. „მოწაფემ აქო მასწავლებელი“: „მოწაფემ“ — სახელის პირი ზმნაში აღინიშნება, რიცხვის (მხოლოობითის) საგანგებო ნიშანი არ მოეპოება, მაგრამ მრავლობითთან შედარების ნიადაგზე შეიძლება ითქვას, რომ ამ სახელის რიცხვიც „აღნიშნულია“: „მოწაფემ — დიდი კოორდინატი. ახალმა წესმა განსხვავებული შედეგი ვერ მოგვცა: „მოწაფემ, მოწაფეებმა“ იყო მიჩნეული დიდ კოორდინატად და ასეთადვე დარჩა. სამაგიეროდ სხვა შემთხვევაში განსხვავებულ კვალიფიკაციას მივიღებთ: „მოწაფემ აქო მასწავლებელი — აქო მასწავლებლები“. „მასწავლებელი, მასწავლებლები“ ორივე მცირე კოორდინატად არის თავის ადგილზე გამოცხადებული. მეორე წესი თუ გამოვიყენეთ, „მასწავლებლები“ მცირე კოორდინატი იქნება: „მოწაფემ აქო მასწავლებლები“: უკანასკნელის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება, მაგრამ „მასწავლებელი“ — დიდი კოორდინატი იქნება: „მოწაფემ აქო მასწავლებელი“: უკანასკნელი სახელის პირი და მხოლოობითობა ისევეა ზმნაში აღნიშნული, როგორც მეორე სახელისა „მოწაფემ“... ამისდა მიხედვით მხოლოობითში ორპირიან ზმნასთან დაკავშირებული ყველა სახელი დიდი კოორდინატი იქნება, მრავლობითში დასმული სახელებიდა იქნებოდა დასაფასებელი, — დიდი კოორდინატი თუ მცირე...

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ასეთი წესი პრინციპში მიუღებელი იყოს, მაგრამ ქართულისათვის მისი გამოყენება მართებული ვერ იქნებოდა. მართებული ვერ იქნებოდა იმიტომ, რომ ასეთი წესი საშუალებას მოგვისძობდა ამა თუ იმ ბრუნვის სინტაქსური როლი, მასში არსებული რყევა, მისი ევოლუცია გაგვეთვალისწინებინა: ბრუნვათა ნაცვლად რიცხვთა როლის ძიება მოექცეოდა ყურადღების ცენტრიში, როგორც თავისთავადი ამოცანა; რიცხვთა როლი კი ჩვენთვის სიმპტომია, ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომი, მაგრამ მაინც სიმპტომი, — სიმპტომი მომასწავებელი ცვლილებათა, რომელიც თავს იჩენს ამა თუ იმ ბრუნვის როლში. **ქართული შესიტყვების ევოლუცია ბრუნვათა როლის ცვლაში მდგომარეობს და**

მრავლობითის აღნიშვნასა თუ აღუნიშვნელობაში აისახება.¹ უკანასკნელის გათვალისწინება საშუალებაა, პირველის გამორკვევა — მიზანი. ყველაფერი, რაც ამ მიზანს დაჩრდილავს, გაუმართლებელია და უარსაყოფი.

უკანასკნელი საკითხი ასეთი სახით შეიძლება წარმოგვედგინა: როგორ ხდება, რომ ერთი და იგივე ბრუნვა ხან დიდი კოორდინატია, ხან - მცირე? მაგალითად: შესიტყვებაში „მოწაფე აქებს მასწავლებელს“ „მასწავლებელს“ (მიცემ. ბრუნვა) მცირე კოორდინატია, ხოლო შესიტყვებაში: „მასწავლებელს უქია მოწაფე“ „მასწავლებელს (მიცემ. ბურნვა) დიდი კოორდინატია; ანდა შესიტყვებაში „მოწაფემ აქო მასწავლებელი“ — „მასწავლებელი“ — სახელი მესამე პირისა მცირე კოორდინატია, ხოლო შესიტყვებაში „მოწაფემ მაქო მე“ — „მე“ — სახელი პირველი პირისა დიდი კოორდინატია, თუმცა ორივე სახელი ერთი და იმავე ბრუნვის როლში გამოდის, — სახელობითის ბრუნვისაში. რამდენად ბუნებრივია და მართებული სახელთა კვალიფიკაციის ასეთი ცვლა? ხომ არ არის ეს იმის ნიშანი, რომ უმართებულოა ის პრინციპი, რომელიც სახელთა დაფასებას უდევს საფუძვლად? ასეთი საკითხი ყველაზე უფრო მოსალოდნელია იმათ მხრივ, ვინც მიჩვეულია „ქვემდებარე-დამატება“ და სხვა ამგვარი ცნებები ეძიოს იმის მიხედვით, თუ „ვის შესახებაა ლაპარაკი“, „რა არის ნათქვამი“ და სხვ., და ვინც ამ ფსევდო-ლოგიკური ინტერპრეტაციის გზით იღებს **უცვლელ** საყოველთაო სინტაქსურ კვალიფიკაციას. ვიმეორებთ, ასე საკითხის დასმა მას შეუძლია, ვისთვისაც სინტაქსის სპეციფიკური თვალსაზრისი და საზომი სრულიად უცხოა. კამათი ასეთ შემთხვევაში უნდა გადატანილი იქნეს ძირითად საკითხებზე: რა არის სინტაქსი? რას სწავლობს იგი და როგორ? ამ საკითხებს ჩვენ ვუძღვენი წინა ორი საუბარი და აქ სათანადო არგუმენტებს არ მოვიხსენიებთ. ვიტყვით მხოლოდ: ამა თუ იმ ბრუნვისა და პირის სხვადასხვაგვარად დაფასება სხვადასხვა შესიტყვებაში საუკეთესო ნიშანია იმის, რომ ჩვენი ცნებები სათანადო შესიტყვებაში არ-

¹ ძველს ქართულში იყო: „მას აქუს — მათ აქუს“, ახალს ქართულში გვაქვს: „მას აქვს — მათ აქვთ“... არ შეიძლება ითქვას, „მათ აქვს“ იმიტომ არის, რომ მრავლობითმა „მათ“ მოიპოვა ახალს ქართულში მეტი უფლება, ვინემ ძველს ქართულში მას ქონდაო, — ეს იქნებოდა **შედეგის** გამოცხადება **მიზეზზე**: **მრავლობითობა აღინიშნა, მრავლობითს მეტი ძალა აღმოაჩნდა იმიტომ, რომ მიცემითის როლში ცვლილება მოხდა: მიცემითი გაძლიერდა.** მისი სინტაქსური მნიშვნელობა მხოლოდობითშია ცმეტია, და რომ მხოლოდობითობა ცალკე აღინიშნებოდეს ისევე, როგორც მრავლობითობა, უეჭველია, აქაც დაჩრდებოდა ის უპირატესობა, რომელიც მრავლობითში აშკარადდება. ვიმეორებთ, მრავლობითში შექმნილი მდგომარეობა მიგვითითებს საერთოდ ამ ბრუნვის როლის გაძლიერებაზე... ამიტომ ვერ დაგვფასებთ მრავლობითს ცალკე და მხოლოდობითს ცალკე, არამედ ბრუნვას მხოლოდობითსა და მრავლობითში არსებულ მდგომარეობის მიხედვით.

სებულ სინამდვილეს ახასიათებს, ამ სინამდვილეში არსებულ სინტაქსურ ურთიერთობას აღბეჭდავენ და შესიტყვების მექანიზმის შესახებ სათანადო წარმოდგენას იძლევიან. როცა შესიტყვებათა აგებულება განსხვავებულია, სიტყვათა სინტაქსური დახასიათება-შეფასება კი უცვლელად რჩება, ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ეს შეფასება უმართებულოა, წამოყენებული ცნება კი უვარგისი (ისევე, როგორც უვარგისი თერმომეტრი, რომელიც სიცხეშია და სიცივეშია ერთსა და იმავე ტემპერატურას აღნიშნავს). ამით დავამთავრებთ იმ შესიტყვებათა სინტაქსურ ანალიზს, რომელნიც ორპირიან გარდამავალ ზმნას შეიცავენ.

შესიტყვება, რომელშიაც მონაწილეობს სამპირიანი, გარდამავალი ზმნა. მაგალითისათვის გამოვიყენებთ შესიტყვებას: „მოწაფე უგზავნის მასწავლებელს წერილს“... სამივე სახელი მორფოლოგიურად უკავშირდება ზმნას: პირველი მათგანი (მოწაფე) ზმნაში აღნიშნულია **-ს** სუფიქსით, მეორე (მასწავლებელს) — ნოლპრეფიქსით, პოტენციურად, — ამ შემთხვევაში, მაგრამ საკმარისია მესამე პირის ნაცვლად მეორე ან პირველი პირი დაისვას და ზმნაში სათანადო პრეფიქსები გაჩნდება: მოწაფე — უგზავნის მასწავლებელს, გიგზავნის შენ, მიგზავნის მე...

უფრო რთულია მესამე სახელის (წერილს) საკითხი: მისი წარმომადგენელი ზმნაში არ ჩნდება არც აწმყოში, არც ნამყო ძირითადადში. ამიტომაც შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ეს სახელი არც კია დაკავშირებული ზმნასთან მორფოლოგიურად, რომ კავშირი მხოლოდ სინტაქსურია: ზმნა მართავს სახელს და მეტი არაფერი: მაგრამ არის ზოგიერთი გარემოება, რომელიც საკითხის ასე გადაწყვეტას არ ეგუება.

ჯერ ერთი ეს სახელი დროთა მიხედვით ბრუნვას ისევე იცვლის, როგორც ე. წ. ბრუნვაცვალებადი მორფოლოგიური ობიექტი ორპირიანი ზმნისა, ესე იგი, როგორც სახელი „მასწავლებელს“ შესიტყვებაში: „მოწაფე აქებს მასწავლებელს“. შეადარე: „მოწაფე აქებს მასწავლებელს — მოწაფემ აქო მასწავლებელი“ და „მოწაფე უგზავნის მასწავლებელს წერილს — მოწაფემ გაუგზავნა მასწავლებელს წერილი“.

მეორეცაა და: ძველს ქართულში ნამყო ძირითადადში ამ სახელის მრავლობითობა ზმნაში ისევე აღინიშნება, როგორც ყოველი სახელობითის მრავლობითობა: „მოწაფემან მან გაუგზავნ-ნ-ა მასწავლებელსა წერილნი“. აქ ცილობა შეუძლებელია, რომ ეს სახელი ზმნასთან მორფოლოგიურად არის დაკავშირებული და არა მხოლოდ სინტაქსურად.

იმავე ძველ ქართულში ნამყო ძირითადადში ზოგიერთ ზმნასთან ხერხდება ხოლმე ამ სახელის პირის დაჭერაც: მი-ს-ცა მან იგი მას: „მას“

აღნიშნულია **-ს** პრეფიქსით, **იგი** პოტენციალურად, ნულით (იხ. ამავე სერიის მეორე წერილი).

ამგვარად იძულებული ვხდებით ვივარაუდოთ, რომ ეს მესამე სახელიც არის ზმნასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული, და მისი პირი ზმნაში აღინიშნება, თუმცა დროთა პირველ ორ ჯგუფში პირის ნიშანი ნულს უდრის, ესე იგი, არც ერთხელ არ გამოჩნდება (ახალს ქართულში), პოტენციალურად-ღა აღინიშნება.

ამ საცილობელი საკითხის გამოკვლევის შემდეგ შეგვიძლია პირდაპირ განვაცხადოთ, რომ პრინციპში ჩვენი შესიტყვების აგებულება ისეთივეა, როგორც შესიტყვებისა: „მოწაფე აქებს მასწავლებელს“. სხვანაირად რომ ვთქვათ, შესიტყვებაში: „მოწაფე უგზავნის მასწავლებელს წერილს“ ზმნა მართავს სახელთა ბრუნვას, ხოლო სახელნი მართავენ ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს.¹ ცხადია, ასეთი შესიტყვებაც აგებულია კოორდინაციის საფუძველზე, ზმნა — ძირითადი კოორდინატია, სახელებიც — კოორდინატებია. რომელი — დიდი, რომელი — მცირე, აგრეთვე, — რამდენი დიდი და მცირე, გაირკვევა, მრავლობითობის აღნიშვნის საკითხს რომ გავითვალისწინებთ. წინანდებურად აღვსუსხავთ სამსავე დროში ყველა შესაძლო ფორმათა შეხამებას.

აწყობა დრო:

სახელობა:		მცემა:		მიცემა:	{ სახელობითი (მოწაფე, მოწაფეები) — დიდი კოორდინატია. ² მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) — მცირე კოორდინატია. მეორე მიცემითის (წერილს...) შესახებ იხილე ქვემოთ.
მოწაფე	უგზავნის	მასწავლებელს	წერილს,	წერილებს	
მოწაფეები	უგზავნიან	„	„	„	
მოწაფე	უგზავნის	მასწავლებლებს	„	„	
მოწაფეები	უგზავნიან	„	„	„	

¹ რაში მყდავანდება ასეთი ურთიერთობა ზმნისა და სახელებისა ნაჩვენებია ორპირიან გარდაუვალ და გარდამვალ-ზმნიან შესიტყვებათა ანალიზისას ზევით, სათანადო ადგილას. ამიტომ აქ ამაზე არ შევჩერდებით.

² სიმოკლისათვის აღარ ვამბობთ: „მრავლობითობა აღინიშნება — დიდი კოორდინატია; მრავლობითობა არ აღინიშნება — მცირე კოორდინატიაო“.

მოწაფე	გიგზავნის	შენ	„	„	{ სახელობითი (მოწაფე, მოწაფეები) — დიდი კოორდინატია. მიცემითი (თქვენ) — დიდი კოორდინატია. მიცემითი (თქვენ) — მცირე კოორდინატია. მიცემითი (შენ) — პირობითად დიდი კოორდინატია.
მოწაფეები	გიგზავნიან	„	„		
მოწაფე	გიგზავნისთ	თქვენ	„	„	
მოწაფეები	გიგზავნიან	„	„	„	
მოწაფე	მიგზავნის	მე	„	„	{ სახელობითი (მოწაფე, მოწაფეები) — დიდი კოორდინატია. მიცემითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატია.
მოწაფეები	მიგზავნიან	„	„	„	
მოწაფე	გვიგზავნის	ჩვენ	„	„	
მოწაფეები	გვიგზავნიან	„	„	„	
შენ	უგზავნი	მასწავლებელს	„	„	{ სახელობითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატია. მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) — მცირე კოორდინატია.
თქვენ	უგზავნით	„	„	„	
შენ	უგზავნი	მასწავლებლებს	„	„	
თქვენ	უგზავნით	„	„	„	
	სახელობ.:		მიცემ.:	მიცემ.:	
შენ	მიგზავნი	მე	„	„	{ სახელობითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატია. მიცემითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატია.
თქვენ	მიგზავნით	„	„	„	
შენ	გვიგზავნი	ჩვენ	„	„	
თქვენ	გვიგზავნით	„	„	„	
მე	ვუგზავნი	მასწავლებელს	„	„	{ სახელობითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატია. მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) — მცირე კოორდინატია.
ჩვენ	ვუგზავნით	„	„	„	
მე	ვუგზავნი	მასწავლებლებს	„	„	
ჩვენ	ვუგზავნით	„	„	„	

მე	გიგზავნი	შენ	„	„	სახელობითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (თქვენ) — მცირე კოორდინატი, მიცემითი (შენ) — პირობითად დიდი კოორდინატი.
ჩვენ	გიგზავნით	„	„		
მე	გიგზავნით	თქვენ	„	„	
ჩვენ	გიგზავნით	„	„	„	

ეს სქემა რომ შევადაროთ სქემას, რომელიც წარმოგვიდგენს ანალიზს შესიტყვებისას „მოწაფე აქებს მასწავლებელს“, დავრწმუნდებით, რომ ორსავე შემთხვევაში თანაბარი ოდენობაა დიდისა, პირობითად დიდისა და მცირე კოორდინატების; ეს ნიშნავს: სახელობითი და მიცემითი აწმყო დროში ერთნაირი სინტაქსური მნიშვნელობის მქონეა ორპირიან ზმნასთანაც და სამპირიანთანაც. განსხვავება მხოლოდ შემდეგშია: სინტაქსურად ერთმანეთს უდრის სხვადასხვაგვარი მიცემითი: ორპირიან ზმნასთან ეს მიცემითი ბრუნვაცვალებადია: „მოწაფე აქებს **მასწავლებელს** — მოწაფემ აქო **მასწავლებელი**“; სამპირიანთან კი — ბრუნვაცვლეული: „მოწაფე უგზავნის **მასწავლებელს** — მოწაფემ გაუგზავნა **მასწავლებელს**“. ეს — ერთი. მეორეცაა და: სამპირიან ზმნასთან მეორე მიცემითიც მოიპოვება, ბრუნვაცვალებადი: მოწაფე უგზავნის (მასწავლებელს) **წერილს** — მოწაფემ გაუგზავნა (მასწავლებელს) **წერილი**. ამ უკანასკნელი სახელის სინტაქსური დაფასება არ არის მოცემული ზემორე სქემაში; ეს იმიტომ მოხდა, რომ მისი მნიშვნელობა უცვლელია: პირი მისი ზმნაში პოეტნიციალურად (ნულით) ყოველთვის აღინიშნება, რიცხვი კი (მრავლობითობა) — არასოდეს: ეს მიცემითი (წერილს, წერილებს) ყველგან **მცირე კოორდინატია**. შეიძლება ამის მიზეზი ის იყოს, რომ ის ყველგან მესამე პირის სახელია და სხვა პირის სახით შესიტყვებაში მონაწილეობას ვერ იღებს. ასეთუ ისე, ეს მეორე მიცემითი (წერილს), ბრუნვაცვალებადი, სინტაქსური ძალის მიხედვით ჩამორჩება, როგორც თავის მეზობელს, ბრუნვაცვლეულ მიცემითს (მასწავლებელს), ისე ბრუნვაცვალებად მიცემითს ორპირიანი გარდამავალი ზმნისას. როგორია მდგომარეობა ნამყო ძირითადში?

ნამყო ძირითადი:

მოთხრობა:		მიცემა:		მიცემა:		
მოწაფემ	გაუგზავნა	მასწავლებელს	წერილი,	წერილები	მოთხრობითი (მოწაფემ, მოწაფეებმა) — დიდი კოორდინატი. სახელობითს (წერილი) შესახებ იხ. ქვემოთ. მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) — მცირე კოორდინატი.	
მოწაფეებმა	გაუგზავნეს	„	„	„		
მოწაფემ	გაგზავნა	მასწავლებლებს	„	„		
მოწაფეებმა	გაუგზავნეს	„	„	„		
მოწაფემ	გამოგიგზავნა	შენ	„	„	მოთხრობითი (მოწაფემ, მოწაფეებმა) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (თქვენ) — მცირე კოორდინატი. მიცემითი (შენ) — პირობითად დიდი კოორდინატი.	
მოწაფეებმა	გამოგიგზავნეს	„	„	„		
მოწაფემ	გამოგიგზავნათ	თქვენ	„	„		
მოწაფეებმა	გამოგიგზავნეს	„	„	„		
მოწაფემ	გამომიგზავნა	მე	„	„	მოთხრობითი (მოწაფემ, მოწაფეებმა) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი.	
მოწაფეებმა	გამომიგზავნეს	„	„	„		
მოწაფემ	გამოგიგზავნა	ჩვენ	„	„		
მოწაფეებმა	გამოგიგზავნეს	„	„	„		
მოთხრობა:		მიცემა:		მიცემა:		
შენ	გაუგზავნე	მასწავლებელს	„	„	მოთხრობითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) — მცირე კოორდინატი.	
თქვენ	გაუგზავნეთ	„	„	„		
შენ	გაუგზავნე	მასწავლებლებს	„	„		
თქვენ	გაუგზავნეთ	„	„	„		

შენ	გაუგზავნე	მასწავლებელს	„	„	მოთხოვრებითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) — მცირე კოორდინატი.
თქვენ	გაუგზავნეთ	„	„	„	
შენ	გაუგზავნე	მასწავლებლებს	„	„	
თქვენ	გაუგზავნეთ	„	„	„	
შენ	გამომიგზავნე	მე	„	„	მოთხოვრებითი (შენ, თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი.
თქვენ	გამომიგზავნეთ	„	„	„	
შენ	გამოგვიგზავნე	ჩვენ	„	„	
თქვენ	გამოგვიგზავნეთ	„	„	„	
მე	გავუგზავნე	მასწავლებელს	„	„	მოთხოვრებითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (მასწავლებელს, მასწავლებლებს) — მცირე კოორდინატი.
ჩვენ	გავუგზავნეთ	„	„	„	
მე	გავუგზავნე	მასწავლებლებს	„	„	
ჩვენ	გავუგზავნეთ	„	„	„	
მე	გამომიგზავნე	შენ	„	„	მოთხოვრებითი (მე, ჩვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (თქვენ) — დიდი კოორდინატი. მიცემითი (თქვენ) — მცირე კოორდინატი. მიცემითი (შენ) — პირობითად დიდი კოორდინატი.
ჩვენ	გამომიგზავნეთ	„	„	„	
მე	გამოგვიგზავნეთ	თქვენ	„	„	
ჩვენ	გამოგვიგზავნეთ	„	„	„	

რით განსხვავდება ამ შესიტყვებათა სინტაქსური მექანიზმი იმ შესიტყვებათა მექანიზმისაგან, რომლებშიაც „აქო“- ზმნა მონაწილეობდა? იმიტომ, უწინარეს ყოვლისა, რომ ამ შემთხვევაში მიცემითს აქვს ის ფუნქცია, რასაც იქ სახელობითთან ვხედავდით: სინტაქსური მნიშვნელობა სახელისა „მასწავლებელს“... (მოწაფემ გაუგზავნა **მასწავლებელს** წერილი) უდრის „მასწავლებელი“ — სახელის ფუნქციას შესიტყვებაში (მოწაფემ აქო **მასწავლებელი**). რაც შეეხება სახელობით ბრუნვას სამპირიან ზმნასთან (მოწაფემ გაუგზავნა მასწავლებელს **წერილი**), ის გაცილებით ნაკლები უფლებით სარგებლობს, ვინემ „მასწავლებელს“- სახელი იმავე შესიტყვებისა ან „მასწავლებელი“- სახელი შესიტყვებისა: „მოწაფემ აქო მასწავლებელი“: მისი პირილა აღინიშნება ზმნაში (პოტენციალურად), მრავლობითობა კი არა: ეს სახელი (წერილი, წერილები) მცირე კოორდინატი

ნამყო ძირითადში ისევე, როგორც აწმყოში იყო.

დაგვრჩენია დროთა მესამე ყვუფის მიმოხილვა. მაგრამ აქ საინტერესო გარემოება ირკვევა: „უგზანის“ — ზმნა სასხვისო ქცევისაა, ამ ქცევას (ისევე როგორც საზედაოს) დროთა მესამე ყვუფის ფორმები არ გააჩნია. მართალია, გვაქვს ფორმა „გაუგზავნია“ (მოწაფეს გაუგზავნია წერილი მასწავლებლისათვის), მაგრამ ეს ფორმა (გაუგზავნია) არის ნამყო სრული საარვისო ქცევისა „გზავნის“. „მოწაფე გზავნის წერილს — მოწაფემ გაგზავნა წერილი — მოწაფეს გაუგზავნია წერილი“.

ამაზე შეიძლება გვითხრან: სხვაა: —	და სხვაა: მოწაფე უგზავნის მასწავლებელს
მოწაფე გზავნის წერილს	წერილს
მოწაფეს გაუგზავნა წერილი	მოწაფეს გაუგზავნია მასწავლებლისათვის წერილი...

პირველს შესიტყვებაში¹ ორი სახელი უკავშირდება ზმნას მორფოლოგიურად, მეორეში კი სამიო. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მეორეშიც მხოლოდ ორი სახელია ზმნასთან ფორმის საშუალებით დაკავშირებული (მოწაფეს — წერილი), მესამე სახელი კი (მასწავლებლისათვის) მართოდენ სინტაქსურს კავშირშია: ზმნა მართავს მას ბრუნვაში („თვის“-თანდებულის საშუალებით), თვით ეს სახელი ზმნაში არ აღინიშნება — საერთო წესის მიხედვით: ნათესაობითი ბრუნვის სახელი ზმნაში არ შეიძლება აღინიშნოს. ასე რომ, ამ მხრივ არსებითად არაფრით განსხვავდება შესიტყვება — მოწაფეს გაუგზავნია **მასწავლებლისათვის** წერილი — შესიტყვებისაგან: მოწაფეს გაუგზავნია წერილი **ფოსტით**. „ფოსტით“ მხოლოდ-მართული სახელია, დამატებაა, „მასწავლებლისთვის“ აგრეთვე ოდენ-მართულია, დამატებაა...

ახლა მეორე საკითხი დაიბადება: სახელი „მასწავლებელს“ შესიტყვებაში (მოწაფე უგზავნის **მასწავლებელს** წერილს, მოწაფემ გაუგზავნა **მასწავლებელს** წერილი) მეტი უფლებებით სარგებლობდა, ვინემ მეორე სახელი: „წერილს, წერილი“ — ამავე შესიტყვებაში (მოწაფე უგზავნის მასწავლებელს **წერილს** — მოწაფემ გაუგზავნა მასწავლებელს **წერილი**). ეს უკანასკნელი მუდამ მცირე კოორდინატი იყო — დროთა პირველსა და მეორე ყვუფში. როგორღა მოხდა ის, რომ ეს სახელი იმდენად დაწინაურდა დროთა მესამე ყვუფში, რომ მოიპოვა გაცილებით მეტი ძალა და მნიშვნელობა, ვინემ ეს ქონდა პირველ მიცემითს (მასწავლებელს), ეს უკანასკნელი კით უ შეიძლება ასე ითქვას, განზე დარჩა, გაირიყა. ახსნა მარტივია: „წერილი“- სახელს (შესიტყვებაში: მოწაფეს გაუგზავნია **წერილი** მასწავლებლისათვის) არაფერი აქვს საერთო „იმავე“ სახელთან შესიტყვებაში: მოწაფე უგზავნის მასწავლებელს **წერილს** — მოწაფემ გაუგზავნა მასწავლებელს **წერილი... ის არის შემკვიდრე იმ ბრუნვაცვალებადი ვერბალი**

¹ ვადარებთ ნამყო სრულის ფორმებთან არსებულ მდგომარეობას.

ობიექტისა, რომელიც ორპირიან გარდამავალ ზმნასთან მოიპოვება, მე-
მკვიდრე სახელისა „წერილს“ შესიტყვებაში: მოწაფე გზავნის **წერილს...**

ამით აიხსნება ის „ფერისცვალება“, მან რომ განიცადა. სქემის
სახით ასე წარმოგვიდგება:

აწმყო: მოწაფე გზავნის **წერილს** — მოწაფე უგზავნის მასწავლებელს წერილს.
ნამყო ძირით.: მოწაფემ გააგზავნა **წერილი** — მოწაფემ გაუგზავნა მასწავლებელს წერილი.
ნამყო სრ.: მოწაფეს გაუგზავნია **წერილი** — მოწაფეს... (არ იწარმოება).

ამგვარად, რადგანც სამპირიან ზმნას დროთა მესამე ჯგუფი არა
აქვს, ის იყენებს სათანადო ორპირიან ზმნის კონსტრუქციას. ამ უკანას-
კნელში სახელობითს შეუძლია ზმნის პირი მართოს, ზოგიერთ პირებთან
თავისი მრავლობითობაც აღნიშნოს ზმნაში... იქმნება კი ისეთი **ილუზია,**
თითქოს სამპირიან ზმნასთან სახელობითმა დროთა მესამე ჯგუფში **გან-**
საკუთრებული უფლებები გაიჩინა... დასკვნა: **ყოველ სამპირიანი ზმნა**
შეიცვლება ორპირიანით დროთა მესამე ჯგუფში, სამპირიანობა მხო-
ლოდ დროთა პირველს ორს ჯგუფშია შესაძლებელი.¹ რომ ეს ასეა, ეჭ-
ვიუტანელი ხდება უბრალო ექსპერიმენტით. შევადაროთ:

„მოწაფეს გაუგზავნია წერილი“	და:	„მოწაფეს გაუგზავნია წერილი მასწავლებლი-	
		სათვის. შენთვის, ჩემთვის...	
„მოწაფეს გაუგზავნისხარ შენ“	მოწაფეს გაუგზავნისხარ	} პირველისა და მეო-	რე პირის ფორმები
	შენ...		
„მოწაფეს გაუგზავნივარ მე“	მოწაფეს გაუგზავნივარ	} ნეთს დაემთხვა.	
	მე...		

„მოწაფეს გაუგზავნისხარ შენ მასწავლებლისათვის... საჩოთიროა და
ეს მოწმობს, რომ შესიტყვებაში: „მოწაფეს გაუგზავნია წერილი მასწავლე-
ბისათვის“, უკანასკნელი სახელი შემთხვევით არის დაკავშირებული ზმნას-
თან, ზმნის აგებულება მას ისევე მოითხოვს, როგორც სახელს: „გაუგზავ-
ნია ფოსტით“...

¹ არის სამპირიანი ზმნები არა სასხვისო თუ საზედაო ქცევათა: „მოწაფე თხოვს
მასწავლებელს წიგნს“. ესენიც ორპირიანი ხდება: „მოწაფეს უთხოვია წიგნი
მასწავლებლისათვის“... საერთო წესის მიხედვით, „უთხოვია“ — ორპირიანი ზმნის
ნამყო სრულია შეიძლება იყოს (ისევე, როგორც „გაუგზავნია“ არის „აგზავნის“ ზმნის
ნამყო სრული და არა „უგზავნის“ — ზმნისა...). მერე სადღაა ასეთი ფორმები
ზმნისათვის: „თხოვს“... და თუ არ არის ასეთი ფორმა, როგორღა ავხსნათ „უთხოვია“
ზმნის ორპირიანობა (ნამყო სრულში)? ერთად ერთი ახსნა ასეთი იქნებოდა: „თხოვს“
ზმნა თავდაპირველად ორპირიანი უნდა ყოფილიყო. სამპირიანობა კონტექსტის
შემწეობით შექენილი თვისება უნდა იყოს ისევე, როგორც ორპირიანობის
პარალელურად სამპირიანობაც გაიჩინა ზმნებმა: ტეხს (შდრ.: ტეხს ქვას — სტეხს ხეს
შტოს), წერს (შდრ.: წერს წერილს — სწერს ძმას წერილს)... აქ სამპირიანობის
წარმოშობის საკითხი და ზოგი რთული საკითხი ისახება: ამაზე აქ ლაპარაკი
უადგილოა.

ორპირიანი ზმნის მექანიზმი ნამყო სრულში ჩვენ თავის ადგილას გაგვანალიზირეთ. ამიტომაც, აქ არ დავიწყებთ შესიტყვების — „მოწაფეს გაუგზავნია მასწავლებლისათვის წერილი“ — განხილვას, მით უმეტეს, რომ უკვე აღვნიშნეთ, რასაც უღრის სინტაქსურად თანდებულნი ფორმა „მასწავლებლისათვის“...

დაგვრჩენია ერთი რისამე აღნიშვნა: სხვა ენათა დამატების ადგილი ჩვენს შესიტყვებაში კოორდინატმა დაიკავა; ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენს შესიტყვებაში დამატება არ მოიძევა... რა არს **დამატება?** ისეთი სახელი, რომელსაც მართავს ან ზმნა ან სხვა სახელი, მოკლედ: ოდენ-მართული სახელი. ასეთი სახელი რამდენიც გნებავთ, იმდენია. ზოგიერთი მაგალითი უკვე გვქონდა: მოწაფემ გაუგზავნა წერილი მასწავლებელს **ფოსტით**... ბავშვმა ჭინჭველა გასრისა **ფეხით**... მონადირემ დათვი მოკლა **თოფით**: ფოსტით, ფეხით, თოფით ოდენ-მართული სახელებია, დამატებებია, მათ ზმნა მართავს, შესიტყვებაში კი: „მოწაფემ **ამხანაგის** წერილი გაუგზავნა მასწავლებელს“ — სახელი „ამხანაგის“ ნათესაობითს ბრუნვაშია „წერილი“-სახელის მოთხოვნით: „წერილი“-სახელი მართავს მას: „ამხანაგის“, ცხადია დამატებაა. ასევე: „მონადირემ დათვი მოკლა **მეზობლის** თოფით“: უკანასკნელი სახელი მართავს სახელს „მეზობლის“: „მეზობლის“ — დამატებაა. ასეთი მაგალითები უამრავია. ეს — დამატების შესახებ. ქვემდებარის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი ერთპირიან ზმნებიან შესიტყვებებთან დაკავშირებით: ერთპირიან ზმნებთან „ქვემდებარე“ (ე. ი. ზმნის განუყოფელად მმართველი სახელი) მოგვეპოება... გაგვაჩნია განსაზღვრებაც: **მშვენიერმა** მუსიკამ ალტაცებაში მომიყვანა: „მშვენიერმა“ შეთანხმებულია სახელთან „მუსიკამ“: ე. წ. განსაზღვრებაც ხომ სხვა არაფერია, თუ არა სახელი, სახელთან შეთანხმებული.

ქართული შესიტყვება ყველა იმ ცნებებს იძლევა, რაც რუსულისა (თუ, საერთოდ, ევროპული ენების) შესიტყვებაში ყალიბდება. მაგრამ **ქართულისათვის ნიშანდობლივია სპეციფიკური მოვლენა საურთიეთრო მართვისა, და სათანადო ცნებები: კოორდინაციისა და კოორდინატებისა. ამ ცნებებს ქმნის თავისებურება ქართული შესიტყვების მექანიზმისა; ქართული სინტაქსის ამ თავისებურებების არ შერჩევა ისეთივე უკუღმართობა იქნებოდა, როგორც არ დანახვა ქართული მორფოლოგიის ძირითადი თავისებურების, ზმნათა ორპირიანობა — სამპირიანობისა, რომელიც შინაგანის აუცილებლობით განსაზღვრავს ქართული სინტაქსის სხენებულ თავისებურებას.**

P. S. ჩვენ განზრახული გვქონდა დავვერთო ბოლოს ქართულ შესიტყვებათა ანალიზი ნიმუშისათვის, ანალიზი მორფოლოგიურისა და სინტაქსურის. ეს საუბარი ვრცელი გამოგვივიდა და ამან განზრახვაზე ხელი აგვადებინა. ვეცდებით უახლოეს ნომერში ცალკე საუბარი მიუძღვნათ ასეთ ანალიზს. ანალიზი იქნება პარალელური: როგორსაც აქვს სკოლებში ადგილი და როგორიც უნდა იყოს.

КАКОВЫ СТРУКТУРНЫЕ ОСОБЕННОСТИ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА?*

(РЕЗЮМЕ)

В работе монографически исследуются основные особенности грузинского языка.

1. В первой части (Введении) речь идет о том, что грузинский язык типологически относится к кавказским языкам. Анализ строения языка имеет целью определение тех особенностей, которыми характеризуется, с одной стороны, слово и, с другой стороны – словосочетание. Обычно особенностью считается "что-то в сравнении с другим". Анализ особенностей грузинского языка происходит в сравнении с индоевропейскими языками.

В монографии анализу слова и словосочетания предшествуют краткие сведения о своеобразии звуковой системы грузинского языка, в частности, рассматриваются специфические звуки и определяются их отличия от соответствующих звуков в индоевропейских языках.

Главное внимание уделяется имени и глаголу. Имя в грузинском языке максимально простое, а глагол – максимально сложный. Даются замечания относительно склонения имен и образования форм множественного числа, склонении определяемого и определяющего.

2. Вторая часть монографии посвящается замечаниям о грузинском глаголе: что такое глагол; какими особенностями характеризуется глагол в грузинском языке. Основная особенность грузинского глагола – полиперсонализм. Обозначение в глаголе двух-трех лиц, в отличие от индоевропейских языков, а также образование версии и каузатива, создают основные особенности глагольных форм, что по существу определяет сложности грузинского глагола. Версия и каузатив относятся к сфере словообразования. Решающее значение для особенностей строения фразы в грузинском языке имеет наличие в глаголе двух-трех лиц.

3. Третья часть монографии посвящена "замечаниям о синтаксисе". Здесь речь идет о том, как понимали и как сейчас понимают синтаксис в языкознании, анализируются основные направления в синтаксисе. По мнению автора, наиболее аргументированной и распространенной является точка зрения о том, что предмет изучения синтаксиса – словосочетание, что синтаксис – это учение о словосочетании.

4. В четвертой части монографии представлены общие положения о словосочетании. В частности: что такое словосочетание, как следует его изучать, с какой точки зрения. По мнению автора, словосочетание – это соединение, связь слов. Для образования словосочетания необходимо, чтобы

* Резюме составил Г. Гоголашвили.

словоформы находились между собой в определенной зависимости. Виды зависимости слов – согласование, управление, примыкание. **Согласованием** называется такой вид связи, при котором главное слово требует от зависимого той же формы, в какой оно стоит и в соответствии с которой способно изменяться. **Управление** – такой вид связи, когда главное слово требует от зависимого формы, которой оно само не имеет в этот момент или не может иметь вообще. **Примыкание** – такая связь, когда одно слово примыкает к другому. Примыкаемое слово не согласуется и не управляется другим словом. Оно является свободным членом словосочетания.

Изучение словосочетания подразумевает изучение связей слов и определение роли отдельного слова в этой связи.

5. В пятой части монографии анализируется структура грузинского словосочетания, такого словосочетания, в которое входят имя и глагол.

Особо рассматриваются различные типы словосочетаний, в частности, а) словосочетание с одноличным глаголом; б) словосочетание с двухличным непереходным глаголом; в) словосочетание с двухличным переходным глаголом; г) словосочетание с трехличным переходным глаголом.

Исходя из полиперсонализма грузинского глагола и падежного изменения имени, наличного в словосочетании, синтаксические связи в грузинском языке специфические; для обозначения таких связей используется термин **координация**. Координацией называется такая синтаксическая связь, когда слово, управляемое в чем-то другим словом, само управляет в чем-то этим словом. Слова, участвующие в координации, являются членами координации, **координатами**. Особое значение имеет та координата, которая выражена глаголом. Все нити координации собраны в нем, он является центром координации – **основной координатой**. Имя, лицо и число которого представлены в глаголе – **большая координата**. Имя, лицо которого представлено в глаголе, а число нет – **малая координата**.

Таким образом, для грузинского языка характерно специфическое явление взаимного управления и соответствующие понятия координации и координат. Эти понятия создаются механизмом особенностей словосочетания грузинского языка. Неучет этих особенностей синтаксиса грузинского языка будет также неправильным, как неучет основных особенностей морфологии грузинского языка, полиперсонализма глагола, который по своей внутренней необходимости определяет упомянутые особенности грузинского синтаксиса.

ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა*

ბანაკვეთი I

ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით

წინასწარი განსაზღვრებანი. სახელწოდება „ენათმეცნიერების პროპედევტიკა“ მოითხოვს ორი ცნების წინასწარ გარკვევას; ეს ცნებებია: „პროპედევტიკა“ და „ენათმეცნიერება“. „პროპედევტიკა“ ნაწარმოებია ბერძნულ სიტყვიდან, „ჰე პროპედეტა“ — „წინასწარი შესამზადებელი სწავლა“. რაც შეეხება „ენათმეცნიერებას“, მას ჩვეულებრივად განსაზღვრავენ, როგორც მეცნიერებას ენის შესახებ. ახლა შეიძლება დავჯერდეთ ამ ზოგადს განსაზღვრებას; სრული განსაზღვრება მოცემული იქნება ბოლოს, როცა ენათმეცნიერება — ცნების შინაარსს სათანადოდ გავითვალისწინებთ.

ამ ზოგად განსაზღვრებას ამთავითვე ორი რამ უნდა დავუმატოთ: 1. ენათმეცნიერება არის მეცნიერება დანაწევრებულ ბგერებში მოცემულ მეტყველების შესახებ და, მაშასადამე, ყოველი სხვაგვარი ენა (მაგ. ყესტ-მიმიკის ენა) მხოლოდ იმდენად არის მის შესწავლის საგანი, რამდენადაც უპირისპირდება დანაწევრებულს ბგერებში მოცემულს მეტყველებას და მნიშვნელოვანია ზოგადი „ენა“ - ცნების დახასიათება-ინტერპრეტაციისათვის. 2. ენათმეცნიერება არ არის სხვადასხვა ენების პრაქტიკული ცოდნა: მრავალ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი მხოლოდ ამით არ იქნება ენათმეცნიერი, როგორც (სხვადასხვა ენაზე) მშვენივრად მომღერალი ადამიანი ამის გამო მუსიკოსად ვერ მიიჩნევა.

ენათმეცნიერების პროპედევტიკის მიზანია სისტემური სახით წარმოგვიდგინოს ენათმეცნიერების ელემენტები ისე, როგორც ეს არის შესაძლებელი ენათმეცნიერული ცოდნის თანამედროვე საფეხურზე. ენა და ენათმეცნიერება — ამ ორი ცნების გარშემო გაიშლება ჩვენი მსჯელობა, და ეს ცნებები მისცემს ამ მსჯელობას სისტემურს ხასიათს.

* თანაავტორი: პროფ. გ. ახვლედიანი.

„ენათმეცნიერება არის მეცნიერება ენის შესახებ“. რაღაა ენა? თუნდაც დანაწევრებულ ბგერებში მოცემული ენა? გვეტყვიან: „ეს არის ლაპარაკი, ლაპარაკის უნარი, აი, მაგალ. ქართული ენა, რუსული ენა, სომხური ენა და სხვ.“-ო. ეს ყოველდღიური განმარტება ენათმეცნიერს ვერ დააკმაყოფილებს: ენათმეცნიერული ანალიზის შედეგად ენის რაობაში ირკვევა ბევრი რამ ისეთი, რაც ლაპარაკის უნარზე მეტია, დაჩნდება ენის ისეთი მხარეები, რაც ენის რაობისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომაც პირველი საკითხი, რომელიც უნდა დაისვეს და გაირკვეს, ასეთი სახისაა: რა ახასიათებს ენის არსებას, ენათმეცნიერების თვალსაზრისით, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, რა არის ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი?

ენა და ადამიანი. „ენა არის ზღვარი, რომელსაც ვერც ერთი მხეცი ვერ გადმოლახავსო“, ამბობს ცნობილი ინდოევროპეისტი მაქს მიულერი. ამ თქმის აზრი ნათელია. ენა არის ადამიანის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი; ცხოველი იმიტომ არის ცხოველი, რომ ენა არ გააჩნია, „პირ-უტყვია“; ადამიანის ნიშანდობლივი თვისება სწორედ ის არის, რომ მას ენა გააჩნია, რომ ის „პირ-მეტყველია“. ამ გაგების თანახმად, ადამიანი უნდა განვსაზღვროთ, როგორც „მეტყველი ცხოველი“.

ასეთი გაგება ძალზე გავრცელებულია. მას ზურგს უმაგრებს ერთი გარემოება: გონება, აზროვნების უნარი, რომელიც აგრეთვე ადამიანის დამახასიათებლად არის მიჩნეული, როგორც ცნობილია, მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტყველებასთან. მეტყველი იმავე დროს გონიერიც არის და ამით უფრო მკვეთრად უპირისპირდება „პირ-უტყვს“, ცხოველს.

იყო დრო, როცა ცხოველთა ფსიქოლოგია (ზოოფსიქოლოგია) ცხოველს მიაწერდა ყველა იმ ფსიქიკურ უნარს, რაც ადამიანს ახასიათებს. ზოოფსიქოლოგიის განვითარების შემდეგს საფეხურზე (დაწყებული ტორნდაიკიდან) ცხოველთა — ერთის შეხედვით — გონივრულ საქციელს სულ სხვა გაშუქება მიეცა და თუ წინეთ ცხოველთა გონივრულობის შესახებ ლაპარაკობდნენ, ახლა მისი ადგილი დაიჭირა ცხოველთა უგუნთრობის შესახებ ლაპარაკმა“. ცხადია, ესეც ხელს უწყობს იმ შეხედულების განმტკიცებას, რომლის თანახმადაც ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს ენა და აზროვნება, ერთმანეთთან მჭიდროდ შინაგანად დაკავშირებული.

და მაინც არ არის ასეთი გაგება სწორი: ვერც ენა, ვერც აზროვნება, რაც უნდა მნიშვნელოვანიც არ იყოს ერთიც და მეორეც ადამიანურობისათვის, ვერ გახდება ზღვარმდებლად ცხოველსა და ადამიანს შორის. ენის ჩ ა ნ ა ს ა ხ ი ცხოველთა სამყაროსთვის არ არის უცხო. საყოველთაოდ ცნობილია, თუნდაც ისეთი ელემენტარული ფაქტი, რომ ძაღლის ყეფა ყოველთვის ერთნაირი არ არის: ყეფა იცვლება იმისდა მიხედვით, ძაღლს

უყვეს თუ ადამიანს, ნადირს ეძებს თუ უკვე იბოვა. ძალის მიერ გამოცემული ხმა ყოველთვის არ არის ერთნაირი, სხვადასხვა გამღიზიანებელს (გარედან მიღებულ შთაბეჭდილებას) ის სხვადასხვაგვარად უპასუხებს, საქმე გვაქვს პირობითი ნიშნების გამოყენებასთან გარკვეულ შემთხვევაში, და ეს კი ენის დამახასიათებელია. ყეფა დანაწევრებულ ბგერებს არ წარმოადგენს. თუთიყუში და ჯაფარა კი დანაწევრებული ბგერების გამეორებასაც ახერხებს.

გვეტყვიან: თუთიყუში ავტომატურად იმეორებს გაგონილს და შერჩევით ვერ მოიხმარს ამ ბგერებსო. ჩვეულებრივად ეს მართლაც ასეა. მაგრამ კითხვა იბადება: ყოველთვის ასეა ეს თუ სხვაგვარი შესაძლებლობაც არსებობს¹ „გ ა რ კ ვ ე უ ლ ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი (ხაზი ჩვენია) თუთიყუშს შეიძლება გაეგებოდეს, რასაც ლაპარაკობს. დაასწავლეთ თუთიყუშს სალანძღავი სიტყვები ისე, რომ მან შეითვისოს მათი მნიშვნელობა (ეს ერთი უმთავრესი გასართობთაგანია მეზღვაურთა, რომელნიც ბრუნდებიან ცხელი ქვეყნებიდან) და შემდეგ გააჯავრეთ ის და დარწმუნდებით, რომ თუთიყუში ისევე სწორად ხმარობს თავის სალანძღავ სიტყვებს, როგორც ბერლინელი მოვაჭრე ქალიო“, ამბობს ფრ. ენგელსი².

თუ ენა არ გამოდგება მიჯნად ცხოველსა და ადამიანს შორის, მით უფრო ეს უნდა ითქვას აზროვნების შესახებ. ცხოველთა სამყაროს ისეთ წარმომადგენლებს, როგორცაა მაიმუნთა ზოგიერთი ჯიში, უდავოდ გააჩნია მოაზრების გარკვეული უნარი. ცნობილი ფსიქოლოგი ვოლფ. კელერი თავის ექსპერიმენტულ ძიების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მაიმუნის ერთ ჯიშს, შიმპანზეს, ახასიათებს „გონივრული საქციელი იმავე რიგისა, როგორც ადამიანს“². მსგავსი შედეგები მოუცია ექსპერიმენტულ ძიებას ამერიკელ მკვლევარ იერქსისთვისაც. აქედან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს მაიმუნი იმგვარადვე აზროვნებდეს, როგორც ადამიანი, მაგრამ ის მაინც ცხადია, რომ ადამიანური აზროვნების ჩანასახი ექსპერიმენტულად უკვე დასტურდება მაიმუნში: ზოოფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე საფენურისთვის სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ დამახასიათებლად.

არც ენა და არც გონივრულობა არ ქმნის ზღვარს, რომლის ერთს მხარეზე ადამიანი იდგეს, მეორეზე კი ცხოველი რჩებოდეს. ადამიანისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი სულ სხვა რაშიმე უნდა ვეძიოთ: ეს არის შ რ მ ა , შ რ მ ა ხ ე ლ ი თ , ის ე თ ი ხ ე ლ ი თ , რ ო მ ე ლ ს ა ც შ ე უ ძ ლ ი ა მ ო ი ხ მ ა რ ო ს შ რ მ ი ს ი ა რ ა ლ ი

¹ იხ. „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანურების პროცესში“: *Диалект. природы*, IV გამოც. 1930 წ. გვ. 64-65.

² იხ. *Келер В.: Исследование интеллекта человекоподобных обезьян*. თარგმ. გერმან.-დან. *Изд. Ком. Акад.* 1930. М. გვ. 203.

და, რაც მთავარია, შექმნას ეს იარაღი.

ჭიანჭველაც „შრომობს“, ფუტკარიც „ჭაფვას ეწევა“, მელიაც სოროს თხრის, მაგრამ არც ერთი მათგანი არავითარ იარაღს არ ხმარობს, არავითარ იარაღს არ ქმნის, იყენებს მხოლოდ თავის სხეულის ნაწილებს. ეს არ არის შრომა, — ვინაიდან, „შრომა იწყება იარაღის გაკეთების მომენტიდან“, როგორც ფრ. ენგელსი ამბობს. სწორედ ასეთი შრომაა ნიშანდობლივი ადამიანისათვის: „უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ველურის ხელს შეუძლია ათასი ისეთი რამ გააკეთოს, რის გადაღება და განმეორება არ შეუძლია არც ერთ მაიმუნის ხელს. არასდროს არც ერთ მაიმუნს არ გაუკეთებია თავისი ხელებით თუ გინდ სულ უბრალო ქვის დანაო“ — ამბობს ფრ. ენგელსი. „შრომის საშუალებათა მოხმარება და შექმნა, თუმცა იგი ზოგიერთი სახეობის ცხოველებთანაც გვხვდება ჩანასახის სახით, ადამიანის შრომის პროცესის სპეციფიკურ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, და ამიტომ ფრანკლინი განსაზღვრავს ადამიანს, როგორც **a tool making animal**-ს, როგორც იარაღის მკეთებელ ცხოველს“ (ამბობს კ. მარქსი: კაპიტალი. რუს. გამ. 1931. გვ. 121).¹

თავისთავად ცხადია, რომ გაადამიანურების გზაზე დამდგარი „ცხოველი“ განკერძოებით არ ცხოვრობდა; იმ თავითვე უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ მის სხეულს ვერტიკალური მდგომარეობა უნდა ჰქონოდა მიღებული: მხოლოდ ასეთს პირობებში იქმნებოდა ხელი თავისუფალი და მხოლოდ ასეთ ხელს შეეძლო გაეკეთებინა ის, რამაც უმაღლესი ცხოველი პრიმიტიულ ადამიანად, მაგრამ მაინც ადამიანად აქცია.

„შეიარაღებული ხელის პატრონი“, ადამიანი სხვაგვარს დამოკიდებულებაშია ბუნებასთან, ვინემ ცხოველი: „ცხოველი მხოლოდ საგებლობს გარეშე ბუნებით და იწვევს მასში ცვლილებებს მარტო იმით, რომ მასში არსებობს; ადამიანი კი მის მიერ გამოწვეულ ცვლილებათა საშუალებით აიძულებს ბუნებას, ემსახუროს მის მიზნებს, ე. ი. ბატონობს მასზე... ეს განსხვავებაც ისევ და ისევ შრომამ გამოიწვია“ (ფრ. ენგელსი).

ადამიანი ცვლილებას იწვევდა ბუნებაში, მაგრამ ამ პროცესში, შრომის პროცესში, თვით ადამიანის ბუნებაც იცვლებოდა. ამ მხრივ, უდიდეს ცვლილებას მეტყველების გამომუშავება წარმოადგენს: „ბუნების საგნებში ადამიანი განუწყვეტლივ ახდენდა ახალ-ახალ ჯერ უცნობ თვისებათა აღმოჩენას. მეორე მხრივ, შრომის განვითარება თავისთავად ხელს უწყობდა ჯგუფის წევრების უფრო მჭიდროდ დაახლოებას, ახშირებდა ურთიერთ დახმარების შემთხვევებს და ცხადყოფდა ყოველი ინდივიდისათვის ამ ურ-

¹ ინსტიტუტურ შრომისაგან ადამიანის შრომა, რასაკვირველია, იმითაც განსხვავდება, რომ „შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც შრომის დასაწყისში... მომუშავეს წარმოდგენაში იყო მოცემული“, მაგრამ ჩვენთვის ამყამად ეს განსხვავება არ არის საინტერესო.

თიერთობის სარგებლიანობას. ერთი სიტყვით, ეს ადამიანად ქცეულები მივიდნენ იქამდე, რომ იგრძნეს საჭიროება ეთქვათ რაიმე ერთმანეთისათვის. საჭიროებამ შეიმუშავა თავისთვის შესაფერი ორგანო: მაიმუნის განუვითარებელი ყელი ნელა, მაგრამ სისწორით გადამუშავდა, გადადიოდა რა ერთი მოდულაციიდან მეორეზე, უფრო რთულზე და მეტყველების ორგანოები თანდათან შეეჩვივნენ დანაწევრებულ ბგერათა გამოთქმას“ (ფრ. ენგელსი: შრომის როლი... *Диалект. прир.* გვ. 64). შრომის პროცესში წარმოიქმნა მეტყველება. ამას კი უდიდესი გავლენა ქონდა ადამიანის აზროვნების განვითარებაზე. „ჯერ შრომა და მასთან ერთად და მის შემდეგ მეტყველება, აი, ორი არსებითი სტიმული, რომელთა გავლენით მაიმუნის ტვინი თანდათან გადაიქცა ადამიანის ტვინად“, რომელიც გაცილებით მეტი მოცულობისაა და უფრო განვითარებულია“ (ფრ. ენგელსი: იქვე, გვ. 65).

შრომის პროცესი დედაბოძია საზოგადოებრიობის: „შრომის პროცესი არ არის დამყარებული ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ ფორმაზე, პირიქით, იგი თანსდევს ყველა საზოგადოებრივ ფორმაციას... რადგანაც იგი საყოველთაო პირობაა ნივთიერების გაცვლისა ადამიანსა და ბუნებას შორის და იმავე ადამიანის არსებობის გარდაუვალი ბუნებრივი პირობაა“ (კ. მარქსი, კაპიტალი. გვ. 125); ამას მეორე მხარეც აქვს, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი: „წარმოების მიზნით ადამიანები დგებიან ერთმანეთთან გარკვეულს კავშირსა და ურთიერთობაში: მხოლოდ ამ საზოგადოებრივ კავშირსა და ურთიერთობის საშუალებით აქვს ადგილი ადამიანის ზემოქმედებას ბუნებაზე, აქვს ადგილი წარმოებას. წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა ქმნის მას, რასაც ეწოდება საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც იმყოფება ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე“ (კ. მარქსი. საქირაო შრომა და კაპიტ.).

ამრიგად, შრომამ, შრომის ხელოვნური იარაღების შექმნა-მოხმარებამ შესაძლებელი გახადა ადამიანის გაბატონება ბუნებაზე, წარმოქმნა მეტყველება, დასაბამი მისცა სპეციფიკურს ადამიანთა საზოგადოებრიობას, — განსხვავებულს ცხოველთა ჯოგურობისაგან. მოკლედ: შრომამ შექმნა ადამიანი.

თუ ინდოევროპეისტი ენათმეცნიერი გვეუბნებოდა: მეტყველება ამ შექმნა ადამიანი, ადამიანი მეტყველი ცხოველიაო, მატერიალისტური დიალექტიკის დებულებათა: შრომამ აქცია ადამიანი ადამიანად, შრომამ ვეამოადგმევინა ადამიანს ენა. ადამიანი „მეტყველი ცხოველი“ კი არ არის არამედ „შრომის იარაღების მკეთებელი ცხოველი“.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ლ. ნუარეს, როცა ის ამბობს: „დებულება — ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი“.

ველი — შეიცავს ისეთსავე დიდს ჭეშმარიტებას, როგორც დებულება — ადამიანი არის საზოგადოებრივი ცხოველი“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორიის წინა ხანის ეპოქებს უწოდებენ ქვის, ბრინჯაოს, რკინის ხანას იმისდა მიხედვით, თუ რა შრომის იარაღებს აკეთებდა და ხმარობდა იმ დროინდელი ადამიანი. და ეს სრულებით ბუნებრივია იმიტომ, რომ „ამა თუ იმ ეკონომიურ ხანას ახასიათებს არა ის, თუ რა წარმოებს იმ დროს არამედ ის, თუ როგორ წარმოებს, ე. ი. შრომის რომელი იარაღებით“.

ადამიანის მეტყველება, თავის მხრივ, უდიდეს რევოლუციას მოასწავებს მის აზროვნებისათვის: ადამიანის აზროვნება ვერასოდეს მიაღწევდა განვითარების უმაღლეს საფეხურს, რომ მეტყველება მას იარაღად და საყრდენად არ გააჩნდეს (კერძოდ, განყენებული აზროვნება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა).

შრომის პროცესში შექმნილი მეტყველება — შრომის ნიადაგზე, საწარმოო ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ — ადამიანთა კოლექტივის გაგებინების საშუალებაა და აზროვნების უძლიერესი იარაღი. ენა იმდენადვე ენობს, რამდენადაც იგი ასეთ კოლექტივს ემსახურება. ამ მომენტიტ განისაზღვრება ენის არსი. ამაზე ქვევითაც გვექნება საუბარი, აქ კი ერთი რამ უნდა აღინიშნოს: შრომამ აქცია ადამიანი ადამიანად, მაგრამ ის ვერასოდეს გახდებოდა იმად, რაც ის არის, რომ იმავე შრომის პროცესში მეტყველება არ წარმოქმნილიყო: მეტყველების საშუალებით ხდება ერთი ინდივიდის გამოცდილება — მიღწევა სხვებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს; მეტყველების საშუალებით ერთი თაობის მონაპოვარი შესაძლებელი ხდება, გადაეცეს მეორეს; მეტყველება აუცილებელი პირობაა კაცობრიობის კულტურული წინსვლის. თუ მეტყველება წარმოუდგენელია საწარმოო ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კოლექტივის გარეშე, პირუკუც, ადამიანთა ასეთი კოლექტივის არსებობა წარმოუდგენელია მეტყველების გარეშე.

ენა, როგორც აზროვნების იარაღი და გაგებინების საშუალება.

ყოველგვარ პირობით ნიშანთა კრებული, რომელიც კი იქმნება ნახმარი ადამიანთა ურთიერთობაში გაგებინების საშუალებად, ენა იქნებოდა. ადამიანთა მეტყველება ჩვეულებრივად ბგერებისაგან ქმნის ასეთ ნიშნებს, ადამიანის ენა ბგერითი ენაა; ყრუ-მუნჯები მიმართავენ ყესტებს, ხელებით „ლაპარაკობენ“¹.

¹ უფრო დაწვრილებით ცნობებს ყესტ-მიმიკის ენის შესახებ და აგრეთვე იმ უპირატესობის შესახებ, რომელიც აქვს ბგერითს ენას სხვაგვარ ენის წინაშე,

როგორც თავშიაც ითქვა, ენათმეცნიერება სწავლობს პირველ ყოვლისა ბგერითს ენას; მაგრამ ბგერა შეიძლება იყოს დანაწევრებულიც და დაუნაწევრებელიც; შაშვის გალობა ბგერებისაგან შედგება, მაგრამ ეს ბგერები არ არის დანაწევრებული, ცალკე ბგერით ერთეულებად მისი დაშლა შეუძლებელია. ადამიანის მეტყველებაშიც შეიძლება ქონდეს ადგილი ასეთ ბგერათა კომპლექსს; კითხვაზე: „მოიტანა ვასომ წიგნი?“ შეიძლება ვუბა-სუხოთ „არა“, ანდა „ნტ“. ორივეს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, — ორივე უარყოფას გადმოგვცემს. ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის. ბგერითი მხარე კი რომ გავითვალისწინოთ აღმოჩნდება, რომ „არა“ სამი ბგერისაგან შედგება (ა — რ — ა): „ნტ“ კი, რასაკვირველია, არ შედგება **ნ** და **ტ**-საგან, არც **ნ** და **წ**-საგან, როგორც ხშირად გონიათ ხოლმე. საკმარისია, ცალკე წარმოვთქვათ **ნტ**, **ნწ** (ზა-**ნტ**-ი, ძუ-**ნწ**-ი) და შემდეგ შეადაროთ უარყოფის აღმნიშვნელი ამ **ნტ!**-ს, რომ განსხვავება თვალში გვეცეს; **ნ** და **ტ**-ს გამოყოფა მასში შეუძლებელია და ჩვენ პირობით და მიახლოებით გადმოგვცემთ მას, როცა ვამბობთ **ნდ** (თუ **ნწ**) ასოებს რომ ვწერთ. „არა“ დანაწევრებულ ბგერებისაგან შედგება, „ნტ“ — დაუნაწევრებელთაგან. ენათმეცნიერების შესწავლის საგანია ის, რაც გადმოიცემა დანაწევრებულ ბგერებით ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, დანაწევრებულს ბგერებში მოცემული მეტყველება (და არა „ნტ!“-ს მაგვარი მონაცემები); ყოველ ენას გააჩნია სრულიად გარკვეული რაოდენობა ასეთ დანაწევრებულ ბგერათა, რომელთაგანაც აიგება სათანადო ენის მთელი სიტყვიერი მარაგი (ქართული,¹ მაგალ., სულ 33 ბგერას იყენებს).

ავილოთ ორი სიტყვა: „რაჯულუნ“ და „კაცი“. ორივე დანაწევრებულ ბგერებისაგან შედგება; ორივე შეიძლება სათანადო ბგერებად დავყოთ, გამოვთქვათ დაუბრკოლებრივ, დავწეროთ, წავიკითხოთ. ამ მხრივ ეს ორი სიტყვა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. მაგრამ სხვა მხრივ მათი მოთავსება ერთ სიბრტყეზე არ შეიძლება. სიტყვა „კაცი“ გასაგებია ამ განაკვეთის მკითხველისათვის, „რაჯულუნ“ — კი გაუგებარია. რას ნიშნავს „გასაგებია“, „გაუგებარია“? „კაცი“ რომ გავიგონეთ, ვიცით, რაც არის ნაგულისხმევი, რაზე მიუთითებს ეს სიტყვა. „რაჯულუნ“ რომ გავიგონეთ, აღარ ვიცით, რას გულისხმობს იგი, რა მოვლენაზე თუ საგანზე მიუთითებს. მოკლედ: გ ა ი გ ო ს ი ტ ყ ვ ა , — ე ს ნ ი შ ნ ა ვ ს , ი ც ო დ ე , რ ა ზ ე მ ი უ თ ი თ ე ბ ს ი გ ი . მოსაუბრის ნათქვამს ჩვენ ჯერ გავიგონებთ, მერე გავიგებთ; ნათქვამი რომ გაიგო, უთუოდ უნდა გაიგონო, მაგ-

მედაუსწრებლედ იპოვის ქართულ ენის შესავალს ლექციაში. განმეორების თავიდან ასაცილებლად ჩვენ აქ მათ არ შევხებით.

გულისხმობთ სალიტერატურო ქართულ მეტყველებას. ზოგიერთ კუთხეში, მაგალ. ფშავში, ხევსურეთში ისეთი ბგერაც იხმარება, რომელიც სალიტერატურო ქართულს არ გააჩნია (მაგ. ჯ).

რამ შეიძლება გაიგონო, მაგრამ ვერ კი გაიგო. როცა უცხო ენაზე ლაპარაკობენ, ჩვენ გაგონებაც ხშირად გვიჭირს, მაგრამ ძალიან გარკვევითაც რომ გავგვიმეორონ რომელიმე ფრაზა ან სიტყვა, მაინც ვერ გავიგებთ; ამის ერთი მაგალითი აქაც გვაქვს: „რაჯულუნ“; არაბულად იგი იმასვე ნიშნავს, რასაც ქართულად „ცივი“ ვაღმომგვცემს. უცხო ენის შესწავლა იმაში მდგომარეობს, რომ გავითვალისწინოთ, რა ბგერათა კომპლექსი რა მნიშვნელობის მქონეა ე. ი. რაზე მიუთითებს.

უცხო ენის მაგალითზე ცხადი ხდება მეტყველების მექანიზმის ერთი მხარე: როცა ნათქვამი გვესმის, ვიღებთ სმენითს (აკუსტიკურ) შთაბეჭდილებას; ეს უკანასკნელი ჩვენს ცნობიერებაში, როგორც იტყვიან ხოლმე, აღძრავს, უკავშირდება გარკვეულს წარმოდგენას, ასეთი დაკავშირების გარეშე თქმულის გაგება შეუძლებელია.

ლაპარაკის პროცესი საწინააღმდეგო მიმართულებებისაა; ვთქვათ, სიცივეს ვგრძნობთ; სიცივის განცდა მოგვეპოვება, გვინდა ეს ვაცნობოთ მოსაუბრეს; ჯერ იძებნება სათანადო სიტყვის წარმოდგენა და შემდეგ მოძრაობის (ე. წ. მოტორული) ცენტრის საშუალებით ამოქმედდება ჩვენი სამეტყველო აპარატი და ჩვენ ვიტყვით: „ცივა!“. თუ მოსაუბრე რუსია, ვიტყვით „ხოლოდნო!“, თუ გერმანელია — „ეს ისტ კალტ!“, თუ ფრანგი „ილ ფე ფრუა!“ და სხვ. და სხვ. ერთი და იგივე განცდა სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა სიტყვით ვაღმოიცემა; პირუკუ, სხვადასხვა სიტყვა შეიძლება მიუთითებდეს ერთსა და იმავე მოვლენაზე.

მეტყველების მექანიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ცენტრი ადამიანის ტვინის ქერქში: ერთი აკუსტიკური, სმენითი შთაბეჭდილების ცენტრი, მეორე მოტორული, მოძრაობის ცენტრი. პირველს უჭირავს საფეთქლის პირველი და მეორე ხვეულის მიდამო; აქ გამოყოფილია არე, რომელიც იღებს მხოლოდ სიტყვის აკუსტიკურ შთაბეჭდილებებს; მას ეწოდება ვერნიკის ცენტრი. მოტორულ ცენტრს ეწოდება ბროკას ცენტრი; იგი მოთავსებულია შუბლის მესამე ხვეულის უკანა ნაწილში, ორივე მოთავსებულია მარცხენა ნახევარ სფეროში. ყოველ ნორმალურ ადამიანს, რომელსაც ნათქვამი ესმის და ლაპარაკის უნარიც გააჩნია უცილობლად ჰქირდება, როგორც ვერნიკეს, ისე ბროკას ცენტრი. ერთ-ერთი მათგანის დაზიანება იწვევს მეტყველების სხვადასხვაგვარ აშლილობას. წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს სხვა ცენტრებიც აქვს, მაგრამ მათი აღნუსხვა აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია.¹

აქ წარმოდგენილი ელემენტარული სქემა სხვისი ნათქვამის გაგონება-გაგებისა და საკუთარი განცდის გამოთქმის მექანიზმისა მიზნად ისახავს

¹ ესა და მეტყველების მექანიზმის სხვა საკითხები დეტალურად იქნება განხილული ფონეტიკურ მოვლენების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

მიუთითოს იმ შინაგან კავშირზე, რომელიც არსებობს მეტყველების პროცესსა და ტვინის ფუნქციებს შორის. ტვინის ფუნქციებზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში აზროვნებითი პროცესები გვაქვს. ადამიანის აზროვნება, როგორც ზევითაც ითქვა, ვერასოდეს მიაღწევდა განვითარების იმ საფეხურს, რომელზედაც ამჟამად იმყოფება, „საგნობრივ წარმოდგენებს“ „სიტყვის წარმოდგენები“ დასაყრდენად რომ არ ქონდეს; კონკრეტი სახეებით აზროვნება მეტყველების დაუხმარებლად შეიძლება, მაგრამ განყენებული აზროვნება მეტყველების გარეშე წარმოუდგენელია.

მეტყველება ის ბერკეტია, რომლის შემწეობით ადამიანის აზროვნება ახერხებს უდიდეს სააზროვნო პროცედურათა სიმძიმის აწევას. მეტყველება ცალკე ადამიანი; მისი მეტყველების მექანიზმი ორგანულად არის დაკავშირებული მისი ტვინის ფუნქციებთან; საკმარისია ორიოდ ცენტრის მოშლა, რომ ადამიანმა დაკარგოს მეტყველების უნარი.

ასე მჭიდროდ არის მეტყველება დაკავშირებული ინდივიდთან, და მაინც არ არის ენა ინდივიდ უაღურ მოვლენა, და ამბობენ სრულიად საფუძვლიანად, ენა სოციალური მოვლენაა. რას ნიშნავს ეს? რაში მდგომარეობს ენის სოციალურობა?

გავაანალიზოთ სიცილი და მეტყველება; ლაპარაკობს ცალკე ადამიანი; იცინის ცალკე ადამიანი; ორსავე შემთხვევაში ინდივიდის აქტთან გვაქვს საქმე, ორივე ინდივიდის განცდების (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) გამოვლენაა. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ჩვეულებრივად ვიცინით იმიტომ, რომ გვეცინება, რომ ამაში გამოსავალს პოულობს ჩვენი მხიარული განწყობილობა. სიცილი განსაზღვრულია სუბიექტური განწყობილებით და არა ობიექტური საჭიროებით. შეიძლება სრულებით უადგილო იყოს სიცილი, მაგრამ მაინც თავი ვერ შევიკავოთ და გაგვეცინოს (კარგად აღნიშნავს ამას ქართული „მეცინება“). სიცილი არ სჭირდება მეორე ადამიანს: შეიძლება ჩვენთვის ვიჯდეთ, ვკითხულობდეთ რასმე სასაცილოს და გულიანად ვიცინოდეთ.

ადამიანი იცინის იმიტომ, რომ „ეცინება“, რომ „სიცილი აუვარდა“, მაგრამ ლაპარაკობს არა იმიტომ, რომ „ელაპარაკების“ (რომ „ლაპარაკი უნდა“); ასეთ რასმე მართლაც აქვს ადგილი ფქისიკური აშლილობის დროს, მაგრამ ნორმალურს ვითარებას ეს სრულებით არ შეეფერება. ნორმალურს პირობებში ადამიანი ლაპარაკობს იმისთვის, რომ ვისმე რამე გააგებინოს. მაგრამ მეტყველების აქტს გარკვეული დანიშნულება, სოციალური ფუნქცია აქვს. თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამიანი იცინის „თავისთვის“, ლაპარაკობს — სხვისთვის.

არის შემთხვევები, როცა ადამიანი „იცინის სხვისთვის“ (სცენაზე), ლაპარაკობს კი თავისთვის, მაგრამ ასეთი სიცილი ხელოვნურია და, მაშასადამე, ბუნებრივი სიცილისთვის დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა. ასე ლა-

პარაკი კი, მართალია, არანორმალური არ არის, მაგრამ იშვიათია ნორმალური პიროვნებებისთვის და, რაც მთავარია, ასეთი ლაპარაკის დროს ჩვენ იმავე სამეტყველო საშუალებებს მოვიხმართ, რასაც სხვასთან ლაპარაკის დროს ვიყენებთ. მაშასადამე, თავისუფალი როლი ვართ.¹

ამგვარად, სიცილს მსმენელი და მაყურებელი არ ჭირდება, ლაპარაკს კი გამგონე უნდა. ეს კი ნიშნავს: მე ვერ ვილაპარაკებ ისე, როგორც მომეპოვება (მხედველობაში გვაქვს სამეტყველო საშუალება და არა თქმულის შინაარსი), არამედ უნდა ვილაპარაკოთ ისე, როგორც ეს არის მიღებული ადამიანთა იმ კოლექტივში, რომელიც ამ ენას ხმარობს. თუ მაგალითად გარკვეულს საგანს „წიგნი“ ქვია, მე ვერ ვიხმარ ამ საგნის აღსანიშნავად „წიტნი“-ს, ანდა „ჩინგი“-ს, ან სხვა რასმე მაგვარს, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა, რადგანაც ეს ხელს შეუშლის ჩემი ნათქვამის გაგებას... ასევე, თუ ქართულს ენობრივ კოლექტივში ნორმალურია ფრაზა: „მოწაფეს აქვს წიგნი“ ჩვენ არ ვიტყვი: „მოწაფემ აქვს წიგნის“ ან სხვა რამ ამისთანას.

მეტყველება სოციალურია იმიტომ, რომ მეტყველი არ არის თავისუფალი მეტყველების პროცესში; მას ზღუდავს ის ენობრივი კოლექტივი, რომელიც ამ ენას ხმარობს გაგებინების საშუალებად საწარმოო ურთიერთობის პროცესში. ინდივიდს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ენობრივ კოლექტივს, თუ სურს, რომ მისმა მეტყველებამ თავისი სოციალური ფუნქცია შეასრულოს.

ინდივიდთან დაკავშირებულობა არ გამოირიცხავს მეტყველების სოციალურ ხასიათს. ინდივიდში მოცემული შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალურიცა და სოციალურიც. მეტყველება სოციალურია ინდივიდში.

თუ კოლექტივი კონტროლს უწევს, ზღუდავს ინდივიდის მეტყველებას, როგორღა არის შესაძლებელი განსხვავებულობა მეტყველებაში, როგორღა ახერხებს ენა განვითარებას? უდავოა, რომ ერთი ინდივიდი არასდროს არ ლაპარაკობს სავსებით ისე, როგორც მეორე; ცოცხალ მეტყველებაში ვარიაციებს აქვს ადგილი არა მარტო ინდივიდების მიხედვით: ერთი ინდივიდიც, ზუსტად რომ ვთქვათ, არ ლაპარაკობს ყოველთვის სავსებით ერთნაირად, მაგრამ ეს ვარიაციები იშლება იმ ზოგადის ფონზე, რომელსაც სათანადო ენა წარმოადგენს და არ სცილდება გარკვეულს ფარგლებს. ფარგლებს კი ქმნის ისევ ის ფაქტი, რომ ენა არის გაგებინების საშუალება, სოციალური ურთიერთობის იარაღი. ამიტომ ყოველი არ-

¹ იძულება-შეზღუდა, რომელსაც ინდივიდი განიცდის კოლექტივის მხრივ, საერთოდ, ნიშანდობლივი თვისებაა სოციალურისა.

სებიტი ცვლილება, მომდინარე ინდივიდიდან, მხოლოდ იმდენად არის ასატანი ენისათვის, რამდენადაც მას აქვს სათანადო ენობრივი კოლექტივის სანქცია.

ცოცხალი და მკვდარი ენა. თუ ენა გაგებინების საშუალებაა, ცხადია, თავის სოციალურ დანიშნულებას ის მაშინ ასრულებს, თუ ხმარებაშია, თუ რომელიმე ენობრივი კოლექტივი მას იყენებს, როგორც ურთიერთობის იარაღს. ხმარებულობაში მდგომარეობს ენის სიცოცხლე. ცოცხალია ენა, თუ იხმარება; მკვდარია, თუ ხმარებიდან გამოვიდა, თუ არავითარი ენობრივი კოლექტივი არ ხმარობს მას, როგორც ურთიერთობის იარაღს. ცოცხალია ქართული, სომხური, რუსული, თურქული... მკვდარია მაგალ. — ლათინური (ძველი რომის იმპერიის ენა). მკვდარი ენა შეიძლება ხელოვნურად ცოცხლობდეს რომელსაღმე წრეში; ამის ნიმუშია იგივე ლათინური, რომელსაც ამჟამად ხმარობენ ექიმები წამალთა გამოწერისას...

ენა ენის მატარებლის გვარ-ტომობის საკითხს ვერ გარკვევს. ადამიანს შეუძლია ახალი ენა ისწავლოს გარდა იმ ენისა, რომელსაც იგი ბავშვობიდან ხმარობს, რომელიც მისი მშობლიური ენაა. თუ ის ისეთ წრეში ჩავარდა, სადაც მისი წინანდელი ენა სრულებით არ იხმარება, მას შეიძლება იგი დაავიწყდეს კიდევ: ადამიანმა დაივიწყა თავისი ენობრივი კოლექტივის ენა და შეითვისა სხვისი ენა. ერთი ენის მცოდნე ზრდა და მთავრებულ ადამიანისთვის მეორის შესწავლა მეტ-ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს, იმისდა მიხედვით, რამდენად უახლოვდება ან შორსა დგას ახალი ენა მის ენასთან. ბავშვისთვის კი, სანამ ის ენას აიდგამს, ამგვარი სიძნელე არ არსებობს; ბავშვი სრულიად დაუბრკოლებლად სწავლობს იმ ენას, რომელიც მას ესმის, იმისდა მიუხედავად, თუ რა ენაზე ლაპარაკობენ მისი მშობლები. ის, რაც ცალკე ინდივიდის შესახებ ითქვა, ძალაში რჩება მთელი ენობრივი კოლექტივის მიმართაც; გარკვეული გვარ-ტომობის ხალხი, რომელიც ერთ დროს გარკვეულს, ვთქვათ **A** ენაზე ლაპარაკობდა, შეიძლება დროთა ვითარებაში გარკვეულს საზოგადოებრივ-პოლიტიკურს პირობებში **B** ენაზე ალაპარაკდეს. თურქული მოდემის ბულღარელები ამჟამად ერთ-ერთ სლავურ ენაზე ლაპარაკობენ. აფრიკიდან მონებად წამოყვანილი ზანგების შთამომავლობა ამერიკაში ინგლისურად ლაპარაკობს, ზანგური დავიწყებული აქვს... აქიდან კი ასეთი ზოგადი დასკვნა გამომდინარეობს: ენის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ გვარ-ტომობის შესახებ და პირიქუ: გვარტომობა ენის საკითხს არ არკვევს...¹

¹ ერთი ენათმეცნიერი ამბობდა: არიული ენების მიხედვით არიული რასის შესახებ ლაპარაკი იმდენადვეა შესაძლებელი, რამდენადაც დასაშვებია ლაპარაკი დოლიქოცეფალურ (გრძელთავიან) გრამატიკაზეო.

„წმინდა“ ენა არ არსებობს. ერთი ენობრივი კოლექტივი როდია ჩინური კედლებით დაშორებული მეორეს. არა თუ ამჟამად, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეები მჭიდრო ეკონომიურ და კულტურულ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან, არამედ ძველადაც წარმოუდგენელია ისეთი ენობრივი კოლექტივი, რომელსაც სავსებით კარჩაკეტილად ცხოვრება შეეძლებოდა. კულტურულ-ეკონომიკური კავშირი ენობრივ კოლექტივთა შორის არ შეიძლება არ აისახოს სათანადო ენებშიც. პირველ ყოვლისა, ეს თავს იჩენს სიტყვების სესხებაში. არ არსებობს დედამიწის ზურგზე არც ერთი ენა, რომელსაც მეტ-ნაკლები ოდენობით სხვა ენის სიტყვები არ ქონდეს შეთვისებული. არც ფორმების სესხებაა შეუძლებელი, თუმცა ამისათვის ენათა უფრო ახლო ურთიერთობაა საჭირო. **წ მ ი ნ დ ა ე ნ ა, ე ნ ა მ ხ ო ლ ო დ „თ ა ვ ი ს ი მ ა რ ა გ ი თ, ს ხ ვ ა ე ნ ი ს მ ა ს ა - ლ ი ს ა გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი, ზ ლ ა პ ა რ ი ა.**

ნასესხებ მასალს ენა შეიგუებს და იმდენად შეისისხლხორცებს, რომ ღრთა ვითარებაში საგანგებო ძიებაა საჭირო, რომ მისი ნასესხობა დამტკიცდეს. სალიტერატურო ქართულით მოუბარი გაურბის უცხო სიტყვას „ულიცა“ და ხმარობს სიტყვას „ქუჩა“; ასევე არ იხმარს „გოროდ“-ს, არამედ „ქალაქ“-ს, ღრმად დარწმუნებული, რომ ქართულით შეცვალა უცხო სიტყვები. თანამედროვე გაგებისათვის ეს მართლაც ასეა, მაგრამ სადაურობის ძიებას რომ მივყოთ ხელი, გამოირკვევა, რომ არც „ქალაქია“ ქართული და არც „ქუჩა“ (ქალაქი სომხური გზით მოდის ასურულიდან, ქუჩა — სპარსული სიტყვაა).

ასევე არაქართულია წარმოშობის მიხედვით — წიგნი, მელანი, კალამი, ფანქარი... ბალი, ბუღბუღი... საათი, ადათი, სინიდისი, ნამუსი და მრავალი სხვა... თვით ისეთი სიტყვებიც კი, როგორცაა „ოჯახი“, „მუშა“ არ არის ქართული წარმოშობის; „პურიც“ კი ბერძნულია და „ღვინო“-ც, გაჭირდებოდა ქართულ სიტყვად მიგვეჩინა...

ენა შემაკავშირებელი და ენა გამთიშველი: ეს თუ ის ენა გაგებინების საშუალებაა სათანადო ენობრივი კოლექტივის ფარგლებში; სხვა ენობრივი კოლექტივი სხვა ენას ხმარობს თავის ფარგლებში, იმავე მიზნისათვის. ის, რაც აკავშირებს ერთი ენობრივი კოლექტივის წევრებს ერთმანეთთან, თიშავს ამ კოლექტივის წევრებს მეორე კოლექტივის წევრებისაგან; ენა შემაკავშირებელი იმავდროს არის გამთიშველიც.

ეს ყოველთვის ცხადი იყო. მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ეს გასული საუკუნიდან, როდესაც ხალხთა კულტურულ-ეკონომიურმა ურთიერთობა ძალზე ინტენსიური გახდა. მრავალენიანობა უდიდეს დაბრკო-

ლებას ქმნის ამ ურთიერთობისათვის. არა იშვიათად თვით დიდ მეცნიერებსაც კი უჭირთ ამ დაბრკოლების გადალახვა: გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნე ჯონ სტიუარტ მილი გაჭირვებით კითხულობდა თურმე გერმანულს, ხოლო სახელგანთქმულმა ინგლისელმა ფიზიკოსმა ფარადეიმ სულ არ იცოდა გერმანული და მოკლებული იყო შესაძლებლობას, უშუალოდ გაცნობოდა გერმანელი ფიზიკოსების რობერტ მაიერისა და ჰელმ ჰოლცის გამოკვლევებს.

ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც არ აღმოაჩნდებოდათ ხოლმე მათთვის საჭირო ენის ცოდნა. გრემ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებისას, ფრანგული არ იცოდა, ხოლო საფრანგეთის ელჩმა ინგლისში — კამბონმა ძალიან ცუდად იცოდა ინგლისური... თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას, ეს იქიდან ჩანს, რომ მსოფლიო იმპერიალისტური ომის შემდეგ საზავო კონფერენციაზე კლემანსომ განსაკუთრებული გავლენა მოიპოვა იმიტომაც, რომ დიპლომატთა შორის ერთად ერთი კაცი იყო, რომელსაც თანაბრად ეხერხებოდა, როგორც ფრანგული ისე ინგლისურიო, ამბობს ო. იესპერსენი, რომლის წიგნიდანაც („ინტერნაციონალური ენა“ — გერმ. — ჰაიდელბერგი. 1928. გვ. 5) მოგვყავს აღნიშნული ცნობები.

სრულიად ბუნებრივია, თუ ასეთ პირობებში მკვეთრად იგრძნობა საჭიროება, დაიძებნოს გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან. ასეთი გამოსავლის დაძებნის ცდა მოცემულია ხელოვნურს ენებში. ცნობილია რამდენიმე ასეთი ხელოვნური ენა; ჩამოყალიბებული სახე მან მიიღო პირველად „ვოლაპუკ“-ში, რომელიც 1880 წელს გამოვიდა და რომლის ავტორიც იყო შლეიერი. სულ ბოლოდროინდელ ცდას წარმოადგენს ცნობილ ენათმეცნიერ ო. იესპერსენის „ნოვიალ“-ი, რაიც შემოკლებით ნიშნავს: „ახალი ინტერნაციონალური დამხმარე ენა“; გამოვიდა იგი 1928 წელს. იმ ორმოცდაათიოდე წლის მანძილზე, რომელიც ნოვიალს ვოლაპუკისაგან აშორებს. რამდენიმე სხვა პროექტიც იყო წარმოდგენილი (ესპერანტო, იდო, ოქციდენტალი...); ამათში ყველაზე დიდი გავრცელება მოიპოვა ესპერანტომ.

ამ ენებს საერთო ბევრი რამ აქვთ: ყველა ესენი ხელოვნურია, შეთხზული, რაც შეიძლება მარტივი და ლოგიკურად თანამიმდევარი გრამატიკით; მასალად გამოყენებულია ევროპული ენების ძირები, რომ ამით გაადვილდეს ამ ენის მოხმარა ევროპელთათვის (სხვა ენებზე მოუბარი ხალხები მხედველობაში მიღებული არაა!). ეს ხელოვნური ენები დამხმარეა, ე. ი. ნავარაუდევია მათი შესწავლა მშობლიური ენის გვერდით — სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხთა ურთიერთობის გასაადვილებლად. თავის დროზე ასეთი ენა უპერსპექტივოდ მიაჩნდათ ენათმეცნიერებს: როგორც კი ხმარებაში გავა იგი, სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა სახეს მიიღებს,

დიალექტებად დაიშლებაო. ბოლო ხანებში ხელოვნურ საერთაშორისო დამხმარე ენას პრინციპში მხარს უჭერდნენ და უჭერენ ისეთი დიდი ენათმეცნიერები, როგორც არიან შუხართი, ტომსენი, მედე. აკად. ნ. მარი „ადამიანური მეტყველების ხელოვნურ სუროგატად“ თვლის ესპერანტოს, იდოს და მაგვარ ენებს. მაგრამ მომავალში „ერთიანი მსოფლიო“ — ენა მას მიაჩნია (და მიაჩნია სრულიად სამართლიანად) „უცილობელ პოსტულატად მომავალი უკლასო უეროვნო ერთიან საკაცობრიო საზოგადოებრიობისა“.

ენა იდეოლოგიური მონაცემია. ხელოვნური ენების საკითხი ერთხელ კიდევ აპყრობს ჩვენს ყურადღებას იმ ძირითად სოციალურ ფუნქციაზე, რომელიც ენის არსებას ქმნის. მაგრამ ენა არა მარტო სოციალური მოვლენაა, იგი იდეოლოგიურ მონაცემსაც წარმოადგენს. სოციალურობა არ უნდა ავრიოთ იდეოლოგიურობაში; სოციალური მოვლენა შეიძლება იყოს არა იდეოლოგიურიც. ყოველი იდეოლოგიური მოვლენა სოციალურია, მაგრამ ყოველი სოციალური არ არის იდეოლოგიური. მ ა ნ ქ ა ნ ა, რ ო გ ო რ ც ს ა წ ა რ მ ო ო ი ა რ ა დ ი, ს ო ც ი ა ლ უ რ ი მ ო ვ ლ ე ნ ა ა, მ ა გ რ ა მ ა რ ა ა ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი; მეტყველება სოციალურიც არის და იდეოლოგიურიც. მისი იდეოლოგიურობის საფუძველია ნ ი შ ნ ა დ ო ბ ა; ყოველი ენობრივი მონაცემი რაღაცის ნიშანია: სახლი, კარი, ქვა, კლდე, ჰაერი, მიწა, წყალი და მრავალზე უმრავლესი ამგვარი სიტყვა საგანზე მიგვითითებს, საგნის ნიშანია; ააშენა, დააქცია, მოკლა, შეიპყრო, დაწერა, წაიკითხა, მოხნა, დათესა და მაგვარები სხვადასხვაგვარ მოქმედებას აღნიშნავენ; „კი“, „დიახ“ — დასტურის ნიშანია; „არა“ — უარყოფის... „თუ“, „რომ“ — პირობის და სხვ. და სხვ.

არ არსებობს ერთ ენაში არც ერთი ენობრივი მონაცემი, რომელიც ან თავისთავად ან სხვებთან ერთად რასმე არ ნიშნავდეს. ნიშნად ყოფნა უცილობლად ახასიათებს ყოველივე ენობრივს ის, რისი ნიშანიც ენობრივი მონაცემია, წარმოადგენს ბაზისს (საფუძველს) ენისათვის: ნიშანთა სამყაროს ნივთთა (და სხვა ობიექტთა) სამყარო უდევს საფუძვლად. ნ ი შ ა ნ ი ი მ დ ე ნ ა დ ვ ე ა ნ ი შ ა ნ ი, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ი ს რ ა ღ ა ც ი ს ნ ი შ ა ნ ი ა, რ ა ღ ა ც ა ზ ე მ ი უ თ ი თ ე ბ ს, ა ღ ნ ი შ ა ნ ა ვ ს.

ეს აღნიშვნა, ობიექტზე მითითება, ობიექტური მომენტია ენობრივ მონაცემში; მაგრამ მას შეიძლება დაერთოს სუბიექტური მომენტიც. სუბიექტური მომენტი ის გრძნობითი, ემოციური იერია, რომელიც ამა თუ იმ სიტყვას თან ახლავს. რა წარმოშობს ამ გრძნობითს იერს? ე რ თ ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი მ ა ს ი წ ვ ე ვ ს თ ვ ი თ ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი ს ა გ ა ნ ი, მ ე ო რ ე შ ი კ ი — მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა გ ნ ი ს ა დ მ ი. სიტყვებს „მეცნიერი“, „მოღვაწე“ სხვა ემოციური იერი

გადაკრავს, ვინემ სიტყვებს „ჩარჩი“, „ბაცაცა“... ეს უკანასკნელები შეიძლება სალანძღავ სიტყვადაც გამოვიყენოთ; „მეცნიერი“, „მოღვაწე“ ასეთად შეუძლებელია იქნეს ხმარებული.

ორი ზემოხსენებული მომენტიდან მეორეს — მეტყველის დამოკიდებულებას საგნისადმი — აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დამოკიდებულება ერთი და იმავე სიტყვით აღნიშნული ობიექტები იყოს სულ სხვადასხვაგვარი, იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვს მეტყველის თვალსაზრისი. აქ მთელი სიგრძე-სიგანით იშლება მეტყველის კლასობრივი თვალსაზრისი; ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება სრულიად ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობით სამოსელში გაეხვიოს იმისდა მიხედვით, თუ რა კლასის თვალსაზრისზე დგას მეტყველი. სიტყვა „რევოლუციონერი“ საპატიო სახელია ყველა იმისთვის, ვისთვისაც ძვირფასია რევოლუცია და პირიქით ის სალანძღავ სიტყვას წარმოადგენს იმის პირში, ვინც რევოლუციას ებრძვის. სიტყვა „სოციალიზმი“ შეგნებული მუშისათვის სანუკვარი მომავლის სიმბოლოა, კაპიტალისტისათვის კი ეს არის ყოველივე უბედურების განხორციელება... ცნობილი მონარქისტი ვ. შულგინი თავის „Дни“-ში წლის შესახებ რომ ლაპარაკობს, ბრჭყალებში სვამს გამოთქმას „განმათავისუფლებელი მოძრაობა“; ეს ბრჭყალები წერილობითი სახით აღბეჭდავს რევოლუციის მტრის დამოკიდებულებას ამ მოძრაობისადმი, იმ ემოციურ იერს (ბოროტ ირონიას), რომელიც ამ გამოთქმას ახლავს ვ. შულგინის სიტყვახმარებაში, არა ნაკლებ დამახასიათებელია შემდეგი ფრაზა, იმავე წიგნიდან: „გაზეთ „კიევილიანის“ (შავრაზმული გაზეთი იყო, რომელსაც ვ. შულგინი ხელმძღვანელობდა!) დაუბრუნებელმა ბრძოლამ რევოლუციასთან მრავალკიეველ მოქალაქეს შეუნარჩუნა კონტრ-რევოლუციური განწყობილება“ (ხაზი ჩვენია გვ. 13) მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ვ. შულგინი გაზეთის მიღწევად თვლის კონტრ-რევოლუციური განწყობილების შენარჩუნებას, მისთვის ეს სასიქადულოა; სიტყვა „კონტრ-რევოლუციონერი“ მონარქისტის სიტყვახმარებაში სულ სხვა სოციალური აქცენტის მატარებელია, ვინემ რევოლუციონერის მეტყველებაში.

ამ გრძნობის იერში, რომელსაც ერთი და იგივე სიტყვა იღებს სხვადასხვა სოციალური დაჯგუფების, კერძოდ სხვადასხვა კლასის სიტყვახმარებაში, ამ სოციალურ აქცენტში უკუიფინება ის, რაც ყველაზე დამახასიათებელია ენის კლასობრიობისათვის.

არის მეორე საშუალება ამავე მოვლენის გამოსამყლავნებლად. ერთსა და იმავე საგანს, ობიექტურ მონაცემს შეიძლება რამოდენიმე სიტყვა აღნიშნავდეს სხვადასხვაგვარად. ერთი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელს შეუძლია ერთი იხმაროს, მეორეს — მეორე. აქ სხვადასხვა თვალსაზ-

რისი გამოსავალს პოულობს სხვადასხვა სიტყვის ხმარებაში ერთისა და იმავე მონაცემის აღსანიშნავად. რევოლუციური მოძრაობის მონაწილეს რევოლუციონერი ეწოდება რევოლუციონერთა წრეში, თვითმპყრობელობა ამისთვის კი ხმარობდა სპეციალურ ტერმინს „კრამოლნიკს“ (ვინც „კრამოლას“, არევ-დარევას თესავს). რევოლუციონური მოძრაობა იმავე თვალსაზრისით იყო „ბუნტი“ ისევე, როგორც მოსახლეების მეშინაური ნაწილი მას უძახოდა „არეულობას“... რევოლუციონერი — კრამოლნიკი, რევოლუცია — ბუნტი, არეულობა, აი ნიშნები ერთი და იმავე ობიექტური მონაცემის სხვადასხვაგვარი აღნიშვნისა სხვადასხვა სიტყვის შერჩევის საშუალებით. ეს ქმნის უწინარეს ყოვლისა იმას, რაც სტილის სახელწოდებით არის ცნობილი. ჩვენ აქ გვინტერესებს კლასობრიობა სტილის. თავისებური სტილი აქვს მეცნიერებას, პოლიტიკას, სხვადასხვა ადამიანსაც კი. ყველას კარგად მოეხსენება, როგორ თავისებურია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დიპლომატების ენა, რომელნიც ერთს ფიქრობენ, მეორეს ლაპარაკობენ, ხოლო მესამეს აკეთებენ... ვთქვათ რომელიმე იაპონია, აღმოსავლეთის ეს ონავარი, „მორცხვად“ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მას „მანჯურიის ინტერესები აქვს“; მართალ ენაზე გადათარგმნილი ეს ნიშნავს: — „მანჯურია ხელში უნდა ჩავიგდოო“...

ენა იდეოლოგიურ მონაცემს წარმოადგენს. კლასობრივია ყოველი იდეოლოგია; კლასობრივია ენაც, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთი სახეობა. ენობრივი მონაცემი იშვითად თუ არის მხოლოდ ობიექტური მონაცემი. მასთან ახლავს ემოციური იერი, რომელშიაც უკუფენას პოულობს სიტყვის სოციალური აქცენტები. იგივე ემოციური იერი თავისებურად წყვეტს ლექსიკის საკითხს და ქმნის სტილის თავისებურებას.

ამაში აისახება ყველაზე მკვეთრად სოციალურ და კერძოდ, კლასობრივ თვალსაზრისთა სხვადასხვაობა ენაში. სტილსა, რომლებიც სისტემა-ცნებით არის ნაგულისხმევი: სიმრავლე შემადგენელი ელემენტებისა, რომელნიც ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებაში იმყოფებიან, რის გამოც ეს სიმრავლე ორგანიზებულია და მრავალაღობა მთლიანობას ქმნის და არა ელემენტთა მექანიკურ გროვას. ყოველ ენას გაჩნია სულ დიდი რამოდენიმე ასეული ძირი და რამოდენიმე ასეული ყალიბი, ფორმულა; და ამ ორი მონაცემის სხვადასხვაგვარი ვარიაცია ქმნის უამრავ ახალ სიტყვას მისი ყოველნაირი ნაირსახეობით.

მიემართოთ უბრალო ილუსტრაციას. ქართულში სიმრავლის აღსანიშნავად გამოყენებულია **-ებ**: კაცი (ერთი) — კაც**-ებ**-ი (ერთზე მეტი).

მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა „საგანს აღნიშნავს“, იბრუნვის, ერთი სიტყვით, თუ იგი სახელია. ზმნაში კი **-ებ-** მრავლობითობის აღსანიშნავად არ გამოდგება: ის წერს — ისინი წერენ (და არა წერ-ებ!). **ებ-**ის ადგილი **ენ-**მა დაიჭირა. ახლა ვიკითხოთ: ზმნაში მრავლობითობა ყოველთვის **-ენ-**ით გადმოიცემა? რა თქმა უნდა, არა: მან დაწერა — მათ დაწერ-ებს: **-ენ** აწმყოში გამოდგა, მაგრამ ნამყო ძირითადისთვის შეუფერებელი აღმოჩნდა: აქ მის ადგილას **-ეს** მოგვევლინა.

მაგრამ ამ დროშიაც არ გამოგვადგება **-ეს** ყოველთვის: ე. წ. გარდაუვალ ზმნებთან **-ენ** უნდა ვიხმაროთ და არა **-ეს**; მათ დაწერეს, გააკეთეს, ააშენეს, ... მაგრამ: ისინი მოვიდნენ, დასხდნენ, გაკეთდნენ, აშენდნენ და სხვ. რაც ამ ნამყოს შესახებ ითქვა, იგივე უნდა ითქვას აწმყო დროის შესახებაც: იქაც ყოველთვის არა გვაქვს **-ენ**, არამედ ზოგიერთი (**-ი** ფუძიანი) გარდამავალი და ყველა გარდაუვალი ზმნა საჭიროებს **-ან** დაბოლოებას: ისინი წერენ, აშენებენ, აკეთებენ..., მაგრამ: ისინი გზავნიან, წვრთნიან, დევნიან, ხსნიან... დგებიან, სხდებიან, შენდებიან, კეთდებიან და სხვ...

რა გამოდის? სიმრავლის კატეგორიის გრამატიკულად აღნიშვნისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართული იყენებს სხვადასხვა ნაწილაკებს (-ებ, -ენ, -ეს, -ან...) იმისდა მიხედვით, სახელის მრავლობითობაა აღსანიშნავი თუ ზმნის, ზმნაში აწმყო დროა თუ ნამყო ძირითადი, გარდამავალი ზმნაა თუ გარდაუვალი... ყველა ეს ნაწილაკები სიმრავლეს აღნიშნავს, მაგრამ ყოველი მათგანი თავისებურს, ამიტომაც ისინი განურჩევლად როდი იხმარებიან; ყოველ მათგანს ზედმიწევნით გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი, ყოველი მათგანი ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში გარკვეულ როლს ასრულებს.

მსგავსსავე მდგომარეობას ვხედავთ სახელთა სინამდვილეში. ქართულში რამდენიმე ათასი სახელი გვაქვს;¹ საგანთა სხვადასხვა ურთიერთობის აღსანიშნავად თითოეული მათგანი იცვლის ბრუნვას, მაგრამ ამის გამო კი არ ვიღებთ ათეულ ათას ნაირსახეობას. არა, სულ რაღაც 12 ყალიბი გაგვაჩნია და თუ ვიცით, ვიცით ყოველი შესაძლო სახე, რომლითაც ეს სახელები მოგვევლინება ქართულს მეტყველებაში.

ამავე მიზეზის გამო თვით ურთულესი ქართული ზმნა რამდენიმე ასეულ ყალიბით ამოწურავს მთელს თავის მრავალფეროვნებას. ყველა ეს ყალიბები — სახელისა თუ ზმნის, სიტყვაწარმოებისა თუ სიტყვათა შეუღვლების — წარმოადგენენ ფორმულებს, რომელნიც ენობრივი სინამდვილის მრავალფეროვნების დაძლევის საშუალებას იძლევიან. როცა ენას ვსწავლობთ, ჩვენ ვსწავლობთ ძირითად მასალას

¹ სახელი და არა ძირი: ძირთა რაოდენობა შეუდარებელივ მცირეა.

(სიტყვებს) და იმ ყალიბებს (ფორმულებს), რომელთა შემწეობით ამათუიენაში ეს ძირითადი მასალა ათასგვარ ვარიაციაში წარმოგვიდგება, რომელთა საშუალებით ენის სისტემა აიგება.

ყოველი ენა სისტემას წარმოადგენს: სისტემას ბგერათა, სისტემას ფორმათა, სისტემას სიტყვაწარმოებათა... და როცა შეისწავლება ცალკე მეტყველებითი ფაქტი, იგი შეისწავლება, როგორც მონაწილე ამ სისტემისა.

ენა ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ენა, როგორც გაგებინების საშუალება საწარმოო ურთიერთობაში მყოფ ადამიანთა, უაღრესად სოციალური მოვლენაა; რომ იგი, როგორც ნიშანთა სამყარო, იდეოლოგიურ მონაცემს წარმოადგენს და ზედნაშენური ბუნებისაა; ვიცით ისიც, რომ ეს ნიშანთა სამყარო ცალკეულ მოვლენათა გროვა კი არ არის, არამედ ჩამოყალიბებული მთლიანობის სახით გაშლილი სისტემაა.

სხვადასხვა ენის სისტემა ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც იმ მასალის მიხედვით, რომლისაგანაც იგი აგებულია, ისე თვით აგებულების მიხედვითაც; ერთი ენის აგებულება ჩვეულებრივ თვალსაჩინოდ განსხვავდება მეორისაგან, ზოგჯერ კი ძირითადადაც. ამიტომ ხდება ის, რომ ერთი ენის გრამატიკა (აგებულების შესახებ მოძღვრება) ისევე გამოუსადეგარია მეორე ენის აგებულების გასათვალისწინებლად, როგორც „ერთი ქალაქის გეგმა შეუძლებელია მეორე ქალაქის დასათვალისწინებლად იქნეს გამოყენებული“.

ენათა სისტემების განსხვავებულობის შესახებ ჩვენ სპეციალურად გვექნება თავის დროზე საუბარი, აქ კი ჩვენი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ერთი თვისება, რომელიც ყოველგვარი აგებულების ენას ახასიათებს, ყველა ენის სისტემისათვის არსებითია და, მაშასადამე, საერთოდ ენა-ცნების არსებით ნიშნად უნდა იქნეს მიჩნეული: მხედველობაში გვაქვს ენის განვითარება.

ენობრივი სისტემა დროთა ვითარებაში იცვლება; იცვლება სისტემის ყოველი რგოლი, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, ზოგჯერ ნელა, ევოლუციურად ზოგჯერ სწრაფად, რევოლუციონურ ნახტომების სახით.

საკმარისია, ავიღოთ რომელიმე ენის განვითარების ორი მომენტი, რომელიც დაშორებულია ერთმანეთს რამდენიმე საუკუნის მანძილით, რომ ერთბაშად თვალში გვეცეს ის ცვლილება, რომელიც დროის მცირე მანძილზე ისე შესამჩნევი არ არის: ცვლილება ეხება ბგერებს, სიტყვათა ფორმებს, სიტყვათა მნიშვნელობას და კიდევ უფრო სიტყვათა შემადგენლობას, — იკარგება მრავალი სიტყვა, ჩნდება კიდევ უფრო მეტი...

შორს რომ არ წავიდეთ, ორიოდ მაგალითი ისევ ქართული სამწერ-

ლო ენის ისტორიიდან შეიძლება მოვიყვანოთ. ჩვენ ახლა ვამბობთ და ვწერთ: მუხლი, ხელი, ფეხი, ხარი, ხმა... ძველ ქართულში იწერებოდა: მუჴლი, ჴელი ფეჴი, ჴარი, ჴმა... აწინდელ **ხ**-ს ადგილას იქ სხვა ბგერა ისმოდა („უფრო მაგარი“ **ხ**); რას წარმოადგენდა ეს ბგერა, ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ზოგ თანამედროვე ქართულ კილოთა მიხედვით, სადაც ამავე სიტყვაში დღემდე დაცულია ის „სხვაგვარი ხ“ (ჴ)... მთის კილოებში (თუშურმა, ფშაურმა, ხევსურულმა, მთიულურმა, მოხეურმა) და ბარის ზოგმა კილომაც (ქიზიყურმა, ინგილოურმა) შემოინახა ეს ბგერა, სხვა კილოებმა (ქართლურმა, კახურმა, იმერულმა, გურულმა) დაკარგეს იგი; სალიტერატურო ქართულსაც სამუდამოდ გამოესალმა ეს ბგერა და მის ნაცვლად ჩვენ ყველგან **ხ**-ს ვხმარობთ; ვხმარობთ ისეთს შემთხვევაშიაც, სადაც **ხ**-ს ხმარების გამო ორი, ძველად განსხვავებული გარეგნობისა და მნიშვნელობის სიტყვა ერთმანეთს ემსგავსება, ერთმანეთში ვეღარ გაირჩევა: წინეთ იყო ჴერჴი („ჴერჴი სჯობია ღონესა“) და ხერხი („ეს ხერხი კარგად ხერხავს“); **გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ი ყ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ბ ა , გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ი ყ ო გ ა მ ო თ ქ მ ა ც .** ამჟამად, ორსავე შემთხვევაში „ხერხი“ გვაქვს. ამ სიტყვების გარჩევის საჭიროებას უნდა შეეშალა ხელი ჴ-ს დაკარგვისათვის. მაგრამ ისტორია არც ასეთ შემთხვევებს დაერიდა და გადაშენებას ჴ ასეთმა შემთხვევებმაც ვერ გადაარჩინა.

ძველად ქართულში ჩვეულებრივი იყო ფორმები, როგორიცაა გააკეთის, დაწერის... დგების, წვების ჴდების... აი თუნდაც ისეთი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ტაეპში რომ გვხვდება:

„საწოლს დაწუა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეწოცების

ვითა ვერხუი ქარისაგან ირხევის და იკეცების

რა მილულდის, სიახლოვე საყუარლისა ეოცების

შეკრთის, დიდი დაიზახის, მით პატიჟთა ეოცების“... ამჟამად არც ერთს ამ შემთხვევაში ქართული **-ის** დაბოლოებას არ იხმარს: ზოგან **-ა** მოვა ბოლოს (ეწოცება, ირხევა, იკეცება, ეოცება), ზოგან დაბოლოების ცვლილების გარდა ჴმნის დროც შეიცვლება (დაიძახებდა ხოლმე...).

არც ფრაზაში სიტყვათა ურთიერთობაა ამჟამად წინანდებური: „ვეფხისტყაოსანში“ კვითხულობთ:

„ყმა მტირალი შეებრალა, ამაღ ცხელნი ცრემლნი ღუარნა

მაგრამ უჴდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა.

ყმამან თჴუა თუ გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა

ცრემლ დენილი შეეხუეწა, ადგა, მუჴლნი მიუყარნა...“

ძველებურია „ცრემლნი ღუარნა“, „ბაგენი აუბარნა“, „გონებანი დააწყნარნა“, „მუჴლნი მიუყარნა“... თანამედროვე ქართული არც ერთ ამ ჴმნაში „ნ“-ს არ იხმარს... სხვა მაგალითებს არ გამოვეკიდებით და აქ სიტყვათა

მნიშვნელობის ცვლის ორიოდ შემთხვევას მოვიყვანთ.

ყველამ კარგად ვიცით, რასაც აღნიშნავს ამჟამად სიტყვა „მეცნიერი“; ძველ ქართულში ამ სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: იგი აღნიშნავდა „მცოდნეს“ და „ნაცნობს“: „შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისა მღვდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ჳევთა ჳემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ —ო, მოგვიხსრობს მე-XI საუკუნის ცნობილი იურიდიული აქტი; აქ გამოთქმა: „შევკრიბენ... აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ — ნიშნავს: შევკრიბე ბჭობის საქმის მცოდნე აზნაურებიო : მეცნიერი — მცოდნე.

ფრაზაში კი: „წუთ-წუთ მოვიდიან მისა მეცნიერნი მისნი და ჰგონებდ ვითარმედ პოონ იგი მკუდარი“, „მეცნიერი“ ნიშნავს „ნაცნობს“: „მალ-მალე მოდიოდენ მასთან მისი ნაცნობები და ფიქრობდენ, რომ იპოვიდენ მას მკვდარს“...

ცნობილი თქმა: „თუ კაცი ჭირსა არ დათმობს, ლხინი რა დასათმობია“ შეუსაბამობას შეიცავს: თუ „დათმობა“ აწინდელი მნიშვნელობით გავიგეთ, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილას იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ ძველს ქართულში „დათმობა“ „მოთმენას“, „გაძლებას“ ნიშნავდა: „თუ კაცი ჭირს არ დათმობს, ლხინი რა დასათმობია“ — ე. ი. „თუ კაცი გაჭირვებას არ გაუძლებს, ლხინს რაღა გაძლება უნდაო“...

არას ვიტყვით იმაზე, რამდენი ძველი სიტყვა სრულიად გამოვიდა ხმარებიდან, მოკვდა, და რამდენი ახალი სიტყვა შეეძინა ქართულს.

რა იწვევს ენის ცვლას? რა წარმართავს მის განვითარებას? ამაზე პასუხი მარტივად გაცივმა, თუ ჩვენ მოვიგონებთ რაშიც მდგომარეობს ენის სოციალური ფუნქცია: ენა საწარმოო ურთიერთობაში მყოფ ადამიანთა ურთიერთობის იარაღია, გაგებინების საშუალებაა; ენა ცოცხლობს იმდენად, რამდენადაც ის ამ სოციალურს ფუნქციას ასრულებს. საწარმოო ძალთა განვითარება იწვევს საწარმოო ურთიერთობის ცვლას; ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციის ადგილს იჭერს მეორე, და განაწარმოსადგენია ეს არ დაეტყოს ენას, რომლის არსებაც ამ საწარმოო ურთიერთობასთან არის დაკავშირებული?!

საწარმოო ურთიერთობათა განვითარების დიალექტიკა საფუძველია ენის განვითარების დიალექტიკისა. ახალი სოციალ-ეკონომიური ფორმაცია ახალ ეტაპს მოასწავებს ენის განვითარებაში. აკად. ნ. მარის უდიდეს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ცდა სოციალ-ეკონომიურ ფორმაციებზე დაყრდნობით ენის განვითარების ეტაპების დადგენისა.

როცა ენის განვითარებაზე ვლაპარაკობთ საწარმოო ურთიერთობათა

განვითარებასთან დაკავშირებით, ერთი წუთითაც არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ყოველ ენობრივ მონაცემში თანაბრად როდი აღიბეჭდება საწარმოო ურთიერთობათა ცვლა: ყველაზე მკვეთრად მას ასახავს ლექსიკა (სიტყვათა მარაგი), და ეს სრულიად ბუნებრივია, იმიტომ რომ მანძილი ბ ა ზ ი ს ს ა და ზ ე დ ნ ა შ ე ნ ს შ ო რ ი ს — ა ქ ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ც ი რ ე ა , კ ა ვ - შ ი რ ი ს ა გ ა ნ ს ა და მ ი ს ს ა ხ ე ლ ს შ ო რ ი ს ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ჭ ი დ რ ო ა .

ენის ფორმები, აგებულება მეტს კონსერვატიულობას იცავს; წინა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები აქ დიდს გამძლეობას იჩენენ და ამის გამო ხდება ის, რომ ენის აგებულების (მორფოლოგიის) ახსნა სათანადო ეკონომიურ ბაზისამდე დაყვანით უხეშ მექანიკურ შეცდომებს იძლევა.

ენა ვითარდება; ენის სისტემა ღრთა ვითარებაში იცვლება; ენა ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა. ამიტომ არც ერთი ენობრივი მოვლენის მეცნიერული შესწავლა არ შეიძლება მის ისტორიულს ასპექტში შესწავლის გარეშე. მო ვ ლ ე ნ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა ის ტ ო რ ი უ ლ ს ა ს - პ ე ქ ტ შ ი ნ ი შ ნ ა ვ ს მ ო ვ ლ ე ნ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა ს მ ი ს გ ა ნ - ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი ; ე ს კ ი უ ც ი ლ ო ბ ე ლ ი პ ი რ ო ბ ა ა მ ო ვ ლ ე - ნ ი ს მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი შ ე ს წ ა ვ ლ ი ს . განვითარების თვალსაზრისით დედამიწის შესწავლამ შექმნა გეოლოგია, ცხოველთა სამყაროს მიმართ იმავე თვალსაზრისის გამოყენებამ წარმოშვა ბიოლოგია და ენათმეცნიერებაც მეცნიერებად იქცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ენობრივი მოვლენა ისტორიულს ასპექტში იქნა წარმოდგენილი.

ყოველი არაისტორიული თვალსაზრისი ენის შესწავლისას მხოლოდ იმდენად არის გამართლებული, რამდენადაც ეს საჭიროა შემდგომში ისტორიული თვალსაზრისის მომარჯვებისათვის. რომელიმე ენის შესწავლისას ჩვენ შეიძლება ავიღოთ ამოსავლად ან აწინდელი მდგომარეობა და აქედან გავემართოთ წარსულისაკენ ანდა პირუკუ — წარსულის რომელიმე მომენტს დავემყაროთ და განვითარების შემდგომი ეტაპები გავითვალისწინოთ. ო რ ს ა ვ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ჩ ვ ე ნ გ ვ ჭ ი რ დ ე ბ ა ე ნ ო ბ რ ი ვ ი ს ი ს ტ ე მ ი ს გ ა ნ ა კ ვ ე თ ი — ს ქ ე მ ა , ე ნ ი ს ა რ - ს ე ბ ო ბ ი ს გ ა რ კ ვ ე უ ლ მ ო მ ე ნ ტ შ ი ; ა მ ი ტ ო მ ა ც ი ს ტ ო - რ ი უ ლ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი ს რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა უ თ უ ო დ ს ა - ჭ ი რ ო ე ბ ს ა რ ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ დ ა მ უ - შ ა ვ ე ბ უ ლ ს ტ ა ტ ი კ უ რ შ ე ს წ ა ვ ლ ა ს , რომელიც, ვიმეორებთ, ისტორიულ თვალსაზრისის გამოუყენებლად უძლურია მართებულად გაა-შუქოს ენობრივი მოვლენა და ამდენადვე თავისთავადს ღირებულებას მოკლებულად უნდა ჩაითვალოს.

ვითარდება ცოცხალი კუთხური მეტყველება, ვითარდება სამწერლო

ენაც. უკანასკნელს მიმართავენ ხოლმე, როცა ენის განვითარების წინა საფეხურები სურთ გაარკვიონ. ეს აუცილებლობის საქმეა და არა სასურველობის: სამწერლო ენის განვითარება არ იძლევა სწორ სურათს ენის განვითარებისას: სამწერლო ენა ფასეული კულტურული პროდუქტია, მაგრამ მაინც კულტურული პროდუქტი; მეტყველების ბუნებრივი სახე ცოცხალ მეტყველებაშია მოცემული; ცოცხალი მეტყველების განვითარებაშია წარმოდგენილი ენის ბუნებრივი განვითარება; ამიტომაც: ენათმეცნიერულის თვალსაზრისით, ცოცხალი მეტყველება შეუდარებელი უფრო ფასეულია, ვინემ სამწერლო ენა. მხოლოდ მისი შესწავლა იძლევა სწორ წარმოდგენას ენის ბუნების რაობისა და ენის განვითარების საფუძველზე.

ენის ისტორიაზე, ენის განვითარებაზე როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ მომენტს, რომელიც ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ენის შემდგომი განვითარებისათვის. მხედველობაში გვჭვს ენის წარმოშობის საკითხი. უცნაური იყო ამ საკითხის ბედი ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში; იყო დრო, როცა ის ითვლებოდა ყველაზე საინტერესო საკითხად, როცა ენის შესახებ მსჯელობა, უწინარეს ყოვლისა, ამ საკითხის შესახებ მსჯელობას მოასწავებდა. ეს იყო ძველად, ქრისტიანულ ერის დაწყებამდე რამოდენიმე საუკუნის წინ, სოკრატესა, პლატონისა და არისტოტელეს დროს, მაშინ, როდესაც ენათმეცნიერების ჩანასახი კი არ მოიპოვებოდა. საუკუნეთა განმავლობაში ამ საკითხმა შეინარჩუნა მიმზიდველობა და მხოლოდ მე-XIX საუკუნეში, როცა ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება საკუთარ ფეხზე მკვიდრად დადგა, ეს საკითხი უკანონო საკითხად იქნა გამოცხადებული. და შემთხვევითი არ არის, რომ პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების წესდება პირდაპირ კრძალავდა ამ საკითხის შესახებ მოხსენების წაკითხვას საზოგადოების სხდომებზე. ეს არის დამახასიათებელი ინდოევროპეისტიკისათვის. სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგას აკად ნ. მარი: ენის წარმოშობის საკითხი მას ენათმეცნიერების ძირითად საკითხად მიაჩნია.

აკად. ნ. მარის დამსახურება ამ შემთხვევაშიც ეჭვს გარეშეა: ენის წარმოშობის საკითხს ენათმეცნიერება გვერდს ვერ აუვლის; ეს საკითხი ერთ-ერთი ძირითადი საკითხთაგანია: ენათმეცნიერებისათვის იგი იმდენადვე არის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, რამდენადაც მნიშვნელოვანია და აქტუალური ბიოლოგიისათვის სიცოცხლის წარმოშობის საკითხი, საზოგადოებათმეცნიერებისათვის საზოგადოების წარმოშობის საკითხი. ამ საკითხით დაწყება არ შეიძლება, ამ საკითხით გათავება კი აუცილებელია.

კითხვები:

1. არის თუ არა მეტყველება ყველაზე ნიშანდობლივი თვისება ადამიანის და როგორ ახასიათებს მატერიალისტური დიალექტიკა ადამიანს?
2. რაში მდგომარეობს ენის სოციალურობა?
3. რატომ არის ენა იდეოლოგიური მონაცემი?
4. რაში პოულობს მკაფიო გამოსახულებას ენაში კლასობრივი თვალსაზრისი?
5. რას წარმოადგენს ენა, როგორც სისტემა?
6. რატომ არის ენობრივი სინამდვილის განხილვა მის განვითარებაში ძირითადი პირობა ენის მეცნიერული შესწავლისა?
7. რა უდევს საფუძვლად ენის განვითარების დიალექტიკას?

ბანაკვეთი II

მეცნიერული გრამატიკის (ენათმეცნიერების) დარგები. მეცნიერული და სასკოლო პრაქტიკული გრამატიკა

„კვლევა-ძიება უნდა ჩაწვდეს მასალას დეტალურად, გააანალიზოს მისი განვითარების სხვადასხვა ფორმები და აღმოაჩინოს მათი (ფორმების) შინაგანი კავშირი. მხოლოდ ამ მუშაობის ჩატარების შემდეგ შეიძლება სათანადოდ იქნეს გადმოცემული ნამდვილი მოძრაობა“, — ამბობს კ. მარქსი „კაპიტალის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, როცა ის განმარტავს, რით განსხვავდება გადმოცემა-დალაგების წესი კვლევა-ძიების წესისაგან და როცა ის არკვევს საკითხს, რაში მდგომარეობს მისი, დიალექტიკური მეთოდი.

ეს სიტყვები მთელი პროგრამაა მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდოლოგიისა მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვსურს გავამახვილოთ ყურადღება დებულების იმ ნაწილზე, რომელიც ამბობს — „კვლევა-ძიება უნდა ჩაწვდეს მასალას დეტალურად, გააანალიზოს მისი განვითარების სხვადასხვა ფორმები და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი“-ო... ეს პირველი და მიუცილებელი პირობაა მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისის გამოყენებისა სპეციალურს სამეცნიერო დისციპლინაში... მხოლოდ მაშინ, თუ იქნება დაცული ეს პირობა, არის შესაძლებელი, ფრ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიალექტიკის კანონები დაგვიჩვენებენ ბუნებაში, გამოვიყვანოთ მისგან და არა თვითნებურად ჩავჩაროთ მასში“ (ანტი დიუბინგი, 3 რუს. გამოცემა, გვ. 21).

მაშასადამე, არაფერია ისე შემცთარი, როგორც შეხედულება, თითქოს მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენება უ მ ი მ ა ს ა ლ ი ს ც ა ლ - კ ე უ ლ ე რ თ ე უ ლ ე ბ შ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს ძ ი ე ბ ა ს მ ო ი თ ხ ო ვ დ ე ს . თ ი თ ქ ო ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი მ ო ხ მ ა რ ე ბ ა - გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა (რ ა ს ა ც ფ რ . ე ნ გ ე ლ ს ი ს ა ზ ო რ ო დ თ ვ ლ ი დ ა კ ე რ ო დ ბ უ ნ ე ბ ი ს - მ ე ტ ყ ვ ე ლ თ ა თ ვ ი ს) დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ო ბ ა შ ი ვ ა რ ჯ ი შ ო ბ ა ს მ ო ა ს წ ა ვ ე ბ დ ე ს . „ კ ა პ ი ტ ა ლ ი “ კ ლ ა ს ი კ უ რ ი ნ ი მ უ შ ი ა ის ე თ ი გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ი ს ა , ს ა დ ა ც ა თ ე უ ლ ი წ ლ ე ბ ი ს მ უ შ ო ბ ა (მ ა ს ა ლ ა შ ი ჩ ა წ ვ დ ო - მ ი ს ა დ ა გ ა ა ნ ა ლ ი ზ ი რ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ) წ ი ნ უ ძ ლ ო დ ა გ ე ნ ი ა ლ უ რ ი ფ ო რ მ უ ლ ე ბ ი ს

გამოყვანას სათანადო სინამდვილის განვითარების კანონების სახით.

ამიტომ შემთხვევითი როდია, როცა კ. მარქსი ლაპარაკობს: „ანალიზის მეთოდი, რომელსაც მე ვხმარობ და რომელიც დღემდე არ ყოფილა გამოყენებული ეკონომიური საკითხებისათვის, საკმაოდ ძნელ საკითხავად ხდის [„კაპიტალის“] პირველ თავებს“... მაგრამ „მე სხვა არაფერი შემოიძლია გარდა იმისა, რომ წინასწარ გავაფრთხილო ჭეშმარიტებას მოწყურებული მკითხველი და მოვამზადო იგი ამისათვის. მეცნიერებასთან მისასვლელად არ არსებობს ფართო შარაგზა და მხოლოდ იმას აქვს შანსი მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა, რომელსაც მოითხოვს მის კლდოვან ბილიკზე ასვლა“-ო (იხ. „კაპიტალის“ ფრანგ. გამოცემის წინასიტყვაობა — ქართ. გამოც. გვ. XXXIII).

ენათმეცნიერული ცნებების მართებული დახასიათება მოითხოვს დეტალურად ჩავწვდეთ სათანადო ფაქტებს და ყოველმხრივ განვიხილოთ ისინი; მხოლოდ ასეთს შემთხვევაში შეგვეძლება მოვლენის არსი ცხადი და ხელშესახები გავხადოთ.

მეცნიერული გრამატიკის ობიექტი. ცალკეული ენის შესწავლა იძლევა ამ ენის მეცნიერულ გრამატიკას. მეცნიერული გრამატიკის საგანია ცალკე სიტყვა (სახლი, კაცი, აშენებს... დედამიწა, სახლ-კარი, გზა-კვალი) და შესიტყვება (ბუნების დაილექტიკა... რევოლუციონური მოძრაობა... მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე... ნიუტონმა აღმოაჩინა სამყაროს მიმზიდველობის კანონი... დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს... ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციამ ცეცხლში დაწვა, როგორც ერეტიკოსი... „მხოლოდ დიფერენციალური აღრიცხვა აძლევს ბუნებისმეტყველებას შესაძლებლობას მათემატიკურად გამოსახოს პროცესები და არა მხოლოდ მდგომარეობანი“...).

საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი სიტყვაში. რა არის სიტყვა? ესაა პირველი კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემა ზოგადად მაინც აუცილებელია ამ თავითვე. „სიტყვა არის ბგერები პლუს გარკვეული მნიშვნელობა“. „კაცი“ სიტყვაა, მასში ოთხი ბგერაა (კ-ა-ც-ი); მას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რომელიც გასაგებია ყველასთვის, ვინც ქართული იცის. ასე რომ სიტყვის შემოხსენებული განსაზღვრება სწორია, სწორია¹ იმდენადვე, რამდენადაც სწორია, როცა ვამბობთ: „ცარცი არის თეთრი ნივთიერება, რომლითაც დაფაზე წერა შეიძლება“. ყველას მოეხსენება, რომ ცარცის ასეთი დახასიათება სინამდვილეს არ ღალატობს, მაგ-

¹ სწორი ყოველდღიური გაგებით კიდევ არ ნიშნავს მეცნიერულად მართებულს. სიტყვის სწორი ენათმეცნიერული განსაზღვრება მოცემული იქნება მესამე განაკვეთში.

რამ ისიც უდაოა, რომ იგი ოდნავადაც არ არკვევს ცარცის, როგორც მინერალის ბუნებას, იმას, რომ ცარცი შემდგარია ურიცხვ ნივთიერებისაგან...

ასევე სწორია თქმა: „სიტყვა შედგება ბგერებისაგან, სიტყვას აქვს მნიშვნელობა“, მაგრამ სიტყვის ასეთ განმარტებას ენათმეცნიერება ვერ დასჯერდება. სიტყვა გაცილებით უფრო რთული მონაცემია, ვინემ ეს ჩანს ასეთი განმარტებისაგან. ამ სირთულის გამომჟღავნება ჩვენი პირველი ამოცანაა.

ავილოთ სიტყვა „კაცი“. მას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, ე. ი. ის მიუთითებს გარკვეულს ობიექტურს მონაცემზე, რომელიც არავის აერევა იმაში, რასაც აღნიშნავენ, მაგალითად, სიტყვებში: „მხეცი“, „პირუტყვი“, „ხე“, „ქვა“...

მოვაცილოთ მას თავიკიდური „კ“, დაგვრჩება „აცი“ სრულბით არ ნიშნავს იმას, რასაც „კაცი“ გულისხმობდა.

აღნიშნავს თუ არა ეს „აცი“ რასმე? საგანს არავითარს (ვგულისხმობ ქართულს მეტყველებას). ერთად ერთი, რაც შეიძლება აქ მოგვაგონდეს, ესაა მიმართვა ცნობილი შინაური ოთხფეხისადმი.

დასკვნა: თუ სიტყვას „კაცი“ მოვაცილებთ „კ“ ბგერას, მას ეკარგება ის მნიშვნელობა, რომელიც მანამდე ქონდა, ის აღარ აღნიშნავს იმას რასაც მანამდე აღნიშნავდა.

გამოვაკლოთ იმავე სიტყვას ა: „კაცი“ — გვექნება: „კცი“. აქვს თუ არა ამ უკანასკნელს ის მნიშვნელობა, რაც „კაცი“-ს ქონდა? პასუხი უარყოფითი იქნება. ქარაგმებით ნაწერის კითხვას მიჩვეული ქართველი, ალბათ, მიხვდება, თუ დაწერილი „კცი“ ნახა, მაგრამ „კცი“-ს გაგონებაზე ვერავინ იტყვის, აქ ა გვაკლია, თორემ „კაცი“ — სიტყვასთანა გვაქვს საქმეო; ვერ იტყვის იმიტომ, რომ კ-სა და ც-ს შორის შეიძლებოდა ე (კეცი), ანდა ვი (კვიცი) და როგორც ვხედავთ, სულ სხვა სიტყვებს მივიღებდით.

მაშასადამე: ა-ს გამოკლების შემდეგაც „კაცი“ სიტყვა ვერ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ასეთსავე შედეგს მივიღებთ, თუ იმავე სიტყვას ც-ს გამოვაკლებთ: კაცი — კაი; „კაი“ სულ სხვა სიტყვაა; იგი არალიტერატურული, მაგრამ ცოცხალს მეტყველებაში ხშირად ხმარებული სიტყვაა: კაი = კარგი; ც-ს გამოკლებამ სულ სხვა მნიშვნელობა მოგვცა, კაცი-ს მნიშვნელობა დაირღვა...

გავაკეთოთ ასეთივე ცდა ი-ზე; მოვაცილოთ ი-ს, დაგვრჩება კაც: კაცი — კაც. აქ არსებითად სხვა მდგომარეობაა: ამ სამ ბგერას შერჩა უნარი მიუთითოს იმავე ობიექტურ მონაცემზე, რასაც „კაცი“ აღნიშნავდა. მართალია, ჩვენ ვგრძნობთ, რომ რაღაც გვაკლია, რომ სიტყვა

სრული არ არის, მაგრამ ამისდა მიუხედავად „კ ა ც“ მაინც მიუთითებს იმავე საგანზე, რაზედაც „კ ა ც ი“ მიუთითებდა: კაც — კეც — კვიც — მხეც... არავის აერევა ერთმანეთში ყველა მიხედება, რაზე მიუთითებს თითოეული მათგანი.

რა გამოვიდა? „კ ა ც ი“ შედგება ოთხი ბგერისაგან, აქვს გარკვეული მნიშვნელობა. საკმარისია პირველი სამი ბგერიდან ერთ-ერთი — სულ ერთია, რომელი (ან **კ** ან **ა** ანდა **ც**) — გამოვაკლოთ, და დაიკარგება ის მნიშვნელობა, რომელიც სიტყვას ქონდა, — შეიძლება სულ უაზრო ბგერათა კომპლექსიც მივიღოთ. მაგრამ თუ **ი**-ს მოვაკლებთ, ეს არ მოშლის სიტყვის წინანდელ მნიშვნელობას? უ-ი-ნოდაც შეუძლია „კ ა ც“ -ბგერათა კომპლექსს მიუთითოს იმავე ობიექტურ მონაცემებზე.

ეგვე ითქმის **ს** (კაც-ს), **-მა** (კაც-მა), **-ის** (კაც-ის), **-ით** (კაც-ით), **-ად** (კაც-ად)... ბგერების შესახებ: მათი გამოკლების შემდეგაც დარჩენილი ნაწილი მაინც ატარებს წინანდელს მნიშვნელობას.

შეიძლება ეს შემთხვევითი მოვლენაა და მხოლოდ „კ ა ც ი“ — სიტყვას ახასიათებს. მივმართოთ სხვა სიტყვებს. ავიღოთ სიტყვა „კვალი“, — ფეხის დანადგამი, სახნისის მიერ გაღარული ადგილი (ორნატი)...

„ვალი“- (უ-კ-ანოდ) — ქართული სიტყვაა, ოღონდ სულ სხვა მნიშვნელობის მქონე.

„კვლი“- (უ-ა-ნოდ) — გაუგებარი ბგერათა კომპლექსია: მნიშვნელობა დაიკარგა.

„კვაი“- (უ-ლ-ასოდ) — აგრეთვე გაუგებარია: მნიშვნელობა დაიკარგა.

„კვალ“- (უ-ი-ნოდ) — აგრეთვე გაუგებარია: მნიშვნელობა დაიკარგა.

„კვალ“- (უ-ი-ნოდ) — იმასვე აღნიშნავს, რასაც „კ ვ ა ლ ი“ აღნიშნავდა: უ-ი-ნოდ სიტყვის მნიშვნელობა არ დაშავდა, სხვა ყოველი ბგერის მოკლება კი კატასტროფულ შედეგს იძლეოდა: ან სულ სხვა მნიშვნელობას ვღებულობდით, ანდა სიტყვას სრულებით ეკარგებოდა მნიშვნელობა.

მსგავს შედეგებს მოგვცემს, თუ ასეთ ექსპერიმენტებს მოვახდენთ სხვა სიტყვებზედაც. ზოგადი დასკვნა, რომელიც აქედან გამომდინარეობს, შემდეგი სახისაა: სიტყვა მიუთითებს რალაცაზე — სიტყვას აქვს მნიშვნელობა; სიტყვა ბგერებისაგან შედგება, მაგრამ სიტყვის ბგერათანაბრად საჭირო არ არის იმისათვის, რომ სიტყვამ მიუთითოს განსაზღვრულ ობიექტურ მონაცემზე, რომ მან შეინარჩუნოს თავისი მნიშვნელობა: მოაკლებთ ზოგიერთ ბგერას და სიტყვას მნიშვნელობა ეცვლება ანდა სულ დაეკარგება იგი: მოაკლებთ ზოგიერთ ბგერას და სიტყვის მნიშვნელობა არავითარ კატასტროფას არ განიცდის,

იგი ისევ იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებს.

თავის თავად იბადება კითხვა: რა სიჭიროა სიტყვაში ასეთი ბგერა, თუ კი სიტყვას უმისოდაც შეუძლია აღნიშნოს გარკვეული ობიექტი? რა საჭიროა ასეთი „ზედმეტი“ ბგერა?

დამოკიდებულების აღნიშვნელი ნაწილი სიტყვაში. წინა პირველ განაკვეთში ენის იდეოლოგიურობაზე რომ ვლაპარაკობდით, ვთქვით, რომ ენისათვის დამახასიათებელია ნიშნადობა, რომ ყოველი ენობრივი მონაცემი რაღაცაზე მიუთითებს. რაღაცის ნიშანია, რაღაც დანიშნულებას ასრულებს.

თუ ეს დებულება სწორია, უნდა გამოირკვეს, რა დანიშნულება აქვს ზემოხსენებულ ბგერებს (**-ი, -ს, -მა, -ის...**), რა გამართლება აქვთ მათ სიტყვაში.

ავიღოთ სიტყვები: **კაცი, ცხენი**. მოვაცილოთ ის ნაწილი (**-ი**), ურომლისოდაც მათ შეუძლიათ იმავე ობიექტების აღნიშვნა. **კაცი, ცხენ...** მიუმატოთ სრული სიტყვა — მოკლა: **კაცი ცხენ მოკლა**. ჩვენ წინ სამი ერთეულია; ორი საგნებს აღნიშნავს, მესამე მოქმედებას. რაღას ნიშნავს სამივე ერთად? შეიძლება იმას, რომ „**კაციმა ცხენი მოკლა**“, შეიძლება იმასაც, რომ „**კაცი ცხენმა მოკლა**“. ორივე გაგება თანაბრად შესაძლებელია. ეს სულ ერთი როდია: **კაციმა ცხენი მოკლა**: იქ კაცი ცოცხალია, ცხენი მკვდარი, მეორე შემთხვევაში, პირიქით, კაცი მკვდარია, ცხენი — მიზეზია მისი სიკვდილისა...

რა ქმნის ამ განსხვავებას? ბგერებია **-მა** და **-ი**, რომელთაც ვუმეტებთ ამა თუ იმ შემთხვევაში (**ცხენმა, კაცი, ცხენი, კაცი**). ცალკე აღებული სიტყვები ამ ბგერების გარეშეც ახერხებენ საგნის აღნიშვნას, მაგრამ როცა სიტყვები შესიტყვებაში ერთიანდება, როცა ფრაზა უნდა შედგეს, უმათოდ სიტყვები აღარ სიტყვობენ: ვიცით, სიტყვები რა საგნებზე მიუთითებენ, მაგრამ აღარ ვიცით, როგორს ურთიერთობაში იმყოფება ერთმანეთთან ამ სიტყვებით აღნიშნული საგნები... ერთის შეხედვით, ის რაც უადგილოა, ზედმეტია სიტყვის მნიშვნელობის თვალსაზრისით — უადრესად საჭირო, მიუცილებელი ხდება შესიტყვების, ფრაზის მნიშვნელობის თვალსაზრისით...

აი კიდევ ნიმუშები: **ანდროვასო აქო...** ნიშნავს ან: **ანდრომ** ვასო აქო, ანდა: **ანდროვასომ** აქო...

ქეთო თინა არ უყვარს: ნიშნავს ან: **ქეთოს** თინა არ უყვარს, ანდა: **ქეთო თინას** არ უყვარს...

ავტორ ლოგიკა ჩვენთვის ცნობილია: ნიშნავს: ან „**ავტორის** ლოგიკა ჩვენთვის ცნობილია“ ანდა იმას, რომ „**ავტორი** ლოგიკისა ჩვენთვის ცნობილია“...

დაბოლოებათა ცვლის წყალობით ვიღებთ ისეთ შესიტყვებებს, როგორცაა: ფილოსოფიის ისტორია და ისტორიის ფილოსოფია, დიალექტიკის ბუნება და ბუნების დიალექტიკა; შესიტყვებების ეს წყვილულები, სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობისაა, თუმცა ისინი ერთი და იმავე სიტყვებისაგან შედგებიან: საკითხს წყვეტს დამოკიდებულება, რომელსაც სათანადო ცნებებს შორის **-ის** დაბოლოების მიმატება ამყარებს.

-ი, -ის, -მა, -ს და მაგვარ ნაწილებს ენაში გარკვეული დანიშნულება აქვთ: უმათოდ ფრაზა ვერ ამენდება, აზრი გარკვეულად არ გამოითქმის, საგანთა ურთიერთობა ნათელი ვერ იქნება.¹

აღსანიშნავია, რომ სიტყვის ამ ნაწილებს თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, ცალკე სიტყვის ფარგლებში ისინი არაფერს ხელშესახებს არ აკეთებენ, შესიტყვებისთვის კი აუცილებელი არიან.

თავში ნათქვამი იყო: „სიტყვა არის ბგერები პლუს მნიშვნელობა“... პირველი შესწორება, რომელიც ამაში უნდა შევიტანოთ, ასეთი ხასიათისა იქნება: სიტყვის მნიშვნელობა დაკავშირებულია ბგერების ერთ ნაწილთან: ესაა სიტყვის ძირითადი ნაწილი. ამ უკანასკნელის გარდა სიტყვაში მოიპოვება ისეთი ნაწილიც, რომელიც არკვევს, რა მიმართებაშია სიტყვით აღნიშნული საგანი სხვა საგნებთან; ბუნებრივია, თუ სიტყვის ასეთ ნაწილს ურთიერთობის აღმნიშვნელი ნაწილი ეწოდება. სიტყვის ზემოხსენებულს ყოველდღიურს განასაზღვრებაში სიტყვის ეს მხარე უგულებელყოფილია.

მნიშვნელობის მცვლელი ნაწილი სიტყვაში. ცალკე სრულ მნიშვნელოვან სიტყვას მეორე ასეთივე სიტყვა რომ მივუმატოთ მივიღებთ ახალ სიტყვას: და + ძმა = და-ძმა; სახლი + კარი = სახლ-კარი; ცოლი + შვილი = ცოლ-შვილი; ქართლი + კახეთი = ქართლ-კახეთი. ამგვარ სიტყვებში ახალი სიტყვების მნიშვნელობა უდრის ჯამს შემაღე ე ნ ე ლ ს ი ტ ყ ვ ა თ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ე ბ ი ს ა.

სხვაგვარი ვითარებაა ისეთს შემთხვევებში, როგორცაა: ქუდ-მოღლე-ჯილი, ხმალ-ამოწვდილი, აღვირ-ახსნილი, ენა-გრძელი... „ენა“ გარკვეულს საგანზე მიუთითებს; „გრძელი“ თვისებას გამოხატავს, ორივე სიტყვა ერთად კი ამ ორი სიტყვის მნიშვნელობის ჯამს როდი წარმოადგენს: „ენა-გრძელი“ სულ სხვაა და „გრძელი ენა“ სულ სხვა. „ენა-გრძელი“ საგანს კი არ აღნიშნავს, არამედ თვისების („ენა-გრძელი მოსაუბრე, სტუმარი...“). ამგვარად, საგნის აღმნიშვნელ სიტყვას (ენა) თვისების აღმნიშვნელი

¹ მხედველობაში გვაქვს ქართული, სომხური, რუსული და მაგვარი ტიპის ენები. არის ისეთი ენები, რომლებშიაც სიტყვას ამგვარი ნაწილი არ გააჩნია: იქ სხვა საშუალებაა გამოყენებული დამოკიდებულების აღსანიშნავად. ამის შესახებ მსჯელობა გვექნება მეშვიდე განაკვეთში.

(გრძელი) რომ მივუმატოთ, გარკვეული თავის თავად მნიშვნელობის მქონე რთული სიტყვა მივიღეთ, ე. ი. სიტყვათა შეერთება ყოველთვის მნიშვნელობათა ჯამს კი არ იძლევა, არამედ (ზოგჯერ) ახალს მნიშვნელობას იმ სიტყვათა მნიშვნელობებთან შედარებით, რომელნიც შევეერთეთ.

სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს სხვა-გვარადაც. ავიღოთ სიტყვა: ცხენი. „ცხენ“ მიუთითებს გარკვეულ ოთხფეხ შინაურ ცხოველზე. მივუმატოთ მას -ოსან: ცხენ + ოსან = ცხენოსან მიუთითებს სულ სხვა ობიექტზე: ცხენ + ოსანი — ცხენიანი კაცი. მაშასადამე, ოთხფეხი ცხოველი კი არა, არამედ ორფეხა არსება, ადამიანი, რომელიც ოთხფეხა ცხოველზე ამხედრებულა. ცხენ - სიტყვის მნიშვნელობა სავსებით შეიცვალა: სად ცხენი და სად ცხენზე მჯდომი? რამ გამოიწვია ეს ცვლილება? ოსან -ის მიმატებამ. რას ნიშნავს თვითონ ეს -ოსან? თავის თავად არაფერს¹. მაგრამ საკმარისია ის მივუმატოთ სხვა სიტყვას, რომ უკანასკნელს მნიშვნელობა შეეცვლება.

ენა-გრძელ-ში, აღვირ-ახსნილ-ში და მაგვარებში სიტყვის მნიშვნელობა იცვლებოდა იმის გამო, რომ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვას (ენა, აღვირ) ემატებოდა ისევ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვა (გრძელი, ახსნილი...). აქ კი სიტყვის მნიშვნელობა იცვლება იმის გამო, რომ სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვას ემატება ისეთი რამ, რასაც თავის თავად მნიშვნელობა არა აქვს.

აი კიდევ ამის მაგალითები:

მანდილ — აღნიშნავს გარკვეულ თავსახურავს;

მანდილ + ოსან = მანდილოსან აღნიშნავს ქალს (მანდილის მატარებელს).

შღრ.: ხმა : ხმოსან... ჯვარ : ჯვაროსან...

ყვავილ — აღნიშნავს გარკვეულ საგანს...

ყვავილ + ოვან უკვე თვისების აღმნიშვნელია (ყვავილიანი).

სვან — აღნიშნავს საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მცხოვრებს.

სვან + ეთ = სვანეთ აღნიშნავს იმ კუთხეს (ადგილს), სადაც სვანები ცხოვრობენ.

რუს — გარკვეული ეროვნების ადამიანია;

რუს + ეთ = ადგილი, სადაც რუსები ცხოვრობენ, რუსებით დასახლებული ქვეყანა.

ქართველ — გარკვეული ეროვნების ადამიანი;

სა-ქართველ-ო — ადგილი, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ქართველებით

¹ ამბობენ, ოსანა ქართულში ადამიანის სახელიაო. ჩვენი მაგალითის ოსანს ამასთან საერთო არაფერი აქვს.

დასახლებული ქვეყანა.

სტუდენტ — უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლე;

სტუდენტ-ობ-ა — 1) სტუდენტთა მასები („სტუდენტობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო შაბათობაში“) და

2) სტუდენტის მდგომარეობა, ვითარება („სტუდენტობა წინათ სანატრელი იყო)...

ყველა ამ შემთხვევაში ერთი მნიშვნელობა შეიცვალა მეორით იმის გამო, რომ სიტყვას დაემატა **-ოსან, -ოვან, -ეთ, სა — ო, -ობ** ა ნაწილაკები, რომლებიც თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ არაფერს აღნიშნავენ, მაგრამ სიტყვას რომ დაემატებინან, ძირითადად ცვლიან მის მნიშვნელობას.

ამ ნაწილების სახით სიტყვაში ვპოულობთ კიდევ ერთს ახალს მომენტს, რომლის არსებობაც შეუძმნეველი რჩება სიტყვის ყოველდღიურ განსაზღვრებისათვის („სიტყვა არის ბგერები — პლუს მნიშვნელობა“).

ისეთ სიტყვებს, როგორცაა: ცხენოსანი, ყვავილოვანი, სვანეთი, რუსეთი... დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილებიც აქვთ...¹

ფუძე და აფიქსები; აფიქსთა და ფუძეთა სახეობანი. რომ შევაჯამოთ ყველაფერი, რაც სიტყვის შესახებ აქამდე ითქვა, ასეთ დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ: სიტყვაში გამოიყოფა ერთი ნაწილი, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი (კაც-, ცხენ-, ყვავილ-, სტუდენტ-, სვან-... ცხენოსან-, მანდილოსან-, ყვავილოვან-, სვანეთ-...) სიტყვის ამ ნაწილს ეწოდება ფუძე. ფუძეს უპირდაპირდება სიტყვის ისეთი ნაწილები, რომელნიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებლები არ არიან (**-ი, -მა, -ს, -ის, -ით... -ოსან, -ოვან, -ეთ, სა — ო...**) სიტყვის ასეთ ნაწილებს ეწოდება აფიქსები (ლათინურად „აფიქსუმ“ „მიმაგრებულს“, „დამატებულს“ ნიშნავს; ქართული თარგმანი იქნებოდა „დანართი“, „სართი“).

თვით აფიქსები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ დანიშნულების მიხედვით, რომელიც მათ აქვთ:

ერთნი აღნიშნავენ დამოკიდებულებას (**-ი, -მა, -ს, -ის, -ით...**); ესაა დამოკიდებულებების აღმნიშვნელი აფიქსები (ანუ ფლექსია, როგორც მათ ეტყვიან ხოლმე, — ლათინ. სიტყვიდან „ფლექსიო“ = „გაღუნვა“, ცვლა სიტყვისა).

მეორენი მნიშვნელობის ცვლას იწვევენ, მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს წარმოადგენენ (მათ აგრეთვე სიტყვის საწაროებელ აფიქსებს უწოდებენ: მათი მეოხებით ერთი სიტყვიდან მეორე იწარმოება); ასეთებია: **-ოსან, -ოვან, -ეთ, სა — ო** და მრავალი სხვა.

¹ სახელობითის ბრუნვაში **ა, ე ო, უ**-ს შემდეგ **ი** თანამედროვე სალიტერატურო ქართულს არ გააჩნია; ძველად სალიტერატურო ენაში **ი** იქაც იყო; ზოგიერთ კილოებში (ქართლურში გურულში) ახლაც ცოცხალია.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები (ფლექსია) ყოველთვის ფუძის გარეშე იმყოფება (კაც-**ი**, ცხენ-**ი**, ყვავილ-**ი**... ცხენოსან-**ი**, ყვავილოვან-**ი**, სვანეთ-**ი**...), მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები ყოველთვის ფუძეში შედიან, ფუძის ნაწილს შეადგენენ¹. ამისდა მიხედვით ფუძე ორგვარია: მარტივი ფუძე ანუ ძირი (-კაც, -ცხენ, -სვან...), მისი დაშლა არ შეიძლება; ² და ნაწარმოები ფუძე, რომელიც შედგება მარტივი ფუძისა (ძირისა) და მნიშვნელობის მცვლელი აფიქსებისაგან (ცხენ-ოსან, ყვავილ-ოვან, სვან-ეთ...)

ს ქ ე მ ა

- ცხენს {
1. ცხენ — საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი ანუ ფუძე, ეს ფუძე მარტივია — მისი დაშლა არ შეიძლება: ფუძე = ძირს.
 2. **-ს** დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (ფლექსია), იგი ფუძის გარეშეა, ფუძეს დაერთვის.

- ცხენოსანს {
1. ცხენოსან — საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი ანუ ფუძე; ეს ფუძე ნაწარმოებია: მარტივ ფუძისაგან ცხენ მნიშვნელობის მცვლელ ოსან აფიქსის მიმატებით; აქ სიტყვის ფუძე და სიტყვის ძირი ერთმანეთს არ ფარავს: ფუძე = ძირს + მნიშვნელობის მცვლელი აფიქსი.
 2. **-ს** დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი (ფლექსია) იგი ფუძეს დაერთვის.

მარტივი ფუძე (ძირი) და დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი გვაქვს აგრეთვე ზემოხსენებულ მაგალითებში: კაც-ი, სვან-ი, მან-დილ-ი... ხოლო სიტყვებში: სვანეთ-ი, მანდილოსან-ი... ფუძე ნაწარმოებია, დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი ამ ფუძეს ემატება... ეგევე ითქმის ისეთი სიტყვების შესახებ, როგორცაა: სტუდენტობა, საქართველო, ოღონდ აქ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები არ გაგვაჩნია, არ გაგვაჩნია, როცა ეს სიტყვები სახელობითს ბრუნვაშია, სხვა ბრუნვებში ამ მხრივ განსხვავება უკვე აღარ იქნება ამ სიტყვებსა და სხვა ზემოთ მოყვანილ სიტყვებს შორის: სვანეთ-ს, მანდილოსან-ს... სტუდენტო-

¹ ფუძეში შედის ის, რაც თავის ბუნებით ფუძეს უპირდაპირდება: ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია სიტყვის აგებულების თვალსაზრისით.

² ის, რაც ამჟამად მარტივ ფუძედ გვევლინება, ისტორიულად შეიძლება ნაწარმოები ყოფილიყო (იხ ქვემოთ).

ბა-ს, საქართველო-ს...

ამას ორი რამ უნდა დავუმატოთ:

1. ფუძე ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც სიტყვის ისეთი ნაწილი, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელია, როგორც ისეთი ნაწილი, რომელიც მიუთითებს გარკვეულს ობიექტურ მონაცემებზე. სიტყვაში ცხენოსანი ფუძედ შეიძლება ცხენ-იც გამოაცხადოს ვინმემ: ესეც აკი მიუთითებს გარკვეულს ობიექტურს მონაცემებზე; მაშასადამე, „ცხენ“ არის ფუძეო; ცხენ-, რა თქმა უნდა, ფუძეა, მაგრამ ეს არის ფუძე არა სიტყვისა „ცხენოსანი“, არამედ სიტყვისა „ცხენი“. ამიტომ, როცა ფუძეს ვეძებთ, ყოველთვის უნდა გვანსოვდეს რომელიც სიტყვის ფუძეს ვეძებთ: ცხენოსანი-ს ფუძე იქნება ის ნაწილი, რომელიც „ცხენიან კაცს“ მიუთითებს (და არა ყოველი ნაწილი, რომელიც რაიმე ობიექტურს მონაცემზე მიუთითებს).

2. ფუძისეული და არაფუძისეული ნაწილი ჩვენ გამოვყავით სიტყვის მნიშვნელობის ანალიზზე დაყრდნობით: აფიქსების დახასიათება-კვალიფიკაცია მოვახდინეთ იმ დანიშნულებების მიხედვით, რომელიც მათ აქვთ, იმ როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ. ამგვარად ყველგან ამოსავალი იყო ფუნქცია იმ ენობრივი მონაცემისა, რომელსაც ჩვენ ვაანალიზებთ, ეს სრულიად ბუნებრივი და შინაგანად აუცილებელია: პირველს განაკვეთში ნაჩვენები იყო, რომ ენას, როგორც იდეოლოგიურ მონაცემს, ნიშნადობა ახასიათებს; ენა პირობითი ნიშნებისაგან შედგება. ნიშნის შესწავლა კი გულისხმობს იმის გათვალისწინებას, რისი ნიშანია ესა თუ ის ენობრივი მონაცემი, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორია ფუნქცია ამ მონაცემისა, როგორც ნიშნის.

ფუძეში ჩაქსოვილი ცოცხალი სახე (საგნის დამახასიათებელი).

როგორც ვნახეთ, სიტყვაში ფუძეა საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი. ამასთან ერთი ახალი მომენტი დაკავშირებული. ავიღოთ სიტყვა „თორმეტი“. ამ სიტყვის რეალური, რიცხვითი, მნიშვნელობა დავას არ გამოიწვევს მათ შორის, ვისაც ქართული გაეგება: ვიტყვით ამ ბგერებს და ყველამ ვიცით, რომელ რიცხვზე, რა ოდენობაზეა საუბარი.

მაგრამ რა არის „თორმეტი“, რატომ ეწოდება ქართულად ამ რიცხვს სწორედ ეს სახელი? ამჟამად ამის თქმა არც თუ ადვილია, მაგრამ საკმარისია მოვიგონოთ, რომ ძვ. ქართულში „თორმეტი“ კი არა გვაქვს, არამედ „ათორმეტი“ რომ ნათელი გახდება, რის თქმა უნდოდან, როდესაც ამ რიცხვს, 12-ს „ათორმეტ-ს“ უწოდებენ:

„ათორმეტი“ — ათ-ორ-მეტი, — ე. ი. ათზე ორით მეტი: 12 არის რიცხვი, რომელიც უდრის 10+2... ამ რიცხვის სახელი განმარტოებით არ იდგა: მსგავსადგვა აგებული: თერთმეტი (ძვ. ქართ.: ათერთმეტი),

ცამეტი (ძვ. ქართ.: ათსამმეტი); თოთხმეტი (ძვ. ქართ.: ათოთხმეტი), თუთხმეტი (ძვ. ქართ.: ათხუთმეტი), თექვსმეტი (ძვ. ქართ.: ათექვსმეტი) ჩვიდმეტი (ძვ. ქართ.: ათშვიდმეტი), თვრამეტი (ძვ. ქართ.: ათრვამეტი), ცხრამეტი (ძვ. ქართ.: ათცხრამეტი).

ყველგან ახალი რიცხვი შედარებულია ათს, და სახელწოდება მიუთითებს რამდენითაა ის მეტი ათზე... რიცხვის სახელწოდება „უბრალო“ სახელი კი არ არის არამედ აღწერა-დახასიათება ახალი ოდენობისა: ათთან შედარება საშუალებაა ახალი რიცხვის დასახასიათებლად.

თავდაპირველად, ცხადია, „ათორმეტ“-ში ნათლად იგრძნობოდა სამი ფუძე (ათი, ორი, მეტი), რომელთაგან თითოეულს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა: სამივე ერთად მთელს შესიტყვებას უდრიდა და ამგვარად ახალს რიცხვით ოდენობას აღნიშნავდა.

დროთა ვითარებაში ეს სამი ფუძე გაერმთლიანდა, მასში შემავალი ერთეულები (ათი, ორი, მეტი) გაფერმკრთალდნენ, ცალ-ცალკე ეს შემადგენელი ერთეულები უკვე აღარ იგრძნობიან, „ათორმეტი“ უშუალოდ, მარტივად მიუთითებს სათანადო რიცხვზე ისევე, როგორც ამჟამად სიტყვები „კაცი“, „ქვა“, „წყალი“ მიუთითებენ სათანადო ობიექტებზე...

ცოცხალი, ხატოვანი გამოთქვა — „ათზე ორით მეტი“ უტყვ ერთიან სიტყვად იქცა. სანამ მასში „ათი“ ცოცხლობდა, თავკიდური „ა“ შეუძლებელი იყო, რომ დაკარგულიყო: „ათი“ უ-ა-ნოდ ათი აღარ არის! მას შემდეგ, რაც „ათი“, „ორი“, „მეტი“ სიტყვების შეგნება გაქრა, თავკიდური „ა“-ს მოვარდნაც შესაძლებელი შეიქნა. ამის შემდეგ ზოგჯერ (ათსამეტი, ათხუთმეტი ათშვიდმეტი, ათცხრამეტი) სხვა ცვლილებებისთვისაც ფართო შესაძლებლობა დაიბადა (ამის შესახებ იხ. ამავე განაკვეთში ქვემოთ).

აუცილებელი იყო თუ არა 12 წარმოედგინათ, როგორც 10+2? რა თქმა უნდა, არა: 12=10+2 ანდა: 6 X 2 ანდა 20 - 8 ანდა 24 : 2 და მრავალი სხვა. ერთსა და იმავე შედეგს სხვადასხვა გვარად მივიღებთ. შესაძლებლობა მრავალგვარია; მათგან ქართულმა სამეტყველო აზროვნებამ პირველი გზა აირჩია; ეს სრულიად ბუნებრივია, თუ მოვიგონებთ, რომ ადამიანის ახლად ფეხადგმული აზროვნება ტაატით მიდიოდა წინ და რჩებოდა უმარტივეს გზას, გზას მიმატებისა (და არა გამოკლებისა ან გამრავლებისა და მით უფრო გაყოფისა)...¹

რუსული „დენადცატ“ იმავე საფუძველზეა აგებული, როგორც ქართული „ათორმეტი“ (არას ვამბობ მეგრ. ვითოჟირ-ის შესახებ — ვითლოჟირი = ათ და ორი, სვან. დეშდჟორი = ათ ორი...), მაგრამ სხვაგვარ

¹ რიცხვთა სახელწოდება სხვადასხვა ენაში გვიჩვენებს, რომ 20-ის ფარგლებში წინსვლა თვლაში ყველგან ამ გზით არ მიიმართებოდა.

მდგომარეობას წავაწყდებით 60-ის რუსული და ქართული სახელწოდება რომ შევადაროთ ერთმანეთს: „შესტდესიატ“ ნიშნავს 6 x 10, „სამოცი“: 3 x 20: შედეგ ერთი და იგივეა, პროცესი სხვადასხვა.

ის, რაც რიცხვის შესახებ ვთქვით, შეიძლება განვაზოგადოთ: ერთი და იგივე ობიექტური მონაცემი შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს განსახიერებული, სხვადასხვა ცოცხალი სახე შეიძლება დაედოს საფუძვლად ახალი სიტყვის წარმოქმნას. ეს ერთი მხარეა საკითხისა. უფრო არსებითია მეორე: ცოცხალი სახე ერთგვარი საფუძველია, რომელიც ცხადყოფს, რა ჰქონდათ მხედველობაში, როცა ამა თუ იმ ობიექტურ მონაცემს ამა თუ იმ სახელს არქმევდნენ; სახელების მომენტში ეს საფუძველი აუცილებელია, შემდეგ კი იგი უკვე აღარ არის საჭირო; დამხმარე, შუამავალი ცოცხალი სახე უფერულდება იკარგება, ცოცხალი სიტყვა უტყვევ პირობით ნიშნად იქცევა.

ორიოდე მაგალითი ამის საილუსტრაციოდ.

ყველამ ვიცით რასაც ნიშნავს „რვეული“, მაგრამ ყველამ არ იცის ალბათ, რომ ეს სიტყვა ნაწარმოებია ისევე, როგორც „ათეული“ („ათეული კვერცხი...“), „სამეული“ („წყალდიდობასთან საბრძოლველად აირჩიეს სამეული“): „ათეული“ ათი ერთეულისაგანაა შემდგარი, „სამეული“ სამი პირისაგან შემდგარ კომისიას გულისხმობს... „რვეული“ რვა ფურცლისაგან შემდგარ კონას ნიშნავდა თავის დროზე. მგონი, ახლანდელი რვეულიც „რვეულია“ ე. ი. ფურცლისაგან შედგება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველთვის არა, მაგ. (საერთო რვეული). ამ რამოდენიმე წლის წინათ კი რვეული ათფურცლიანი და თორმეტფურცლიანი იყო ჩვეულებრივად... ამისდა მიუხედავად მათ „რვეულს“ (ე. ი. რვა ფურცლის შემცველს) ვეძახდით და ეს არავის გვეჩოთირებოდა.

რატომ? იმიტომ რომ „რვეული“ ამჟამად უტყვევი სახელია, რვას ის არ უკავშირდება ჩვენს სამეტყველო აზროვნებაში. თავის დროზე კი სათანადო სახელს „რვეული“ რომ დაერქვა, სიტყვაში მოცემული იყო საგნის რიცხვითი დასახიანება, სიტყვაში ცოცხლობდა „რვა“, რიცხვის სახე...¹ ეს სახე გაქრა; რვეული „რვიანს“ უკვე არ ნიშნავს, ის პირობითი ნიშანია საწერი ქაღალდის გარკვეული კონისა, რომელიც შეიძლება შეიცავდეს რვა ფურცელსაც და გაცილებით მეტსაც (შეიძლება ნაკლებსაც).

ასევე: „სნეული“ მიღებულია „სენ-ეულ“-ისაგან და ნიშნავს „სენიანს“ სენით შეპყრობილს. „ზურგიელი“ გარკვეული თევზის ზურგის ანაჭერია, „ხრამული“ — მდინარე ხრამში (ქციაში) დაჭერილი თევზია... ერთს შე-

¹ ძვ. ქართულში „რვეული“ მართლაც 8 ფურცლიან კონას ნიშნავდა. ხელნაწერების გვერდებზე აღნიშნავდნენ რვეულთა რიცხვს, ე. ი. სათვალავი ჰქონდა ყოველ მერვე ფურცელს.

მთხვევაში თევზის სახელი მიგვითითებს, რა ნაჭერია ის, მეორე შემთხვევაში, რა მდინარის თევზია... უბრალო დაკვირვებაა საჭირო, რომ ეს გასაგები გახდეს.

არც თუ ისეთი სიტყვების გამოცოცხლებაა ძნელი, როგორცაა „გაფთრებული“, „გაფთრებული“, „გაჭიანურებული“... გააფთრებული — აფთრად ქცეულს ნიშნავს (შეადარე: გამხეცებული, გამგელებული). ამჟამად აფთრის წარმოდგენა აქ დაჩრდილული ჩანს (თუ მთლად არ არის დაკარგული). ხშირად „გააფთრებული“ წერენ; ეს არ მოხდებოდა, რომ „აფთარი“ აგონდებოდა ამ სიტყვის მთქმელსა და დამწერს...

„გაფთრებული“ — ფთრის ფერისად ქცეულს ნიშნავს, ამჟამად საერთოდ ფერდაკარგულს აღნიშნავს... „გაჭიანურება“ ხომ ჭიანურის ხმასავით გრძლად, გაბმულად, გაუთავებლად რისამე კეთებას ნიშნავს. მაგრამ ვინ ფიქრობს ახლა „ჭიანურზე“, როცა „საქმის გაჭიანურობაზე“ ჩივის?! ბგერათა კომპლექსი უშუალოდ აღნიშნავს სათანადო მოვლენას და ჭიანურის ცოცხალი სახე უშუამავლად საჭირო აღარ არის.

ყველა ამ შემთხვევებში დაჩრდილული ცოცხალი სახის გაცოცხლება ადვილი საქმეა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თუნდაც ისეთი სიტყვის შესახებ, როგორცაა „მცხოვანი“ („მცხოვანი მოღვაწე“...). ამჟამად ეს სიტყვა პატივისცემის გრძნობას უფრო გამოხატავს ვინემ გარკვეულ შინაარსს. სიტყვის მნიშვნელობის ობიექტურ მხარეს თუ დავეძაღეთ, შეიძლება „დამსახურებული“ მივიღოთ. არავითარი ცოცხალი სახე აქ არა ჩანს. იყო კი ასეთი რამ აქაც: მსცე¹ (მცე) ძვ. ქართულში „ჭადარა“-ს ნიშნავდა, „მცხოვანი“ (მცხოვანი) ისევე იყო ნაწარმოები, როგორც „ყვავილოვანი“ და ნიშნავდა „ჭადაროსანს“ (თუ შეიძლება ასე ითქვას).

„მცხოვანი“-ს ვითარება ქართული ენის ისტორიის წაშვლებით ირკვევა. მრავალს შემთხვევაში ეს არ კმაროდა. სიტყვაში დამარხული ცოცხალი სახის ძიება მოითხოვს შედარებას მონათესავე ენის (თუ ენების) მასალებთან. აქ რთული სამეცნიერო აპარატია საჭირო, რომ მიზანს მივაღწიოთ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით საუბარი გვექნება მეცხრე განაკვეთში. იქ არ აღვნიშნავთ, რომ ასეთი ძიების შედეგად, მაგალითად, გამოირკვა, რომ „ნახშირი“ თავდაპირველად „ნაწვს“ ნიშნავდა „წვის“ — *** სახე ედვა ამ სიტყვას საფუძვლად.

თქმული, ვფიქრობთ, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ სიტყვაში ზემოხსენებულთა გარდა ახალი მომენტიც ირკვევა: ესაა ის ცოცხალი სახე, რომელიც სიტყვაშია ჩამარხული და რომელიც სიტყვით აღნიშნული საგნის რაიმე მხრივ დახასიათებას წარმოადგენს...

¹ აქიდან ჩანს, რომ „მცხოვანი“ კი არ უნდა იყოს, როგორც ხშირად წერენ, არამედ „მცხოვანი“. გარდა „მცხოვანი“ ხანში შესულის ეპითეტად თუ გამოდგება, თორემ ახალგაზრდისათვის არა, რაგინდ დამსახურებულსაც არ უნდა იყოს იგი.

მისი ძიება უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, პირველ ყოვლისა აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით. ოღონდ ამ სახის დაქვანა-აღდგენა იმდენადვე ძნელი და სახიფათოა, რამდენადაც მიმზიდველი და საგულისხმო. ენათმეცნიერული აზროვნების ისტორია სავსეა კუროზული შეცდომებით, რომლებიც ამ სახეების ძიებისას იყო დაშვებული, როცა ძიება მკვიდრ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს იყო მოკლებული და მდიდარია ბრწყინვალე შედეგებით, როცა ეს ძიება მეცნიერულად მკვიდრ ნიადაგზე იყო დაყენებული (დაწვრილებით — მეცხრე განაკვეთში).

სიტყვის მნიშვნელობა იცვლება ისტორიულად, კუთხურ მეტყველებაში, კონტექსტში. არა ერთხელ გვაქვს აღნიშნული, რომ სიტყვაში ფუძეა საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი: კაც-, ცხენ-, ყვავილ-, წყალ-, და სხვა მიუთითებენ გარკვეულ ობიექტურ მონაცემზე, გარკვეული მნიშვნელობის მქონე არიან. ეს მნიშვნელობა ისტორიულად ცვალებადობას განიცდის; ამის შესახებ პირველ განაკვეთშიაც გვქონდა საუბარი.

გარდა ამისა ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა კუთხეში ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება მიუთითებდეს სხვადასხვა ობიექტურ მონაცემებზე (ჯოგი, მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა, აღმოსავლეთ საქართველოში მთაში ცხენის გროვას ჰქვია).

თვით სალიტერატურო ენაშიც ერთი და იგივე სიტყვა ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ობიექტურ მონაცემებზე შეიძლება მიუთითებდეს — კონტექსტისდა მიხედვით (მაგალითად, წვერი: წვერის მოპარსვა, კალმის წვერი... ხელი: ხელი ჩამომართვა... მშვენიერი ხელი აქვს ე. ი. ლამაზად წერს...). ამგვარი საკითხები სიტყვის მნიშვნელობის გარკვევასთან არიან შინაგანად დაკავშირებული.

ემოციური იერი სიტყვისა. მნიშვნელობასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ემოციური იერის საკითხი, რომელიც სიტყვას თან ახლავს; ამის შესახებ ზოგადად საუბარი გვქონდა პირველ განაკვეთში; უფრო დაწვრილებით მეთე განაკვეთში გვექნება საუბარი. აქ კი მხოლოდ ერთს მაგალითს დავასახელებთ: „ქ ა ლ ი“, „მანდილოსანი“, „დედაკაცი“ ობიექტურად ერთსა და იმავე მონაცემებზე მიუთითებენ. განსხვავება მათ შორის მაინც არის; განსხვავებას იწვევს ემოციური იერი, რომელიც ამ სიტყვებს დაჰყვება: „დედაკაცი“ ლიტერატურულს სიტყვიერებაში ქალის ბიოლოგიურ რაობას გახაზავს (დედაკაცი — მამაკაცი), „ქალი“ ასეთ ნიუანსს მოკლებულია. „მანდილოსანი“ კი ერთგვარ პატივისცემას გამოხატავს (მღრ.: ის ქალი ჩემ მეზობლად ცხოვრობს — ის დედაკაცი ჩემ მეზობლად ცხოვრობს — ის მანდილოსანი ჩემ მეზობლად ცხოვრობს)...

სიტყვის ბგერითი მხარე და მასში მომხდარი ცვლილებების მნიშ-

ვნელობა სიტყვის სწორი ანალიზისათვის. გაუთვალისწინებული გვაქვს სიტყვის ერთი მხარე, სახელდობრ, ბგერითი. სიტყვა ბგერებში გადმოიცემა. ჩვენი მეტყველება ბგერითი მეტყველებაა. მეტყველებაში ყველაფერი განიცდის ცვალებადობას, — ბგერაც, რა თქმა უნდა. ბგერები, რომელთაც ესა თუ ის ენა იყენებს გარკვეულ სისტემას ქმნიან. სხვადასხვა ენის ბგერითი შედგენილობა ერთნაირი არ არის (მაგალითად: ყ, წ, ჭ, არც ერთს ევროპულ ენას არ გააჩნია). ბგერათა ცვალებადობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირია. მაგრამ ერთი რამ საერთოა ყველა ენისათვის: ბ გ ე - რ ა თ ა ც ვ ა ლ ე ბ ა დ ო ბ ა ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს თ ვ ა ლ - ს ა ზ რ ი ს ი თ ყ ვ ე ლ გ ა ნ უ ა ღ რ ე ს ა დ ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო ა. მის გაუთვალისწინებლად ბგერი რამ სრულიად გაუგებარი იქნებოდა. გავარკვიოთ ეს მაგალითებზე.

ც ხ ე ნ + ო ს ა ნ = ც ხ ე ნ - ო ს ა ნ - (ი), შეადარეთ: ტ ყ ა ვ = ო ს ა ნ = ტ ყ ა - ო ს ა ნ - (ი): „ვეფხის ტყაოსანი“. არავინ იტყვის „ვეფხის-ტყაოსანიო“. რატომ? სად წავიდა **გ**? ამის ახსნა მხოლოდ ბგერათა ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ: ო-ს წინ **გ**-მ ვერ გაძლო, აუტანელი მეზობლის მსხვერპლი გახდა.¹

აგრეთვე: სამ — სამეული, ათ — ათეული.

სენ — უნდა გვქონოდა: სენ-ეული (=სენიანი, ავადმყოფი) ნამდვილად კი გვაქვს: „სნეული“: „სენ“ — ფუძეს დაეკარგა ე; ბრალი მიუძღვის აფიქსს, რომელიც **ე**-თი (ხმოვნით) იწყება (-ეულ-). ე-ს დაკარგვა ფუძეს სახეს უცვლის. აბრკოლებს მასში „სენ“ = ფუძის ცნობას.

ასეთი შედეგი უფრო ხელშესახებია რიცხვთა სახელების მაგალითებზე: იყო „ათერთმეტი“, „ათორმეტი“, — დაიკარგა თავკიდური **ა**, მივიღეთ „თერთმეტი“, „თორმეტი“... საგანგებო ძიებაა სჭირო, როგორც ზემოთ ვნახეთ, რომ ამ სიტყვებში „ათი“ ვიპოვოთ: ბგერითმა ცვლილებამ დააბნელა „ათ“-ის მნიშვნელობა.

ამავე ნიადაგზე „ატცხრამეტი“ იქცა „ცხრამეტ“-ად: **ა**-ს დაკარგვის შემდეგ თავი მოიყარა ერთად ოთხმა თანხმოვანმა: თ ც ხ რ ... **ა**-ს დაკარგვას მოყვა **თ**-ს დაკარგვაც: „ათ“-ისაგან ა ღ ა რ ა ფ ე რ ი დ ა რ ჩ ა . რომ არ გვქონდეს: „თერთმეტი, თორმეტი, თოთხმეტი“..., რომ არ იყოს შენახული ძვ. ქართულის „ათერთმეტი, ათორმეტი, ათოთხმეტი... ატცხრამეტი“ — თანამედროვე „ცხრამეტში“ „ათ“-ი რომ იყო, საკმაოდ ძნელი დასამტკიცებელი იქნებოდა...

ნაწილობრივ ეგევე მოხდა „ხუთმეტ“-შიც: „ათ“-ის ნიშანწყალი აქ არსად ჩანს. მაგრამ სხვა ვარიანტებიც გვაქვს სადაც **თ** შემონახულია:

¹ რატომ არის ეს მეზობლობა აუტანელი, განმარტებული იქნება მომდევნო განაკვეთში.

„თხუთმეტი“ (შეკვეცილი „ათხუთმეტი“) და „თუთხმეტი“ (ყველაზე გავრცელებული!), — მიღებულია იგი „თხუთმეტი“-ისაგან „ხ“-ს გადასმით: ათხუთმეტი → თ ხ უ თ მ ე ტ ი → თ უ თ ხ მ ე ტ ი ...

„თუთხმეტი“-ში „ათ“-ის ნაშთი — თ შემონახულია, მაგრამ ხ-ს გადასმის გამო სიტყვას ისე აქვს შეცვლილი სახე, რომ არც „ათ“ შეიმჩნევა და არც „ხუთ“...

„ცამეტი“ მიღებულია „ათსამეტი“-ისაგან, „ჩვიდმეტი“ — ათშვიდმეტი“-ისაგან; როგორც ვხედავთ, „ათ“-ი არსად ჩანს: გამქრალა, როგორც ა, ისე თ, — პირველი უკვალოდ, მეორეს კი — კვალი დაუტოვებია, „ცამეტი“ მიღებულია „ათსამეტი“-ისაგან (თს → ც), „ჩვიდმეტი“ მიღებულია „ათშვიდმეტი“-ისაგან (თშ → ჩ): თ შეეწყო ერთს შემთხვევაში ხ-ს, მეორე შემთხვევაში — შ-ს, მივიღეთ ც (ცამეტი) და ჩ (ჩვიდმეტი): ამნაირად სამ“ (ათსამეტი) იქცა „ცამ“-ად, „შვიდ“ (ათშვიდმეტი) იქცა „ჩვიდ“-ად...

ამ მარტივი შემთხვევებიდანაც კი უნდა იყოს ცხადი, როგორ შეიძლება შეიცვალოს სიტყვის გარეგნობა ბგერათა ცვალებადობის ნიადაგზე და როგორ რთულდება ამის გამო სიტყვის წინანდელი მნიშვნელობა — შედგენილობის ამოცნობა.

მეცნიერული გრამატიკის (ენათმეცნიერების) დარგები. 1.

სიტყვის ბგერითი მხარე, 2. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები, 3. მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები, 4. ცოცხალი სახე, რომელიც ოდესღაც ფუძეში იყო ჩაქსოვილი და (სიტყვით აღნიშნული) საგნის დახასიათებას წარმოადგენდა, 5. მნიშვნელობა ფუძისა (რა ობიექტურ მონაცემზეც მიუთითებს იგი) და 6. ემოციური იერი, რომელიც სიტყვას ახლავს (სუბიექტური მომენტი სიტყვაში) — აი ყველა ის მხარე რომელთა გათვალისწინება სიტყვაში მეცნიერული გრამატიკის ამოცანას შეადგენს. ეს ამოცანა როგორც ვხედავთ, რთულია, თვალსაზრისი მრავალფეროვანი, მაგრამ ამ მრავალფეროვნებაში საორენტაციოდ რჩება სიტყვის ამა თუ იმ მომენტის ფუნქცია, მისი როლი, როგორც ნიშნის. ერთად ერთს გამონაკლისს თითქოს ბგერითი მხარის შესწავლა წარმოადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით: საბოლოო ანგარიშში სიტყვის ამ მხარის შესწავლა მიზნად ისახავს გავვიადვილოს სიტყვის მნიშვნელობაში, სიტყვის შედგენილობაში სწორად გარკვევა და ამ მხრივ იგი გზის მაჩვენებელია იქ, სადაც უამისოდ გზის გაგნება შეუძლებელი იქნებოდა.

სიტყვის ბგერით მხარეს შეისწავლის ფონეტიკა (ბერძ. სიტყვიდან ჰე ფონე „ბგერა“). ფონეტიკის საგანია ბგერითი სინამდვილე, როგორც სიტყვის, ისე სხვა ენობრივი მონაცემებისა: რა ბგერები გააჩნია ამა თუ იმ ენას. ბგერათა რანაირი ჯგუფებია დამახასიათებ-

ლი ენისთვის, როგორც ვალეზადობას განიცდიან ბგერები, როგორია მახვილი და სად არის ის მოთავსებული, სიტყვის რომელს მარცვალზე და სხვადასხვა. აი საკითხთა წყება, რომელთა გარკვევა ფონეტიკური ძიების საგანს შეადგენს (დაწვრილებით — მესამე და შემდგომს განაკვეთებში).

დამოკიდებულებების აღმნიშვნელი აფიქსები მოროფოლოგიის საგანია (ბერძ. სიტყვებიდან: „ჰე მორფე“, „სახე“, „ფორმა“ და „ჰო ლოგოს“ „სიტყვა“, „სწავლება“ (შდრ.: ბიოლოგია გეოლოგია, სოციოლოგია, სადაც — „ლოგია“ — მოძღვრება ფორმის შესახებ).

ფუძის მნიშვნელობას (რაზე მიუთითებს ფუძე, ანუ როგორია სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობა) სწავლობს სემასიოლოგია ანუ სემანტიკა (ბერძ. სიტყვიდან „ჰე სემა“ — „ნიშანი“) — „მოძღვრება მნიშვნელობის“ შესახებ.

ემოციური იერი (გრძნობითი ელფერი), რომელიც სიტყვას ახლავს, მნიშვნელობის ინგრედიენტია, თუმცა სტილთანაც კავშირშია, სტილისტიკასაც ეხება („სტილისტიკა“ — მოძღვრება სტილის შესახებ; „სტილუს“ ლათ. სიტყვაა, ნიშნავს წაწვეტებულ იარაღს გასანთლულ ფიცარზე საწერად).¹ ცოცხალი სახე, რომელიც ოდესღაც ფუძეში იყო ჩაქსოვილი და სიტყვით აღნიშნულ საგნის დახასიათებას წარმოადგენდა, ეტიმოლოგიური ძიების საქმეა. „ეტიმოლოგია“ ნაწარმოებია ბერძ. სიტყვებიდან: „ეტიმოს“ — „ჰემმარიტი“, „ნამდვილი“ და ზემოხსენებული „ლოგია“: „ეტიმოლოგია“ — მოძღვრება სიტყვის ნამდვილი, პირველადი მნიშვნელობის შესახებ.

დაგვრჩა მნიშვნელობათა მცვლელი აფიქსები. მათ იხილავენ მორფოლოგიაში დამოკიდებულებების აღმნიშვნელ აფიქსებთან ერთად: საფუძველი ამისათვის ის გახლავთ, რომ ერთნიცა და მეორენიც აფიქსებს წარმოადგენენ, აფიქსები თავისთავად საგნობრივ მნიშვნელობას მოკლებული არიან და, მაშასადამე, უპირისპირდებიან ფუძეს, როგორც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი. აფიქსები შესწავლება მორფოლოგიაში, ფუძე — სემასიოლოგიაში.

საკითხის ასე გადაწყვეტა მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, სემასიოლოგია რომ შეისწავლიდეს მხოლოდ მარტივ ფუძეს (ძირს). მაგრამ სემასიოლოგია არ არის მოძღვრება მარტივ ფუძეთა (ძირთა) შესახებ: მისი საგანია საერთოდ ფუძე, როგორც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი, — ფუძე მარტივიცა და ნაწარმოებიც: ნაწარმოები ფუძე კი მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს შეიცავს (ცხენოსან-

¹ როგორ მიიღო „სტილმა“ აწინდელი მნიშვნელობა იხ. მეათე განაკვეთში.

ყვავილოვან, სვანეთ...)... არ შეიძლება შევისწავლოთ ასეთი ფუძე, თუ არ შევისწავლოთ ის, რამაც ის შექმნა მარტივი ფუძიდან, თუ არ შევისწავლოთ მნიშვნელობის მცვლელი აფიქსიც, პირუკუც: მნიშვნელობის მცვლელი აფიქსის შესწავლა სწორედ იმის გამორკვევაში მდგომარეობს, როგორც კლის ის იმ ფუძის მნიშვნელობას, რომელსაც ემატება.

ამიტომაც: ძველ — გრამატიკულსა და აწინდელ ფორმალისტურ ტრადიციებს ანგარიში ვერ გაეწევა, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ეს ტრადიცია: მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები უნდა იქნეს განხილული იმ დარგში, რომელიც მნიშვნელობას შეისწავლის: მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები სემასიოლოგიის (სემანტიკის) საგანი და არამორფოლოგიის.

აქედან მთელი რიგი პრინციპული ხასიათის დასკვნები გამომდინარეობს; მათი გათვალისწინება აქ შეუძლებელია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამის გამო მეცნიერულ გრამატიკის დარგთა ურთიერთობა არსებით ცვლილებების წინაშე დგება. კერძოდ, მორფოლოგიისა და სემასიოლოგიის მოწყვეტილობა ერთმანეთისაგან ამ გზით შეიძლება დაიძლიოს.

მეცნიერული გრამატიკის ზემოხსენებული დარგები (ფონეტიკა, მორფოლოგია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან: შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს დარგები ერთმანეთს მოწყვეტილ, გამხოლოებულ დისციპლინებს წარმოადგენენ; მათ შორის მჭიდრო შინაგანი კავშირი არსებობს; ზედმიწევნით რომ ვთქვათ, ეს დარგები სხვადასხვა თვალსაზრისით ერთი და იმავე ობიექტის შესწავლის შედეგი უფროა, ვინემ დამოუკიდებელი დარგები.

სინტაქსის საგანი. მეცნიერული გრამატიკის დარგთა შორის ზემოთ არსად ჩანს სინტაქსი; ეს გამოიწვია იმ მარტივმა გარემომებამ, რომ სხვადასხვა დარგების განმარტება ზევით მოცემულია ცალკე სიტყვის ანალიზთან დაკავშირებით. სინტაქსის საგანი ცალკე სიტყვა არ არის, არამედ სიტყვათა ორგანიზაციული ერთიანობა — ის, რასაც თავში შესიტყვება ვუწოდებთ. სინტაქსი შესიტყვებას შეისწავლის; შესიტყვებას შეისწავლის აგრეთვე სტილისტიკა: ერთიცა და მეორეც გარკვეული თვალსაზრისით (იხ. მერვე და მეთე განაკვეთები).

ფონეტიკა, მორფოლოგია სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სინტაქსი, სტილისტიკა — ამის დარგები, რომლებიც მეცნიერულ გრამატიკაში ჩამოყალიბდა სიტყვისა და შესიტყვების შესწავლასთან დაკავშირებით. მათგან ყველა თანაბრად როდია დამუშავებული; განსაკუთრებით სუსტობს სემასიოლოგია და ეტიმოლოგია: სტილისტიკა კი, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა ახლაც არ არის გამოსული „ორგანიზაციის პერიოდიდან“, ჯერ კიდევ არა აქვს ზუსტად გა-

რკვეული თვალსაზრისი და მოქმედების არე.

ყველაზე დამუშავებულ დარგებშიც (ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და ეტიმოლოგიაში) არა ერთი პრინციპული საკითხია მოუგვარებელი.

მეცნიერული გრამატიკა და სასკოლო ტექნიკური გრამატიკა არსებითად განსხვავდება ე. წ. სასკოლო ტექნიკური გრამატიკისაგან.¹ დავიწყით მათი შედარება შედგენილობიდან.

სასკოლო ტექნიკურ გრამატიკაში სრულებით არ მოიპოვებოდა სტილისტიკა, სემასიოლოგია და ფონეტიკა. სტილისტიკა ისტორიულად რიტორიკის დარგად ითვლებოდა; ამჟამად იგი პოეტიკის საგანსაც წარმოადგენს. ეტიმოლოგიური ძიება ძველთაგანვე იშვიათ ინტერესს იწვევდა, მაგრამ საბედნიეროდ გრამატიკის ფარგლებში ეს ძიება არ შედიოდა; საბედნიეროდ მიტომ, რომ ხსენებული ეტიმოლოგიური ძიება ფანტაზიის უკონტროლო საქმიანობის ასპარეზს წარმოადგენდა და ჩვეულებრივად სიტყვათა შემთხვევით გააზრიანებაში მდგომარეობდა. ეტიმოლოგიური ძიება მეცნიერულ საქმედ მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც გამომუშავდა ფონეტიკა (მეცხრამეტე საუკუნეში) და შემთხვევითი გააზრიანების ადგილი ობიექტური საზომის მოხმარებამ დაიჭირა, საიმედო საკონტროლო საშუალება დაიძებნა. რაც შეეხება ფონეტიკას, იგიც მთლიანად მეცხრამეტე საუკუნის ამბავია. ეს საენათმეცნიერო დარგი ენის შესწავლისას ისტორიული თვალსაზრისის გამოყენებამ შექმნა და ისტორიული თვალსაზრისის რეალიზაციისათვის ძლიერ ბერკეტად მოგვევლინა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ეტიმოლოგიურმა ძიებამ მხოლოდ ფონეტიკის შემწეობით მოიპოვა ობიექტური ხასიათი და გონება მახვილობის სავარჯიშო ასპარეზიდან მეცნიერულ დისციპლინად იქცა, ამიტომ გადაჭარბებული არ არის როცა ამბობენ: ფონეტიკა ენათმეცნიერებისათვის იგივეა, რაც ქიმიის ბუნებისმეტყველებისათვისაო.

ფონეტიკის ადგილი სასკოლო გრამატიკებში ეჭირა მსჯელობას ანბანისა და ასოების შესახებ. ეს ერთის მხრით იმის ბრალი იყო, რომ ასოს (დაწერილს) და ბგერას (გამოთქმულს) ერთმანეთისაგან ვერ არჩევდენ (ზოგი ახლაც ვერ არჩევს!), მეორე მხრივ კი იმისა, რომ გრამატიკის საგან-

¹ სასკოლო გრამატიკის შესახებ რომ ვლაპარაკოთ, მხედველობაში გვაქვს ის ტექნიკური დისციპლინა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში „ხელოვნება“ (искусство) ეწოდება; და რომელიც არც აცხადებდა პრეტენზიას მეცნიერებაყოფილიყო. ამიტომ აღვნიშნავთ მას სახელწოდებით „სასკოლო ტექნიკური გრამატიკა“ თავისთავად ცხადია, სასკოლო გრამატიკა, რა მოცულობითაც იქნება მასში აღებული ენობრივი მასალა, უნდა იყოს ზუსტად მეცნიერული. თავის მხრივ მეცნიერული გრამატიკა სკოლაში პრაქტიკას მოწყვეტილი თეორია კი არ იქნება, არამედ პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტისას საიმედო ხელმძღვანელი და მკვიდრი დასაყრდენი.

ნი მაშინ თავისებურად ჰქონდათ წარმოდგენილი (იხ. ამავე განაკვეთში ქვემოთ).

თანამედროვე მეცნიერული გრამატიკის მორფოლოგიისა და სემასიოლოგიის ადგილი სასკოლო გრამატიკაში ეჭირა „ეტიმოლოგიას!“. ეტიმოლოგია განიხილავდა სიტყვის მნიშვნელობასაც და ე. წ. ფორმებსაც (დამოკიდებულების აღმნიშვნელსა და ფუძის მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს): სიტყვის ანალიზი ზედაპირული იყო, თვალსაზრისთა დიფერენციაციას ადგილი არ ჰქონდა და მთელი დარგი ერთობ პრიმიტიული იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ყველა ენაში ერთი და იმავე რაოდენობის მეტყველების ნაწილი დასტურდებოდა იმისდა მიუხედავად, თუ რანაირი აგებულების ენა იყო (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. მეშვიდე განაკვეთში).

ამგვარად: თანამედროვე მეცნიერული გრამატიკის დარგებს (ფონეტიკას, მორფოლოგიას, სემასიოლოგიას, ეტიმოლოგიას, სინტაქსს, სტილისტიკას) უპირდაპირდება სასკოლო ტექნიკური გრამატიკის ორი დარგი: ეტიმოლოგია და სინტაქსი. არ უნდა დავივიწყოთ — მართლწერაც: ეს პრაქტიკული გამოყენებითი ნაწილი სასკოლო გრამატიკის მესამე ორგანულ ნაწილს შეადგენდა.

ეს არაა შემთხვევითი; ამაში მყლავნდება არსებითი პრინციპული განსხვავება, რომელიც სასკოლო ტექნიკურსა და მეცნიერულს გრამატიკას შორის არსებობს — გრამატიკის ს ა გ ნ ი ს ა, მ ი ზ ა ნ - თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი - ს ი ს ა და მ ე თ ო დ ი ს მხრივ.

გრამატიკა შეიქმნა ქრ. წინ; ორ ხალხს ეკუთვნის აქ პირველობა: ინდოელებსა და ბერძნებს. ინდოელებს უკვე მეხუთე საუკუნეში ქრ. წინ დამთავრებული გრამატიკული სისტემა გააჩნიათ. პირველი ბერძნული გრამატიკა კი ჩნდება სამი საუკუნით უფრო გვიან, მეორე საუკუნეში ქრ. წინ, დამოუკიდებლად ინდური გრამატიკისაგან. როგრც ინდური, ისე ბერძნული გრამატიკა სამწერლო ენას შეისწავლის: ერთს შემთხვევაში შესწავლის საგანია ძვ. ინდური, მეორეში — ძვ. ბერძნული (კლასიკური ბერძნული). შესწავლის საჭიროება დაბადა იმან, რომ ცოცხალი მეტყველება განვითარდა და ძველი სალიტერატურო ენა გაუგებარი გახდა.

ამგვარად პირველი გრამატიკები ს ა მ წ ე რ ლ ო ე ნ ი ს გ რ ა მ ა - ტ ი კ ე ბ ი ა. ინდური გრამატიკა განზე დარჩა; ევროპის გრამატიკული აზროვნება ბერძნულ საგრამატიკო სისტემაზე აღიზარდა. ცნობილია, რომ ბერძნები ყველა არაბერძნულად მოლაპარაკეს „ბარბაროსებს“ უწოდებდნენ. ცხადია, მათი მეტყველება ქედმაღალი ბერძნის ყურადღების საგანი ვერ გახდებოდა და მათი ენის შესწავლით ბერძენი თავს არ შეიწუხებდა. ამიტომაც ევროპის ძველმა სამყარომ ბერძნულის გარდა მხოლოდ ლათინური გრამატიკა იცის; რ ო მ ი ს ი მ პ ე რ ი ი ს ძ ლ ი ე რ ე ბ ა ს შე ე -

სატყვისებო და ლათინური ენის გავრცელებულობა. მეოთხე საუკუნიდან ქრ. შემდეგ ათი საუკუნის განმავლობაში მთელს დასავლეთს ევროპაში მხოლოდ ლათინური ენის გრამატიკა იყო ცნობილი. საშუალო საუკუნის სკოლებში ამ ხნის განმავლობაში „გრამატიკა“ ნიშნავდა „ლათინურ გრამატიკას“, გრამატიკის სწავლა — ლათინური გრამატიკის სწავლას (როგორც ცნობილია, იმ დროინდელ სკოლებში სხვა არამრავალრიცხოვან საგანთა შორის გრამატიკას საპატიო ადგილი ეჭირა).

მაგრამ ლათინური დასავლეთ ევროპის ხალხთათვის არ იყო მშობლიური ენა (თვით იტალიაშიც სამწერლო ლათინური დაშორებული იყო ცოცხალ მეტყველებას). უცხო ენის შესწავლა, — ლათინურის შესწავლა, — ასეთ პირობებში მიზნად ისახავდა: ესწავლებინა მოწაფისთვის სწორედ წერა და ლაპარაკი იმ ენაზე, რომელიც ერთად ერთი სამწერლო გაბატონებული ენა იყო იმ ხანებში.

ამ პირობებში შეიქმნა გრამატიკის საყოველთაოდ ცნობილი განსაზღვრება: „გრამატიკა არის ხელოვნება, რომელიც გვასწავლის სწორად წერასა და ლაპარაკს“ (искусство правильно писать и говорить).

საშუალო საუკუნის ლათინური გრამატიკის ეს თვალსაზრისი ძვალსა და რბილში გაუჭდა სხვა ევროპულ ენათა გრამატიკებს, როცა ასეთები შეიქმნა (დაახლოებით მეხუთმეტე საუკუნიდან).

რა არის სასკოლო გრამატიკის საგანი? მხოლოდ სამწერლო ენა. რა მიზნით სწავლობს ის მას? მხოლოდ იმისთვის, რომ დაადგინოს, რა არის სწორი, მართებული და რა არის უმართებულო, უკანონო სალიტერატურო ენის თვალსაზრისით. რა არის და როგორ უნდა იყოს? აი კითხვა, რომელზედაც სასკოლო გრამატიკა პასუხის გაცემას ღაშობს. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ სასკოლო გრამატიკა სალიტერატურო ენის ფაქტების აღწერით კმაყოფილდება, ამ ფაქტების წარსულის ძიება, ფაქტების ახსნა მის მიზანს არ შეადგენს, ერთი სიტყვით, ისტორიული თვალსაზრისი მისთვის უცხოა.

საგანი: სამწერლო ენა ერთად ერთი ფასეული ენა (ცოცხალი მეტყველება ღირსებით სალიტერატურო ენას ვერ შეედრება!); მიზანი: თვალსაზრისი: რა არის სწორი, კანონიერი, სავალდებულო, რა — უკანონო და მაშასადამე, უარსაყოფი; მეთოდი: აღწერა სალიტერატურო ენის ფაქტებისა, ისიც ცალმხრივი და ძირითადი მიზნის შესაბამისი — აი სასკოლო ტექნიკური გრამატიკა. განა ბუნებრივი არ არის მის წიაღში „მართლწერა“ ისეთივე სრულუფლებიან დარგად მოგვევლინოს, როგორცაა ეტიმოლოგია და სინტაქსი?!

სასკოლო ტექნიკური გრამატიკის, ერთის მხრით შედგენილი

ბ ა ს ა (დარგები!) და, მეორე მხრით, მ ი ზ ა ნ - თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ს, ს ა გ ნ ი ს გ ა გ ე ბ ა ს ა და მეთოდს შორის მჭიდრო შინაგანი კავშირი არსებობს: თვალსაზრისი ვიწროა, მეთოდი პრიმიტიული, შინაარსი (შედგენილობა დარგების მიხედვით) — ლარიბი.

მეცნიერული გრამატიკის შედგენილობა უკვე გავითვალისწინეთ; მისი საგნისა, მიზანთვალსაზრისისა და მეთოდის შესახებ ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი პირველ განაკვეთში; აქ მხოლოდ მოკლედ მოვჭრით; მეცნიერული გრამატიკის (ენათმეცნიერების) ძირითადი საგანი ცოცხალი მეტყველებაა: რაობა ენისა, კანონზომიერება მისი განვითარებისა ბუნებრივი სახით ცოცხალს მეტყველებაშია მოცემული. სალიტერატურო ენა დიდ მნიშვნელოვანი კულტურული პროდუქტია, მაგრამ სწორედ ამიტომ სალიტერატურო ენა მოკლებულია ამ თავისუფლებას, რომელიც ცოცხალი მეტყველების განვითარებას ახასიათებს. მეცნიერული გრამატიკა (ენათმეცნიერება) განვითარების განვლილი ეტაპების გათვალისწინებისას მიმართავს სალიტერატურო ენას, მაგრამ სათანადო მონაცემთა ინტერპრეტაციისას მხედველობაში იღებს სალიტერატურო ენის ზემოხსენებულ თავისებურებას.

რაც შეეხება თვალსაზრისისა და მეთოდს, ძირითადია: რ ა მ ო - ვ ლ ე ნ ე ბ ი გ ვ ა ქ ვ ს? რ ო გ ო რ მ ი ვ ი ღ ე თ ი ს, რ ა ც გ ვ ა ქ ვ ს? რ ა ტ ო მ ი ყ ო გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ა ს ე თ ი თ უ ი ს ე თ ი? ცხადია, საკითხის ასე დასმისას „უკონონო“, „უარსაყოფი“ ფაქტი არ შეიძლება არსებობდეს: ის რაც „უკანონო“-დ და „უმართებულო“-დ არის მიჩნეული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, ენის კანონზომიერი განვითარების შედეგია, და ენის რაობისა და ენის განვითარების კანონების გარკვევის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

როგორს დამოკიდებულებაშია მეცნიერული გრამატიკა (ენათმეცნიერება) პრაქტიკულ საკითხებთან, როგორცაა მაგალითად, მართლწერის საკითხი სალიტერატურო ენაში? როგორც აღვნიშნეთ, ის არ აწესებს — „რა უნდა იყოს“, — მაგრამ იმის სწორი გარკვევით „რ ა ი ყ ო“ და „რ ო გ ო რ მ ი ვ ი ღ ე თ ი ს, რ ა ც გ ვ ა ქ ვ ს“, კერძოდ სალიტერატურო ენაში, — იგი იძლევა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველს მართლწერის საკითხთა მოსაგვარებლად: თეორიულად მკვიდრი მეცნიერული გრამატიკა შეუდარებელივ უფრო ს ა ი მ ე დ ო წ ი - ნ ა მ ძ ლ ო ლ ი ა პ რ ა ქ ტ ი კ ი ს ა, ვინემ სასკოლო ტექნიკური გრამატიკა თავისი პრიმიტიული თვალსაზრისითა და ყოველ მხრივ შეზღუდული შესაძლებლობებით.

---- . ----

ამ განაკვეთში წარმოდგენილია მეცნიერული და სასკოლო ტექნიკუ-

რი გრამატიკის ზოგადი დახასიათება და მეცნიერული გრამატიკის დარგთა ბუნებრივი თანამიმდევრობის სქემა.

ამ სქემის შესაბამისად მომდევნო განაკვეთები მიეძღვნება ფონეტიკას, მას მიჰყვება მორფოლოგია, სინტაქსი, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია და სტილისტიკა.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ფუძე? რა არის აფიქსი? რა არის მარტივი (ძირი) და ნაწარმოები ფუძე?
2. რა განსხვავებაა დამოკიდებულების აღმნიშვნელსა და მნიშვნელობის მცვლელ აფიქსს შორის? რა დამოკიდებულებაშია ერთი და მეორე ფუძესთან?
3. რა არის ფონეტიკის საგანი?
4. რა არის სემასიოლოგიის საგანი?
5. რა არის მორფოლოგიის საგანი?
6. რა არის ეტიმოლოგიის საგანი?
7. რა არის სინტაქსის საგანი?
8. რას სწავლობს სტილისტიკა?
9. რა განსხვავებაა პრაქტიკულ სასკოლოსა და მეცნიერულ გრამატიკას (ენათმეცნიერებას) შორის საგნის, მიზან-თვალსაზრისისა, მეთოდისა და აგრეთვე შედგენილობის (დარგები) თვალსაზრისით.

ЛИНГВИСТИЧЕСКАЯ ПРОПЕДЕВТИКА И ОБЩАЯ ФОНЕТИКА (вып. I-II) *

(РЕЗЮМЕ)

"Цель лингвистической пропетевтики – системно представить элементы языкознания так, как это возможно на современном этапе лингвистического знания" (Арн. Чикобава).

Язык, являясь предметом языкознания, характеризуется как система расчлененных звуковых знаков, представляющая орудие мышления и средство общения. Объектом исследования являются следующие вопросы: язык и человек, исторические изменения языковой системы, объект научной грамматики, часть слова, являющаяся носителем предметного значения, аффиксы, изменяющие значение и зависимость слова, эмоциональная окраска слова и др. Выделяются отрасли научной грамматики: фонетика, морфология, синтаксис, семасиология, стилистика.

В работе представлены те общие вопросы, которые возникают при лингвистическом анализе. Конкретные вопросы, связанные с классификацией языков и отраслями языкознания, предполагалось рассмотреть в последующих частях книги, но они в дальнейшем более не издавались (не удалось даже обнаружить их).

* Резюме составил В. Шенгелиа.

სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში

სახელთა ბრუნება და ზმნათა უღვლილება ის მინიმუმია, ურომლი-სოდაც გრამატიკის ელემენტების დასისტემებულ ცოდნაზე ლაპარაკი არ შეიძლება. თუ სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღვლილების საკითხები ჯეროვნად, სათანადო სისრულით არის დამუშავებული, შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული ცოდნა მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული.

რა საკითხებზე უნდა გაიცეს პასუხი სახელისა და ზმნის ანალიზის დროს? რა თანმიმდევრობით უნდა იქნას დასმული ეს საკითხები?

I. სახელის ანალიზი

სახელთა სრული ანალიზი გულისხმობს სახელთა დახასიათებას: ა) **ბრუნების პროცესის** თვალსაზრისით, ბ) **ფუძის აგებულება-შედგენილობის** თვალსაზრისით და გ) **ფუძის მნიშვნელობის** თვალსაზრისით.

ა) **სახელი ბრუნების პროცესის თვალსაზრისით.** ბრუნება ცვლილებაა ბრუნვასა და რიცხვში; ამიტომ ბრუნება ვიცით, თუ ვიცით, სახელი რა ბრუნვასა და რიცხვშია.

ქართულში არსებითად ერთი ბრუნებაა, ე.ი. ყველა სახელი ერთნაირ დაბოლოებას დაირთავს, როგორც მხოლოობითში, ისე მრავლობითში: მრავლობითობა ფუძეში აღინიშნება (ამხანაგ-ი: ამხანაგ-ებ-ი).¹

ეს ერთი ბრუნება რამდენიმე ვარიაციას იძლევა იმისდა მიხედვით, რანაირია ფუძე; ფუძე ქართულში ან თანხმოვანზე ბოლოვდება ან ხმოვანზე. **ფუძის** დაბოლოება უნდა განვასხვავოთ მთელი **სიტყვის** (სახელის) დაბოლოებისაგან. ქართულში ყოველი სიტყვა (სახელი), ადამიანთა ზოგე-

¹ ბრუნვათა დაბოლოებები მხოლოობითისაგან განსხვავებულია ძველებურს მრავლობითში. ამ ძველებურ მრავლობითის ზოგიერთი ფორმა (განსაკუთრებით ნათესაობითი!) ფართოდ არის გამოყენებული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში; მაგალითად: მუშა-თა კლასი, საბჭო-თა კავშირი, კლას-თა ბრძოლა. და მრავალი ამგვარი გამოთქმები. გარდა ამისა ზოგიერთი სიტყვები მხოლოდ ძველებურს მრავლობითს აწარმოებს სალიტერატურო ქართულში: ყველა — ყველანი, ის / იგი — ისინი / ივინი; ეს — ესენი, მან, ამან, მაგან, იმან — მათ, მაგათ, იმათ,... ამიტომ ძველებური მრავლობითის წარმოება არ შეიძლება მოწაფემ არ იცოდეს.

ირთი საკუთარი სახელის გამოკლებით, ხმოვანზე ბოლოვდება: წიგნი, კალამი, ფანქარი, კედელი, სახლი, ველი, მინდორი, ჰაერი, ქვეყანა, ძმა, და, მზე, მთვარე, კლდე, ტყე, კოლო, სოკო, წყარო, კალო, ბუ, ძუძუ, ყრუ, ცრუ...

ამათგან: ა, ე, ო, უ, ბოლოკიდური ხმოვნები ფუძეს ეკუთვნის, ფუძისეულია, **ი**-ხმოვანი სახელობითის დაბოლოებაა; **ი**-ზე დაბოლოებული სიტყვების **ფუძე** კი თანხმოვანზე ბოლოვდება (წიგ**ნ**-, კალამ**ი**-, ფანქარ**ი**-, კედელ**ი**-...). **ი**-ზე დაბოლოებული ფუძე ქართულმა თავისი მხოლოდ ერთი იცის (ვი-ნ), სხვა შემთხვევები, სადაც — **ი** — ფუძისეულია (ჩაი, ტრამვაი, პაი... გიორგი, აკაკი, ალექსი...), მეტწილად ადამიანთა სახელები, უცხოური წარმოშობისაა, ნასესხებია...

ფუძის გამოყოფის წესი: მოთხრობითს (ან მიცემითს) ბრუნვაში დაბოლოების (-მა/-მ... ან/-ს) მოცილების შემდეგ ვიღებთ ფუძეს: წიგ**ნ**-მა, კალამ**ი**-მა, სახლ**ი**-მა,... გიორგ**ი**-მ, ტრამვ**ა**ი-მ, ძმ**ა**-მ, და**ი**-მ... კლდ**ე**-მ, ტყ**ე**-მ... კოლო**ი**-მ, წყარ**ო**-მ... ბუ**ი**-მ, ცრუ**ი**-მ...

თუ ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება, ბრუნვის ნიშნები ნორმალურის სახით არის წარმოდგენილი; ამასთანავე თუ ფუძე თავის ბგერით შედგენილობას შეუბღალავად შეინარჩუნებს, ბრუნვის პროცესი ყველაზე მარტივი სახისა იქნება: ფ უ ძ ე ს რ უ ლ ი ს ა ხ ი თ წ ა რ მ ო გ ვ ი დ გ ე ბ ა , და ბ ო ლ ო ე ბ ა ც — ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე .

ნიმუში: სახლ**ი**-, სახლ**ი**-მა, სახლ**ი**-ს, სახლ**ი**-ად, სახლ**ი**-ის, სახლ**ი**-ით... სახლ**ი**-ებ**ი**-, სახლ**ი**-ებ**ი**-მა, სახლ**ი**-ებ**ი**-ს.

ამ მარტივი შემთხვევისაგან გადახვევას ადგილი აქვს ორი მიმართულებით: ან დაბოლოებაა უცვლელი და ფუძე განიცდის ცვლილებას (აკლდება ხმოვანი) ანდა პირუტყუ: ფუძე უცვლელია, დაბოლოება განიცდის ცვლილებას (აკლდება ხმოვანი).

როგორც ცნობილია, ფუძის ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ან იკუმშება ან იკვეცება ანდა იკუმშება და იკვეცება ერთსა და იმავე დროს: მი უ ე ზ ი ხმოვნით დაწყებული დაბოლოებაა ანდა მრავლობითობის სუფიქსი -ებ. (ნათესაობ., მოქმედ., ვნებ. და ებ-იან მრავლობითში ყველა ბრუნვა).

თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძე იკუმშება: ეკარგება ფუძის შიგნით **-ა**, **-ე** ხმოვანი, — ეკარგება ან **ვ**-დ უსუსტდება **ო**: კალამ**ი**-**ო**... კალმ**ი**-**ად**... კალმ**ი**-**ით**... კალმ**ი**-**ებ**-ი (მრავლობითის ყველა ბრუნვაში: კალმ**ი**-**ებ**-მა, კალმ**ი**-**ებ**-ს... და სხვ.).

კედელ**ი**-**ი**... კედლ**ი**-**ად**, კედლ**ი**-**ის**, კედლ**ი**-**ით**... კედლ**ი**-**ებ**-ი (მრავლობითის ყველა ბრუნვაში: კედლ**ი**-**ებ**-მა, კედლ**ი**-**ებ**-ს... და სხ.).

მინდორ-ი... მინდვრ-ად, მინდვრ-ის, მინდვრ-ით, მინდვრ-ებ-ი (მრავლობითის ყველა ბრუნვებში: მინდვრ-ებ-მა, მინდვრ-ებ-ს... და სხვ.).

ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე იკვეცება: ეკარგება ბოლოკიდური -ა, -ე (თუ ეს -ა, -ე ადამიანთა სახელებისა და გვარების დაბოლოება არაა): მიწა... მიწ-ის, მიწ-ით... მიწ-ებ-ი, მიწ-ებ-მა, მიწ-ებ-ს და სხვ.).

კლდე... კლდ-ის, კლდ-ით (მრავლობითში არ იკვეცება: კლდე-ებ-ი, კლდე-ებ-მა, კლდე-ებ-ს...).

ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე **იკვეცება** და **იკუმშება** (ხმოვანი შიგნითაც ეკარგება და ბოლოშიც):

ქვეყანა... ქვეყნ-ად, ქვეყნ-ის, ქვეყნ-ით... ქვეყნ-ებ-ი, ქვეყნ-ებ-მა, ქვეყნ-ებ-ს...

-ა და **-ე**-ზე დაბოლოებული ადამიანთა სახელები და გვარები, თუ ზოგადი სიტყვისაგან არ არის ნაწარმოები, უკვეცად რჩება: თომა, ალექსანდრე... გეგენავა, პუანკარე... აქ დაბოლოების ხმოვანი არ იკვეცება (იხ. ქვემოთ). უკვეცად რჩება აგრეთვე მაწარმოებელი **-ა:** ჭრიჭინა — ჭრიჭინას(ი), კატაბალახა — კატაბალახას(ი)...

ზოგადი სიტყვისაგან ნაწარმოები გვარები იკვეცება; ეს მაშინ, თუ გვარი ზოგადი სახელისაგან წარმომდგარა ანდა ზოგად სახელს „ძე“-ს დაირთავს: გიორგაძე, მეტუკე, მენაბდე — გიორგაძის, მეტუკის, მენაბდის...

(შეადარე: ძე — ძის... მენავე — მენავის... მეჩქემე — მეჩქემის...).

ო და **უ**-ზე დაბოლოებული ფუძეები არც იკვეცება და არც იკუმშება, უცვლელად რჩება ზოგადი სახელიცა და ადამიანის სახელიც, სამაგიეროდ ბრუნვის ნიშანი კარგავს თავკიდურ ხმოვანს:

წყარო... წყარო-ს(ი), წყარო-თ(ი)... ანდრო... ანდრო-ს(ი), ანდრო-თ(ი)...

ყრუ... ყრუს(ი), ყრუ-თ(ი)...¹ დუტუ... დუტუ-ს(ი), დუტუ-თ(ი)...

„სასიამოვნოა წყალი წყაროსი“ — „ვსვამ წყაროს წყალს“ „წყაროს“ ორსავე შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვაა, მაგრამ მხოლოდ პირველ შემთხვევაში (წყაროსი) განსხვავდება ის მიცემითისაგან: „ვსვამ წყაროს წყალს“ — „ვეწაფები წყაროს წყალს“ — და „ვეწაფები წყაროს“. პირველ ორ წინადადებაში „წყაროს“ ნათესაობითს ბრუნვაშია, უკანასკნელში — მიცემითში: ნათესაობითი დაემსგავსა მიცემითს იმიტომ, რომ ნათესაობითის დაბოლოებას (**-ის**) დაეკარგა **-ი** და შეგვრჩა **-ს**, ისეთივე დაბოლოება, როგორც მიცემითში.

ასევე: „დაიწვა თომას სახლი“ (ვისი სახლი?) და „დაეწვა თომას სახლი“ (დაეწვა ვის?); „თომას“ სახელს ნათესაობითშიაც **-ს** აღმოაჩნდა და მიცემითშიაც.

¹ ძვ. ქართულში აქ დაბოლოება უცვლელად რჩებოდა: წყარო-მს, ყრუ-მს...

გარჩევა მოვახერხეთ; ახსნა გვჭირდება; ამისათვის კი ფუძის თვისებაა გასათვალისწინებელი: ხმოვანზეა ფუძე დაბოლოებული თუ თანხმოვანზე; თუ ხმოვანზეა, რა ხმოვანზე? იკვეცება თუ არა ეს ხმოვანი? თუ პირიქით, თვითონ რჩება და დაბოლოების ხმოვანს კვეცს...

ფუძისა და დაბოლოების ურთიერთობის ცოდნა და ფუძის შეკუმშვა-შეკვეცის გათვალისწინება საჭიროა სხვა მხრივაც; შეკუმშვა-შეკვეცა ფონეტიკური პროცესებია; ჩვეულებრივად ამათ მხედველობაში არ იღებენ, როცა ფუძეს გამოყოფენ ხოლმე; ამიტომ ხდება ხოლმე რომ „მიწა, კლდე, სახრე“... და ამგვარ ბოლოკვეცად სახელებში ფუძედ შეცთომით მიაჩნიათ მიწ-, კლდ-, სახრ-: ე. ი. ის ნაწილი, რომელიც ყველა ბრუნვაში უცვლელად არის შემონახული... მაგრამ ასე რომ ვიმსჯელოთ: „ქვეყანა, ქარხანა“ და ამგვარ სიტყვათა ფუძე „ქვეყნ“, „ქარხნ“, იქნებოდა... ამიტომ ფუძის გამოსაყოფად მოთხრობითია (და მიცემითი) აღებული, აქ ფუძე დაბოლოების ზეგავლენით არავითარ ცვლილებას არ განიცდის, შეუბღალავად არის მოცემული...

დასკვნა: ბრუნების პროცესის თვალსაზრისით სახელის დახასიათებისას უნდა გაირკვეს:

ა) როგორი ფუძეა	თანხმოვანზე დაბოლოებული	უკუმშავი კუმშვადი (ა, ე, ო)
	ხმოვანზე დაბოლოებული	
ბ) რომელი რიცხვია	მხოლოდობითი	ახალი (-ებ) წარმოებისა ძველებურად ნაწარმოები (-ნ/-თა-)
	მრავლობითი	
გ) რომელი ბრუნვაა...		

ბ) სახელი **ფუძის აგებულება-შედგენილობის თვალსაზრისით.** სახელი დავახასიათეთ ბრუნების პროცესის თვალსაზრისით; ამან გამოიწვია ფუძის დახასიათება ბოლოკიდური ბგერის მიხედვით; ფუძის შესწავლა ამით არ უნდა მთავრდებოდეს. შემდგომი საკითხია ფუძის აგებულება-შედგენილობის საკითხი.

ფუძე შეიძლება იყოს:

ა) **მარტივი:** ფუძეში აფიქსები და ახალი ფუძე არ გამოიყოფა. ფუძე არ იშლება, ფუძე უდრის ძირს (კაც, კედელ, ამხანაგ, კლდე...).

ბ) **ნაწარმოები:** ფუძეში გამოიყოფა ახალი ფუძე და მაწარმოებელი აფიქსები; ეს ახალი ფუძე შეიძლება იყოს მარტივი ან თავის მხრივ ნაწარმოები: საკაცე: სა-კაც-ე; სნეულ: ს(ე)ნ-ეულ...

სასაკლაო: სა-საკლა(ვ)-ო: საკლა-ვ-ი-ც ნაწარმოებია სა-კლა-ვ:

გ) **რთული:** (კომპოზიტი) ფუძე შედგება ერთზე მეტი (ორი, სამი...) მარტივი ან ნაწარმოები ფუძისა და აფიქსებისაგან: ლომ-კაც... ცოლ-შვილი... თავგასული... თავ-ქუდ-მოგლეჯილი...

აქ სასურველია, გაირკვეს: რას ნიშნავდა ფუძე წარმოებამდის და როგორ ეცვალა მნიშვნელობა ახალი ფუძის წარმოებისას (ცხენ: ცხენ-ოსანი-ი... მამა: მამულ-ი... ხარ: მე-ხრ-ე... გმირ: გმირ-ობ-ა... დღე: დღე-ობა. ამით სიტყვის მნიშვნელობაც ყურადღების ცენტრში დადგება, მნიშვნელობის ცვლაც საინტერესო მოვლენებს გაგვირკვევს... და სახელის ანალიზს საინტერესოს გახდის.

გ) ამით გადავდივართ **ფუძის მნიშვნელობის საკითხზე**, უკეთ რომ ვთქვათ, ფუძეთა კლასიფიკაციაზე მნიშვნელობის თვალსაზრისით. ეს საკმაოდ რთული საქმეა, მასთან ნაკლებად დამუშავებული. მაინც შეიძლება მიექცეს ყურადღება საკითხს: მნიშვნელობათა რა კლასს ეკუთვნის ესა თუ ის სახელი, რას აღნიშნავს იგი: საგანს (კონკრეტულს, განყენებულს), თვისებას მის მატარებელ საგანთან კავშირში (წ ი თ ე ლ ი დაფა), თუ ამგვარ საგანთან კავშირის გარეშე (სიწითლე, სილამაზე...), რიცხვს (ასი, ათასი...), მოქმედება-მდგომარეობას მოქმედ საგანთან კავშირის გარეშე (კეთება, წერა, დგომა...), კითხვას (ვინ? რომელი?...).

სახელის დახასიათება, ფუძის მნიშვნელობის თვალსაზრისით, აუცილებელია იმიტომ, რომ მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ე ნ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს ა ს ე მასიოლოგიას (მოძღვრებას მნიშვნელობის შესახებ) საგანგებოდ არ გადიან; მნიშვნელობათა ანალიზის გარეშე კი სტილის საკითხების მოწესრიგება შეუძლებელია.

სახელთა ანალიზისათვის ზემოხსენებულ საკითხთა გარკვევა საკმარისი იქნებოდა, რომ საქმის ვითარებას ქართული ენის ორი თავისებურება არ ართულებდეს; მხედველობაში გვაქვს თანდებულის დართვა და მსაზღვრელის საზღვრულთან ერთად ბრუნება.

თანდებულის დართვა

ცნობილია, რომ ევროპულ ენათა წინდებულის ადგილს ქართულში იჭერს თანდებული (послелог): ეს თანდებულები ერთვიან სახელებს ამა თუ იმ ბრუნვაში და ზოგჯერ ისე უცვლიან ხოლმე სიტყვას სახეს, რომ ბრუნვის ამოცნობა ჭირს; ხდება ისიც, რომ თანდებული თითონაც განიც-

დის ცვლილებას ბრუნვაზე დართვისას.

ამხანაგისთვის, ამხანაგისკენ, ამხანაგისგან... გამჭვირვალე აგებულე-ბისაა: მარტივად დაიშლება ბრუნვად და თანდებულად: ამხანაგის-თვის, ამხანაგის-კენ, ამხანაგის-გან...

მაგრამ: ქალაქში, ქალაქზე, ქალაქამდის... ადვილად შეიყვანს შეცთომამში მოწაფეს, თუ ის დაემყარება **-ში, -ზე, -მდის** ნაწილაკების (თანდებულების) მოცილების შემდეგ დარჩენილ ნაწილებს და ანგარიშს არ გაუწევს თანდებულის დართვისას მომხდარ ცვლილებას.

„ქალაქიდან, სოფლიდან, წიგნიდან“ და მაგგვარებში კი მოწაფე ვერც თანდებულს მიაკვლევს და ვერც სახელის დაბოლოებას, რადგანაც თანდებულმა დაბოლოებას უცვალა სახე და შეცვლილმა დაბოლოებამ თანდებულის პირვანდელი გარეგნობის ცვლა განსაზღვრა და იგი უცნობი გახდა: ქალაქიდან < ქალაქიდ-გან < ქალაქით-გან...

გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მოწაფე, რომელიც ბრუნებაში რიგიანად ერკვევა, თანდებულიან ბრუნვებს თავს ვერ ართმევს.

რუსულში ასეთ რამეს ადვილი არა აქვს: „ქალაქიდან — из города, ძმისთვის для брата, (ვლაპარაკობ) ძმაზე — (говорю) о брате“... წინდებულთ მართული ბრუნვის ამოცნობა რუსულში ისევე ადვილია, როგორც უწინდებულოში. ქართულში კი **მოწაფემ ბრუნება ჭერ კიდეც არ იცის, თუ თანდებულიან სახელთა ბრუნებას არ იცნობს.**

იქნება კითხვებმა გვიშველონ თანდებულიანი ბრუნვების ამოცნობისას? იმედი ფუჭია! კითხვებს ვერ დავემყარებით: ქ ა ლ ა ქ ზ ე — რაზე (სად)? ქ ა ლ ა ქ შ ი — რაში, სად? ქ ა ლ ა ქ ი დ ა ნ — საიდან? ქ ა ლ ა - ქ ა მ დ ის — სანამდის? დასმული კითხვები ისევე გაურკვეველია, როგორც ის, რაც მისი საშუალებით უნდა გამოვიცნოთ, ზოგჯერ უფრო მეტადაც.

თანდებულები: **-კენ, -თვის** ნათესაობითს ბრუნვასთან დაისმის: ამხანაგის-კენ, ამხანაგის-თვის...

-ზე, -ში, -თან მიცემითს ბრუნვას მოითხოვენ: ამხანაგზე (ძვირფასი), ამხანაგ-ში (მოვტყუვდი), ამხანაგ-თან (ვცხოვრობ).

-მდის ვნებითს (მიმართულებითს) ბრუნვას მოითხოვს: ქალაქა-მდის < ქალაქად-მდის)...

-ურთ (როცა იხმარება) მოქმედებითს ბრუნვას მოითხოვს; კალმის ტარი კალმითურთ (=კალმიანად).

-გან ნათესაობითსა და მოქმედებითს მოითხოვს: ამხანაგის-გან... ქალაქიდ-ან...

თანდებულის როლში გამოდის ნაწილაკი **-ვით**, რომელიც ხან მიცემითს დაერთვის (ძმასავით), ხან — სახელობითს (ამხანავით)...

როგორც თანდებულის, ისე უთანდებულო სახელებს შეიძლება დაერთოს ნაწილაკები (-ვე, -ცა, -ლა, -მე...): ამხანავმაც, ამხანავსაც, ამხანავითაც, ამხანავადაც... ამხანავ-შიაც, ამხანავ-ზედაც, ამხანავისთვისაც, ამხანავ-თანაც... რომლისა-მე... ვის-მე... იმან-ლა...

ყველა ამ შემთხვევაში ნაწილაკები პირველ ყოვლისა უნდა მოვაცილოთ.

სახელს ხშირად **-ა** და **-ო** ნაწილაკებიც დაერთვის; ეს **-ა** მეშველი ზმნის ნარჩენია და შემასმენლის როლს ასრულებს: ღამეა... (=ღამე არის)... ამხანავია (=ამხანავი არის)... ამხანავისთვისაცაა (=ამხანავისთვისაც არის)... **-ო** სხვის ნათქვამობას აღნიშნავს და სახელსაც შეიძლება დაერთოს და ზმნასაც: დავითმაო, შემოთვალაო... იმანა თქვაო... ეს ნაწილაკებიც უნდა მოვაცილოთ:

ამგვარად აუცილებელია მოწაფემ იცოდეს, **რა თანდებულები რა ბრუნვებს მოითხოვენ და სახელთან შეერთებისას რა ცვლილებას იწვევენ.**

მართალია, ეს სინტაქსის საქმეა, თანდებული ბრუნვას მართავს; მართვის რაობა მოწაფემ ჯერ კიდევ არ იცის, მაგრამ მართვის **ფაქტები** მან დაუბრალოებლივ შეიძლება შეისწავლოს და უნდა შეისწავლოს. მართვის სინტაქსურ რაობას და თანდებულის ბრუნვათა მნიშვნელობას ის სინტაქსში გაიცნობს.

მსაზღვრელის ბრუნვა საზღვრულთან ერთად

ქართული ბუნების ერთი საგულისხმო თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ სახელი, ცალკე აღებული სხვანაირად იბრუნვის და სხვანაირად იბრუნვის სახელი, რომელიც მეორე სახელის მსაზღვრულად არის გამოყენებული და მას წინ უძღვის.

აქ ორი შესაძლებლობაა: წინამავალი მსაზღვრელი სახელი სულ არ იცვლება; ეს მაშინ, თუ მისი ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება: ყრუ მოხუცი, სასიამოვნო მოხუცი, ბრმა მოხუცი, მხნე მოხუცი...

წინამავალი მსაზღვრელი სახელი იძლევა ასეთს ცვლილებებს, რომლებიც უცხოა მისთვის ცალკე ბრუნებისას: დღიური მიწის... მშვენიერის ხმით... ღამაზ სახლს... იშვიათ მაგალითს... სასიამოვნო ამბავს...

მოვლენა სინტაქსურის ბუნებისაა; სინტაქსური მოვლენების ზეგავლენით მორფოლოგიურმა პროცესმა სახე იცვალა და თუ ეს ცვლილება არ გავათვალისწინებინეთ მოწაფეს, ის ცალკე დაიწყებს მსაზღვრელის ბრუნვის დახასიათებას და სრულებით უმართებუ-

ლო დასკვნამდის მივა:

დღიური მიწის: დღიური — სახელობით გამოვა, მიწის — ნათესაობითი...

დღიურის მიწით: დღიურის — ნათესაობითი იქნება, მიწით — მოქმედებითი...

ბრმა მოხუცმა: ბრმა — სახელობითი აღმოჩნდება, მოხუცმა — მოთხრობითი...

ყრუ მოხუცს: ყრუ — სახელობითი, მოხუცს — მიცემითი...

ნამდვილად კი ყველა ამ შემთხვევაში მსაზღვრელი იმავე ბრუნვაშია, რაშიაც მომდევნო საზღვრულია დასმული...

როცა მსაზღვრელი ერთზე მეტია და სხვადასხვაგვარი (თანხმოვ. ბოლოკიდურიანი, ხმოვანბოლოკიდურიანი), შეცთომის პერსპექტივები უფრო დიდად არის გაშლილი (გამოვიდა მთავარი სასხდომო დარბაზიდან... სხდომა გაიმართა ცენტრალურ სამალარო დისპანსერში...).

ამიტომ: სახელთა ანალიზის დროს აუცილებლად უნდა იქნას გარკვეული: ცალკე სხვა სახელისაგან დამოუკიდებელი არის ნაბრუნები სახელი თუ იგი სხვა სახელის წინამავალი მსაზღვრელია?

ეს კითხვა არა თუ უნდა დაისვას, არამედ **ის იმ თავითვე უნდა იქნას გარკვეული**, თუ გვინდა შეცთომის ერთი მთავარი წყარო მოვსპოთ.

ზემოხსენებული საანალიზო კითხვები ასეთის ლოგიკურის თანამიმდევრობით წარმოგვიდგება:

1. სახელი იბრუნვის სხვა სახელისაგან დამოუკიდებელი თუ:

სხვა სახელის მსაზღვრელია } ა) წინამავალი (ბედნიერი დღე)...
 } ბ) მომდევნო (დღე ბედნიერი)...
 რა ბრუნვაშია საზღვრული (დღე)

2. დამოუკიდებელი სხვა სახელისაგან ნაბრუნები სახელი } ა) თანდებულიანია } ნაწილაკიანი } უნაწილაკო
 } ბ) უთანდებულოა } ნაწილაკიანი } უნაწილაკო

3. სახელი } ა) რომელ რიცხვშია } მხოლოდობითში } მრავლობითში
 } ბ) რომელ ბრუნვაშია? } }
 ბრუნვას რა ნიშანი აქვს? } }
 } } } -ებ-იანი }
 } } } ძველებური }
 } } } (ნ/თ ა - თ ი }
 } } } ნაწარმოები)

4. (უთანდებულო) სახელის ფუძე ბრუნების პროცესის თვალსაზრისით
- ა) თანხმოდანზე ბოლოვდება } კუმშვადი რა იკუმშება
უკუმშვადი
- ბ) ხმოდანზე ბოლოვდება } კვეცადია... რა იკვეცება? როდის? უკვეცია... რატომ?
5. სახელის ფუძე აგებულება- შედგენილობის თვალსაზრისით
- ა) მარტივი
- ბ) ნაწარმოები... რისგან? რა აფიქსებით?
- გ) რთული... შედგება რისგან? მარტივი თუ ნაწარმოები ფუძეებისაგან?
6. სახელის ფუძე მნიშვნელობის თვალსაზრისით (მნიშვნელობათა რა კლასს ეკუთვნის?)
- აღნიშნავს საგანს
- „ თვისებას...
- „ რიცხვს
- „ მოქმედება-მდგომარეობას...
- „ კითხვას

სახელის ანალიზისას ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხის გაცემა ბუნებრივად აკავშირებს მორფოლოგიას, ერთის მხრით, ს ე მ ა ს ი ო ლ ო - გ ი ა ს თ ა ნ და, მეორე მხრით, ს ი ნ ტ ა ქ ს თ ა ნ და იძლევა სახელის სრულ სურათს. ეს ანალიზი მკვიდრი დასაყრდენი იქნება შემდგომი მუშაობის პროცესში ს ი ნ ტ ა ქ ს ი ს თ ვ ი ს ა ც და ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ი ს - თ ვ ი ს ა ც.

აქვე ვურთავთ სახელთა ანალიზის მცირე საილუსტრაციო მასალას.

„ზღვის კალთიდან წამოვიდა ნელ-ნელა ნისლთა გროვა,
და ჩვენს ტყეში, ჩვენს მინდვრებში მხიარულად ჩამოთოვა“

აქ სახელებია: 1. ზღვის... 2. კალთიდან... 3. ნისლთა... 4. გროვა... 5. ჩვენს... 6. ტყეში... 7. მინდვრებში... 8. მხიარულად...

1. ზღვის... არც ნაწილაკი, არც თანდებული არ ახლავს: აქ მოცემულია მხოლოდბითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვა; ნათესაობითის დაბოლოებაა **-ის**; ფუძე ბოლოვდება **-ა** ხმოდანზე: ზღვა, ზღვა-მ, ზღვა-ს... ფუძეს **ა** ეკვეცება:

ზღვა — ზღვის, ზღვ-ით... ზღვ-ები, ზღვებ-მა და სხვ. ფუძე მარტივია (არ დაიშლება და აღნიშნავს კონკრეტულს საგანს).

2. კალთიდან... თანდებულიანი ბრუნვა კალთიდ-ან (< კალთიდ-გან < კალთით-გან); -გან თანდებული დართული აქვს მოქმედებითს ბრუნვას, რიცხვი მხოლოდბითია, ფუძე ბოლოვდება ხმოვნით: კალთა- კალთა-მ, კალთა-ს... ეს ბოლოკიდური **-ა** ფუძეს ეკვეცება: კალთა- კალთ-ის, კალთ-ით... კალთ-ებ-ი, კალთ-ებ-ს და სხვ.

ფუძე მარტივია; აღნიშნავს კონკრეტულ საგანს, ამ შემთხვევაში ეს სიტყვა ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით.

3. ნისლთა... სხვა სახელს არ უთანხმდება... არც ნაწილაკი, არც თანდებული დაერთვის... წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ნათესაობითს ბრუნვაში (ნისლთა გროვა — ნისლების გროვა); მრავლობითი ძველებურია: ნისლ-**ნი** — ნისლ-**თა**... ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება: ნისლ-ი, ნისლ-მა, ნისლ-ს... ფუძე მარტივია; აღნიშნავს კონკრეტულ საგანს...

4. გროვა... სხვა სახელს არ უთანხმდება; არც ნაწილაკი, არც თანდებული არ დაერთვის... დასმულია მხოლოდობითი რიცხვის სახელობითს ბრუნვაში... ფუძე ბოლოვდება ხმოვანზე: გროვა. ეს **-ა** ფუძეს ეკვეცება: გროვ-ის, გროვ-ით... ფუძე მარტივია; აღნიშნავს ერთად შეყრილ საგანთა ჯგუფს: „ნისლთა გროვა“, „ქვების გროვა“... აქედან ზმნა: აგროვებს — თავს ერთად უყრის...

5. „ჩვენ (ს) უთანხმდება სახელს „ტყეში“ („ჩვენს ტყეში“) და უკანასკნელის შემდეგ უნდა გავარჩიოთ... „ტყეში“ -ში თანდებულიანად არის ნახმარი და, მაშასადამე, მიცემითი ბრუნვაა (ტყეში → ტყესში): **ს** დაბოლოება დაკარგულია **შ**-ს წინ... რიცხვი მხოლოდობითია; ფუძე ბოლოვდება **-ე** ხმოვანზე, რომელიც იკვეცება ნათესაობითსა და მოქმედებითში (ტყ-ის, ტყ-ით); არ იკვეცება მრავლობითში: ტყე — ტყეები...

ფუძე მარტივია... აღნიშნავს კონკრეტულ საგანს.

ჩვენს აგრეთვე მიცემითს ბრუნვაშია, მხოლოდობითს რიცხვში; მსაზღვრელია სახელისა „ტყეში“... ფუძე ბოლოვდება თანხმოვნით: ჩვენი — ჩვენ-მა — ჩვენ-ს... ფუძე მარტივი... აღნიშნავს კუთვნილებას, ითქმის მაშინ, როცა საგანი მრავალთ ეკუთვნის; შეადარე: ჩვენს ტყეში — ჩემს ტყეში...

6. ჩვენ(ს) მინდვრებში... ჩვენ(ს) — იხ. ზემოთ. მინდვრებში — „ში“ თანდებულს დაირთავს, მიცემითია, მრავლ. რიცხვისა. ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება: მინდორი, მინდორ-მა... მინდვრებ-ი... იკუმშება: მინდორი — მინდვრის, მინდვრით, მინდვრად..

ფუძე მარტივია; აღნიშნავს კონკრეტულ საგანს...

7. მხიარულად... ვნებითი ბრუნვაა, მხოლ. რიცხვისა. ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება... არ იკუმშება... არ იშლება (მარტივია)... აღნიშნავს თვისებას, აქ (ვნებითს ბრუნვაში) „როგორობას“. მხიარულად, როგორ?...

P. S. ეს წერლი მიზნად ისახავს, დახმარება აღმოუჩინოს, პირველ ყოვლისა, მასწავლებელს. მოწაფეს წერილში ნაჩვენები წესების თანახმად, სრული ანალიზის წარმოება უნდა შეეძლოს, ყოველ შემთხვევაში, მეშვიდე ჯგუფში, როცა გრამატიკული ცოდნა სისტემაში მოჰყავთ. ზოგიერთი საკითხები კი (თანდებულები, მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნე-

ბა) წინა ჯგუფებშივე უნდა გაირკვეს, ბრუნების შესწავლასთან დაკავშირებით.

II. ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში

პირველს წერილში მსჯელობა გვქონდა სახელის ანალიზის პრინციპების შესახებ; განვიხილეთ, **რა საკითხებზე** უნდა გაიკვეს პასუხი სახელის ანალიზთან დაკავშირებით და **რა თანამიმდევრობით** უნდა ისმებოდეს ეს საკითხები.

ზმნის ანალიზი ანალოგიური საკითხების გარკვევას გულისხმობს. ოღონდ ეს საკითხები უფრო მრავალფეროვანია და რთულიც. რა იწვევს ამას. სახელი იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით; გარდა ამისა გასარკვევია სახელის ფუძის აგებულება და მნიშვნელობა; თანდებულები, ნაწილაკები და მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებული მოვლენები დანართ მომენტს წარმოადგენენ. ძირითადია პირველი ოთხი საკითხი. რაც შეეხება ზმნას, იგი იცვლება ჩვეულებრივად პირის, რიცხვის, დროის, ასპექტის, კილოსა და გვარის მიხედვით; ქართულს ზმნებში მას ერთვის გარდამავლობა-გარდუვალობის თავისებური მოვლენები, ქცევა, გზა, ფუძეთა განსხვავებულობის საკითხი. საკითხების ეს ნუსხაც ცხადყოფს, რომ ჩვენი ზმნა რთულია და მასში გარკვევაც ძნელი უნდა იყოს.

ამ სირთულეს ჩვეულებრივად მარტივად უვლიან: კმაყოფილდებიან მხოლოდ ზოგიერთი კითხვის დასმით — რა დროა, რა კილოა? რომელი პირია? უყურადღებოდ რჩება რიგი საკითხები, რომელთა გარკვევას უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს (ასეთია, მაგალ., გარდამავლობა-გარდუვალობის საკითხი); ზოგი საკითხიც უმართებულოდ მუქდება (პირის საკითხი, მაგალ.).

როგორც სახელთა ანალიზისას, ისე აქაც ჩვენი მიზანია მასწავლებელს მივუთითოთ — საიდან უნდა დავიწყოთ ზმნის ანალიზი და რა თანამიმდევრობით უნდა განვიხილოთ მთავარი საკითხები, თუ გვინდა, ზმნის რთულს სისტემაში არ გავიხლართოთ და გზა-კვალი არ აგვებნას. რა თქმა უნდა, ანალიზის პროცესში მრავალი ისეთი საკითხი დაჩნდება, რომელთა არსებობასაც არ ვამჩნევდით, მაგრამ ყველა ამ საკითხს მოევლება, თუ ძირითად საკითხებში გარკვევა მოვახერხეთ. ხაზგასმით აღვნიშნავთ: მასწავლებელი, რომელიც ამ ძირითად საკითხებში ვერ ერკვევა, მოწაფეს ქართულ ზმნას ვერ შეასწავლის.

პირველი ძირითადი საკითხი **პირის** საკითხია. ეს ძირითადი საკითხი რამდენიმე კერძობითი საკითხის გარკვევას გულისხმობს.

ზმნა პირის მიხედვით იცვლება, ეს ყველამ იცის, იცის ისიც, რომ პირი სამია: პირი მოლაპარაკე (დაკავშირებული სახელებთან: მე, ჩვენ);

პირი, რომელსაც ელაპარაკებიან (დაკავშირებული სახელებთან: შენ, თქვენ); პირი, რომელთა შესახებაც ლაპარაკობენ (დაკავშირებული სახელებთან: ის, იგი და ყველა დანარჩენი სახელთან — „მე, ჩვენ, შენ, თქვენ“-ის გამოკლებით). ვარსებობ (მე) — პირველი პირია, არსებობ (შენ) — მეორე პირი, არსებობს (ის) — მესამე პირი. ვარსებობთ (ჩვენ) — ისევ პირველი პირია, ოღონდ მრავლობითი რიცხვისა, არსებობთ (თქვენ) — მეორე პირი მრავლობითი რიცხვისა, არსებობენ (ისინი) — მესამე პირი მრავლობითი რიცხვისა. პირის მიხედვით იცვლება ზმნა რუსულში და სხვა ევროპულ ენებშიც (существую я, существуешь ты, существует он...).

ამიტომ ბუნებრივი უნდა იყოს, როცა კითხვას სმენ: **რომელი პირია?** ამგვარი კითხვით დაწყება რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში კანონზომიერია, ჩვენი ზმნის პირის ძიებისას ამით დაწყება **სრულიად მიზანშეუწონელია.**

პირველი კითხვა, რომელსაც პირის საკითხთან დაკავშირებით ვსვამთ, **უნდა იყოს არა ის, თუ „რომელი პირია“, არამედ ის, თუ რამდენი პირია ზმნაში,** ანუ რამდენპირიანია ზმნა?

რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში ყველა ზმნა ერთპირიანია, ე. ი. ზმნის ყოველს ფორმაში აღინიშნება მხოლოდ ერთი სახელის პირი, პირი მოქმედისა, სუბიექტისა. ქართულში კი ზმნა შეიძლება იყოს **ერთპირიანიც, ორპირიანიც და სამპირიანიც.**

ერთპირიან ზმნაში აღინიშნება მხოლოდ ერთი პირი, პირი მოქმედისა, სუბიექტისა; ასეთია, მაგალითად, ზმნები: ის — წერს, წვება; ზის; ჯდება, კვდება, ცივდება, წითლდება, იზრდება, იღუპება...

ორპირიან ზმნებში ერთსა და იმავე დროს აღინიშნება ორი პირი: პირი სუბიექტისა და პირი ობიექტისა; მაგალითად: ის მას — უწევს, უწვება; უზის, უჯდება, უკვდება, უცივდება, უწითლდება, ეზრდება, ეღუპება; აგრეთვე: ის მას — კლავს, აცივებს, აწითლებს, ზრდის, ღუპავს...

სამპირიან ზმნებში ერთსა და იმავე დროს აღინიშნება სამი პირი; მათგან ერთია სუბიექტისა და ორი ობიექტისა: ის მას (შველის) — უკლავს, უზრდის, უღუპავს...

ორპირიან ზმნასთან **შინაარსის მიხედვით** ორი სახელია დაკავშირებული რუსულშიაც და ქართულშიაც: ღუპავს ის მას — **губит он его**; მაგრამ ამ ორი სახელიდან ზმნაში პირს აღნიშნავს რუსულში მხოლოდ მოქმედი, სუბიექტი (**он**); ობიექტის პირი ზმნაში არ აღინიშნება, ობიექტს წარმომადგენელი ზმნაში არ ჰყავს, ობიექტს უღვლილების დროს ანგარიში არ ეწევა; ზმნა მხოლოდ სუბიექტის პირს ასახავს, სუბიექტის ცვლას უწევს ანგარიშს, ობიექტად კი შეგვიძლია ვიხმაროთ ყველა პირი: **он губит его, их; тебя, вас, меня, нас.** ქართულში კი ზმნაში წარმომადგენელი ჰყავს როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს; **ზმნა ასახავს, როგორც სუბიექტ-**

ტის ცვლას, ისე ობიექტისას; ამიტომ ერთი და იმავე შინაარსის გადმოსაცემად რუსულს ზმნას **სამი** ფორმა, სამნაირი სახეცვლა ყოფნის, ქართულს კი **თერთმეტი** სახესხვაობა მოუღდის.

სუბიექტი:		ობიექტი:		
ლუპავს	ის	მას, მათ	губит	он его, их
გლუპავს	ის	შენ	(губит) ¹	он тебя
გლუპავთ	ის	თქვენ	(губит)	он вас
მლუპავს	ის	მე	(губит)	он меня
გვლუპავს	ის	ჩვენ	(губит)	он вас
ლუპავ	შენ	მას, მათ	губишь	ты его, их
მლუპავ	შენ	მე	(губишь)	ты меня
გვლუპავ	შენ	ჩვენ	(губишь)	ты нас
ვლუპავ	მე	მას, მათ	гублю	я его, их
გლუპავ	მე	შენ	(гублю)	я тебя
გლუპავთ	მე	თქვენ	(гублю)	я вас

რუსული ზმნა სამჯერ იცვალა: **губить, губишь, гублю** **სუბიექტის პირის ცვლასთან** დაკავშირებით. ქართული ზმნა კი ანგარიშს უწყევდა ობიექტის პირთა (და რიცხვის) ცვლასაც და ამიტომ მივიღეთ: ლუპავს, გლუპავს, გლუპავთ, მლუპავს, გვლუპავს, ლუპავ, მლუპავ, გვლუპავ, ვლუპავ, გლუპავ, გლუპავთ...

თითოეული ამათვანი მიგვითითებს სუბიექტისა და ობიექტის პირზე (და გარდა ამისა, ობიექტის რიცხვზედაც): **მ**-ლუპავ-**ს** ის მე: „ის“ სუბიექტია. ზმნაში მისი წარმომადგენელია **-ს** სუფიქსი: „მე“ ობიექტია, ზმნაში ის წარმოდგენილია **მ**-თი... **გ**-ლუპავ-**ს** ის შენ: „ის სუბიექტია“, აღნიშნულია **-ს** სუფიქსით, „შენ“ ობიექტია, აღნიშნულია **-გ** პრეფიქსით. **ორსავე შემთხვევაში სუბიექტის პირიც გარკვეული ნიშნით არის ასახული ზმნაში და ობიექტის პირიც**, სხვანაირად რომ ვთქვათ: ორივე პირი, პირი სუბიექტისაც და პირი ობიექტისაც, **რეალურად** არის წარმოდგენილი ზმნაში.

მლუპავ მე შენ: „მე“ ობიექტია; მას აღნიშნავს „მ“ პრეფიქსი; „შენ“ სუბიექტია; მისი წარმომადგენელი ზმნაში არა ჩანს; ამისდა მიუხედავად, მისი უფლებები ზმნაში უზრუნველყოფილია: ვერავითარ სხვა პირს ზმნის ეს ფორმა სუბიექტად ვერ იგუებს; არ შეიძლება: მლუპავ „ის“ მე (მეზობელი), მლუპავ „მე“ (მეზობელს)... ერთადერთი შესაძლებლობაა: მლუპავ შენ მე. „შენ“ — სუბიექტის პირი უნიშნოდ, მაგრამ მკვიდრად არის ასა-

¹ ფრჩხილებში ჩასმულია განმეორებული ფორმები.

ხული ზმნაში. ეს არის **პოტენციალური** აღნიშვნა, ანუ აღნიშვნა ნოლ-პრეფიქსით (ანდა ნოლ-სუფიქსით).

ორპირიან ზმნაში შეიძლება სუბიექტის პირიც **რეალურად** იყოს აღნიშნული და ობიექტისაც: **მ-ლუბავ-ს** ის მე, **გ-ლუბავ-ს** ის შენ; შესაძლებელია ერთი პირი რეალურად იყოს წარმოდგენილი, მეორე — პოტენციალურად: მაგ.: სუბიექტის პირი რეალურად იყოს წარმოდგენილი, ობიექტისა — პოტენციალურად (გ-ლუბავ მე მას; „მე“ — სუბიექტის ნიშანი **გ-**, — „მე“ რეალურადაა წარმოდგენილი; „მას“ ობიექტი ნოლ-პრეფიქსითაა აღნიშნული, აღნიშვნა პოტენციალურია), ანდა, პირუკუ: ობიექტი რეალურად იყოს წარმოდგენილი, სუბიექტი — პოტენციალურად (**მ-ლუბავ შენ მე**: „მე“ — ობიექტის ნიშანი **მ-**; „შენ“ სუბიექტი ნოლ-პრეფიქსით არის წარმოდგენილი: აღნიშვნა პოტენციალურია). შესაძლებელია, ორივე პირი პოტენციალურად იყოს წარმოდგენილი, რეალური ნიშნები არც ერთს გააჩნდეს, არც მეორეს: აქებ შენ მას; ორივე სახელი ნოლ-პრეფიქსით არის წარმოდგენილი. პირთა გარჩევა აქ შესაძლებელია იმიტომ, რომ სხვა ფორმებში მოიპოვება რეალურად აღნიშნული პირები: მაქებ შენ მე, გაქებ მე შენ, აქებს ის მას...

ამგვარად: ქართული ორპირიანი ზმნის ყოველ სახესხვაობაში ან რეალურად ან პოტენციალურად წარმოდგენილია ორი პირი — პირი სუბიექტისა და პირი ობიექტის; რუსულში კი იმავე შინაარსის მქონე ზმნა მხოლოდ სუბიექტის პირს აღნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით ერთი საკითხიც უნდა გაირკვეს. ორპირიან ზმნას, როგორც ვთქვით, ორი სახელი უკავშირდება: ლუბავს ის მას, ზრდის ის მას, კლავს ის მას, ხატავს ის მას... განა არ შეიძლება ამ ზმნებს სხვა სახელებიც დაუკავშირდეს? **შინაარსის მიხედვით — კი, ფორმით** (პირის აღნიშვნის საშუალებით) **არა**.

ხატავს ის სურათს — ხატავს ის სურათს ფერადებით, ხატავს — ვინ? — **ის**. ხატავს რას? **სურათს**. ხატავს რით? **ფერებით**. უკანასკნელი სიტყვა მჭიდროდ უკავშირდება შინაარსის მიხედვით ზმნას, მაგრამ პირს ზმნაში ის ვერ გააჩენს; ხატავს ორპირიან ზმნად დარჩა ისევე, როგორც იყო ახალი სახელის („ფერადებით“) დამატებამდის.

ასევე: „კლავს“ ორპირიანი ზმნაა, ზმნას ორი სახელი უკავშირდება: კლავს მონადირე ირემს. დავუმატოთ ახალი სახელები: „კლავს მონადირე ირემს **თოფით**“; აქ სამი სახელია **შინაარსის მიხედვით** დაკავშირებული; „კლავს მონადირე ირემს **თოფით მთებში**“: უკვე მეოთხე სახელიც დაუკავშირდა ზმნას: „კლავს მონადირე ირემს თოფით მთებში **ზამთრობით**“: აქ მეხუთე სახელიც გავვიჩნდა.

რამდენპირიანია აქ ზმნა „კლავს“? ისევ ორპირიანი: **შინაარსის მიხედვით ზმნას შეიძლება უკავშირდებოდეს რამდენიმე სახელი, მაგრამ**

პირს ზმნაში ყველა არ აჩენს. შინაარსის მიხედვით დაკავშირებულ სახელთაგან პირს აჩენს მხოლოდ ის სახელი, რომელიც დასმულია სახელობითში, მოთხრობითში და უთანდებულო მიცემითში. თანდებულიანი მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვნებითი (გინდ თანდებულიანი იყოს, გინდ უთანდებულო) ზმნაში პირს ვერ გააჩენენ.

შინაარსის მიხედვით დაკავშირება აუცილებელი პირობაა, მაგრამ საკმარისი როდია. შინაარსის მიხედვით ზმნასთან დაკავშირებული სახელი უნდა იყოს გარკვეულს ბრუნვაში, რომ მისი პირი ზმნაში გამოჩნდეს. მარტოდენ შინაარსის მიხედვით დაკავშირება რომ ორპირიანობას, სამპირიანობას აჩენდეს, რუსულშიც გვექნებოდა ორპირიანი ზმნები და რაც უმთავრესია, ქართულში კონტექსტის მიხედვით პირთა რიცხვი ხან მეტი იქნებოდა, ხან ნაკლები; ორპირიანი ერთ წინადადებაში, სამპირიანი იქნებოდა მეორეში, ოთხპირიანი — მესამეში, ხუთპირიანი — მეოთხეში... იგივე მოუვიდოდა ერთპირიან ზმნებს; შეადარე: მე ვზივარ — მე ვზივარ ოთახში — მე ვზივარ ოთახში მაგიდასთან — მე ვზივარ ოთახში მაგიდასთან სკამზე... ყველა ეს სახელია; ყველა უკავშირდება ზმნას შინაარსის მიხედვით, მაგრამ ზმნაში მხოლოდ პირველი სახელის („მე“) პირია აღნიშნული: ოთახში, მაგიდასთან, სკამზე — თანდებულიანი მიცემითებია და ზმნაში პირს ვერ აღნიშნავენ.

ჩვენი ძველი გრამატიკოსები ვერ ამჩნევდნენ იმას, რომ ქართულს ზმნაში შეიძლება იყოს ერთსა და იმავე დროს წარმოდგენილი ორი (და სამი) პირი; ვერ ამჩნევდნენ იმიტომ, რომ ქართული ენის შესწავლისას იყენებდნენ უცხო (ევროპულ) ენათა მზა-მზარეულ ჩარჩოებს; ეს ჩარჩოები კი სრულებით არ გულისხმობდნენ ობიექტის აღნიშვნას ზმნაში. იქ ზმნის უღვლილება მხოლოდ სუბიექტის პირთა ცვლაში მდგომარეობდა.

ამის შემდეგ ის იყო, რომ ქართული ორპირიანი ზმნების უღვლილება იძლეოდა იმდენივე ფორმას, რამდენსაც რუსული (და სხვა ევროპული ენის) ზმნის უღვლილება:

მე ვლუპავ	შეადარე რუს.:	я гублю
შენ ლუპავ		ты губишь
ის ლუპავს		он губит
ჩვენ ვლუპავთ		мы губим
თქვენ ლუპავთ		вы губите
ისინი ლუპავენ		они губят

ზევით ჩვენ ვნახეთ, რომ თუ სუბიექტი მხოლოდობითი რიცხვის სამსავე პირში ვცვალეთ, ობიექტი კი მხოლოდობითსა და მრავლობითში, თერთმეტს ერთეულს მივიღებთ. აქ კი მხოლოდ სამია თერთმეტის ნაცვ-

ლად. საკმარისია, იმ თერთმეტში დავძებნოთ ეს სამი, რომ ერთბაშად ნათელი გახდეს, როგორ ამოურჩევიათ ეს სამი: სამსავე შემთხვევაში ობიექტად მესამე პირია აღებული: მე ვლუპავ (მას) — **я гублю**, შენ ლუპავ მას — **ты губишь**, ის ლუპავს (მას) — **он губит**. ობიექტის სხვა პირები (მე გლუპავ შენ, შენ მლუპავ მე, ის მლუპავს მე, ის გლუპავს შენ) განზეა დატოვებული.

ეს კიდევ არაფერი; მაგალითებში: მე ვლუპავ, შენ ლუპავ, ის ლუპავს — შეუმჩნეველი რჩება, რომ ობიექტი მესამე პირია (მას), — ნავარაუდევია, რომ „მე ვლუპავ“ იგივეა, რაც რუსული **я гублю**, — რაც, რა თქმა უნდა, შეცთომია; შეცდომია, იმიტომ, რომ **я гублю** ერთპირიანი ზმნაა და მას შეუძლია ობიექტად იგუოს სამივე პირის ობიექტი (**я гублю его, тебя, себя...**), ქართული „ვლუპავ“ კი ორპირიანი ზმნაა, მისი ობიექტი მესამე პირშია იმისდა მიუხედავად, დაასახელებ მას თუ არა; ამიტომაც, რომ მის შემდეგ შეგვიძლია დავსვათ მესამე პირი (ვლუპავ მას), მაგრამ ვერ დავსვამთ ვერცერთ სხვა პირს („ვლუპავ შენ“ შეუძლებელია!). ასე რომ: „მე ვლუპავ“ რუსული „**я гублю**“ კი არ არის, არამედ **я гублю его**“... დასკვნა ნათელია: როცა ჩვენ ქართულ ორპირიან ზმნას ვაუღვლებთ, ობიექტის მონაწილეობას ზმნაში თავიდან ვერ ავიცილებთ, ერთპირიანი რუსული ზმნის ბადალი ჩვენი ორპირიანი ზმნა ვერ გახდება; საქმეს ვერ შეველის მხოლოდ მესამე პირის ობიექტის აღება, რადგანაც ეს მესამე პირი ობიექტისა მაინც აღმოჩნდება ზმნაში, თუნდაც რომ ჩვენ მას ყურადღება არ მივაქციოთ. ეს — ერთი.

მეორეცაა და: ჩვენ უღვლილების პროცესში უყურადღებოდ რომ დავტოვებთ მესამე პირს, ეს ერთის შეხედვით საქმეს ამარტივებს, მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა: უღვლილებაში (გრამატიკაში) არ აღმოგვაჩნდება „გვლუპავს, მლუპავს“ და მაგვარი ფორმები, მაგრამ ენაში ასეთი ფორმები ამის გამო არ გადაშენდება, ტექსტებში ყოველ ფეხის გადაღმაზე შეგვხვდება და უძლური ვიქნებით თავი გავართვათ მათ; **უღვლილება გვეცოდინება, ტექსტში ზმნის გარჩევა კი — არა**; მიზეზი ნათელია: უღვლილება არ ასახავს სინამდვილეში არსებულ მდგომარეობას, უღვლილება სწავლობს ორპირიან ზმნებს ისე, თითქოს ესენი ერთპირიანი ზმნები იყოს...

მართალია, ახალ სასკოლო გრამატიკაში ორპირიანობას ჯეროვანი ყურადღება ექცევა, მაგრამ სკოლაში ზმნაზე პრაქტიკული მუშაობისას ეს ორპირიანობა დაჩრდილულია: გარჩევის დროს აღნიშნავენ სუბიექტის პირს (ვლუპავ — პირველი პირია) და საქმეც ამით თავდება...

ზოგ ძველ გრამატიკაში იყო ცდა ობიექტების საკითხი მიუცილებელ შემთხვევებში მოეგვარებინათ იმაზე მითითებით, რომ „ზმნა ქართულში

ორგვარი უღვლილებისა: გვაქვს ისეთი უღვლილება, როდესაც ზმნა **მ**-თი იწყება (მიყვარს, მყავს, მძულს)“.

ამგვარი მსჯელობა საქმეს არ შევლის, რადგანაც **ვ**-თი დაწყებულ ზმნებსაც აქვს ისეთი ფორმები, რომლებიც **მ**-თი იწყება (**ვწერ**, **ვხატავ**, — **მწერ**. **მხატავ**... და პირუკუ: **მ**-თი დაწყებულ ზმნებს **ვ**-იანი ფორმებიც გააჩნიათ (**მიყვარს**, **მყავს** — **ვუყვარვარ**, **ვყავარ**). ამგვარად: ობიექტის შუბი ზმნის ხალთაში ამ საშუალებითაც ვერ დაიმალება: ის არც უნდა დაიმალოს: სანამ ქართული ზმნის ორპირიანობის საკითხი ნ ა თ ლ ა დ ა რ ი ქ ე ბ ა გათვალისწინებული და აქედან ზმნის უღვლილებისათვის სათანადო დასკვნები არ გაკეთდება, მანამდის ქართული ზმნის გაგების საქმე ნაბიჯს წინ ვერ წადგამს.

2. **რიცხვი**. სუბიექტისა და ობიექტის პირების გარდა, მათი რიცხვიც აღინიშნება ზმნებში. ო ბ ი ე ქ ტ ი ს რ ი ც ხ ვ ი ს ამ შემთხვევაში მრავლობითის აღნიშვნის საილუსტრაციო მასალა მოცემულია ზევით:

მღუპავს ის **მე** — გვღუპავს ის **ჩვენ**...
გღუპავს ის **შენ** — გღუპავთ ის **თქვენ**
გღუპავ **მე** **შენ** — გღუპავთ **მე** **თქვენ**...

სუბიექტის მრავლობითის აღნიშვნა განსაკუთრებულ განმარტებებს საჭიროებს: ის ძველთაგანვე ცნობილია

ვღუპავ **მე** **მას** — ვღუპავთ **ჩვენ** **მას**...
ლუპავ **შენ** **მას** — ლუპავთ **თქვენ** **მას**...
ლუპავს **ის** **მას** — ლუპავენ **ისინი** **მას**...
გღუპავ **მე** **შენ** — გღუპავთ **ჩვენ** **შენ**...

აქედან ცხადია, რომ ზმნაში აღინიშნება, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობა. პირისა და რიცხვის საკითხი რომ გავაერთიანოთ, შემდეგს კითხვებს მივიღებთ:

1. **რამდენპირიანია ზმნა** (ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი) და რა სახელება მასთან პირის საშუალებით დაკავშირებული.

2. თუ ზმნა **ერთპირიანია**, რომელია პირი და რიცხვი სუბიექტისა, რა ბრუნვაშია სუბიექტი? სუბიექტი ზმნაში აღნიშნულია რეალურად თუ პოტენციალურად? თუ რეალურად — რა პრეფიქსით ანდა სუფიქსით არის იგი აღნიშნული?

თუ ზმნა **ორპირიანია**, რომელია პირი და რიცხვი სუბიექტისა და პირი და რიცხვი ობიექტისა? რა ბრუნვაშია სუბიექტი და რა ბრუნვაშია ობიექტი? როგორ არის წარმოდგენილი ზმნაში სუბიექტი და ობიექტი —

რეალურად თუ პოტენციურად? თუ რეალურად — რომელი მათგანი და რა პრეფიქსით თუ სუფიქსით?

თუ ზმნა **სამპირიანია**, რომელია პირი და რიცხვი სუბიექტისა და პირი და რიცხვი პირველისა და მეორე ობიექტისა? რა ბრუნვაშია სუბიექტი და რა ბრუნვაშია ობიექტი (პირველი, მეორე)? როგორ არის ზმნაში წარმოდგენილი სუბიექტი და ობიექტი — რეალურად თუ პოტენციურად? თუ რეალურად, რომელი მათგანი და რა პრეფიქსით თუ სუფიქსით?

3. პირისა და რიცხვის განხილვის შემდეგ, ბუნებრივია, დაისვას **გარდამავლობა-გარდაუვალობის** საკითხი.

გარდამავალ ზმნებად ჩვეულებრივად ისეთი ზმნები ითვლება, რომელთა „მოქმედება გადადის“ სხვა საგანზე, ობიექტზე; ესაა, ასე ვთქვათ, შინაარსის მიხედვით აქტიური ზმნები: გააკეთა, გააფუჭა, მოსპო, დალუბა, ააშენა, განაახლა, გაანადგურა, გაკაფა, დახერხა, ჩააცურა, მოხარმა... და მრავალი ამის მსგავსი ზმნა სხვადასხვა ენის გრამატიკებში ითვლება გარდამავალ ზმნებად (ტრანსიტივები, **переходные глаголы**).

ამგვარი ზმნები ქართულშიაც გარდამავალ ზმნებს წარმოადგენენ. ოღონდ ქართულში მდგომარეობა უფრო რთულია და გარდამავლობის გარკვევა მხოლოდ ზემოხსენებული ნიშნის მიხედვით ხშირად შეუძლებელი ხდება. შეუძლებელი ხდება იმიტომ, რომ მოიპოვება, ერთის მხრით, ისეთი ზმნები, რომელთაც აქტიური შინაარსი აქვთ, მაგრამ გარდამავალ ზმნებად ვერ მიიჩნევენ, მეორე მხრით, ვხვდებით ისეთ ზმნებსაც, რომელნიც შინაარსით აქტიური არ არიან, მათი „მოქმედება ობიექტზე არ გადადის“ და მაინც ეს ზმნები გარდამავალნი არიან.

რა ნიშნების მიხედვით ვადგენთ ზმნის გარდამავლობას? გარდამავლობა-გარდაუვალობას მკვეთრად გამოსახული მორფოლოგიურ-სინტაქსური ნიშნები ახასიათებს.

უღვლილების პროცესში ზმნასთან დაკავშირებულმა სახელებმა (სუბიექტმა და ობიექტმა) შეიძლება უცვლელად შეინარჩუნონ თავისი ბრუნვა ანდა შეიძლება ბრუნვები შეიცვალონ. შესამოწმებლად ვიღებთ ორ დროს: ერთია **აწმყო** (რას შვრება?), მეორე — **აორისტი** (რა ქნა?). თუ სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა ამ ორ დროში უცვლელად შეგვრჩა, ზმნა **გარდაუვალია**, თუ სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა იცვალა, ზმნა გარდამავალია.

სუბიექტი აწმყოში — ყოველთვის სახელობითშია, ობიექტი — მიცემითში; გარდაუვალ ზმნას აორისტიშიაც სუბიექტი სახელობითში მოუდის, ობიექტი — მიცემითში:

აწმყო: (რას შვრება?) ის ხვდება მას, ის ელუპება მას, ის ესწრება მას, ის ეკარგება მას.

აორისტი: (რა ქნა?) ის შეხვდა მას, ის დაელუბა მას, ის დაესწრო მას, ის დაეკარგა მას — **გარდაუვალი** ზმნები.

აწმყო: (რას შერება?) ის აკეთებს მას, ის აშენებს მას, ის ხარჯავს მას, ის ხერხავს მას — **გარდამავალი** ზმნაა.

აორისტი: (რა ქნა?) მან გააკეთა ის, მან ააშენა ის, მან დახარჯა ის, მან გახერხა ის — **გარდამავალი** ზმნაა.

აწმყოში გარდამავალ ზმნასაც სუბიექტი სახელობითში დაესმის, ობიექტი — მიცემითში, მაგრამ აორისტში სუბიექტი მოთხრობითშია, ობიექტი — სახელობითში.

შეიძლება პირდაპირ ითქვას: თუ **აორისტში ზმნას ობიექტი სახელობითში** მოუღის, ზმნა **გარდამავალია** და სუბიექტი მოთხრობითში შეეფერება. თუ ობიექტი მხოლოდ ერთი აქვს და ის აორისტში მიცემით ბრუნვაშია დასმული, ზმნა **გარდაუვალია** და სუბიექტი სახელობითში უნდო ჰქონდეს. „ერთი ობიექტით“ იმიტომ ვატანთ, რომ როცა ზმნას ორი ობიექტი აქვს (სამპირიანი ზმნაა), აორისტში ერთი ობიექტი სახელობითში დასმის, მეორე — მიცემითში (დავითი უგზავნის ვახტანგს ფულს — დავითმა გაუგზავნა ვახტანგს ფული). ამ შემთხვევაში ზმნა გარდამავალია — მას გააჩნია ობიექტი სახელობით ბრუნვაში, ეს კი საკმაო პირობაა იმისათვის, რომ ზმნა გარდამავლად მივიჩნიოთ.

ზემოთქმულის მიხედვით გამოდის, რომ: ერთპირიანი ზმნები — გარდაუვალია ყოველთვის; მათი სუბიექტი სახელობითშია (ობიექტი კი მათ არ გააჩნიათ).

სამპირიანი ზმნები ყველა გარდამავალია: აორისტში მათი ერთი ობიექტი უთუოდ სახელობითშია,¹ სუბიექტი — მოთხრობითში.

ორპირიანი ზმნებიდან კი ზოგი გარდამავალია და ზოგიც გარდაუვალი (იხ. დახასიათება ზემოთ).

ზემოთ მოხსენებულ ორპირიან ზმნებს — გააკეთა, გააფუჭა, მოსპო, დალუბა, ააშენა, განაახლა, გაანადგურა, გაკაფა, დახერხა, ჩააცურა, მოხარშა — შინაარსიც აქტიური აქვთ, ობიექტიც სახელობითში მოუღის, სუბიექტიც — მოთხრობითში: მოსპო, დალუბა, გააკეთა, გააფუჭა, გააკეთა, ააშენა, გაანადგურა — მან იგი...

ის ეხმარება, შევლის, ებრძვის მას — **აქტიური მნიშვნელობისა არიან, მაგრამ გარდაუვალ ზმნებს წარმოადგენენ**: ის დაეხმარა მას, წაემველა მას, შეებრძოლა მას — აორისტში; ობიექტი ყველგან მიცემითშია,

¹ ორი ზმნა: უყვება (ის მას ამბავს), ჰპირდება (ის მას გასამრჯელოს) სამპირიანია, მაგრამ გარდაუვალია (მოუყვა ის მას ამბავს, დაჰპირდა ის მას გასამრჯელოს); ეს იმიტომ, რომ მეორე ობიექტი მათ არ ჰქონდათ, სამპირიანობა კეთილშენაძენი მოვლენა და წარმოშობით ესენი ორპირიანები არიან.

სუბიექტიც — სახელობითში შეეფერება (მაშასადამე, შეცთომამა, როცა ხმარობენ: მან დაეხმარა, წაეშველა, შეებრძოლა...).

„გადაიარა, მოვლო, დაყო“ ზმნები ისეთ მოქმედებებზე მიუთითებენ, რომელიც სუბიექტში რჩება და „ობიექტზე არ გადადის“, მაგრამ ეს ზმნები მაინც გარდამავალია: მან გადაიარა კლდე-ღრეები, მოვლო ქვეყნები, დაყო მრავალი წელი: მათ ყველა ის ენობრივი ნიშანი გააჩნია, რომლებიც გარდამავალ ზმნებს ახასიათებს.

4. მას შემდეგ, რაც ვიცით გარდამავალია თუ გარდაუვალი ესა თუ ის ზმნა, ადვილდება **გვარის** საკითხის გარკვევა.

თუ ზმნა გარდამავალია, იგი მოქმედებითი გვარისაა (აწმყოსა და აორისტის ჯგუფის დროებში),¹ გარდაუვალი ზმნა კი ან საშუალო და ან ვნებითის გვარისაა. ამის აღნიშვნა იმიტომაცა საჭირო, რომ ამ სამი გვარიდან მხოლოდ ვნებითს გააჩნია გარკვეული მაწარმოებლები. რაკი ვიცით, რომ გარდამავალი ზმნა მოქმედებითის გვარისაა, ადვილად გავერკვევით გარდაუვალთა გვარში; ვნებითებს აქვთ ნიშანდობლივი მაწარმოებლები: **ი-** და **ე-** თავსართი (**ი-**ლუბება, და-**ი-**ლუბა, **ე-**ლუბება, და-**ე-**ლუბა) და **-დ** სუფიქსი (ცივ-**დ-**ება — გაცივ-**დ-**ა... მუშავ-**დ-**ება — დამუშავ-**დ-**ა...), ვნებითს განეკუთვნება აგრეთვე ისეთი ერთპირიანი ზმნები, როგორიცაა წერ-**ი-**ა, ხატ-**ი-**ა, მარხ-**ი-**ა, აბ-**ი-**ა, ვთბებ-**ი-**, ვშრებ-**ი-**, ვკვდებ-**ი-**...

ვნებითის გამოკლებით გარდაუვალი ზმნები საშუალო გვარისაა: დგას, ზის, წევს, თამაშობს... ცელქობს — ერთპირიანი ზმნები; ჰყავს, აქვს, სძულს, უყვარს და მსგავსი ორპირიანი გარდაუვალი ზმნები.

5. გვარიდან **კილოზე** გადავდივართ. რატომ? ცხადი იქნება დროთა განხილვისას.

ქართულს მხოლოდ თხრობითი და ბრძანებითი კილო აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული. რაც შეეხება პირობითსა და ნატვრითს, ისინი ან იყენებენ თხრობითი კილოს ამა თუ იმ დროს და პრევერბის დართვით ქმნიან საჭირო მნიშვნელობას (ის აკეთებდა ამას — ის **გააკეთებდა** ამას, რომ შესძლებოდა) ანდა კავშირებით I, II, III ანდა თურმეობითს მეორეს იყენებენ (კარგი იქნება, რომ **გააკეთებდეს**... კარგი იქნებოდა, რომ **გაეკეთებინა**)... მაგრამ არც ერთი აქ ჩამოთვლილი ფორმა არ არის **კილოს** ფორმა: კავშირებითი და თურმეობითი მეორე თხრობითი კილოს დროებია, „გააკეთებდა, იქნებდა, ნახავდა“ ხომ თხრობითის ესა თუ ის დროა. ისინი გამოიყენა **კილომ**. მაგრამ ამის გამო არ წარმოადგენენ კილოს ფორმას; ხშირად ამ ფორმებს თხრობითი შინაარსი ახლაც აქვთ.

¹ დროთა მესამე ჯგუფში (თურმეობითი პირველი: რა უქნია? თურმეობითი მეორე — რა ექნა? კავშირებითი მესამე — რა ექნას?) ყველა ზმნა საშუალო და ვნებითი გვარისაა.

ბრძანებითი კილოც თხრობითი კილოს ამა თუ იმ დროის ფორმას სესხულობს, ოღონდ უნდა ითქვას, რომ ნასესხებით მცხოვრებ ამ კილოს ისტორიულად ზურგი მაგარი აქვს: თავისი სახე მან უფრო ადრე გააარკვია, ვინემ ზემოხსენებულმა პირობით-ნატვრითმა...

ბრძანებითი, როგორც ცნობილია, დადებითი (წართქმითი) და აკრძალვითი (უკუთქმითი) ხასიათისაა; პირველი — აორისტის ფორმებს იყენებს, თუ მეორე პირს ეხება საქმე (მე გავაკეთე, **შენ გააკეთე**, მან გააკეთა — გააკეთე!); და კავშირებითი მეორის ფორმებს სესხულობს, თუ პირველი და მესამე პირია (გავაკეთოთ! გააკეთოს! გააკეთონ!).

აკრძალვითი ფორმა იწარმოება „არ“ ნაწილაკით (არ გააკეთო! არ გააკეთონ!) და „ნუ“ ნაწილაკით (ნუ აკეთებ! ნუ აკეთებს!); ამგვარად, პირველს შემთხვევაში გამოყენებულია კავშირებითი მეორე, მეორე შემთხვევაში — აწმყო (ან მყოფადი).

6. როცა ვიცით, რა კილოსთან გვაქვს საქმე, შეგვიძლია **დრო** გავარკვიოთ ისე, რომ შეცდომის წყარო თავიდან იქნება აცილებული. ვგულისხმობთ შემდეგს. გასარჩევია, ვთქვათ, მაგალითი: „დაამუშავე ეს საკითხი!“ მოწაფეს ვკითხვით: „რა დროა — „დაამუშავე“; უჭირს პასუხის გაცემა. „მე დავამუშავე, შენ დაამუშავე, მან დაამუშავა“ — ნამყო. ე. წ. აორისტი, პრევერბიანად ის აღნიშნავს დამთავრებულს მოქმედებას, მაგრამ მთელი წინადადების კონტექსტი, რომელშიაც მოცემულია ეს ზმნა, ამას შეუძლებლად ხდის; საკითხი დამუშავებული არაა; დამუშავებული რომ ყოფილიყო, არც იტყოდნენ: „დაამუშავეო“.

ამ სიძნელეს წააწყდება მოწაფე იმ შემთხვევაში, თუ **ჯერ დროს ვარჩევთ** და **კილოზე საუბარი არ გვქონია**. მაგრამ თუ ჯერ კილო გავარკვიეთ, დროის საკითხი თავისით მოიხსნება: „დაამუშავე“ ბრძანებითი კილოა (მეორე პირისა) ბრძანებითს კილოს დროები არ გააჩნია; ნაწარმოებია კი ეს ბრძანებითი აორისტის სათანადო პირის (მეორე პირის) ფორმისაგან.


ამგვარად, ბრძანებითი კილო თუ გვაქვს, დროის საკითხი მოიხსნება, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, თუ რა დროისაგან არის ნაწარმოები ეს ფორმა ბრძანებითისა.

თუ კილო თხრობითია, აუცილებელი იქნება დროის დასახელება და იმის ჩვენებაც, დროთა რომელს ჯგუფს განეკუთნება ეს დრო, და ნაწარმოებია **რისგან**, რა **სუფიქსებით** (აკეთებ-დ-ა, აკეთებ-დ-ე-ს... ან პრევერბებით (აკეთებს — გა-აკეთებს)...

სრულებით არ კმარა იმის აღნიშვნა: ეს ნამყო დროაო... ქართულში ოთხი ნამყო: ნამყო უსრული (რას შვრებოდა?), აორისტი (რა ქნა?), თურმეობითი პირველი (რა უქნა?), თურმეობითი მეორე (რა ექნა?), სამი კავშირებითი (რას შვრებოდეს? რა ქნას? რა ექნას?), აწმყო და მყოფადი (რას იზამს?).


7. **ფუძეთა განსხვავებულობა.** ზმნას შეიძლება ჰქონდეს: ან სხვადასხვა, ან განსხვავებული, ანდა ერთიდაიგივე ფუძე. ამის გამოსარკვევად ერთმანეთს შევადაროთ ის ფუძე, რომელიც აწმყოში გვაქვს და ის ფუძე, რომელიც აორისტსა და კავშირებითს მეორეში მოიპოება.

1. აწმყო (რას შვრება?): **ამბობ**-ს, 2. **ხედავ**-ს... 3. **ფარავ**-ს, 4. **დგამ**-ს.



2. აორისტი (რა ქნა?):
კავშირ. II (რა ქნას?):

თქვა-ს **ნახ**-ო-ს **ფარ**-ო-ს **დგ**-ა-ა



პირველი ორი მაგალითი იმის ნიმუშს წარმადგენს, რომ ზმნას ფუძე **სხვადასხვა** აქვს: აწმყოში ერთი ფუძეა (ამბობ-, ხედავ-), აორისტსა და კავშირებითს მეორეში — სულ სხვა (თქვ-, ნახ-); შემდეგ მოდის წყება მაგალითებისა, სადაც ფუძე სხვადასხვა არ არის; განსხვავებას ან ის ქმნის, რომ აწმყოში ახალი სუფიქსი ემატება (ფარ — ფარავ, დგ — დგამ, აგ — აგებ, გმ — გმობ, ხსნ — ხსნი), ანდა ფუძის ხმოვანი განიცდის ცვლას (გლეჯ — გლიჯ)...

დასასრულ, ისეთი ზმნაა მოყვანილი, რომელსაც აწმყოსა და აორისტის ჯგუფში ერთიდაიგივე ფუძე აქვს (წერ- წერ-)...

ფუძეთა განსხვავებულობის საკითხი ბუნებრივი იქნება, თუ დროის საკითხს მოყვება...

8. **ასპექტი** ანუ სრული თუ უსრული **სახე** ზმნისა, სხვანაირად რომ ვთქვათ, დამთავრებულობა-დაუმთავრებლობა მოქმედებისა, ჩვეულებრივად ზმნისწინებთან არის დაკავშირებული (აკეთა — გააკეთა), თუმცა ზოგჯერ უპრევერბოდაც აღინიშნება (ხედავს — ნახა, ამბობს — თქვა...).

უფრო მიზანშეწონილი იქნება, პრევერბის საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება: აქვს თუ არა ზმნას პრევერბი? თუ კი, რა როლს ასრულებს იგი?

პრევერბი, როგორც ვთქვით, შეიძლება ასპექტს აღნიშნავდეს: აკეთა — გააკეთა, აშენა — ააშენა, აქო — შეაქო, იარა — გაიარა, ამზადა — მოამზადა — აქ ყველგან პრევერბი „სრულ სახეს, ასპექტს“ აღნიშნავს.

მაგრამ პრევერბი შეიძლება სხვა როლსაც ასრულებდეს: „... აღნიშნავდეს მიმართულებას მოძრაობისა: მო-ვიდა, შე-ვიდა, გა-ვიდა, ა-ვიდა, ჩა-

ვიდა... 2. აწარმოებდეს **დროს** (მყოფადს აწმყოსაგან): აკეთებს — გააკეთებს, აშენებს — ააშენებს, აქებს — შეაქებს, ამზადებს — მოამზადებს... 3. ქმნიდეს კილოს (ნატვრით-პირობითს): აკეთებდა — გააკეთებდა, რომ... აშენებდა — ააშენებდა, რომ... აქებდა — შეაქებდა, რომ... ამზადებდა — მოამზადებდა, რომ... 4. ქმნის ზოგიერთ ზმნასთან ახალ შინაარსს: ხელი მიყო — შუაზე გაყო... ფულს მოიგებს — ამოცანას გაიგებს...

პრევერბის მნიშვნელობის გარდა მისი შედგენილობაც უნდა გავითვალისწინოთ — სახელდობრ მარტივია თუ რთული პრევერბი; ა-, გა-, წა-, შე-, მი-, მო-, (გავიდა, წავიდა, შევიდა, მივიდა, მოვიდა) — ამო-, გამო-, წამო-, შემო-, მიმო-, გა(რ)და-, — გადმო- (ამოვიდა, გამოვიდა, წამოვიდა, შემოვიდა, მიმოვიდა, გადავიდა, გადმოვიდა)...

9. შედარებით მარტივია **ქცევის** საკითხი:

ქცევის კატეგორია ზოგადად იქმნება სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის ნიადაგზე. და ამიტომ: იქ, სადაც ობიექტი არ მოიპოება (ე. ი. ერთპირიან ზმნებში), ქცევის საკითხიც არ დაისმის. ქცევაზე ლაპარაკი მხოლოდ ორპირიანსა და სამპირიან ზმნებში შეიძლება. ძირითადია სამი ქცევა: საარვისო, სასხვისო და სათავისო. საარვისო ორ უკანასკნელთან დაპირისპირებით ყალიბდება. სასხვისო **-უ-** მაწარმოებელი აქვს (თუ ობიექტი მესამე პირია) და მნიშვნელობაც ობიექტისთვის განკუთვნილ საქმიანობას გულისხმობს. სათავისოს ახასიათებს **ი-** მაწარმოებელი და ეს ქცევა სუბიექტისთვის განკუთვნილ¹ საქმიანობას გულისხმობს, ოღონდ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: **ვერც მარტო მაწარმოებელი და ვერც მარტო მნიშვნელობა უმაწარმოებლოდ ქცევას ვერ შექმნის:**

წა-ი-ყვანა — **-ი-** მაწარმოებელი აქვს: სათავისო ქცევა არ არის.

შეჭამა — სათავისო შინაარსი აქვს, — მაგრამ ამ შინაარსს ფუძე აღნიშნავს, და არა მაწარმოებელი, — „შეჭამა“ საარვისო ქცევაა.

გა-ი-კეთა — **-ი-** მაწარმოებელიც გვაქვს, სათავისო მნიშვნელობაც, სათავისო ქცევაა.

მარტოდენ სათავისო შინაარსი ფუძისა ქცევას რომ ქმნიდეს, „ჭამს,

¹ ზუსტად რომ ვიმსჯელოთ, სასხვისო ქცევა აღნიშნავს ან იმას, რომ მოქმედება წარმოებს ობიექტის საგანზე, ანდა იმას, რომ წარმოებს ობიექტისათვის: ის გულს უკლავს მტერს (= მტრის, ობიექტის, გულს კლავს), ის ვახშამს უმართავს სტუმარს (= ვახშამს მართავს სტუმრისათვის, ობიექტისათვის)... ასევე სათავისო ქცევა ან იმას ნიშნავს, რომ ობიექტი სუბიექტის კუთვნილებას წარმოადგენს (თავს იკლავს — თავის თავს კლავს) ანდა იმას აღნიშნავს, რომ ობიექტი სასუბიექტოდაა განკუთვნილი (სახლს იშენებს თავისთვის). ამ ორგვარი მნიშვნელობიდან პირველი მნიშვნელობა ძირითადია ისტორიულად, როგორც სასხვისო, ისე სათავისო. ამის შესახებ გვქონდა საუბარი ჩვენს წერილში: „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“ („კულტ. აღმშენებლობა“, 1929 წ. №7-8. გვ. 78).

სვამს“ ზმნები ყველა ენაში სათავისო ქცევისა იქნებოდა: აბა ვის შეუვა ეჭვი, რომ წინადადებაში, „Иван выпил бутылку вина“ ობიექტი „ღვინო“ ივანესთვის აღმოჩნდა განკუთვნილი; ამის გარანტიას იძლევა ზმნის შინა-არსი „выпил“ („დალია“), და მაინც არ არის ეს ზმნა „სათავისო ქცევისა“; როგორც ცნობილია, რუსულსა (და სხვა ევროპულ ენებს) ქცევის კატეგორია არ გააჩნიათ; **ქცევის შინაარსი ფორმანტმა უნდა აღნიშნოს და არა ფუძემ**, წინააღმდეგ შემთხვევაში ქცევა არ გვექნება.

ცალკე განხილვას საჭიროებს სათავისო და სასხვისო ქცევათა გარკვევის საკითხი; სათავისო ქცევას **-ი-** მაწარმოებელი ახასიათებს, სასხვისოს **-უ-**, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ობიექტი მესამე პირია: მან ის — გაუკეთა, აუშენა, გამოუგზავნა **მას**; თუ ობიექტი მეორე ან პირველი პირია **-უ-**-ს ადგილს **-ი-** იჭერს; მან ის გაგიკეთა, აგიშენა, გამოგიგზავნა **შენ**... მან ის — გამიკეთა, ამიშენა, გამომიგზავნა **მე**. როგორ გავარჩიოთ ამგვარი ფორმები სათავისოს ფორმებისაგან?

პირველ ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სათავისო ქცევას იშვიათად მოუძღის ობიექტად „შენ“ და „მე“ ე. ი. იშვიათია, რომ **-გი-**, **მი-** გვექონდეს ზმნაში (აგიშენა, ამიშენა... გაგიკეთა, გამიკეთა...) და ზმნა იყოს სათავისო; მაგრამ ზოგჯერ მაინც არის ასეთი სათავისო ზმნები: მან მეგობრად გაიხადა ის, გაგიხადა შენ, გამიხადა მე — გაგიხადა, გამიხადა სათავისო ქცევა... ამიტომ გამიჯვნის სხვა ხერხები უნდა გამოვიყენოთ.

ასეთია ორი ხერხი. პირველი: თუ ზმნას ორი ობიექტი აქვს, ის სათავისო ვერ იქნება, სასხვისოა: მან ამიშენა **მე სახლი**, გამიკეთა **მე საქმე**, გამომიგზავნა **მე წერილი** — ორობიექტიან ზმნებში **-ი-** მაწარმოებელი სასხვისო ქცევაა (მდრ.: მან გამიხადა მე, გაგიხადა შენ — ერთობიექტიანი ზმნაა, სათავისო ქცევაა). მეორე: თუ ზმნას ობიექტად მეორე ან პირველი პირი აქვს, გადავიყვანთ ამ ობიექტს მესამე პირში; თუ სასხვისო ქცევაა, **-უ-** გაჩნდება; თუ სათავისოა, **-ი-** შეგვრჩება:

მდრ. გაგიკეთა შენ — გაუკეთა მას; გაგიხადა შენ — გაიხადა ის.

გამიკეთა მე — გაუკეთა მას; გამიხადა მე — გაიხადა ის.

10. **გზა**. გზის საკითხი გარდამავალ ზმნებს ეხება. გზა ორგვარია: პირდაპირი ანუ უშუალო (გააკეთა, ააშენა, დაწერა) და არაპირდაპირი ანუ შუალობითი (გააკეთებინა, ააშენებინა, დააწერინა). ორსავე შემთხვევაში სუბიექტი მესამე პირია: მან გააკეთა — გააკეთებინა, ააშენა — ააშენებინა, დაწერა — დააწერინა. პირველს შემთხვევაში ეს სუბიექტი მართლაცდა ასრულებს გარკვეულ საქმიანობას უშუალოდ თვითონ (გააკეთა, ააშენა, დაწერა) — ესაა პირდაპირი ანუ უშუალო გზა; მეორეში კი სუბიექტი სხვის საშუალებით აკეთებს ზმნაში აღნიშნულ საქმეს: გააკეთებინა მან ის, ააშენებინა მან მას ის, დააწერინა მან მას ის... ესაა შუალობითი

გზისთვის დამახასიათებელი.

შუალობითს გზას უცხოურად **კაუზატივი** ეწოდება. ქართულს სასკოლო გრამატიკაში **„სხმით-გარდასვლითი“** ერქვა. ეს ტერმინი ანტონ კათალიკოსიდან მომდინარეობს და „ნაწარმოებს“ ნიშნავს. სასკოლო გრამატიკაში „კვლავ-სხმით გარდასვლითი“ იყო: აკეთებინებს — აკეთებინებინებს... უკანასკნელი ხელოვნურად შეთხზული გრამატიკული ნაწარმოებია; ასევე ხელოვნურად შეიძლება კიდევ ახალი სუფიქსი წაგვემატებინა, ენა ამისთვის პასუხს ვერ აგებს.

11. წინა უკანასკნელ საკითხად ვივარაუდოთ საკითხი: ზმნა **პირველადია თუ ნაწარმოები**. ნაწარმოებიო რომ ვამბობთ, ჩვეულებრივ იგულისხმება ნაწარმოები სახელებისაგან: ქვა — აქვავებს, ქვავედება; წესი — აწესებს, წესდება; ცელქი — აცელქებს, ცელქდება, ცელქობს; წითელი — აწითლებს, წითლდება; აფთარი — ააფთრებს, აფთრდება; ფითრი — აფითრებს, ფითრდება; ჭიანური — აჭიანურებს, ჭიანურდება (საქმე); თოხი — თოხნის; ბარი — ბარავს, ფარცხი — ფარცხავს...

ისეთი ზმნები, რომელთაც ასეთ სახელს დასაყრდენად ვერ მოვუძებნით, პირველადი იქნება: ჭრის, წერს, ზის, დგას, გრეხს, გლეჯს, ხსნის...¹

12. დასასრულ, ერთი მითითებაც. ზემოხსენებულ ძირითად კატეგორიათა მიხედვით ზმნის დახასიათების შემდეგ, ყოველმხრივ მიზანშეწონილი იქნება განვიხილოთ ზმნის შედგენილობა ე. ი. **დავშალოთ ზმნა შემადგენელ ნაწილებად**. თუ ჩატარებული ანალიზი ზმნას ახასიათებს იმ კატეგორიების მიხედვით, რომლებიც ზმნას შეიძლება საერთოდ გააჩნდეს, აქ ამოსავალი იქნება ის, რასაც ზმნა იძლევა. ამასთანავე კითხვები დაისმის სხვა თანამიმდევრობით. ამ თანამიმდევრობას განსაზღვრავს ზმნაში სხვადასხვაგვარ ფორმანტთა ბუნებრივი თანამიმდევრობა.

ეს თანამიმდევრობა ასეთია: ყველაზე წინ, თავში პრევერბი (ზმნის-წინი) გვაქვს (**გა-**დის, **გამო-**დის). მას მოსდევს პირის ნიშანი, თუ პრეფიქსია (**გა-ვ-**დივარ, **გამო-ვ-**დივარ); თუ პირი ორია და ორივე პრეფიქსით აღინიშნება, ჯერ იქნება სუბიექტის პრეფიქსი, მერე ობიექტისა (**მო-ვ-ს-**თხოვ); მესამე ადგილი უჭირავს ან ქცევის ნიშანს (**ა-ვ-ი-**შენებ, **ა-ვ-უ-**შენებ), ან ვნებითის მაწარმოებლებს (**და-ვ-ი-**ღუპ-ე, **და-ვ-ე-**სწარი) ანდა გარდამავალთა (ჩვეულებრივ ნასახელართა) მაწარმოებელ ფორმანტს (**და-ვ-ა-**მთავრე, **გა-ვ-ა-**კეთე); მეოთხე ადგილი უჭირავს ზმნის ძირს (მარტივ ფუძეს); მას მოსდევს ვნებითობის მაწარმოებელი **-დ-**, სადაც ასეთ წარმოებას აქვს ადგილი (ან საშუალო-გვარის თუ საშუალო-ვნებითის **-ი-** (**გა-ვ-**

¹ მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ბევრი პირველადი ზმნა წარმოშობით ნასახელარი იყო, დროთა ვითარებაში დაკარგა სათანადო სახელთან კავშირი (მაგ. ფარავს — ფარი).

ცივ-დ-ი, გა-ვ-ფითრ-დ-ი... ვტირი, ვყვირი... ვზვდები, ვკვდები, ვდგები...) და, თუ მას ადგილი არა აქვს, ღროის მაწარმოებელი (და დაბოლოება): ვ-ა-კეთ-ებ, ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი, ვა-კეთ-ებ-დ-ე...

დასკვნა. ზმნის სრული ანალიზი გულისხმობს შემდეგ საკითხებზე პასუხის გაცემას:

1-2. **პირი, რიცხვი:** რამდენპირიანია ზმნა. ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი? რომელია პირი და რიცხვი — სუბიექტისა, ობიექტისა (თუ ობიექტებისა)? რა ბრუნვაშია სუბიექტი, ობიექტი (თუ ობიექტები)? რომელი მათგანი აღინიშნება რეალურად (რით?) და რომელი პოტენციალურად?

3. **გარდამავალია** თუ **გარდაუვალი** მოცემული ზმნა?

4. **რა გვარისაა:** მოქმედებითი, ვნებითი, საშუალო? თუ ვნებითია, რით არის ნაწარმოები? (ი,-ე- პრეფიქსები; -დ-ი სუფიქსი)?

5. რა **კილოა?** თხრობითი, ბრძანებითი, ნატვრით-პირობითი?

6. რა **ღროა?** ღროთა რომელ ჯგუფს (სერიას) ეკუთვნის? რისგან არის ნაწარმოები და **რით?**

7. როგორია **ფუძე** ზმნისა ღროთა პირველ ორ ჯგუფში? ერთიდაიგივე, განსხვავებული, თუ სხვადასხვა? თუ განსხვავებული, რა ქმნის განსხვავებას, ახალი სუფიქსის დამატება აწმყოში, თუ ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობა (ალტერნაცია)?

8. როგორია **ასპექტი?** სრული თუ უსრული? რა აწარმოებს სისრულეს? აქვს თუ არა **პრევერბი?** თუ კი, რა როლს ასრულებს? აღნიშნავს მოძრაობის მიმართულებას, ასპექტს, ღროს, აწარმოებს კილოს თუ ცვლის ფუძის მნიშვნელობას?

9. აქვს თუ არა **ქცევა?** თუ კი, რომელი, სათავისო, სასხვისო, საარვისო? რა არის ქცევის ნიშანი? თუ ი-ა სასხვისოში, რატომ?

10. რა **გზაა?** უშუალო? შუალობითი? თუ შუალობითი, რა მაწარმოებელი გვაქვს?

11. **პირველადი** ზმნაა თუ **ნაწარმოები?** თუ ნაწარმოებია, რისგან და რა სუფიქს-პრეფიქსების საშუალებით?

12. აქვს თუ არა რაიმე თავისებურება ზემოხსენებულ კატეგორიებთან დაკავშირებით?

აქვე ვურთავთ ზმნის ანალიზის მცირე ნიმუშს.

ტექსტი. „მათიამ **გაწმინდა** თავის ხანჯალი. **ჩააგო** ქარქაშში და მერე **მოიბანა** და **შეიხვია** თავისი მსუბუქი ჭრილობა; **მივიდა**, **გასინჯა** დათვი, რომელსაც მკერდში **მოხვედროდა** ტყვია“ (ა. ყაზბეგი).

ა) **გაწმინდა:** 1-2: ზმნა ორპირიანია („გაწმინდა მათიამ ხანჯალი“); სუბიექტი („მათიამ“) მესამე პირია მხოლ. რ., ობიექტი („ხანჯალი“) მესამე პირია მხოლ. რ.; სუბიექტი მოთხრობითს ბრუნვაშია, ობიექტი — სახელო-

ბითში; სუბიექტის პირი ზმნაში აღნიშნულია რეალურად **-ა** სუფიქსით (მათიამ გაწმინდა, შენ გაწმინდე, მე გავწმინდე); ობიექტის პირი აღნიშნულია პოტენციალურად (ნოლ-პრეფიქსით).

3. ზმნა გარდამავალია; შდრ.: აწმყო — მათია წმენდს ხანჯალს, აორისტი: მათიამ გაწმინდა ხანჯალი.

4. გვარი — მოქმედებითი: მან გაწმინდა იგი (შდრ. ვნებ.: იგი გაიწმინდა მის მიერ).

5. კილო — თხრობითი (აღნიშნულია ფაქტი, მომხდარი); შდრ. ბრძანებ.: გაწმინდე! არ გაწმინდო! ნუ გაწმინდ!

6. დრო — აორისტი (რა ქნა?) ძირითადი დრო მეორე ჯგუფისა: ის სხვა დროსაგან არ არის ნაწარმოები, მისგან იწარმოება სხვა დრო (კავშირებითი II).

7. ფუძე ზმნისა განსხვავებულია: მათია წმენდს ხანჯალს — მათიამ გაწმინდა ხანჯალი; განსხვავებულობას ქმნის ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობა (ალტერნაცია).

8. ასპექტი (სახე) — სრული; სისრულეს აღნიშნავს **გა-** პრევერბი.

9. ქცევა — საარვისო, შდრ.: გაიწმინდა (თავისი გაწმინდა, თავისთვის გაწმინდა), გაუწმინდა (სხვისი გაწმინდა, სხვისთვის გაწმინდა).

10. გზა — პირდაპირი ანუ უშუალო: ზმნის სუბიექტი რეალური აღმასრულებელია ზმნაში ნაჩვენები მოქმედების. შუალობითი იქნებოდა: მათიამ გააწმინდინა ხანჯალი (სხვას).

11. ზმნა ნაწარმოებია სახელისაგან „წმინდა“: წმენდს — გაწმინდა.

12. თავისებურებები არა აქვს.

გაწმინდა: **გა-** პრევერბი, — წმინდ- ფუძე (მარტივი), **-ა** სუფიქსი, სუბიექტური მესამე პირისა.

ბ) **ჩააგო**: 1-2: ზმნა ორპირიანი („ჩააგო მათიამ ხანჯალი“ ქარქაშში თანდებულისანი მიცემითია თუ ზმნაში პირს ვერ აღნიშნავს); სუბიექტი მესამე პირი მხოლ. რიცხვ... ობიექტი მესამე პირი მხოლ. რიცხვ.; სუბიექტი მოთხრობ. ბრ.; ობიექტი — სახელობ. ბრ.; სუბიექტი აღნიშნულია რეალურად **-ო-** სუფიქსის საშუალებით (მან ჩააგო, შენ ჩააგე, მე ჩააგე), ობიექტი პოტენციალურად (ნოლ-პრეფიქსით).

3. ზმნა გარდამავალია: აგებს ის ხანჯალს — ჩააგო მან ხანჯალი.

4. გვარი — მოქმედებითი (შდრ. ვნებითი: ხანჯალი თავისით ჩაიგო ქარქაშში).

5. კილო — თხრობითი (შდრ. ბრძანებითი: ჩააგე! არ ჩააგო! ნუ ჩააგებ!).

6. დრო — აორისტი.

7. ფუძე — განსხვავებული: მათია აგებს ხანჯალს — მათიამ ჩააგო ხანჯალი; განსხვავებულობას ქმნის **-ებ-** სუფიქსის დართვა აწმყოში.

8. ასპექტი (სახე) — სრული; სისრულეს აღნიშნავს **ჩა-** პრევერბი.
9. ქცევა — საარვისო (შდრ. სათავისო — ჩაიგო, სასხვისო — ჩაუგო...).
10. გზა — პირდაპირი ანუ უშუალო (შდრ. შუალობითი: ჩააგებინა მან სხვას ხანჯალი).
11. ზმნა — პირველადი.
12. თავისებურებები არა აქვს.

ჩააგო: **ჩა-** პრევერბი; **ა-** ფუძის (გარდამავლობის) მაწარმოებელი; **-გ-** მარტივი ფუძე (ძირი); **-ო** სუფიქსი, სუბიექტური მესამე პირისა.

გ) **მოიბანა:** 1-2: ზმნა — ორპირიანია („მოიბანა მათიამ ჭრილობა“). სუბიექტი მესამე პირი მხოლ. რ., ობიექტი — მესამე პირი მხოლ. რიცხ.; სუბიექტი მოთხრობ. ბრ., ობიექტი — სახელობითში; სუბიექტი წარმოდგენილია ზმნაში რეალურად **-ა** სუფიქსით, ობიექტი — პოტენციალურად (ნოლ-პრეფიქსით).

3. ზმნა — გარდამავალი: იბანს მათია ჭრილობას — მოიბანა მათიამ ჭრილობა.

4. გვარი — მოქმედებითი (გნებითი: ეს ხელი არ დაიბანება...).
5. კილო — თხრობითი (ბრძან.: მოიბანე! არ მოიბანო! ნუ მოიბან!).
6. დრო — აორისტი.
7. ფუძე — ერთი და იგივე: მათია **იბან-**ს ჭრილობას — მათიამ **მოიბან-**ა ჭრილობა.

8. ასპექტი — სრული; სისრულეს აღნიშნავს **მო-** პრევერბი.
9. ქცევა — სათავისო; ქცევის ნიშანი **ი-**; შდრ.: ბანს — საარვისო, — იბანს (სათავისო).
10. გზა — პირდაპირი ანუ უშუალო.
11. ზმნა — პირველადი.
12. თავისებურებები არა აქვს.

მოიბანა: **მო-** პრევერბი; **ი-** ქცევის ნიშანი; **-ა** სუფიქსი, სუბიექტური, მესამე პირისა.

დ) **შეიხვია** 1-2: ზმნა — ორპირიანი („მათიამ შეიხვია ჭრილობა“); სუბიექტი — მესამე პირი მხოლ. რიცხ.; ობიექტი მესამე პირი მხოლ. რიცხ.; სუბიექტი — მოთხრობ. ბრ. ობიექტი — სახელობ. ბრ.; სუბიექტი წარმოდგენილია ზმნაში რეალურად **-ა** სუფიქსით, ობიექტი — პოტენციალურად (ნოლ-პრეფიქსით).

3. ზმნა გარდამავალი: მათია იხვევს ჭრილობას — მათიამ შეიხვია ჭრილობა.

4. გვარი — მოქმედებითი.
5. კილო — თხრობითი.
6. დრო — აორისტი.

7. ფუძე — განსხვავებული: მათია იხვევს ჭრილობას — მათიამ შეიხვია (შეიხვია) ჭრილობა; განსხვავებულობას ქმნის ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობა.

8. ასპექტი — სრული; სისრულეს აღნიშნავს **შე-** პრევერბი.

9. ქცევა — სათავისო: შეიხვია ჭრილობა — შეხვია თავისი ჭრილობა; შდრ.: შეუხვია ამხანაგს ჭრილობა — შეხვია ამხანაგის ჭრილობა.

10. გზა — არაპირდაპირი ანუ უშუალო.

11. ზმნა — პირველადი.

12. თავისებურებები: „ხვევ“ ფუძე აორისტში იღებს „ხვივ“-ის სახეს; ხმოვანებს შორის მოყოლილი ბოლოკიდური **-ვ-** იკარგება: შეიხვია — შეიხვია.

შეიხვია: შე- პრევერბი, **-ი** სათავისო ქცევის ნიშანი, **-ხვი-** ფონეტიკურად გამარტივებული ფუძე (ხვივ), **-ა** სუფიქსი სუბიექტური, მესამე პირისა.

ე) **მივიდა:** 1-2: ერთპირიანი ზმნა: „მათია მივიდა“; სუბიექტი მესამე პირი, მხოლ. რიცხ., სახელობ. ბრუნ., წარმოდგენილია ზმნაში რეალურად **-ა** სუფიქსით.

3. ზმნა — გარდაუვალი: მათია მიდის — მათია მივიდა.

4. გვარი — საშუალო.

5. კილო — თხრობითი; შდრ.: ბრძანებ.: მიდი! არ მიხვიდე! ნუ მიხვალ!

6. დრო — აორისტი.

7. ფუძე — სხვადასხვა: „მათია მი-დი-ს“ — მათია „მი-ვიდა“.

8. ასპექტი — სრული; **მი-** პრევერბი აღნიშნავს მიმართულებას აქედან იქით.

9. ქცევა — არა აქვს.

10. გზა — პირდაპირი ანუ უშუალო.

11. პირველადი ზმნაა.

12. თავისებურებები. ა) აწმყოს და აორისტის ფუძე სხვადასხვაა (დის — ვიდა); ბ) შერჩენილი აქვს **-ხ-** სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა); გ) ბრძანებითი ამჟამად არსებითად გარჩეულია აორისტის სათანადო პირის ფორმისაგან (სხვა ფუძეა!): შენ მოხვედი, მიხვედი — მოდი აქ! მიდი იქ! დ) აორისტის პირველსა და მეორე პირში **-ვედ-** არის ფუძე (მოვედი, მოხვედი... მოვედით, მოხვედით), მესამე პირში და მთელს კავშირებითს მეორეში ფუძე არის **-ვიდ-** (მოვიდა, მოვიდნენ... მოვიდე, მოხვიდე, მოვიდეს, მოვიდეთ, მოხვიდეთ, მოვიდნენ); ე) პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი **-ვ-** დაკარგული აქვს ფუძისეული **-ვ-**ს მეზობლობის წყალობით (ჯერ ისევ ძველს ქართულშივე).

მივიდა: მი- პრევერბი; **-ვიდ-** ფუძე; **-ა** სუფიქსი, სუბიექტური მესამე-

მე პირისა.

ვ) **გასინჯა:** 1-2: ზმნა — ორპირიანი: „მათიამ გასინჯა დათვი“; სუბიექტი — მესამე პ., მხოლ. რიცხ., ობიექტი მესამე პირი მხოლ. რიცხ., სუბიექტი — მოთხრობ., ობიექტი — სახელობ.; სუბიექტი წარმოდგენილია ზმნაში რეალურად **-ა** სუფიქსით, ობიექტი — პოტენციალურად (ნოლ-პრეფიქსით).

3. ზმნა — გარდამავალი: მათია სინჯავს დათვს — მათიამ გასინჯა დათვი.

4. გვარი — მოქმედებითი.

5. კილო — თხრობითი.

6. დრო — აორისტი.

7. ფუძე — განსხვავებული: მათია სინჯავს — მათიამ გასინჯა: განსხვავებულობას ქმნის **-ავ** სუფიქსის დართვა აწმყოში.

8. ასპექტი — სრული, სისრულეს აღნიშნავს **გა-** პრევერბი.

9. ქცევა — საარვისო.

10. გზა — პირდაპირი ანუ უშუალო.

11. პირველადი ზმნაა.

12. თავისებურებები არა აქვს.

გასინჯა. გა- პრევერბი; **სინჯ-** ფუძე (მარტივი); **-ა** სუფიქსი, სუბიექტი, მესამე პირისა.

ზ) **მოხვედროდა:** 1-2: ზმნა — ორპირიანი: „ტყვია მოხვედროდა დათვს“; სუბიექტი მესამე პირი მხოლ. რიცხ., ობიექტი მესამე პირი მხოლ. რიცხ., სუბიექტი — სახელობითში, ობიექტი — მიცემითში; სუბიექტი წარმოდგენილია ზმნაში რეალურად **-ა** სუფიქსით, ობიექტი — პოტენციალურად, — ნოლ-პრეფიქსით (შეიძლებოდა, გვექონოდა: ჰ- პრეფ.: მოჰხვედროდა).

3. ზმნა — გარდაუვალია: ტყვია ხვდება დათვს — ტყვია მოხვდა დათვს.

4. გვარი ვნებითი (ე. წ. საშუალო-ვნებითი): მაწარმოებელი — **ი:** ვხვდები, ხვდები...

5. კილო — თხრობითი.

6. დრო — თურმეობითი მეორე: აწმყო: ტყვია ხვდება დათვს.

აორისტი: ტყვია მოხვდა დათვს

თურმეობ. I: ტყვია მოხვედრია დათვს

თურმეობ. II: ტყვია **მოხვედროდა** დათვს.

კავშირ. III: ტყვია მოხვედროდეს დათვს.

7. ფუძე განსხვავებული: ტყვია **ხვდება** — ტყვია მო-**ხვდა**-ა; განსხვავებულობას ქმნის აწმყოში „-ებ-(ი)“ს დართვა.

8. ასპექტი — სრული; **მო-** პრევერბი აღნიშნავს სისრულეს.

9. ქცევა — საარვისო (შდრ. ხვდება ის მას — უხვდება ის მას).
10. გზა — პირდაპირი ანუ უშუალო.
11. პირველადი ზმნაა.
12. თავისებურებები არა აქვს.

მოხვედროდა: **მო-** პრევერბი, **-ხვედრ-** ფუძე (ამჟამად უფუნქციო **-რ-** ფორმანტით), **-ოდ-** თურმეობითი მეორის მაწარმოებელი ორპირიან გარდაუვალ ზმნებში (შეკითხებოდა, დახმარებოდა, მოკვდომოდა...), იგივე სუფიქსია, რაც ნამყო უსრულში ვნებითებსა და საშუალო-ვნებითებს აწარმოებს (იღუპებოდა, ესწრაფებოდა, ყვიროდა, ტიროდა)... **-ა** სუფიქსი, სუბიექტური, მესამე პირისა.

О ПРИНЦИПАХ АНАЛИЗА ИМЕНИ И ГЛАГОЛА В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ*

(РЕЗЮМЕ)

Чтобы поставить грамматические знания на твердую почву, необходимо с соответствующей точностью разработать вопросы именного склонения и глагольного спряжения.

Именное склонение следует характеризовать в зависимости от процесса склонения, строения основы и семантики. В грузинском языке по существу имеется одно склонение, но в зависимости от основы выделяют несколько вариаций склонения. Существенным для природы грузинского языка является то обстоятельство, что вместо предлогов, имеющихся во многих других языках, в именах представлены послелогии.

При анализе глагола следует учесть функционирование в грузинском языке таких категорий, как: лицо, число, переходность/непереходность, залог, наклонение, время, аспект, версия, каузатив; особое внимание следует обратить на различия глаголов в зависимости от основы, что проявляется во время спряжения. Подчеркивается тот важный для грузинского языка факт, что глагол отражает лицо и число как субъекта, так и прямого и косвенного объектов; с полиперсонализмом глагола непосредственно связана категория версии.

* Резюме составил Г. Гоголашвили.

მთიულურის თავისებურებანი

მთიულეთი მდებარეობს არაგვის ხეობაში; მლეთის — თემში არაგვის ხეობის გარდა — მთიულთა სოფლები ჯ ა დ ა -ს ხევშიცაა, ფასანაურის თემში — ჯ ა ნ დ ო -ს ხევშიც. ჩვენი მასალების მეტი წილი ჩაწერილია სოფ. მ ლ ე თ ა შ ი , სოფ. ქ ე ე შ ე თ შ ი , სოფ. ყ ე ე ლ ა ა ნ თ - კ ა რ შ ი (სამივე არაგვის ხეობაშია, სამხედრო გზასთან). მცირედენი მასალა ჯ ა ნ დ ო ს ხევშიც გვაქვს მოპოვებული. ჯადას ხევში მუშაობის შესაძლებლობა ჩვენ არ მოგვეცა, რაც გვზღუდავს მთიულურის შესახებ მსჯელობისას: აქ წარმოდგენილია მთიულურის ზოგადი დახასიათება და მას წინასწარი ცნობის ხასიათი აქვს.

ფონეტიკური მოვლენები. მთიულურის ბგერითი შედგენილობისათვის დამახასიათებელია **ჯ, ძ** და **ჰ/ს** ქონა.

ჯ ბგერა მთის ყველა კილოს (მოხეურს, ხევსურულს, ფშაურს, თუშურს) აქვს დაცული; ბარში აღმოსავლეთ საქართველოში, ეს ბგერა გვხვდება ქიზიყურში, ინგილოურში; შერჩენიათ ეს ბგერა მეჩვიდმეტე საუკუნეში კახეთიდან აყრილ და ფერეიდანში გადასახლებულ ქართველებს¹ (ეს მოწმობს, რომ იმ ხანებში კახურშიაც იხმარებოდა ეს ბგერა).

მთიულურში **ჯ** ბგერა გვხვდება იმავე სიტყვებში, სადაც მას ძგ. ქართულიც ხმარობს: მ უ ჯ ლ ი , მ ჯ ა რ ი და მ ჯ ა რ ე , ფ ე ჯ ი , ჯ მ ე ლ ი , ჯ მ ა , ჯ მ ა ლ ი , ჯ ე ლ ი და აქედან ნაწარმოები სიტყვები: ჯ ე ლ მ წ ი - ფ ე , ს ა ჯ ე ლ მ წ ი ფ ო , მ ო ჯ ე ლ ე ...

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივად მთიულის გამოთქმაში ეს ბგერა მკვეთრად გამოირჩევა **ხ** ბგერისაგან, მაგრამ ზოგის ლაპარაკში ასეთი განსხვავება არ იქმნება და საგანგებო გულის ყური უნდა მიაღწევს კაცმა, რომ ეს ბგერა ჩვეულებრივი **ხ** ბგერისაგან გაარჩიოს. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ბარის მეტყველება — ქართლისა — ახდენს გავლენას. ბართან ურთიერთობა დღითიდღე უფრო ცხოველი ხდება და გავლენაც, ალბათ, თანდათან უფრო გაძლიერდება.

ბგერა **ძ** დასუსტებული **ი-ა**, და მას მთიულური იყენებს სახელობითის ნიშნად ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებთან: ს ი ზ მ ა რ ა ძ , ბ ი -

¹ ნ. ავტორის „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“: ტფილ. უნივერს. მოამბე, ტ. VII, გვ. 199.

ლიკაე, ფეჯდოლოზაე (სხვა მაგალითები იხ. მოფროლ., სახელთა ბრუნება)...

გარდამავალი ბგერა **ჰ/ღ** ტოვებს რთული ბგერის შთაბეჭდილებას; გამოყენებულია ზმნაში პრეფიქსად (ამ პრეფიქსის შესახებ ნ. მორფოლ., ზმნის უღვლილ.); ამ ბგერის ხმარების ნიმუშები გვაქვს სიტყვებში: მოჰ/დკლავს, მოჰ/დყავს, დაჰ/დძახით; მოჰ/სჭრა, გაჰ/სჭრეს, მოჰ/სდევს... ასეთი შემთხვევები ხშირი არაა.

სანამ ფონეტიკურ პროცესთა განხილვაზე გადავიდოდეთ, მახვილის საკითხი უნდა გავითვალისწინოთ. მახვილი მთიულურს ორგვარი აქვს: დინამიკური და ტონური. პირველის ბუნება-თვისებაცა და ადგილიც თითქმის ისეთივეა, როგორც ბარის სხვა კილოებში; მეორე — ჩვეულებრივად ბოლოდან მეორე მარცვალს ხვდება და სათანადო ხმოვნის გრძლად გამოთქმას იწვევს. დინამიკური მახვილი ამჟამად გაბატონებულია, ტონური — მილეულა და მხოლოდ გარკვეულ პირობებში გარკვეულ პირებთან (მოხუცების მეტყველებაში...) იჩენს თავს.¹

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია:

დასაწყისში და თანხმოვნის შემდეგ **ვა** → **ო**. ამის მაგალითებია: ხოი ← ხოვი ← ხვაი... საფქოვი ← საფქვაი... კოლი ← კუალი... ჯორი ← ჯვარი... მარცოლი ← მარცვალი... ყოილი ← ყოვილი ← ყვაილი... ზოი ← ზოვი ← ზვაი... ქობი ← ქვაბი... სამზღორი ← სამზღვარი... საყორელი ← საყვარელი... სხო ← სხვა... წინადადებაებში: ქერი მაგარი საჭმელია: ხოი აქ... საფქოვი ქათმებმა არ დამიღუპონ... უნდა დაყარო ფული შეძლების კოლზე და... დაწერენ ჯორსა, გამოვლენ გარეთა... ჯორის საწერი... ის ჯარი სულ დამბრმალა, თოლი ვერ გაუხელია... ამ ჯარს თოლები აუხილე... შენ აქ შემოუშვი ცხორო... მე ცხორი არა მყავ... მთორიან ღამეში ათი-თუთხმეტი (მგელი) ერთად დადიოდა... არც სეტყო აშინებს (ქერს), არც ყინო... ამ ქორის სიტყოს დასაჯერისნი ვართო... ქმარი ბოლოს იმი სიტყოზე წასულიყო... დარჩა ორი მარცოლი კიდავ... ყოილები წითლად-ყვითლად წყალმა წაიღო... ერთი ნადირი მოკლეს და ჩაყარეს ქობში... სწორად ჩამოდის იმის სამზღორი... ბეჟან არის ერევნელი საყორელი გივის შვილი... სხომ მაჩუქვა... სხოს რო მივცე...

მთელ რიგ სიტყვებში **ვა** უცვლელად რჩება: ხვალ, რვა, ქვა, ულვაში, გირვანქა, მარხვა...: დღეს დაგლიო, ხვალ რაღა

¹ დაწვრილებით ამის შესახებ ნ. ავტორისავე: „გრძელი ხმოვნები მთიულურში“, ტფილ. სახელმწ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IV, გვ. 333-348; იქვე — სათანადო მაგალითები.

გქნაო, ხ ვ ა ლ დაგლიო, — ხ ვ ა ლ ე -ზედაო... ერთი მარლის ქ ვ ა გამო-
უგზავნია... დეეხვიგენ ქ ვ ა ს ა... რ ვ ა ჩანეხი ოცდაათვირვანქიანი იყო...

ვა- კომპლექსის **ო**-დ ქცევისათვის წინაპირობას **გ-** ბგერის ფონეტი-
კური თვისება უნდა წარმოადგენდეს: **გ-** ასოთი აღნიშნული ბგერა ქარ-
თულში თანხმოვნების შემდეგ ჩვეულებრივად არსებითად წყვილბაგისმიე-
რია და მხოლოდ ხმოვანთა შორის იხრება ის კბილბაგისმიერობისაკენ
(შდრ. „კვალი“ — „ივანე“...).

ძველს ქართულში **უ** იწერებოდა ბევრგან იქ, სადაც ახალი ქართუ-
ლი **ვ**-ს იყენებს: კუერთხი, შუენიერი, გუამი, კუალი, სხუაძ...

ანტონ კათალიკოზის სალიტერატურო სკოლა ცდილობდა გაერჩია **ვ**
და **ჟ** — უმარცვლო უ, მაგრამ ამაოდ: გასული საუკუნის მესამოცე წლებ-
ში ზედმეტ ასოთა რიცხვში **ჟ**-ც მოყვა. საინტერესოა, როგორ ასაბუთებ-
და ახალი სალიტერატურო ქართულისათვის მეტროძოლი ილია ჭავჭავაძე **ჟ**
(**უ** ბრჯგუს) ზედმეტობას: „**ჟ**-ზედ ბევრჯელ მქონია ლაპარაკი სხვადასხვა
პირთან. ზოგს უთქვამს, უნდა გადაიდოსო, ზოგს — უნდა დარჩესო,
თუმცა არც ერთ მათგანს ცხადად არ დაუმტკიცებია თავისი აზრი, მაგრამ
მე იმათ ლაპარაკიდგან ეს სარგებლობა გამოვიტანე, რომ ეგ ასო, მართლა
თუ უვარგისია, გადაიდოს, როგორც უსაჭირო, რადგანაც, ჩვენი ანბანი
უფრო გამარტივდებოდა და მართლწერა გაადვილდებოდა. ჩემის ფიქრით
მაგის თანასწორ ხმოვანი ასო (sic! ა. ჩ.) გვაქვს ჩვენ: „**ვ**“. თუმცა ამბობენ,
რომ სადაც „**ვ**“ იხმარებაო იქ **ჟ** — არაო, იმიტომ, რომ **ჟ**-თი¹ ნახევარ **ვ**-
ი გამოითქმისო, ესე იგი, **უ**-ს და **ვ**-ს რაღაც შუა ხმათაო; მაგრამ მე ვფიქ-
რობ, რომ, როგორც **ჟ**, ისე **ვ** გამოთქმაში ერთი ერთმანეთსა ჰგვანან და
არაფრით განსხვავდებიან იმიტომ, რომ, სადაც **ჟ**-თია ხმარებული იქ **ჟ** **ვ**-
ათ ისმის და, სადაც **ვ**-ნია ხმარებული, იქ **ვ**-ნი **ჟ**-თად ისმის. მაგალითად,
„ვითარი“, სადაც **ჟ**-ს არა ვმარობენ. სწორედ რომ გამოსთქვას კაცმა და
არა დაძალებით, „**ვ**“ **ჟ**-სავით გამოვა; თუ ვინმე მაგრათ და მტკიცედ
გამოსთქვამს, ის ორს **ვ**-სა ხმარობს და არა ერთსა; აქედამა ჩემის ფიქრითა
ჰსჩანს, რომ ამ თანასწორ ხმოვან ასოთა შორის ან ერთია მეტი ან მეო-
რეა; მე უფრო „**ჟ**“ მგონია მეტი, რადგანაც, როგორც **ჟ**-ის ხმარებაშია,
ისევე **ვ**-ს ხმარებაში უფრო **ვ**-ნი ისმის, ვიდრე რაიმე ხმა. მერე **ჟ** იქ იხმა-
რება, სადაც **ვ**-ს უხმო ასო შეხვდება ხოლმე და ეგ ორი უხმო ასო ერთა-
თაა გამოსათქმელი“...²

ზოგს შინაგან წინააღმდეგობას რომ თავი დავანებოთ, სწორია ძირი-
თადი აზრი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ამ ბგერათა შესახებ გამოთქვამს;
ვ და **ჟ**-ს გამიჯვნა შეუძლებელია (თუმცა სხვადასხვა კომპლექსებში **ვ** ბგე-

¹ ე. ი. უ ბრჯგუთი. — ა. ჩ.

² ნ. „კრიტიკული წერილები“, ტფილ. 1909, გამოც. წ. კ. გამარც. საზ., გვ. 48.

რა ერთი და იმავე ფონეტიკური ღირებულებისა არ არის!).

ძვ. ქართულში **გ**- ბგერა გარკვეულ შემთხვევებში იხმარებოდა; საფიქრებელია, რომ სათანადო ბგერა ფონეტიკურად ყველა ამ შემთხვევაში ერთნაირი არ იყო: ორთოგრაფიული ტრადიცია, ალბათ, აქ გარკვეულ როლს თამაშობდა. და მაინც: უმარცვლო **უ** და **გ**-ის ხმარების შემთხვევები ზუსტად განსაზღვრული იყო.¹

საგულისხმოა, რომ **გა** → **ო** მთიულურში მეტწილად იქა გვაქვს, სადაც ძვ. ქართულში **-უა**-ს ვხვდებით (უმარცვლო უ + ა): თუალი, ჯუარი, კუალი, ქუაბი, სხუად... ქ ვ ა, რ ვ ა, ხ ვ ა ლ... ძვ. ქართულში **გ**-ინით იწერება და მთიულურშიც უცვლელად გვაქვს...

ამგვარად: ყოველგვარი **გა** კი არ უნდა გვაძლევდეს მთიულურში **ო**-ს, არამედ წყვილბაგისმიერობისაკენ უფრო გადახრილი **გ + ა**.

რით აიხსნება პარალელური ფორმების არსებობა: ჯ ო რ ი || ჯ ვ ა რ ი, გ ო რ ი || გ ვ ა რ ი, თ ო ლ ი და თ ვ ა ლ ე ბ ი, ს ი ტ ყ ო || ს ი ტ ყ ვ ა... (გვარი, ჯვარი... იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება). ამგვარი ფორმები გარეშე გავლენას უნდა მიეწეროს: მათი ხმარება შემჩნეულია ისეთი პირების მეტყველებაში, რომელნიც წიგნისა და სკოლის გავლენას განიცდიან ანდა ბარში (ქართლში) არიან ნამყოფი.

გა კომპლექსი ზმნებშიაც წარმოდგენილია **ო**-თი, თუმცა აქ მეტ სიჭრელესთან გვაქვს საქმე:

გ ო ქ (=გვაქვს), და გ ო ვ ი წ ყ ა, გ ო ძ ლ ე ვ ე ნ, გ ო ჯ დ ე ვ ი ნ ე ბ ე ნ, გ ო ს წ ა ვ ლ ი ს, ვ ა ც ო მ თ, თ ქ ო, უ თ ქ ო მ, და ფ ქ ო ვ ს, და უ დ ო, ვ ს ო, ჩ ა უ ც ო მ, გა და უ შ ო, ა მ ო უ შ ო, გა დ უ ს ო, ჩ ა უ ს ო მ..

მეორე მხრით: გაუძღვა, დაარქვა, წაართვა, ჩაუსვა... (მოიყვანა, დაწვა, ვაწვალბთ... და მსგავსი მაგალითები მხედველობაში არ მიიღება: აქ ძვ. ქართულში **-ვა** გვქონდა და არა **-უა**, როგორც ზემოხსნებულ შემთხვევებში.

გა → **ო**: არსადა გ ო ქ: სუყველაყად და გ ო ვ ი წ ყ ა... არ გ ო ძ ლ ე ვ ე ნ, ქირას გ ო ჯ დ ე ვ ი ნ ე ბ ე ნ... გ ო ს წ ა ვ ლ ი ს ჩვენ... დამ თ ქ ო... მისულა შინა და უ თ ქ ო მ... იმას ვ ი ც ო მ თ... ჩქარ და ფ ქ ო ვ ს... და უ დ ო ურემზე... ა მ ო უ შ ო გმირები გივმა... არ გა და უ შ ო ო...

გა რჩება: ამიტომ სამ ტევან ჭაბუკი და ა რ ქ ვ ა... სიზმარასაც ეს ე დ ვ ა გულში... წ ა ა რ თ ვ ა კოკა... ჩ ა უ ს ვ ა ერთი თოლი...

¹ ზოგი სიტყვის (მაგალ. წარიყვანეს || წარიყუანეს, იყვნეს || იყუნეს) დაწერილობაში ერთგვარი რყევა შეიძლება მხედველობაში არ მივიდეთ.

ცალკე განხილვის ღირსია ორი მაგალითი: გადმოიყონ¹ (=გადმოიყვანა), მთორ (=მთავარ...). ორსავე მაგალითში ეს **ო** ტონური მახვილის მატარებელია და ამ უკანასკნელს უნდა ედვას წილი მიღებულ ცვლილებაში: ხმოვანთა შორის მოქცეული **ვ** (მთავარ) ამ მახვილის ზეგავლენით დაიჩრდილა და ხმოვნებთან ერთად **ო** მოგვცა; ხმოვნის შემდეგ **ვა** **ო**-ს ვერ მოგვცემდა, თუ არ მახვილის გავლენა!

ეს მაგალითი საკითხს სვამს: **ვ** → **ო** პროცესში **ვ** ბგერის თვისების გარდა ხომ არ თამაშობს ტონური მახვილიც გარკვეულ როლს?

ამ საკითხს საგანგებო შესწავლა სჭირდება სხვა კილოების მასალების მიხედვითაც. აქ კი შეიძლება დავასკვნათ: მთიულურისათვის დამახასიათებელია **ვა** → **ო**; **ვ** ამ შემთხვევაში არსებითად წყვილბაგისმიერი ბგერაა, უმეტეს შემთხვევაში სათანადო მაგალითები ძვ. ქართულში უმარცვლო **უ**-თი იწერება. **ვა** → **ო**, თუ სიტყვის დასაწყისშია (თავიიდური **ვა**-კომპლექსი) ანდა სიტყვის შიგნით თანხმოვნის შემდეგ.²

ოვი → **ოი**: **ო** მ ო ი დ ა (=მოვიდა), ჩვენ მ ო ი ტ ა ნ ე თ (=მოვიტანეთ), მე ა მ ო ი დ ე ვ (=ამოვიდეგ), მე შე მ ო ი ა რ ე (=შემოვიარე), მე წ ა მ ო ი დ ე (=წამოვიდე)... ხ ო ი ← ხ ო ვ ი ← ხ ვ ა ვ ი... ზ ო ი ← ზ ო ვ ი ← ზ ვ ა ვ ი... ყ ო ი ლ ი ← ყ ო ვ ილი ← ყ ვ ა ვ ილი...

ეს პროცესი დადასტურებულია გარე და შიგნი-კახურში, ქიზიყურში, ინგილოურსა და ფერეიდნულში (იხ. ნაჩვენები ლიტერატურა).

ქართლურს მეტყველებაში ამ პროცესს ადგილი არა აქვს. ბარის (ქართლის) ზეგავლენას უნდა მიეწეროს რამდენიმე შემთხვევა **-ოვი** კომპლექსის ხმარებისა: ამოვიჩიეთ, ამოვიყვანეთ, გამოვიჭრით, მოვიხილეთ, მოვიდენ. პირველი ოთხი მაგალითი თითო ჯერ გვხვდება, უკანასკნელი (მ ო ვ ი დ ე ნ) — არა ერთგზის.

ოვა → **ოა**... სპორადულად გვაქვს: ს ა ძ ო ა რ ი, მ ო ა რ დ ნ ი ლ, წ ა მ ო ა ლ... ჩვეულებრივად **ოვა** კომპლექსი შენახულია უცვლელად: მოვა, გამოვართმევ, მოვაშორებ, გასათხოვარი, მოვატანიეთ...

ამ კომპლექსში **ვ**-ს დაკარგვის შემთხვევები საგულისხმოა მომავალი განვითარების თვალსაზრისით; ცნობილია, რომ ამ პროცესის შემდგომი

¹ შავად აწყობილი ხმოვანი ტონურ მახვილს ატარებს და გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

² ბგერასთან სხვადასხვა კომპლექსებში გარკვეული ცვლილებებია დაკავშირებული ნაწილობრივ ქართლურში, უფრო კახურში, ქიზიყურში, ინგილოურში და განსაკუთრებით ფერეიდნულში. ვ. თ ო ფ უ რ ი ა: „ქართლური“ (კრებ. არილი, ტფილ., 1925, გვ. 138), მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი: „საინგილო“ (ძვ. საქართველო, ტ. II, ტფილ., 1910-12, ნაწ. IV, გვ...); ჩვენი: „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“ (არილი, გვ. 63-65), „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“ (ტფილ. უნივერ. მოამბე, ტ. VII, გვ. 208-10). აგრეთვე სპეციალური წერილი: „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“ — ჟურ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923, №5.

განვითარების შედეგია — **უა (ოვა → ოა → უა)**, რასაც გუროულში ფართო გასაქანი აქვს: შუა, გამუართმევ, მუაშორებ, გასათხუარი... და სხვ.

ოა → უა ჩვეულებრივია მთიულურშიც სიტყვის ბოლოს: ლადუა (← ლადოა), ვანუა (← ვანოა), გიგუა (← გიგოა), მარტუამ (← მარტოამ): აქ ყველგან ბოლოკიდურ **ო**-ს კინობითობის **-ა** ერთვის.

ვ-ს წყვილბაგისმიერობის თვალსაზრისით დამახასიათებელია მისი შენაცვლება **-მ**-სთან: დაჰკრამ, უტანჯამ, დაჯოცამ, ვთესამ (ერხთელ: ვთესავთ!), მითომ, მასკულევიანი (= ვარსკვლავიანი), მიწრო (= ვიწრო)...

ეს უკანასკნელი სიტყვა ძვ. ქართულში მოცემულია „იწროს“-ს სახით (მეგრულში სწორედ ამ სახითაა ეს სიტყვა დაცული, ოღონდ **წ**-ს წინ **-ნ-** არის განვითარებული: ი ნ წ რ ო); შემდეგ განვითარდა თავკიდური **ვ**: ვიწრო; მთიულურში **ვ**-ს შენაცვლა **მ**: მივიღეთ მიწრო... იწრო → ვიწრო → მიწრო...

შენაცვლების სხვა შემთხვევებიდან აღსანიშნავია:

მ — ნ: ბლონათ (ბლომათ), ყანირი (ყამირი), მარიანობისთვე (მარიამობისთვე), ნიგუზალი (მუგუზალი)...

ნ — მ: სამთელი (სანთელი-ს ნაცვლად):

ჟ — ჯ: დავბატიჯოთ (დავბატიჟოთ-ის ნაცვლად)... გვზვდება: დავგბატიჟებენ)... ჯანგმა (ყანგმა-ს ნაცვლად)... გადასმის ნიმუშს წარმოადგენს:

ლ — რ-ს ადგილის ცვლა: ს უ რ ი ე ლ ი (სულიერი), ძ რ ი ე ლ , ძ რ ი ა ლ ი (ძლიერ, ძლიერი), ხ ო რ ვ ე ლ ა (ხოლერა — გადასმის შემდეგ **რ**-სთან **ვ** ჩაემატა).

ბ — მ: ე მ ბ ე ბ ი ა ნ (ებმებიან-ის ნაცვლად)...

მჟღერი **დ**-ს ადგილს იჭერს **ტ** სიტყვაში: ჩემოტენა, ამტენი, რამტენი... ბარის კილოებშიაც ამ სიტყვაში **-დ-** შეცვლილია; რამთვენი, ამთვენი, იმთვენი... ჩვეულებრივია კახურში.

კარგი-ს ნაცვლად კარქი მთიულურისათვის ძირითადია ისევე, როგორც ბარის კილოებისათვისაც. ხშირია „დაკარქულა“-ც: **გ**-ს ადგილას მშვინავი **ქ** გვაქვს.

ცხვირისმიერი **მ** და **ნ** არის განვითარებული სიტყვებში: ყ ლ ა მ - პ ა ვ ს , ჯ მ ი ა ნ დ ი ...

ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად არის მიღებული: შ ა ჟ ე ნ ი (← საჟენი), შ ა ჩ უ ქ ა რ ი (← საჩუქარი), შ ა ჯ მ ე ლ ი (← საჯმელი), ფ შ ვ ე ლ ი (← მშველი)... ასიმილაცია ყველგან რეგრესიულია.

დისიმილაციის შემთხვევებია: ო რ - ო ლ ი (← ორ-ორი), ბ ე ვ რ - ჯ ე ლ (← ბევრ-ჯერ)... დ ი ს ი მ ლ ა ც ი ა პროგრესულია.

სიტყვაში ბ ა ტ ა რ ა (← პატარა) დისიმილაცია რეგრესიულია; ბატარადლში (ერთხელაა ნახმარი ტექსტებში) იგივე ბატარა-ფუძე გვაქვს.

რეგრესიული დისიმილაცია ქართულისათვის უჩვეულოა. როგორც პროფ. გ. ახვლედიანს აქვს გარკვეული სპეციალურს ნაშრომში, „ბატარა“, „ბატონი“ (← პატრონი)... და მაგვარი მაგალითები უცხოურ ენობრივ გავლენას უნდა მიეწერებოდეს.¹

„მ ს ხ ვ ი ლ ი-ს“ ანალოგითაა მიღებული „მ წ ვ რ ი ლ ი“...

„ს ი ნ ო დ ი ს ა“ და „ს ე ნ ა ტ ი ს“ კონტამინაციითაა მიღებული „ს ე ნ ო ტ ი“; „უთხრეს სენოტმა ჯელმწიფეს“: ზღაპარში ჩააკერა ეს მთქმელმა... შეკითხვაზე — „რა არის ეს სენოტი?“, მთქმელმა განმარტა: „სენოტი — მოსამართლეები რაღა!“

ამგვარი აღრევა სინოდისა და სენატისა შემომჩნევია რევოლუციამდის სამეგრელოში: „პალატიდან (იგულისხმება „სასამართლო პალატა“) ს ი ნ ო დ შ ი გადაუტანია საქმეო!“

ბოლოკიდურ **ი**-ს დასუსტება-დაკარგვის შემთხვევები განხილული გვექნება სათანადო მორფოლოგიურ მოვლენებთან დაკავშირებით.

მორფოლოგიური მოვლენები:

1. სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან ზოგჯერ იკარგება: ძ ა ლ ლ ე ბ იყო, მღვეის ძალღები... მაგ ადამიანს მამა მ დ ი დ ა რ იყო... პურია გ ა ს ა კ ე თ ე ბ ე ლ და არ მოიდა... თურმე იმის სახლში გ ვ ე ლ ე ბ იყო... კ ა რ ე ბ დაიძახებს... მეღამა... ბ ე ვ რ კ ა ც მიატყულია... შ ვ ი დ უღელი ჯარი ება... ერთმანეთს ებნებიან: მოდი, თ ა ვ ე ბ დავიჯოცოთო... იმ კაცებს ვ ი რ ე ბ ჰყავ... ი ქ ა ლ დღეში ჩემოტენა იზდება... წინ ერთი ფ შ ა ვ ე ლ შამოხვდა... ე წ ე რ ი ლ ჩვენებს მიერთოს... დავვიტრიალდა უკუღმა წ ე ლ ი წ ა დ ბედის კვერია... ქ უ დ- მ ო ჯ დ ი ლ ქვეყნად არ ვივლი... მ თ ი ე ლ ვარ, მთაში გაზდილი...

უკანასკნელი ხუთი მაგალითი ლექსში გვაქვს, სხვები — პროზაში. როგორც აღვნიშნეთ, მოვლენა ხშირი არ არის; მიზეზი ფონეტიკური უნდა იყოს: მხედველობაში გვაქვს საწინადადებო ფონეტიკა.

ანალოგიური მოვლენა ახასიათებს ხევსურულს² და თუშურს, ოღონდ იქ სახელობითის **-ი** თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან უფრო ხშირად იკარგება და, გარდა ამისა, ბოლოკიდური სხვა ხმოვანიც იკარგება,

¹ იხ. მისი: "Диссимилативное озвончение горлално-смычных согласных в осетинском яз." (იბეჭდება).

² იხ. ხევსურული ტექსტები ბ. გაბუურისა: „ქართ. საენათმეცნ. საზოგად. წელიწადიულო“, ტ. III, 1925, გვ. 121 და შემდ. იხ. აგრეთვე: ა. შანიძე: „ქართული კილოები მთაში“, „კრებული“ — პეტროგრადის სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა, ტფილ. 1915, გვ. 195; აქ ვკითხულობთ: „სახელობითის დაბოლოება **ი**ნი ხევსურულსა და თუშურში იშვიათად იწმარება“.

ისიც ზმნასთან (კაც მავიდა...)... ასე რომ ხევესურული ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ სახელობითის **-ი**-ს დაკარგვა კერძობითი შედეგია ფონეტიკური პროცესისა, რომელიც ბოლოკიდურ ხმოვანთა (**-ი, -ა, -ე...**) დაკარგვაში მდგომარეობს.

2. აქა-იქ შემონახულია სახელობითის **-ი** ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან:

თუ იცნობთ არაკვეთშია, ვანკაე ნაჩაფარია... ქალაქისკენ ემზადები ნიკორაე გყავ ცხენია... შეიქნა სიზმარაე ჩვიდმეტი წლისა... სიზმარამ გაგზავნა ფეჯ-დოლოზაე... ერთხელ მეც ვიყავ ვა-ქაე... აქ ჩამოდის ბატარა ბილიკაე... სამი თხაა: ერთი — წითელი, ერთი — თეთრი, და ერთი შავნაეო... დარჩა ერთი ურემი ცარიელაე... მესამე წითელისაე ჰქონია...

3. ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება **-ის, -ით** ბოლოუკვეცი (ხმოვანზე დაბოლოებული) ფუძეების შემდეგ არ კარგავს **-ი**-ს, არამედ **-ის, -ით**-ის სახით წარმოგვიდგება (როგორც ძვ. ქართულში):

ეს არი გიორგაე (=გიორგაძე) ნამუშევარი... მაიყვანეს მამა სიზმარაედი... ყურები ისევ თავშია სცემს მელიაედი... პატრონები წამოიღე ბერდენკაედი... მოუსვია ნაბდის წვერი სუყველადესთვინ... გიგს აქვს საწუთროდეს ჯელსაჯოცი... წყალმა სარეკელაეთ მორთული წისქვილი მომტაცა...

4. ნათესაობითისა და მიცემითს ბრუნვაში ბოლოკიდური **-ს** იკარგება არც თუ იშვიათად, თუმცა ეს მოვლენა ისე ხშირი არ არის, როგორც გარეკახურში¹ და მეტადრე, როგორც ქიზიყურში:

ნათეს. გამაიარა მღვდლი ქალმა... სუ იქით ნაპირი ოთახში ერთი დეგია დამბული... ერთი ბებრი ბანზე ააგდო... იმან იმი ტანისამოსი ჩაიცო... იმ დორი პატრონს ბევრი ეგონებაო... ლაფნი ქერქობა ყოფილა... სიახლი დროს მირჩვენიაო... თეთრი მდევი (=მდევის) მთაში არეკა... შენი მამი თოლებს გასწავლიო... კარები თავში შაიხედო... უბეში ძალლები ბეწვები ჰქონდა...

ამავე მიზეზით ნანათესაობითარი „თავის“, „თავისი“ — კუთვნილებითი ნაცვალსახელი კარგავს **-ს**-ს და „თავი“-ს სახით იხმარება ჩვეულებრივ: ქალს თავი დედა ჩაუყლამპია... თავი მამა გაგზავნიდა... წასულა თავი დედ-მამასთან... მემრე თავი მუშებს ჩააცო რკინის ქალამნები... ორნივე თავი დედასთან წავიდენ...

მიცემ. ვისიმე ბოჩოლებ თუ მოუსწარ ყანაში, იქვე დავკოც... ციხით ქალ გამაიყვანენ... მემრე ყარამან გაუჯადეს ჩხუბი... მემრე

¹ იხ. „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“, გვ. 67-68 და „ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში“ („ენიშვილის მოამბე“, ტ. I, გვ. 66-77).

ყარამბოლლ (=ყარამბოლლს) დაუძახა... ყ ე ლ ე ბ გამოვიჭრით... ჯიბეში
 ე ლ ჩაიყოფს... ძ მ ე ბ დაუკივლა... ი ქალი ეხლა ც ხ ე ნ ე ბ დაედევ-
 ნა... შენ ც ხ ვ ა რ ე ბ დაუდეგო... მამიშენი თ ო ლ ე ბ გასწავლიო... სა-
 ნამ უ ნ ა გ ი რ არ დამადგმევენებო... ერთ ქ ა თ ა მ მოვიყვანო... სუ
 თ ა ვ ე ბ დაჭკრისო...

5. ორიოდ შემთხვევაში უთანდებულო მოქმედებით დაშორებითი
 მნიშვნელობითაა ნახმარი: ფ შ ა ვ ე თ ი თ გამოტანილი (=„ფშავეთიდან“)
 გამოტანილი...), ქალ ც ი ხ ი თ გამაიყვანენ (=ქალს ციხიდან გამოიყვა-
 ნენ)... ეს მაგალითები ლექსშია დადასტურებული, ყოველ შემთხვევაში ეს
 არქაიზმია: ძვ. ქართულში ამგვარი გამოყენება მოქმედებისა ჩვეულებრივია
 (თანდებულისა ტიპიც — ერთად ერთი არაა: იხმარება „ციხითგან“).

6. კითხვაზე საიდან? მოქმედებითი ბრუნვა დაირთავს **-დამ** თანდებ-
 ბულს:¹ მისიიდან, მთიიდან, ქალაქიდან... აგრეთვე: შიგადამ, იქიდან...

7. **-ში** თანდებული ზოგჯერ **-ჩი**-ს სახით გვაქვს: სახლ**ჩი**... **-ჩი** ჩვეუ-
 ლებრივია ფერეიდნულში, გურულში, ხევსურულში...

8. თანდებული **-თვის ს**-ს დაკარგვით **თვი**-ს სახეს იღებს, ხშირად **-
 თვინ**-ადაც გვევლინება; აქ **-ინ -ის**-ის მაგივრობას ეწევა: **-თვის: თვინ**...

ეს **-ინ** მეორეული ჩანს; ამას გვაფიქრებინებს: **თვის-ინ**, ამ თანდებუ-
 ლის მესამე ვარიანტი.

შდრ.: ა) ბებრის**თვი**... ქალის**თვი**...

ბ) ჯარის**თვინ**... სახლის**თვინ**... ნადირის**თვინ**... ბებრის**თვინ**...
 ყოველ**თვინ**...

გ) ჩემ**თვისინ**... სასარგებლო იქნება ჩემ**თვისინ**...

9. **-ინ**-ის მეორეულობის სასარგებლოდ ლაპარაკობს **-მდ-ის-ინ**
 თანდებულიც:

ერთ თვე**მდისინ** დამაცალე... სულ დაჭამა ეს ნახირი წლ**ამდისინ**...
 იმ ბიჭს კარტაობ**ამდისინ** ორი ბიჭი ეყოლა... აქ**ამდისინ** ჭამდა თვითონ...

10. აღსანიშნავია შემთხვევები ატრიბუტივის ფუძის ხმარებისა ზმნი-
 სართული მნიშვნელობით (ჩვეულებრივად ასეთ როლში გარდაქცევითი
 ბრუნვა გამოდის):

მე ჩ ქ ა რ (=ჩქარა) მოგკლავ ამას... ჩ ქ ა რ დაფქოვს... ჩ ქ ა რ გა-
 იაროს... რომა დავლიე არაყი, ჩ ქ ა რ ავიარე აღმართი... (ჩვეულებრივად
 იხმარება: „ჩქარე, ჩქარა“ — ჩ ქ ა რ ე მომეცი... უშველე ჩ ქ ა რ ე... იარეთ
 ჩ ქ ა რ ა...“) იმას ლ ა მ ა ზ (=„ლამაზად“ ე. ი. კარგად) გავთიბ... ლამაზ
 ჩააცო ტანისამოსი... ეგევე სიტყვა „ნ ა მ ა“-ს სახით „კარგის“ მნიშვნელო-
 ბით იხმარება ჩვეულებრივად ფერეიდნულში...

¹ ამ თანდებულის შესახებ იხ. ენმკი-ს „მოამბე“, ტ. I (გვ. 55 და შემდ.): „ერთი
 უცნობი თანდებული ახალ ქართულში“.

11. ატრიბუტივების მაწარმოებლად ხშირად გამოყენებულია **-იარ** || **-იალ-** სუფიქსები ნაცვლად **-იერ** || **-იელ** სუფიქსებისა: მ შ ი ა რ ი ... ღ ო ნ ი ა რ ი ... ძ რ ი ა ლ ი ... ც ა რ ი ა ლ ი ...

პარალელურად მოცემულია: ც ა რ ი ე ლ ი, ძ რ ი ე ლ ი, ღ ო ნ ი ე რ ი (ერთხელ!)

ა. შანიძის ცნობით **-იარ** || **-იალ** მოხეტრშიაც გვაქვს (იხ. „ქართული კილოები მთაში“).

12. სადაურობის სუფიქსები **-ელ** და **-ურ** გარჩეულია ადგილის აღმნიშვნელ ზმნისართებთანაც: ს ა დ ა უ რ ი — ს ა დ ა ვ ე ლ ი, ა ქ ა უ რ ი — ა ქ ა ვ ე ლ ი... ს ა დ ა ვ ე ლ ი, ა ქ ა ვ ე ლ ი იხმარება ადამიანის მიმართ; ა ქ ა ვ ე ლ ე ბ ს უნდათ... ა ქ ა ვ ე ლ ე ბ ს წაართმევდენ...

13. მსაზღვრელად ხმარებული ჩვენებითი ნაცვალსახელები მხოლოდ ხმოვნითაა ხშირად წარმოდგენილი: ე კ ა ც ი ... ი კ ა ც ი ... შემოიარე ე ვადის ჯევის აღმართი... უცემნია ი ქალისთვი...

-ვე, -ცა ნაწილაკების დართვისას ეს ნაცვალსახელები დაირთავენ **ა**-ს: ი ს ა ვ ი მ ხალხში მივიდა... ი ს ა ც ვაიმობილა... ი ს ა ც დააგლეხავა...

ამისდა კვალად ამ ჩვენებითი ნაცვალსახელის სრული სახე იქნებოდა **ის-ა**: ეს ნეოლოგიზმია; ჩვენებითი ნაცვალსახელის სრული სახე, უფრო ძველი, გვაქვს სხვა კილოებში და სალიტერატურო ახალ ქართულშიაც **-ცა** ნაწილაკის წინ: **ისი-ც, ესე-ც**; აგრეთვე მრავლობითში: **ის ი -ნი, ეს ე -ნი**...

14. პირველი პირის ნაცვალსახელს შენახული აქვს სადეტერმინანტო **-ნ(ა)**: მა-ნ(ა); შდრ. შე-ნ(ა)... ჩვე-ნ(ა)... თქვე-ნ(ა)...

მერე მ ე ნ გაგიყვანო... მ ე ნ კი აღარ გცემდი შენაო... მ ე ნ ა ო წინ ნატეხარი მედგაო...

15. ყურადღებას იქცევს არქაული ფორმა ნაცვალსახელისა „ერთმანერთი“: გაუძმობილდნენ ე რ თ მ ა ნ ე რ თ ს ა... ე რ თ მ ა ნ ე რ თ შ ი ა ყრილობა ჰქონიათ... ძმები გამოვიდნენ ე რ თ მ ა ნ ე რ თ ი ს ა ნ ი... ჩვენ ე რ თ მ ა ნ ე რ თ ი გავწყვიტეთ...

იმავე მნიშვნელობისაა ე რ თ - უ რ თ - ი : ე რ თ - უ რ თ ს ვერა ვხედავთ, ისეთი ზოი (=ზვავი) მოვა... სალიტერატურო ქართულში ამავე სიტყვის ნაწილებს რიგი აქვს შეცვლილი: ურთი-ერთს... აქედან... ურთი-ერთობა...

ზმნის უღვლილებაში საგულისხმოა:

16. ნ ა მ ყ ო ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი ს ხმარება. ეს დრო ძვ. ქართულში ფართოდაა გამოყენებული. ამჟამად არც სალიტერატურო ქართულს, არც ქართულურსა და კახურს (მაინც და მაინც გარეკახურს) ის არ გააჩნია; სამაგიეროდ, მთის ყველა კილოში (ხევსურულში, თუშურში, ფშაურ-

ში, მოხეტრსა და მთიულურში¹) იგი დაცულია; ინგილოურსა და ფერეიდ-ნულ კილოებსაც შემოუნახავს.

ნამყო ხოლმეობითის ორი სახეობა გვაქს მთიულურში: 1. აორისტის (ნამყო წყვეტილის) ფუძისა და 2. ნამყო უსრულის (ნამყო უწყვეტლის) ვარიანტი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მესამე პირშია განსხვავებული ჩვეულებრივი ნამყო უსრულისაგან. ნამყო ხოლმეობითის მაწარმოებელია **-ი**; მას დაერთვის მესამე პირის ნიშნები: **-ს** სუფიქსი მხოლოობითში და — **-ან** მრავლობითში: მე გადავაბრუნ-**ი**, შენ გადამაბრუნ-**ი-ს**, მან გადამაბრუნ-**ი-ს**... ჩვენ გადავაბრუნ-**ი-თ**, თქვენ გადააბრუნ-**ი-თ**, მათ გადააბრუნ-**ი-ან**...

თხრობის პროცესში ნამყო ხოლმეობითი ფართოდ არის გამოყენებული: იყვის... ჩაყლაპის... ამაგადის... შევიდის... გამოუკიდის... გადმოვარდის... დაცურდის... მოკვდის... გადმოგვიტანის... დარჩის... მაიპარის... გამაუწოდის... დაუწყის... გადარჩის... წაართვის... ჩასციან... წააქცივიან... დამარხიან... სციან... მააჭრიან... წაილიან... მიაკრიან... დეეციან... წაასხიან... დაფინიან... აილიან... აიკილიან... მაიტანიან... დაუკრიან... წავიდი... გადმოვაქცივით... წავაქცივით... ყველა ეს მაგალითი აორისტის ფუძის ხოლმეობითს წარმოადგენს.

ნამყო უსრულის (უწყვეტ-) ფუძის ხოლმეობითი გვაქვს შემდეგს მაგალითებში: ჰყვანდის... სციემდის... ჰქონდის... აკეთებდის... მაუდიოდის... ეძახოდია... იყურებოდია... დგებოდია... ყიდულობდია... აკეთებდია... შეაჭრიდია... ჯოცავდია... სჭამდია...

ტექსტში ხოლმეობითის გამოყენების ნიმუში:

...რომ მოიდიან ცხენებით, მიადგიან თხრილსა, დეეცნიან და ჩაცვივდიან; ჯელები ცხეში ავიდიან, დაუჭირიან თოფები სათოფურიდამა... დააშინდიან და გაიქციან... სციან, სციან ათმა კაცმა ქვასა, — ვერ გატეხის; მემრე მივიდი, გადავაბრუნე, საჯსარზე დავკრი კვერი და დაიშალა შაქარივითა; გაანებნიან თავი, დარჩის იქვე...

17. მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსისა და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების ის წესი, რომელიც ძალაში იყო მაშინ, როცა ამ პრეფიქსების მორფოლოგიური ფუნქცია ნათელი იყო, მთიულურში შერყეულია; სადაც ეს წესი დაცულია, ორივე პრეფიქსის როლში ჩვეულებრივად გამოდის **ჟ** (უპირატესად ხმოვნის შემდეგ), რომელსაც ერთგვარი ფშვინვა (ასპირაცია) ახლავს; არის ჰ-ც; წინაენისმიერი თანხმოვნების

¹ იხ. ა. შანიძე: „ქართული კილოები მთაში“, გვ. 196.

მეზობლობაში ეს პრეფიქსი **ს**-ისაკენ იხრევა.

მეორე პირის სუბიექტის პრეფიქსის ხმარების ნიმუშები:

განა იმისთვის დავთესე, რომ თქვენ ადკრიფოთ... თქვენ რომ დადეთესეთ... აქათ მიდღისარ (შდრ. შიგნიკახური: მიხღისარ: - ხარ-ის დართვისდა მიუხედავად ზმნა მაინც დაირთავს **S₂** — **ს**-ს!)... დადღევ წყალსა (ამ მაგალითში **-ღ-** შეიძლება ობიექტის ნიშნადაც დავსახოთ!)... მოდღელ წყლითა... თქვენ დადღართო...

მესამე პირის ობიექტის (მიცემ.) აღნიშვნა პრეფიქსით:

ველებს ადღევს და ისე გადღვლის ცხვრებს... მოდღანა მას პირი... მოდღყინდა ცხვრებში დგომა... უკან ხალხი მოდღევს. ცრემლი მოდღევს თვალზედა... მოდღევს არაგვის პირსა (ლექსშია! ლექსი ფშაური წარმომავლობისა უნდა იყოს!)... ვემწიფის ქალი მოდღყავსო (ზღაპარშია!) მოდღხადეს ქუდი იმ კაცსა... ვემწიფემ მოდღჭრა სამ მაყარს თავი... მას მოდღ/ჰკლავს...

პრეფიქსი თავის ადგილასაა მაგალითებში, როგორცაა: ჩვენებს კი ჰყავ... ვალი არ ჰქონდა. ქალს ჩამოჰკიდა... ყინო მოუხწრებს, გაჰყინავს... გასჩენია ქალი... ჩასციან რკინის სოლი... არა სჭირდა... სთესენ მაისში... მაგრამ გვაქვს ასეთი უპრეფიქსო ფორმებიც: შენ ბრძანდები?... ხედავ... მამრე დავზებთ... ნიკოლოზი ჰქვიან... საქმე ქონდის... მუხრან ბატონი შეხვდა... ვცემე იმ ქალსა... ავი დედაკაცი ყოლია.

მეორე მხრივ ხშირია: სთქო (თქო-**ს** გვერდით)...

18. პირველი პირის სუბიექტის ნიშანი **ვ-უ**-ს წინ იკარგება: უთხარ (← ვუთხარ), მიუქანე (← მიგუტანე)...

ამგვარი შემთხვევები კიდევ ძვ. ქართულში გვხვდება.

ეგვე **ვ**-პრეფიქსი იკარგება, თუ **ო**-სა და **ი**-ს შორის მოექცა (იხ. **ოვი** კომპლექსის შესახებ თქმული ფონეტიკის მიმოხილვაში, გვ. 7); ჩვეულებრივად ეს ხდება **მო**-პრევერბთან:

ქვემო მოიღევ და ვცემე... რას ვჭამ და თვალი გამოითხარეო და იმასა ვჭამო... შენ ხვალ მოიცლი... აბა საიდან მოიცალლო... ფერშალი შენ მოიყვანე... შენ წამოიღებ მაგასო... მართუამ შემოიარე (მე) ე ვადის ვევის აღმართი... წავიდეთ, ის ქალი მოიყვანოთო...

19. მესამე პირის სუბიექტის აღმნიშვნელი **-ს** სუფიქსი ხშირად იკარგება მეტადრე თურმეობითის პირველში (იხ. **-ს**-ს დაკარგვა ნათესაობითსა და მიცემითში, გვ. 49):

მოუვლია ველი და გუდაში ჩაუსომ... გამომძვრალა თავგი და უთქომ... კვერცხი მოუპარავ... ისრე დაუღუპავ, ისრე დაუღუპავ ერთი გუდამაყრელი... ქალს ძროხა დაუკარგავ... ი ბებერს უცემნია ი ქალისთვი და მოუკლავ... არაფერი არ გვინახავო...

აწმყოსთან ინვერსიულ ზმნებში: გყავ, გაქვ, გძინავ: რამდენი ხანია, რომ გძინავ შენაო...

20. თურმეობითის პირველში არის შემთხვევები **-ია-** წარმოებისა **-ავს-** ტიპის ნაცვლად, აგრეთვე **-ნ-ია-**ს გამოყენებისა:

ჩაუყლაპია თავი დედა (უნდა ყოფილიყო: ჩაუყლაპავს...)... ზოგი დაუჯოციათ (უნდა ყოფილიყო: დაუჯოცავთ)... უჭამნია ივაშლი (გვაქვს უ-**ნ-**ოდაც: მეორე დღეზე შეუჭამია იკაცი)... უცემნია ი ბებერს ი ქალისთვი... აი ეხლა ცხენები დაუტაცნია (მდრ. გაუტაცია ჯვრები თათარსა)...

ამგვარი შემთხვევები მთიულურში შეუდარებლად უფრო იშვიათია, ვინემ ბარის კილოები: ქართლურსა და კახურში... პარალელურად უ-**ნ-**ო ფორმების ხმარება იმის ნიშანია, რომ **-ნ-ია-**ტიპის წარმოება ამგვარს შემთხვევებში ახალი მოვლენაა.

21. თუ ზმნის თურმეობით პირველი **-ნ-ია-**წარმოება ახასიათებდა, თურმეობითს **სვ ა-**ს წინ კვლავ **-ნ-** ექნება:

ჯემწიფეს ეთხოვნა (უთხოვნია — ეთხოვნა)... მამიჩემის დროსაც დაეტაცნათ ცხორი (დაუტაცნიათ ცხორი — დაეტაცნათ ცხორი)...

თურმეობითს მეორეში ამგვარი შემთხვევები ისევე იშვიათია, როგორც თურმეობითს პირველში **-ნ-ია-**.

22. ორპირიან გარდაუვალ ზმნებს თურმეობითს მეორეში **-ოდ-** სუფიქსის ნაცვლად მეშველი ზმნა „იყო“ აქვს გამოყენებული:

ჰყოლიყო (=ჰყოლოდა), ატყდომიყო (=ასტყდომოდა) ტკივილი... ნდომებიყო (=ნდომებოდა) წყალი...

23. ნამყო უსრულში და აორისტსა და კავშირებითი მეორის სათანადო შემთხვევაში მრავალობითის მესამე პირის ნიშანი **-ენ** არის (და არა **-ნენ**): მოდივოდენ იმერლები... სუ წაართმევდენ... ჩიოდენ... მაძღევდენ... იცოდენ... დაართყმევდენ... წავიდენ... დასხდენ... გაცვივდენ...

მაგრამ გვხვდება: ადგნენ... დარჩნენ... სავნებითო **ნენ-** სუფიქსს ამგვარი ზმნები ითვისებენ პირველად.

24. ფუძედრეკად ზმნებს აწმყოს **-ევ-** სუფიქსის ნაცვალს **-ივ-** აორისტში (ნამყო წყვეტილში) და კავშირებითს მეორეში¹ შენახული აქვთ (სალიტერატურო ქართულში **-ივ-** სუფიქსი მხოლოდობითში კარგავს **-ვ-**ს და **ი-**ლა რჩება):

აორისტი: დალივა (ლევს — დალივა), მეეხვივა (ეხვევა — მეეხვივა), მიუსივა (მიუსევს — მიუსივა), გასწივა (გასწევს —

¹ აგრეთვე თურმეობითს II და კავშირებითს III-ში, რამდენადაც ესენი ემყარებიან აორისტსა და კავშირებით II-ს.

გასწივია), დაეწივა (ეწივა — დაეწივა), მოსწივა (მოსწევს — მოსწივა), ჩანგრევა (ანგრევს — ჩანგრევა), შამაეჩვივა (ეჩვივა — ჩამაეჩვივა), მერივა (ერევა — მერივა), მამსხვრევა (ამსხვრევს — მამსხვრევა), გახევა (გახევს — გახევა)... აგრეთვე: მიაქცივეს, მამტვირევეს, არჩივეს — გამაარჩივეს, ასწივეს... დახივეთ, დაამწყვდივეთ...

კავშირებ. II: გავუწივო, წავაქცივო...

თურმეობ. II: ეჭმივა (კობრეს ეჭმივა პური)... წვერთმივა (ცხენი წვერთმივა)...

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ძვ. ქართულში **-ივ-** გამარტივებულია და **ი-**ს სახითაა მოცემული: მოაქცია, დაეწია და მაგვარი წარმოებაა იქ ერთად ერთი!

25. **ი-** და **ე-** თავსართებით ნაწარმოებ ვნებითს აორისტისა და კავშირებითი მეორის მრავლობითში ჩვეულებრივად შემონახული აქვთ **-ენ** || **-ნ-** სუფიქსი: ხორაშანს ლაშქრად ვიყვენით... ამხანაგებს უთხრა: დაიმაღენით თქვენაო... ადექით, აიყარენით... ახლა გავიქცნეთო. დევმა უთხრა ყარამბოლსა: კარქიო, დავეჭიდნოთო ერთმანერთსაო...

26. მთიულურს ნაშთის სახით შემორჩენია **-კე** ნაწილაკი; უმეტეს შემთხვევაში მას მნიშვნელობა დაკარგული აქვს: არც მიცემითში და არც სახელობითში დასმულ ობიექტზე არ მიუთითებს. ჩვეულებრივად ნამყო ხოლმეობითთან ამოტივტივდება:

ხან ერთი წაჰყვის **კე** ცხორსა, ხან — მეორე... გადმოვარდის **კე** მდევი, ყელამდისინ ჩავარდის **კე**... ხანდისხან ჩიოდის **კე** ანდრია... მამაჩემმა თქვის **კე**... ცხენები გაატყავის **კე** თავის პრიხოდში... რო ესრე წავალ (ტყეში), ავირივი **კე**...

სხვა დროებში: გადავარდება **კე**, კაცო, ჯორი... არც კი გვიკითხენ **კე** ჩვენ... ბიძა ჩემი იტყვის **კე**...

-კე, -უე ნაწილაკი ზოგ აღმოსავლურ (და დასავლურ) კილოებს (კახურს, ქიზიყურს, ინგილოურს) ახასიათებს, ზოგისთვის (მაგ. ქართლურისთვის) უცხოა. ამდენად მთიულურის ადგილის გარკვევისათვის სხვა კილოთა შორის ამ ნაწილაკის დადასტურება მთიულურში საყურადღებოა.

27. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც შეხვდებით მთიულურში კითხვითს **-ა** ნაწილაკს; **ა-**ზე დაბოლოებულ სიტყვას კითხვის **ა-**ს წინ **ა** ჩაესმის (ხმოვანთგამყოფი):¹ არ დარდობს **ა** დედაშენი? გზაა **ა**? წყლის გაფუჭებულია! რა უნდოდა **ა**?

როგორც ცნობილია, ეს კითხვითი ნაწილაკი ძვ. ქართულში იხმარებოდა.

¹ ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ა. შანიძეს, იხ. ზემოხსენ. „ქართული კილოები მთაში“, გვ. 202.

სინტაქსური თავისებურებანი:

1. ძვ. ქართულში მიცემითს ბრუნვაში დასმული სახელი ზმნის მრავლობითში არ ითანხმებდა იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იყო ამ სახელის როლი, **-ნ**-იანი სახელობითი კი ყოველთვის ითანხმებდა ზმნას იმისდა მიუხედავად, ეს სახელობითი სუბიექტი იყო თუ ობიექტი.

ამჟამად სალიტერატურო ქართულში მიცემითი ითანხმებს ხოლმე ზმნას, თუ რეალურად მოქმედს აღნიშნავს — მესამე პირში: ამხანაგებს გაუკეთებიათ, მოუტანიათ, უთქვამთ... მეორე და პირველ პირში მიცემითის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება: თქვენ გაგაკეთებიათ, გითქვამთ... ჩვენ გაგვიკეთებია, გვითქვამს... მიცემითის სინტაქსური ძალა გაიზარდა, სახელობითისა, პირუკუ, დასუსტდა: **-ნ**-იანი სახელობითი, როგორც ობიექტი, ზმნას არ ითანხმებს... შეუძლებელი არ არის **-ნ**-იან სუბიექტ-სახელობითსაც არ შეუთანხმდეს ზმნა... მთის კილოებს მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვთ ძვ. ქართულის სინტაქსური კონსტრუქცია ამ შემთხვევაში; მთიულურშიაც გვაქვს ამის მაგალითები:

იმათა უთქომ (ე. ი. „უთქვამს“; ახ. ქართულით უნდა ყოფილიყო: იმათა უთქომთ)... ოსებს ორმოცი ცხორი წაუსხამ (ე. ი. „წაუსხამს“; ახ. ქართულით იქნებოდა: ოსებს წაუსხამთ)...

ძმისწულები მყვანან... ორანი ძროხანი მყვანან... ლომისას ჯაჭვნი ჰკიდიან...

ამგვარი მოვლენები ხევსურულში ჩვეულებრივია, მთიულურში — იშვიათი; აქ უკვე ახალი ქართულის დამახასიათებელი ურთიერთობაა ჩვეულებრივი.

2. ქართულისა და კახურის მსგავსად მთიულურშიც მოიპოება მოთხრობითი ბრუნვის ხმარების შემთხვევები გარდაუვალ ზმნებთან. მეტ-წილად ეს ხდება შერთულს წინადადებებში, როცა ერთ სუბიექტთან ორი ზმნაა, მათგან ერთი — გარდაუვალი, მეორე — გრადამავალი:

დასხდენ ერთად ფალავნებმა და სადილი ჭამეს (დასხდენ — ფალავნებმა ჭამეს)... წავიდა მარიჯანმა, იყიდა შეშა, დაანთო დიდი ცეცხლი (წავიდა — მარიჯანმა — იყიდა)... მოვიდენ ამ მცურავებმა და უთხრეს... წავიდა ამ ქალმა და პური მიუტანა იმ ბიჭს... წავიდა ქალმა და უთხრა მამას... ადგა იმანაც და მესამედი ცხორი აჩუქა... წამოიდა მელიამ, სხვა კაცები არ გაუშო სამტევან ჭაბუკისაკენ. ამ უხეირომ წავიდა თავის სახლისაკენ...

უკანასკნელ ორ მაგალითში მოთხრობითი მხოლოდ ერთ გარდაუვალ ზმნასთან არის ნახმარი...

3. ე. წ. „აზრის მიხედვით შეთანხმების“ ნიმუშები ბლომად გვაქვს მთიულურშიაც:

რო გარდაიცვლება (კაცი), ტირიან ჯალაბობა („ჯალაბობა“ რამდენიმე ადამიანს გულისხმობს; ზმნაც ამის საფუძველზეა მრავლობით-

ში)... წავლენ წყალზე ადამიანობა (ე. ი. ქალები), სმენ სასმელსა და ლოცვენ დედუფალსა... ვერ გაუბედეს იმას ომი მთელმა საველმწიფომ ახლა... გამართლდენ სიზმარაღს ხალხი... ვისიმე ბოროლებ თუ მიუსწარ ყანაში, იქვე დავგვოც, იცოდენ ყველამა, მემრე წავიდენ და მიჩივლონ...

ამავე ნიადაგზე უნდა იყოს კომპოზიტი „დედ-მამა“ მრავლობის რიცხვში დასმული: დედმამანი გყვანან... დედ-მამათაკენ წავიდენ (ისინი)... დედ-მამათაკენ წაიყვანა...

4. აღსანიშნავია ორიოდ შემთხვევა **-მცა** ნაწილაკის გამოყენებისა:

ადამო ჯარიაშვილო, დედამც ცხონდება შენო...შენამც შეგიყორდება ცხრა თავიანი დევის დაო...

5. „ეშინის“-ზმნა მოითხოვს ნათესაობის (ზოგჯერ მოქმედებით) **-გან** თანდებულითურთ ისევე, როგორც ძველს ქართულში; კილოებიდან ეს კონსტრუქცია დაცული აქვს გარე-კახურს, ფერეიდნულს...

შენგან შეშინდა ის ბალღი... უხეიროს არ ეშინიან ომისა-გან, მაგრამ თავის ამხანაგებისაგან ეშინია...

რაკი **-გან** თანდებული მოქმედებითაც მოითხოვს, შესაძლებელი ხდება ამ ზმნასთან **-გან-** თანდებულიანი მოქმედებითიც შეგვხვდეს: უხეირომ რომ დაინახა, ძალიან შეშინდა იმის გაჟკაცობიდან...

6. „დაჰპატიჟა“ ზმნა მთიულურში მოითხოვს მიცემითს (ასევე გარეკახურშიც): ქოსა-სომეხსაც იქ დაჰპატიჯეს... დაჰპატიჯეს ქალბატონს იმათ დელასა...

სტილისტიკური კონსტრუქციებიდან მთიულურში ყურადღებას იქცევს:

1. უარყოფითის გაძლიერების სურვილით ნაკარნახევი „ორმაგი“ უარყოფა:¹ ვერაფრით ვერ მოახერხეს იმის დახევა. ვერაფერი ვერ ვიციოთ ჩვენა... იმან ვერაფერი ვერ უბასუხა... სვირცხვილით ვერავისთან ვერ ვამბობდიო... ვერავინ ვერ მეერია... შენს მეტი იმას ვერავინ ვერ გაუძლებს... სხოს არავის არ უშობსო... პურის ჭამაზე დადგა: არაფერი ჯამაგირი არა აქვს... ჭამა ბევრი უნდა, არაფერს არ აკეთებსო... შენ რა გითხრა: არაფერს არ გეტყვი!.. იმათვინ არაფერი სასარგებლო არა იყო რა!

ერთმაგი უარყოფაც გვაქვს:

...ალარვინ ძლევს... ხე იქნება, თუ კაცი იქნება, რო დაბერდება გამოსადეგი აღარაშია რა!.. არავინ იცის, ვისია!.. ეს ნადირი სულ დაჭამა, არაფერი დარჩა... მე ჳრმალი მინდა დიდიო, სხო არაფერი მინდაო... თეთრი ბეწვი ხო არსად გინახავსო?... თუ კბილით იყვის (ლაფნის ქერქი მო-

¹ ორმაგი უარყოფის შესახებ ქართულში იხ. ვ. თოფურის გამოკვლევა „წელიწდეულში“, გვ. 69 და შემდ.

გლეჯილი), იმის სახლში არაფერიაო...

2. ქართულში „აქვს“-ზმნა იხმარება, თუ ობიექტი საგანია და „ჰყავს“, თუ ობიექტი ცოცხალი არსება: წიგნი, სახლი — აქვს... ძმა, ძაღლი — ჰყავს...

მთიულურში გვხვდება „ქონა“- ფუძე ყოლა-ს ადგილას (იშვიათად!): შენ სახლობა არ გექნება! (უნდა ყოფილიყო: არ გეყოლება)... სახელავარი მელია გექნები (ნაცვლად „გეყოლება“-სა)... ძველ ქართულშიაც არიან მსგავსი შემთხვევები: ჰქონდა მის თანა ყრმად თუსი... იხ. კ. კეკელიძე: „კიმენი“ ტფილისი, 1918, გვ. 29-30. ტექსტი, რომელშიაც ეს მაგალითი გვაქვს, ორიგინალური ნაწარმოებია.

3. დამახასიათებლად ვთვლით კონსტრუქციებს, სადაც მეორე პირის ბრძანებითი კავშირებითის ფორმით არის გადმოცემული; ესაა „რჩევითი ბრძანებითი“: რო ვინმე მოვიდოდესო, ჩუმად შეემატებოდეთო და მე მოგვკლავო... როცა მგელსა ნახავთო, გამოიქცეოდეთო ქალისკენო, თორემ მგელი გაჯავრებულია და შეგჭამთ რასმეო... ხანდახან დაასვენოდეთ კაცო (ცხენზეა ლაპარაკი!)... ამგვარი რჩევითი ბრძანებითი მთის სხვა კილოებშიც გვაქვს.

კერძობითი ფაქტებიდან აღვნიშნავთ შემდეგს: „თავისი“ იხმარება „მისი“-ს ნაცვლად (ასევე გარე-კახურშიც)... „თავად“ გვხვდება „თითონ“-ის ნაცვლად: ვაჟმა იმის სარჭო სულ შეჭამა და თავადაც მოკვდა... თავად კი არ მოიდა... თავად კიდან წავიდენ...

თავისებური სახისა სახელებში: წვისქვილი, ტვიტველი, ცვერცვი, სვირცვილი, კირწყილი (=რწყილი), თვირთვილი (=თრთვილი), გურგალი (=მრგვალი), სიმგვრგვლივ... უკანასკნელი ოთხი ძველ სახეს წარმოგვიდგენს.

ზმნებში: იქამ (=იზამ), აჩუქვა (აქედან: საჩუქვარი), დაუქვევნია, ჰქვივნებია (=დაურქმევია, ჰრქმევია), ძრახვა — ახალი შინაარსით და თითქმის ძველი ფორმით (შეუძრახა ტირილით... შამოუძრახა: „რა გატირებსო?“)... კელობს (=კოჭლობს): კარგა ხანია ეგრე კელობს... შდრ. ძვ. ქართ. მკელობელი; ეს უკანასკნელი მთიულურს არ შერჩენია... უცია (=უცემია): საქონლისათვის ჯოხი უცია... რჩომა (=რჩენა), რბოლა (=რბენა), აქვის (=აქვს), მისდისარ და სხვ. ამგვარი თავისებურებანი ლექსიკონშია გასათვალისწინებელი; აქამ ნიმუშებით დავკმაყოფილდებით.

ეგვე ითქმის: კიდავ (=კიდევ), რორცა (როცა), სუ||სუჲ (=სულ) და სხვ. შესახებ.

ჩვენ აღვნიშნეთ მთიულურის თავისებურებანი — ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსურ-სტილისტიკური და ნაწილობრივ ლექსიკური ხასიათისა.

ეს თავისებურებანი სხვადასხვა ასაკისაა: ზოგი — განვითარების სულ ახალი, უკანასკნელი საფეხურის გამომჟღავნებაა, ზოგიც — ძველის-ძველი მოვლენაა. სხვანაირად რომ ვთქვათ: მთიულური ზოგს რაშიმე ახალ სალიტერატურო ქართულსაც კი წინ უსწრებს, ზოგს რაშიმე ძველ ქართულს იმეორებს, ახალ სალიტერატურო ქართულს დიდად ჩამორჩება. არქაიზმები და ნეოლოგიზმები ერთმანეთშია გადახლართული და ცოცხალი დიალექტური მეტყველების რეალურ სახეს ქმნის.

მთიულური ამ მხრივ არაფერს უჩვეულოს არ წარმოადგენს: დიალექტებში ყოველთვის შეხამებულია არქაიზმები და ნეოლოგიზმები, ოღონდ ხან ერთია უფრო ჭარბად წარმოდგენილი, ხან კი მეორის ხვედრი წონაა თვალსაჩინოდ მეტი. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ისეთი დიალექტი, რომელშიაც სალიტერატურო ენასთან შედარებით ყველაფერი ახალი იყოს ანდა ყველაფერი ძველი... ენობრივი სისტემის ყოველი რგოლი იცვლება ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის ცვლასთან დაკავშირებით და ამ ცვლის ნიადაგზე, მაგრამ არა ერთდროულად ყველა! ახალმა სალიტერატურო ქართულმა დაკარგა: ბგერა **ჭ**, კითხვითი ნაწილაკი **-ა**, **-ი** სახელობით ბრუნვაში (ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან: ძმად, ხედ), ნამყო ხოლმეობითი (მოვიდის, გააკეთის...), — მთიულურს კი ეს შემონახული აქვს დღემდის... მაგრამ სალიტერატურო ქართულმა არ იცის: სახელობითის **-ი**-ს მოკვეცა თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან (ბოჩოლებ... კაცებ...), მიცემითისა და ნათესაობითის ბრუნვის ნიშანში **-ს**-ს დაკარგვა (ჯიბეში ხელ ჩაიყოფს... ბებრი ბანზე) და არც **S₃ -ს**-ს გაუჩინარება (მოუპარავ, დაუკარგავ — იმას), ანდა **-ოვი-** კომპლექსის **-ოი-**დ ქცევა, რაც მთიულურში ასე დემონსტრაციულად წარმოგვიდგება (მენ მოიყვანე... ის მოიდა...): აქ მთიულურის ევოლუცია უფრო შორს არის წასული, ვინემ სალიტერატურო ახალი ქართულისა.

რა ადგილი უჭირავს განვითარების დონის მიხედვით მთიულურს სხვა კილოთა წრეში? სრული პასუხის გაცემა ამაზე მოითხოვს სხვა, მეზობელი, კილოების დამუშავებას და თვით მთიულურის უფრო სრულ დახასიათებას. ამჟამად არსებული ცნობების თანახმად უნდა დავასკვნათ, რომ მთის ქართულ კილოებს შორის (ხევსურ., თუმ., ფშავ.) მთიულურს ყველაზე ნაკლებ აქვს დაცული არქაიზმები და ის ყველაზე მეტად განიცდის ბარის კილოების, უწინარეს ყოვლისა, ქართლურის გავლენას.

რაც შეეხება გენეტურ ურთიერთობას სხვა კილოებთან, მთიულურს კახურთან აკავშირებს ორი სპეციფიკური თავისებურება: **-კე** ნაწილაკის ხმარება და **ოვი** → **ოი**; არც ერთი და არც მეორე,

რამდენადაც დღემდის ეს ცნობილია, ქართლურმა არ იცის, არც მთის სხვა კილოებს უნდა ახსიათებდეს; მაინცა და მაინც ხევსურულსა, თუშურსა და მოხურში ეს მოვლენები აღნიშნული არ არის. საბოლოოდ, მთიულურის სხვა კილოებთან ურთიერთობის გარკვევა, რა თქმა უნდა, მომავლის საქმეა.

მთიულური მეტყველების ნიმუშად ვურთავთ ერთ ზღაპარს.

სამ-ტევან ჭაბუკი და მელია

იყო ერთი მეწისქვილე. იმასა ჰქონდა სამი ტევანი ყურძენი. შამაეჩვივა ერთი მელია. სულ გაუთავა ყურძენი. დარჩა ორი მარცოლი კიდავ. უყარეულა მეწისქვილემ და დაიჭირა მელია. მელიამ უთხრა, რომ „ნუ მომკლავო“, წვრილშვილი ვარო; გამიშვიო, პატარა შვილებს დაგზრდიო და კიდავ მოვალო“. „ტყავს გაგაძრობო და ქუდს შევიკერავო“, — მეწისქვილემ უთხრა. „ჩემი ტყავიო რა დიდი რამე იქნებაო შენთვისაო?“ — მელიამ უთხრა — შენ ხარ უცოლო ბიჭიო და ბედსა გწევო მენ შენაო!“.

გაუშო. მელია წავიდა და მოუძრა: „ჩემი ნურა გეფიქრება რა! ერთი თვემდისინ დამაცალე მენ შენა!“ ერთი თვის შემდეგ მივიდა მელია წისქვილი(ს) კარზე. მეწისქვილეს გამარჯვება უძახა, „შენ ჩემო დამლუპავო მელიაო!“ — მეწისქვილემ უთხრა. — „აბა ეხლა მოიცალეო შენთვისაო! მელიამ უთხრა — როგორი სახელავარი მელია გექნები შენ! „ადგა და... „ველმწიფესთან წავალ მენ“, უთხრა მელიამ. მეწისქვილემ უთხრა: „ე კუდი დააყენეო, ტყავს დამიკარგამ¹ შენო!“ — „შენ ერთი ქათამი მამიმზადეო!“ მელიამ უთხრა მეწისქვილეს. ერთი ქათამიც აჩუქვა კიდეც მელიას მეწისქვილემ. შეჭამა წისქვილის კარებზე. ახლა ავსენა ღმერთი და წავიდა ველმწიფესთან მელია. მივიდა ველმწიფის კარებზე — სამარჯაკლოთ წავიდა — და უთხრა: „სამ-ტევან ჭაბუკი ქალსა გთხოვს შენა? ო!“ (რაკი სამი ტევანი ჰქონდა მეწისქვილეს, ამიტომ სამ-ტევან ჭაბუკი დაარქვა). ვემწიფე ძლიერ გაჯავრდა: „რატომ სიტყო შემომწონეო!“ — „ის მაინც არ მოგშორდებაო, ის სამ-ტევან ჭაბუკი!“ — მელიამ უბასუხა. „ამ ჩემ საველმწიფოში ვინ არისო, რომ ჩემი ქალი შეირთოსო!“ — სთქო ველმწიფემ. „ახლა ბიჭი უნდა მანახოთ, რა შნოს ბიჭია? რა ჩაცმული და დახურულიაო? (აბა რას ჩაიცომს? ჩემსავით ტიტველია!“).

წავიდა მელია სამ-ტევან ჭაბუკისაკენ გახარებული. მივიდა წისქვილში და უთხრა რომე, „უნდა წავიდეთ მე და შენ ვემწიფესთანო!“ სთქო ამ მეწისქვილემ: „ტიტველ-შიშველი და მშობარი სად უნდა წავიდე მენო!?“ მელიამ უთხრა, რომ მენ გიშოვნიო სუყველაფერსაო! წავიდა და ერთი

¹ შავად აწყობილი ხმოვანი აქაც და ქვემოთაც ტონურ მახვილს ატარებს (სამ-წუხაროდ, დედნის ტექსტი იმდენად უხარისხო იყო, რომ არ მოხერხდა „შავად აწყობილი ხმოვნის“ გამოჩვენება — რედაქტორი).

უღელი ჯარი იჭირავა და შეება ურემში. მოკრიფა გვირილა (ყოილი რაღა!) და დაუღო ურემზე. დასვა მეწისქვილე, თავადაც ურმის თავზე დაუჯდა.

გასწივა და წავიდა ჯელმწიფისაკენ. წავიდა ეს ტიტველ-შიშველი მეწისქვილე. ერთ ალაგას წყალია გასასვლელი. წავიდა მელია და პირდაპირ ჯელმწიფესთან მივიდა. გამოცვივდნენ ძაღლები და კინალამ შაჭამეს. ის ჯელმწიფესთან გაიქცა, ეს მეწისქვილე წყალ-გაღმით დააყენა თავის ურმით გამართული. „როდესაც მენ დაგიძახო, ურემით წყალში გადააბრუნე, ტანისამოსიც გადაყარე და დარჩი ტიტველიო!“ — უთხრა მელიამ.

ეს ბიჭი გასცქერის მელიასა და ელოდება წყლი(ს) პირზედა. უთხრა ჯელმწიფეს მელიამ: „შენი სიძე სამ-ტევან ჭაბუკი მოდისო!“ „აბა, წადი, კაცებს გავაგზავნი და ვნახოთ, რა კაციაო?!“ — უთხრა ჯელმწიფემ. წამოიდა მელიამ, სხო კაცები არ გაუშო სამ-ტევან ჭაბუკისაკენ: „თქვენ არ მიგიშობსო, თქვენს ნახვას არ იკადრებსო ისაო!“ თვითონ მელია წავიდა. ურემი წყალში გადააბრუნა და ტანისამოსიც წყალში გადაყარა სულ.

დარჩა ბიჭი ტიტველ-შიშველი და ურემი ცარიელად: ყოილები წითლად-ყვითლად წყალმა წაიღო. გამოსცქეროდა ჯელმწიფე და უკვირდა: „ის წითელ-ყვითელი რა მიაქვს წყალსაო!“ ეს ბიჭიც სიცივისაგან გაყინული წყალზე კანკალებდა. წავიდა მელია და ჯელმწიფესთან მივიდა ისევ. „ხომ დაინახე, დიდებულო ჯელმწიფე, როგორ მიქონდა ჩვენი პურ-საჭამანდი წყალსაო?!“ — უთხრა მელიამ. „აბა, ჩქარე ტანისამოსი მომეცი შენი შვილისა, რომ სამ-ტევან ჭაბუკს ჩავაცო, თორი ძალიან გიჭირს შენ საქმეო?“ ადგა ჯელმწიფე და მისცა ტანისამოსი, და პირიც კარქა დაბანა მელიამ.

ლამაზ დაარია სამ-ტევან ჭაბუკი მელიამ, გაუძღვა წინ და ჯემწიფის სახლში შეიყვანა. მელიის დარიგებაზედა ჯემწიფეს მიესალმა სამ-ტევან ჭაბუკი. ჯემწიფემ კარქად მიიღო, მაგრამ ამ ტანისამოსზე დაიცქირება ეს ჭაბუკი: უკვირს რა! ჯემწიფემ უთხრა მელიას: „რატომ დაიცქირება ტანისამოსზედაო?“ მელიამ უპასუხა: „ვერ არისო კარგი ტანისამოსიო!“ ხემწიფეს სამ-ტევან ჭაბუკი მეწიონა ძალიან და უნდა მისცეს ქალი.

ახლა დაიწერეს ჯორი. ახლა ამ ჭაბუკმა სად უნდა წაიყვანოს ქალი? სახლი არა აქ და კარი! წავიდა წინ მელია; მისდევნენ მაცურები და სტუმრები. მელია გაუძღვა ხალხს წინა; ერთ ალაგას გაიარეს და დიდი ცხორი არი. უთხრა მელიამ, რომე „სამ-ტევან ჭაბუკი მოდისო. ჯემწიფის ქალი მოძყავსო, რადმე აჩუქვეთო, თორი დაგვოცამთო!“ ადგა და იმანაც და მესამედი ცხორი აჩუქვა. ახლა წავიდა და დიდი თაბუნი შეხვდა. იმასაც საჩუქარი გამოსთხოვა: სამ-ტევანი ჭაბუკი მოდისო. იმთაც მესამედი აჩუქვეს. წავიდა და ერთ ალაგას დიდი სასახლე იყო — დევებისა.

პირდაპირ მივიდა მელია იმ სასახლეში: უთხრა დევებს რო „ადექით, აიყარენით, თორი ჯემწიფის ქალი მოჰყავს სამ-ტევან ჭაბუკსა. თუ სახლი არ მიეცით, ფინთი საქმე მოგელითო!“ დევებმა თქვეს: „შორს არიან თუ

ახლოსაო?“ „ველარ გაასწრობთო, თივის ძირს დაიმაღენითო!“ (სტოგის ძირს, რაღა!) — უთხრა მელიამ. ადგნენ დევები და სულ თივის ძირს შასხდნენ. იმანაც ცეცხლი შეუქიდა აქათ-იქით სტოგს. დაიწვინენ დევები სულ შიგა, თივის ძირსა.

დარჩა სასახლე სულ ტიალად (ოჯრად). წავიდა მელია და წინ მოეგება სამ-ტევან ჭაბუკის ხალხსა. დარჩა ეს ამისთანა სასახლე მასკვლევიანი. „ახლა რაღას გვიანობთო? — მაყრებს უთხრა — ჩვენ მზადა ვართო!“ მივიდა ეს ჯარის ხალხი და შავიდენ ამ სასახლეში (ვემწიფეზე ძრიალი სახლია კაცო).¹ ერთი მასკულავი მოგლიჯა მელიამ და შეინახა თანა. შავიდენ და უკვირს ძალიან ამ სამ-ტევანა ჭაბუკს ეს ამისთანა სასახლე. იძახის ჭაბუკი, რო „ეს რა საქმეს შევეყარე! ახლა როდის ეს სახლის პატრონი დამივლებს ჯოხს ველსა და კარჩი გამამაგდებს!“ — ამის ეშინია, იქით-აქათ იცქირება.

ახლა მაყრებმა სთქვეს: „იქით-აქათ რათ იცქირებო?“ — „ამას ერთი მასკულავი აკლია, სახლსაო, და მიტო იცქირებო! უთხრა მელიამ. გაუშომასკვლევი და, საცა იყო, იქ დევკრა.

ეს ქორწილი გათავდა. ახლა მელიამ ავამყოფლობა მაიგონა და თავიც მოიმკვდნურა. აილო ამ ბიჭმა და კუდიტ ზურგზე აიკიდა: უნდა გაიტანოს მელია და ტყავი გააძროს. „აი, შენ ღარიბოო! გამოგაცხადო, რაც კაცი ხარო!“ — მელიამ უთხრა. ბიჭი შაშინდა ძრიელ.

სხო დროსაც ბევრჯელ მოიგონა, მაგრამ ბიჭმა ყური არ უგდო. დარჩა ის სასახლე სამ-ტევან ჭაბუკსა. მელია თავის სახლში წავიდა. ეგ არი!

ჩაწერილია ჩემ მიერ 11. VIII 1922 წ. ზ ე მ ო - მ ლ ე თ ე ს .
მთქმელი ა დ ა მ ბ უ თ ხ უ ზ ი , 55 წლისა, ბარში ნავალი; წერა-კითხვა არ იცოდა.

ტექსტის ენა დამახასიათებელია მთიულურისათვის: არქაიზმების მხრივაც, ახალი მოვლენების თვალსაზრისითაც და იმ მერყეობითაც, რომელიც ზოგ მოვლენას ახასიათებს.

ეგევე ზღაპარი 1929 წ. ჩაწერილი მაქვს ჭანურად სოფ. ტალვათის (ათინის რაიონი, თურქეთში) მცხოვრებ ალი კ ა ნ თ ა რ - ო ლ ლ ი ს ა გ ა ნ აფხაზეთში (გამოქვეყნებულია; იხ. ავტორის „ჭ ა - ნ უ რ ი ს გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ა ნ ა ლ ი ზ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი თ უ რ თ“ ნაწ. II, ტფილ., 1936, გვ. 95-101; სათაური: „დერემენჯი ღო თილჩი“ — „მეწისქვილე და მელია“).

¹ მე მომმართავს მთქმელი!

ОСОБЕННОСТИ МТИУЛЬСКОГО ГОВОРА

(РЕЗЮМЕ)

Мтиульский говор грузинского языка относится к группе горских говоров Восточной Грузии, каковы: хевсурский, тушский, пшавский и мохевский¹. Мтиулы живут по верхнему течению р. Арагвы, в административном отношении образуя два сельсовета: Млетский и Пасанаурский.

Характерные особенности мтиульского говора, поскольку это выясняется из анализа записанных нами на месте текстов, сводятся к следующему:

В мтиульском сохранился звук **ჟ ხ**, употребляющий в тех случаях, где его мы находим в древнегрузинском литературном языке: ჟევი **qevi** "ущелье", მუჭლი **muqli** "колени", ჟელი **qeli** "рука" и т. д.

Пережиточно встречается тоническое ударение почти всегда на втором от конца слоге, создающее впечатление долгих гласных.²

Комплекс ვა **va** после согласных и в начале слова обычно дает ო ო: კოლი **koli** ← კვალი **qvali** "след", სხო **sxo** ← სხვა **sxva** "другой", ცხორი **cxori** ← ცხვარი **cxvari** "овца" и т. д.

Комплекс ოვი **ovi** → ოი **oi**: მოიდა **moida** ← მოვიდა **movida** он пришел, მენ მოიტანე **men moitane** ← მენ მოვიტანე **men movitane** я принес...

Комплекс ოვა **ova** → ოა **oa**: საძოარი **sazoari** ← საძოვარი **sazovari** "пастбище"...

Эти процессы обусловлены главным образом билабиальностью звука ვ v. По существу те же изменения связаны со звуком ვ v в гаре-кахетинском и ферейданском говорах груз. яз.³

Из морфологических явлений:

Сохранение (частичное) ჟ j в именит. пад. при основах с исходом на гласный, частное усечение окончания именит. пад. При основах с исходом на согласный потеря ს s в окончаниях родит. и дательного падежей: ნიკორაჟ **nikoraj**, ბილიკაჟ **bilikaj** "тропинка", კარებ **kareb** "двери", წერილ **ceril** "пись-

¹ В статье А. Шанидзе "Грузинские горские говоры" (Сборн. научн. кружка студ. б. Петроград. Университ. Тифл. I 15 — на груз. яз.) читатель может найти суммарный очерк этих говоров.

² См. статью автора: "Долгие гласные в мтиульском говоре": Известия Тифл. Гос. Универ., т. IV (1924 г.) стр. 333-348 (на груз. яз.).

³ См. автора: "Гаре-Кახетია в диалектологическом отношении" в сбор. Арили, посвящ. проф. И. А. Джавахишвили, Тифл. 1925, стр. 63-65 (на груз. яз.), "Основные особенности ферейданского говора груз. яз.": Известия Тифл. Госуд. Унив. т. VII (1927) стр. 208-210 (на груз. яз.).

მო", вместо კარები **karebi**, წერილი **cerili**... ღორი პატრონს **yori patrons** вместо ღორის პატრონს "владельцу свиньи"... ერთ ქათამ (მოგიყვან) **ert katam (mogiqvan)** вместо ერთს ქათამს **erts katams**... "одну курицу принесу"...

Послелог -თვის **-tvis** представлен в виде -თვის **-tvis**, -თვი **-tvi**, -თვიბ **-tvin**, -თვისინ **-tvisin**.

Послелог -მღე **-mde** встречается в виде -მღისინ — **mdisin**.

С творительным падежом обычно употребляется послелог -ღამ **-dam** вместо обычного в ново-груз. лит. яз. -გან: ქალაქიღამ **kalakidam** "из города"...

Местоимение первого лица მე **me** представлено с детерминантом -ნა **-na** (მე-ნა **me-na** я), сохранившимся в груз. яз. при втором лице შე-ნა **še-na** "ты", а также во множ. числе ჩვე-ნა **čve-na** "мы", თქვე-ნა **tkve-na** "вы"...

В спряжении глагола сохранился пермансив ("прошедшее обычное"): მოვიდის **movidis** он приходил обыкновенно (сюда), მოვიდიან **movidian** они приходили обыкновенно (сюда); это время находит широкое применение в рассказах.

Частица -კე **-ke** (ყე- **qe-** гаре-кахет. и ферейданского говоров) сохранилась в виде пережитков, но лишена присущей ей морфологической функции.

В качестве субъективного префикса второго лица и объективного префикса третьего лица выступает префикс **ა j** с оттенком аспирации (равно как **ჰ h**), а также **ს s**; в применении этих префиксов наблюдаются колебания: то объект в дат. падеже остается необозначенным в глаголе, в другом случае при объекте в именительном падеже в глаголе появляется префикс; перед некоторыми согласными (наприм. რ **r**, ნ **n**...) префикс не встречается.

В прошедшем заглазном втором двухличных непереходных глаголы используют вспомогательный глагол -იყო **-igo** вместо суффикса -ო-ღ- **-o-d-**: ნდომებიყო წყალი **ndomebiqo cqali** вместо: ნდომებოლა წყალი **ndomeboda cqali** "оказывается, ей хотелось воды".

Архаичны синтаксические конструкции в роде: იმათა უთქომ **imata utkom** вместо: იმათა უთქომთ **imata utkomt** "оказывается, они сказали", ძროხანი მყვანან **zroxani mqvanan** "у меня имеются коровы"...

Характерны случаи употребления повествовательного падежа при непереходных глаголах: წავიდა ქალმა და უთხრა მამას **čavida kalma da utxra mamas** "женщина пошла и сказала отцу".

Чаще всего это наблюдается в слитных предложениях, где при одном подлежащем два сказуемых, из которых одно выражено непереходным глаголом, а другие — переходным.

И в структуре, и в лексике мтиульского говора сохранились архаизмы (засвидетельствованные еще в древнегруз. лит. яз.), хотя и не в такой мере, как в хевсурском или тушском говорах: на мтиульском говоре сильнее сказывается влияние к а р т ი ს კ ო გ ო говора.

Г е н е т ი ც ე ს კ ი мтиульский говор скорее увязывается с кахетинским говором (чем карталинским); впрочем этот вопрос требует дальнейшего исследования.

PARTICULARITÉS DU PARLES MTHIOUL

(RÉSUMÉ)

Le parler mthioul de la langue géorgienne appartient au groupe des parlers montagnards de la Géorgie Orientale; ce sont les parlers khevsourien, touche, pchave et mokhève.¹

Les Mthioul habitent un pays en amont de l'Aragva et forment deux unités administratives: les soviets des village de Mlete et de Passanaour.

Ainsi qu'on le voit d'après l'analyse des textes recueillis par l'auteur dans le pays même, les particularités caractéristiques du parler mthioul aboutissent à ceci:

Le parler mthioul a conservé le son ჯ **q**, employé dans les cas, où nous le retrouvons dans l'ancienne langue géorgienne littéraire: ჳევი **qevi** "défilé", მუჭლი **muqli** "genou", ჳელი **qeli** "main" etc. On y rencontre presque toujours les restes de l'accent tonique, ce qui donne l'impression des voyelles longues.²

Les complexe ვა — **va** après les consonnes et au commencement des mots donne habituellement le son ო — **o**: კოლი **koli** ← კვალი **qvali** "trace", სხო **sxo** ← სხვა **sxva** "autre", ცხორი **cxori** ← ცხვარი **cxvari** "brebis" etc...

Les complexe ოვი — **ovi** → ოი — **oi**: მოიდა **moida** ← მოვიდა **movida** "il vint", მენ მოიტანე **men moitane** ← მენ მოვიტანე **men movitane** "j'apportai"...

Les complexe ოვა — **ova** → ოა — **oa** საძოარი **sazoari** ← საძოვარი **sazovari** "pâturage". Les procès mentionnés ci-dessus s'expliquent surtout par la bilabialité du son ვ **v**.

Le son ვ **v** subit les mêmes changements dans les parlers garé-kakhétien et féreydane de la langue géorgienne.³

¹ Le lecteur retrouvera le résumé de ces parlers dans l'article: "Parlers géoergiens montagnards" par A. Chanidze (Recueil, du Cercle Scientifique des étudiants géorgiens de l'Univ. de Pétersbourg. Tbilissi 1915 — en géorgien).

² Voir l'article de l'auteur: "Voyelles longues dans le parler mthioul". Bulletin de l'Université de Tbilissi, vol. IV (1924) p. 333-348 (en géorgien).

³ Voir: "La Garé-Kakhétie sous le rapport de la dialectologie" par l'auteur. Recueil "Arili", dédié au professeur I. A. Djavakhichvili, Tbilissi 1925, page 63-65 (en

Phénomènes morphologiques: Conservation partielle de l'**ǰ** au nominatif dans les thèmes aux terminaisons voyelles.

Emploi fréquent des terminaisons tronquées au nominatif dans les thèmes, terminés par une consonne, disparition de l'**s** dans les terminaisons au génitif et au datif: ნიკორაჲ **niḳoraj**, ბილიკაჲ **bilikaj**... კარებ **ḳareb**, "portes", წერილ **ḳeril** "lettre", au lieu de კარები **ḳarebi**, წერილი **ḳerili**... ლორი პატრონს **ḳori paṭrons** au lieu de ლორის პატრონს **ḳoris paṭrons** "au propriétaire du porc"... ერთ ქათამ (მოგიყვან) **ert katam (mogiḳvan)** au lieu de ერთს ქათამს **erts katams**... "une poule j'apporterai"...

La postposition -თვის **-tvis** est représentée comme -თვის **-tvis**, -თვი **-tvi**, -თვინ **-tvin**, -თვისინ **-tvisin**.

La postposition -მდე **-mde** se rencontre comme -მდისინ **mdisin**.

On emploie habituellement la postposition -დამ **-dam** avec le cas instrumental au lieu de -გან **-gan**, usité dans la langue géorgienne moderne: ქალაქიდან **kalakidam** "de la ville"...

Le pronom de la I-re personne მე **me** avec le déterminant -ნა **-na**, მე-ნა **me-na** "moi-je", conservé dans la langue géorgienne à la 2-me person შე-ნა **še-na** "toi, tu", ainsi qu'au pluriel ჩვე-ნა **čve-na** "nous", თქვე-ნა **tkve-na** "vous"...

La conjugaison de verbe a conservé le permansif ("passé d'habitude"): მოვიდის **movidis** "il venait (ici) habituellement", მოვიდიან – **movidian** "ils venaient (ici) habituellement"; ce temps est employé bien fréquemment dans les narrations.

La particule კე **ḳe** (ყე- **qe-** des parlers garé-kakhétiens et féreydane) n'a été conservée que comme un reste privé de sa propre fonction morphologique. En qualité du préfixe subjectif de la 2-me personne et du préfixe objectif de la 3-me peronne apparait le préfixe **ǰ** légèrement aspiré (ainsi que ჰ **h**), et ს **s**; on observe une certaine instabilité dans l'application de ces préfixes: ou l'objet au datif n'est pas indiqué dans le verbe, ou le préfixe se retrouve dans le verbe, dont l'objet est au nominatif, ou, enfin, il n'y a point de préfixe devant certaines consonnes (par exemple: რ **r**, ნ **n**...).

Au second passé inversif les verbes bipersonnels intransitifs s'emploient avec l'auxiliaire -იყო **-iqo** qui remplace le suffixe -ოდ- **-o-d-**: ნდომებიყო წყალი **ndomebiqo ḳqali** au lieu de: ნდომებოდა წყალი **ndomeboda ḳqali** "il parait

géorgien). "Particularités essentielles du parler féreydane de la langue géorgienne": Bulletin de l'Université de Tbilissi vol. VI, page 208-210 (en géorgien).

qu'elle voulait de l'eau".

Les constructions syntactique, comme: იმათა უთქომ **imata utkom** au lieu de: იმათა უთქომთ **imata utkomt** "il paraît qu'ils avaient dit", ძროხანი მყვანან **zroxani mqvanan** "il y a des vaches chez moi" "j'ai des vaches" — sont archaïques.

Les cas de l'emploi du narratif avec les verbes intransitifs sont caractéristiques: წავილა ქალმა და უთხრა მამას **çavida kalma da utxra mamas** "la femme alla et dit au père". L'emploi le plus fréquent de cette construction se rencontre dans les propositions, dans lesquelles deux prédicats (verbes) sont attribués à un seul sujet. En ce cas, l'un d'eux est exprimé par un verbe intransitif et l'autre par un verbe transitif. Dans la structure, ainsi que dans le lexique du parler mthioul les archaïsmes ont été conservés dont l'ancien géorgien littéraire atteste l'existence, bien que ces archaïsmes n'y soient pas aussi nombreux que dans les parlers khévsourien et touche: l'influence du parler kartalien ayant agi plus fortement sur le parler mthioul.

Sous le rapport génétique la parler mthioul tient plutôt du parler kakhétien que du parler kartlien.

Du reste, cette question doit être encore approfondie par des études supplémentaires.

ისტორიულ-შეღარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან

I. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის

(ქართველური ენებისა და ხალღურის ურთიერთობისათვის)

მხედველობაში გვაქვს ის ბრუნვა, რომლის ნიმუშებსაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში წარმოადგენს: ა მ ხ ა ნ ა გ ა დ, მ ე გ ო ბ - რ ა დ, მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ა დ... მ ტ კ ი ც ე დ, გ ა ნ უ ხ რ ე ლ ა დ, ა დ ვ ი - ლ ა დ... მ ი ნ დ გ რ ა დ, ს ო ფ ლ ა დ, ქ ა ლ ა ქ ა დ...

ეს ბრუნვა უცხოა ევროპული ენებისათვის ისევე, როგორც მოთხრობითი, თუმცა ჩვენი ენის სტრუქტურისათვის ის ისე სპეციფიკური არ არის, როგორც მოთხრობითი ბრუნვა.

რაც შეეხება კავკასიურ ენებს, მათში იმათ, რომელთაც ბრუნვა გააჩნიათ, ძირითად ბრუნვათა შორის არა ჩანს (არც ჩაჩურში, არც ხუნძურში, არც ლაკურში, დარგულსა და კიურულში); მისი ფუნქციები განაწილებულია ნაწარმოებ ბრუნვათა შორის ანდა ზმნისართულ წარმოებათა შორის.

კავკასიური ენები ჯეროვნად შესწავლილი არ არის და ამიტომ ვამბობთ არა ჩანს-თქო არსებული სპეციალური ლიტერატურის მიხედვით.

რაკი მიმართულებითი ბრუნვა ევროპულ ენებში არ მოიპოვება, მაშასადამე, ევროპული ენების გრამატიკებშიაც მას ადგილი არ ჰქონდა; ეს გრამატიკები კი იყო ერთად ერთი დასაყრდენი ქართველი გრამატიკოსებისათვის; ამიტომ ბუნებრივია, თუ ერთხანს ჩვენს გრამატიკოსებს არც შეუმჩნევიათ ამ ბრუნვის არსებობა. ანტონის ვრცელ ქართულ გრამატიკაში (1767 წ.) ამ ბრუნვას ვერ ვპოულობთ. ანტონი რვა ბრუნვას ასახელებს; ესენია: წრფელობითი (ე. ი. ბერძენთა „ორთე“ ანუ ლათინური გრამატიკის ნომინატივუს ანუ სახელობითი), ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი (ე. ი. აკუზატივუსი, **винительный**, „ბრალდებითი“), დაწყებითი (მ ზ ი ს ა - გ ა ნ, ტ ა ძ რ ი ს ა გ ა ნ), მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი.

მიმართულებითი ბრუნვა არ არის მოხსენებული ბრუნვათა შორის არც გაიოზის (1789 წ.), ვარლამ არქიეპისკოპოსის (1802

წ., რუსულად), იესე ჩუბინაშვილის (1861 წ.), გ. ფირალოვის (1820 წ.), ს. დოდაშვილისა (1830 წ.) და პლ. იოსელიანის (1840 წ.) გრამატიკებში. გასაგებიცაა: ყველა ეს გრამატიკა ანტონის გრამატიკის საფუძველზეა შედგენილი და ანტონისეული გრამატიკის შემოკლებულად გადმოცემას იძლევა. გამონაკლისის შთაბეჭდილებას პლ. იოსელიანის გრამატიკა სტოვეებს, მაგრამ ამ ბრუნვის საკითხში ისიც ანტონის გზას შერჩა. საინტერესოა, რომ კლავროტიც — უცხოელი ავტორი ქართული გრამატიკისა — ამ ბრუნვას არ იხსენებს. საფიქრებელია, რომ აქაც ანტონის სისტემა იყო ამოსავლად გამოყენებული.

პირველი ავტორი, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო ბრუნვას სხვა ბრუნვათა შორის ადგილი დაუთმო, იყო მ. ბროსე (1833 წ.). მან შენიშნა, როგორც ეტყობა, ეს ბრუნვა პირველად. ბრუნვათა წყება ბროსესთან ასეთია: წრფელობითი და შემასმენლობითი, ნათესაობითი, მიცემითი, წოდებითი, მოქმედებითი, **მოდალობითი** (ბ ა გ ა დ) და **დამთავრებითი** (ბ ა გ ა მ დ ე)...

ამგვარად, აქ ორი ტერმინი გვაქვს ამ ბრუნვისათვის: პირველი — **მოდალობითი** (ბ ა გ ა დ) აღნიშნავს ამ ბრუნვას, უთანდებულოდ ნახმარს, მეორე — **დამთავრებითი**, იმავე ბრუნვას, **მდე-** თანდებულ-დართულ (ბ ა გ ა მ დ ე). ბროსედან მოყოლებული ყველა გრამატიკოსი უთმობს ამ ბრუნვას ადგილს დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს გარდა; ამ უკანასკნელის გრამატიკაში არც მიმართულებითია გამოყოფილი და არც მოქმედებითი (მხოლოდ დასახელებითი, ნათესაობითი, მიცემითი და მოთხრობითია ნაჩვენები). მოქმედებითი ცალკე ბრუნვა ისევე არ არის, როგორც დაწყებითი (ბ ო ძ ი ს ა გ ა ნ... ი ვ ა ნ ე ს ა გ ა ნ...): „სახელობით სახეს დაჰყვებოდა სამწიგნობრო კილოში თანდებული „თურთ“ ან ნათესაობითს „თანა“: პ ა ვ ლ ე ს თ ა ნ ა, კ ე თ ი ლ ი თ უ რ თ... და ახლა ეს „თურთ“ ან „თანა“ ისე შევამოკლეთ, რომ სახელობითს ვუმატებთ მართო თ-ს ან „თი“-ს და ნათესაობითის მაგიერად მიცემითს „თან“ (იხ. დ. ყიფიანი: „ახალი ქართული გრამატიკა“, სპბ. 1882, გვ. 23).

რა თქმა უნდა, თუ მოქმედებითის **-თ** თანდებულის ნაწილად გამოვაცხადებთ, ნაშთი სახელობითად მოგვეჩვენება (დ. ყიფიანის ეს მსჯელობა მშვენიერი ილუსტრაციაა იმისა, რომ სიტყვის სწორად დაშლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივი მოვლენის კვალიფიკაციისას!).

„სამართალი მოითხოვდაო — დასძენს დ. ყიფიანი — „რომ სადაც ამ ოთხ ბრუნვას ექნებოდა ადგილი, იქ უსაცილოდ კიდევ რამდენსამე სხვა ბრუნვასაც ჰქონიყო: **მყოფობითსა:** ს ა ხ ლ შ ი, ტ ყ ე შ ი, წ ყ ა ლ შ ი... **ადმავლობითსა:** ბ ა ნ ზ ე, ხ ე ზ ე, წ ყ ა ლ ზ ე... **გამოსვლითსა:**

სახლიდამ, წყლიდამ, ტყიდამ... **უკუთქმთა:** უსახლოდ, უწყლოდ, უტყეოდ და **ცვლილებითს:** სახლად, წყლად, ტყედ... სულ გვექნებოდა მაშინ ცამეტი ბრუნვა, — სიმდიდრე თავსადასაყრელი, შემაწუხებელი. მაგრამ რაც საჭირო არ არის, რათ უნდა ვიძნელებდეთ ამით საქმესა?“ (იქ., გვ. 24).

აქედან ჩანს, რომ დ. ყიფიანს მიმართულებითი ბრუნვა არ გამო-რჩენია, მაგრამ ბრუნვად არ მიუჩნევია ისევე, როგორც სხვა თანდებულისა-ნი ბრუნვები. ბრუნვად რომ დაესახა, ეტყობა, **ცვლილებითს** დაარქმევდა.

ის გრამატიკოსები, რომელთაც მიმართულებითი ბრუნვად მიაჩნიათ, სხვადასხვა ტერმინს ხმარობენ; სახელდობრ: დ. ჩუბინაშვილი (1955 წ.)¹ და პ. კვიციანიძე (1888 წ.) — **გარდაქმნითს**, არ. ქუთათელაძე (1889 წ.) — **განვითარებითს**, თ. ყორდანი (1889 წ.) — **ზმნიშედითს**, მ. ჯანაშვილი (1917 წ.) და მ. კელენჯერიძე (1920 წ.) — **ვნებითს**, აკ. ნ. მარი — **მიმართულებითს**. პროფ. ა. შანიძე 1930 წ. გამოსულ „ქართულ გრამატიკაში“ **ვნებითს** იყენებს; საშუალო სკოლებში მიღებული სახელმძღვანელო ილ. სიხარულაძისა **მიმართულებითს** ხმარობს. **მიმართულებითი** გვაქვს მოცემული პროფ. ვ. თოფურიას გამოკვლევაში სვანურის შესახებ და დაუსწრებელი ინსტიტუტისათვის შედგენილ განაკვეთებშიაც (**მიმართულებითს** იყენებდა ამ წერილის ავტორიც, მაგრამ „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ იძულებული გახდა სხვა ტერმინი ეძია; დაბრკოლებები იხ. ქვ.).

თქმულიდან ჩანს, რომ ამ ბრუნვისათვის სახელის შერჩევა გაჭირდა. ევროპულ ენებს რომ ჰქონოდა ეს ბრუნვა, მის სახელს გადმოთარგმნიდნენ და ერთი ტერმინი გვექნებოდა აქაც ისევე, როგორც, მაგალ., ნათესაობითისა და მიცემითის შემთხვევაში. რაკი სახელი უნდა შეერჩიათ, გრამატიკის ავტორები ბრუნვის მნიშვნელობას დაემყარნენ, მაგრამ ეს მნიშვნელობა მრავალფეროვანი იყო და ამიტომ, ზოგმა ერთი მომენტით გამოიყენა ამოსავლად და ზოგმა — მეორე.

ზემოხსენებული ტერმინებიდან: მ. ბროსეს **მოდალობითი**, თ. ყორდანიას **ზმნიშედითი**, მ. ჯანაშვილის **ზმნიშედათი** ერთი და იგივეა, რამდენადაც ტერმინს მხედველობაში აქვს ამ ბრუნვის ზმნი-სართული მნიშვნელობა (კითხვა: **როგორ?** მტკიცედ, სწრაფად, ნაყოფიერად...); დ. ჩუბინაშვილისა და პ. კვიციანიძის **გარდაქმნითი** და არ. ქუთათელაძის **განვითარებითი** ასევე ერთი რიგის ტერმინებია: განვითარდა, გარდაიქმნა? **რად?** ამავე მომენტს გულისხმობს დ. ყიფიანის **ცვლილებითი**. აკ. ნ. მარისეული **მი-**

¹ წლები სათანადო გრამატიკული ნაშრომის გამოსვლის თარიღს აღნიშნავს.

მართულებითი სხვა ნიშნის მიხედვითაა წარმოებული. პირველ ყოვლისა აქ ძვ. ქართულის ის შემთხვევები უნდა მოვიგონოთ, სადაც ეს ბრუნვა მიმართულებას აღნიშნავს (მოვიდა ვარსქენ ტაძრად... და ვითარცა შევიდეს ციხედ...). რა უდევს საფუძვლად ს. ხუნდაძისეულ **ვნებთს**, ჩვენთვის ცხადი არაა.

ვინც ევროპულ ენათა გრამატიკებში ხმარებული ბრუნვების სახელთა ისტორიას იცნობს, მას მოხსენდება, რომ ეს სახელები სტოელთა ფანტაზიის ნაყოფს უფრო წარმოადგენენ, ვინემ სათანადო ფორმათა მნიშვნელობის გარკვევაზე დაფუძნებულ ტერმინებს. ამ სახელთა პირობითობა უდაოა. მიცემითი ბრუნვა იმ შემთხვევაშიაც იხმარება, როცა ვისმე რამეს აძლევენ და მაშინაც, როცა ართმევენ (მივეცვი დავითს ფანქარი — წავართვი დავითს ფანქარ). ასევე საფუძვლიანი იქნებოდა, ამ ბრუნვისათვის დავერქმია „გაგზავნითი“ (ვუგზავნი — ვის?), „თხრობითი“ (მოვუთხრობ — ვის?), „მიწოდებითი“ (ვაწვდი — ვის?)... ასევე: სახელობითი ბრუნვა დასახელებას მხოლოდ სიებში და ნომინატიურ წინადადებაში თუ წარმოვიდგენს, თორემ ჩვეულებრივად ხან მოქმედზე მიუთითებს, ხან უმოქმედო საგანზე, იმისდა მიხედვით, რანაირია ზმნა — მოქმედებითი თუ ვნებითი გვარისა (მოლარე ყიდის ბილეთს... ბილეთი იყიდება)...

„ნათესაობითი“ და „ბრალდებითი“ ბრუნვები ხომ ბერძნული „გენიკე“ („გვარობითი“) და „აფტიკე“-ს („შეპირობებითი“) „**обусловленный**“ მცთარ თარგმანს წარმოადგენს — შეცთომა ლათინურად თარგმნისასა დაშვებული და იქიდან მცთარი **genetivus**-ისა და **accusativus**-ის სწორად გადათარგმნამ სხვა ენებშიც გაავრცელა ეს შეცთომა — და თუ მაინც მათ შესახებ პირობითი ხასიათისაა და სათანადო ბრუნვის შინაარსს არსებითად არ გამოხატავს; განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ბრუნვათა შესახებ, დამოკიდებულების აღმნიშვნელ ფორმასდა რომ წარმოადგენენ (ასეთია: ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი).¹

ასეთ პირობებში, ბუნებრივი იქნებოდა მიმართულებითი ბრუნვისათვის რომელიმე ხმარებული ტერმინი მიგველო და ის გაგვემტკიცებინა; ამით თავს დავადწევდით იმ უხერხულობას, რომელიც ტერმინთა სიჭარბეს ახლავს ხოლმე. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოქმედებითი და მიმართულებითი განსხვავდებიან სხვა ბრუნვათაგან იმით, რომ მხოლოდ დამოკიდებულებას კი არ აღნიშნავენ, არამედ სიტყვაწარმოებითს მომენ-

¹ როგორც ცნობილია, ძვ. ინდურ გრამატიკაში ბრუნვები რიგითი რიცხვითი სახელით აღინიშნებოდა (პირველი ბრუნვა, მეორე ბრუნვა... შდრ. პირველი უღვლილება, მეორე უღვლილება...). ტერმინებად სახელებს არ ხმარობდნენ.

ტეხსაც არ არიან მოკლებულნი. მაშასადამე, სათანადო ტერმინი მთლიანად პირობითი ვერ იქნება; ბრუნვის მნიშვნელობის ყველა მომენტი თუ არა, ძირითადი მაინც უნდა იქნეს აღნიშნული სათანადო ტერმინით.

ამჟამად გავრცელებული ორი ტერმინიდან **ვნებითი** სრულებით უტყვიან; **მიმართულებითის** ხმარებას, ყოველ შემთხვევაში, ახალ ქართულში მძიმე დაბრკოლება ელოდება; ჯერ ერთი, იმ შემთხვევებში, სადაც ძვ. ქართულში ეს ბრუნვა ყველაზე მკვეთრად გამოხატავდა მიმართულებას, ახალ ქართულში ხშირად სულ სხვა ბრუნვა გამოყენებული; „მოვიდა ვარსქენ ტაძრად“ — „ვარსქენი ტაძარი მოვიდა“... „ვითარცა შევიდეს ციხედ“ — „როგორც კი შევიდენ ციხეში“: მიმართულებითი ბრუნვის ადგილი თანდებულისა მიცემითს უკავია... მეორე: მეგრულში მიმართულებითი ბრუნვა სხვაა და ჩვენთვის საინტერესო — სულ სხვა; შდრ.: ჯიმათ მიმოჩქუ — ძმად მიმაჩნია — და ჯიმაშა მეგურქ — ძმასთან (ძმისაკენ) მივლივარ, მივალ... ჯიმათ უღრის ქართ. ძმად; მაგრამ თუ ამას **მიმართულებითი** დავარქვით, რაღა ვუყოთ მეორე ბრუნვას; ჯიმაშა — ძმისაკენ, რომელიც მიმართულების აღმნიშნავი საგანგებო ბრუნვაა (მისი შესატყვისი ცალკე ბრუნვა ქართულს არ მოეპოვება). მეგრულის ვითარებას გვერდს ვერ ავუქცევთ შედარებითი გრამატიკის დამუშავებისას. მესამე: თვით ახალ ქართულში არის შემთხვევები, როდესაც აუცილებელი ხდება ჩვენთვის საინტერესო ბრუნვა გაიმიჯნოს მიმართულებითი ბრუნვისაგან; შდრ.: იმად არა ღირს და: იმის და მიუხედავად... მის და მიმართ...

როგორ უნდა შევარჩიოთ ჩვენთვის საინტერესო ბრუნვისათვის ტერმინი? ერთად ერთი საშუალებაა ამ ბრუნვის მნიშვნელობის გათვალისწინება. ბრუნვის მნიშვნელობას ჩვეულებრივ კითხვის საშუალებით არკვევენ; კითხვებად გამოყენებული სახელები (ვინ? რა?) წარმოადგენენ ალგებრულ ფორმულას, კითხვად ქცეულ სახელებს, რომელთაც თარგად ვიყენებთ სხვა ბრუნვათა გამოცნობისას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს თარგა ხშირად გვღალატობს, მეტადრე თანდებულის ბრუნვების შემთხვევაში (შდრ.: რას? მიწას... მაგრამ: სად? მიწაში: ორივე მიცემითი ბრუნვაა, კითხვა კი — სულ სხვადასხვა!). ამგვარ დაბრკოლებათა გამოა, რომ კითხვები არაა საიმედო საშუალება ბრუნვათა აგებულების გასარკვევად, მაგრამ ბრუნვის მნიშვნელობის გამოსამჟღავნებლად კითხვები მთლიანად გამოსადეგია (მით უმეტეს თუ ბრუნვა სიტყვაწარმოების მომენტებსაც შეიცავს).

ჩვენთვის საინტერესო ბრუნვის ძირითადი მნიშვნელობა რამდენიმე კითხვას უბასუხებს.

1. რად?

- ...რაღ** ესე მიყავ? რად არა მითხარ? დაბად., წიგნი პირვ. მოს., ოშკის 978 წლის ხელნაწ. ფოტოპირი, თ. 12 მუხ. 18-19
- ...და მოვიყვანე იგი თავისა ჩემისა ცოლად... იქვე, 12¹⁹⁻²⁰
- ...რ მამად მრავალთა ნათესავთა დაგადგინე შენ... იქვე, 17⁵⁻⁶
- ...და ჰრწმენა აბრაჰამს ღმ და შეერაცხა მას სიმართლედ... იქვე, 15⁶⁻⁷
- ...და დავამტკიცო აღთქმად ჩემი აღთქმად საუკუნოდ... იქვე, 17¹⁹⁻²⁰
- ...შეწირე იგი მუნ მსხუერპლად... იქვე, 22²⁻³
- ...მომეციტ მე ადგილი საფლავად... იქვე, 23⁴⁻⁵
- ...აწ ესერა ვიქმენ ორად ბანაკად... იქვე 32¹⁰⁻¹¹
- ...არა ვღირდია ამბორის ყოფად... იქვე, 31²⁸⁻²⁹
- ...და მისცა ლიას... ზელფა მკეველად... იქვე, 29²⁴⁻²⁵
- ...და აღილო ლოდი იგი და აღმართა ძეგლად... იქვე, 28¹⁸⁻¹⁹
- ...და მოილო ლოდი... და დაიდვა სასთუნლად... იქვე, 28¹¹⁻¹²
- ...დაჯედ ქურივად სახლსა შინა მამისა შენისა... იქვე, 38¹¹⁻¹²

2. სად?

ახალ ქართულში მიმართულებით ბრუნვა ამ კითხვას ჩვეულებრივად არ იგუეებს. კითხვაზე **სად?** მეტ-წილად მიცემითი მიუგებს, ისიც თითქმის ყოველთვის თანდებულიანი (თევზი წყალში არ დაფასდება... მთასა და ბარში... კლდესა და ღრეში...), მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიმართულებითი ბრუნვაც მიუგებს კითხვაზე **სად?** მინდვრად გასვლა სამუშაოდ... ქალაქად და სოფლად...

ძვ. ქართულში კითხვაზე **სად? საით?** ჩვეულებრივია მიმართულებითი ბრუნვა.

- ...შევიდა აბრაჰამ ეგვიპტედ... იქვე, 12¹⁴⁻¹⁵
- ...და გამოვიდა აბრაჰამ ეგვიპტით... და ლოტცა მისთანა უდაბნოდ... იქვე, 13¹⁻²
- ...და ისწრაფა აბრაჰამ შესლვად კარვად სარამსსა... იქვე, 18⁶⁻⁷
- ...და მიაქციეს მისა და მივიდეს სოდომად... იქვე, 18²²⁻²³
- ... მოვიდეს ორნი იგი ანგელოზნი სოდომად... იქვე, 19¹⁻²
- ...და წარვიდეს ქყნად ფილისტიმედ... იქვე, 21³²⁻³³
- ...და გარდავიდა ერწუდ: და დადგა ჟალეთს... მოქც. ქართლ. შატბერდ. კრებ. (საქართვე. მუზეუმის ხელნაწ. ფონდი №1141), გვ. 440 a სვ.
- ... მაშინ მოვიდა... პიტიახში: ტფილისად ქლქად ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა... იქვე, 442 b სვ.
- ...დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად... იქვე, გვ. 440 b სვ.

...და მისა ზევე სპარსთა მეფობაჲ მ ც ხ ე თ ა დ მოვიდა... იქვე, გვ. 444 b სვ.

...ქ ა რ თ ლ ა დ მოსლვითგან მეთხუთმეტესა წელსა... იქვე, 441 a სვ.

... განვიდა იაკობ და წარვიდა ქ ა რ ა ნ დ... დაბად. წიგ, I, თავი 28¹⁰⁻¹¹

3. როდის?

...ამისა შ ე მ დ გ ო მ ა დ წარვედით... იქვე, 24⁵⁵⁻⁵⁶

...ჭამეთ და ამისა შ ე მ დ გ ო მ ა დ წარვედით... იქვე, 18⁵⁻⁶

...სადა იგი ექმნა მას პ ი რ ვ ე ლ ა დ... იქვე, 13⁴⁻⁵

4. სანამდის? (როდემდის?)

ამ კითხვაზე ჩვენთვის საინტერესო ბრუნვა მიუგებს ახალს-ქართულ-შიაც, მიუგებდა ძველს-ქართულშიც.

...მდინარითგან ეგვპტისადთ ვ ე მ დ ი ნ ა რ ე დ მ დ ე დიდად ევერატად... იქვე, 15¹⁸⁻¹⁹

...და ჭამეს ვ ე დ ა ძ ი ნ ე ბ ა მ დ ე... იქვე, 19³⁻⁴

...ესე არს მამაჲ მოაბელთაჲ ვ ე ა ლ ს რ უ ლ ე ბ ა დ მ დ ე მისა სიტყუსა ამის... იქვე, 24¹⁵⁻¹⁶

...და დაეშენა ევილათითგან... ვ ე მ ო ს ვ ლ ა დ მ დ ე ასურასტანელთა... იქვე, 25¹⁸⁻¹⁹

5. კითხვაზე — **როგორ?** ეს ბრუნვა ზმნისართული მნიშვნელობისა; ამ მნიშვნელობით ეს ბრუნვა ხშირია ახალ-ქართულშიაც და ძვ. ქართულ-შიაც.

...გამოვწერტე კ ა რ გ ა დ კ ა რ გ ა დ ყსამოციქულოჲ წიგნი... საქ. მუზ. ხელნაწ. №1138, 6₂

...და მე ესერა დატევებულვარ უ შ ვ ი ლ ო დ... დაბ. 14²⁻³

...და თქა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ ვშვე მია... იქვე, 18¹³⁻¹⁴

...და უთხრა მას მ ს გ ა ვ ს ა დ სიტყუსა ამისა... იქვე, 24²⁸⁻²⁹

...მ ე ყ ს ე უ ლ ა დ რებეკა მოვიდოდა... იქვე, 24⁴⁵⁻⁴⁶

...გეშინოდენ რ ა რ ა ც უ დ ა დ ვრმალი აბიეს... საქ. მუზ. ხელნაწ. №1138, 49₁

...და წარვიდეს ორნივე ზ ო გ ა დ (=ერთად)... დაბ. 22^{6-7, 8-9}

6. ცალკე განხილვას საჭიროებს ის შემთხვევები, როდესაც ამ ბრუნვაში მასდარია დასმული (...უკუეთუ ვინმე უძლოს ქუშაჲ ქუეყნისად აღ რ ა ც ხ ა დ...); ამაზე სპეციალურს მოხსენებაში გვექნება საუბარი, აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ახალი ქართულისათვის ასეთი წარმოება უცხოა.

ჩამოთვლილ ძირითად მნიშვნელობათაგან ყველაზე მეტი ხვედრითი წონა აქვს 1, 2, 4, 5 (**რად? სად? საით? სანამდის? როგორ?**).

უკანასკნელი მნიშვნელობა, როგორც ვთქვით, ზმნისართულია; ზმნისართად ქცევა ნიშნავს უფორმო სიტყვათა კატეგორიაში გადასვლას, და მაშასადამე, სხვა ბრუნვებთან კავშირის გაწყვეტას; „კარგად სწავლობს“ — „მასწავლებლად ნიშნავენ“, „მასწავლებლად“ ჩვეულებრივი ბრუნვაა, ხოლო „კარგად“ ისეთივე ღირებულებისაა, როგორც „გუშინ, ახლა, შემდეგ, მუდამ“ (მდრ. კარგად სწავლობს — ახლა სწავლობს, მუდამ სწავლობს...). ამიტომ ზმნისართული მნიშვნელობა ამ ბრუნვისათვის სახელის შერჩევისას ამოსავალი ვერ იქნება: გაზმნისართება ბრუნვასთან კავშირის გაწყვეტას ნიშნავს. ზმნისართულ ფუნქციაზე მიუთითებს ტერმინები: „მოდალობითი“ (ბროსე), „ზმნისზედითი“, „ზმნისზედათი“ (თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი). ამათი საკითხი, ამგვარად, უნდა მოიხსნას.

რჩება სამი მნიშვნელობა: **რად?** **სად?** (საით?) **სანამდის?** ბუნებრივია, თუ უპირატესობა მიეცემა პირველს (რად?).¹ ამის შესაბამისი იქნებოდა ტერმინი „გარდაქმნითი“ (ჩუბინაშვილისა და პ. კვიციანიძისა), უხერხული ოღონდ ისაა, რომ „რად გარდაქმნაო“ არ ამბობენ. ჩვეულებრივად ითქმის: „რად გადაიქცა?“ ამის შესაფერისად ნაწარმოები ტერმინი იქნება „გარდაქცევითი“ (transformativus).

რა თქმა უნდა, პრინციპის საკითხი არ არის, რა სიტყვისაგან იქნება ტერმინი ნაწარმოები; არსებითია ის ემყარებოდეს ამ ბრუნვის ისეთ მნიშვნელობას, რომელიც მისთვის, **როგორც ბრუნვისათვის**, არის ნიშანდობლივი.

ქვემოთ ამ ბრუნვისათვის ნახმარი იქნება **„გარდაქცევითი“**.

გარდაქცევით ბრუნვასთან რამდენიმე მთავარი საკითხია დაკავშირებული და სხვა ქართველური ენების ისტორიაში. სახელდობრ:

1. რა არის ამ ბრუნვის ფლექსია?
2. როგორი წარმოშობისაა „ფრიად“, „ძნადა“, „მალიადა“ და მგვგავარი ფორმები ძველ ქართულში?
3. როგორ უნდა აიხსნას „სახიდა“, „სიკუდიდა“ და მსგავსი ფორმები ძველი ქართულისა?
4. რა მნიშვნელობისა იყო ამ ბრუნვაში დასმული მასდარი (სახელ-ზმნა) ძვ. ქართულში და რა ტენდენციები გააჩნდა მას?

აქ შევჩერდებით მხოლოდ პირველ კითხვაზე: **რა აწარმოებს გარდაქცევითს ბრუნვას?** ერთის შეხედვით, ეს არც არის კითხვა: ბრუნვის ნიშანი **-და** არის; მართლაც, ხმოვანზე დაბოლოებული ყველა ფუძე ამჟამად სალიტერატურო ქართულში **-დას** დაირთავს: ძმა**-და**, კლდე**-და**, კალო**-და**,

¹ უკანასკნელი ორი მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად მხარს უჭერს ტერმინს „მიმართულებითი“, განსაკუთრებით ძვ. ქართულისათვის, მაგრამ ამ ტერმინს ზოგიერთი უხერხულობა ახლავს (იხ. ზევ. გვ. 12).

ყრუ-დ¹... ზოგ კილოში აქ -თ გვაქვს, მაგრამ ეს -თ, ცნობილია, რომ -დ-საგან არის მიღებული. ძველი ქართულისათვის ხომ -დ-ს და -თ-ს საკითხი აღარც დგას: იქ მხოლოდ და მხოლოდ -დ- გვაქვს.

მაგრამ რაღა ვუყოთ თანხმობებზე დაბოლოებულ ფუძეებს: კაც-ად, ნათესავ-ად, დიდ-ად, მრავლ-ად...? თუ ბრუნვის ნიშანი დ- არის, რაღაა ეს წინამავალი -ა? პროფ. ა. შანიძე წერს: „გნებითში ბრუნვითი ნიშანი ნამდვილად მართო -დ- არის, მაგრამ მის წინ -ა- ისტორიულად არის განვითარებული თანხმობიანი ფუძის შემდეგ“ („ქართული გრამატიკა“. I. მორფოლოგია, § 24, გვ. 23).

სამწუხაროდ, აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რატომ და როგორ განვითარდა აქ ა. ცხადია, ავტორს მხედველობაში ჰქონდა ისეთი შემთხვევები, როდესაც თანხმობაზე დაბოლოებული ფუძე ძვ. ქართულში მხოლოდ დ-ს დაირთავდა: ბეთლემ-დ, იერუსულჴმ-დ, სეგორ-დ...

...აღვიდა იოსებცა... ნაზარეთით... ქლ^აქდ დ^თისა ბ ე თ ლ ე მ ა დ... საქ. მუზ. ხელნაწ. №19, გვ. 26.

...მუნვე მიექეც ს ი ნ დ... იქვე, გვ. 159²

...ვ^ა მოსლვადმდე ს ე გ ო რ დ... დაბ. ოშკის 978 ხელნაწ. ფოტოპირი, თავი 13¹⁰⁻¹¹

...და ლოტ შევიდა ს ე გ ო რ დ... იქვე, თავი 19²³⁻²⁴

...იტყოდეს რაჲ წარვიდეთ დ ო თ ა ი მ დ და წარვიდა იოსებ და პოვნა იგინი დოთაიმს... იქვე, თავი 37¹⁷⁻¹⁸

...აღდეგ და აღვედ შენ ბ ე თ ე ლ დ... თავი 35¹⁻²

...და განვიდა იაკობ და წარვიდა ქ ა რ ა ნ დ... თავი 28¹⁰⁻¹¹...

პროფ. ა. შანიძის გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს -დ ფორმანტის გამოყენება სვანურში თანხმობაზე² დაბოლოებულ ფუძეებთანაც:

ქ ო რ დ : ალა ქ ო რ დ მაკუ — ეს სახლად მინდა... ხეხტდ: ადდე ეჯა ხ ე ხ ტ დ — წაიყვანა იგი ცოლად... ლ ე ზ ო ბ დ — საჭმლად, ე ზ ა რ დ — კარგად...

...დინალ მაგ ა შ ხ ტ დ ათშედდახ ჴისგჴარს... ქალიშვილები ყველა ერთად მიცვიდნენ ვაშლებს... სვან. ზღაპ.Сборн. мат. по опис. местн. и плем. Кавк. ტ. X, განყ. II, გვ. 162.

...ჩუადგანეს არა მარე ყ ა რ ვ ი ლ დ... დააყენეს რვა კაცი ყარაულად... იქვე, გვ. 164.

...ალ მახა მოზნანისგა რაშარ ხ ო შ ა დ აჩხაფხ... ამ ახალ მოსამსახურებთან რაშები უფრო („უფრომსად“) გახდნენ... იქვე, გვ. 164.

...დინა მიჩა გეზლა ხ ე ხ ტ დ ხეკვად... ქალიშვილი თავისი შვილისთვის

¹ ბრუნვები ყველგან არაემფატიკური სახითაა აღებული.

² ხმობებზე დაბოლოებულ ფუძეებს ხომ -დ აქვთ: წ ი რ ი - დ — წითლად...

უნდოდა ცოლად... იქვე.

...ხოშა ლავდილა კასარდ მიჩა გეზლა ხეხუს მოზნანად ოთვანე... უფროსი დები მეფემ თავისი შვილის ცოლს მოსამსახურედ დაუყენა („დაუდგინა“)... იქვე.

...ჩეი ქორს ხარ უომდხუ კუთხუ ი თითუ მერვი მარე ყარვილდ ათვანედ ლუთოფდი ი ლუტუნბაჩად... თუნუქის სახლს აქვს ოთხი კუთხე და თითოს ორი კაცი ყარაულად დაუყენეთ თოფიანად და დამბაჩიანად... იქვე.

ეს ფაქტები უალრესად ანგარიშგასაწევია, მაგრამ არ შეიძლება იმ შემთხვევების დავიწყებაც, როდესაც თანხმონით დაბოლოებული ფუძე -დ-ს კი არ დაირთავს, არამედ მხოლოდ -ა-ს:

ჯოჯონეთ-ა: ...და შთავლინოთ სიბერჳ ჩემი ჯოჯონეთა... დაბ. წ. I თავი 42₃₈

...შთავიდე მე ძისა ჩემისა თანა ჯოჯონეთა... იქვე, 37₃₅₋₃₆

სალოცველ-ა: ...და დავაწერიე სწლიერსა ძმასა ჩემსა ივანე საფარელსა სალოცველა სულისა ჩემისა... საქართ. მუზ. ხელნაწ. №968, ანდერძი (ბოლოს).

...და სალოცველა სულთა გარდაცვალებულთათჳს... ჰადიშის ოთხთავი, ანდერძი (იქვეა ნახმარი რამდენიმეჯერ „სალოცველად“).

სადიდებელ-ა: ამენი ღა სადიდებელა ჩნ მიერ... საქართ. მუზ. ხელნაწ. №1138, ფ. 86₂₅

მოუკლებელ-ა: და ამისთჳსცა ვჰმადლობ ღმერთსა მოუკლებელა... იმავე ხელნაწერში, ფ. 136 v.

საბერძნეთ-ა: ხ მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოვა... მოქც. ქართლ. საქართვე. მუზეუმის ხელნაწ. №1141 შეტბერ. კრებ. გვ. 443 b სვ.

სივნიეთ-ა: და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზაპარნი შემოვიდეს სივნიეთა... იქვე, 442 b სვ.

თოშეთ-ა: ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა... იქვე, 440 a სვ.

ეს -ა- შემთხვევითი არ არის გარდაქცევითი ბრუნვისათვის; ამას ნათელყოფს:

ა) მეგრული, ბ) ზოგ ქართულს კილოში შემონახული წარმოება და გ) თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ზოგიერთი ჩვენება.

ა) მეგრულში გარდაქცევითი ბრუნვისათვის თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან -ო იხმარება: კოჩო მიმოჩქულუ = კაცად მიმაჩნდა... მეზობელო მიყუნდუ (|| პყუნდუ) = მეზობლად მყავდა... ხე მანგოროო ქომოკონდუ = ხელი მაგრად მოკიდა... ოჭარალო — საწერად, ოკეთებელო —

საკეთებლად, ოქიმინალო — საქმნელად, ოკვილარო — მოსაკლავად და სხვ.

მეგრულის ეს -ო ქართულისთვის -ა-ს გვავარაუდებინებს; შეიძლება და კაცს ეფიქრა, ხომ არ იყო მეგრულში თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან -ო-ს გარდა დ-ც (ე. ი. -ოდ || -ოთ) და ხომ არ დაიკარგა ბოლო-კიდური -დ, მაგრამ ეს ეჭვი უსაფუძვლოა: მეგრულში იკარგება ბოლო-კიდური -ნ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეტ წილ შემთხვევაში იჩრდილება (და ხმოვნების წინ ისევ აღდგება: რე(ნ) — *რე-ნ-ო?), მაგრამ დ- არც იკარგება და არც იჩრდილება. ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან მეგრულს ჩვეულებრივად თ ← დ აქვს (ჯიმა-თ, მოჯირე-თ, მოკო(რ)დუ...), რაიც მოწმობს აგრეთვე იმას, რომ მეგრულში თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან -დ არ დაკარგულა...

ჭანურში გარდაქცევითი ბრუნვა არა გვაქვს („დიდო“ და ორიოდე ამგვარ მაგალითში ეს ფორმა შეთვისებული ჩანს); ამიტომ შეიძლება კითხვა დასმულიყო: ხომ არ არის მეგრულშიც ეს ბრუნვა ქართულიდან შემდეგ შეთვისებული? მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც მეგრულის -ო- ქართულში -ა-ს სასარგებლოდ მისცემდა ჩვენებს.

ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა განიმარტოს გარდაქცევითი ბრუნვის საკითხში მეგრულის ვითარება, ერთი მაინც უდაოა: **მეგრულთან შედარება ქართულში -ა-საც გვავარაუდებინებს გარდაქცევითი ბრუნვისათვის.**

მ. ჯანაშვილის მიერ ჩაწერილ ინგილოურ ტექსტებში ხშირია -ა-თი წარმოებული გარდაქცევითი ბრუნვა ზმნისართული თუ სხვა ფუნქციით:

...დღელს აჟიღნი სახლ კემწიფე — დ ე დ უ ფ ლ ი ა ნ ა , იმათ შ უ ლ ე -
ბ ი ა ნ ა , ნ ა ზ ი რ - ვ ე ზ ი რ ე ბ ი ა ნ ა , მოჯამაგირე- ს ა ვ ა ზ ი -
რ ო ე ბ ი ა ნ ა და გასდგომი გზას... იხ. ძვ. საქართველო. ტ. III,
განყ. IV, გვ. 188

...მისულ, ცეცხლთან ნ ა ღ ვ ლ ი ა ნ ა დამყდარ... იქვე, გვ. 189

...თითო ლოკმაზე თითო ლავაშ ე რ თ ა გადაუყლაპი... იქვე, გვ. 189

...შეგრუებულან ე რ თ ა , ერთმანეთიბედა თავი დერდ ჰუთქომყ... იქვე, გვ. 208

...ფენჭრებ მ ა გ რ ა დაუკლეტიყ... იქვე, გვ. 189

...კარ შიგნიით მ ა გ რ ა დაუკლეტიყ... იქვე, გვ. 190

...ჰურბენი ყურდღელ დ ა ს ა ჰ ე რ ე ლ ა... იქვე, გვ. 187

...რადებე მოსულხარა? შენ შ ე ს ა ჰ მ ე ლ ა... იქვე, გვ. 183, 184

...ფართალ დააგა, დაწო დ ა ს ა ზ ი ნ ე ბ ლ ა... იქვე, გვ. 192

...მამაჲ წაჟდა ქალეზი ს ა ზ ე ბ ნ ე ლ ა... იქვე, გვ. 193

...ერთ ოთალ... კაც დ ა ა წ ო ლ ე ლ ა (=დასაწოლად), ფართალ დ ა ა -
კ ე ც ლ ა (=დასაკეცად), ჩხებით ჰარალ დ ა ჰ ა კ ი დ ე ბ ე ლ ა

(=დასაკიდებლად)... იქვე, გვ. 206

...დედამ კაც გუდით თეთრ მათნელა გაგზავნა... იქვეგვ. 193

...სახლში შაასლელა (=შესასვლელად) მინამს არ ჰუშებენ... იქვე, გვ. 196

...დააწეწეწელა (=დასაწეწად) არ ჰუშებსაგ... იქვე, გვ. 200

...შეუგრუე ბი თავი ზროხად აგიდ მაკლელა (=მოსაკლავად)...
იქვე, გვ. 200

...ირემ ეგონებ, ჩომოვ მაკლელა იქვე, გვ. 207.

ბ) იმერულს მეტყველებაში დღემდის მოღწეულია ამგვარი გამოთქმები: ცოლშვილიანა, ძირფესვიანა, დედაბუდიანა... ლიტერატურულს მეტყველებაში აქ ყველგან **-დ** გვექნებოდა ბოლოს: ცოლშვილიანად, ძირფესვიანად, დედაბუდიანად...

ამგვარად, ზემოხსენებულს დიალექტურს ფორმებში შემონახულა გარდაქცევითი ბრუნვა **-ა-** დაბოლოებით (მოსალოდნელი **-ად-**ის ნაცვლად).

გ) თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც ზმნისართების წყება **-ა-**ზე ბოლოვდება: მალა, დაბლა, ახლა, ნელა, ჩქარა... წარმოშობით ეს ისეთივე ზმნისართებია, როგორც: სწრაფად, მაგრად, ურყევად, გრძლად, სქლად, წვრილად და სხვ.

მაშასადამე, ამით ისევ **-ა** გამოდის გარდაქცევითი ბრუნვის მაწარმოებელი **თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან**.

ამასთან დაკავშირებით ძალა-უნებურად ყურადღებას იქცევს **-მდე** თანდებულის წინ გარდაქცევითი ბრუნვის **-დ** ნიშნის დაკარგვა; ტფილისამდე, ქალაქამდე, სოფლამდე (ანდა: ტფილისამდის, ქალაქამდის, სოფლამდის), ნახვამდის... რას უნდა გამოეწვია **-დ-**ს დაკარგვა **-მდე||-მდის** თანდებულის წინ? ნუთუ: ტფილისამდემდე, ქალაქამდემდე, სოფლამდემდე... ისეთ ძნელ კომპლექსებს შეიცავდა, რომ მათი გამარტივება გამოთქმის გასაადვილებლად იყო საჭირო? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ **-დ-**ს დაკარგვა ასეთ შემთხვევაში გაადვილა იმ გარემოებამ, რომ მხოლოდ **-ა-** საკმარისი იყო — გარკვეულს დიალექტებში მაინც — გარდაქცევითი ბრუნვის საწარმოებლად! საგულისხმოა, რომ ძველ-ქართულშივე გვაქვს **-დ-**ს დაკარგვის შემთხვევები **-მდე-** თანდებულის წინ: ...მუ იჭმითგან... ვეილკრიკემდე მივივლინე (საქართვე. მუზ. ხელნაწ. №1138, ფ. 52)რ.

რა მივიღეთ გარდაქცევითი ბრუნვის საწარმოებლად ძვ. ქართულში? ხმოვნების შემდეგ — **დ**, თანხმოვნების შემდეგ ორი მაჩვენებელი: **-ა** და **-დ**. როგორც წესი, ძვ. ქართულში თანხმოვნების შემდეგ **-ა-დ** გვაქვს (კაც-**ა-დ**, პირ-**ა-დ**...), მაგრამ ნაშთის სახით შემორჩენილია მარტოოდენ **ა-ც** (სალოცველ-**ა**) და მარტოოდენ **-დ-ც** (ბეთლემ-**დ**).

დ-სუფიქსს ხშირად **-ა** მოსდევს ახალ ქართულში: **-ცა** ნაწილაკის წინ ეს **-ა** ყოველთვის გამოჩნდება — კაც-ად-**ა**-ც, ამხანა-გა-დ-**ა**-ც, ძმა-დ-**ა**-ც... ეს **-ა** იმავე ღირებულებისა უნდა იყოს, როგორც მიცემითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნებს დართული **-ა**: ძმა-ს-**ა**-ც, ძმ-ის-**ა**-ც, ძმ-ით-**ა**-ც... როგორც ცნობილია, ეს **-ა** ბრუნვის ნიშანს არ ეკუთვნის. მხოლოდ **ამიტომ არის შესაძლებელი, რომ ის მეორდება სხვადასხვა ბრუნვაში** (მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და გარდაქცევითში). თუ ეს **-ა** ახალ ქართულში არ მიიჩნევა ბრუნვის ნიშნის ნაწილად, მით უფრო ეს ითქმის ძვ. ქართულის შესახებ: ძვ. ქართულში ბრუნვის ნიშნად **-დ-** უნდა გამოიყოს (და არა: **და**). მასვე გვაფიქრებინებს სვანური.

გარდაქცევითი ბრუნვისათვის ორი აფიქსი მივიღეთ: -ა- და -დ. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი ისმის, სანამ მათ შევეხებოდეთ, საჭიროა ჩვენთვის საინტერესო ბრუნვის შესახებ აკად. ნ. მარის აზრი გავითვალისწინოთ. „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ (ლენინგ. 1925 წ.) ის წერს: **ა-**ხმოვნის მიცემითი — ეს წიგნური განუსაზღვრელი სახის წარმოება, გამობატავს წინადადების ნაწილს კითხვებზე — საით, როდის ანდა როგორ. პირველ კითხვასთან დაკავშირებით ბრუნვა ფუნქციონალურად იწოდება მიმართულებითად: საბერძნეთ-**ა**, თომეთ-**ა**, ჯოჯოხეთ-**ა**, ერთ-**ა** (|| საიდან? — ა. ჩ.). კითხვაზე — როდის? მიმართულებითი გვხვდება ზმნისართების გაქვევებულს ფორმებში, მაგ. ახლა. სიტყვა „ახლა“ ადის მიცემითის სრულ ფორმადის **-ან**: ახლ-ან-დ-ელ-ი. როგორც ზმნისართი კითხვაზე — როგორ? რანაირად? ეს ბრუნვა გვხვდება უპირატესად ახალს ქართულში: ჩქარა, ნელა, ცქვიტა (? — ა. ჩ.). ხმოვნის მიცემითი ძველ საერო ლიტერატურაში გვევლინება ნაცვალსახელოვან ფუძეში **ამ, იმ**, რისათანაც მიცემითის ეს ფორმა გამოყენებულია, როგორც ნათესაობითი: **იმა** ყმისა მეუნებლე ჯორციელი არა ვინ ა“ (§ 40, გვ. 27).

და შემდეგ: „ჩვეულებრივი მიმართულებითი — რთული ან თანდებულისანი ბრუნვაა. იგი წარმოადგენს უბრალო მიმართულებითს **-ა**-თი ნაწარმოებს, საკუთრივ ხმოვნის მიცემითს, **დ-**თანდებულობით, მაგალ.: საბერძნეთ-ი — საბერძნეთა-დ, ჯოჯოხეთ-ი — ჯოჯოხეთა-დ, კაც-ი — კაცა-დ, ჯელი — ჯელა-დ. თანდებულობით **-დ** არის ნარჩენი სრული სახისა **-და**, რომელიც I და II პ. პირვონებითი ნაცვალსახელების მიმართულებითში გვაქვს“ (იქვე, § 41, გვ. 27-28).

აქ წარმოდგენილ შეხედულებაში ზოგი სავსებით სწორი აზრია გამოთქმული, მაგრამ იმრიგად დასაბუთებული, რომ ეს სწორი აზრი შემთხვევითის შთაბეჭდილებას სტოვებს.

რამდენადაც ქართველური ენების მონაცემთა ისტორია იქნება გა-

თვალისწინებული:

1. სავსებით სწორია, როცა აკად. ნ. მარი აკავშირებს „ახლა“, „ნელა“, „ჩქარა“ ზმნისართებს და ისეთ ფორმებს, როგორცაა „საბერძნეთ-ა“, „თომეთ-ა“...;

2. სწორად მიგვაჩნია აგრეთვე დებულება, რომ „კაცად“-ფორმაში ორი აფიქსია **-ა** და **-დ** (კაც + ა + დ), მაგრამ,

3. არაა სწორი, თითქოს ეს **-დ** მიღებული იყოს **-და** თანდებულისაგან (და საერთოდ, ეს ბრუნვა „თანდებულისანი“ ბრუნვა იყოს); მაშინ გამოვიდოდა, რომ ძმა-დ, მამა-დ, წყარო-დ და სხვა ხმოვანზე დაბოლოებული შიშველი ფუძეები დაირთავენ თანდებულს, მაგრამ ასეთი ვარაუდი ეწინააღმდეგება ფუძის ცნებასაც და თანდებულის ბუნებასაც. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში ძმა-დ, მამა-დ, წყარო-დ, კაც-ა-დ ჩვენ უნდა მიგვეჩინა ძმა**და**, მამა**და**, წყარო**და**, კაც-ა-და-საგან მიღებულად, რაც არ შეეფერება ცნობილ ფაქტებს ქართველური ენების ისტორიიდან; ზევით უკვე იყო აღნიშნული, რომ გარდაქცევითს ბრუნვაში უანო **-დ** არის ამოსავალი **-და**-ს-თვის და არა პირუკუ; ამას გვეუბნება ძველი ქართულიცა და სვანურიც;

4. არაა სწორი, თითქოს **-ან** მიცემითი ბრუნვის სრული ფორმა იყოს სიტყვაში ახლ-ან-დ-ელ-ი (შდრ. გუშინდელი, ხვალინდელი, ძვ. ქართ. დღენდელი)...

5. შეცთომია, თითქოს გარდაქცევითი ბრუნვის **-ა** (საბერძნეთ-ა, ჯოჯოხეთ-ა...) მიცემითის ნიშანი იყოს. ასეთი შეცთომა ქართულის არაბულთან ნათესაობის დაუმტკიცებელი დებულების შედეგად იყო მიღებული. მიმართულებითს აქვს ერთგვარი ფუნქციონალური კავშირი მიცემითთან, მაგრამ მათი გაიგივება დაუშვებელია: ესენი სხვადასხვა ფორმაციის ბრუნვებია. მერე: თვით მიცემითს ქართულში **-ა** არ აწარმოებს. არაბულის მიცემითში **-ა**-ფლექსიის გამოყენება საკმარისი არაა, რომ ქართულისათვისაც ეგვე მაჩვენებელი ვივარაუდოთ — წინააღმდეგ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა;

6. **იმა**, **ამა**-ნაცვალსახელებში **ა**-ს გამოცხადება მიცემითის ნიშნად წინა პუნქტში აღნიშნული უმართებულო დებულების გამოყენების შედეგია; **იმა**, **ამა**-ნაცვალსახელებში ბოლოკიდური **-ა** არც მიცემითის ნიშანია და არც სხვა რომელიმე ბრუნვისა: ის ფუძისეულია. ამიტომ მცთარია მტკიცება: „მიცემითის ეს ფორმა (**იმა**) გამოყენებულია, როგორც ნათესაობითიო“... თუ წინათ მიცემითი და გარდაქცევითი იყო ერთმანეთში არეული, აქ მიცემითი და ნათესაობითი აირია...

გარდაქცევითი ბრუნვის თავდაპირველ ნიშნებად **-ა** და **დ**-ს მიჩნევა კითხვას სვამს: რამდენად ეგუება ქართული ბრუნების ძირითად პრინციპს

ორი მაჩვენებლის ქონა ერთი ბრუნვისათვის? აკი ქართულში ერთი ბრუნება გვაქვს, თითოეულ ბრუნვაში თითო ფორმანტია გამოყენებული ყველა სახელისათვის, ხოლო სადაც ერთი შეხედვით სხვაობაა (ძმა**ო!** || ძმა**გ!** კაც**ო!** ქვეყანა**გ!**), ორი სხვადასხვა მორფოლოგიური ოდენობა კი არა გვაქვს, არამედ ერთი და იმავე მორფოლოგიური მონაცემის ორი ფონეტიკური ვარიანტი (-**ვ** იგივე **ო**-ა, ფონეტიკურად დასუსტებული).

მაგრამ **-ა** და **-დ** ფონეტიკურად ერთმანეთს ვერ დაუკავშირდება: არც **-ა** მიიღება **-დ**-საგან და არც, პირუკუ, **დ** — **-ა**-საგან: ფონეტიკა ამათს ურთიერთობას ვერ გაარკვევს, ეს **ორი სხვადასხვა** აფიქსია.

ქართველური ენებიდან მხოლოდ **-დ**-ს სვანური უჭერს მხარს,¹ ძველი ქართული ორივე მაჩვენებელს იყენებს: **-ა**-საც და **-დ**-საც; ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან მარტოოდენ **-დ** გვაქვს, მას აქ დუბლერი არ გააჩნია (ძმა**-დ**). თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან კი, როგორც ნორმა, **ა + დ** გვაქვს (კაც**-ა-დ**), მაგრამ აქაც მოიპოვება ნაშთები, როგორც მარტოოდენ **ა**-ს ხმარებისა (ჯოჯოხეთ**-ა**, სალოცველ**-ა**, სადიდებელ**-ა...**), ისე მარტოოდენ **-დ**-ს გამოყენებისა (ბეთლემ**-დ**, სიონ**-დ**, ბეთელ**-დ**, ქარან**-დ...**).

მეგრულს **თ**-ც (**თ** ← **დ**) აქვს გამოყენებული და **ო**-ც (მეგრ. **ო** || ქართ. **ა**), ოღონდ სხვადასხვა ფუძესთან: თანხმოვანზე გათავებულთან **-თ** (ჯიმა**-თ** — ძმა**დ**, და**-თ** — და**დ...**), მაგრამ ორივეს ერთად ხმარებას არა ვხვდებით: **-ო-თ** ამ ბრუნვაში მეგრულმა არ იცის (შდრ. ქართ. კაც**-ა-დ** და მეგრ. კოჩ**-ო**, ცოლ**-ა-დ** — ჩილ**-ო...**). ამგვარად, მეგრულში დაცულია ისეთი მდგომარეობა, რომელიც წინ უსწრებდა ქართულში კაც**-ა-დ** ტიპის ჩამოყალიბებას.

ეს ფორმანტები (**-ა**, **-დ**) ჭანურში არა ჩანს;² ეს გვაფიქრებინებს, რომ ჭანურისა და მეგრულის დიალექტური დიფერენციაცია მომხდარი ფაქტი იყო, როცა ბრუნვის ეს ფორმანტი ყალიბდება ქართულში და ჩნდება მეგრულში, როგორც გარდაქცევითი ბრუნვის აღმნიშვნელი. ამ დროისათვის მეგრულსაც და ჭანურსაც უკვე გააჩნდა მიმართულებითი ბრუნვა (კოჩ**იშა** — კაცისკენ): ამიტომ უცხოა მეგრულში ამ წარმოებისათვის მიმართულებითის ფუნქცია.

უფრო რთული, მაგრამ არსებითად ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სვანურში; სვანურსაც აქვს საგანგებო წარმოება მიმართულებითის ფუნქციით, — იწარმოება ის **-თე** სუიფქსით: აგი**თე** აჩად — შინისაკენ („სახლისაკენ“) წავიდა...

¹ **-დ** მაწარმოებელი სვანურს მოთხრობითისთვისაც აქვს, მაგრამ ეს **-დ** სხვა წარმოებისა ჩანს; იგი ორ ქართულს სახელში შემონახულ **-ნ**-ს (მა**-ნ**, ვი**-ნ**) კორელატი. საკითხს სპეციალური განხილვა სჭირდება.

² არ არის მოსალოდნელი იქაც ყოფილიყოს და შემდეგ დაეკარგოს ჭანურს.

როგორია ისტორიული ურთიერთობა ამ ორი ფორმანტისა: **ა**-სი და **დ**-სი? **-დ** და **-ა** ფორმანტების შეფარდებითი წონის გასათვალისწინებლად უნდა მოვიგონოთ, რომ **-დ** ქართულშიაც არის, მეგრულშიც (**-თ**-ს სახით) და სვანურშიც, **ა**-კი ქართულსა და მეგრულს აქვს **-ო**-ს სახით, მაგრამ სვანურს კი — არა...

მეორე მხრივ, **-ა** ფორმანტი დაუხვდა **-დ** ფორმანტს თანხმობაზე დაბოლოებულ ფუძეებთან, და **დ**-ს მოცილეობა ამგვარ ფუძეებთან (ბეთლემ-**დ** ტიპი!) მისი დამარცხებით გათავდა. ეს ცხადყოფს **ა**-ს სიძველეს. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი აფიქსია ჩვენი ენებისათვის შემთხვევითი და არც მეორე. ორივე დამახასიათებელია ქართველური ენების ძველი ვითარებისათვის. ეს ორი აფიქსი ქართველურ ენებში **ორ სხვადასხვა ენობრივ ფენას** განეკუთვნება. მათგან გარდაქცევითი ბრუნვის **-დ ქართველურ ენებში ააშკარავებს იმ ფენას, რომელიც ხალღურისათვის** (ურარტულიათვის) **არის დამახასიათებელი.**

ხალღური (ურარტული) ფორმანტი, რომელიც ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს, არის **edi (-ედი)**; მას ი. ფრიდრიხი გამოყოფს, როგორც მიმართულებითი ბრუნვის (Richtungskasus) მაწარმოებელს ხალღურში: „მიმართულებითი ბრუნვა კითხვაზე „სად?“ „საით?“ მხოლოდობითში იძლევა **edi (-ედი)** სუფიქსს. განსაკუთრებით ეს ცხადია **-ა** და **-უ** ფუძეებთან: **kiuraedi** „მიწისკენ“ (ფუძე **kiura**) **KUR Manaidi** „მანას ქვეყნისაკენ“;¹ **KUR Bustuedi** „ბუშტუს ქვეყნისაკენ“.² **ი**-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან ფუძის ბოლოკიდურ **ი**-სა და სუფიქსის თავკიდურ ე-ს შერწყმა იძლევა ე-ს: **ebanedi** „ადგილ“, „ქუეყანად“ (ფუძე **ebani**), **d Haldedi** „ხალდისკენ“³ (იხ. J. Friedrich: Einführung ins Urartäische Leipz., 1993, § 62, გვ. 13).

მრავლობითში იმავე ბრუნვისათვის ზოგჯერ იგივე სუფიქსი გვაქვს, რაც მხოლოდობითში, ოღონდ **ა**-ს წამძღვარებით, ჩვეულებრივ კი სულ სხვა სუფიქსი **-aste-ო** (-აშტე), ამბობს ი. ფრიდრიხი (იქვე § 63).

ისეთ შემთხვევებს, როდესაც მიმართულებითის ნიშანი მხოლოდ **-di** სახით არის წარმოდგენილი, ი. ფრიდრიხი ხსნის ფონეტიკურ ნიადაგზე **ai-ს** და **a-ს** მონაცვლეობით: **KUR Biainaidi** || **KUR Bianaidi** || **KUR Bianadi...** (იხ. იქვე, § 18a, გვ. 4).

რა აქვს საერთო ამ ბრუნვასთან ჩვენი ენების **დ**-ს? ხალღურში (ურარტულში) ესაა მიმართულებითი ბრუნვა, ქართულში — გარდაქცევითი, იქ მას აწარმოებს **-ედი**, აქ კი მხოლოდ **-დ?**

რაც შეეხება მნიშვნელობას, უკვე ვიცით, რომ ძვ. ქართულში

¹ ძვ. ქართულით: „მანადს ქუეყანად“...

² ძვ. ქართულით: „ბუშტუს ქუეყანად! (მაგ. წარმემართა).

³ ძვ. ქართულით „ხალდედ“.

გარდაქცევითი ბრუნვის ერთი მთავარი ფუნქცია იყო მიმართულების აღნიშვნა (და სხუანი იგი მთად კერძო ივლტოდეს... დაბად. წიგ. I, თ. 14₁₀₋₁₁... და წარვიდეს ქყნად ფილისტიმედ... იქვე, თ. 21₃₂₋₃₃... რუს მიეახლა ეგვტედ... იქვე, თ. 12₁₁₋₁₂... სხვა მაგალითები იქ. აქვე, გვ. 13, 14, 16).

მართალია, ახალ ქართულში ეს ბრუნვა ასეთი მნიშვნელობით არ იხმარება, მაგრამ სწორედ ისაა განსაკუთრებით ფასეული, რომ მიმართულებითის მნიშვნელობა ამ ბრუნვას სწორედ ძვ. ქართულში ჰქონდა, რომ ეს მის წარსულს ახასიათებს და შემდეგ განვითარებული, მეორეული ფუნქცია არ არის, ე. ი., რაც უფრო მატულობს მსგავსება (და არა პირუკუ!).

რაც შეეხება ბრუნვის მაწარმოებლებს, სხვა მკვლევრები — აკად. ნ. მარი, აკად. ი. მეშჩანინოვი მიმართულებითი ბრუნვისათვის **-di**-ს გამოყოფენ (იხ. Н. Марр. Надпись Сардура II сына Аргиштия в Даш-керпи на Чалдирском озере. Петрогр. 1919, გვ. 28-29. — И. Мещанинов: Язык Ванской клинописи II: Структура речи, Ленингр. 1935, გვ. 157, 160). ი. მეშჩანინოვი სრულიად კატეგორიულად აცხადებს: „ხალდურს ენაში სავსებით ზუსტად დასტურდება მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება — **di**“ (გვ. 157, იხ. აგრეთვე გვ. 160)... აკად. ნ. მარისა და აკად. ი. მეშჩანინოვის შეხედულება ამ დაბოლოების შესახებ იმ მხრივ საგულისხმოა, რომ სხვადასხვა თვალსაზრისზე მდგომ, სხვადასხვა წესებით მომუშავე მეცნიერთა დასკვნა არსებითად ერთნაირ შედეგს გვაძლევს. ეს კი მნიშვნელოვანია, თუ მოვიგონებთ, რომ არიან ისეთი მეცნიერებიც, რომლებიც მიმართულებითი ბრუნვის საკითხს ხალდურში სულ სხვაგვარად უყურებენ.¹

თუ მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოების (**-edi**) ხმოვანთა საკითხს თვით ი. ფრიდრიხის შეხედულების ნიადაგზე განვიხილავდით, ჩვენს ყურადღებას მიიქცევდა ორი ადგილი ი. ფრიდრიხის გამოკვლევისა, რომელიც გვაფიქრებინებს,² რომ **-edi (-ედი)** ფორმანტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ხმოვნებს კი არა აქვს, არამედ თანხმოვან **-d-** (-დ-ს). სახელ-

¹ წამოყენებულია, მაგალ., დებულება, რომ ხალდურში მიმართულებითის ნიშანი — **a** (იხ. ჟურნ. "Revue d'Archéologie Orientale", vol. 32 № 1, Paris, 1935, გვ. 40); მასვე აქვს დანიშნულებითისა და ლოკატივის ფუნქცია: **de** (←**edi**) კი წარმოადგენს თანდებულს, დანიშნულების აღსანიშნავად ნახმარს (იხ. ჟურნ. ტ. 30, № 1 (1933 წ.), გვ. 28). სემიტოლოგმა დოც. გ. წერეთელმა ყურადღება მიაქცია იმ დამთხვევას, რომელსაც ასეთ შემთხვევაში მივიღებდით ხალდურის **-a**-სა და ჩვენი მიმართულებითის მეორე მაწარმოებელ **-a**-ს შორის. ქართველურ ენებში ასეთ ვარაუდს დიდი სიმძნელები ელოდება.

² ქართულის მაგალითში: „დავეხეტები ცალ-ადა“-ში, როგორც ვიცით, არც ისე ადვილი აღმოჩნდება ბრუნვის ნიშნის გამოყოფა. ქართული ხომ ცოცხალი ენაა და აქ ამ ოპერაციისათვის შეუდარებლივ უკეთესი პირობებია.

დობრ: 1. ი. ფრიდრიხი თვითონ შენიშნავს, რომ „მიმართულებითი ბრუნვის ფორმანტი“ **-edi (-ედი)** სახითაც იწერებაო (§ 62, გვ. 13, შენიშვნა 1); 2. მიმართულებითის ამ **-edi-** ფორმანტის უკავშირებს ინფინიტივის მაწარმოებელ **-de-**-ს: „ინფინიტივი უნდა ბოლოვდებოდეს **-de-**თი და უნდა გვექონდეს წარმოდგენილი ფორმაში **arede** „მიცემა! („**zu geben**“ ფუძისაგან **-aru**). თუ ეს ფორმა სწორად არის გაგებული, **-ede** კავშირში იქნება სუფიქსთან **-edi** (იქვე, § 37, გვ. 8).

ი. ფრიდრიხის ეს ვარაუდი ჩვენთვის ორი სახით არის საინტერესო; ჯერაა და, მკვლევარი აქ ერთმანეთს უკავშირებს ისეთ აფიქსებს — **-edi** (|| **idi**), **ede** || **de** — რომელთაც უცვლელ ინგრედიენტად მხოლოდ **-დ** მოეპოვებათ; თუ ეს შესაძლებელია ერთსა და იმავე ენაში, მით უფრო მეტს განსხვავებას აიტანს ორი ენის მასალებში დადასტურებული საერთო მაჩვენებელი. ესე იგი, არაფერი შეუძლებელი არ არის იმაში, რომ ხალღურში მიმართულებითისათვის სპეციფიკურად მხოლოდ **-დ** დავსახოთ.

შემდეგ ი. ფრიდრიხი შესაძლებლად თვლის დააკავშიროს ინფინიტივი და მიმართულებითი ბრუნვა. ასეთი რამ ძვ. ქართულშიაც დემონსტრაციულად წარმოგვიდგება (...ესე გიღირდა ყოფად და იგი არა დატევებად... ჰადიშის ოთხთავი, მათე, თავი XXIII, მ. 23... *Haec oportuit facere et illa non omittere...* *Сие надлежало делать и то не оставлять...* და ვერავინ შემძლებელ იყო მიგებად მისა არცა იკადრავინ მიერთვან კითხვად მისა არღარა... იქვე თავი XXII, მ. 46... *Et nemo poterat ei respondere quicquam neque ausus fuit quisquam ab illo die eum interrogare...* *И никто не мог ему отвечать ни слова и с того дня никто уже не смел спрашивать его...*).

ხალღურში მიმართულებითისა და ინფინიტივის დაკავშირება ი. ფრიდრიხისათვის მხოლოდ შესაძლებლობაა, ძვ. ქართულში კი მიმართულებითისა და ინფინიტივის ამ ჩანასახის ანალოგიური კავშირი უღაო ფაქტია. ეს გარემოება ი. ფრიდრიხის ვარაუდსაც მხარს უჭერს, ძვ. ქართულისა და ხალღურის სამიმართულებო ნაწილაკების სასარგებლოდაც ლაპარაკობს.¹

კავკასიური ენებიდან ხუნძურში (ავარულში) ფართოდ არის გამოყენებული **-და, -დე** მაწარმოებლების მქონე ლოკატივები. პირველი წარმოება მიუგებს კითხვაზე სად? მეორე — საით? „რისად?“ მაგალითად: ბაზარ (ბაზარი), ბაზარ-ალ-და (ბაზარზე)... ბაყ (მზე) — ბაყ-ალ-და (მზეზე), რაკ (გული) — რაკ-ალ-და (გულში, გულზე)... ვაც (ძმა): ვაც-ას-და — ძმაზე... ვაც-ას-დე — ძმისაკენ, უფრო ზუსტად „ძმისად“: დიცა აბუნა ვაცას-

¹ ზემოთ (იხ. გვ. 15) აღნიშნულია, რომ ინფინიტივის ამ ჩანასახის საკითხი ძვ. ქართულში ცალკე გვექნება განხილული.

დე — მე ვუთხარი ძმას („მე ვთქვი ძმისად“)... დუნ ინა მაყარდე — მე წავალ მთაში... თუ **-დე**-ზე დაბოლოებულ ფორმებს დაემატება **-ჯუნ**, მივიღებთ მიმართულების აღნიშვნას: ინა ვაც-ას-დე-ჯუნ — წავალ ძმისაკენ, ინა მაყარ-დე-კუნ — წავალ მთისაკენ (იხ. II. Услар. Этногр. Кавказа, III. Аварский язык, Тифл. 1889, § 59, 60, გვ. 68-77). ზოგ ხუნძურ თქმაში **-და, -დე**-ს ენაცვლება **-ტა, -ტე**... ასევე, მაგალითად, გუმბეტში: განჭიტა — ნაცვლად — განჭიდა-სი — „ქვაზე“ (იხ. იქვე, § 59, გვ. 69).

აქვე შევნიშნავთ, რომ დაბოლოება **-ე** ხუნძურში აღნიშნავს მიმართულებას (კითხვაზე — საითკენ?) სხვაგვარად ნაწარმოებ ლოკატივებშიც: ვაც-ას-უჯ (ძმასთან) — ვაც-ას-უჯ-ე (ძმისაკენ), ვაც-ას-უტლ (ძმის ქვეშ) — ვაც-ას-უტლ-ე („ძმის ქვეშისაკენ“)... მაშასადამე, **-და, -დე** მაჩვენებლებში **დ**-ს ხმოვანი დაერთვის და მიმართულებების აღნიშვნაც მას ეკისრება.

აკად. ნ. მარმა ხუნძური **-და, -დე** ლოკატივი ხალდურს დაუკავშირა: „სომხეთის ფარგლებში სრულებითაც არ იყო უცხო მოვლენა სწორედ ამ ბრუნვის ფორმის გამოყენება მიმართულებითისათვის, მასთან ყველა სახელებში, როგორც ეს ხუნძურში გვაქვს, და არა მხოლოდ ზმნისართულს გამოთქმებში. ასე, მაგალ., განსაკუთრებით საინტერესოა აღვნიშნოთ მიმართულებითი ბრუნვის წარმოება ხალდურს ენაში, ვანის მეფეთა ლურსმულ ძეგლებში: ხალდი + ე + დი ხალდისაკენ, ბიანა-დი resp. ბიანა-დი და ბიანა-დი ბიანაში, ბიანისკენ“... (იხ. „Непечатый источник истории Кавказского мира“, Изв. Ак. Наук, 1917, გვ. 310).

ამავე ხუნძურ **-და, -დე**-ს პოულობდა აკად. ნ. მარი ქართ. ზმნისართში „სადა“ და თანდებულებში მ-დე || მ-დი: სანამ-დი, მანამ-დი, სახლამ-დი... და გარდა ამისა სვან. **-თე**-ში, ჭან. **-თე**-ში (იქვე, გვ. 309). ყველა ამ შემთხვევაში დალისტინის ენათა ნორმებია მოწოდებული გაარკვიოს საკითხი („лезгинскими нормами объясняются некоторые особенности в грамматике или армянского или грузинского языка“... იქვე, გვ. 309).

ხუნძურისა და ქართველური ენების ზემოხსენებულ ურთიერთობის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას:

1. ჭანური **-თე** (ზუსტად: **-ითე**) მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია (კოჩითე, ჯუმათე — კაცით, ძმით) და ლოკატივებთან დაკავშირებით ისევე არაა მოსატანი, როგორც ქართული მოქმედებითი (ეს უკანასკნელი არც აქვს აკი მოხსენებული აკად. ნ. მარს!).

2. სვან. **-თე** მნიშვნელობით მეტ-ნაკლებად უდგება ხუნძურ **-დე**-ს, — ისიც მიმართულებითია, მაგრამ საეჭვოა, რომ იგივე მონაცემი იყოს: სვანურში **დ**-ს **თ**-დ გადაქცევისათვის საფუძველი არა გვაქვს. ბოლოკიდური **დ**-ც კი არ ცვლილა **-თ**-დ (შდრ. სვ. ხუარიდ, ხარიდ — ქართ. ვართ,

ხართ...); მით უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ ხმოვნის წინ მომხდარიყო ეს...

3. სახლა-მ-დი-ს **-დი** ხუნძური ლოკატივის **-დე** შეიძლება ერთმანეთს შევეუდაროთ, თუ ხუნძურის ამგვარ წარმოებას (ვაც-ას-დე...) მივიჩნევთ თანდებულის ბრუნვად: ასეთი რამ არ არის გამორიცხული, რა თქმა უნდა. ოღონდ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ხუნძ. ლოკატივის **-და, -დე**-ში ხმოვნები სპეციფიკური საამნაწილაკო არ არის, ისინი სხვა ლოკატივებშიც გვაქვს მაშინ, როდესაც ქართულში, არავის დაუმტკიცებია (და არც უთქვამს), რომ თანდებულ **მ-დე** || **მ-დი**-ს ხმოვნები (**-ე** || **-ი**) ასეთ ცვალებად ინგრედიენტებს შეიცავდეს. მერე კიდევ: თუ ხუნძ. ლოკატ. **-და, -დე** თანდებულის ბრუნვად გავიგეთ და ქართულ თანდებულის „სახლა-მ-დი“-ს დაუკავშირეთ, ხალღურისა და ხუნძურის დაკავშირება მოიხსნება: ხალღურში მიმართულებითი, აკად. ნ. მარის გაგებით, თანდებულის ბრუნვა არაა.¹

4. **სა-და-ს -და** და ხუნძ. ლოკატივის **-და** ერთ სიბრტყეზე არ დაისმის: ქართულში ეს **-და ნა**-ს კორელატია: შდრ. **სა-და, სა-ნა** (დიალექტ.), **სა-და-მდის, სა-ნა-მდის...** ეს **-ნა** სხვაგანაც გვაქვს და გარკვეულ ნაცვალსახელოვან დეტერმინანტად გვევლინება...

5. დასარულ, კითხვა ისმის: რატომ ლექური ენების მონაცემებით უნდა აიხსნას ქართული და სომხური და არა პირუკუ: სომხურითა და ქართულით — ლექური, ანდა კიდევ, ხალღურით — სამივე? ასეთი უპირატესობა ლექურ ენებს ამ შემთხვევაში არა აქვთ.

მ-დე, მ-დი-ს შესახებ მსჯელობისას აკად. ნ. მარი გაკვრით, შენიშვნაში ქართული მიმართულებითი ბრუნვის **დ-საც** იგონებს: „ამ დაბოლოების (**-დი**) გადანაშთი, უხმოვნო, ჩვენა გვაქვს **დ-ს** სახით რთულ მიმართულებითში: **სახლ-ა-დ**, ხოლო არქაულად ძველს სალიტერატურო ქართულში და უბრალო მიმართულებითში: იერუსალემ-**დ**, რაიც თავის მხრივ კავშირშია სათანადო ბრუნვის **დ-თი** წარმოებასთან სვანურში“ (იქვე, გვ. 309, შენიშვნა 2).

სამწუხაროდ, აკად. ნ. მარს არაფერი აქვს ნათქვამი მის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა **მ-დე** || **მ-დი** თანდებულისაგან ქართულში მიგველო **-დ** მიმართულებითი ბრუნვისა. ამის გარეშე კი (**მ**)-**დი**-ს გათანაბრება მიმართულებითი ბრუნვის **-დ**-სთან არაფრით მართლდება: ორივე ერთდროულად გვხვდება, ერთი ბრუნვის ნიშანია, მეორე — თანდებული, ერთი დაერთვის მეორეს: **სახლ-ა-დ-მ-დე** (სახლამდი)... დაუჭერებელია, რომ ერთ სიტყვაში ორჯერ ზედიზედ ერთი და იგივე ნაწილაკი მოგვევლი-

¹ სამაგიეროდ, ვინც ხალღურის მიმართულებით თანდებულის ბრუნვად მიიჩნევს, მისთვის არავითარი დაბრკოლება არ იქნებოდა ეს მიმართულებითი დაუკავშირებინა ხუნძური ლოკატივისათვის და ქართული თანდებულის მიმართულებისათვის.

ნოს სხვადასხვა ფუნქციის მქონედ.

ამრიგად, ხუნძურის **-და, -დე**-სთან ხალღურის დაკავშირებით, ხოლო იმავე ხუნძურის **-და, -დე**-სთან ქართული თანდებულისეული **დი**-ს (სახლა-მ-დი) დაკავშირებით, აკად. ნ. მარმა გარდაქცევითის (მიმართულებითის) **-დ** დააშორა, როგორც ხუნძურს, ისე ხალღურს. არც აკად. ნ. მარს, არც აკად. ნ. მეშხანიშვილს არ უცდიათ გაერკვიათ ქართულის მიმართულებითის **დ**-ს ურთიერთობა ხალღურის მიმართულებითის **დ**-სთან.

ეს არაა შემთხვევითი. ეს გამოიწვია იმან, რომ აკად. ნ. მარს მიმართულებითის „სადლ-ად“-ში ბრუნვის ნიშნად **-ა** მიაჩნია (მიცემითის მაჩვენებელი!), **დ**-კი თანდებულად აქვს გამოცხადებული. როგორც ცნობილია, იაფეტური თეორიის თვალსაზრისით **-დ** შეუძლებელია დავსახოთ ბრუნვის ნიშნად: ფორმანტად შეიძლება გვქონდეს ხმოვანი და არა თანხმოვანი; ამას ავალეხს მას სემიტურთან ქართულის ნათესაობის დებულება; თანხმოვანი თუა, ის ბრუნვის ნიშანი ვერ იქნება. ამიტომაც **-დ** თანდებულებშია გადარიცხული.

ჩვენთვის საინტერესო ფორმანტის ხალღურთან დაკავშირებაზე როცა ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუხვევთ სომეხ ენათმეცნიერის გრ. ლაფანციანის ნაშრომში გაკვრით გამოთქმულ ორ მოსაზრებას: 1. „ურარტულის“ (ე. ი. ხალღურის — ა. ჩ.) ბრუნვის ნიშანი **-di** (-დი — მიმართულ.) ისევე, როგორც **-ნი** მიცემითისა აკავშირებს ამ ენას ქართულ-მეგრულ ენებთან, ხოლო ბრუნვის ნიშანი **უე** (|| -ჟე) ჩვენ უნდა შევუბირისპიროთ ხურიულ „**-უე**“-ს“-ო, ამბობს ის (იხ. "Общие элементы между урартским и хеттским языками", Эрив. 1936, გვ. 21). სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი, ქართულისა და მეგრულის რა მოვლენებთან აკავშირებს ავტორი ზემოხსენებულ ბრუნვის ნიშნებს და რა მოსაზრებათა მიხედვით... 2. „ურარტულის **-di** ჩვენის აზრით ყოველთვის წმინდა მიმართულებას არ გამოხატავს, არამედ ზოგჯერ უახლოვდება ჩვეულებრივს მიცემითსო“ (გვ. 62)... საინტერესოა, რომ ძვ. ქართულის მიმართულებითის არა ერთი შემთხვევა გადმოიცემა ამჟამად თანდებულიანი თუ უთანდებულო მიცემითით (შევიდა აბრაჰამ ეგვბტედ... დაბად. წიგნი I, თავი 12¹⁴... ეგვბტედ = ეგვბტემი... ახ. ქართ. გაემგზავრა ქ ა ლ ა ქ ს... აქ მიცემითი მიმართულებითის ფუნქციის მქონეა... ამგვარი მაგალითებითაც გვქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდით: „მიმართულებითს აქვს ერთგვარი ფუნქციონალური კავშირი მიცემითთან“-თქო (იხ. ზევ. გვ. 20)...

საქმის ობიექტურ ვითარებას არ გამოხატავს, როცა იმავე წიგნის დასკვნითს ნაწილში გრ. ლაფანციანი აყენებს დებულებას: „ურარტულში კავკასიურ ჩონჩხს, როგორც მის განმსაზღვრელ მომენტს, ჩვენ ვერ ვპოულობთო“ (იქვე, გვ. 67). ეკამათება რა აკად. ი. მეშხანიშვილს გრ. ლაფანციანი შენიშნავს: ქარ-

თველური ენები ლამის არის ყველა ენის საფუძვლად გამოაცხადონ ალქიმიური ოთხი ელემენტის საფუძველზე! კავკასიურ ენებთან სხვა ენების დაკავშირება ამ ოთხი ელემენტის მეოხებით ხდებაო! (იხ. გვ. 65)...

სამართლიანი საყვედურია! ოთხი ელემენტის მეოხებით დამტკიცებულ დამტკიცებულად ვერ მიიჩნევა. ამგვარი საშუალებით მტკიცებას შეუძლია მხოლოდ სახელი გაუტეხოს თვით დასამტკიცებელ პრობლემას: რაკი მის საშუალებით ყველაფერი „მტკიცდება“, ობიექტურად ის არაფრის დასამტკიცებლად არ გამოდგება. ალქიმიის უარყოფა კანონიერია, მაგრამ „ქიმია“ ალქიმიისათვის პასუხს ვერ აგებს, და არა „ალქიმიურად“, არამედ „ქიმიურად“ კავკასიური ენები და მათ შორის ქართველური ენები წინააზიის ძველი ენებისაკენ რომ იყურებიან (თუ პირუტყუ!), ამას ხომ არაიადეტიდოლოგებიც, არაკავკასიელებიც არ უარყოფენ, ამას თვით ავტორიც (გრ. ლაფანციანი) არ უარყოფს, როცა იმავე ნაშრომში წერს, „ძველი ენების პრობლემათა გასარკვევად სომხური (არაინდოევროპული ფენისა) და ქართული ენა მდიდარ მასალებს გვაწვდის, თუმცა საკითხს არ ამოსწურავსო“ (გვ. 59). არაინდოევროპული ფენა სომხურისა და ქართული — ორივე კავკასიური ენების სამყაროა.

რაც შეეხება საკითხის ამოწურვას, ეს, რა თქმა უნდა, დაბრკოლებებს ხვდება. ხალღურის ხაზით ეს დაბრკოლებები მასალათა შედარებითს სიმცირესა და ერთფეროვნებაში გამოიხატება და ამ მასალათა გადმოცემის ტექნიკასა და ინტერპრეტაციას უკავშირდება (მკვდარ ენათა მონაცემების ინტერპრეტაციის სიძნელე ცნობილია). ქართველურისა და სხვა კავკასიური ენების ხაზით კი, პირიქით, მასალათა ამოურწყავი სიუხვე-მრავალფეროვნება და ამ მასალათა შეუსწავლელობაა ის მთავარი დაბრკოლება, რომელიც კვლევა-ძიების სწორად წარმართვას ხელს უშლიდა და უშლის. ეჭვი არაა, რაც უფრო მეტად (რა თქმა უნდა, ზუსტად, მეცნიერულად და არა ალქიმიურად!) იქნება შესწავლილი ქართველური და სხვა კავკასიური ენების ისტორია, მით უფრო ნათელი გახდება წინააზიისა და შუამდინარის ზოგი მკვდარი ენების მჭიდრო, ორგანული კავშირი ამ ენებთან. კავშირი არაა მხოლოდ ლექსიკური, არამედ აგებულებების პრინციპებისა და აგებულების მასალის მხრივ; და ეს კი არის სწორედ არსებითი ენათა გენეტიური ურთიერთობისათვის.

გარდაქცევითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფორმანტების ვითარება ქართველურ ენებში და ერთი ამ ფორმანტთაგანის კავშირი ხალღურ მიმართულებითთან ერთ-ერთი ფაქტია ქართველური ენებისა და ხალღურის ურთიერთობის ხაზით. რამდენადაც ხალღურში მიმართულებითი ბრუნვის საკითხი გაგებულია ისე, როგორც ეს ესმის ი. ფრიდრიხს (და ზოგ სხვა მეცნიერსაც — აკად. ნ. მარს, აკად. ი. მეშჩანინოვს), ქართველურისა და ხალღურის შეხვედრა აქ დადასტურებულად უნდა ვცნოთ: ამ ფორმანტის

ა გ ე ბ უ ლ ე ბ ა ც ა და ფ უ ნ ქ ც ი ა ორივე შესადარებელ სინამდვილეში, აგრეთვე ამ ფორმანტის ისტორია ქართველურ ენებში — ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ფორმანტის ხაზით შეხვედრა გაცილებით უფრო დამახასიათებელია ამ ენათა ურთიერთობისათვის, ვინემ ასეული საერთო სიტყვის ქონა; ქართულში მრავალი სპარსული სიტყვა მოიპოვება, ისეთი „არსებითი“ სიტყვებიც კი, როგორცაა „ფანჯარა“, „ოთახი“, „იატაკი“, „ნიდაგი“, „ჩარჩო“, ...მაგრამ არც ერთი ფორმანტი... ლექსიკური მარაგის ხაზით შეხვედრა კულტურულ-ეკონომიურ ურთიერთობას ემყარება. ეს ურთიერთობა შეიძლება იყოს უშუალოცა და მრავალგზის გაშუამავლებულიც. არაბული „საათი“, რუსული „სამოვარი“ ქართულმა უშუალო ურთიერთობის პროცესში მიიღო ამ ენებიდან, ინგლის. „კომბაინი“, ამერიკ. „თამბაქო“ იმავე ქართულში გაშუამავლებულია მრავალი ენით. ლექსიკური შეხვედრები კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა, მაგრამ ენათა გენეტური ურთიერთობის გასარკვევად მხოლოდ მაშინ გამოდგება, თუ ნასესხები არ არის, არამედ საერთო კუთვნილებას წარმოადგენს (ან ერთნაირს, ანდა კანონზომიერად სახეცვლილს).

ფორმანტის ხაზით შეხვედრა კი ან ენათა წარმოშობითს ერთიანობას მიეწერება (ერთი ენის დიფერენციაციით მიღებულ ენებში) ანდა ენათა შეჯვარებას. სწორედ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა გვაქვს მხედველობაში, როცა ქართველური ენებისა და ხალდურს ურთიერთობის შესახებ ვლაპარაკობთ. გარდაქცევითი (მიმართულებითი) ბრუნვის ისტორია ქართველურ ენებში გვაფიქრებინებს, რომ ქართველურ ენებში ჩამარხულია მთელი ენობრივი ფენა,¹ რომელიც მას აკავშირებს ხალდურთან.

¹ ანალოგიური ფენა უნდა ვივარაუდოთ ხუნძურისათვის, უკეთეს აღმოჩნდება, რომ ხალდურის მიმართულებითი ბრუნვა თანდებულიანი ბრუნვაა და -edi (-ედი) არის თანდებული. მაშინ იგივე მოვლენა ქართულში **-(მ)-დე** თანდებულით იქნებოდა წარმოდგენილი.

СРАВНИТЕЛЬНО-ИСТОРИЧЕСКИЕ ОЧЕРКИ ПО КАРТВЕЛЬСКИМ ЯЗЫКАМ

I. ОБ ОБРАЗОВАНИИ, ЗНАЧЕНИИ И ИСТОРИИ НАПРАВИТЕЛЬНОГО ПАДЕЖА В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(РЕЗЮМЕ)

I. Из падежей грузинского языка, кроме повествовательного падежа, не имеет соответствия в русском и других европейских языках также направительный падеж.

Термины для обозначения других падежей в груз. яз. являются точным переводом традиционной номенклатуры в том виде, в каком она установилась в латинской грамматике.

Для направительного же падежа, поскольку приходилось устанавливать новый термин, в грузинской грамматической литературе были предложены: модальный, превращательный, страдательный, направительный...

Исходя из функций этого падежа было бы правильно обозначить его термином "трансформативный" падеж. Термин "направительный", обозначая одну из основных функций этого падежа в древнегрузинском литературном языке, связан с определенными неудобствами, поскольку в сванском языке, а также в мингрельском диалекте занского языка имеются, как трансформативный падеж, так и направительный, по существу отличный от первого (минг. трансформ. კოჩ-ო *kočho* – направит. კოჩ-იშა *koč'ich'a*).

На основании сравнительного анализа данных картвельских языков выясняется, что исторически показателями трансформативного падежа в картв. языках служили два форманта *-a* и *-d*.

Из них в сванском используется только *d*, в древнегрузинском *-a*, *-d* и их комбинация *-a -d*; при основах с исходом на гласный *-d* (ძმა-დ *dzma-d*), при основах же с исходом на согласный, как *-d* (ბეთლემ-დ *Beč'lem-d*), так и *-a* (საბერძნეთ-ა *Saberdznet'-a*), оба пережиточно, обычно же — оба показателя вместе: *-a -d* (კატ-ა-დ *kač'-a-d*)...; в мингрельском *-d* видоизменилось в *t'* (ჯიმა-თ *djima-t'*), *-a* же представлен закономерным эквивалентом *-o* (კოჩ-ო *koč'ch-o*); таким образом, оба показателя используются отдельно; в чанском трансформативный падеж не получил развития.

С использованием эмфатического *-d* в грузинском получают показатели *-da* || *-t'a...* *-a-da* || *a-t'a*.

Ввиду того, что в картвельских языках, являющихся в основе агглютинативными, для каждого падежа используется только по одному форманту, наличие двух различных показателей с необходимостью ставит вопрос о принадлежности этих показателей двум лингвистическим слоям, прослеживаемым в картвельских языках и по другим морфологическим категориям.

Тот факт, что формант *d* является в сванском и грузинском языках или единственным или одним из основных показателей трансформативного падежа, свидетельствует о наличии в картвельских языках лингвистического слоя, генетически связанного с урауртским (халдским) языком, в котором даже наиболее осторожные в своих выводах ученые (как напр. И. Фридрих) устанавливают направительный падеж с показателем *-edi*, в каковом показателе специфическим можно признать *-d-*, исходя из общего понимания свойства этого показателя у И. Фридриха же.¹

Из живых кавказских языков те же показатели фигурируют в аварском языке в определенных видах локатива (*-da*, *-de*), но приходится отметить, что в аварском все локативы вторичного образования и не исключена возможность, что они являются послеложными падежами наподобие грузинского ქალაქა-მ-დე || ქალაქა-მ-დი *k'alak'a-m-de* || *k'alak'a-m-di* (-до города).

Вышеозначенная встреча урартского (халдского) и картвельских языков не в лексической, а в морфологической плоскости не нашла должной оценки в яфетидологической литературе ввиду ошибочного понимания² в ней природы картвельских языков, понимания, а priori исключавшего возможность признания в согласном (в данном случае – *-d*) форманта.

¹ Акад. Н. Марр, а вслед за ним акад. И. Мещанинов окончанием направительного падежа в халдском яз. считают *-di*.

² Такое понимание базируется на тезисе о родстве картвельских языков с семитическими, выставленном Н. Марром еще в 1888 г. и по сие время остающимся недоказанным.

HISTORICAL-COMPARATIVE STUDIES FROM THE KARTVELIAN LANGUAGES

I. FORMATION, SIGNIFICATION ET HISTOIRE DU CAS ALLATIF (DIRECTIF) DANS LA LANGUE GÉORGIENNE

(RESUMÉ)

Le cas allatif (directif), ainsi que le narratif n'ont de cas correspondants ni dans la langue russe, ni dans d'autres langues européennes.

Les termes, signifiant les autres cas de la langue géorgienne représentent la traduction exacte de la nomenclature traditionnelle, ainsi qu'elle a été constituée dans la grammaire latine.

Quant au cas allatif (directif), tant qu'il fût nécessaire d'établir un nouveau terme, la littérature de la grammaire géorgienne en donna quelques-uns, dont nous citons: modal, transformatif, passif, allatif (directif)...

Les fonctions de ce cas nous font supposer que le terme "transformatif" serait le plus exact.

L'emploi du terme "allatif" (directif), indiquant une des fonctions essentielles du cas dans l'ancien géorgien littéraire, soulève quelques difficultés, puisque la langue svane et le dialecte mégrélien de la langue zane possèdent le cas transformatif, ainsi que l'allatif (directif), ce dernier étant, au fond, tout différent du premier (mingr. კოჩ-ო *kočh-o* – transformatif, კოჩ-იჩა *kočh-icha* – allatif).

En nous basant sur l'analyse comparative des langues kartvéliennes, citées ci-dessous, nous voyons que les formants *-a* et *-d* avaient servi autrefois d'indices au cas transformatif.

La langue svane n'emploie que le formant *-d*, tandis que dans l'ancien géorgien on employait *a*, *d* et leur combinaison *a + d*; dans les thèmes avec une désinence vocale on n'employait que le formant *-d*, mais dans les désinences consonnes — les formants: *-d* et *-a* (ბეთლემ-დ *Bet'lem-d* — საბერძნეთ-ა *Saberdznet'-a*, — les deux étant les restes...), et l'emploi des deux indices à la fois: *-a + d* était le plus usité.

Dans le dialecte mégrélien *-d* change en *t'* (ჯიმა-თ *djima-t'*) l'indicateur *-a* est représenté par l'équivalent régulier *-o* (კოჩ-ო *kočh-o*); ainsi, on voit que les deux sont employés séparément; dans le dialecte tchane l'emploi du cas transformatif n'a pas eu de suite.

L'usage de l'a emphatique donne les indicateurs *-d (a) || -t' (a), -a + da || -a + t' (a)*.

Vu qu'on emploie un seul formant pour chaque cas dans les langues kartvéliennes qui sont essentiellement agglutinatives, l'existence de deux différents indices impose la nécessité d'analyser l'origine de ces indices, appartenant à deux couches linguistiques que nous avons étudiées dans les langues kartvéliennes, ainsi que dans d'autres catégories morphologiques.

Le fait que le formant *-d* représente le seul ou l'un des indicateurs essentiels de cas transformatif dans les langues svane et géorgienne témoigne assurément de l'existence d'une couche linguistique dans les langues kartvéliennes, d'une couche qui, dans son origine, tient à la langue ourarte ou chalde, dans laquelle les savants les plus circonspects dans leurs conclusions (par exemple, J. Friedrich) constatent le cas transformatif avec l'indice *-edi*.

Parmi les langues caucasiennes vivantes c'est dans celle d'Avare que figurent les mêmes indices dans quelques aspects du locatif (*-da*, *-de*), mais il faut noter que dans la langue d'Avare tous les locatifs sont d'une seconde formation et, il est possible qu'ils soient des cas postpositifs, pareils au სახლა-მ-დი *saxla-m-di* ("jusqu'à la maison") géorgien.

La recontre des langues kartvéliennes avec celle d'Ourarte, dont nous venons de parler, n'a pas été appréciée à sa juste valeur dans la littérature japhétidologique, ce qui est dû à sa fausse conception de la nature des langues kartvéliennes.

De là, l'impossibilité de reconnaître l'élément morphologique dans la consonne (en ce cas dans la consonne *-ლ*, *-d*).

II. პოტენციალის კატეგორია ქართველურ ენებში

1. პოტენციალისი ზმნის კატეგორიაა; იგი შესაძლებლობას გამოხატავს; რამდენადაც ეს კატეგორია გრამატიკულია, შესაძლებლობაზე აფიქსები მიუთითებენ.

ქართველური ენებიდან პოტენციალისს მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე აქვს მეგრულში. აქ ეს კატეგორია ვნებითი გვარის ზმნებით გადმოიცემა; სათანადო ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიცა და ორპირიანიც. პირველში აღნიშნულია განყენებულად აღებული შესაძლებლობა, მეორეში — შესაძლებლობა გარკვეულ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც ის მიეწერება.

პოტენციალისი ერთპირიანი ზმნაა:

1. ი-ჭარ-ე-(ნ) — შეიძლება (და)იწეროს, „იწერება“: „ამ ქალაღზე მელნით კარგად იწერება“
2. ი-თას-ე-(ნ) — შეიძლება (და)ითესოს, („ითესება“)...
3. ი-ნახვ-ე-(ნ) — შეიძლება ირეცხოს, ირეცხება სარეცხი: წვიმის წყალში სარეცხი კარგად ირეცხება...
4. ი-ჭოფ-ე-(ნ) — შეიძლება დაჭერილ იქნას...
5. ი-ყვილ-ე-(ნ) — შეიძლება მოიკლას...

პოტენციალისი ორპირიანი ზმნითაა გადმოცემული:

1. მ-ა-ჭარ-ე-(ნ) — მე შემეძლია ვწერო
გ-ა-ჭარ-ე-(ნ) — შენ შეგიძლია წერო
ა-ჭარ-ე-(ნ) — მას შეუძლია წეროს...
2. მ-ა-თას-ე-(ნ) — მე შემეძლია ვთესო
გ-ა-თას-ე-(ნ) — შენ შეგიძლია თესო
ა-თას-ე-(ნ) — მას შეუძლია თესოს...
3. მ-ა-ნახვ-ე-(ნ) — მე შემეძლია ვრეცხო (სარეცხი)
გ-ა-ნახვ-ე-(ნ) — შენ შეგიძლია რეცხო „
ა-ნახვ-ე-(ნ) — მას შეუძლია რეცხოს „

4. მ-ა-ჭოფ-ე-(ნ) — მე შემიძლია (და)ვიჭირო
გ-ა-ჭოფ-ე-(ნ) — შენ შეგიძლია (და)იჭირო
ა-ჭოფ-ე-(ნ) — მას შეუძლია (და)იჭიროს...
5. მ-ა-ყვილ-ე-(ნ) — მე შემიძლია ვკლა
გ-ა-ყვილ-ე-(ნ) — შენ შეგიძლია კლა
ა-ყვილ-ე-(ნ) — მას შეუძლია კლას...

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ერთპირიანი ზმნის პოტენციალის აწარმოებს **ი-**თავსართი და **-ე-** ბოლოსართი: **ი- -ე-**; ორპირიანი ზმნებისას კი — **ა-**თავსართი და **-ე-** ბოლოსართი: **ა- — -ე-**.

ერთიაც და მეორეც ვნებითი გვარისაა, მაგრამ მეგრულს პოტენციალისის შინაარს-მოკლებული ვნებითიც გააჩნია; ამ უკანასკნელს იგივე თავსართი აწარმოებს, რაც პოტენციალისში გვაქვს, ოღონდ ბოლოსართია სხვა (**-უ**). ამგვარად, სათანადო ვნებითების ფორმულაა მეგრულში: **ი — -უ; ა — -უ-**:

1. ი-თას-ე-(ნ) — შეიძლება დაითესოს...
ა-თას-ე-ნ — შეუძლია თესოს.
ი-თას-უ-უ-(ნ) — ითესება...
ა-თას-უ-უ-(ნ) — ეთესება, მისთვის ითესება.
2. ი-ნახვ-ე-(ნ) — შეიძლება (გა)ირეცხოს სარეცხი...
ა-ნახვ-ე-(ნ) — შეუძლია რეცხოს სარეცხი...
ი-ნახ-უ-უ-(ნ) — ირეცხება...
ა-ნახ-უ-უ-(ნ) — ერეცხება, ირეცხება სარეცხი (მისი ან მისთვის).

ჭანურს კილოში, რომელიც მეგრულ კილოსთან ძალიან ახლოს დგას, პოტენციალისს არა აქვს საკუთარი წარმოება, განსხვავებული ჩვეულებრივი ვნებითისაგან. პოტენციალისის მნიშვნელობით ეს ვნებითი გამოდის: ი-ჭარ-ე-ნ- — შეიძლება იწეროს (და: — იწერება)... ი-თას-ე-ნ — შეიძლება ითესოს (და: ითესება)... ა-ჭარ-ე-ნ — მას შეუძლია წეროს... ა-თას-ე-ნ — მას შეუძლია თესოს... აქ მეორდება მეგრული პოტენციალისის ფორმები უცვლელად. ერთად ერთი ფონეტიკური განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბოლოკიდური **-ნ**, მესამე პირის სუბიექტს რომ აღნიშნავს, ჭანურში ყოველთვის ითქმის, მეგრულში კი დაჩრდილულია და მხოლოდ ხმოვნის წინ აღდგება. სპეციფიკური სავნებითო წარმოება ჭანურში იშვიათია,¹ ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით დადასტურებულია მხოლოდ ცალკეული შემთხვევები.

¹ ეს ცალკეული შემთხვევები, ჭანურ ტექსტებში რომ გვხვდება, საკითხს დადებითად ვერ გადაგვაწყვეტინებს.

ამგვარად, ის წარმოება, რომელსაც მეგრულში პოტენციალისის მნიშვნელობა აქვს, ჭანურში პოტენციალისის ფუნქციებსაც ატარებს და ჩვეულებრივი ვნებითისას. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მეგრულშიაც ერთს წარმოებაში უნდა ყოფილიყო შეთავსებული ჩვეულებრივი ვნებითიცა და პოტენციალისიც; ამ წარმოების ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო პოტენციალისი; ჩვეულებრივი ვნებითი კი (ი — -უ-, ა — -უ-) დიფერენციაციის გზით შემდეგ უნდა მიგვეღო.

2. როგორია მდგომარეობა ქართულში? თუ ჩვენი ზემოაღნიშნული მოსაზრებები სწორია, ქართულის სათანადო წარმოებაში უნდა მოველოდეთ პოტენციალისის კვალს. საერთოდ, პოტენციალისის კატეგორია ქართულში აპრიორი მოსალოდნელია, რადგანაც არ არის არც ერთი სხვა ისეთი გრამატიკული კატეგორია, რომ ქართულს ჰქონდეს და მეგრულსა და ჭანურს — არა ანდა პირიკუთხედში. ქართულის დამახასიათებელი გრამატიკული კატეგორიები საერთოა მეგრულსა და ჭანურისათვის, აგრეთვე სვანურისათვის. ამიტომაც ე ნ ო ბ რ ი ვ ი ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა ყ ვ ე ლ ა ა მ ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ა ს ე რ ი თ და ი გ ი ვ ე ა ქ ვ ს.

რა წარმოება შეეფერება მეგრ. და ჭანურ პოტენციალისის ქართულში? ი — ი- ერთპირიანი ზმნებისათვის და ე — -ი- ორპირიანი ზმნებისათვის. ამ მაწარმოებელთაგან სუფიქსი -ი ახალ ქართულში შემონახულია მეორესა და პირველ პირში, მესამე პირში კი მის ადგილს -ა იჭერს.

მდრ. ძვ. ქართ.

- ვ-ი-წერებ-ი
- ი-წერებ-ი
- ი-წერებ-ი-ს

ახ. ქართ.

- ვ-ე-წერებ-ი
- ე-წერებ-ი
- ე-წერებ-ი-ს

- ვ-ი-წერებ-ი
- ი-წერებ-ი
- ი-წერებ-ა

- ვ-ე-წერებ-ი
- ე-წერებ-ი
- ე-წერებ-ა

არის თუ არა რაიმე ნიშან-წყალი პოტენციალისის ამ წარმოებასთან დაკავშირებული? არის და არც თუ იშვიათად, ოღონდ პოტენციალისი ნათლად არ იგრძნობა, შედარებით უფრო იშვიათია უდაო პოტენციალისის მაგალითები, მაგრამ ასეთი ლიტერატურულს ძეგლებშიაც დასტურდება და სასაუბრო ენაშიც.

„ქალი ვინმე გაკითხავსო, ი ნ ა ხ ვ ი ს მ ც ა ამირბარი“ (ვეფხისტყაოსანი, ტაეპი 339, ს. კაკაბაძის I გამოც.). „ინახვის(მ)ცა ამირბარი“ ნიშნავს — შეიძლება თუ არა ამირბარის ნახვა. „ინახვის“ უდაო პოტენციალისია.

„ამ ფიფქს თოვლში სანადიროდ საით გა ი ს ვ ლ ე ბ ი ს“ (ალ. ყაზბეგი „ხევის ბერი გოჩა“ ტფილ. სახელგამი, 1935, გვ. 30): „გაისვლები“ — შე ი ძ ლ ე ბ ა გა ვ ი დ ე ს კ ა ც ი .

„ჩვენში ყველაფერი ი შ ო ვ ე ბ ა ო“: „ყველაფერი ი შ ო ვ ე ბ ა“ = „ყველაფერი შეიძლება ვიშოვოთ“.

ანდაზებსა და ანდაზურს თქმებშიაც ვიპოვით მსგავს მაგალითებს:

„მისი ავლა-დიდებაო კურდღელს ა ე კ ი დ ე ბ ა ო“: ა ე კ ი დ ე ბ ა — შეიძლება აეკიდოს.

„ზღვაც და ილევა კოვზითა: და ილევა აქ ნიშნავს: შეიძლება დაილიოს.

„კარგი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად „გ ა ი დ ე ბ ა ო“: გ ა ი დ ე ბ ა = შეიძლება გაიდოს.

„ხანდაზმულ კაცს სიზმარიც „და ე ჯ ე რ ე ბ ა ო“: შეიძლება დაეჯეროს...

ყველა ეს მაგალითი თანაბრად როდი აღნიშნავს შესაძლებლობას: „აეკიდება“ („მისი ავლა-დიდებაო კურდღელს აეკიდებაო“) უთუო პოტენციალისია, მაგრამ „იშოვება“ (ყველაფერი იშოვება“) ფაქტსაც შეიძლება აღნიშნავდეს და მაშინ მის პოტენციალისობა ერთბაშად განელდება; ჩვეულებრივად კი ეს სიტყვა შესაძლებლობაზე მიუთითებს: „იშოვება“ + **МОЖНО ДОСТАТЬ...** ფაქტის აღნიშვნის უნარი კიდევ უფრო მეტი აქვს ზმნას: „გაიდება“ (კარგი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდება“), თუ ამ გამოთქმას გავიგებთ ამგვარად: პურ-მარილს ხიდად სდებენ, პურ-მარილი ხიდად გვევლინება ხოლმე... ამგვარი გაგება ჩვენს გამოთქმაში შესაძლებელი კია, მაგრამ აუცილებელი არაა. მეორე მაგალითში — „ხე ნაყოფივით იცნობება“ — „იცნობება“ უფრო ვნებიითა, ვინემ პოტენციალისი: იცნობება — **ПОЗНАЕТСЯ** უფროა, ვინემ **МОЖНО ПОЗНАТЬ...**

„ადვილად ითქმის“... „ეს წყალი და ილევა“... „ეს ძეხვი იჭმება“... „ავადმყოფს ფაფა ეჭმება“ და მსგავსი გამოთქმები ყოველდღიურს მეტყველებაში უეჭველ პოტენციალისს წარმოადგენენ.

და მაინც პოტენციალისი საძებარია დადებითი შინაარსის გამოთქმებში, უარყოფითში კი ის საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაა: ქართული განსხვავებს ორგვარ უარყოფას; ერთი აღინიშნება „არ“-ნაწილაკით, მეორე კი „ვერ“-ნაწილაკით; **არ** წერს — **ვერ** წერს... **არ** აკეთებს **ვერ** აკეთებს... **არ** მიყავს — **ვერ** მიყავს... **არ** ამზადებს — **ვერ** ამზადებს...

„არ“-ნაწილაკი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მოქმედება არ სრულდებოდეს იმის გამო, რომ მოქმედს ეს არ უნდა; ამას დეტალური გარკვევა სჭირია; ჩვენ ამას აქ არ გამოვუდგებით. ამჟამად „ვერ“-ნაწილაკი გვაინტერესებს. მისი მნიშვნელობა ნათელია: „ვერ წერს“ — არ შეუძლია წერა... „ვერ აკეთებს“ — არ შეუძლია კეთება... „ვერ მიყავს“ — არ შეუძლია წაყვანა...

ერთი სიტყვით, **ვერ**-ნაწილაკი გამოხატავს უარყოფას შესაძლებლობის გამო.

არც მეგრულსა და არც ჭანურში უარყოფითი ნაწილაკების ასეთი განსხვავება არ ჩანს. უარყოფითი ნაწილაკი იქ ერთია: **ვარ** (|| **ვა**); მნიშ-

ვნელობით ის უდრის ქართულ ქართულ არ-ს. შეუძლებლობის გადმოსაცემად მეგრული და ჭანური იყენებს პოტენციალის დადებით ფორმებს და უმატებს ვა(რ)-ნაწილას. შევადაროთ ქართული და მეგრ. უარყოფითი ფორმები:

მეგრული¹	ქართული
ვა ჭარუნს... ვა აკეთენს	არ წერს... არ აკეთებს...
ვა აჭარე(ნ)... ვა აკეთინე(ნ)	ვერ წერს... ვერ აკეთებს...

მეგრულში უცვლელად დარჩა უარყოფითი ნაწილაკი (ვა), იცვალა ზმნა; ქართულში უცვლელად დარჩა ზმნა (წერს... აკეთებს...), იცვალა უარყოფითი ნაწილაკი (არ — ვერ). მეგრულში პოტენციალისი ზმნამ აღნიშნა, ქართულში — ნაწილაკმა. კატეგორია პოტენციალისისა იქაც არის და აქაც. **ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სხვაობა არ არის: შესაძლებლობის კატეგორიას ქართულიც არჩევს და მეგრულიც; მეგრული — ზმნის უღვლილების სპეციფიკური ფორმებით, ქართული — სპეციფიკური უარყოფითი ნაწილაკით.** საშუალებები სხვადასხვაა, მიზან-დანისუნულება — ერთი და იგივე.

3. მეგრული და ჭანური უარყოფით ნაწილაკებს, როგორც ვნახეთ, არ ასხვავებს, რადგანაც საჭირო განსხვავება ზმნაშია მოცემული. ამის მიხედვით ქართულისათვის ვნებითი გვარის ზმნებთან არ- უარყოფითი ნაწილაკია ხშირად იქ გამოყენებული, სადაც ვერ-ნაწილაკი იყო მოსალოდნელი. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ზ მ ნ ა შ ი ი გ რ ძ ნ ბ ა პ ო ტ ე ნ - ც ი ა ლ ი ს ი (მსგავსად მეგრულისა)...

ავადმყოფს ცხარე საჭმელი არ ეჭმევს... ღვინო არ დაეღვევა (ეს მ ე ბ ა)... მას საყვედური არ ეთქმის... ეს წყალი არ დაიღვევა... ეს ხორცი არ იჭმება... მისი საყვედური არ ითქმის — ამგვარს ზმნებთან, როგორც უკვე ზევითაც აღვნიშნეთ, პოტენციალისი დადებითს გამოთქმებშიაც არ-ნაწილაკი იქნა გამოყენებული და არა ვერ. ეს უკანასკნელი ისევე არ იყო აქ საჭირო, როგორც მეგრულსა და ჭანურში.

ამავე ნიშნის მიხედვით ასეთივე დასკვნა უნდა გავაკეთოთ მსგავსი მაგალითების შესახებ. ჩვენ განზრახ მივმართავთ ისევ ანდაზებსა და ანდაზური ხასიათის თქმებს.

„ცალი ხელითა ტაში არ დაიკვრისო“² (ე. ი. არ შეიძლება დაიკრას)...

¹ ჭანურშიაც ასეთივე მდგომარეობაა. სიმარტივისათვის მხოლოდ მეგრულზე მივუთითებთ.

² ეს და წინათ ნაჩვენები ანდაზები ამოღებულია ლ. მეტრეველის „ანდაზებიდან“ (გამოც. მეორე, ტფილ. 1936 წ.).

„ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო“ (ე. ი. არ შეიძლება მოიხარშოს)...

„ერთი მხრიდან ძელი არ გაითლებაო“ (ე. ი. არ შეიძლება გაითალოს)...

„ერთი წლის ბერწობითა ფური არ დაიკვლებაო“...

„თევზი წყალში არ დაფასდებაო“...

„თივასთან ცეცხლი არ მიიტანებაო“...

„ბატის პატრონს ქათამი არ დაეჭირებაო“...

„ცხვირი პირიდან არ მოიჭრებაო“...

„ორმოში დამპალი თოკით არ ჩაისვლებაო“...

„ნაჩუქარს ცხენსა კბილი არ გაესინჯებაო“...

„ტირილითა და გლოვითა მტერი არ შეიშინების“...

„შუბი ხალთაში არ დაიმალებაო“...

„შენი ჭირიმეთი შვილი არ გაიზრდებაო“...

ამგვარი მაგალითების მოყვანა კიდევ ბლომად შეიძლებოდა სალიტერატურო თუ სამეცნიერო მეტყველებიდან. ჩვენი მიზნისათვის ესეც კმარა.

პოტენციალის კატეგორიის არსებობა ქართულში დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ: **ვერ-** ნაწილაკის **ხმარება მოქმედებითი გვარის ზმნებთან ამ კატეგორიის გამონატვის საჭირობას მოწმობას** (ვერ წერს, ვერ აკეთებს, ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...); **არ-** ნაწილაკის **ხმარება ვნებითი გვარის ზმნებთან** (და ვერ- ნაწილაკისთვის გვერდის ავლა) **ამ ზმნების პოტენციალისობას ამჟღავნებს**, ე. ი. **ისევე პოტენციალისის კატეგორიის არსებობას ცხადყოფს** (არ ჩაისვლება, არ მიიტანება, არ დაიკვრის...).

4. როგორი მდგომარეობა გვაქვს სვანურში? სვანური ამ შემთხვევაში — და ასეთი შემთხვევა არც თუ მცირეა — ქართულს მიყვება, მერგულსა და ჭანურს შორდება. ქართველურ ენათა შორის სვანური ყველაზე მდიდარია უარყოფითი ნაწილაკებით. ამ დოვლათში საკმაო ოდენობით შემოდის სხვა კავკასიური ენების (აბხაზურ-ადიღეური ჯგუფის ენების) მასალაც. ჩვენს შემთხვევაში საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ სვანური განასხვავებს „არ“ და „ვერ“ ნაწილაკებს, და პოტენციალისის უარყოფითს გამოთქმებში ისევე აღნიშნავს, როგორც ქართული. ვნებითი გვარის ზმნებთანაც **ვერ-** უარყოფითი ნაწილაკის არ ხმარება და მის ნაცვლად **არ-** ნაწილაკის ხმარება ქართულის ზემოხსენებულ მოვლენებს მოგვაგონებს. ერთი სიტყვით, **სვანურისთვის პოტენციალისის კატეგორია ისევე რეალურია, როგორც ქართულისათვის და იგი სვანურში იმგვარივე საშუალებით გადმოიცემა, როგორც ქართულში.** ორიოდე მაგალითი: „მარა

როქე თხუმ დეშ ხემშადალ იჯა მერმა ხემშადალ“ — კაცი თავს ვერ შევლისო და სხვას შევლისო (ანდაზა)... ალ. ჭყინტგლდას დეშმა ოლგონვედ!“ — ამ ჭყინტგლდას ვერაფერი (ზუსტად: „ვერა“) მოვუხერხეთ (მოვუგონეთ)... „საბლუ ბოფშარ, ლეჟრი ბოფშარ! დეშ ჯიბაყახ აბჯრშიმ ჩიჩხილდ“ — საბრალო ბავშვები, საცოდავი ბავშვები! ვერ გაგიგიათ აბჯრის ჩხარუნი!.. **დეშ** — ქართ. **ვერ**; **დეშმა** — ვერ(რ)ა.

ქართულის მსგავსად სვანური ხმარობს: ალა ომი, ითუნი — ეს იჭმება, ისმება... **მამ** ომი, ითუნი — არ იჭმება, ისმება... **მამ** (არა) და არა **დეშ** (ვერა)!

5. მეგრულსა და ჭანურში პოტენციალისი ვნებითი გვარის ზმნებში გადმოიცემა; ქართულშიაც ვნებითი გვარის ზმნებში ვპოულობთ ამ კატეგორიას, როცა იგი მოცემულია ზმნაში. ამგვარად, თავსართი **-ი-** საზიაროა პოტენციალისისა და ვნებითი გვარისათვის. ეგევე **-ი-** გააჩნია სასუბიექტო ქცევასა და რეფლექსიურ ზმნებს. ამგვარად, ქართული უღვლილების ისტორიის თვალსაზრისით ვნებითობის, პოტენციალისისა და (სასუბიექტო) ქცევის ურთიერთობა მრავალმხრივ საინტერესოა. ეს საკითხი სპეციალურ განხილვას საჭიროებს.

დასასრულ ერთი შენიშვნა. ქართულ ზმნასთან „იცის“ ყოველთვის **არ-** ნაწილაკი იხმარება, „ვერ“- ნაწილაკი მას არ ეგუება: არ ვიცი, არ იცი, არ იცის¹... იმიტომ ხომ არა, რომ ეს ზმნა აგებულებით ვნებითია (**ი-** პრეფიქსი, იც-**ო-**დ-ა — ნამყო უსრულში) და პოტენციალისის მნიშვნელობა მისთვის უცხო არაა?!

¹ აღმოსავლეთ საქართველოში „ვერ ვიცი“-ც იხმარება, მაგრამ ქართული ენის ისტორია ამას მხარს არ უჭერს.

II. К КАТЕГОРИИ ВОЗМОЖНОСТИ (ПОТЕНЦИАЛИСА) В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

(РЕЗЮМЕ)

Категория возможности (потенциалис) характерна для всех картвельских языков, но выражена она различными средствами; а именно: в сванском и грузинском языках — синтаксически при отрицательных формах глагола посредством употребления специальной частицы ვერ *ver* (груз.), დემ *dech* (сван.), обозначающих отрицание из-за невозможности: груз. ვერ წერს *ver tsers* "не может писать", ვერ აკეთებს *ver aket'eb's* "не в состоянии делать"..., сван. დემ ადრი *dech äjri* დემ იჩო *dech it'cho* (значение тоже).

Эти частицы употребляются в грузинском и сванском языках преимущественно при глаголах действительного и среднего залогов.

В мингрельском и чанском диалектах занского не имеется отрицательной частицы, соответствующей груз. ვერ *ver* и сван. დემ *dech* и категория возможности выражается в глаголе при помощи аффиксов $o-g$ $i-e$ $a-g$ $a-e$ (в настоящ. времени): ი-ჭარ-ე-ბ *i-tchar-e-n* "можно писать", ა-ჭარ-ე-ბ *a-tchar-e-n* "он в состоянии писать", "ему можно писать"; ი-ჭვ-ე-ბ *i-tchv-e-n* "можно жечь", ა-ჭვ-ე-ბ *a-tchv-e-n* "он может жечь".

Первое образование $o-g$ $i-e$ представляет одноличный глагол, безотносительную форму; второе же $a-g$ $a-e$ — двуличный глагол, относительную форму.

Оба образования — страдательного залога, причем в чанском диалекте за немногими исключениями эти же формы служат обычными формами страдательного залога (ი-ჭარ-ე-ბ *i-tchar-e-n* "можно писать, пишется"), тогда как в мингрельском, как правило, обычный страдательный залог образуется с тем же префиксом, но при помощи другого суффикса (ი-ჭარ-ე-ბ *i-tchar-e-n* "можно писать", ი-ჭარ-უ-ბ *i-tchar-u-n* "пишется").

Для обозначения невозможности в мингрельском и чанском диалектах занского языка используется обычное отрицание ვა ← ვარ *va* ← *var* = груз. არ *ar*: ვა ა-ჭარ-ე-ბ *va a-tchar-e-n* "он не может писать", ვა ჭარუნს *va tcharuns* — "не пишет".

Часто при глаголах страдательного залога в грузинском языке исполь-

зается частица არ ar в случаях, где по смыслу фразы можно было ждать употребления частицы ვერ ver; ясно, что в этих случаях страдательный залог имеет значение потенциалиса: არ იტქმის ar it'k'mis "нельзя сказать", არ იჭმება ar it'chmeba "нельзя есть", ავადმყოფს არ ეჭმევა avadmqof's ar et'chmeva "больному нельзя есть", ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის t'sali xeli't tachi ar daikvris "одной рукой нельзя апплодировать (рукоплескать)".

Это же можно сказать относительно сванского языка. Таким образом, страдательному залогу ი — ი ი — ი, ე — ი ე — ი в грузинском и сванском языках искони не было чуждо значение потенциалиса.

II. A PROPOS DE LA CATÉGORIE DE LA POSSIBILITÉ (DU POTENTIEL) DANS LES LANGUES KARTVÉLIENNES

(RÉSUMÉ)

La catégorie de la possibilité (du potentiel) est propre à toutes les langues kartvéliennes, exprimée seulement par des moyens différents; par exemple, dans les langues svane et géorgienne, les formes négatives du verbe s'expriment par l'emploi de la particule ვერ — ver (géorg.), et დემ dech (svane).

Les deux particules signifient la négation "à cause de l'impossibilité" de faire ceci ou cela: géorg. ვერ წერს ver tsers "ne peut écrire", ვერ აკეთებს ver აჭეჭებს "n'est pas en état de faire"..., svane დემ ადრი, დემ იხო dech äiri, dech it'cho (même signification).

Ces particules s'emploient dans les langues géorgienne et svane surtout devant les verbes actifs et neutres.

Dans les dialectes mégrélien et tchane de la langue zane, in n'existe pas de particules négatives, correspondant au ვერ ver géorgien et au დემ dech svane.

La catégorie du potentiel est exprimée dans les verbes à l'aide des affixes ი-ე i-e ა-ე a-e (au présent): იჭარენ — ičharen "on peut écrire", აჭარენ ačharen "il est en état d'écrire", "il peut écrire"; იჭვენ ičhven "on peut brûler", აჭვენ ačhven "il peut brûler". La première formation ი — ე i — e représente la verbe unipersonnel, forme absolue.

La seconde formation représente le verbe bipersonnel, forme relative.

Les deux formations sont à la voix passive, pourtant ces même formes expriment également le passif usuel dans le dialecte tchane, à quelques exceptions près: იჭარენ ičharen "on peut écrire", "cela s'écrit", alors, comme dans le dialecte mégrélien, la règle veut que le passif usuel se forme avec le même préfixe, mais à l'aide d'un autre suffixe: იჭარენ ičharen "on peut écrire", იჭარუნ ičharun "cela s'écrit".

Pour exprimer l'impossibilité dans les dialectes mégrélien et tchane de la langue zane, on emploie la négation usuelle ვა ← ვარ va ← var; géorg. არ ar: ვა აჭარენ va ačharen "il ne peut écrire", ვა ჭარუნს va čharuns "il n'écrit pas".

Très souvent la particule "არ ar" est employée auprès des verbes passifs de la langue géorgienne dans les cas où, d'après le sens de la phrase, on aurait pu admettre l'emploi de ვერ ver, il est clair que dans les cas cités la voix passive exprime le potentiel: არ იტქმის ar iṭ'k'mis "on ne peut dire", არ იჭმევა ar iṭchmeva "on ne peut manger", ავადმყოფს არ ეჭმევა avadmqoფs ar eṭchmeva "le malade ne peut manger", ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის t'sali xeliṭ' ṭachi ar daikvris "on ne peut applaudir d'une seul main".

Ce que nous venons de dire se rapporte également à la langue svane.

Ainsi l'idée du potentiel était anciennement rattachée au passif des langues géorgienne et svane.

III. წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში

ახალ ქართულში ამ პრევერბს წა-ს სახე აქვს, წა-ვიდა, წა-იყვანა, წა-იქცა, წა-აწერა, წა-უმატა... აქა-იქ შემონახულია წარ-, ჩვეულებრივად ნაზმნარ სახელებში წარ-დგენა, წარ-ჩინება, წარ-მატება, წარ-წერა... წარ-დგენილი, წარ-ჩინებული, წარ-წერილი... ზმნა „წარ-ადგენს“, „წარ-ადგინა“ ისევე ჩვეულებრივია, როგორც „წარ-დგენა“, „წარ-დგენილი“... მაგრამ „წარ-აჩინა“, „წარ-უმატა“, „წარ-უწერა“ აღარ იხმარება. ახალს ქართულში წარ- ნარჩენია ძველი ქართულის ნორმებისა: ძვ. ქართულში წარ- იხმარებოდა მხოლოდ — წარ-ვიდა, წარ-ავლინა, წარ-სცა, წარ-ტყუენა და სხვ. საერთო წესის თანახმად ეს პრევერბი ზმნასთანაც იხმარებოდა და ნაზმნარი სახელების წინაც...

რას ნიშნავს ეს პრევერბი ქართულში?

პრევერბებს, როგორც ცნობილია, შეაქვთ ცვლილება ზმნის მნიშვნელობაში. ეს ცვლილება სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, თუ როგორია ზმნის მნიშვნელობა: 1. პრევერბი აღნიშნავს მიმართულებას, თუ ზმნის ფუძე ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას აღნიშნავს ანდა გულისხმობს, შე-დის, შე-აქვს... ა-დის, ა-აქვს... გა-დის, გა-აქვს... მი-დის, მი-აქვს... მო-დის, მო-აქვს... 2. პრევერბები აღნიშნავს ზმნაში ნაჩვენები მოქმედების დამთავრებას: კერა — შე-კერა, აკეთა — გა-აკეთა, თხარა — გა-თხარა, თესა — და-თესა... 3. პრევერბი აწარმოებს დროს, სახელდობრ, აწმყოსაგან მყოფადს: კერავს — შე-კერავს... აკეთებს — გა-აკეთებს, თესავს — და-თესავს, თხრის — გა-თხრის... 4. პრევერბს შეუძლია არსებითად ცვალოს ზმნის მნიშვნელობა: სახლი ა - ა გ ო , ხალიჩა და- ა გ ო , ფული წა- ა გ ო... თავი შე- ყ ო , ქონება გა- ყ ო , ხელი მი-ყ ო ...

საფიქრებელია, რომ ამ მნიშვნელობათაგან პირველადია **მიმართულებითის აღნიშვნა**; მოქმედებითის დამთავრების (სრული ასპექტის) აღნიშვნა შემდეგ განვითარებული ჩანს ამ პირველადი მნიშვნელობისაგან: და-არტყა, და-კლა, გა-ათავა, ჩა-ალბო და მაგგვარებში მეტ-ნაკლებად კიდევ იგრძნობა სივრცითი დახასიათება, ნიშანდობლივი პირველი მნიშვნელობისათვის. რაც შეეხება დროის აღნიშვნას, ეს ფუნქცია, ასე ვთქვათ, ჩვენ თვალწინ განვითარდა: ძვ. ქართულში პრევერბიანი აწმყო ჩვეულებრივად მყოფადს არა ქმნის (თუმცა ამის ჩანასახი უკვე არის) — მყოფა-

დის როლში იქ კავშირებითი გამოდის. ზმნის მნიშვნელობის ცვლა — უკანასკნელი ფუნქცია — ძველისძველი ჩანს, მაგრამ ეს შედარებით იშვიათია, და მას ისეთი ზოგადი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც პირველ სამს.

წა- პრევერბის მნიშვნელობას ისევე, როგორც სხვა პრევერბებისას, მიმართულებითის აღნიშვნაში ხედავენ.

აკად. ნ. მარი აღნიშნავს: „წარ- (вулгь. წა-) — наружу, вдаль, прочь, от — (იხ. Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленингр. 1925, გვ. 165).

პროფ. ა. შანიძე ასეთ განმარტებას იძლევა: „წა- აღნიშნავს მოძრაობას პირველი პირისაგან (მომთხრობისაგან) დამაშორებელს, წამო — კი, პირიქით, მოძრაობას პირველი პირის (მომთხრობის) დამახლოებელს; მაგალითები: ა) წა-ვიდა, წა-იყვანა, წა-ითამაშა და მისთ.; ბ) წამო-ვიდა, წამო-იყვანა, წამო-ითამაშა და მისთ.“ (იხ. ქართული გრამატიკა: I. მორფოლოგია, ტფილ. 1930, გვ. 74).

ასეთ ვაგებას ერთი დაბრკოლება ელოდება წინ: წა- თუ აღნიშნავს მოძრაობას იქით, მოძრაობას, მომთხრობისაგან დამაშორებელს, წამო- უნდა ნიშნავდეს მოძრაობას იქით და აქეთ; წა-ვიდა (იქით), წამოვიდა (იქით და აქეთ)! ნამდვილად კი პროფ. ა. შანიძის სიტყვით წამო-ვიდა აღნიშნავს „მოძრაობას პირველი პირის (მომთხრობის) დამახლოებელს“... ამგვარად, წა-მო- პრევერბის ფაქტიურ მნიშვნელობას არ ეგუება წა- პრევერბის განმარტება პროფ. ა. შანიძისა. ეგევე ითქმის აკად. ნ. მარის განმარტების შესახებაც, რამდენადც ისიც მომთხრობისგან დამაშორებას თვლის წა- პრევერბის მნიშვნელობისათვის არსებითად. წამო- პრევერბის მნიშვნელობა მაშინ გაუგებარი გამოდის.

ხომ არ შეიძლებოდა ეს დაბრკოლება თავიდან აგვეშორებინა მი-მო- პრევერბზე მითითებით: მი- აღნიშნავს მოძრაობას იქეთ, მო- პირუკუ, მოძრაობას აქეთ; ორივე ერთად (მი-მო-) — მოძრაობას იქითაც და აქეთაც: მი-მო-სვლა, მი-მო-ქცევა... მი-მო-მიდოდა, მი-მო-იქცეოდა... მაგრამ ეს პრევერბი გულისხმობს განმეორებითს ანდა უწყვეტს, განგრძობითს, დაუმთავრებელ მოძრაობა-მოქმედებას; ამისდა კვალად ბუნებრივია მასდარის გარდა ნამყო უსრული (უწყვეტი): მი-მო-ვიდოდა, მი-მო-იქცეოდა... მაგრამ სრულებით შეუძლებელია — „მი-მო-იქცა“, „მი-მო-ვიდა“..., რომელიც ერთგზის, დამთავრებულს მოქმედებას აღნიშნავდეს... წამოიყვანა, წამოილო, წამოიწია, წამოისროლა... და მაგვარები მშვენივრად ეგუება ერთგზისი, დამთავრებული მოქმედების აღნიშვნას; ეს — ერთი. მეორეცაა და, არავითარი ორკეცი მოძრაობა — მომთხრობისაგან — იქეთ, და შემდეგ, მომთხრობისაკენ — აქეთ, წამო- პრევერბის ხმარებისას არა ჩანს, მი-მო- პრევერბის ხმარებისას კი ეს თვალში გვეცემა.

მართალია, წა- პრევერბის ხმარებისას (წა-ვიდა, წა-ილო, წა-იყვანა...)

იგულისხმება „იქით“ მოძრაობა, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით ეს პრევერბი **მი-** პრევერბის დუბლიკატი არ უნდა იყოს.

მაშ, რა უნდა იყოს ამ პრევერბის მნიშვნელობა? ერთგვარი გარკვეულობა შეაქვს სხვა ქართველურ ენებთან შედარებას.

სვანურის ჩვენება არ გამოგვადგება: პრევერბთა უმეტესობა სვანურში სულ სხვა მასალისა ჩანს, ვინემ ქართულში. კერძოდ, **წა-**ს მნიშვნელობისათვის იქ ვერაფერს ვიპოვით.

მეგრულში აქა-იქ იხმარება **წა-** პრევერბი: **წართუ** — წახდა, **წაყონუ** — გააფუჭა... მაგრამ ასეთი მასალის მიხედვით კიდევ უფრო ნაკლებ შეიძლება რაიმე დასკვნის გაკეთება, ვინემ ქართულში. სამაგიეროდ, საგულისხმო ჩვენებას იძლევა ის შემთხვევები, სადაც ქართული **წა-**ს შესაბამისად რთული პრევერბია ნახმარი.

1. **წა-**ვიდა — მეგრ. **მი-და-**რთუ (ჭან. **მე-ნ-და-**ხთუ).

2. **წა-**იყვანა — მეგრ. **მი-დე-**ყონუ (← მი-და-იყონუ) (ჭან. **მე-ნ-დე-**იყონუ ან: მენ-დ-ი-ჟონუ).

3. **წა-**ართვა — მეგრ. **მი-დ-**ჟღუ (← მი-და-ჟღუ), (ჭან. **მე-ნ-დ-**ჟღუ). ამ შემთხვევაში მეგრული და ჰანური იყენებს იმავე ფუძეს, რასაც ძვ. ქართული ხმარობდა: „წარ-ჟღო“ ძვ. ქართ. „წართვა“-ს ნიშნავდა...

4. წარ-ავლინა (ძვ. ქართ.) — მეგრ. **მი-და-**აჩქუ (ჭან. მე-ნ-დ-ოჩქუ)... ყველა ამ შემთხვევაში ქართული **წა(რ)-** პრევერბის ადგილს მეგრულში **მი-და** იჭერს, რთული პრევერბი; ასევეა ჰანურში, ოღონდ აქ **დ-**ს წინ ფონეტიკური მეტნორცი **-ნ-** ჩანს. **და-** პრევერბის **-ა-** მომდევნო ხმოვნის ზეგავლენით იჩრდილება მეგრულშიც და ჰანურშიც, — ამ უკანასკნელში უფრო მეტად.

ამ რთული პრევერბის პირველი ნაწილი ქართული **მი-** არის, მეორე — **და;** **მი-** პრევერბი ქართულში აღნიშნავს მოძრაობას **-იქით, -და-** — მოძრაობას ძირს, ქვევითკენ. მაშასადამე, მეგრულს ზმნებში **წა-** პრევერბი გაგებულობა, როგორც მოძრაობის მაჩვენებელი — **იქით¹ — ქვევით, ძირს,** მეგრულმა უფრო ახლოს მდგომი პრევერბები ვერ იპოვა... **წა-**ს მნიშვნელობის გადმოსაცემად.

„ქვევით, ძირს“ წა- პრევერბის მნიშვნელობისათვის შემთხვევითი არაა. ამას მოწმობს ჰანური. ამ უკანასკნელში **წა-** პრევერბი საკმაოდ ხშირია და მისი მნიშვნელობაც მრავალს შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს: „ძირს“, „ქვევით“ აქ ნათლად ჩანს. ნიმუშები:

¹ „იქით“ არ ნიშნავს უთუოდ მომთხრობისაგან დაშორებას: შეიძლება სხვა პუნქტიდან დაიწყოს მოძრაობა. დართული მეორე პრევერბი გვაჩვენებს, საითკენ იქნება მოძრაობა მიმართული.

ჭანური:	მეგრული:	ქართული:
...თუღე ჯა ეწუძინ	თუღო ჯა ეთუძუ(ნ)	ქვემ ხე უღეღს
...ბერე სერენდიში	ბალანა ნანიაში კიბეს	ბავშვი სასიმინდის კი-
ფსკალას გეხეტუ დო	გილახედუ დო გეგი-	ბეზე იჯდა და (ძირს)
გეწუკაპუ	ლასხაპუ	ჩამოხტა
...თუღე სარლა ეწე-	თუღო ნისორს ქეთუღ-	ქვემ გობს შევუღგამ
ბუღგამ	გუნქ	
...წკაი თუღე ქეწუსქი-	თუღო წყარი ქეთუსქი-	ქვემ წყალი შერჩება
ღუნ	ღუ(ნ)	
...ფუჯის ეწურჩამან	ჩხუს თუღო ეთურჩა-	ძროხას დაუგებენ
	ნა(ნ)	
...კუკუმა წკაის ქეწუღ-	თუნგი („კუკუმა“) წყარს	თუნგი („კუკუმა“) წყალს
გუ	თუღო ქეთუღგუ	ქვემ შეუღგა
...კერემულიჭერის გო-	ნაჭა „ჭერს“ თუღო გი-	ჯაჭვი „ჭერს“ ქვემ კი-
წობუნ	თობუნ(ნ)	ღია...

ყველა ამ შემთხვევაში **წ(ა)**- პრევერბი თავის მნიშვნელობით უღრის ზმნისართს „ქვემ“, რომელიც სამ შემთხვევაში განმეორებულიცაა ჭანურ ტექსტებში (თუღე ეწუძინ, თუღე სარლა ეწებუღგამ, თუღე ქეწუსქი-ღუნ...), მეგრულს თარგმანში „თუღო“ (ქვემ) ყველგანაა ნაჩვენები გარდა ერთი შემთხვევისა: გეგილასხაპუ: აქ რთული პრევერბი საკმაოდ დემონსტრაციულად მიუთითებს, რომ მოძრაობა ქვევითკენ იყო მიმართული („ჩამოხტა“). გამეორება ამ ზმნისართისა ისევე არაა აუცილებელი, როგორც ქართულს გამოთქმებში: შევიდა შიგ, ავიდა ზევით, გავიდა გარეთ — დართული ზმნისართების მნიშვნელობა უკვე მოცემულია პრევერბებში:

შე-, ა-, გა-

ჭანურში მოიპოება **წა-** პრევერბის შესატყვისი ზმნისართიც: ესაა „წალე“, რომელიც აღნიშნავს „ქვევით, ქვემოთ“ და უპირდაპირდება „ჟი-ლე“-ს (ზევით, ზემოთ)... „ჟ ი ლ ე ოსმან-ჩაუში, წ ა ლ ე აბღუ-რაჰმანი“ — „ზევით“ („ზერე“) ოსმან-ჩაუში, ქვევით („ქვერე“) — აბღუ-რაჰმანი“.¹

თუ ეს ასეა, გასაგები ხდება, რატომ ნიშნავს ჭანური „ეწუღგუ“ „ქვემ უღგა“-ს, გასაგები ხდება ისიც, თუ რატომ გაჩნდა მეგრულში ქართ.

წა- პრევერბის შესაბამისად **და- (მი-და)**.

რასაკვირველია, ამჟამად ქართულში **წა-** პრევერბის პირვანდელი მნიშვნელობის გამოაშკარავება ზმნათა უმეტესობაში ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია „და-ხატა“ — ზმნაში **და-**პრევერბის პირვანდელი მნიშვნელობის (ძირს მოძრაობის) შეცნობა. და მაინც შეიძლება თითქოს

¹ იხ. ავტორის „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“, ტფილ. 1936, ნაწ. II, გვ. 1431, „ნანი-ნანი“ (ჭანურის ნანა).

თითო ოროლა შემთხვევაში წა- პრევერბის გამართლება ამ ძველი მნიშვნელობის საფუძველზე:

„წარწერა“ ე. ი. წერა ზევიდან ქვევით. რეალურად ეს გამართლებულია: წერის დროს, — ქაღალდზე ვწერთ, ლითონზე თუ ქვაზე — წერა ზევით იწყება და ქვევითკენ მოდის. ქაღალდზე „წარწერა“-ს აღარ ხმარობენ, მაგრამ „დაწერა“-შიც ხომ და- პრევერბი იხმარება, „და“- პრევერბი კი ძირს მოძრაობას აღნიშნავს...

წა-ქცევა: ქცევა ძველად „ტრიალს“, „ბრუნვას“ ნიშნავდა (შდრ. „ყოფაქცევა“...), წა- პრევერბიც იმას გვეუბნება, რომ „ძირს“, „ქვევითკენ“ მიემართება „წაქცეული“...

წა-ყრა ლაგამისა: სათანადო მოქმედება ლაგამის „ქვევითკენ“ მოძრაობას გულისხმობს...

წა-მო-ვიდა: წვიმა წამოვიდა: ქვევით ჩვენკენ მოდის წვიმის წვეთები... მეგრ. წა-რთუ „სიტყვა-სიტყვით“ გადმოგვცემს ძვ. ქართ. „წარ-წდა“ და ნიშნავს: **„გაფუჭდა“**, ე. ი. „ქვევით წავიდა“; „ქვევით სვლა“ აქ გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი და „დაქვევითებაზე“ მიუთითებს. **წაულა** („წაულას ჭირი ვაკო“) — გაფუჭება, წახლენა (გერ. Niedergang) „ქვევით სვლას“ მოასწავებდა...

შენიშვნა: ქართულში წა- პრევერბს არსებითად სხვა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა „წა-შვერილი“... წააგრძელა, წარდგა — აქ თითქოს „წინ“ უნდა იგულისხმებოდეს ისევე, როგორც მეგრულს მაგალითებში: ე წ ო ხ ე (ნ) — წინ ზის, ე წ უ ძ უ (ნ) — წინ უდევს, ე წ ო ბ უ (ნ)¹ — წინ უბია... საკითხავია, **იგივეა** ეს პრევერბი, თუ ის „წინ“ (მეგრ. წო-ხ-ოლ-ე) ზმნისართს უკავშირდება...

რატომ დაიჩრდილა წა- პრევერბის მნიშვნელობა ისეთ ზმნებთან, რომლებიც გადაადგილებას აღნიშნავენ? სხვა პრევერბების (გა-, შე-, მო-...) პირველადი მნიშვნელობა მრავალ ზმნასთან გაუჩინარდა (გა-აკეთა, შე-ატყო, მო-სპო...), მაგრამ მოძრაობის (უკეთ ვთქვათ, გადაადგილების) აღმნიშვნელ ზმნებთან შეგვენახა: გა-ვიდა, შე-ვიდა, მო-ვიდა... რატომ დაბნელდა წარ- პრევერბის მნიშვნელობა ამგვარ ზმნებთანაც? ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენს ენებში იგი უცხო სამყაროდანაა შემოსული. მეგრულში ის ისევე უტყვია, როგორც ქართულში; ჭანურს, მართალია, შესაბამისი ზმნისართი „წალე“ გააჩნია, მაგრამ მის პარალელურად „თუდე“-ს ხმარობს; ეს თუდე“ უნდა იყოს მისი კუთვნილება; მეგრულში იგივე სიტყვაა „თუდო“. ასე რომ, წა- პრევერბიცა და „წა(ლე)-ც ჭანურშიაც შეთვისებული უნდა იყოს სხვა ენიდან.²

¹ მსგავსი შემთხვევები ჭანურსაც მოეპოვება.

² -ლე ნაწილაკი ჭანურია, საქმე წა-ს ეხება.

ეს ენა აბხაზური უნდა იყოს. აბხაზურს გააჩნია **-წა-**, რომელიც ნიშნავს „ქვეშ, ქვევით“:

აქლანდ აშყუტ მწოუბ	ქალღმთა წიგნის ქვეშაა
აწლა სმწათოუბ	ხის ქვეშ ვზივარ
აღ აზგ მწადრუბ	ძალი ცხენის ქვეშ წევს
ამწყა — წყალქვეშ,	ახაპაწყა — ხის ქვეშ
სტწყა ანდა სგწყა — ჩემ ქვეშ,	ტწყა შენ (ვაჟის) ქვეშ და სხვ.
(იხ. Услар. Абхазский язык, Тифл., 1887, § 77, გვ. 87).	

რატომ აფხაზურიდან უნდა ესესხება ჰანურს და არა, პირუკუ, ჰანურიდან აფხაზურს? აფხაზურისათვის რომ ეს **წა-** შეძენილი მასალა არ არის, იქიდან ჩანს, რომ აფხაზურში ამ **წა-**ს მოეპოვება ეტიმოლოგია: „ა-წა“ „ძირს“, „ფსკერს“ აღნიშნავს (იხ. Услар. Абх. яз., გვ. 172: **წა-**)...

საინტერესოა, რომ აფხაზურში **წა-** პრევერბს „წინ“-ს ზმნისართის მნიშვნელობაც აქვს, როგორც ამას უსლარი აღნიშნავს:

„აწლა სმწათოუბ — ვზივარ ხის ქვეშ“ საკუთრივ: „ვზივარ ხის წინ“...

სტმწან ჩემ წინ ანუ ჩემ გვერდით... ტმწან — შენ წინ (მამაკაცის წინ) ან გვერდით, ბტმწან — შენ წინ ან გვერდით (ქალის წინ...). იხ. Абхазский яз. გვ. 87, § 77.

ანალოგიური შემთხვევები ქართულშიაც არის და მეგრულ-ჰანურშიაც (იხ. ზემოთ, შენიშვნა, გვ. 44-43). იქ ჩვენ კითხვას ვსვამდით, იგივეა ეს პრევერბი თუ „წინ“- ზმნისართს უკავშირდება. ამგვარი კითხვა აფხაზურის ჩვენების მიხედვითაც ჩნდება. ანდა ეგების ერთ-ერთის არჩევა არც არის საჭირო: **წა-** პრევერბსა და **წინ-** ზმნისართს შორის არის კავშირი (აფხაზურად — **მწა** — „წინ“, „გვერდით“ (იხ. Абх. яз., გ 149). მაშინ ქართული „წინ“- ზმნისართის, მეგრ. „წიმი“-ს (იმავე მნიშვნელობისა)¹ და აბხაზ. **მწა**-ს ურთიერთობის საკითხი დაისმოდა. შეუძლებელი არ იქნებოდა, ეს საკითხიც ისევე გადამწყდარიყო, როგორც **წა-** პრევერბის საკითხი, მაგრამ აქ ამ საკითხს ღიად ვტოვებთ, ვკმაყოფილდებით იმით, რომ აფხაზურშიც დასტურდება **წა-**სთვის ისეთივე მნიშვნელობა, ძირითადისაგან განსხვავებული, როგორსაც ქართული და მეგრულ-ჰანური გვაძლევს...

დასასრულ, ერთი შენიშვნა. **წა-** პრევერბი ჩვენ დაუტკავშირეთ „წა-ლე“- ზმნისართს; **წა-ლე** ისეთივე აგებულებისაა, როგორც **ჟი-ლე**, **გა-ლე**, რომელთაც ქართულში უდრის **ზე-რე** (დიალ.), **გა-რე... ლე || რე**; ასე რომ **წა-ლე**-სათვის უნდა გვქონოდა **წა-რე**; ამ მეორე ნაწილის ნარჩენია

¹ სვან. სულ სხვა ძირია: „სგუბინ“ — წინ; ეს ძირი როგორც სამართლიანად ასკვნის აკად. ნ. მარი, „შუბლ“- ძირს უკავშირდება.

-რ, რომელიც ძვ. ქართულში დაერთვის წა- პრევერბს: წა-რ.

წა- პრევერბის აქ მოცემულ გაგებასთან დაკავშირებით ერთი სიტყვის ეტიმოლოგიაც შეიძლება მოვიგონოთ. ესაა „წალენჯიხა“, დაბა, ამჟამად სარაიონო ცენტრი დასავლეთ სამეგრელოში. ამ სახელის ერთი ვარიანტია „წენდიხა“; მას ადგილობრივ ხმარობენ. განსვენებული პროფ. ი. ყიფშიძე ფიქრობდა, რომ „წენ-დიხა“ „ჭან-ციხეს“ ნიშნავს (ამ რაიონში შენახულია მდინარის სახელიც ჭან-წყარი — „ჭანწყალი“. „წენ-დიხა“-ს ასეთი ინტეპრეტაციის შემთხვევაში აუხსნელი რჩებოდა: 1. რატომ უნდა ყოფილიყო მეგრული სახელის პირველი ნაწილი წენ- სისინა წრის ნორმების მიხედვით ნაწარმოები (წ, ე, ნაცვლად ჭ, ა-სი), მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი დიხა || ჯიხა მიშინა წრის ჩვეულებრივი სიტყვაა; 2. თუ „წენ-დიხა“-ს ამ სახელის პირველადს ფორმად მივიჩნევდით, როგორ უნდა მიგველო აქედან წალენ-ჯიხა?

გვეფიქრება, რომ ქართულში ხმარებული წალენჯიხა-ში უნდა იყოს შემონახული პირველადი ფორმა, ადგილობრივ ხმარებული; ქართულმა ეს ძველი ვარიანტი უცვლელად შეგვინახა, ადგილობრივ კი სიტყვამ ცვლილება განიცადა (შდრ. სხვა მეგრული გეოგრაფიული სახელების ადგილობრივი სახეცვლილი ვარიანტი და მათი უფრო ძველი სახეობა, ქართულში შენახული: ზუგდიდი — ზუგიდი, სენაკი — სანაკი, ნოქალაქევი — ნოქალაქი, ტეხური — ტეხირი...).

წენ-დიხა ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია წალენ-ჯიხა-სი; წალენ წა-ლე-საგან ნაწარმოები ატრიბუტივია: წალე — ქვეშ, ქვემოთ; წალენ-ი — ქვემოური, ქვემო; წალენ-ჯიხა — „ქვემოციხე“ (შდრ. გეოგრ. სახელები: ქვემო-ხეთი, ზემო-ხეთი, — გურიაში...).

III. О НАЧАЛЬНОМ ЗНАЧЕНИИ ПРЕВЕРБА წა-რ- TSAR- В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(РЕЗЮМЕ)

Преверб წა-რ tsa-r из картвельских языков характерен только для грузинского языка, основное же его назначение — указывать "движение туда", движение, отдаляющее от говорящего: წა-ვიდა tsa-vida "ушел"; но непонятно, как же может с ним сочетаться преверб მო- mo- обозначающий "движение сюда": წა-მო-ვიდა tsa-mo-vida "пошел сюда", по направлению к говорящему.

Объясняется это противоречие легко, если учесть, что წა-რ || წა- tsa-r || tsa- восходит к наречию წა-ლე tsa-le, представленному в чанском диалекте занского языка и являющемся синонимом თუდე || თუდო tude || tudo, употребляемых в чанском и мингрельском диалектах занского языка в значении "вниз, внизу": წა-ლე tsa-le противоположно ჟი-ლე ji-le "наверху".

Таким образом, первоначально преверб წა-რ- || წა- tsa-r- || tsa- должен был обозначать "(движение) вниз", წა-მო tsa-mo "движение вниз сюда"; წა-იქცა tsa-ik'tsa "упал", წვიმა წამო-ვიდა tsvima tsamo-vida "дождь пошел" (букв. "пошел вниз сюда")...

В самом чанском диалекте წა- tsa- усвоен из абхазского, где он в глаголах употребляется в значении "под, вниз" и где он этимологически связывается со словом ა-წა a-tsa "дно".

III. DE LA SIGNIFICATION PRIMITIVE DU PRÉVERBE წარ- TSAR- DANS LA LANGUE GÉORGIENNE

(RÉSUMÉ)

Dans les langues kartvéliennes le préverbe წარ- || წა tsa-r || tsa- n'est propre qu'à la langue géorgienne; sa signification essentielle est celle d'indiquer le mouvement là — bas, mouvement, exprimant l'idée de l'éloignement par rapport à la personne qui parle: წა-ვიდა tsa-vida "s'en est allé"; mais il est incompréhensible, comment le préverbe მო- mo- qui exprime le mouvement contraire, peut-il s'unir avec le premier? წამო-ვიდა tsamo-vida = "vient ici" vers la personne qui parle.

On s'explique facilement cette contradiction, en considérant que წარ- || წა- tsar- || tsa- remonte vers l'adverbe წა-ლე tsa-le, représenté dans le dialecte tchane de la langue zane, qui est le synonyme de თუდე || თუდო t'ude || t'udo, employé dans les dialectes tchane et mégrélien de la langue zane qui signifie "en bas": წა-ლე tsa-le est l'opposé de უი-ლე ji-le "en haut".

Ainsi, à l'origine, le préverbe წარ- || წა- tsar- || tsa- devait signifier le mouvement "en bas", წა-მო tsa-mo -le mouvement "en bas vers nous", წა-იქცა ta-ik't'sa "est tombé", წვიმა წამო-ვიდა tsvima tsamo-vida "il a plu", littéralement: "est allée en bas, ici".

Dans le dialecte tchane même წა- — tsa- est emprunté à l'abkhasien, où il s'emploie dans les verbes et signifie "sous", "en bas" et où il s'unit d'après son étymologie au mot ა-წა a-tsa "le fond".

IV. სიტყვა „ზოგ“-ის ეტიმოლოგიისათვის

სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევა პირვანდელი მნიშვნელობის გათვალისწინებაა, იმ წარმოდგენის ამოფესვა, რომელიც სიტყვაშია ჩამარხული და რომელიც ცხადყოფს, რატომ დაერქვა ეს სიტყვა ამ ობიექტურ მონაცემს.

პირვანდელი მნიშვნელობა ისევე, როგორც საერთოდ მნიშვნელობა, სიტყვის ფუძეშია მოცემული; ეტიმოლოგიაც, მაშასადამე, სიტყვის ფუძეში უნდა ვეძიოთ.

სიტყვის ფუძე დროთა ვითარებაში შეიძლება იცვალოს: ესა თუ ის ბგერა დაიკარგოს, გადაისვას ან სხვა ბგერით შეიცვალოს (ათ-ორ-მეტი → თორმეტი... ათ-ხუთ-მეტი → თხუთმეტი || თუთხმეტი... წყალრღვნა → წარღვნა... ქრცხილვანი → ცხინვალი... ერთმან-ერთი → ერთმანეთი...) ანდა აფიქსეული მასალა მარტივ ფუძეს შეეზარდოს და ძირის კუთვნილებად იქნეს გამოცხადებული (ხუცეს: ხ-უ-ც-ეს-ი = მეგრ. უჩაში, პირვანდელი მნიშვნელობით „უფროსს“ ნიშნავდა; შდრ. უხუცესი... მეგრულ: მ-ეგრ-ელ, ე. ი. ეგრისის მკვიდრი...).

ცხადია, ეტიმოლოგიის ძიება ფუძის ანალიზს საჭიროებს, მასში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებას მოითხოვს. ამის შესაბამისად საჭირო იქნებოდა სიტყვაში „ზოგი“ გამოგვეყო ფუძე და ამ ფუძის მნიშვნელობა გაგვეხადა ყურადღების საგანი.

ამჟამად ამ სიტყვის ფუძე არის „ზოგ“; რაც შეეხება მნიშვნელობას, ის მეტ-ნაკლებად ცხადი იქნება, თუ მოვიგონებთ იმ ნაწარმოებ ფუძეებს, რომლებიც „ზოგ“-იდანაა მიღებული და იმ გამოთქმებს, რომლებშიაც „ზოგი“ სიტყვა მონაწილეობს:

ზოგ-ი, ზოგიერთი, ზოგი ვინმე, ზოგი რამ...

ზოგ-ად-ი, გან-**ზოგ**-ად-ება... **ზოგ**-ავ-ს...

სა-**ზოგ**-ად-ო-ება...

ამ სიტყვებს რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ მნიშვნელობის მიხედვით ერთგვარი ზღვარია **ზოგ**-სა და მისგან ნაწარმოებ **ზოგად**-ს შორის:

ზოგი = некоторый; ის უპირისპირდება „ყველა“-სიტყვას; მასში რალაც ნაწილზეა მითითება, ნაწილი გამოიყოფა მთელისაგან, კერძობი-

თობაა წინა რიგში მოქცეული.

ზოგადი = **общий**, ამ სიტყვის მნიშვნელობა კერძობითობას გამო-
რიცხავს, მნიშვნელობით მას უპირისპირდება: „ზოგადი კურსი“, „ზოგადი
მიმოხილვა“, **общий курс, обзор, revue générale, cours générale...** „ზოგადად“
вообще...

აქედან — **საზოგადო**, ე. ი. ის, რაც ყველას ეხება და არა კერძოდ
ვისმე; „საზოგადო საქმე“ — რაც დაპირისპირებულია „კერძო საქმეს“, „პი-
რად საქმეს“...

აქედან და მნიშვნელობის იმავე ხაზით: **საზოგადოება** "общество"-ს
მნიშვნელობით.

„ზოგად“-სა და „საზოგადო“-სთან მნიშვნელობით ძალიან ახლოს
დგას „საერთო“: შდრ. „საზოგადო საქმე“ და „საერთო საქმე“... ფრანგულ-
სა და ინგლისურში გარჩეულია ეს ორი სიტყვა: „ზოგად“-ს, „საზოგადო“-ს
შეეფერება ფრ. **général**, ინგ. **general**, „საერთო“-ს — ფრ. **commun**, ინგლ.
common; გერმანულში და რუსულში ორივესთვის ერთი სიტყვაა — გერ.
allgemein, რუს. **общий**: **общий обзор, общий курс** — ზოგადი მიმოხილვა,
ზოგადი კურსი; **общие интересы, общее дело** — საერთო ინტერესი, საერ-
თო საქმე.

ზოგ-ისა და მისგან ნაწარმოები **ზოგად**-ის მნიშვნელობათა სხვადას-
ხვაობა გარკვევით აქვს აღნიშნული ლექსიკოგრაფ საბა ორბელიანს:

ზოგი — ესე განწილულს ცხადჰყოფს, ხოლო **ს ა ზ ო გ ა დ ო** საზი-
აროსა, და **ზ ო გ ა დ ვ ი დ ო დ ე თ** — ერთბამად ვილოდეთ-სა; **ზ ო გ ი** —
ვიეთთათჳსცა ითქმის (იხ. საბას „ქართული ლექსიკონი“ ი. ყიფშიძისა და
ა. შანიძის რედაქციით, ტფილ. 1928 წ. გვ. 130).

ზოგად — ერთობით (იქვე, გვ. 130).

საზოგადო — საერთო (იქვე, გვ. 289).

თუ „ზოგი“ კერძობითზე მიუთითებს (**некоторый**), როგორღა მო-
ხდა, რომ „ზოგადი“ საზიარო-ს (**общий**-ს) აღნიშნავს, „საერთო“-ს სინონი-
მადაა ქცეული? რა მომენტი აკავშირებს ამ ორი ფუძის მნიშვნელობას?
რა უნდა ყოფილიყო **პ ი რ ვ ე ლ ა დ ი მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ა** **ზოგ**-ისა, რომ
მისგან ნაწარმოები „ზოგად“-ი, „საზოგადო“ **общий**-ს აღმნიშვნელად ქცეუ-
ლიყო?

ეს უნდა ყოფილიყო „ერთი“-ს მნიშვნელობა; **ზოგ**-ი ნიშნავდა
„ერთს“ და ამით აიხსნება ის განსხვავებაც, რომელთაც ნაწარმოებ ფუძე-
ებში ვიღებთ საწარმოებლისაგან განსხვავებით; ამ ვარაუდის მიხედვით მი-
ვიღებთ:

ზოგი — ერთი...

ზოგად — ერთად

ზოგადი — „ერთადი“, საერთო

საზოგადო — „საერთადო“, საერთო

საზოგადოება — „საერთადობა“, общество, ფრ. "communauté", societé... გერ. Gemeinde.

ზოგი ვინმე — ერთი ვინმე

ზოგი რამე — ერთი რამე

ზოგ-ზოგი — თითო-თითო

ზოგიერთი — ერთერთი (აგებულია ისევე, როგორც „სვე-ბედი“: მეორე ნაწილი იმეორებს პირველს).

ზოგჯერ — „ერთ-ჯერ“, иной раз, иногда (იხ. ქვემოთ)

ზოგავს — ზოგს სტოვებს, აპატივებს...

ზოგი, როგორც სინონიმი ერთისა, უპირისპირდება „ყოველს“, „ყველას“... ამიტომვე **ზოგი**, როგორც ერთის სინონიმი, იძლევა „საერთო“-ს ნაწარმოებ სახელებში: „ზოგად“, „ზოგადი“, „საზოგადო“... ის, რაც გაუგებრად გვეჩვენა ნაწარმოები ფუძეების მნიშვნელობაში, სრულიად ბუნებრივი ჩანს ამ ვარაუდის მიხედვით.

რას ემყარება ეს ვარაუდი? იმ შემთხვევებს, რომლებიც ძვ. ქართულში გვაქვს და **ზოგ**-ის მნიშვნელობას კონტექსტში ეჭვმიუტანელს ხდის:

...და ვერ შემძლებელ იყვნეს დამკვდრებად **ზოგად**... დაბადება, წიგნი პირველი მოსწისი, თავი 137, ომკის 978 წლ. ხელნაწ. ფოტოპირი:

სომხურს დაბადებაში ეს ადგილი ასე იკითხება: ...**ს იჯ კაჲრქին რნასქქქ ი მჩაჲსინ**...

სლავური დაბადებით ასეა: ...**И НЕ МОЖАХУ ЖИТИ В КУПЬ**...

...და წარვიდეს ორნივე **ზოგად**... დაბადება, წიგნი პირველი, თავი 227 (იმავე ხელნაწ.).

სომხურს დაბადებაში ამას უდრის: ...**ს գնացին երկուքანს ი მჩაჲსინ**...

სლავურს დაბადებაში **И ИДОСТВА ОБА В КУПЬ**...

ქართული ტექსტის „ზოგად“-ს შეეფერება სლავური **В КУПЬ** (ე. ი. вместе) ძვ. სომხ. **ი მჩაჲსინ**, რაიც ნიშნავს, **ერთად**.

აგრეთვე: ...**რ ბ ი ო დ ე ს ო რ ნ ი ვ ე ზ ო გ ა დ**... ოთხთავი, იოანე, თ. XX, მუხლი 4, — ხანმეტი ლექციონარიდან... (იხ. პროფ. ა. შანიძე: ქართული ხელნაწერები გრაცში, ტფილ. უნივ. მოამბე, IX, 1929 წ. გვ. 336). ასევე იკითხება ეს ადგილი ბიბლიური საზოგადოების მიერ გამოცემულ ოთხთავში (1912).

სომხურს ოთხთავში ამის შესაბამისად გვაქვს: ...**რნაჲსინაჲსინს ერკოჲსინ ი მჩაჲსინ**...

სლავურ ოთხთავში: **течаѣ же оба в купь**...

ბერძნულს ოთხთავში: ἔτρεχον δὲ δι δύο ὁ μ ο ὖ...

ლათინურში: *currebant autem duo s i m u l...*

სომხური (*ի սիսսին*), სლავური (*вкупѣ*), ბერძნული (*δύο*), ლათინური (*simul*) ერთად-ს ნიშნავს; ამრიგად: **ზოგად = ერთად...**

მაგრამ ეგების ქართული თარგმანი ყველა ამ შემთხვევაში სხვა გზით მიდის და „ზოგად“, თუმცა ამ სიტყვების ადგილას იხმარება, მაგრამ სხვა რამეს ნიშნავს? ასეთი რამ არ არის მოსალოდნელი, რაკი რამდენიმეჯერ სხვადასხვა ენის ტექსტი ერთმანეთს ხვდება, მაგრამ მაინც შეიძლება რაიმე ეჭვი დარჩეს.

ამ ეჭვებს ჰფანტავს ჰადიმის (987 წლ.) ოთხთავი, სადაც ამავე ადგილას იკითხება: რ ბ ი ო დ ე ს ო რ ნ ი გ ე **ერთად** ტაბ. 195a2... **ზოგად = ერთად; ზოგი = ერთი.**

ამ მნიშვნელობის შემდგომი განვითარებაა მოცემული გამოთქმაში:

„მთხოვე რადცა გნებავს და მიგცე შენ ზ ო გ ი მეფობისა ჩემისა“... (საქართვე. მუზეუმის ხელნაწერი №1147, ფ. 165r): აქ „ზ ო გ ი“ თითქოს „ნაწილს“ აღნიშნავს, მაგრამ არა! იქვე ვკითხულობთ:

„ზ ო გ ი იგი სამეფოდ დასდევ ფერჯთა მროკვალისათა; ილოცე, ნუ უკუე კულად როკვიდეს და მეორედლა თუ როკვიდეს, დაგაგდოს შენ პურის მთხოველად“... იქვე, ფ. 165r-v.

ეჭვს გარეშეა, აქ „ზოგი“ ნიშნავს ნახევარს, ე. ი. ორ თანაბარ ნაწილში ერთს: სამეფოს ერთი ნახევარი უკვე დადებული გაქვს მოცეკვავის ფერხთ — მისი ცეკვის საჩუქრად; თუ კიდევ მეორედ იცეკვა, მათხოვარი დარჩები („დაგაგდებს პურის მთხოველად“), რადგანაც მეორე ნახევარსაც ეს მოცეკვავე წაიღებსო (ტექსტი ეხება ცნობილ სიუჟეტს სალომეს ცეკვისა და ცეკვით აღტაცებული მეფის მიერ მის დასაჩუქრებისა)...

„ნახევრის“ მნიშვნელობით „ზოგი“ იხმარება შემდეგს ნაწყვეტშიც:

„სახის მეტყუელმან თქუა. ლომ ჯინჯველისაჲ რ მამისაჲ მის პირი ლომისაჲ არს. და დედისაჲ ჯინჯველისაჲ. მამაჲ იგი მძორის მჭამელ არს და დედაჲ თივის მჭამელ. რ ჯინჯველ-ლომმან გამოჯდის ორთავანვე მკვდრი ზ ო გ ი ლომისაჲ არნ ხატი და ზ ო გ ი ჯინჯველისაჲ. ვერ მძორი ჭამის მამისა მის: მკვდრობისათჳს და ვერცა მარცჳალი დედისათჳს“... (სახისმეტყუელი... გამოცემული აკად. ნ. მარის რედაქციით, თავი XXIII, სტრ. 4-18, გვ. 31-32): ლომ-ჯინჯველი ლომსაც ვავს და ჯინჯველს, მისი „ხატის“ ნახევარი ლომისა, ნახევარი — ჯინჯველისა... სომხურს ტექსტში, რომელიც ქართულის პარალელურად არის გამოცემაში წარმოდგენილი, აქ ნახმარია **կես** რაიც „ნ ა ხ ე ვ ა რ ს“ ნიშნავს...

„ზოგ“-ის ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად „განზოგებას“, რომელიც „განახევრების“ მნიშვნელობით იხმარება: ...გ ა ნ ზ ო გ ე ბ ა ს ა ო დენ

მის დღესასწაულისა აღვიდოდა იჯ ტაძარსა მას და ასწავებდა... ჰადიმის ოთხთავი, ტაბ. 170a2, იოანე, თავი VII₁₄... განზოგებასა ოდენ ე. ი. მხოლოდ განახევრებისას, შუა დღესასწაულში... ამ მნიშვნელობას ადასტურებს სათანადო ადგილას სომხურს ტექსტში ხმარებული **ընդძიցեսაი** და სლავური ტექსტის "**в преполовение**" (праздник)...

ძვ. ქართულშივე უვითარდება „ზოგ“-ს ის მნიშვნელობა, რომელიც ახლა მისთვის ჩვეულებრივია:

ეგრე შერაცხეთ რეცათუ ზოგი რამე გესმა და არა ყლი... საქართვ. მუზ. ხელნაწ. №1147, ფ. 10r... ზოგი აქ უპირისპირდება „ყოველს“; ეჭვი არაა, რომ ის „ნაწილს“ ნიშნავს.

საინტერესოა ის შემთხვევა, როცა „ზოგი“ „სხვას“ ნიშნავს:

...და ხატი მათ ზღვს ქალთაჲ ვე უბედმღჳ კაცისაჲ არს ზოგი ხატი მათი მფრინველთაჲ... სახისმეტყ. თ. XVI, სტ. 16-20, გვ. 21: სომხურად ეს ადგილი ასე იკითხვის: **Եւ կերպարանք სიցա ძինչს ի պարսն կնոջ մարդու** — „სხვა“, „ზოგი ხატი“ — სხვა „ხატი“, სხვა ბუნება... ალბათ, ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად გამოთქმას „ზოგჯერ“ — „სხვაჯერ“, **иной раз, иногда...**

ამრიგად, ძვ. ქართულის ტექსტები „ზოგი“-სიტყვის შემდეგს მთავარ მნიშვნელობებს გვაგულისხმევენ: 1. **ერთი**, 2. **ნახევარი** (ე. ი. ორი თანაბარი ნაწილიდან ერთი), 3. **ნაწილი**, „ყველა“-ს საპირისპირო (ე. ი. მრავალიდან ერთ-ერთი)...

ამჟამად უკანასკნელი მნიშვნელობაა ამ სიტყვისათვის ძირითადი, **„ერთი“** კი ნაწარმოებს ფუძეებსლა შემოუნახავს („ზოგადი“, „საზოგადო“...).

ახლანდელი მნიშვნელობა ამ სიტყვისათვის ჩვეულებრივია უკვე „ვეფხისტყაოსანში“:

...დიდებულთა ჯარისაგან ზოგნი ჰგვანდეს ვითა მთრგალსა...

ხანა 730, კ. ჭიჭნაძის გამოც.

...ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს,

ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს...

ხანა 496

...ზოგნი ტირან მამისათვის, ზოგნი ჩემთვის ტიროდიან...

ხანა 372

...ზოგნი ნდომით შეჭფრფინვიდეს, ზოგნი იყენეს სულწასულად...

ხანა 1138

სიტყვის მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მრავლობითში დასმული „ზოგნი“ შეიძლება შევცვალოთ სიტყვებით:

„ერთნი“ და „სხვანი“: ზოგნი ტირან მამისათვის, ზოგნი ჩემთვის ტიროდიან — ერთნი მამისათვის ტიროდენ, სხვები — ჩემთვის... ასევე: „ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს“ იქნება: ერთნი შორიდან მლოცავდნენ, სხვები კოცნას მიპირებდნენ, საკოცნელად მოიწევდნენ...

ამგვარად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ „ზოგი“ და „ერთი“ ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვები იყო. როგორია ამ ფუძეების ურთიერთობა და ადგილი ქართულში? „ერთი“ ყველა ქართველურ ენებში გვაქვს: **ართ**-ი (მეგრ.), **ართ**-ი || **არ**- (ჭანურში), **ემსუ** (სვან.). ეს ძირი მკვიდრად გრძნობს თავს ქართველურს ენებში. ამასვე ვერ ვიტყვით „ზოგ“-ის შესახებ. ამ ძირის შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში არა ჩანს. აგებულებითაც მისი ფუძე ქართულს არა გავს: ფუძის ბოლოკიდურად **-გ** ქართულს არ მოუღის (და სათანადო სიტყვები: ნიადა**გ**-ი, ფარდა**გ**-ი, დიღე**გ**-ი... ნასესხებია).

„ზოგ“-ის შესაბამის ძირს თუ სხვა კავკასიურ ენებში მოვიკითხავთ: ყურადღებას მიიქცევს ხუნძური ცო (სუსტი **ც** — ისმის თითქმის, როგორც **ს**!) და აფხაზური ძირი **ზა**...

ცო აღნიშნავს „ერთს“, „ვინმეს“ ხუნძებთან. ძირეულ **ს**-ს ვხედავთ „ერთის“ აღმნიშვნელ სიტყვაში მთელ რიგ კავკასიურ ენებში (კმურულში, ტაბასარანულში, არჭულში, რუტულურში, წახურულში...), **ც**-ს „ერთის“ აღმნიშვნელი სიტყვა შეიცავს დარგულში, ლაკურში, ჩაჩურში (ამასთანაა, ალბათ, დაკავშირებული ქართული ც-ალ-იც).

ხუნძურში ცო-საგან არის ნაწარმოები: ცოცო — თითო; ცინ — ერთხელ, ერთგზის... ცინგ — შემდეგ... ცადაჯ — ერთად... ცოგი — სხვა (იხ. II. Услар. Авар. яз. Тифл. 1889, ლექსიკონი, გვ. 212). ეს უკანასკნელი გვაქვს მხედველობაში ქართულ „ზოგ“-ისთან დაკავშირებით. მართალია, „ცოგი“ აღნიშნავს „სხვას“, მაგრამ მისი ძირი მიუთითებს „ერთ“-ზე; გარდა ამისა ძვ. ქართულში, როგორც ვნახეთ, არის შემთხვევები, როცა „ზოგი“ მნიშვნელობით „სხვას“ უდრის. ასე რომ, არც აგებულებისა და არც მნიშვნელობის მხრივ გადაულახავი დაბრკოლება არა გვხდება. და მაინც ასეთი დაახლოება შემთხვევითის შთაბეჭდილებას დასტოვებდა, ხუნძური და ჩვენი ენების შეხვედრათა სხვა მაგალითებიც რომ არა გვქონდეს. ასეთი შეხვედრები არის (რა თქმა უნდა, არა მესამე წყაროდან შეთვისებული საერთო მასალის სახით!)... ამიტომ შემთხვევითად არ მიიჩნევა ამ სიტყვების შეხვედრა.

აფხაზურში, როგორც ამაზე ასპირ. ქეთ. ლომთათიძემ მიმითითა, მოიპოება ძირეული მასალა **ზა**- „ერთის“ მნიშვნელობით; ქეთ. ლომთათიძე მიუთითებს აქედან ნაწარმოებ სიტყვებზე ჟეფ**ზა** თერთმეტი, „ათი + ერთი“; ა-**ზ**-ნა — ერთჯერ, მთელი, საესე... დარა-**ზ**-ნაკ — ერთბაშად... **ზა**-წაგკ

— ერთად ერთი... აზედუმ (← ა-ზა-დუმ) — ზოგადი... ად-ზა-რა — კრება... ზეგაგ (← ზაგაგ) — ყველა...

ეს უკანასკნელი აგებულებით უფრო ახლოს არის „ზოგი“-სთან, ვინემ ხუნძური „ცოგი“... მნიშვნელობით ის უფრო დაშორებულია ქართულ „ზოგ“-ს, ვინემ ხუნძური სიტყვა. მაგრამ თუ მოვიგონებთ, სემასიოლოგიურად როგორ ფართოდ ტოტიანდება „ერთი“ აფხაზურშიც, ხუნძურშიც და თვით ქართულშიც, ცხადი იქნება, რომ ქეთ. ლომთათიძის დაკვირვება საქმის ვითარებას შეეფერება.

მომავალი ძიება გაარკვევს, აფხაზურიდან უნდა ამოვიდეთ ამ ძირის ისტორიულ-შედარებითი ანალიზისას თუ ხუნძურიდან, ანდა კიდევ ეს ძირი კავკასიური ენებისათვის საერთოდ მივიჩნიოთ.

IV. К ЭТИМОЛОГИИ ГРУЗ. СЛОВА ZOGI

(РЕЗЮМЕ)

Слово „ზოგი“ "zogi" в груз. яз. обозначает "некоторый", но в производных основах ზოგ-ად-ი, სა-ზოგ-ად-ო zog-ad-i, sa-zog-ad-o "общий", სა-ზოგ-ადო-ება sa-zog-ado-eba "общество" появляется чуждый основному значению семасиологический момент.

Такие контрroversы основного и производного значений заставляют предполагать, что первичным значением слова являлось не "некоторый", а "один"; отсюда: ზოგად zogad = ერთად er'tad "вместе", საზოგადო sazogado "général" — საერთო saert'o – commun... "общий".

Это предположение находит полное подтверждение в древнегрузинском литературном языке, где „ზოგი“ "zogi" значит: 1. "один", 2. "половину" (т. е. одну из двух частей), 3. "часть", "некоторую часть" (т. е. одну из нескольких частей)...

В древнейших памятниках грузинской письменности „ზოგად“ "zogad" дублирует „ერთად“ "er'tad" "вместе": რბიოდეს ორნივე ზოგად — რბიოდეს ორნივე ერთად rbiodes ornive zogad – rbiodes ornive er'tad "бежали оба вместе".

Слова „ზოგი“ "zogi" увязывается, с одной стороны, с абхазскими ზეგეგ zeg'e в значении "все", с другой стороны, с аварским „ცოგი“ "t'sogi" "иной", "другой". Корневой элемент в обоих случаях значит "один": авар. ცო so один, абх. ზ-ნგკ z-nak "один раз", абх. ზა-წგკ za-tsak "единственный".

IV. A PROPOS DE L'ÉTYMOLOGIE DU MOT GÉORGIEN „ზოგი“ "ZOGI"

(RÉSUMÉ)

Le mot ზოგი "zogi" signifie "certain" dans la langue géorgienne, mais dans les thèmes dérivés „ზოგადი“, "zogadi", „საზოგადო“ "sazogado" "général", საზოგადოება sazogadoeba "société" apparaît un principe sémassiologique, étranger à la signification primitive du mot.

Ces controverses entre les significations primitives et dérivées nous font supposer que la signification primitive du mot "ზოგი" "zogi" n'était pas "certain", mais "un"; de là: "ზოგად" "zogad" = "ert'ad" "ensemble", "საზოგადო" "sazogado" – "général", – „საერთო“ „sacr't'o" – "commun".

Cette supposition se trouve pleinement confirmée dans l'ancien géorgien littéraire, où „ზოგი“, "zogi" signifie: 1. un, 2. une demie (c'est à dire, "l'une des deux parties"), 3. "une partie, une certaine partie" (c'est à dire, l'une des plusieurs parties).

Dans les textes les plus anciens des manuscrits géorgiens „ზოგად“ "zogad" double „ერთად“ "ert'ad" "ensemble": რბიოდეს ორნივე ზოგად – rbiodes ornive zogad; რბიოდეს ორნივე ერთად – rbiodes ornime ert'ad "couraient tous les deux ensemble".

D'une part, le mot „ზოგი“ "zogi" coïncide avec l'abkhasien "ზეგეგ" – "zegḡ" dans la signification du mot "tout", d'autre part, – avec le "t'sogi" "autre" de la langue d'Avare.

Dans les deux cas, l'élément radical signifie "un": avare – t'so = "un", abkh. z-nək "une fois", abkh. za-tsik "unique".

V. ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში

1. **გან-** თანდებული, როგორც ცნობილია, დაერთვის ორ ბრუნვას: ა) ნათესაობითს — კითხვაზე: ვისგან? რისგან? და ბ) მოქმედებითს — კითხვაზე: საიდან? **ნათეს.:** წერილი მომივიდა ძ მ ი ს ა -გან... შაქარი კეთდება ჭ ა რ ხ ლ ი ს -აგან... ნიჩაბი გამოვთალე ხ ი ს ა -გან... **მოქმედ.:** წერილი მომივიდა ს ო ფ ლ ი დ -ან... ბავშვი ჩამოვარდა ხ ი დ -ან... გ ზ ი დ -ან დაბრუნდა...

უკანასკნელს შემთხვევებში ადგილი ურჩება ცვლილებებს, როგორც სახელის დაბოლოებაშიც, ისე თვით თანდებულშიაც: ჯერაა და **გ-**ამჟღერებს **თ-**ს (ნაწილობრივი ასიმილაცია), ვიღებთ **დ-**ს (სოფლი**თ-**გან, გზ**ით-**გან — სოფლი**დ-**გან, გზ**იდ-**გან); შემდეგ იკარგება **-გ-** (სოფლი**დ-**გან, გზ**იდ-**გან — სოფლი**დ-**ან, გზ**იდ-**დან); ამგვარად, მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **-ით** შეცვალა **იდ-**მა, **-გან** თანდებულისაგან დაგვრჩა **-ან** (და არა **-დან**, როგორც ამას ხშირად ამბობენ; არავითარი **-დან** თანდებული ქართულს არ გააჩნია, **-დ** სახეცვლილი **თ-**ა და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებას ეკუთვნის).

სოფლ**-ით-გან** — სოფლ**-იდ-გან** — სოფლ**-იდ-ან**...

გზ**-ით-გან** — გზ**-იდ-გან** — გზ**-იდ-ან**... აქ მოცემულია განვითარების სამი საფეხური. ყოველი მათგანი დადასტურებულია ძეგლებში — ძველი ქართულიდან დღემდის. ეს კია, რომ ძვ. ქართულში კითხვაზე საიდან? ჩვეულებრივად უთანდებულო მოქმედებითი მიუგებდა, მაგრამ გვხვდება **-გან** თანდებულიც **-ით** დაბოლოების შემდეგ, ე. ი. კითხვაზე — საიდან? მიუგებს უთანდებულო მოქმედებითიცა და **-გან** თანდებულიანიც.

უთანდებულო მოქმედებითი ძვ. ქართულში კითხვაზე — საიდან?¹

...მას უამსა ოდეს ბაგრატის ასული მარიამ დედოფალი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე -
თ ი თ (=აღმოსავლეთიდან) კონსტანტინეპოლს შემოვიდა... თ. ყორ-
დანია, ქრონიკები, გვ. 229 (1081 წ.).
...შემდგომად სივლტოლისა მის ნერსცისისა ქ ა რ თ ლ ი თ (=ქართლიდან)

¹ ეს მაგალითები საილუსტრაციაოა; ამიტომ თითო-ორილას დასახელებით ვკმაყოფილდებით.

წარმოავლინა მაჰმედ ამირა მუმნმან... სტეფანოზ ძე გურგენისა...
აბო ტფილ., გვ. 20.

...და ვითარცა წარემართნეს იგინი ქუეყანით აბხაზეთით
(=ქვეყნიდან აფხაზეთიდან, ანუ როგორც ახლა ვიტყვით: აფხაზე-
თის ქვეყნიდან) მაშინ... აბო ტფილ., გვ. 20.

თანდებულისანი მოქმედებითი ძვ. ქართულში **კითხვაზე — საიდან?**

...მრავლით ყ ა მ ი თ - გ ა ნ უწინარწს ეფთიმისა და გიორგისა... თ. ჟორ-
დანია, ქრონიკები, გვ. 225.

...მათვე ჳელითა მიერ გაინუსხა დასაბამით-გან წელთა... იქვე, გვ.
229.

...ამიერით-გან არღარა მოვილო სხუად საზრდელი... აბო ტფილ.,
გვ. 28.

ანალოგიური მდგომარეობაა „ვეფხისტყაოსანში“-ც: კითხვაზე — **საი-
დან?** მიუგებს უთანდებულო მოქმედებითიცა და **-გან** თანდებულისანიც.

უთანდებულო მოქმედებითის ნიმუშები „ვეფხისტყაოსანში“:

...სასიძოცა მოგვივიდა, იყენეს ხანთა არ დამზმელი

შიგნით ჩვენნი გაეგებნეს, გარეთ (=გარედან) მოდგეს ხვარაზ-
მელნი... ხანა 460, ი. აბულაძის გამოცემა, 1926 წ.

...იგი ვნახე, დავებნივე, გონებანი გამიშმაგნა

შორით უჳმე: რაშიგან ვართ ანუ ცეცხლმან რად დავგდაგნა...
იქვე, ხანა 479.

...არსით ნავი მომავალი უნახავად არ დავავდი... იქვე, ხანა, გვ. 494.

...არ მომწუროდეს წინანი ზურგით მესროდეს მე ოდეს... იქვე, ხანა
513.

...მომეჯარნეს, ველარა ვქმენ, ნავით ცხენი გარდვიხტუნე... იქვე, ხანა
514.

შიგნით = შიგნიდან, შორით = შორიდან, არსით = არსაიდან, ზურ-
გით = ზურგიდან, ნავით = ნავიდან...

თანდებულისანი მოქმედებითის ნიმუშები „ვეფხისტყაოსანში“:

...მითხრა თუ, ძმაო, დღესითგან ცუდ ჩემი ღვინი ყოველი... ხანა 550.

...აჰა, ძმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა გკვდები... ხანა 561...

2. თანდებულისანი მოქმედებითი კითხვაზე — საიდან? იძლევა კიდევ
ერთს სახეობას; ესაა: — **ამ:** სოფლიდამ, ქალაქიდამ, გზიდამ... ასეთი

ფორმები ძალზე ხშირია აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ენაში და ზოგჯერ ერთად ერთ ფორმასაც კი წარმოადგენს ხოლმე.

რამდენიმე მაგალითი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერლებიდან“ (ტფილისი, 1908, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა¹): ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირი დამ დადებულა, ყოველი შენობა ძირი დამ ამაღლებულა, მაღლი დამ კი შენობა არსად არ დაწყებულა (გვ. 26). ...შავი კლდის გული დამ გადმომსკდარი მიდის... (გვ. 26). ...ოთახი დამ გარედ გამოვედი... (გვ. 25). ...როცა სახლი დამ გავიდოდი... (გვ. 22). ...საი დამ უნდა შემეტყო... (გვ. 21). ...ახლა დავიწყო იქი დამ... რაკი იქი დამ დავიწყეთ... (გვ. 19). ...განათლებულის ქვეყნი დამ მოსული კაცი... (გვ. 18, 15). ...ერთის საგნი დამ მეორეზე გადახტებით ხოლმე... (გვ. 17). ...ერთი თავი დამ რომ გადააფურთხო... (გვ. 16). პეტერბურგი დამ (იქვე) ...ვლადიკავკასი დამ გამოვედი... (გვ. 12). ...დაიძრნენ, როგორც იყო ადგილი დამ... (გვ. 9). ...როცა თავლები დამ ცრემლებს გვაყრევიანებს ხოლმე... (გვ. 7). ...ვლადიკავკასი დამ ტფილისამდე... (გვ. 7).

სპეციალურს ლიტერატურაში ეს **-ამ** მიჩნეულია **-ან**-ისაგან მიღებულ პარალელურ ფორმად.

ასე ხსნის ამას აკად. ნ. მარი „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ (ლენინგრ. 1925 წ.)

„ქალაქითგან → ქალაქიდგან → ქალაქიდან || აღმოს. საქართ. ქალაქიდან от || из города (გვ. 21, § 32).

ასეთივე აზრისა იყო განსვენებული დ. კარიჭაშვილი:

„გან(ა) როდესაც მოქმედებითს საბრუნავს სთხოულობს, ლაპარაკში და ახალს მწერლობაში ხშირად საბრუნავის საბოლოოების **-თ** ბგერას **-დ** ბგერად აქცევს; მაგალ. ამბობენ და სწერენ: სახლიდ-გან (ნაცვ. სახლით-გან); ციდ-გან (ნაცვ. ცით-გან). ზოგჯერ ამ შეცვლილ ნაკვთში ახალი ცვლილება ხდება: თანდებულის დასაწყისი **გ-** ბგერა იკარგება და ამბობენ (კიდევ სწერენ) სახლიდ-ან (ნაცვ. სახლიდ-გან). ცვლილება ამით არ თავდება. ხშირად ამ შეცვლილს ფორმაში **ბოლო ბგერა ნ მ- ბგერად იქცევა და ამბობენ და სწერენ სახლიდ-ამ** (ნაცვ. სახლიდან)“ (იხ. „ქართული ენის გრამატიკა, 1930 წ. გვ. 125. — ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ამგვარი გავება არ მართლდება. საკმარისია მოვიგონოთ შემდეგი გარემოება: სოფლ-ით-გან → სოფლ-იდ-გან → სოფლ-იდ-ან...

სამივე ფორმა განვითარების ერთს ხაზზე მდებარეობს; ბოლო წევრს **-ან**-იანი წარმოება ქმნის (სოფლიდ-ან); თუ **-ამ**-იანი წარმოება (სოფლიდ-

¹ ვარჩიეთ ეს ძველი გამოცემა.

ამ) -ან-იანს (სოფლიდ-**ან**) დავუკავშირეთ, ის ამ უკანასკნელისაგან მიღებულად უნდა ჩავთვალოთ (და არა პირუკუ). ამიტომ იყო, რომ დ. კარიჭაშვილი ამბობდა: ბოლო ბგერა **-ნ -მ** ბგერად იქცევა და ამბობენ და სწერენ, სახლიდ-**ამ-ო**.

მაგრამ თუ ეს ასეა, სახლიდ**ამ**, სოფლიდ**ამ** მას შემდეგლა შეიძლება და მიგველო, რაც სახლი**დან**, სოფლი**დან**-სახეობას მიაღწია მოვლენის განვითარებამ, ე. ი. **ისტორიულად** სახლი**დამ**, სოფლი**დამ** არ შეიძლება **უსწრებდეს** სახლი**დან**, სოფლი**დან** -ტიპს, **ის მას უნდა მოხდევდეს**.

ნამდვილად კი **-ამ -ტიპი გაცილებით უფრო ადრე ჩნდება, ვინემ** ის **-ან**, რომლისაგან მიღებულადაც ეს **-ამ** მიაჩნიათ.

ქალაქი**დამ**, სოფლი**დამ** და მაგვარი ფორმები სპორადულად უკვე მეჩვიდმეტე საუკუნეში გვაქვს, მეთვრამეტეში კი ჩვეულებრივია; სოფლი**დ-ან**, ქალაქი**დ-ან**-ის ტიპი კი ამ ხანებში არსად ჩანს: იგი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება სალიტერატურო ქართულში. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში არა თუ ეს მესამე საფეხური (სოფლი-**დან**) არა გვაქვს, არამედ მეორე საფეხურიც (სოფლი-**იდ-გან**) აქა-იქ გვხვდება.

ასე, მაგალითად, დავით გურამიშვილთან, ერთსა და იმავე ტექსტში სულ ორი მაგალითი გვაქვს ამ მეორე საფეხურისა (არც ერთი — მესამისა), **-ამ** კი ათეულს იძლევა. შდრ.:

იდ-გან:

...რაც მომებოძა თ ა ვ ი დ გ ა ნ ბოლო ჟამს ისევ წამერთო... გვ. 135, „დავითიანი“, 1931 წლ. გამოცემა ალ. ბარამიძისა და სოლ. იორდანაშვილის რედაქციით;

...თავს თ ა ვ ი დ გ ა ნ გაუფრთხილდი, არცად უკუაგლო ჭირში... გვ. 76.

-ამ იმავე მანძილზე:

...არ ძალმიძს ა ქ ე დ ა მ დაძვრის ღონეო... „დავითიანი“, გვ. 110;

...კიტრი უ ბ ი დ ა მ გამცვივდა, გულზე მამედვა ცეცხლადა... იქვე, გვ. 112;

...რომელიც კაცნი ქართველნი ქ ა რ თ ლ ი დ ა მ გადმოგვყოლია... იქვე, გვ. 129;

...ექვსის წლით წინათ ჩემს უკან ქ ა რ თ ლ ი დ ა მ წაბრძანებულნი... იქვე, გვ. 118;

...ასე მიამა, პ ი რ ი დ ა მ გავყარე ყურძნის მარცვალი... იქვე, გვ. 115;

...ც ი ხ ი დ ა მ თეთრი ალამი გაშალეს, გარდმოჰკიდესა... იქვე, გვ. 122.

...რაც მე ი ქ ი დ ა მ მომესმის, თქვენ ჩემგნით მოვესმინება... იქვე, გვ. 126;

...ველარცად წავალ ა ქ ი დ ა მ... იქვე, გვ. 128;

...გამოქობილ კ ლ დ ი დ ა მ წამოსულს... შეხვდენ... (სათაურია) იქვე, გვ. 108;

...ტყვეობიდან გამოსვლის დროს... იქვე, გვ. 145;
 ...შტო მაიწოდა ზეიდან ქვემდო... იქვე, გვ. 146;
 ...როგორც შორიდან სტირთა ჯმა ესმა... იქვე, გვ. 308.

ამავე მასალაში რამდენიმეჯერ ვხვდებით **-ით-გან** ტიპს (პირველი საფეხური!) და ორიოდ შემთხვევაში უთანდებულო მოქმედებითაც:

-ით-გან — თანდებულისანი მოქმედებითი კითხვაზე — საიდან?
 ...ვითა სმოდა პირველი თგან... დავითიანი, გვ. 128;
 ...მალღითგან ნახა, სირბილით კაცი კიბეზე ახტოდა... იქვე, გვ. 55;
 ...ცხვარი გარეკეს ჭალითგან ველად... იქვე, გვ. 250;
 ...რა ახლა იცან საწუთრო დასაბამითგან მბრუნავი... იქვე, გვ. 130;
 ...არავინ უწყის მუნითგან ცოცხალი ვინ იხსნებაო... იქვე, გვ. 140.

-ით (=იდან)— უთანდებულო მოქმედებითი კითხვაზე — საიდან?
 ...იყვნენ მოსასვლელ შორითა (=შორიდან)... გვ. 84;
 ...მეფე რომ გაღმით (=გაღმიდან) წაბრძანდა... გვ. 125;
 ...მალღით დასწივა (=მალღიდან დასწია)... გვ. 145.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ სამი ტიპიდან: სოფლით-გან → სოფლიდ-გან → სოფლიდ-ან — დავით გურამიშვილისათვის სრულებით უცხოა მესამე (სოფლიდ-ან), იშვიათია მეორე (სოფლიდ-გან: ორიოდ შემთხვევა!); ამ უკანასკნელთან შედარებით მეტია პირველი (სოფლით-გან). ერთი სიტყვით, არა თუ მესამე ტიპი, რომელიც განვითარების მესამე საფეხურს გვიჩვენებს, არ არის მოცემული, არამედ მეორე, შუა, საფეხურიც კი არ არის გავლილი, — იგი მხოლოდ იწყება: **გ**-ს ზეგავლენით **თ** თითო ოროლა შემთხვევაში ქცეულია **დ** ბგერად... ამავე დროს უხვადაა **-ამ** ტიპის (ქართლიდამ, უბიდამ ციხიდამ, კლდიდამ...), რომლის მისაღებად, აკად. ნ. მარისა და დ. კარიჭაშვილის აზრით, **-ან** ტიპი იყო საჭირო (ქართლიდან || → ქართლიდამ, კლდიდან || → კლდიდამ...).

დ. გურამიშვილის ზემოთ მოყვანილი მაგალითები და მეთვრამეტე საუკუნის სხვა ძეგლებში არსებული მდგომარეობა ცხადყოფს, რომ **-ამ** ტიპი (ქართლიდამ, სოფლიდამ) არ არის მიღებული **-ან** ტიპისაგან (ქართლიდან, სოფლიდან): პირველი ისტორიულად უსწრებს მეორეს. და ეს ნიშნავს, რომ **-ამ** ტიპი სხვა წარმოშობისაა.

იმავე დ. გურამიშვილთან მოიპოება **-ამე** ვარიანტი **ამ**-ის პარალელურად:

...თერგიდამე სოლალს წაველ, სოლადიდამ ამტარხანსა... დავითიანი, გვ. 117.

...მე მომიტხრეს მ ა ნ დ ე დ ა მ ე — ახლა ადექ, სხვაგან წადი... იქვე, გვ. 144.

ეს არ არის დ. გურამიშვილის ენის ინდივიდუალური თავისებურება: მეთვრამეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის სხვა ძეგლებშიც მეორდება ეს: მ ა - მ უ ლ ი დ ა მ ე (=მამულიდან):

...ერთი დიდათ ხელმოკლე და უილაჯო გახლავარ. რამთვენის ჩემის მ ა - მ უ ლ ი დ ა მ ე გარდმოვარდნილი აქამდით ქიზიყს გახლდი ხმელსა და უწყლოს ალაგს“... (არზა ერეკლე მეორის სახელზე, 1772 წ. — იხ. „საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 144).

ი ს პ ა ა ნ ი დ ა მ ე (=ისპაანიდან).

...მაშინ შენ და პაატას ტუსიშვილს პირობა გქონდათ, თავგარდადებით გარდმო(გვ)ყევით ი ს პ ა ა ნ ი დ ა მ ე მანამდინ ყანდაარს ჩავი-ლოდით“... (წყალობის წიგნი თეიმურაზ მეორისა გურგენიძეებისადმი, 1740 წ. — იხ. „საქართველ. სიძველენი“, ტ. III, გვ. 454).¹

ტ ა ხ ტ ი დ ა მ ე (=ტახტიდან)

„ტ ა ხ ტ ი დ ა მ ე ჩამოაგდო, წაიყუნა ჯორცთა მცოხრად“... (ფეშანგი: შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანაშვილის რედაქციით, 1936, გვ. 56, ხანა 309).

-ამ დაბოლოების ადგილი ამ მაგალითებში დაიჭირა **-ამე**-მ. ამით **-ამ** დაშორდა **-ან**-ს: **-ანე** ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქ ა რ თ უ ლ მ ა არც მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში იცოდა და არც სხვა დროს — მანამდითუ მის შემდეგ.

საიდან მოდის ეს **-ამე?** ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა შემდეგი მაგალითები:

ა ქ ა დ ა ლ მ ე (=აქედან):

...დავითის ძევ, დავით მივსენ ა ქ ა დ ა ლ მ ე ო... დავითიანი, გვ. 111.

ქ ე ჯ ა ო დ ა ლ მ ე (=ქეჯაოდან ე. ი. ტახტრევანიდან):

...ქ ე ჯ ა ო დ ა ლ მ ე გარდახდა, ეტლი დააგდო მზემან და... თეიმურაზ I, ლეილმაჯუნნიანი, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილ. 1934, გვ. 34.

ბ ო რ კ ი ლ ი დ ა ლ მ ე (=ბორკილიდან):

...ბ ო რ კ ი ლ ი დ ა ლ მ ე აეხსნა იგ ყოვლთა საქებარია: იქვე, გვ. 127 (წამება ქეთევან დედოფლისა).

¹ ამავე დოკუმენტში გვაქვს: საგრიდამ... დაღისტნიდამ..., ერთიც **-იდგან:** განხორციელებიდაგან...

ტ ა ხ ტ ი დ ა ლ მ ე (=ტახტიდან):

...ტ ა ხ ტ ი დ ა ლ მ ე ჩამოვარდა ჩაიჭადა ფიცხლავ მჭარსა... შაკ-ნამეს ქართული ვერსიები, ი. აბულაძის რედაქციით, ტფილ. 1916 წ. გვ. 102, ხანა 339.

ც ხ ე ნ ი დ ა ლ მ ე (=ცხენიდან):

...რა ნარიმან ფრიდონ ნახა, ც ხ ე ნ ი დ ა ლ მ ე ჩამოვიდა... იქვე, გვ. 35, ხანა 108.

ზ ღ ვ ი დ ა ლ მ ე (=ზღვიდან):

...მოზიდა, გამოიყუანა ზ ღ ვ ი დ ა ლ მ ე კიდევ მთელია... იქვე, გვ. 141, ხანა 475.

ნ ა თ ლ ი დ ა ლ მ ე (=ნათლიდან):

...შორს მოუარეთ, მივედით, შემოვადეგით გარეო, მით ნ ა თ ლ ი დ ა ლ მ ე გამოვდა ჳმა, ჩვენი მოუბარეო... „ვეფხისტყაოსანი“, ი. აბულაძის გამოცემა (1926 წ.), ხანა 1087.

ნ ა ვ ი დ ა ლ მ ე (=ნავიდან):

...მით ნ ა ვ ი დ ა ლ მ ე მათ რომე გარდმოსვეს კიდობანითა აჰვადეს, ქალი გარმდოვდა უცხოთა რათმე ტანითა... იქვე, ხანა 994.

მ უ ნ ი დ ა ლ მ ე (=მუნიდან, იქიდან):

...ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოთა ეპატრონე, მ უ ნ ი დ ა ლ მ ე გვმსახურებდი, თავი შენი დაგვამონე... იქვე, ხანა 1416.

ძეგლები წარმოგვიდგენენ ამავე გაფორმების მეორე ვარიანტსაც, რომლისაგანც **-დაღმე** უნდა მომდინარეობდეს; ესაა **დაღმა** (|| **დაღმან**):

ტ ა ხ ტ ი დ ა ლ მ ა (=ტახტიდან):

ტ ა ხ ტ ი დ ა ლ მ ა ჩამოვარდა, საყელონი გარდხივნა... შაკ-ნამეს ქართული ვერსიები, გვ. 125, ხანა 419.

ს პ ი ლ ო დ ა ლ მ ა¹ (=სპილოდან):

ს პ ი ლ ო დ ა ლ მ ა ჩამოაგდო და შეუკრა მაგრა ჳელი... იქვე, გვ. 123, ხანა 408.

ც ხ ე ნ ი დ ა ლ მ ე (ცხენიდან):

...ც ხ ე ნ ი დ ა ლ მ ა ჩამოიჭრა, დაეხეთქა, დაემყარა... იქვე, გვ. 105, ხანა 348.

ს ა მ ა ნ დ ი დ ა ლ მ ა (=სამანდიდან, საომარი ცხენიდან):

¹ რედაქტორი მიუთითებს ვარიანტზე: ს პ ი ლ ო დ ა ლ მ ა, ხელნაწერიდან №1505.

...სამანდიღალმა ჩამოკდა, მეფეს შეჰყარის სალამი... იქვე, გვ. 87, ხანა 284.

ციხიღალმა (=ციხიდან):

...ციხიღალმა გამოუტდეს, ერთმანერთსა შეუტიგნეს... იქვე, გვ. 167, ხანა 560.

რედაქტორი მიუთითებს ვარინტზე ხელნაწ. №1505: ცხენი-ღალმე.

ტყიღალმა (=ტყიდან):

...დამალულიყუნეს, გამოძვრეს ტყიღალმა, ვითა მელია... იქვე, გვ. 151, ხანა 509.

ძირიღალმან (=ძირიდან):

...ძირიღალმან ციხეს მივა, ესმა ომისა მძებნელსა... იქვე.

იქიღალმან... აქაღალმან (=იქიდან... აქედან):

...რა ბარამან დაინახა, იქიღალმან მიმართა მან, ვით პილონი შეიძვრნეს, აქაღალმან მიმართა მან... იქვე, გვ. 526, ხანა 1932.

ქიშვადიღალმან (ვარიანტი ხელნაწ. №1501: ქიშვადიღალმა):

...ქიშვადიღალმა ჯაშუშნი გაძვრეს მართ, ვითა მელია... იქვე, გვ. 133, ხანა 445.

არეთაღალმან (ვარიანტი ხელნაწ. №1505: ჰაერთაღალმა):

...შუბისა, ვლმისა ნალეწი არეთაღალმან ცვიოდა... იქვე, გვ. 161, ხანა 541.

ეს მაგალითი სხვა მხრივაც საინტერესოა: აქ ძველებური **ნ-/თ**-იანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვაა წარმოდგენილი (თუ ტექსტში შეცთომა არაა).

მთიღალმა, სიღალმა, ღვთიღალმა, მზიღალმა (=მთიდან, საიდან, „ღვთიდან“, მზიდან):

...ნარიმანს ესმა ამბავი: „ფრიღონ მოსულა მთიღალმა!“

იკითხავს: „ვისი გვარია ანუ გამოჩნდა სიღალმა?“

ჰკადრეს: „აფთიონის ძეა, საფარველი აქუს ღვთიღალმა,

და თქუენცა გმართებს ნახვა მისი, კაცი გაგზავნეთ მზიღალმა!“ იქვე, გვ. 33, ხანა 104.

ზედაღალმან (=ზემოდან, ზევიდან):

...ჩემნი ყმანი ზედაღალმან ჩაეპარნეს, ვითა ფრენით

დაევაჭრნეს, არ მიჰყიდეს, შავნი ვნახენ მეტად წყენით! „ვეფხისტყაოსანი“ ი. აბულაძის გამოცემა (1926 წ.), ხანა 997.

ტყუეობი და ღმან (=ტყუეობიდან):

...მოხედა მოწყალეზამან ღთისამან და მოვიდა მეფეთ-მეფე ბატონი სუიმი-
ონ ტყუეობი და ღმან... იტრიის ეკლესიის გუჯარი (1578-
1600 წ.): საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 126.

ყაენი და ღმა (=ყაენიდან):

...მე ბედნიერის ყაენი და ღმა წამოველო და ჩემს მამულში მოვე-
ლო... ეკუთვნის 1620 წ.: საქართველ. სიძველენი, ტ. II, გვ. 58.

ლორი და ღმა (=ლორიდან):

...ოდეს ბედნიერთ ვეღმწიფეთა პაპა-მამათა ჩუენთა პაპა თქუენი და მამა
თქუენი ლორი და ღმა აეყარა და სომხეთს გარდმოესხა...
როსტომ მეფის სიგელი, ეჭუბისშვილის დონდარასთვის ბოძებუ-
ლი (1651 წ.): საქართველ. სიძველენი, ტ. III, გვ. 2.

თეიმურაზ პირველის „ქეთევან დედოფლის წამებაში“ გვხვდება:

კარი და ღმა (=კარიდან):

მხედართ ხელი ჰკრეს, გააგდეს კარი და ღმა თავშიშველია... იხ. თხზუ-
ლებათა კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით,
გვ. 133.

ეტყობა აქ ეს სიტყვა შეკვეცილია ლექსის საჭიროებისათვის: შეიძ-
ლებოდა ყოფილიყო „კარი და ღმა“ ან „კარი და ღმა“.

შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა მაგალითები, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს
არაა საჭირო. ზემოთ ნაჩვენები მაგალითები ეკუთვნის XIII-XVIII საუკუნე-
ებს.

ამ მაგალითების საფუძველზე **-ამ**-ის წარსული ასეთ სახეს იღებს:

-ამ ← **ამე** ← **(დ)აღმე** || **დ(აღმა)**; უკანასკნელი ზოგჯერ დაირთავს **ნ**-ს:
-დაღმან; **სოფლიდამ** ← **სოფლიდამე** ← **სოფლიდაღმე** || **სოფლიდაღმა**.

მაშასადამე: მოქმედებითს ბრუნვას დართვია „დაღმა“; მის ზეგავლე-
ნით მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოების **-თ** დაკარგულია (ნაკლებ საფიქ-
რებელია, რომ **დ**-ს გაემყლერებინოს წინამავალი **-თ** და შემდეგ თითონ
დაკარგულიყოს); თანდებულად ქცეულ **დაღმა**-საც თანდათანობით ეცვლე-
ბოდა სახე, სანამ ის **-დამ** ნაწილაკამდის არ დაილია; თანდებული შე-
დუღდა სახელის ფორმასთან, ცვალა ისიც, იცვალა თვითონაც; არსებითად
ეს იმგვარივე პროცესია, როგორსაც **-გან** თანდებულის დართვისას ჰქონდა
ადგილი, ოღონდ აქ თანდებულმა მეტი ცვლილება განიცადა.¹

¹ შეიძლებოდა კაცს ეფიქრა — ეს „დაღმა“ ნათესაობითს ბრუნვას დაერთო, მაგრამ ეს შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს: ნათესაობითის **-ის** დაბოლოებას შეუძლებელია **-ს** ზოგან მაინც არ შეენება, **დ**-ს მეზობლობა **ს** ბგერისათვის სავსებით ასატანია.

როგორ გახდა შესაძლებელი - დაღმე || - დამე მიგველო - დაღმა - საგან? საფიქრებელია, იმავე გზით, როგორადაც გაკეთდა კიდემე, მაგრამე, რომელთაც ვხვდებით იმავე ეპოქის ძეგლებში (...მაგრამე მოკითხული ვქენით... საქართვე. სიძველენი, ტ. I, გვ. 127, ეკუთვნ. 1706 წ. ...კიდემე სახარება სტამბისა ერთი... საქართვე. სიძველენი, ტ. III, გვ. 483, 1712 წლ. მზისთვის წიგნი)...

რამდენად გამოსადეგი უნდა ყოფილიყო დაშორებითი მნიშვნელობის გადმოსაცემად (კითხვაზე: საიდან?) „დაღმა“-? ამას ერთგვარად გასაგებს ხდის „წაღმა“- სიტყვის ხმარება გამოთქმაში: ...ვინ გინდა ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, მერმე თქვენც ასრე დაუთავეთ... (საქართვე. სიძველ. ტ. II, გვ. 27, ეკუთვნ. 1608 წ.): „დღეის წაღმა“ = დღეის იქით, დღეიდან... „დაღმა“-საც ხომ დაახლოებით ამგვარივე როლის შესრულება უხდება...

დავასკვნათ: 1. სოფლიღამ არ არის სოფლიდან-ის ფონეტიკური ვარიანტი; აქ სხვადასხვა თანდებული ერთვის სახელს; უკანასკნელ შემთხვევაში (სოფლიდან) — **გან-** თანდებული, პირველ შემთხვევაში (სოფლიღამ) — **ღამ-** თანდებული.

2. **-ღამ** თანდებული მიღებულია **დაღმა-** ზმნისართისაგან; ამ უკანასკნელმა გამარტივების პროცესში გაიარა რამდენიმე საფეხური: **დაღმა || დაღმე → დამე (|| დამა) → დამ.** ყველა ეს საფეხური ისტორიულად დასტურდება მეცამეტე საუკუნიდან მეთვრამეტემდის (ჩარიცხვით): უკვე მეჩვიდმეტე საუკუნეში შესაძლებელია **-ღამ-**ი შეგვხვდეს **დაღმა || დაღმე-**ს ადგილას და, პირუკუ, მეთვრამეტე საუკუნეშიც აქა-იქ კიდევ ამოტივტივდება **ღ-**იანი სახე (დაღმე), თუმცა გაბატონებული ვარიანტია **-ღამ.**

3. **-გან** თანდებული ძვ. ქართულიდან მოყვება სალიტერატურო ენას, **-ღამ** კი ე. წ. საშუალო ქართულში ყალიბდება და იქიდან გადმოდის ახალს ქართულში. ე. წ. საშუალო ქართულში და შემდეგ ახალს ქართულში ეს ორი თანდებული პარალელურად იხმარება; თავდაპირველად მათ შორის მნიშვნელოვანი გარეგნული სხვაობაა; შდრ. მეჩვიდმეტე საუკუნის: მთიღამა, ერთის მხრით, და მთითგან (მთიღგან — იშვიათად!), მეორე მხრით. მეცხრამეტე საუკუნეში, მას შემდეგ რაც **-გან-** თანდებული კარგავს **გ-**ს (მთიღგან → მთიღან), მოქმედებითს ბრუნვასთან ეს ორი თანდებული მხოლოდ ერთი ბგერით გაირჩევა: მთიღან, სოფლიღან — მთიღამ, სოფლიღამ...

მეოცე საუკუნის სალიტერატურო ქართულში განმტკიცდა „მთიღან, სოფლიღან“ წარმოება, **-ღამ** თანდებულიანი მოქმედებითი თითქმის აღარ იხმარება მიუხედავად იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის სივრცეზე ის იხმარებოდა უპირატესად.

4. ქართულში არ არსებობს **-დან** თანდებული (სოფლიდ-**ან** — აქ სახეცვლილი **-გან** გვაქვს), მაგრამ არის **-დამ** თანდებული (სოფლი-**დამ**).

ამ უკანასკნელის ვინაობა საინტერესოა არა მარტო ქართული ენის ისტორიისათვის, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც: სოფლიდამ ითვლებოდა სოფლიდან-ის პარალელურ ფორმად, ამ უკანასკნელისაგან მიღებულად; თითქოს ყველაფერი ამის სასარგებლოდ ლაპარაკობდა: განსხვავება მხოლოდ ერთს ბგერაში იყო; **მ — ნ** ფონეტიკურად ერთმანეთთან ახლოს დგანან. თითქოს ყველაზე მარტივი იყო მათი შენაცვლებით აგვეხსნა ამ ორი ფორმის არსებობა, და მაინც ეს უმარტივესი ახსნა სწორი არ აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ ამჟამად ერთმანეთთან ახლოს მდგომნი, ერთმანეთის მსგავსნი, წარსულში სრულიად განსხვავებულნი იყვნენ: მსგავსება მერმინდელი აღმოჩნდა...

ზოგადი ენათმეცნიერების ცნობილი დებულებაა: **ოდესღაც მსგავსი, ერთნაირი მონაცემები დროთა ვითარებაში შეიძლება არსებითად იცვალოს, განსხვავებული აღმოჩნდეს** და პირუკუ: **არსებითად განსხვავებული მონაცემები დროთა ვითარებაში შეიძლება ერთმანეთს დაემსგავსოს** (პირველი უფრო ხშირია, მეორე — ისე არა).

ჩვენი შემთხვევა ამ უკანასკნელი დებულების მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს. ამასთან, ჩვენი თანდებულის მაგალითზე ერთხელ კიდევ დასტურდება დებულება: სადაც მოვლენის ისტორია გარკვეული არ არის, იქ სწორი ანალიზი შემთხვევით თუ მიიღება.

V. ОБ ОДНОМ НЕИЗВЕСТНОМ ПОСЛЕЛОГЕ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(РЕЗЮМЕ)

В грузинском языке послелог -გან -gan сочетается с родительным падежом (на вопросы: от кого? из чего?) и с творительным падежом (на вопрос: откуда?). В последнем случае определенные фонетические изменения претерпевают, как окончание творительного падежа, так и сам послелог: ქალაქით-გან k'alak'it'-gan → ქალაქიდ-გან k'alak'id-gan → ქალაქიდ-ან k'alak'id-an – "из города".

В новогрузинском литературном языке, а также в говорах Вост. Грузии имеется параллельное образование ქალაქიდ-ამ k'alak'id-am "из города"; в специальной литературе оно считается полученной из ქალაქიდან k'alak'idan в результате замены конечного **ნ** *n* носовым же **მ** *m*. Но, проследивая историю обоих образований, находим, что тип ქალაქიდა^მ k'alak'idam исторически предшествует типу ქალაქიდა^ნ k'alak'idan, причем выясняется, что ქალაქიდა^მ k'alak'idam восходит к ქალაქიდა^{ლმა} (ქალაქით-და^{ლმა}) k'alak'ida^{lma} (k'alak'it'-da^{lma}), причем посредствующими звеньями служат ქალაქიდა^{მა} || ქალაქიდა^{მე} || ქალაქიდა^{ლმე} k'alak'idama || k'alak'idame || k'alak'ida^{yme}. — Таким образом, образование типа ქალაქიდა^მ k'alak'idam ← ქალაქიდა^{მა} (|| ქალაქიდა^{მე}) k'alak'idama (k'alak'idame) ← ქალაქიდა^{ლმა} (|| ქალაქიდა^{ლმე}) k'alak'ida^{lma} (|| k'alak'ida^{yme})... Все эти ступени развития засвидетельствованы в памятниках грузинской письменности XIII-XVIII веков.

Наш случай представляет прекрасную иллюстрацию известного положения общей лингвистики, согласно которой различные по происхождению явления (ქალაქით-გან k'alak'it'-gan и ქალაქით-და^{ლმა} k'alak'it'-da^{lma}) в процессе развития могут уподобиться до полного совпадения и что без уяснения истории лингвистического факта его правильная квалификация является делом случая.

V. A PROPOS D'UN POSTPOSITION INCONNUE DANS LA LANGUE GÉORGIENNE

(RÉSUMÉ)

Dans la langue géorgienne le postposition -გან -gan s'assimile avec le génitif aux questions: "de quoi", "de qui"? et avec l'instrumental (à la question "d'où").

Dans ce dernier cas la désinence de l'instrumental, ainsi que le postposition même, sont sujets à des changements phonétiques bien déterminés: ქალაქით-გან k'alak'it'-gan → ქალაქიდ-გან k'alak'id-gan → ქალაქიდ-ან k'alak'id-an "de la ville".

Dans la nouvelle langue littéraire géorgienne, ainsi que dans les parlers de la Géorgie Orientale une formation parallèle se retrouve: ქალაქიდაჲ k'alak'idam "de la ville".

Il est établi dans la littérature spéciale que la formation du type ქალაქიდაჲ k'alak'idam à été résultat de la substitution de l' **ნ** *n* final par la nasale **ჲ** *m*.

Mais, si nous étudions attentivement l'histoire des deux formations, nous trouverons que le type ქალაქიდაჲ précède celui de ქალაქიდან (au point de vue historique); en même temps on voit que ქალაქიდამ remonte verbs ქალაქიდალმა (ქალაქით-დალმა) k'alak'idayma (k'alak'it'dayma), ქალაქიდამა || ქალაქიდამე || ქალაქიდალმე k'alak'idama || k'alak'idame || k'alak'idayme.

De là, la formation du type ქალაქიდამ k'alak'idam — ქალაქიდამა || ქალაქიდამე k'alak'idama || k'alak'idame ← k'alak'idayma || k'alak'idayme)...

Tous ces degrés de développement sont confirmés dans les textes des manuscrits géorgiens (depuis le XIII jusqu'au XVIII siècle).

Notre cas représente le tableau exact de la thèse bien connue dans la linguistique générale, d'après laquelle les phénomènes d'origine différentes (ქალაქით-გან k'alak'it'-gan et ქალაქით-დალმა k'alak'it'-dayma) peuvent s'assimiler jusqu'à une identification complète dans l'évolution de leur développement.

VI. ს- ბგერის დასუსტება ქიზიურში

წერილში „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“ ჩვენ ვამბობთ: „ვი-ნით აღნიშნულ ბგერებს გარდა გარე-კახურის თავისებურებებს სანის, თუ შეიძლება ითქვას, მთელი ენობრივი ფრონტის გასწვრივ დასუსტება განსაზღვრავს; იგი თავს იჩენს: 1. ფუძისეულ ელემენტებში უპირატესად ზოგიერთ თანხმოვანთა წინ — თანის, ტარის წინ (ნაწილობრივ კანის, პარის წინაც); 2. მორფოლოგიურ ელემენტებში; სახელდობრ: ბრუნებაში — ნათესაობითსა და მიცემითში (მხოლ., მრავლ.); უღვლილებაში — როცა მას წინ თანხმოვანი მიუძღვის და ზოგჯერ მამინაც, როცა წინ ხმოვანი მიუძღვის. ამ დასუსტების ორი საფეხური შეიძლება იქნეს განსხვავებული: ზოგან იგი ძეს სახით (ოდნავი ასპირაციით) არის შენახული, ზოგან კი ნულამდი ჩამოსულა, უკვალოდ გამქრალა; აკუსტიკურად ყოველს შემთხვევაში მისი შემჩნევა არ ხერხდება“ (იხ. კრებული „არილი“ 1925 წ., გვ. 65-66).

ფაქტები, რომელთაც ვემყარებოდით ამ მსჯელობის დროს, ასეთი სახისა იყო: კოდაფე (გორაკის სახელია საგარეჯოს მახლობლად; უნდა იყოს: კოსტაფე), ძტუმარი, ძტანცია, ოძტატი, კომბოძტო, სუძტი, დაძტური, ქრიძტიანი, დოძტოლი, ნეძტორა, ჩუძტი, მანიფეძტი — აქ **ს** ძედ არის ქცეული. მაგალითებში, როგორცაა: ტროძ (-სტროძ), ტუმარი, ტრაყნიკი, ტაქანი, კამი, პიჩკა, კვირითავი — **ს** სრულებით იკარგება. იმავე წერილში გათვალისწინებულია **ს**-ს დასუსტება ნათესაობითსა და მიცემითში, როგორც თანხმოვნის, ისე ხმოვნის შემდეგ, აგრეთვე ზმნებშიაც: აღნიშნულია, თუ სად, რა პირობებში უნდა ყოფილიყო უფრო ადვილი პროცესის დაწყება და როგორ შეიძლებოდა წარმოგვედგინა მისი ვითარება... ზმნების შესახებ, კერძოდ, ნათქვამია: „**ს**-ანის საერთოდ დასუსტების შედეგად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ფორმების არსებობა, როგორცაა ჰყავ, აქვ (II აქ), გავ, არა უშავ, მითქომ, შაუბამ; აქ თითქმის ყველგან თანხმოვნის შემდეგ იკარგება **ს**-ანი; მაგრამ გაცილებით უფრო დამახასიათებელია და **ს**-ანის მომავალი ვითარებისათვის საგულისხმო რამდენიმე შემთხვევა **ს**-ანის დაკარგვისა ხმოვნის შემდეგ ზმნებში: აძოებდე (=აძოებდეს), გააფუჭე (=გააფუჭეს), გადაუწყვიტე (=გადაუწყვიტეს), შაჭამოძ (=შაჭამოს). საფიქრებელია, ამიტომაც, რომ **ს**-ანის დასუსტება გარე-კა-

ხურში მომავალში უფრო ფართო ხასიათს მიიღებს“ (იქვე, გვ. 68-69).

გვეფიქრებოდა, რომ ს-ანის დასუსტება წმინდა ფონეტიკური ხასიათისა იყო და, მაშასადამე, მოსალოდნელი იყო, რომ იგი დაიწყებოდა უფრო ხელსაყრელ პირობებში თანხმობებთან, ხმოვნების შემდეგ მისი დასუსტება კი შემდეგში იჩენდა თავს... ამიტომაც ზმნაში ხმოვნის შემდეგ ს-ის დაკარგვის ორიოდ შემთხვევა განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენებოდა; მასში ვხედავდით პროცესის ყველაზე შორს წასვლის ნიშნებს.

ქიზიყურის ის მცირეოდენი მასალა (სულ 50 გვ. რვეულის ფორმატისა), რომელიც ჩვენის თხოვნით ჩაწერილ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. მარგო იაშვილის მიერ და საკმაო ზედმიწევნილობით გადმოგვცემს ქიზიყური მეტყველების თავისებურებებს, დიდად საგულისხმოა, როგორც მორფოლოგიური და სინტაქსური, ისე ფონეტიკური მოვლენების გასათვალისწინებლად.

კერძოდ, ს ბგერის დასუსტების პროცესი აქ შორს არის წასული. თუ გარე-კახურში ხმოვნების შემდეგ ს-ს დასუსტება-დაკარგვის თითო-ორიოლა შემთხვევები გვხვდებოდა (სულ 4 მაგალითი 200 გვ. მასალაში), აქ საამისო მაგალითებს მასობრივი ხასიათი აქვს.

ს დასუსტებას გვაძლევს ბრუნების პროცესში (ბრუნვის ნიშანი ნათესაობითა და მიცემითში) და უღვლილებაშიც (მესამე პირის სუბიექტის ნიშანი მხოლოდობითა თუ მრავლობითში: კავშირებითს პირველში, აორისტში, კავშირებითს მეორეში...).

ჯერ **ბრუნებიდან** მოვიყვანოთ მაგალითები:¹

ნათესაობითი ბრუნვის ს სუსტდება და ა-ს გვაძლევს ან სულ იკარგება:

იმ ქალიძვინ გადახტებიან... უთხრა გიორგის: იმიძვინ იღუპებიან... თუ იმიღ ღვიძლ მამიტან... ჩვენზე შვილდ-ისარიღ მსროლავი ხო არავინ არიო... იმიძვიღ თორმეტი წელიწადი არი... მიაღვა ღვევიღ სახლ... გიორგიღ ღეღამ უთხრა ღვესა... იმ ვაშლი ჭამაზე ქალიც დაორსულდა... ღვეღ ღეღა ბანიღამ ავიღა... წამოიღა წყლი პირაღ... დააღვა თავი ძმიღ გზაღ... მივიღნენ სიმამრი სახლთან...

მიცემითს ბრუნვაში -ი იკარგება თანხმობის შემდეგ:

მაავლო პირი ვაშლ (=ვაშლს) და მიუტანა ქალ (=ქალს)... მემრე დაუძახა თავის მოსამსახურეებ (=მოსამსახურეებს)... მეცხვარე სალამურით ცხვარ (=ცხვარს) აძუებდა... მააკლამს ირემ, შშველ (=ირემს, შშველს)... მემრე ღვე (=ღვეს) მოაჭრა ცხრა თავი... გაწბილებული ღეღა ვერაფერ ვე-

¹ რადგანაც ტექსტები გამოქვეყნებული არ არის, მაგალითების მეტი წილი მოგვყავს.

რად ებნება... გაუკრა ფეწები მშველ (=მშველს)... შენ ცოლ (=ცოლს) თითონ დკითხე...

მიცემითს ბრუნვაში -ს სუსტდება დ-დ — ხმოვნების შემდეგ:

დაადგა იმ გზად (=გზას)... ის რქად (=რქას) გადიქნევს... გომპარებიც მიდღევნ წყლი პირად (=წყლის პირას)... მე წავალ და ამ წონისად და ამ ზომისად მჭედელ გავაკეთებინებ (=ამ წონისას და ამ ზომისას მჭედელს გავაკეთებინებ)... ოჰ, ჩემ ძმად (=ძმას) გადჭირებიაო... მაგის დაკვლად რად (=დაკვლას რას) გამადრჩებიაო... ყველად (=ყველას) დადჭრა თავები... პირობა იმად (=იმას) იგეთი აქ... რად (=რას) ილუბებიან ეს ბიჭებიო... იმად (-იმას) კი ემგვანებაო... იმ ხემწიფედ (=ხელმწიფეს) ეგონა... იმ ლამედ (=იმ ლამეს) რო დაწვექ... ერთ დღედ (=დღეს) წავიდა სანადიროდ. ამ დროდ (=დროს) კიდევ წამოავლო (პირი)... ამ დროდ გიორგიმ ფული მიდცა...

ზმნის უღვლილებაში -ს სუსტდება ე, ა, ო ხმოვნების შემდეგ და დ-ს სახეს იღებს:

იმათაც დაკლედ, დასისხლედ, და ხემწიფედ მიუტანედ (=დაკლეს, დასისხლეს და ხელმწიფეს მიუტანეს)... იმ ქალ გაანებედ (=ქალს გაანებეს) თავი... გამოზიდედ, გადაყარედ წყალში... სამთავ ადწივედ ქვაბი (=ქვაბის) საფარობელი და დახურედ ზედ... დაყადალედ ოთხსავ მჭარედ, აილედ და წყალში გადაადგედ იი ქვაბი... იმ დროდ გომპარებმა თქვედ... წყალში ჩაადგედ ჩვენი პატრონი... იმ ღორმა და იმ ირემმა უთხრედ... დაიწყედ გომპარებმა ყვეა... უპასუხედ თავიანთ ანბავი... რო გავიზარდედ, მაშინ მიუთხრედ შენი საქმე... მეეხვივნენ ერთმანეთ, დაკოცნედ... იცხოვრედ ორთავ ძმურად... მაშინ ჩაადგედ ბებერი ცეცხლში და დაწვედ... შუა ლამემდი ისხდნენ და ილაპარაკედ... უთხრედ იმ სოვდაგარს... ერთ უღრავ ტყეში მივიდნენ, იქ დაისვენედ... გამოცვივდნენ ყარაულები, ადწივედ და წამაიყვანედ თავი ცოლთან... დაიჭირედ ფაიტონი... დასხდნენ და იქეიფედ...

ლექსებშიაც სუსტდება -ს:

სამჯერ წამიყვანედ ციმბირ, ვაი დედი-ჩემი ღმერთსა...
მეტი ხანი არ გავიდა, ადტეხედ თოფი ჳმანი...
ჩამოლევწედ სტეკლოები, ნამეტნავ სახლის კარი...
გაიგედ ქართლი შვილებმა, გაქრა ღრუბელი ცაზეა...
ავსტრია გაანადგურედ, ქვაც აღარ არი ქვაზეა...
პოლკი, სამასი ათასი წამადყვანედ ჳავრზეო...
თავზე დახურედ ჩაჩქანი, განჯა¹ წელზე შარატყესა...

¹ ხანჯალი.

ერთი ამასაც მოარტყედ, ამ ოხერ (?) მიმინო ცხენსა...
ერთი ხელი (?) რო ატირედ, სანთელივით ჩამოლხვესა...

ზევით ზმნა ყველგან აორისტში (ნამყო წყვეტილში) იყო; კავშირებით II-შიაც გვექნება ანალოგიური მაგალითები:

უნდა რო წავიდედ და აღარ ეთმობა... აქ იგეთი ციხე-ქალაქი გაკეთდედ, რო ჩემი ქმრი სოფელი მე მეყმოსო... მათხოვრი შვილი რო გადახტედ, იმად უნდა მიდცედ ის ქალი (=მათხოვრის შვილი რო გადახტეს, იმას უნდა მისცეს ის ქალი)... ეხლა... რო გაგვიჭირდედ, როგო უშველოთ ჩვენ ერთმანეთო.. გიორგი ყაზარი მოგიკვდედ... რო მოვიდედ, უთხარ...

ა-ს შემდეგ სუსტდება **-ს** (აწმყო, კავშირებითი II): იმ ხემწიფედ წყალში უდგად სახლი... ეს ახალოხი... ეცვად (=ეცვას) ათი წელიწადი...

ბ სუსტდება **ო**-ს შემდეგ (ისევ კავშირებითი II):

ჩემზე მეტი ვინ უნდა იყოდ (=იყოს)... ან უნდა იყოდ მთავარი ან ღიაკვანი... ბებერს კი უნდა იმ ქალის ძმა დაღუბოდ... ვინც გინდა ბვერი ეწვალოდ, ვერ მავა შვიდი წელია... თუ ვერ გავგზავნი ციმბირსა, დღე დაილიოდ (=დაილიოს) ჩემია...

ცალკე აღნიშვნის ღირსია შემდეგი ორი მაგალითი:

აქ დაუდგები, რო ჩემი პატრონი არამ გა ა ა ფ უ ჯ ო დ (=გააფუჯოსო)... მაშინ ხემწიფემ (დაიძახა): გიორგი სიძედ გა უ მ ა რ ჯ ო დ ო (=გიორგი სიძეს გაუმარჯოსო)... აქ სხვათა სიტყვის **-ო** მოსდევს **ს**-ს მონაცვლე **დ**-ს; ხმოვნის წინ ჩვეულებრივად აღდგება ხოლმე დაკარგული ბგერა; **ს**-ბგერას ესეც არ შველის, იმდენად მკვიდრია ის ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა.

ამ მხრივ მეტად სიმპტომატურია ისეთი შემთხვევები, სადაც **ს** ადგილს უთმობს **დ**-ს **ი**-ს შემდეგ: **ის** → **იძ**... ახალი კომპლექსი **-იძ** ფონეტიკურად ყველაზე ნაკლებ სასიცოცხლოა: ორს მონათესავე ბგერას თითქოს ერთად გაძლება უჭირს. ამას უნდა გაემარებინა **ს**-ს პოზიციები. მაგრამ ასეთს პირობებშიაც **-ს** ვერ ძლებს, **დ**-დ იქცევა: გიორგი იქიდამ მოღის, დევსავანი აქიდან მიდიდ (=მიღის)...

ს-ს დასუსტება მარტო ბრუნებისა და უღვლილების ფორმანტებს კი არ ეხება: ფონეტიკური პროცესისათვის ეს უცნაურიც იქნებოდა. უფორმო სიტყვებშიაც მოიპოვება **ს**-ს დასუსტების მაგალითები, როდ (=როს), როდედ (=როდეს): მემრე ქვაბში როდედ ჩაჯდა, მაშინ უთხრა... შენი თავი როდ წყალში გედევდოთ...

ამგვარად, ქიზიურში **ს** სუსტდება და **დ**-თი იცვლება ანდა სრულებით იკარგება: **დ** ენაცვლება ბოლოკიდურ **ს**-ს ხმოვნების შემდეგ (აგრეთვე **-თ** და **-ტ**-ს წინ); ბოლოკიდური **-ს** იკარგება თანხმოვნების შემდეგ, ზოგჯერ ხმოვნების შემდეგაც.

ს- ბგერის დასუსტება-დაკარგვის პროცესი თავისი ბუნებით იგივეა, რაც გარე-კახურში გვექონდა, ოღონდ ეს პროცესი გაცილებით უფრო შორს არის წასული, ვინემ გარე-კახურში. რ ა ს ა ც გ ა რ ე - კ ა ხ უ რ ი - ს ა თ ვ ი ს ვ ვ ა რ ა უ დ ო ბ დ ი თ **ს - ბ გ ე რ ი ს დასუსტების ხაზით** მომავლისათვის, ის უკვე მომხდარი ფაქტია ქიზიყურისათვის. ამ უკანასკნელში **ს-** ბგერის დასუსტება, ჩანს, უფრო ადრე დაიწყო და ამიტომ უფრო შორსაც წავიდა. **ს-** ბგერის დასუსტება გარე-კახურის გარდა ქართლურშიაც იჩენს თავს; **პროცესის კერა კი აღმოსავლეთით — ქიზიყში — უნდა ვივარაუდოთ.**

მეტი თვალსაჩინოებისათვის ვურთავთ ერთ-ერთ იმ ტექსტთაგანს, რომელიც გამოყენებული იყო **ს-**ს საკითხის გარკვევისას ქიზიყურში.

*

* *

გიორგი-ყაზარისა და დევსაგანის ზღაპარი¹

იყო ერთი ხენწიფე. იმას ყვანდა (?) ერთი ქალი, მზეთუნახავი, ცალკე ოთახში. მუდამ დღე წონამდა. გამოდიოდა სამი ჩარეჭი. მერე ერთი დროება² მოვიდა (?) წვიმა და მოგარდა ღვარი. ჩამაატარა ერთი წითელი ვაშლი. იმ ქალსა ყვანდა (?) გომპარა. იმ გომპარამ მავლო პირი გაშლ და მიუტანა ქალ. ქალმა ვაშლი გაფცქვნა, ნაფცქვენი გომპარამ მიუყარა და გული კიდევ თითონ შეეჭამა. იმ ვაშლი ჭამაზე ქალიც დაორსულდა და გომპარაც. მერე აწონა მამამა და ოთხი ჩარეჭი გამუიდა. მემრე დაუძახა თავის მოსამსახურებ (?) მამამ. „ჩააცვით თავი სადედუფლო ტანისამოსი, გაატარ-გამოატარეთ, წაიყვით და დაკალით!“

ერთ ტრიაფ მინდორზე გაიყვანეს იი ქალი. შადხვდათ ერთი მეცხვარე. სალამურით, ცხვარ აძუებდა. მემრე უთხრა იმ მეცხვარემ მოსამსახურებ (?): — „სად მიგყავთ ეგ ქალი?“ გამოდკითხათ. — „ჩვენ გამოგვატანა ხენწიფემ ეს ქალი; დაკალით, ტანისამოსი დასისხლეთ და სისხლიანი ტანისამოსი აქ მამიტათ!“ მემრე უთხრა იმ მეცხვარემ: „მავის დაკვლად რად გამაძრჩებით? ცხვარ დაგიკლამთ; ეგ ტანისამოსი დასისხლეთ, მუუტათ, ჰოო!“ იმთაც დაკლედ, დასისხლედ და ხემწიფედ მიუტანედ. იმ ქალ გაანებედ თავი იმ ტრიაფ მინდორზე.

ქალმა იარა და გაირა ერთი უღრავი ტყე. გააკეთა ანწლი ქოხი და შეაფარა თავი. გომპარაც თან მიდევს. ერთ რამდენიოტე დღე იყვნენ

¹ სათაური ჩვენ შევეურჩიეთ.

² დაშლით არის აწყობილი ის სიტყვები, რომლებშიაც **ს-**ს დასუსტება-დაკარგვა ხდება.

იქ. იმ ქალს ეყოლა ბიჭი, გომბარასაც გაუჩნდა ორი ლეკვი. ვინც წლით იდებდა, ის ბიჭი იმ დენ დლით იდებდა. თორმეტი დღისა რო გახდა, იმითვე თორმეტი წელიწადი არი. ერთი მუხა (?) მოგლიჯა. ტყეში რომ გაივლის, გაისვრის იმ მუხას და გზას გაატანინებს. ტყეში მაგვლამს ირემ, მშველ და იმით ინახამს იმ დედას. დაუძახა თავი გუნებით დედამ „გიორგი ყაზარი“ (მაღალი, ზდაროვი).

ერთ დღეა წავიდა სანადიროთ, მიადგა დევებიე სახლ. დევებსა აქვთ ქორწილი. ცხრა-თავა დევი ნეფეთა ზის. მივიდა იი ბიჭი, ყველა დადჭრა თავები. გომპარებ უთხრა: „გაზიდე ეე მკვდრები!“ გამოზიდე, გადაყარეა წყალში. იი ცხრა-თავა დაუგორდათ ხრამში. დევი დედა ბანიდამ ავიდა, წყალ-გაღმა გავიდა. მიაყარა იი ბიჭმა ფოთოლი ცხრა-თავა დევს, რო დაუგორდათ, და წავიდა სახლში დედადთან. დედას უთხრა: „აქ რა ვაკეთოთ, ეგეთი ვნახე საფარე“ (ტყეში იყო გადღილი და სახლი სახელი არ იცოდა). დედაც გამაყვავა თან. დილით წავა სანადიროთ, საღამოთი მოვა გიორგი ყაზარი. რო წავიდა გიორგი, დედამ ნახა დევი. „ნეტავი შენი თავი გამიცოცხლა, გინდა გიორგი ყაზარი მომიკვდესო!“ ეს ნატვრა გაიოგონა დევი დედამ. „მე გავაცოცხლებ დევსა, მაგრამ შენი გიორგი ყაზარიდამ მეშინიან!“ „გააცოცხლე! ნუ გეშინიან შენ გიორგიდამ!“ — დედამ უთხრა. „შეკაფში, შუშით წამალია, გამაიტა, მოუსვი და გაცოცხლდება!“... დილით გამაიყვანიან (?) იმ დევე, საღამოთი დადმალამენ, როცა გიორგიე მოსვლი დრო არი, იდევიე დედაც იქ მოვიდა, იმათთან.

ერთ დროებაა უთხრა იი დევმა იი გიორგიე დედამ: „ჩვენი ყოფნა რა ყოფნაა? გიორგიე მოუტერჯოთ რამე!“ გიორგიე დედამ უთხრა დევსა: „აბა რა მოუტერჯოთო?“ — „შენ დაწე ქლოგინში, მაიგონე ავანტყოფობა!“ ისიც დაწვა. საღამოთ რო გიორგი მოვიდა, დაიწყო კნასა-კნუსი, — მითომ ავათა ვარო! „რალა მოატყუანოთ, რო გავგზავნოთ?“ — „მაშინ შენ უთხარ; ცხრა მთას იქით ერთი ღორი ვნახე! ცალი ეშვი მალლა ჰაერში აქვ, ერთი კიდე ძირსა აქვ დაბჭენილი. წუხელ მემელანდა სიზმრათ და იმან შამაშინა. თუ იმიე დვიძლ მამიტან, მოვრჩები! თუ არა და, მოვკვდები!“ ამ დროე გიორგიმ ფიცი მიდცა: „თუ ის არ მოგიტანო, მაე გიორგი ყაზარი მოგიკვდე!“

ადგა გიორგი, დაადგა იმ გზაე შუა გზაე რო მივიდა, შადხვდა ერთი ბერი კაცი. გამოეკითხა გიორგიე, რათ მიხვალო. „დედა-ჩემი შაუშინებია სიზმარში ღორ, მე ის ღორი უნდა წავიდე და მოვკლა!“ იმ ბერიკაცმა უთხრა: „გიორგი! დედა-შენი ავათ არ არი, ტყუილათ გითხრაო!“ — „არა, დედას მზემაო, დედა ტყუილ არ მეტყვის!“ — „არა და, რო მიხვალ, ის დაგიქნევს ეშვ, შენ კიდე მიაშველე შვილდ-ისარი!“

მაშინ ღორმა უთხრა: „ნუ მამკლამ და ბედსა გცემო!“ — „არც მო-

გკლამ და არც მოსაკლავათ მოვსულვარ, დედა მყავ ავათ და მამირჩინეო!“
„ჩაიარე, ემანდ ერთი ბურვაკი ეგდება (იქნება), მოკალ! ალ აგ ა ე გამო-
გადგებო!“ ჩამოიარა, მოკლა ბურვაკი და მიუტანა იმი დ ღვიძლი, იი
რო შეწვა და შაჭამა, მაშინ ადგა იი გ ი ო რ გ ი ე დედა.

ეხლა დევმა უთხრა: „ეგაც ხო მოვიდა! ცხრა მთას იქით ერთი ირე-
მია, ცალი რქა მალლა უ დ ე ვ, ერთი — ძირ მიწაზე. ახლა მოდი გა-
ვზავნოთ იქ!“... შახვდა ისევ ის ბერიკაცი... „ის რ ქ ა ე გადიქნევს, შენ
კიდევ შვილდ-ისარი შეაშველე!“... „გიორგი! ნუ მამკლამ და ბედსა გცე-
მო!“... ჩამაიარა, დახვდა წაწალა (ირმის შვილი), მოკლა და მოუტანა
იმი დ ღვიძლი დ ე დ ა ე ...

მოუტანა, შაწვა, შაჭამა, ადგა. ამ დევმა უთხრა: „ეგაც ხო ადგა!
როგო უყოთ? ამ დ ე ვ ე ბ ი ე ქვაბში ჩაასხი წყალი! საღამოთ რო მ ო -
ვი დ ე ე, უთხარ: შვილო, დაგბანო თავი!“... შვილდი ისარი მიდყუდა (?)
კარეთთან. მემრე ქვაბში რო დ ი ე ჩაჯდა, მაშინ უთხრა: „აბა, შვილო,
გაიწი, ჩანი რაში გაქო?“ ქვაბ რო ფევეები მიაჭირა, ჭაჭა-ჭუჭი და-
აწყებინა ქვაბ! „დაიცა, შვილო, ქვაბი არ გადტეხო!“ მაშინ დაუქნია
დ ე ვ ხელი, და მოვიდა დევი დედაც; სამთავ ა დ წ ი ვ ე ე ქვაბი სა-
ფარობელი და დახურე ზედ, დაყადაღე ოთხსაგ მ ჯ ა რ ე .
მაშინ უთხრა: „შვილო, აბა ახლა გაიწი! რაში გაქ ჩანი?“ საითლა გაიწევდა,
აქა-იქით ლურსმები ერჭობოდა. მერე უთხრა: „თქენ ჯელთა ვარ, აღარა
მაქ ჩემი ჩანო!“

ა ი დ ე ე და წყალში გა დ ა ა გ დ ე ე იი ქვაბი, და გიორგი ქვაბში
არი.ქვაბი რო ე წყალ მ ი ა ქ, გომპარებიც მიდღვენ წყალი (?) ბ ი -
რა ე და ღმუიან. მემრე იი ქვაბი მიკარჩხლა წყალმა. ამ დ რ ო ე გ ო მ -
პარებმა თ ქ ე ე : „ჩვენ როგო უშველოთ ჩვენ პატრონსაო?“ ერთმა თქვა:
„მე ლორთან წავალო!“ მეორემ კიდე უთხრა: „მე კიდე ირემთან წავალო!“
გ ო მ პ ა რ ე ბ ი ე დედამ უთხრა: „მე კიდე აქ დაუდგები, რო ჩემი პატ-
რონი არამ გა ა ფ უ ჭ ო დ ო!“ აღგნენ, წავიდნენ... ერთი ლორი მივიდა,
ერთი — ირემთან. „წყალში ჩ ა ა გ დ ე ე ჩვენი პატრონი და, მაშინ რო
გვითხარი, ეხლა გვიშველეო!“ იმ ლორმა და იმ ირემმა უ თ ხ რ ე ე :
„გადწი და ჩვენც მოვალთ!“

სანამ მოვიდნენ გომპარები, ირემი და ლორიც მოვიდა. მაშინ ლორმა
დადკვილა: „როგო ხარ გიორგიო?“ „მე კარგა ვარ, მაგრამ ეგრე წყალში
ვარო“. ირემს უთხრა ლორმა: „ჩადი და მოუგდე რქა და ამაგდე მწვანე-
ზეო!“ ირემმაც ამაგდო მწვანეზე. მეექვსეა ის ლორი, ისე დახია ის ქვაბი,
როგორც ქალმის (?) საკოპი.

სადამ (!) გიორგის ეშველებოდა, იმათ ეყოლათ ერთი ბიჭი კიდე.
როგორც იი გიორგი გაიზარდა, ისიც — იმგვარათ. იმასაც დაუძახეს დე-
სავანი. მემრე რო გაიზარდა იი ბიჭი, დევსაგანი, დედას უთხრა: „დელი!

ეე შვილდ-ისარი ვისაო?“ (კარეფთან რო ეყუდა). დედამ უთხრა: „შვილო! ერთი ძმა გყვანდა, მოგვკალით და გადავაგდეთ წყალშიო!“ გამოიდა და გაშინჯა იმი შვილდ-ისარი, ძმისა, დევსაგანმა. მემრე უთხრა: „მე ჩემი ძმისა ველში ნაჭერ არ ავიღეფ! მე წავალ და ამ წონისა და ამ ზომისა მჭედელ გავაკეთებინეფო!“ მართლაც გააკეთებინა შვილდ-ისარი. უთხრა: „დედი, მშვიდობით! მე უნდა ან ჩემი ძმა ვიპოვნო ან იმი გზაზე მოვკდეო!“ (ისე ჩაუფარდა იმი სიყვარული, — ჯერ ხომ არ ენახა!).

მართლაც წავიდა, დაადგა იმი გზა. გიორგი იქიდან მოდის, დევსაგანი აქადან მიდი. აცდნენ ერთმანეთ და ვერ შამადხვდნენ. გიორგი სახლში მივიდა, დევსაგანი წყლისაყენ წავიდა; გომპარები განზე დააყენა გიორგიმ (სახლში რო მივიდა).

დედამ ვერ იცნა თავი შვილი. დედას უთხრა: „შენი გიორგი მზესაო, ერთი პური მამიტეხეო!“ „აჰა, პური და აღარა თქვა გიორგი! მე გიორგი სადა მყვანდაო?“ გამართვა, ცოტა გომპარებ მიუყარა, ცოტა კიდე თითონ შაჭამა. მაშინ კიდე მოუბრუნდა გიორგი, უთხრა: „დედი! ეე შვილდ-ისარი ვისაო?“ „შენ არ მამიკვლები, სწორედ მაგი პატრონი შენისთანა ბიჭი იყოო!“ ამ დრო კიდეც წამოავლო შვილდ-ისარ ველი გიორგიმ. ისენი კი სხედან ცეცხლა პირად. ჯერ დევი დედა ესროლა და მოკლა. მემრე დევი მოეჭრა ცხრა თავი.

დედა დაფიქრდა. მაშინ უთხრა: „დედი, მე რათ მილალატე? რაც მამთხოვე, ყველაფერი მოგიტანე. ხო არა დამიშავებია რა შენთვინ?“ გაწბილებული დედა ვერაფერ ვერა ებნება გიორგისა. მემრე აილო გიორგიმ ნაცარი, ჩამაანიავა და უთხრა: „დედი! თუ მე ვტყუოდე, ეგრე მე დავნიავდე, თუ არა და — შენაო!“ როგორც კი მუჭიდან ნაცარი გაათავა და დედაც იქცა ნაცრათ. იგრევე თითონვე დაიწყო ტირილი — „რათ გავიმეტე ეგრე მშობელიო?!“

ამ დროს კიდევ მოდის დევსაგანი (იქიდან (?) რო იარა, იარა და ვერ იპოვა). მაშინ დაიწყე გომპარებმა ყეფა. გეძრახა გიორგი: „ვინა ხარ, აქ სად მოხვალო?“ დევსაგანმა დაუძახა: „ჭკვიანათ იყავი, თორემ მოვალ და მოგაჭრი თავსაო!“ კიდე ჯავრობს გიორგი. დევსაგანმა დაუძახა: „ძალიან დამიკვივლე! მე ვიცი, ჩემი ძმა, გიორგი-ყაზარი რო ყოფილა, იმა კი ეგვანებიო!“ რადგანაც რო ვერ იცნობდა გიორგი, დაფიქრდა. „რა ვქნა, მე ძმა სად მყვანდაო?“ მაშინ დაუძახა: „ახლო მოდი, შორიდან რა მელაპარაკებო?!“

მოიდა და უპასუხე თავიანთ ანბავი. გიორგიმ უთხრა: „შენ როგორი ძმა ხარ ჩემიო?“ მაშინ დევსაგანმა უთხრა: „შენი თავი რო წყალში გედევდოთო, მე მაშინ გავჩნდი, შენ რა მიცნობდი. პატა რო გავიზარდე, მაშინ მითხრე შენი საქმე. მემრე ვიფიქრე: „ან უნდა ვი-

პოვნო ან იმიდ გზაზე მოკვდე!“ მეხვიენენ ერთმანეთ, და-
კოცნე, როგორც ძმურად. იღვინენ იმ სახლში და იცხოვრე და-
თავ ძმურათ.

დევსაგანმა უთხრა გიორგი: „დიდი ძმა ხარ, დანიშნა გინდა
შენ! ერთ ხემწიფე (?), ერთი ქალი დ/ჰყავ. იმ ხენწიფე
წყალში უდგად სახლი. პირობა იმად იგეთი აქ: „ვინც იმ წყალზე
გადახტება, მთხოვრია შვილი რო გადახტე რა, იმად უნ-
და მიეცე ის ქალი“. ადგენენ, წავიდნენ გიორგი და დევსაგანი, მივიდ-
ნენ ერთ გასაყარ გზად. უთხრა დევსაგანმა: „შენ ექვთ წადი, მე —
ექვთო! ან შენ შედგები შენ ამფად (შენ საკადრისს, სწორს) ან მეო“
ეხლა ერთმანეთ, რო გაგვიჭირდე, როგო უშველოთ ჩვენ
ერთმანეთო?“ მემრე გიორგიმ უთხრა: „თუ შენ გიჭირსო, დილით
რო ავღებო, მუჭაზე წყალი დავისხა, სისხლათ გადამექცე, მაშინა
ვთქვაო: დევსაგან გაჭირებია, წავიდე და უშველოო; თუ არა და,
შენ გედეგექცე წყალი, რო ჰთქვაო (!), რო გიორგიე უჭირ-
სო!“ მაშინ გვემწვიდობნენ ერთმანეთ.

იმ წყალ რო მიადგა, იმ ხემწიფე სახლ რო მიადგა გიორგი,
შაუყრია ხალხი ხემწიფეს: „აბა, რომელიც გადახტებით ამ წყალსა, იმად
დაგრჩებათ ჩემი ქალიო!“ თავმომწონე ბიჭები იი ქალიეთვინ გადა-
ხტებიან და ჩეცემიან წყალში.

ამ დროე მივიდა გიორგი იმ ხალხში, უთხრა: „რაე ილუბებიან
ეს ბიჭებიო?“ გამოიდა ერთი ბიჭი და უთხრა გიორგი: „იმეთვინ
ილუბებიან, რო ამ ხემწიფე ერთი ქალი დყავ“ და პირობაც უთხრა.
მივიდა გიორგი და თავი გომპარებინათ ორ შაყენ იქით გადახტა. მაშინ
ხემწიფემ მეაკოცნა გიორგი: „სიძეე გაუმარჯოო!“ ამ ქალმაც
იფიქრა: „მე ამაზე კაი ქმარ ვერა ვნახამ!“

შუა დამიდ დროე უთხრა გიორგიმ ქალ: „მამი-შენი სანადირო
საით არიო?“ „რათ გინდა მამი ჩემი სანადირო, ერთმანეთიე სურვი-
ლით გავძლეთო!“ იმთენი ჩემეეკიდა, ათქმევენა იმ ქალ. მაშინ უთხრა
იიმ (?) ქალმა: „მარჯვნივ მვრივ წახვალ, იქ ნადირი არ არი. მარცხნივ
მვრივ წახვალ და ვეღარ მოხვალო!“ ამ გიორგიმ იფიქრა: „ჩემზე მეტი ვინ
უნდა იყოე, რო მარცხნი მვრივ ვერ მივიდეთო?!“

წავიდა მარცხნი მვრივ. გამოუდგა ერთ მშველსა და დაიჭირა მშვე-
ლი. შამაისხნა ჩასაკრავი და გაუკრა ფევები მშველ. ცოტა რო წავიდა,
ახლა დაიჭირა ერთი ირემი. იმასაც მეორე ჩასაკრავით გაუკრა ფევები. მა-
შინ ავიდა ერთ გორაზე გიორგი. ამოწყვიტა ბევრი ნადირი. დაულამდა
იქა და დაანთო ცეცხლი ერთ მუხი (?) ძირად. ააგო ერთი მწვადი და
დწვამს მწვადსა ცეცხლზე. ჩემეეძრახა მუხიდამ (?) ერთი წყელი ბებერი.
იმან უთხრა: „გიორგი, ერთი მწვადი მაჭამეთო!“ გიორგიმ უთხრა: „ჩამოდი,

აი ჯევი სამსეა, ჭამე რეერთიც გინდა ჯორციო!“ — ბგერი რო დაჯოცა. „მე ჩამოვილოდი, მაგრამ შენი გომპარებიდამ მეშინიანო“, — ბებერმა უთხრა. „მა როგო უყო ჩემ გომპარებსაო?“ „აი ბეწვ მოგაწვდი, დაადე გომპარებსაო, კენჭ მოგაწვდი, დაადე მშვილდ-ისარი!“ იმან, გიორგიმაც გამაართვა, დააწყო და ის ბეწვი გადაიქცა ჯაჭვით და ის კენჭი რო დაადო, მშვილდ-ისარი მთლად ქვით იქცა.

ჩამოიდა ის ბებერი, სუ დაჭამა, რაც იყო ნადირი ამოწყვეტილი, მივიდა, დაჯდა ცეცხლა პირად გიორგიმთან. გიორგის უთხრა: „ცოტა მწვადი მაჭამეო!“ მაშინ უთხრა გიორგიმ, რო „შე სულ-ძაღლო ბებერო, არ გეყო, რაც ჯორცი დაჭამეო“. „რა, შენ კი არ შეგჭამო რა“ — ბებერმა უთხრა, დაადო ყბა და გადაყლაპა გიორგი.

როდესაც რო გათენდა, დევსაგანმა დაისხა მუჭაზე წყალი, გადაექცა სისხლად და მაშინვე თქვა: „ოჰ, ჩემ ძმად გადაჭირებიო!“ წამოიდა წყლიპირად. იგრეე ი ხალხი იქ არი. იმ ხალხმა უთხრა: „ბიჭო! გუშინ შენ ემ წყალზე არ გადახტიო?!“ — ერთმანეთ რო დგვენან. დევსაგანმა აზრად გაიგო, რომ ჩემი ძმა აქათ გადამხტარაო! მაშინ დაარწმუნა გული რა! დევსაგანიც გადახტა და იქ დაეცა, სადაც გიორგი.

იმ ხემწიფე ეგონა, რო „უეჭველად ჩემი სიძე მოვიდაო (?).“ როდესაც რო ლოგინი დაუგეს, შუაში ამოღებული ხმალი (?) ჩაიდგა. მაშინ უთხრა იმ ბიჭმა: „მამი-შენი სანადირო საით არისო?“ ქალმა უთხრა: „რამდელჯერ უნდა მკითხო? მარცხნივ თუ წახვალ, ვეღარ მოხვალო!“

მაშინ იი ბიჭმა იფიქრა: „მარცხნივ მჯრივ წასულა ი ბიჭი და იქ დაღუპილაო!“ ქალმა უთხრა: „ეე ჯმალი რათ გინდა შუაზეო?“ „მე რო წუხელ გარეთ დავ(რ)ჩი, ფიცი ასეთი დავდე, რო ჯელი არ უნდა გახლოო!“ გათენდა დილა და ტანსამოსს რო იცმევს, ქალზე ნეკი მოუხვდა. ი ბიჭი ნეკი იჭრიდა, მაგრამ ქალმა არ მიაჭრევინა.

წავიდა, დაადგა თავი ძმიად გზად; მიადგა ფეწვებ-გაკრულ მშველ; ჩასაკრავი იცნა. ახლა მიადგა ირემ, მიადგა იცეცხლი ნანთებ. გომპარებიც იქ არიან დაბმულები. მაშინ იფიქრა: „ჰა, ჩემი ძმა აქ არი დაღუპილიო!“

დანარჩენი ნადირი იმან ამოწყვიტა, დაიღამა ძალი-ძალათ. დაანთო ცეცხლი და ისიც ძწვამს მწვადებ. ჩემეძრახა ბებერი: „დევსაგანო!“ და დევსაგანმა უთხრა: „რა გინდა შე სულ-ძაღლო ბებეროო?“ „ცოტა მწვადი მამაწოდეო!“ „ჩამოდი და რაც ჯორცია, სულ შენ დაჭამეო!“ „ჩამოვალ, მაგრამ მეშინიან გომპარებიდანაო!“ „მა როგო უყოთ გომპარებსაო?“ „ბეწვ მოგაწვდი, დაადე გომპარებსაო, კენჭი მშვილდ-ისარსაო!“

იმან კიდე იფიქრა: „ეგრე დაუღუპნია ჩემი ძმაო!“ გამაართვა ის ბეწვი და ჩაავლო ცეცხლში. კენჭი გამაართვა და გაისროლა ტყისაყენ. მა-

შინ უთხრა: „შვილო, რათ გაისროლე კენჭიო?“ „კენჭი არ კი გავისროლო, ნიავე რო ქრის, ტოტები ჩამოდის, შენ გგონია, კენჭი გაისროლო!“ დევერა ი ბებერსაც და ჩამოიდა ძირ და დაჭამა ეს ნადირი. მოიდა და დაჭდა ცეცხლა პირად. უთხრა: „ცოტა მწვადი მამეო!“ დევსაგანმა უთხრა: „რაცა ძჭამე, ის კი არ გეყოო?!“ ბებერმა უთხრა: „შენ კი არ შეგჭამო რა!“ მაშინ უთხრა: „აბა როგო უნდა შამჭამოო?“ წამოხტა კიდევ დევსაგანი. დააჭირა მუჯლი ბებერ და უთხრა: „აბა, ჩემი ძმა მამგვარე ჩქარაო!“ „ნუ მამკლამ და ეხლავეო!“ გაქსნა ყბა და წამაგდო ისევ ცხალი გიორგი. მაშინ ჩააგდე ბებერი ცეცხლში და დაწვედ.

მოდიან და მოლაპარაკობენ ორნი ძმანი; სახლისაყენ რო მოდიან, გიორგიმ უთხრა: „როგო გაიგე შენ ჩემი საქმეო?“ დევსაგანმა უთხრა: „მე რო წყალ მოვადექ, იგრევე ხალხი იყო. რო გადავხტი და იმათ ეგონათ, იგრევე ჩვენი სიძე მოვიდაო. იმ დამე რო დავწექ, შუაზე ჯმალი (?) ჩავიდეო; დილით რო ავდექ და ტანსამოსს ვიცმევდი, მაშინ ნეკი მამიხვდაო. მემრე იმანვე თითონ არ დამაქნევინა (?), მე გულში გემეჯავრაო, რო ჩემ რძალზე რათ მამიხვდა ნეკი. იმან კი რა იცოდა ჩემი აზრიო“.

მემრე გიორგიმ უშარა: „შენ ჩემ ცოლთან დადწვებოდი და გული არ მენდობაო!“ „თუ მე ვტყუივარო, ამაღამ რო მივალთ, შენ ცოლ თითონ დკითხეო!“ ეს სიტყვა რო გაათავე, კიდევ მივიდნენ სიმამრი სახლთან. იი ბიჭები რო მივიდნენ, ქალ ვერ უცვნია თავი ქმარი, სიმამრ კიდე თავი სიძე. შუა ღამემდინ ისხდნენ და ილაპარაკე. სიმამრმა უთხრა: „რა ვქნა, შვილო, რომელია ჩვენი სიძეო?“ ქალმა უთხრა მამად: „მე ლოგინს დავფენამ და შენ თავი ჩალუნე და თქვი: ადექ, სიძე, დაწექიო!“ სიმამრმა თავი ჩალუნა და უთხრა: „ადე, სიძე, დაწექიო!“ მაშინ წამოხტა გიორგი, დაწვა ქალი ლოგინში. რა თქმა უნდა, დევსაგან უფრო კარგა გაუფრთხილდნენ.

იმ დამე გიორგიმ გამოდკითხა თავი ცოლ: „მართლა ნეკი მოუხვდაო“. ქალმაც შადფიცა: „იჭრიდა და არ დავაჭრევიწეო!“ დილა როო (!) გათენდა, გიორგიმ უთხრა: „აკი ნეკი მამიხვდაო!“ დევსაგანმა უთხრა: „ნახა (რახან?) არა გჯერამ ჩემი სიტყვაო, ამ სახემწიფოზე ჩვენზე შვილდ-ისარი მსროლავი ხო არავინ არიო, გადაზომე ასი ლაბიჯი (!), გავშლი ხელებ, დავდგები წორეთაო! სწორეთ მესროლე გული პირშიო, საცა რო ვტყუივარ, იქ მამხვდესო!“

მართლა გიორგიმ სწორეთ გული პირში [ესროლა]. გული პირში კი არ მამხვდა, რომელი ნეკიც ქალ მოუხვდა, იქ მამხვდა. ნეკი მამტყდა, დაუსივდა მკლავი და იმაზე მოკვდა დევსაგანი. ამ გიორგიმაც იფიქრა: „მე ამაზე კარგ ძმა ხო ვერა ვნახამო“, — იმანაც ზედ გამოიჭრა ყელი. ქალმა იფიქრა: „მე ხომ ამაზე კარგ ქმარსა და მახლ ველარა ვნახამ“ და იმანაც ზედ გამაიჭრა ყელი.

გომპარები გარშემო შემოუწვნენ იი მკვდრებ, ტირიან და კი არ ამარხვინებენ. ორ გომპარად დეეძინა, ერთ გომპარად ისევა დღვიძამ. გამოიდა ერთი თავგი და ძჭამს იმი პატრონები სისხლ. იმ გომპარად გეეჯავრა, წამადკრა თათი და მოკლა. თავგი იქ დაადლო და დაუგლო ყური. გამო(ვ)იდა მეორე თავგი, ნახა მკვდარი და გაბრუნდა, ივსევ წავიდა. გომპარამ თვალი მიაცოლა. იმ თავგმა მოძებნა ბალახი, დანაყა, მოუსვა და გააცოცხლა იი თავგი. ამ გომპარამაც დაინახა იი წამალი. წავიდა, იმანაც დანაყა და წაუსვა იი პატრონებ სამთავ. სამნივ დააცოცხლა და ეხლაც ცხოვრობენ და ქეიფობენ.

ჩაწერილია ქიზიყში 1924 წლის შემოდგომას.

მთქმელი: ალექსა გოვაშვილი (ხაჩიკალა ბიჭი); „წერა-კითხვა „ვენში“ უსწავლია. ერთი წელიწადი იყო კიევში „პარახოტებზე“! არ გასცილებია ქიზიყს, ლაგოდესს“.¹

ჩამწერი: მარგ. იაშვილი, ტფ. სახ. უნივ. ლიტერატ. ფაკ. სტუდენტი (გარდაიცვალა 1929 წელს).

¹ არ ჩანს, სამწუხაროდ, რა სოფლიდანაა მთქმელი; მგონი, საქობოელი უნდა იყოს. „ბიოგრაფიული ცნობების“ პირველი ნახევარი არ ეთანხმება მეორეს: ხუმრობით თქმულსა გავს. ბოლო მართალი უნდა იყოს.

VI. К ОСЛАБЛЕНИЮ ЗВУКА **ს** S В КИЗИКСКОМ ГОВОРЕ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

(РЕЗЮМЕ)

В Кизикском говоре грузинского языка ослабление звука **ს** s, а также полное его исчезновение перед некоторыми согласными (ჭ t, თ t...) и после гласных в конце слова проявляется демонстративно.

В результате этого фонетического процесса существенно видоизменяются окончания родит. и дательного падежей, а также суб'ективный суффикс третьего лица, а именно:

Флексия родит. пад. -ის → -იჲ → -ი: -is → -iy → -i: გიორგის დედა
← გიორგიჲ დედა Giorgis deda → Giorgiy deda "мать Георгия"... წყლის პირას → წყლი პირაჲ tsq̄lis piras → tsq̄li piray "на берегу реки"...

Флексия дательного пад. ს → ო → 0 (ნოლი): **ს** → **ყ** → 0 (ნოლ): იმ ღამეს დავწექ → იმ ღამეჲ დავწექ im γames davḡsek' → im γamey davḡsek' "лег в ту ночь".

Суб'ективн. суфф. 3 л. мн. числа ეს → ეჲ es → ey: წყალში ჩააგდეს → წყალში ჩააგდეჲ t'sq̄alchi t'chaagdes → tsq̄alchi t'chaagdey "бросили в воду"...

Суб'ект. суфф. 3 л. ед. числа ს → ო s → y: გაკეთდეს → გაკეთდეჲ... gaket'des → gaket'dey "пусть будет сделано".

Ослабление звука ს s, ранее констатированное нами в соседнем с Кизикским в Гаре-Кахетинском говоре груз. языка, выражено было значительно слабее. Создается впечатление, что очагом распространения этого фонетического процесса является именно Кизикский говор.

VI. A PROPOS DE L'AFFAIBLISSEMENT DU SON **ს** **S** DANS LE PARLER DE KISIK DE LA LANGUE GÉORGIENNE

(RÉSUMÉ)

Dans le parler de Kisik de la langue géorgienne l'affaiblissement du son **ს** **s**, ainsi que sa disparition complète devant quelques consonnes (**ტ** **t**, **თ** **t'**)... et après les voyelles à la fin des mots, apparaît d'une façon démonstrative.

Le résultat de cette évolution phonétique aboutit à un changement essentiel des désinences du génitif et du datif, ainsi que du suffixe subjectif de la troisième personne; notamment: flexion du génitif **-ის** **-is** → **-იჲ** **-iy** → **-ი** → **-ი**: გიორგის დედა ← გიორგიჲ დედა "la mère de Georges", წყლის პირას → წყლი პირაჲ "au bord de la rivière"... flexion du datif **ს** **-s** → **ჲ** **-y** → 0: იმ ლამეს დავწექ → იმ ლამეჲ დავწექ...

Suffixe subjectif de la 3-me personne du pluriel **-ეს** **-es** → **ეჲ** **ey**: წყალში ჩააგდეს → წყალში ჩააგდეჲ *tsqalchi t'chaagdes* → *tsqalchi t'chaagdey* "on les jeta à l'eau"...

Suffixe subjectif de la 3-me personne du singulier **ს** **s** → **ჲ** **y**: გაკეთდეს → გაკეთდეჲ... *gaket'des* → *gaket'dey* "que ce soit fait".

L'affaiblissement du son **ს** **s** que nous avons constaté auparavant dans le parler Garé-Kakhétien de la langue géorgienne, voisin de celui de Kisik, y avait été exprimé bien plus faiblement.

C'est pourquoi on a le droit de supposer que le foyer d'expansion de cette évolution phonétique se trouve précisément dans le parler de Kisik.

ქართული ზმნის ანალიზის ზოგი საკვანძო საკითხი

I

პოლიპერსონალიზმის გარკვევის ისტორიიდან

ჩვენს წერილში („სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში: II. ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში“ — ყურნ. „კომ. აღზრდ.“ 1934) შემთხვევა გვქონდა ზოგადად დაგვეხასიათებინა ქართული ზმნის კატეგორიები და გავვერკვია, რა თანმიმდევრობითა ჯობს ამ კატეგორიათა განხილვა (წერილს მცირე საილუსტრაციო მასალაც ჰქონდა დართული).

ამ წერილში ჩვენი მსჯელობის საგანს ტიპობრივი მაგალითები წარმოადგენს. ტექსტში ზმნათა მიყოლებით (და არა შერჩევით!) განხილვისას კი ყოველ ფეხის გადადგმაზე წავაწყდებით ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ამა თუ იმ მხრივ შორდებიან ამ ტიპობრივ ნიმუშებს და ართულებენ ზმნის ანალიზის საქმეს.

ჩვენი მიზანია გამოვყოთ ის მომენტები, რომლებიც ამ მხრივ განსაკუთრებით იქცევის ყურადღებას. პრაქტიკულად ეს აუცილებელია, თეორიულადაც არ არის ინტერესს მოკლებული.

ნავარაუდევია გვაქვს შევჩერდეთ შემდეგ საკითხებზე:

1. პირთა რაოდენობის ამოცნობასთან დაკავშირებული სირთულეები;
2. ინვერსიის რაობა;
3. ღრო-კილოთა წარმოებისა და ურთიერთობის ზოგი საკითხი;
4. ზმნის ძირითად კატეგორიათა (პირიანობის, გარდამავლობის, გვარისა და ქცევის) შინაგანი ურთიერთობის საკითხი.

საკითხთა ამ წყებიდან ინვერსიის საკითხი პირის საკითხთანაა დაკავშირებული. პირის საკითხი ჯერ კიდევ შეიცავს ბევრ სიძნელეს, როგორც პრაქტიკული ხასიათისა, ისე თეორიული ბუნებისას.

ეს წერილი სწორედ ამ სიძნელეთა დახასიათებით უნდა დაგვეწყოს, მაგრამ ვარჩიეთ მისთვის მცირე ისტორიული ექსკურსი წაგვემძღვარებინა. როგორც ცნობილია, ისტორიული პერსპექტივა დიდად უწყობს ხელს მოვლენის უკეთ გაგებას; გარდა მაგისა, ჩვენს სინამდვილეში ის აუცილებელია (ამ შემთხვევაში) სხვა თვალსაზრისითაც.

მასწავლებელთა ფართო წრეებში ხშირად იმ აზრისა არიან, რომ ზმნის ორპირიანობა (და სამპირიანობა) ქართული გრამატიკის საუნევერსიტეტო კურსების კუთვნილებას წარმოადგენს. ამაზე მითითებაში ჩვეულებრივ იგულისხმება დასკვნაც. მაშასადამე, ეს საკითხი სასკოლო გრამატიკისათვის რთულია და შეუფერებელი; არ იქნებოდა ზედმეტი სკოლა ამ სირთულისაგან განგვეტვირთა. ბოლოს და ბოლოს ქართველი გრამატიკოსები (ს. ხუნდაძე, მ. კელენჯერიძე, ი. ნიკოლაიშვილი, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანიას, დ. ჩუბინაშვილი, პლ. იოსელიანი, — უფრო შორს წარსულში რომ არ წავიდეთ ასწავლიდნენ ქართულ ენას ამგვარი რთული კატეგორიის გარეშე. რუსული და სხვა ევროპული ენის გრამატიკებშიაც არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვება.

ხშირად პასუხსაგები კრების მონაწილე მასწავლებლები პირდაპირ ჩივიან: ქართული ენის სავალდებულო სახელმძღვანელოში ზმნის ყველა ვარიაციის ჩამოთვლას, — სუბიექტ-ობიექტების პირთა და რიცხვთა ცვლას, — რამდენიმე გვერდი უჭირავს და დაუძლეველი რამააო... მაშასადამე... ობიექტის პირი, რიცხვი უგულებელვყოთ, ტრადიციას დავუბრუნდეთ...

არსებითად, საკითხის ამგვარი დასმა უმართებულოა: მშობლიური ენის ელემენტარული კურსი საშუალო სკოლამ უთუოდ უნდა შეათვისებინოს მოსწავლეს (ეს სავალდებულოდაც არის გამოცხადებული ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების მიერ); ბრუნება სახელთა და უღვლილება ზმნათა ამ ელემენტარული კურსის მოუცილებელი ნაწილია; მაგრამ ეს ელემენტარული კურსი მოკლებული იქნება მეცნიერულ საფუძვლებს, თუ ის გვერდს აუვლის ისეთ მოვლენებს, რომლებიც სპეციფიკურია ქართული ზმნის უღვლილებისათვის, ქართული ენის მორფოლოგიისათვის და განსაზღვრავს ქართული ენის სინტაქსის თავისებურებათა წყებას.

ეს იმას უდრის, რომ ქართული ბრუნების შესწავლისას შეუმჩნეველი დაგვრჩეს მოთხრობითი ბრუნვის არსებობა (შესაბამისი ბრუნვა ევროპულ ენებში არ არის!) ანდა ქართულ ბგერებში ვერ შევნიშნოთ, გამოვრჩეს წ, ჭ, ყ...-ს არსებობა.

ეჭვი არ არის, ტრადიცია ყველაზე მეტ გამძლეობას იქ გამოიჩენს, სადაც ტრადიციულად დამკვიდრებული მონაცემი მარტივია, ხოლო მისი შემცვლელი ახალი — რთული და ძნელი მოსავლელი. ასეა ჩვენს შემთხვევაშიაც.

და მაინც: მეცნიერულად სწორი რაც არის, მას გზა უნდა გაეხსნას. თუ სკოლამ ჩვენს მოსწავლეს უნდა ასწავლოს ზმნის უღვლილება, ორპირიანობის საკითხს გვერდს ვერ ავუქცევთ.

ეს — არსებითად. საკითხის ეს მხარე სადისკუსიო ვერ გახდება.

კითხვა ეხება მეორე მხარეს: არის კი ზმნის ორპირიანობა მხოლოდ საუნივერსიტეტო კურსების წარმონაქმი და კუთვნილება? მართლა არ იცოდა სასკოლო გრამატიკამ ეს საკითხი?

ისტორიული ცნობა ასეთია: ქართული და სხვა ქართველური ენების ზმნაში სუბიექტის გარდა ობიექტის პირებიც რომ აღინიშნება, ნაჩვენები აქვს ლ. ცაგარელს („კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“ — რუსულად, 1872, ლითოგრ. გამ.), ჰ. შუხარდტს — ცნობილს გამოკვლევაში „გარდამავალ ზმნათა ვენებითი ხასიათისათვის კავკასიურ ენებში“ (გერმ. ენაზე, 1895); მაგრამ ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში და მკვიდრ და ნ. მარის ნაშრომით „ძირითადი ტაბულები ძვ. ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკისა“ (1908 წ.). ნ. მარის სათანადო შეხედულება ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტში შეასწორა და დააზუსტა აკ. შანიძემ ცნობილს მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920 წ., ტფილ.).¹

ამრიგად ჩამოყალიბდა ცნებები ზმნის აბსოლუტური (მხოლოდ სუბიექტის პირის აღმნიშვნელი) და რელატიური (სუბიექტის პირის გარდა ობიექტის პირის აღმნიშვნელი) ფორმებისა (ნ. მარი, აკ. შანიძე); არითმეტიკული გაანგარიშება იმისა, თუ რამდენმა პირმა შეიძლება ერთსა და იმავე დროს ზმნის ნაკვთში მოიყაროს თავი, მწვავე საკითხის სახით დადგა ჩვენ წინაშე წინადადების სინტაქსური ანალიზის წარმოებისას (ჩვენს ნარკვევში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, 1928).

ამჟამად ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, არითმეტიკული მიდგომა მორფოლოგიური ანალიზის პროცესშიაც საჭიროდაა მიჩნეული (აკ. შანიძე, გ. თოფურია): ტერმინებს — „აბსოლუტური“ („მიუმართავი“) და რელატიური („მიმართვითი“) ფორმა“ ენაცვლება ტერმინები: ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნები.²

გაცილებით უფრო ადრე, ვინემ ნ. მარსა და ჰ. შუხარდტს, გაცილებით უფრო გარკვევითა და სრულად, ვინემ ალ. ცაგარელს, ქართული ზმნის ეს მნიშვნელოვანი თავისებურება შენიშნული აქვს ერთი ქართული გრამატიკის ავტორს, რომელსაც ჩვენი ისტორია კარგად იცნობს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, მაგრამ ნაკლებად იცნობს, როგორც გრამატიკოსს.

¹ პრაქტიკულად, ზმნის გარჩევისას, უღვლილების ასეთი უმართებულო შესწავლა გამოუვალ მდგომარეობაში გვაყენებს; ამის შესახებ იხ. ავტორის ზემოხსენებული წერილი, „ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში“, („კომ. აღზრდ.“, გვ. 40).
² „აბსოლუტური“ სავსებით ფარავს „ერთპირიანს“, მაგრამ „რელატიური“ არ ნიშნავს მარტოდენ „ორპირიანს“: რელატიურია ორპირიანიცა და სამპირიანი ზმნებიც.

ამ ავტორს არა მხოლოდ შეუნიშნავს ეს თავისებურება, არამედ მთლიანად გაუთვალისწინებია ის შედეგები, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ ზმნის უღვლილებისათვის.

ეს ავტორია **დიმიტრი ყიფიანი**; მისი **ახალი ქართული გრამატიკა**, სხარტულად დაწერილი მამისაგან „ვიღებისათვის“, გამოსულია 1882 წელს (სანკტ-პეტერბურღს, — დაბეჭდილია „სამეცნიერო აკადემიის სტამბაში“). ავტორის მსჯელობა დამოუკიდებელი ღრმა დაკვირვების შედეგს წარმოადგენს. უცხო ენათა თვისებები ავტორს გამოუყენებია იმისათვის, რომ შეეპირისპირებინა ქართულის სათანადო მოვლენები და გამოეყო, რაც იყო მისი მშობლიური ენისათვის ნიშანდობლივი.

დიმიტრი ყიფიანის მსჯელობა იმდენად საგულისხმოა, რომ საჭიროდ ვთვლით მისი აზრები საერთოდ ქართული ზმნის შესახებ და, კერძოდ, პირთა საკითხზე ვრცლად მოვიყვანოთ (ავტორისავე სიტყვებში).

წინასწარ მხოლოდ ის აღვნიშნოთ, ვისთვის და როგორ დაიწერა ეს გრამატიკა.

დიმიტრი ყიფიანი თავის ნაშრომს დავით ჩუბინაშვილს უძღვნის და მას ასე მიმართავს:

„დამსახურებულ პროფესორს დ. ი. ჩუბინოვს.

... თქვენი გრამატიკა რომ აღარ იშოგებოდა, და აღარც სხვებისა, საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა-ენის სწავლებას ველარ ვახერხებდით; — მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილებისათვის მევე უნდა შემედგინა გრამატიკა, როგორც მომეხერხებოდა და, აი, სტამბაში ვგზავნი კიდევ დასაბეჭდავად“... გვ. 1.

„შესავალში“ დიმიტრი ყიფიანი შვილებს მიმართავს: — ჯერ უცნობს გასწავლიან, მერე გადადიან — ნაცნობზე, „ამით საქმე მეტად გვიძნელდება“:

„გეოგრაფიაში, მაგალითად ვიტყვი, ჯერ მთელი ქვეყანა შემოგვარბებინეს ფიქრითა და ბოლოს მოგვიყვანეს ამ ჩვენს, ქვეყნის ოდენა რუსეთში; — საქართველოს გეოგრაფია ხომ ჯერაც არავის უსწავლებია თქვენთვისა. — ენებში ჯერ ფრანცუზულს მოგაყოლეს, მერე რუსულსა და თქვენი დედა ენა კი, გეოგრაფიისა არ იყოს, სულაც არავის უსწავლებია და, როგორც პირ-წყლიან ქართველებს, გინდათ ახლა მაინც ისწავლოთ. დიად, კარგი და პატიოსანი; ვთქვათ, დრო არც ახლა იყოს დაკარგული, — სწავლა ვის როდის მოსჭარბებიაო, ნათქვამია; — მაგრამ ვინ უნდა ასწავლოს და რა წიგნით?“

მამა რომ შვილებისათვის არც მკურნალად ვარგა და არც მასწავლებლად, ეს კარგად ვიცით, მაგრამ რა გაგვეწყობა. სახელმძღვანელო წიგნი რომ არა გვაქვს, ეს უფრო ძნელი ჭირია, მაგრამ ან აქ რა გაგვეწყობა.

აი! ავიღე კალამი და გიწერთ ქართულ გრამატიკას“ (გვ. 5-6)...

ზემოთქმული ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ გრამატიკა დიმ. ყიფიანს შეუღდენია პედაგოგიური მიზნებისათვის, დ. ყიფიანის გრამატიკა სასწავლო წიგნია და არა სპეციალური გამოკვლევა; მან უნდა გაცნოს მშობლიური ენა მოსწავლეებს, ამ შემთხვევაში ავტორის შვილებს (პირველ რიგში).

დ. ყიფიანის გრამატიკაში სულ 137 გვ. (ლექსიკონის გარდა); აქედან 60 გვერდი (გვ. 64-124) ზმნას უჭირავს.

ავტორი ჯერ ზმნის მნიშვნელობას განმარტავს, შემდეგ აღნიშნავს, წინანდელი ქართველი გრამატიკოსები რა კატეგორიებს გამოყოფდნენ ზმნაში, ევროპულ ენათა ზმნების კატეგორიებს გაიხსენებს და დასკვნის სახით ჩამოთვლის რა აკლია ქართულ ზმნას ევროპული ენების ზმნებთან შეპირისპირებით და რა აქვს მას სპეციფიკური — ისევე ევროპულ ენების ვითარებასთან შედარებით:

„აბა ერთი კიდევ ჩამოვთვალოთ, ჩვენში რა და რა არ არის:

1. არ არის დახრა „დაუბოლოვებელი, განუსაზღვრელი“, ძველთაგან „უჩინოდ“ წოდებული (ლაპარაკია ე. წ. ინფინიტივზე, **неопределенное наклонение**-ზე — ა. ჩ.)...

ამის მაგიერად იხმარება სიტყვა, რომელსაც ჩვენებურადა ჰქვია „სახელზმნა“, **отглагольное имя**...

წერა, შენება, კეთება, დგომა, დგმა...

2. არ არის ჩვენში გარჩევა სქესებისა... და 3. არ არის სახე გავლილი, **однократное и многократное** „ერთგზისი და მრავალგზისი“ (გვ. 72).

შემდეგ განაგრძობს:

„ახლა რაც ჩვენში არის და ევროპიულს ზმნებში არ არის, ის მოვთვალოთ.

1. იქ არ არის მაგალითი, რომ ერთი ზმნა ოთხგვარად იცვლიდეს თავის მოყვანილობასაცა და მნიშვნელობასაც, — ან ასე ვთქვათ, — რომ ერთი ზმნა ოთხ ხმად გამოდიოდეს, როგორც მოქმედებითი, ისე მდგომარეობითი:

1. პირველ ხმას დაჰყვება ყოველი ზმნა, „მარტივად, პირველსახედ“ მოყვანილი:

ვსწერ, ვაშენებ; ვწევარ, მძინავს;

2. მეორე ხმას დაჰყვება ზმნის ისეთი სამშობრივად, რომ მოქმედება თუ მდგომარეობა ერთი პირისაგან მეორესა და მესამეზედ გადადიოდგადმოდიოდეს (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.):

მწერ, მწერს; გწერ, გწერს;

მაძინებ, მაძინებს; გაძინებ, გაძინებს.

ეს არის სახე ურთიერთარსობითი (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)...

3. მესამე ხმას დაჰყვება ისეთნაირად გამოცვლილი ზმნა, რომ პირველი პირის მოქმედება ან გავლენა მეორე პირზედ გადაჰქონდეს: ვაწერინებ, ვაწვენ, ვაძინებ...

ამ სახესა ჰქვია სხმით გადასვლითი (ახლანდელი ტერმინოლოგიით — „შუალობითი გზა“ — ა. ჩ.) და 4. მეოთხე ხმას დაჰყვება ზმნა, რომელსაც ამგვარივე მოქმედება, თუ გავლენა, მეორე პირის საშუალებით მესამეზედ გააქვს: დავაწერინებ, ვაწვეინებინებ...

ამას ჰქვია „მრჩობლსხმით გადასვლითი“.¹

- „II. „ევროპიულს ენებში არ არის სახე ზმნისა, რომ ერთი პირის მოქმედება სხვასაც ბევრს მიემართებოდეს და სხვა მრავალი პირისა — ერთსა: გწერ — გწერთ, მწერ — გვწერს, მწერენ — გვწერენ. (გვ. 73-74)...

ერთი უცხო ენებისაგან ჩვენი ენის განმასხვავებელი თვისება კიდევ ეს არის, რომ სხვა ენებში ზმნა რა ხმისაც უნდა იყოს ან რა სახისაც, ბოლოთი იცნობება და ჩვენი ზმნისა კი უმთავრესი ნიშანი თავი არის... (გვ. 75) ახლანდელი ნომენკლატურით ეს ასე ითქმოდა: „ქართულ ზმნას პრეფიქსაცია ახასიათებს — პირის აღნიშვნისას, — ევროპული ენების ზმნას — სუფიქსაცია... ა. ჩ.)

ამას მოსდევს სრულიად მოულოდნელი ინტერპრეტაცია, რომელიც პრიმიტიული სოციოლოგიზმის ილუსტრაციად თუ გამოდგება, მაგრამ იმდენად თავისებურია და ავტორისათვის დამახასიათებელი, რომ აქ მოხსენება, გვგონია, საინტერესო იყოს:

„ჩვენში რომ ზმნა უფრო პირით განირჩევა, — ამის მიზეზი იქნება ის იყოს, რომ ჩვენი ძველები ყველას პირში უშიშრად შეხედავდნენ ხოლმე, ვნახოთ, საქმე ვისთან უნდა ვიქონიოთ; — უკან მოქცევა კი ძალიან სათაკილოდ მიაჩნდათ, (გვ. 75).

„VII. ევროპიული ენა, რა სახისაც უნდა იყოს და რა დროისაც, ყოველთვის ერთსა და იმავე ბრუნვას, ან ბრუნვებს, მოითხოვს. მაგალითად:

¹ ძველი გრამატიკოსების — ანტონი და სხვ. — მიერ დამკვიდრებული ტერმინია, ხელოვნური გრამატიკული აქტის აღმნიშვნელი.

<p>писать пишу писал написал буду пи- сать напишу пиши</p>	<p>ქართული ზმნა კი თავ-თავისს დროს სხვადასხვა ბრუნვას ითხოვს:</p>	<p>მე სწერ — ვსწერდი ვსწერდე ის მწერს — მწერდა — მწერდეს</p>	<p>ლექსებსა</p>
		<p>მე ვსწერე — ვსწერო — მიწერია — მეწერა — მეწეროს იმან მწერა — ჰსწეროს იმას ეწერა — ეწეროს — უწერია</p>	<p>ლექსები</p>

შენ სწერე, იმან სწეროს ლექსები; შენ სწერდი, ის სწერდა ლექსებსა... გვ. 76-77.

რას მოწმობს ზემოთქმული? იმას, რომ დიმ. ყიფიანს ნათლად ჰქონდა გარკვეული თითქმის ყველა ძირითადი თავისებურება ქართული ზმნისა; სახელდობრ:

ა) რომ ქართული ზმნის უღვლილებას ახასიათებს პრეფიქსაცია, პირის ნიშანთა დასმა თავში;

ბ) რომ ქართულ ზმნას აქვს „ურთიერთარსობითი სახე“ („მოქმედება თუ მდგომარეობა ერთი პირისაგან მეორესა და მესამეზედ გადადიოდგადმოდიოდეს: მწერ, მწერს; გწერ, გწერს...), ე. ი. რელატიური ფორმები;

გ) რომ ქართულ ზმნაში ობიექტის პირის გარდა რიცხვიც შეიძლება აღინიშნოს: გწერ — გწერ-თ... მწერენ — გვწერენ...

დ) რომ ქართულ ზმნას მოეპოება შუალობითი გზა;

ე) რომ გარდამავალ ზმნებთან ობიექტის ბრუნვა იცვლება დროთა მიხედვით (სუბიექტის ბრუნვის ცვლაზე არაფერია ნათქვამი);

ვ) რომ ქართულ ზმნას არ გააჩნია ინფინიტივი, ე. წ. განუსაზღვრელი კილო და მის „მაგეირად იხმარება სახელზმნა, **отглагольное имя**“: წე-

რა, კითხვა, ტეხა...

„ურთიერთარსობითი სახე“ დიმიტრი ყიფიანის მსჯელობაში როდია შემთხვევითი, გაკვრით აღნიშნული მოვლენა. ზმნათა უღვლილება ამაზეა დაფუძნებული:

„ჩვენებითი დახრა იშლება ორნაირად:

ა. მიუმართველად

ბ. მიმართულებითად.

ჩვენებითი დახრა მიუმართველი წარმოადგენს სამ დროს:

ახლანდელს — აწმყოს.

გავლილს — ნამყოს, მარტივს სრულსა, უსრულესსა.

მომავალს — მყოფადს, მარტივს, გათავებადს. ჩვენებითი დახრა მიმართულებითი წარმოადგენს სამში ტრიალსა, ან „ურთიერთარსობას“;

1. მიუმართველად მოქმედებას ან მდგომარეობას ამიპირისას ცალ-ცალკე¹

2. პირველი პირის მიმართულებას მეორესთან და მესამესთან [მე — შენ, მას... ა. ჩ.]

3. მეორე პირის მიმართულებას პირველთან და მესამესთან [შენ — მე, მას...]

4. მესამე პირის მიმართულებას პირველთან და მეორესთან² [ის — შენ, მას... ა. ჩ.] გვ. 78. (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

რას ნიშნავს მიუმართავად და მიმართვით უღვლილება, ცხადი გახდება, ზმნის უღვლილების მაგალითიდან; ვიღებთ მხოლოდ ერთ დროს, აწმყოს (გვ. 87-88).

დრო ახლანდელი — აწმყო:

1. მიუმართავად

ვაკეთებ

ვაკეთებთ

აკეთებ

აკეთებთ

აკეთებს

აკეთებენ

2. მიმართვით: 1 პირისაგან 2 და 3-თან.

ვაკეთებ

ვაკეთებთ

ვაკეთებ

ვაკეთებთ

3. [მიმართვით] 2 პირისაგან 1-თან და 3-თან:

მაკეთებ

მაკეთებთ

გვაკეთებ

გვაკეთებთ

აკეთებ

აკეთებთ

¹ ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

² დავიწყებულია, რომ მესამე პირი შეიძლება მესამე პირთანაც იყოს მიმართებაში: ის — მას...

4. 3 პირისაგან	1-თან და 2-თან:
მაკეთებს	მაკეთებენ
გვაკეთებს	გვაკეთებენ
გაკეთებს	გაკეთებენ...

ამ წესითაა დაუდგლებული ეს ზმნა თხრობითი კილოს ყველა დროში; ეს დროებია (აწმყოს გარდა);

დრო გავლილი უსრული: ვაკეთებდი ...

დრო გავლილი სრული: გავაკეთებდი ...

დრო გავლილი უსრულესი: ვაკეთე ...

დრო გავლილი უსრულესი სარწმუნო (!): გავაკეთე ...

დრო გავლილი, ბერძნული აორისტი: მიკეთებია ...

დრო გავლილი აორისტი გათავებული: გამიკეთებია ...

დრო მომავალი — მყოფადი — მარტივი: —

დრო მომავალი გასათავებელი: გავაკეთებ (გვ. 87-94). ამას

მოსდევს პირობითი, ნატვრითი და ბრძანებითი კილოების დროთა უღვლილება (გვ. 94-103).

სანიმუშოდ აღებული ზმნის უღვლილებას მოსდევს [ვითომც შვილების] რეპლიკა:

„ოთხმოცდა ორი ცვლილება ერთი ზმნისა? — მაშ ერთი ამდენი სხმით-გადასვლითს მოუხდება; ამდენივე მრჩობლსხმით გადასვლითსა! სულ გამოვიდა ორას ორმოცდა ექვსი ცვლილება ერთის ზმნისა. სხვა აქედამე გამომავალი ზმნები რომ დავატრიალოთ, მაგალითად: ვიკეთებ, გიკეთებ, ვუკეთებ; ვკეთდები, ჰკეთდები, ჰკეთდება.¹ — ესენიც ხომ ამდენჯერვე იცვლიან სახესა! აუცილებელია, უნდა შემოკლდეს როგორმე ეს უღვლილება, — თორემ რომელი ახალ-მოსწავლე არ შეუშინდება ამას... (გვ. 104)...

„შემოკლება საჭიროაო“, უპასუხებს მამა და დასძენს: „აბა ერთად ვარჩიოთ ახლა, როგორ გავაადვილოთ ხელში მოგდება ქართული უღვლილებისაო“ (იქვე).

არჩიეს: გამეორების შემთხვევები თავიდან აეცდინათ, პრევერბიანი ფორმები ცალკე არ გამოეყოთ, „სამში ტრიალი ყოველ სახეში“ ერთად მოექციათ... და ამგვარად რომ გაამარტივეს, „ვაკეთებ“ ზმნამ აწმყოში ასეთი სახე მიიღო:

¹ ვკეთდები... აქ მოსატანი არ იყო ა. ჩ.

„დახრა ჩვენებითი“ [ე. ი. თხრობითი კილო — ა. ჩ.]

დროახლანდელი — აწმყო.

მხოლოდობით.

მრავლობით.

ვაკეთებ (მე მას, მათ)¹

ვაკეთებთ (ჩვენ მას, მათ)

ვაკეთებ (მე შენ)

ვაკეთებთ (ჩვენ შენ)

ვაკეთებთ (მე თქვენ)

—

აკეთებ (შენ მას)

აკეთებთ (თქვენ მას, მას)

მაკეთებ (შენ მე)

მაკეთებთ (თქვენ მე)

გვაკეთებ (შენ ჩვენ)

გვაკეთებთ (თქვენ ჩვენ)

აკეთებს (ის მას, მათ)

აკეთებენ (ისინი მას, მათ)

მაკეთებს (ის მე)

მაკეთებენ (ისინი მე)

გვაკეთებს (ის ჩვენ)

გვაკეთებენ (ისინი ჩვენ)

ვაკეთებს (ის შენ)

ვაკეთებენ (ისინი თქვენ)

ვაკეთებსთ (ის თქვენ)

—

(გვ. 105).

ასე გაყვება ყველა სხვა დროში ამ ზმნის უღვლილება... როგორც ვხედავთ, დიმიტრი ყიფიანს გათვალისწინებული აქვს მიმართვითი (ანუ, როგორც ის ამბობს, „მიმართულებითი“) ფორმების არსებობა და სირთულე უღვლილებისა, რომელიც ამას თან სდევს.

შესწორება სჭირდება მხოლოდ ერთ დებულებას, სახელდობრ, იმას, თითქოს „ვაკეთებ“, „აკეთებ“, „აკეთებს“ მიუმართავი ფორმები იყოს (აქ ყველგან მესამე პირია ობიექტად ნაგულისხმევი: აკეთებს — მას...); მაგრამ მიუმართავ, აბსოლუტურ ფორმად ასეთი ფორმები ნ. მარსაც მიაჩნდა „ძირითად ტაბულებში“ (1908) და მხოლოდ აკ. შანიძემ გაარკვია, რომ ასეთი ფორმები აბსოლუტური კი არაა, რელატიურია („მიუმართავი“ კი არაა, „მიმართვითია“, ობიექტს გულისხმობს, აღნიშნავს).

მით უფრო ბუნებრივია, დიმიტრი ყიფიანს კლებოდა სიზუსტე, გასაკვირი ეს კი არაა, არამედ ის, რაც ასე ნათლად არის დადგენილი და ჩამოყალიბებული: მიმართვითი, რელატიური ფორმები ის არსებობა ქართულ ზმნებში.

მიუმატეთ ამას ცნებები „სუბიექტისა“, „ობიექტისა“, ცნებები, რომლებიც მიმართვითი ფორმის დადგენით უკვე მოცემულია ფაქტობრივად, და ჩვენ მივიღებთ იმას, რაც ნ. მარს აქვს მოცემული „ძირითად ტაბულებში“.

¹ ფრჩხილებში ჩასმული ნაცვალსახელები დიმიტრი ყიფიანს არა აქვს, ჩვენ დაჯერებულად მეტი სიცხადისათვის.

მაინც უცნაურია, რომ ცნებები „სუბიექტი“ და „ობიექტი“ დ. ყიფიანის მსჯელობაში არ ამოტივტივდა; ეს საგნებით მოსალოდნელი იყო, მით უფრო, რომ ზმნის უღვლილების პრეფიქს-სუფიქსთა სქემა ავტორს მოცემული აქვს, ასე, მაგალ. გვ. 119:¹

მ ხ ო ლ ო ბ ი თ.		
პირველი პირი	მეორე პირი	მესამე პირი
ვ	გ	ჰ, ს, ა
მ	ჰ, ს —	ჰ — ს; ს — ს.
მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ.		
გვ	გ — თ,	ჰ, ს — თ
გ — თ	ჰ, ს — თ	ჰ, ს — ნ

იხ. აგრეთვე გვ. 79, სადაც პირთა ნიშნები უფრო თანამიმდევრად არის დალაგებული...

რა გამოირკვა? ზმნის პოლიპერსონალიზმი (ორპირიანობა...) და მით განსაზღვრული სირთულე უღვლილებისა მარტოოდენ საუნივერსიტეტო კურსების კუთვნილება არ ყოფილა. ქართული ენის დაწყებითს კურსშიც ყოფილა ის ოდესღაც შეტანილი. დიმ. ყიფიანია ის გრამატიკოსი, რომელმაც ჯერ კიდევ 1881 წ.² ქართული ენის ელემენტარულ სახელმძღვანელოში წარმოგვიდგინა ქართული ზმნის ძირითად თავისებურებათა საგნებით სწორი და თითქმის ამომწურავი ზოგადი დახასიათება, ხოლო ქართული ზმნის უღვლილება გამართა — **პირველად** — რელატიური ფორმების (ორპირიანობის) გათვალისწინების საფუძველზე.

¹ იხ. ზემოხსენებული მონოგრაფია: „სუბიექტ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტიური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ ტფილისი, 1920.

² მისი გრამატიკა გამოვიდა 1882 წ., დაწერილია 1881 წ.

НЕКОТОРЫЕ УЗЛОВЫЕ ВОПРОСЫ АНАЛИЗА
ГРУЗИНСКОГО ГЛАГОЛА

I

ИЗ ИСТОРИИ ВЫЯВЛЕНИЯ ПОЛИПЕРСОНАЛИЗМА
В ГРУЗИНСКОМ ГЛАГЛЕ*

(РЕЗЮМЕ)

В статье представлен краткий исторический экскурс исследования полиперсонализма грузинского глагола.

Исследование количества лиц в глаголе грузинского и других картвельских языков проводились Ал. Цагарели ("Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков", 1872), Г. Шухардтом ("К вопросу страдательного залога переходных глаголов кавказских языков", 1895). Однако этот факт в научной литературе стал известен благодаря работе Н.Марра "Основные таблицы грамматики древнегрузинского литературного языка" (1908). Точка зрения Н.Марра по одному вопросу была уточнена и исправлена А.Шанидзе в монографии "Префикс субъекта 2-го лица и префикс объекта 3-го лица в грузинских глаголах" (1928).

Исследование о количестве и статусе лиц в скриве одного глагола было опубликовано в работе "Проблема простого предложения в грузинском языке", I, 1928.

Эта значительная особенность грузинского глагола до Марра и Шухардта была замечена одним из авторов грузинской грамматики, известным общественным деятелем и менее известным грамматиком Димитрием Кипиани в работе "Новая грамматика грузинского языка" (1882, Санкт-Петербург).

Сначала автор говорит о значении глагола, затем указывает на глагольные категории, выделяемые предшествующими грузинскими грамматиками, глагольные категории европейских языков и в виде заключения перечисляет отличия грузинского глагола в сравнении с глаголами европейских языков, а также специфические черты, в частности:

* Резюме составила Р. Чкадуа.

а. Для спряжения грузинского глагола характерна префиксация, личные показатели в начале слова;

б. Грузинский глагол располагает релятивными формами;

в. В грузинском глаголе помимо объекта выражается и число;

г. В грузинском глаголе наличествует каузатив (понудительный залог);

д. При переходных глаголах падеж объекта меняется в зависимости от времени;

е. Инфинитив, или т.н. неопределенное наклонение, не характерен для грузинского глагола и на его месте используется масдар.

Постольку вопрос полиперсонализма глагола в грузинском языке был внесен и в начальный курс грузинского языка. Димитрий Кипиани еще в 1881 году в элементарном учебнике грузинского языка дал правильную и почти исчерпывающую общую характеристику основных особенностей грузинского глагола, а спряжение грузинского глагола впервые представил с учетом релятивных форм.

მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში

1. ქართული ენის ბრუნვათა შორის არ მოიპოვება ევროპულ ენათა ბრალდებითი ბრუნვა (აკუზატივი): მის ფუნქციებს ინაწილებენ მიცემითი და სახელობითი. მეორე მხრივ, არც ერთმა ევროპულმა ენამ არ იცის მოთხრობითი: უკანასკნელის ადგილს იჭერს სახელობითი (მოწაფე წერს — მოწაფემ დაწერა: **ученик пишет — ученик написал**).

რაკი ქართულ ბრუნვათა წყებაში ევროპულ ენათა ბრუნვებთან შედარებით „მეტი“ იყო მოთხრობითი, მეორე მხრივ, გვაკლდა ბრალდებითი, თავისუფალ ადგილას მოათავსეს მოთხრობითი: ქართულ სასკოლო გრამატიკებში ჩვეულებრივად მიცემითის შემდეგ მოთხრობითი მოდიოდა. ამან შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება — თითქოს მოთხრობითი ბრალდებითს უდრიდეს ანდა მის კომპენსაციას წარმოადგენდეს. ნამდვილად კი ეს ორი ბრუნვა ერთმანეთის მიმართ პოლარულია თავისი ფუნქციით: ბრალდებითი ბრუნვა ევროპულ ენებში **ყოველთვის** (პირდაპირი) **ობიექტის** ბრუნვაა და არასოდეს სუბიექტისა, ქართული მოთხრობითი **ყოველთვის სუბიექტის** ბრუნვაა და არასოდეს ობიექტისა.

სხვა ქართველურ ენებში — სვანურსა და მეგრულ-ჭანურში — ქართულის მსგავსად გვაქვს მოთხრობითი და არ გავგაჩნია ბრალდებითი.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა კავკასიურ ენებშიც¹, რომელთაც კი მოეპოვებათ ბრუნვა: ზემო და ქვემო ადიღურში, ჩაჩნურ-ინგუშურსა და წოგურში, დაღისტნის ენებში (ეს კია, რომ მოთხრობითის **მორფოლოგიური თვისებები** და **სინტაქსური გამოყენებაც** მეტ-ნაკლებ თავისებურებებს ამჟღავნებს, როგორც კავკასიურ ენათა შორის, ისე თვით ქართველურ ენებშიც². ბრალდებითი ბრუნვის უქონლობა კი **ყველას თანაბრად ახასიათებს**).

მოთხრობითის ქონა და ბრალდებითის უქონლობა ერთმანეთთან

¹ ამჟამად უდური წარმოადგენს თითქოს ერთად-ერთ გამონაკლისს: მას ბრალდებითი ბრუნვა აქვს. დოც. ვლად. ფანჩვიძემ სპეციალურ გამოკვლევაში ცხადყო, რომ უდურის ე. წ. ბრალდებითი მიცემითის ვარიანტია ისტორიულად. გამოკვლევა იბეჭდება „ენიმკის მოამბეში“, ტ. V.

² ამაზე სპეციალურად ვჩერდებით სხვა წერილში.

შინაგან კავშირშია, და ორივე ფაქტს საბოლოო ანგარიშში ზმნის თავისებურება განსაზღვრავს, ზმნის ფუძის აგებულების სპეციფიკურობა იწვევს.

სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც მოთხრობითის ხმარება ახასიათებს, იწოდება ერგატიულ კონსტრუქციად (ერგატივი მოთხრობითის აღმნიშვნელი ტერმინია). ამგვარი კონსტრუქციის პრობლემა ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის სახელწოდებითაა ცნობილი.

ამ პრობლემის რკვევა გულისხმობს, როგორც სათანადო **ზმნის ფუძის ბუნების** გათვალისწინებას, ისე ზმნასთან დაკავშირებულ სახელთა და, პირველ ყოვლისა, **მოთხრობითი ბრუნვის** ანალიზს; ეს უნდა გაკეთდეს ყველა ძირითადი კავკასიური ენისათვის ისტორიული პერსპექტივების მაქსიმალური გათვალისწინებით, რომ გაკეთებული დასკვნა არ იყოს შემთხვევითი ხასიათისა¹.

ამჟამად ჩვენ გვინტერესებს მოთხრობითი ბრუნვის საკითხი, უწინარეს ყოვლისა, ქართულს ენაში, ნაწილობრივ, სხვა ქართველურ ენებშიც; ქართულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: თხუთმეტი საუკუნის სივრცეზე ჩანს აქ საკითხის ვითარება მაშინ, როდესაც სხვა კავკასიური ენები (სხვა ქართველური ენებიც) საუკეთესო შემთხვევაში ორი საუკუნით თუ შეიძლება უკან მოხედვას და გავლილი ისტორიული გზისთვის თვალის გადავლებას.

2. მოთხრობითი ბრუნვა ქართულში ორგვარი აგებულებისაა: ან **აღწერითი წარმოებისა** ანდა **ორგანულისა**.

ა. აღწერითი წარმოება გვაქვს: ა) მ ხ ო ლ ო ბ ი თ ს რ ი ც ხ ვ შ ი ყ ვ ე ლ ა ს ა ხ ე ლ შ ი (ზოგ ნაცვალსახელთა გამოკლებით) და მ რ ა ვ - ლ ო ბ ი თ ს რ ი ც ხ ვ შ ი, უ კ ე თ უ ე ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი - ე ბ - ს უ ფ ი ქ ს ი თ ა ა ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი: კაც-მან, ძმა-მან... კაც-ებ-მან, ძმ-ებ-მან...

ბგ. ქართულში ხსენებული სახის მოთხრობითი იშვიათია, ახ. ქართულში გაბატონებული წარმოებაა, ოღონდ ბოლოკიდური **-ნ** იკვეცება, თუ ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება, და **-ნ**-ს გარდა წინამავალი **ა**-ც, თუ ფუძე ხმოვანზეა დაბოლოებული: კაც-ებ-მა, ძმებ-მა... კაც-მა..., მაგრამ ძმა-მ...

ამგვარად წარმოებული მოთხრობითი უდრის **სახელის ფუძის** პლურს **მან** ნაცვალსახელი მესამე პირისა მოთხრობითს ბრუნვაში (შდრ.: მან — მას — მის — მით...).

ამგვარად, მოთხრობითია კაც-მან, ძმა-მან იმიტომ, რომ მოთხრობითშია დართული ნაცვალსახელი **მან**, მოთხრობითობა, თუ შეიძლება ასე ით-

¹ რამდენადაც ერგატიული კონსტრუქციის სათავე ზმნაშია მოცემული, შეიძლება ამ კონსტრუქციის საკითხი დაისვას ერგატიული ბრუნვის უქონლობის შემთხვევაშიც, ასე, მაგალ., აფხაზურში, რომელსაც ბრუნება არა აქვს, ზმნა კი ერგატიული კონსტრუქციის შესაბამისი აქვს.

ქვას, მას შეაქვს.

რა აწარმოებს **მან**-ნაცვალსახელში მოთხრობითს? ბოლოკიდური **-ნ**: აქ უკვე ორგანული წარმოებაა.

ბ. ორგანული წარმოება მოთხრობითისა გააჩნია მხოლოდობითს რიცხვში მარტოოდენ ორ სახელს: ესაა ნაცვალსახელები **მან** და **ვი-ნ**.

შდრ.: მოთხრ.: მან-ნ... ვი-ნ... და: კაც-მან-ნ... ძმა-მან-ნ...

მიცემ.: მან-ს... ვი-ს... კაც-ს... ძმა-ს...

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია აქ -ნ.

მრავლობითში **ორგანული წარმოება** დასტურდება **ყველა სახელში**, არსებით სახელშიცა და ნაცვალსახელშიც, თუ მრავლობითი **-ნ-ით** იქნება ნაწარმოები:

შდრ.: სახელ.: იტყვან — იგი-ნ-ი... ვიეთ-ნ-ი... კაცნ-ი... ძმა-ნ-ი...

მოთხრ.: თქუეს — მათ-თ... ვიეთ-თ-ა... კაც-თ-ა... ძმა-თ-ა...

აქ -თ- გვაქვს; მას შეიძლება **-ა** დაერთოს (კაც-თ-ა, ძმა-თ-ა...), მაგრამ ეს **-ა** იმავე ღირებულებისაა, როგორც აქვს მას მხოლოდობითში — კაც-ს-ა, კაც-ის-ა, კაც-ით-ა..., ე. ი. **-ა** ამ შემთხვევაში ე. წ. ემფატიკური დაბოლოებისაა და, მათასადამე, ბრუნვის ნიშანში არ შედის¹.

მრავლობითის მოთხრობითში დადასტურებული **-თ** გამოყენებულია ნათესაობითსა და მიცემითშიც: ეტყვან — მათ... ვიეთ-თა... კაც-თა... ძმა-თა... აქ მიცემითშია სახელები დასმული. ნათესაობითი გვექნებოდა მაგალითებში: მათ-გან... ვიეთ-თა-გან... კაც-თ-ა-გან... ძმა-თ-ა-გან..

სამი ბრუნვის საზიარო **-თ-** მოთხრობითის სპეციფიკურ ნიშნად ვერ მიიჩნევა: საფიქრებელია, რომ ისტორიულად ეს იყო მრავლობითობის ნიშანი, მრავლობითობის **ნ**-სუფიქსის ბადალი და მისი წინამორბედი მრავლობითობის აღნიშვნაში. ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს **ზმნაში** ხმარებული სუფიქსები **-თ** (S₁ და S₂) და **-ან, -ენ**. ასეთ შემთხვევაში მრავლობითის ნიშან **ნ**-ს სახელებში ხმოვანი უნდა ჰქონოდა წამდვარებული, აგრეთვე — მეორე მაჩვენებელს **-თ-საც**²; ეს **-თ-ც** და ზმნის მრავლობითის სუფიქსი **-თ-ც** დ-საგან მიღებულად უნდა გვევარაუდებინა. ასეთი **ვარაუდი დააკავშირებდა ზმნის მრავლობითობის სუფიქსებს სახელთა მრავლობითობის სუფიქსებთან: -ან, -ენ -(ა)თ-, (ე)თ (||← (ა)დ-, -(ე)დ)** ბრუნებისა და უღვლილების **საერთო** სუფიქსები აღმოჩნდებოდა. ამგვარი ვარაუდის ვრცლად დასაბუთება აქ უადგილო იქნებოდა.

მაგრამ თუ **-თ-** სუფიქსი რიცხვისაა, რაღა აწარმოებს ბრუნვას? ბრუნვის ნიშნები **თ-**იან მრავლობითს არც აქვს (შდრ. ამ მხრივ პირვე-

¹ იხ. К. Дондуа-ს გამოკვლევა: „К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском языке“ ИАН, 1930, გვ. 195-209.

² იხ. ვი-ეთ-ნ-ი, სადაც **-ეთ** მრავლობითის ნიშანი ჩანს.

ლი და მეორე პირის ნაცვალსახელები: მე, შენ... ჩუენ, თქუენ..., რომლებიც სახელობითს, მოთხრობითსა და მიცემითს არ განასხვავებენ მორფოლოგიურად — იხ. აქვე, ქვ.). **თ**-იანი მრავლობითი ძველის ძველია (შდრ.: ჩუენ ვაკეთებთ — ჩუენ ვაკეთეთ... მათ აკეთეს... მათ ჰრქუეს — მათ ჰრქუეს მათ...).

მაგრამ, ვთქვათ, **-თ** სუფიქსი არაა რიცხვის სუფიქსი, არამედ ბრუნვისა: ის იყო ერთი ბრუნვისა და შემდეგ, ვთქვათ, გახდა საზიარო სხვა ბრუნვათათვის, ასეთ შემთხვევაშიც **-თ არ იქნებოდა** ისტორიულად **მოთხრობითის ნიშანი**. ამჟამად **-თ** მრავლობითში, როგორც ვნახეთ, საზიაროა სამი ბრუნვისათვის: ნათესაობითისა, მიცემითისა და მოთხრობითისათვის. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ამათში ყველაზე ახალია წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ მოთხრობითი. ცხადია, თუ **-თ** ბრუნვის ნიშანია, ის იქნება მიცემითისა და კიდევ უფრო ნათესაობითის კუთვნილება — და არავითარ შემთხვევაში მოთხრობითისა: უკანასკნელი, უფრო გვიან ჩამოყალიბებული, მხოლოდ ჩაეწილებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნათესაობითსა და მიცემითს **-თ**-ს გამოყენებაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველურ ენათა განვითარების ისტორიულ პერსპექტივებს საერთოდ არ ეგუება მოთხრობითისა და მიცემითი ბრუნვის დიფერენციაცია საზიარო, ერთიანი, მასალიდან.

დასკვნა: მოთხრობითი ბრუნვა ორგანული წარმოების შემთხვევაში იყენებს ორ ნიშანს: **-ნ**-სა და **-თ**-ს. ამათგან **მხოლოდ პირველი, -ნ-, არის მოთხრობითის ნიშანი**.

მოთხრობითის ეს სპეციფიკური ნიშანი ქართულში მხოლოდ ორ ნაცვალსახელს აქვს: მა-**ნ**, ვი-**ნ**. სხვანაირად რომ ვთქვათ, მორფოლოგიურად ნორმალური (— ბრუნვათა ორგანული წარმოება ქართულისათვის ნორმა —) მოთხრობითი ქართულში მხოლოდ ორ სახელს მოეპოვება.

3. მეგრულსა და ჰანურში მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ორგანული წარმოებისაა — არსებით სახელებშიაც და ნაცვალსახელებშიც, მხოლოდობითს რიცხვშიცა და მრავლობითშიც.

მოთხრობითი ნიშანი ყველგან ერთია — -ქ.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი :

მეგრ.:	მოთხრ.:	მუ-ქ (მა- ნ -)...	მი-ქ (ვი- ნ -)...	ჯიმა-ქ (ძმა-მ)...
	მიცემ.:	მუ-ს (მა- ს -)...	მი-ს (ვი- ს -)...	ჯიმა-ს (ძმა-ს)...
ჰან.:	მოთხრ.:	მუ-ქ (მა- ნ -)...	მი-ქ (ვინ)...	ჯუმა-ქ (ძმა-მ)...
	მიცემ.:	მუ-ს (მა- ს -)...	მი-ს (ვის)...	ჯუმა-ს (ძმა-ს)...

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი:

მეგრ.:	მოთხრ.:	მუნ-ენ-ქ...	[მინ-ენ-ქ]	ჯიმალ-ენ-ქ...
	მიცემ.:	მუნ-ენ-ს...	[მინ-ენ-ს]	ჯიმალ-ენ-ს...
ჭან.:	მოთხრ.:	მუთ-ეთ-ე-ქ...	მით-ეფ-ე-ქ...	ჯუმალ-ეფ-ე-ქ...
	მიცემ.:	მუთ-ეფ-ე-ს...	მით-ეფ-ე-ს...	ჯუმალ-ეფ-ე-ს...

ბრუნების ეს ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ მეგრულსა და ჭანურში მომხდარია უნიფიკაცია, დამკვიდრებულია სტანდარტული ერთფეროვნება; ეჭვს გარეშეა, რომ ეს მეორეული მოვლენაა, შედარებით ახალი პროცესია. მაგრამ მეგრულსა და ჭანურს შემოუნახავს მოთხრობითის ისტორიის თვალსაზრისით საგულისხმო ზოგი ჩვენება.

ახლა მეგრულში გვაქვს **მუ** (ის თვითონ); გარეგნულად ის ხვდება კითხვითს ნაცვალსახელს **მუ** (რა?). მაგრამ მრავლობითში „ჩნდება“ **-ნ**: მუნ-ეფ-ი (ისინი თვითონ). რის მაქნისია ეს **-ნ**? მრავლობითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ფუძის კუთვნილება ჩანს: მხოლოობითმა დაკარგა ფუძისეული **-ნ**, რადგანაც ის ბოლოკიდური იყო (ეს ნორმალურია მეგრულისათვის!), მრავლობითმა შეგვიანხა იგი ხმოვნის წინ (მუნ-ეფ-ი). მასასა-დამე, მდგომარეობა ანალოგიურია იმისა, რაც **ჯიმა**, **და-** სახელებში გვაქვს: ჯიმა (ძმა) — ჯიმალ-ეფ-ი (ძმები); მხოლოობითის სხვა ბრუნვებში **-ლ** არა ჩანს: ჯიმა-ქ (ძმამ), ჯიმა-ს (ძმას)... ასევე იქნებოდა: და — დელ-ეფ-ი (დები), და-ქ (დამ), და-ს (დას)...

მაგრამ ამგვარს განმარტებას ვერ დავერდებით. ჭანურში მესამე პირის ნაცვალსახელი მრავლობითში **-თ**-ს გამოგვივლენს: მუთ-ეფ-ე (ისინი თვითონ); ეს **-თ** მხოლოობითში არსად ჩანს (მუ-ქ, მუ-ს, მუ-ში, მუ-შე...), ისევე, როგორც **-ნ** მეგრულში; ეს **-თ** მრავლობითში ჩნდება ისევე, როგორც **-ნ** მეგრულში: მუნ-ეფ-ი — მუთ-ეფ-ე, — **-თ** და **-ნ** ერთმანეთის ეკვივალენტი ჩანს.

ჭანურში ეს **-თ** განმარტოებით არ დგას: ჩვენებითი ნაცვალსახელები მრავლობითში ამ **-თ**-ს წარმოგვიდგენენ:

ჰა-თ-ეფე (|| ჰე-მ-თ-ეფ-ე) ისინი:

ეგევე **-თ**- გვაქვს **ნამუ**- ნაცვალსახელის მრავლობითში: ნა-მ-თ-ეფ-ე (რომელნი?).

ეგევე **-თ** მოეპოვება მეგრულს ჩვენებითს ნაცვალსახელებში:

თ-ე კოჩი (ეს კაცი), ა-**თ-ე** კოჩი (აი ეს კაცი)...

თ-ი კოჩი (ის კაცი), ე-**თ-ი** კოჩი (აი ის კაცი)...

ეს **-თ**- ნაცვალსახელური ძირია მეგრულში, იგივეა ჭანურში.

რა იჭერს ქართულში მის ადგილს? **-გ-** და **-ს-**:

ე-**გ-ე** — ი-**გ-ი**; ა-**გ-რე**; მა-**გ-რე**...

ე-ს-ე — ი-ს-ი; ა-ს-რე; (→ || ა-ს-ე); ი-ს-რე (→ ი-ს-ე)...¹ თავკიდური ა-, ე-, ი- ჩვენებითი ნაწილაკებია; მოცემულია აქ გამარტივებული სახით: მათ წინ თანხმოდანი დაერთვოდა; ერთ-ერთი ვარიანტი — ჰ-იანი — ჰა-ნურში გვაქვს (ჰა-და, ჰა-მ... ჰე-ა, ჰი-მ...)²; სალიტერატურო ქართულსაც დაუცავს აქა-იქ: ჰაგრე...

ზემოხსენებულ ნაცვალსახელებში ჩვენებითი ნაწილაკები საერთოა, ნაცვალსახელური ძირები (მარტივი ფუძეები) განსხვავებულია: გ, ს ს ა - ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქ ა რ თ უ ლ ის ისტორიაში სხვადასხვა ხნოვანობისაა; წარმოშობით ისინი სხვადასხვა დიალექტურს ფენას უნდა უკავშირდებოდნენ.

ამ -გ-სა და -ს-ს რიგში უნდა მოვაქციოთ მეგრულისა და ჰანურის თ; სავარაუდებელია იგი იყოს მიღებული -დ-საგან.

თუ ეს ასეა, მისი ფონეტიკური კორელატი -ნ უნდა გვქონოდა მეგრულ მრავლობითში: მუ-ნ-ეფ-ი.

ამგვარად: **ჰანურშიაც და მეგრულშიც მესამე პირის ნაცვალსახელს მრავლობითში** აღმოაჩნდა **ნაცვალსახელური ძირი** (მარტივი ფუძე) **თ (←დ)** და **-ნ** დანართის სახით. ამ ფაქტის მოგონება ჩვენ მოგვიხდება ქვემოთ.

მოთხრობითის საკითხისათვის ჰანურს სხვა საინტერესო ჩვენებაც შეუძლია მოგვაწოდოს: **ჰანურში მუ-ქ მოთხრობითიცაა და სახელობითიც**. მოთხრობითი და სახელობითი აქ გათიშული არაა, გაუდიფერენცირებელია: მუქ მომჩუ (მან თვითონ მომცა) — მუქ რენ (ის თვითონ არის; სიტყვა-სიტყვით: „მან თვითონ არის“)...

4. სვანურში ჩვენთვის საინტერესო ბრუნვის საკითხი გაცილებით უფრო რთულია. ჯერ ერთი, მოთხრობითი და გარდაქცევითი ერთმანეთს ხვდება: მოთხრობითი არაა მხოლოდ ერთი, სუბიექტისათვის განკუთვნილი ბრუნვა. ამით სვანური მოგვაგონებს მთელ რიგ კავკასიურ ენებს (ჩაჩნური თუ დაღისტნური ჯგუფებიდან), რომელთაც მოთხრობითი სხვა ბრუნვის მოზიარედ გამოყავთ.

მერე: სვანურში მოთხრობითი იყენებს ორ ნიშანს: ესაა **-ემ-** და **-დ-**: მუგ-ემ (მამამ) — დინა-დ (ქალიშვილმა).

პირველი ფლექსიის გამოყენებისას ბრუნებას ზოგი ისეთი თავისებურება ახასიათებს, რომლებიც უცხოა სხვა ქართველური ენებისათვის, მაგ-

¹ შეიძლება -მ- ძირიც მოგვეხსენებინა -გ- და ს-ს გვერდით: ა-მა-ნ, ი-მა-ნ; შდრ. ჰან. ჰა-მ(უ), ჰი-მ(უ), მაგრამ ამოსავალი ამ შემთხვევებში მაინც პიროვნული ნაცვალსახელის მნიშვნელობაა, ჩვენებითად მას აქცევს წინამავალი ნაწილაკები.

² იხ. ავტორის ნარკვევი: „ჰანურის გრამატიკული ანალიზი“, გვ. 81-82.

რამ საყოველთაოდ ცნობილია კავკასიური ენებიდან: მოთხრობითის ნიშანი გადაყვება სხვა ბრუნვებშიც.

ერთი ხანია, რაც ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა მ აღნიშნა: სვანურის ეს ფლექსია ადიღეური ენიდან მომდინარეობსო. ეს სამართლიანი მოსაზრება ჩანს; მასთან იგი გასაგებს ხდის ამ ფლექსიის გამოყენებასთან დაკავშირებულ თავისებურებას სვანურში და მეტად მნიშვნელოვან მითითებას შეიცავს სვანურის ისტორიისათვის. ამაზე სიტყვის გაგრძელება აქ უადგილო იქნებოდა.

მეორე ფლექსია **-დ** გაბატონებულია მრავლობითში და ხშირია მხოლოლობითშიც: ძვრ-დ ვინ (მოთხრ.)... აღძვრ-დ მათ (მოთხრ.)...

სვანურისათვის ეს **-დ** უნდა იყოს დამახასიათებელი. ეს **-დ** უნდა დავსვათ ქართული **-ნ**-ს ფონეტიკურ კორელატად.

5. არც სვანურში, არც ჭანურ-მეგრულში და არც ქართულში მოთხრობითი ბრუნვა, გარჩეული სახელობითისაგან, არა გვაქვს. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში: **მე, შენ** — ჭ.მ. **მა, სი** — სვ. **მი, სი** და მათი შესაბამისი სახელები მრავლობითში ასრულებენ ქართველურ ენებში სამი ბრუნვის ფუნქციას: მიცემითისა, მოთხრობითისა და სახელობითისას.

მომცა **მე** (ვის?) — ვაკეთე **მე** (ვინ? კაცმა) — ვაკეთებ **მე** (ვინ? კაცი)...

მოგცა **შენ** (ვის?) — აკეთე **შენ** (ვინ? კაცმა) — აკეთებ **შენ** (ვინ? კაცი)...

ამათ გარდა, ძვ. ქართულში ვხვდებით მოთხრობითისა და სახელობითის ნაცვლად ფუძის ხმარებას: არაა ჩამოყალიბებული არც სახელობითი და არც მოთხრობითი. ეს ხდება ადამიანის სახელებში, მასთან არც თუ იშვიათად. სუბიექტ-ობიექტის გარჩევის მიზნით ასეთ შემთხვევაში დაწესებულია სიტყვათა მტკიცე რიგი: პირველი ადგილი სუბიექტსაა, ობიექტი მომდევნოა:

აბრაამ შვა ისააკ (= აბრაამ**მან** შვა ისააკ**ი**)...

6. მოთხრობითი ბრუნვის წარმოების განხილვიდან ჩანს, რომ სამი ფლექსიაა გამოყენებული საამისოდ:

-ნ — ქართულში,

-დ — სვანურში,

-ქ — ჭანურსა და მეგრულში.

ზევით უკვე იყო აღნიშნული, რომ ქართულში **-ნ** მხოლოდ ორ სახელში აწარმოებს მოთხრობითს (მა**-ნ**, ვი**-ნ**); ამათგან პირველს სახელობით-

თი ბრუნვა საკუთარი ფუძიდან არ ეწარმოება (სხვა ფუძეა ნა-სესხები — **ისი, იგი**), მეორეს კი სახელობითშიც იგივე ფორმა აქვს: ვინ-**ნ** (ვინ აკეთა? ვინ აკეთებს?).

აქედან ირკვევა, რომ:

ა) **მოთხრობითი უფრო ადრეა ჩამოყალიბებული, ვინემ სახელობითი**; ქართულ ბრუნვათა ისტორიაში **მოთხრობითი წინ უსწრებს სახელობითს**: ამიტომ იყო შესაძლებელი გვქონოდა **მან** მოთხრობითის გაგებით, მაგრამ არა გვქონოდა სახელობითი და, როცა ამის საჭიროება შეიქმნა, სხვა სიტყვა (**იგი, ის**) — ჩვენებითი ნაცვალსახელი — ესესხებინა მესამე პირის ნაცვალსახელს და მით შეეცა დანაკლისი.

ბ) **მოთხრობითი და სახელობითი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან**: მხოლოდ ამიტომ იყო შესაძლებელი **-ნ** სახელობითშიც გამოეყენებინა ვინ- ნაცვალსახელს (და არ ესესხებინა ახალი ფუძე სახელობითისათვის).

მოთხრობითისა და სახელობითის ურთიერთობა ამ მხრივ მართლაც **ვინ-** ნაცვალსახელის ბრუნებიდან არ ირკვევა: ჭანურში ანალოგიური ფაქტი გვაქვს თვით მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნებაში: მუ-**ქ** მოთხრობითიც არის და სახელობითიც (იხ. ზემოთ).

ამას მეგრულის ჩვენებაც შეიძლება დაერთოს: მრავლობითში მესამე პირის ნაცვალსახელი მუნ-ს იძლევა; ეს **მუნ** ქართულ **მან-** ნაცვალსახელის სრული ეკვივალენტი ჩანს: **მან** ქართულში მოთხრობითია, **მუნ** მეგრულში სახელობითია, ე. ი. მოთხრობითის ფორმა სახელობითადაც არის გამოყენებული.

კი მაგრამ **მან** ქართულში **მა-** ფუძისაგან და **ნ-**ფლექსიისაგან შედგება, **მუნ** მეგრულისა, როგორც ზევით იყო ნაჩვენები (იხ. გვ. 171), შეიცავს ნაცვალსახელოვან **-ნ** ძირს, რომელსაც გვერდით უდგას ჭანურში **-თ** (← **დ**) ძირი ანალოგიურს შემთხვევაში.

რა აქვს საერთო მოთხრობითის ნიშანს (მა-**ნ-**) და ნაცვალსახელოვან ძირს (მუ-**ნ-**, მუ-**თ**)?

7. მოთხრობითის ნიშანი წარმოშობით ნაცვალსახელობითი ძირი უნდა იყოს; ეს თანაბრად ეხება, როგორც ქართულ -ნ-ს, ისე ჭანურისა და მეგრულის ქ-ს და სვანურ დ-ს.

ყველაზე ნათელია საქმის ვითარება **ქ-** ფორმანტის შემთხვევაში. ეს **ქ** იგივე **-გ-**ა, რაც **ი-გ-**ი, **ე-გ-**ე ნაცვალსახელებში გვაქვს, ოღონდ ფონეტიკურადაა სახეცვლილი: **გ** → **ქ** (მყდერი შეცვლილია სათანადო რიგის მფშვინავით).

რომ ეს ასეა, ჩანს ადგილის ზმნისართებიდან, რომლებიც იმავე ნაცვალსახელოვან ფუძეს იყენებენ:

შდრ. **ა-გ-** (აგ-რე) და ზმნისართები: **აქ** (მეგრ., ქართ; ჭან.-ხოფ.),

ჰაქ || ჰაქო (ვიწ. არქ. და ათინ. კილოკავები ჭანურისა).

ი-გ- (იგ-ი) და ზმნისართები: **იქ** (ქართ.), **ჰიქ, || ჰიქო** (ვიწ.-არქ. და ათინ. კ. ჭანურ.); **ექ** (მეგრ.), ჭან. (ხოფ.).

მა-გ- (მაგ-ის) და ზმნისართები: **მა-ქ** (დიალექტ. — დასავლ. კილოებში).

საიდან ჩანს, რომ ზმნისართებში **გ** გვქონდა და მერე მივიღეთ ამ **გ-**საგან **ქ?** სვანურის ბალსქვემოურ კილოში შემონახულია ზმნისართები, რომელთაც დაუცავთ **გ:** იმ-ე-გ (სად?), დემ-ე-გ (არა, არსად)... ამ ზმნისართებში შედის ნაცვალსახელური ელემენტი **იმ-** (პირველ შემთხვევაში), უარყოფითი ნაწილაკი **დემ-** (მეორე შემთხვევაში); ორსავე შემთხვევაში მეორდება **ე-გ-**, ჩვენებითი ნაცვალსახელიდან მომდინარე.

ადგილის ზმნისართებში ვიპოვით ისეთ ნაცვალსახელურ ძირებს, რომლებიც თვით ნაცვალსახელებში არ ჩანს. ასეთია **-დ:**

სა-დ-ა? **მა-დ-ა** (დიალექტ.; ვარიანტებით: მა-დ-ა-ნა, მა-დ-ა-ნე...)

მანდ-ა- (ლიტერატურული; მიღებულია ან **მან** || **მად-**ის კონტამინაციით ანდა **დ-**ის წინ **ნ-**ს განვითარებით ფონეტიკურ ნიადაგზე).

ეს **-დ-** ნაცვალსახელებში ა მ ს ა ხ ი თ არ დასტურდება; საფიქრებელია ის გვქონდეს მეგრულისა და ჭანურის **-თ-** ძირში (იხ. ზემოთ, გვ. 171).

ეს ნაცვალსახელოვანი ძირი უნდა იყოს სვანური მოთხრობითის მარწმობელი **-დ.**

სა-დ-ა-ს პარალელურად ქართულში იხმარება ***სა-ნ-ა** (სა-ნ-ა-მდის);

მა-დ-ა-ს გვერდით გვაქვს ***მა-ნ-ა** (მა-ნ-ა-მდის)...

ამავე კონტექსტში უნდა მოვიხსენიოთ: ვი-დ-რე, რომლის **ვი-დ ვი-ნ** ნაცვალსახელის **დ-**იანი ვარიანტია.

აგრეთვე: მეგრ. მუ-ნ და ჭან. მუ-თ- (← მუ-დ)...

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: **-გ (|| → ქ), -ნ || -დ || → -თ ერთმანეთს ენაცვლება ზმნისართებშიც, ნაცვალსახელებშიც, ეგვიპე მონაცემები პირველადი სახით თუ ფონეტიკური სახეცვლით, გამოყენებულია მოთხრობითის ნიშნად: მოთხრობითი ნაცვალსახელოვანი ძირების დართვით იწარმოება ყველა ქართველურ ენაში.**

კაც-მან მოთხრობითს აწარმოებს **მან-** ნაცვალსახელის, პიროვნებითი ნაცვალსახელის დართვით, თვით ეს ნაცვალსახელი (მოთხრობითი ბრუნვის წარმოსაქმნელად) ნაცვალსახელურ ძირს დაირთავს, ეს ძირი ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირია...

მოთხრობითი ქართველურ ენებში — ესაა ნაცვალსახელური ძირით განსაზღვრული ფუძე.

8. მოთხრობითის წარმოების ასეთი ინტერპრეტაცია გასაგებს ხდის:

ა) როგორ იყო შესაძლებელი მოთხრობითისა და სახელობითისათვის გამოყენებინათ ერთი და იგივე მაჩვენებელი,

და ბ) რატომ იყო ბუნებრივი მოთხრობითი (და სახელობითი) ზოგად სახელებში ეხმარათ, მაგრამ ადამიანთა საკუთარი სახელებისათვის არ გამოეყენებინათ; აქ მხოლოდ უდეტერმინაციო ფუძე ყოფილიყო მოცემული.

სახელობითი ბრუნვის ნიშანი • ჩვენებითი ნაცვალსახელიდან მომდინარეობს: ესაა პირველი შემადგენელი ნაწილი **ი-გ-ი** (|| **ი-ს-ი**) ნაცვალსახელისა. ამრიგად, სახელობითშიც ჩვენებითი ნაცვალსახელი მონაწილეობს და მოთხრობითშიც: ფუძის დეტერმინაცია ორსავე შემთხვევაში ნაცვალსახელის საშუალებით ხდება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთს შემთხვევაში გამოყენებულია სათანადო ნაცვალსახელის ძირი, მეორეში — სხვა ნაწილი, — ძირს დართული ჩვენებითი ნაწილი.

მაშასადამე, ამ მხრივ არ შეიძლება არსებობდეს ზღვარი მოთხრობითსა და სახელობითს შორის; სავსებით ბუნებრივია, თუ მოთხრობითისათვის გამოყენებული ფლექსია სახელობითშიაც აღმოჩნდეს (ვი-ნ... მა-ნ || მუ-ნ... მუ-ქ).

ქართული და სხვა ქართველური ენების თანამედროვე მდგომარეობაცა და ისტორიული წარსულიც მკვეთრად განაზღვრავს სხვაობას მოთხრობითსა და სახელობითს შორის: მათი ფუნქციები არსებითად განსხვავებულია.

რამ გამოიწვია ეს? მოთხრობითი და სახელობითი სხვადასხვა ფორმაციის მორფოლოგიური ოდენობაა; მოთხრობითი უფრო ძველია, სახელობითი უფრო ახალი; ქართული ბრუნვის (და, საერთოდ, მორფოლოგიის) განვითარების სხვადასხვა საფეხურია მათში წარმოდგენილი; შესაბამისად სხვადასხვა ფუნქციითაა ისინი აღჭურვილი. ნაცვალსახელის სხვადასხვა ნაწილებია მათში მოცემული (თუმცა მათი აგებულების პრინციპი ერთია).

ამგვარად: **მოთხრობითიცა და სახელობითიც ნაცვალსახელით დეტერმინირებული ფუძეა; ისტორიულად — მოთხრობითი „პირველი სახელობითია“...**

კავკასიურ ენებში ჩვენ გვაქვს არა ერთგან ისეთი მდგომარეობა, როცა სახელობითის როლში გამოდის უდეტერმინაციო ფუძე, მოთხრობითის ჩამოყალიბებაზე შეჩერდა დეტერმინაციის პროცესი.

ზოგად სახელებს ესაჭიროებოდა დეტერმინაცია; ადამიანის საკუთარი სახელისათვის ეს ზედმეტი იყო¹. ამიტომაც, რომ მოთხრობითი და სახელობითი ადამიანთა საკუთარ სახელებთან შედარებით გვიან შემოდის ხმარებაში. ძველი ქართულის ისტორია უსწრებს იმ მდგომარეობას, რომლის ნიმუში ზევით იყო ნაჩვენები (იხ. გვ. 168). მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნა მორფოლოგიური შაბლონი, მას შემდეგ, რაც დაიჩრდილა

¹ მოვიგონოთ ევროპული ენები, რომელნიც ნაწევარს ხმარობენ არსებითი სახელების წინ: გერმ. *das Haus*, ფრანგ. *la maison*, ძვ. ბერძ. τὸ δῆμον... არც ერთ ამ ენაში ადამიანის სახელის წინ ნაწევარი არ იხმარება: *Paul... Charles... Κύριος...* საკუთარი სახელი არ საჭიროებს იმ განსაზღვრას, რომელიც ზოგადი სახელისთვის აუცილებელია.

მოთხრობითისა და სახელობითის პირვანდელი გაგება და ეს ბრუნვები იქცნენ ე. წ. სინტაქსურ ფორმებად, მოთხრობითისა და სახელობითის ნიშნები ადამიანთა საკუთარ სახელებსაც საჭირო დაუბრუნა. თუმცა აღსანიშნავია, რომ საკუთარმა სახელებმა ზოგ რაშიმე დღემდის შეინარჩუნეს თავისებურება. ასე, მაგალითად, გვარის წინ ადამიანის სახელი სახელობითის ნიშანს არ დაირთავს, ოდენ ფუძით წარმოდგება: დავით გურამიშვილი (შდრ.: დავითი მოვიდა), ლუარსაბ თათქარიძე... ეგევე ითქმის სახელის ხმარებისას მუდმივი მსაზღვრელის წინ: დავით აღმაშენებელი, ვახტანგ სჯულმდებელი...

არას გამბობ მიმართვის ფორმის შესახებ (ე. წ. წოდებითი ბრუნვა): აქ ადამიანის სახელი დღემდის ფუძის სახით გვაქვს: სიმონ! დავით! თამარ! თინათინ! და სხვა.

9. მოთხრობითი ბრუნვის ნიშანთა ნაცვალსახელოვანი წარმოშობის რკვევისას (იხ. გვ.) ნაჩვენები იყო ის მჭიდრო კავშირი, რომელიც (ჩვენებით) ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს შორის აღმოჩნდა:

-ქ მოთხრობით ბრუნვაშიც გვქონდა (ჭანურ-მეგრულში) და ზმნისართში: ნაცვალსახ.: **მუ-ქ...** ზმნისართ.: **ა-ქ, ე-ქ... ჰა-ქ, ჰი-ქ...**

ასევე **ნ** და **დ**:

ნაცვალსახ.: **მა-ნ...** ზმნისართები: **მა-დ || მა-ნდ... მუ-ნ** ძვ. ქართულისა და **მუნთ** (— ძვ. ქართ. **მუნთ**-ქუესვე, რომელიც ნ. მარის ვარაუდით მუნდ-ქუესვე-საგანაა მიღებული — იხ. Древнегруз.-рус. слов. к перв. двум главам еванг. Марка, СПб. 1913, გვ. 13).

როგორ უნდა ავხსნათ ეს? შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მოთხრობითი ბრუნვა ბრუნვათა წარმოშობის ლოკალისტური თეორიის სისწორის დემონსტრაცია იყოს¹: მოთხრობითი ბრუნვა ლოკატიურ დეტერმინაციას იძლეოდა და ამ გზით იყოს წარმოშობილი.

მაგრამ შეუძლებელი არაა ნაცვალსახელოვანი შედგენილობის წარმოებიდან ამოვიდეთ და ზმნისართული შინაარსი ავხსნათ.

ყოველ შემთხვევაში ფაქტი ნაცვალსახელისა და ზმნისართების სიახლოვისა და დამთხვევისა საგულისხმო ფაქტია. მას ჩვენ საგანგებოდ დავუბრუნდებით ზოგ სხვა საკითხთან დაკავშირებით.

¹ მოვიგონოთ შუხარდტის კატეგორიული დებულება: აქტიური ბრუნვა [ე. ი. მოთხრობითი, ერგატივი — ა. ჩ.] ისევე, როგორც ყველა ბრუნვა — გარდა სახელობითისა... და ნათესაობითისა..., ზმნისართია...: [მამამ] = მამა — ადგილი 'მამის მხრივ, მამა — იარაღი' მამის საშუალებით (Vater — Ort 'seitens des Vaters, Vater — Werkzeug' durch den Vater...იხ. Ind. Forsch., XVIII) მართალია, შუხარდტი იქვე დასძენს: მოთხრობითში ნაცვალსახელოვანი დანართიც შეიძლება გვქონდესო (V a t e r - e r , c' e s t l e p è r e q u i), მაგრამ ეს ინდოევროპული და სემიტური სახელობითის ასახსნელადაა პირველ რიგში ნავარაუდები.

1) ორიოდ სიტყვა მოთხრობითი ბრუნვის ხმარებისათვის. ქართველური ენებიდან **ქართული** და **სვანური** ამ მხრივ ერთნაირად იქცევა.

მოთხრობითი ბრუნვა იხმარება დრო-კილოთა **მეორე** ჯგუფში (ნამყო ძირითადის ჯგუფში) და ისიც მარტოოდენ გარდამავალ ზმნებთან (ძმამ დაწერა, ქმნა, დახატა...).

მეგრულიც მხოლოდ **მეორე ჯგუფის დრო-კილოებში** იყენებს მოთხრობითს, მაგრამ ყველა ზმნასთან — **გარდამავალთანაც და გარდაუვალთანაც** (ჯიმაქ დოჭარუ... ჯიმაქ მწრდუ... დწრწინუ... დოღურუ — ძმამ დაწერა... ძმამ გაიზარდა, დაბერდა, მოკვდა...). ამგვარად, მეგრულში გაფართოებულია მოთხრობითის გამოყენების არე (იმავე, მეორე, ჯგუფის დრო-კილოებში).

ჭანური მოთხრობითს იყენებს **მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან**, მაგრამ **დროთა სამსავე ჯგუფში**: ჯუმაქ დოჭარუ (ძმამ დაწერა)... ჯუმაქ ჭარუმს („ძმამ წერს“)... ჯუმაქ დოჭარუდორენ (|| დოჭარელერენ — „ძმამ ნაწერავა“...).

გარდაუვალ ზმნებთან კი ჭანური მოთხრობითს არ ხმარობს: ამ მხრივ ქართულსა და სვანურს მისდევს და მეგრულს შორდება¹. გარდამავალ ზმნებთან კი ჭანურმა მაქსიმალურად გააფართოვა მოთხრობითის გამოყენების არე.

ქართველურ ენათაგან ქართულსა და სვანურს აქვთ შემონახული უფრო ძველი მდგომარეობა მეგრულთან და ჭანურთან შედარებით. მაგრამ, ცხადია, არც მათში გვაქვს თავდაპირველი ურთიერთობა შემონახული. როგორი უნდა ყოფილიყო მოთხრობითის თავდაპირველი გამოყენება? რას ემყარებოდა იგი? ეს მორიგი საკითხია ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის რკვევისას ქართველურ ენათა სინამდვილეში. მას მიეძღვნება სპეციალური წერილი. აქ მხოლოდ შემდეგს ვიტყვით:

ზმნის სუბიექტად **მოთხრობითის ხმარება არ შეიძლება იყოს გამოწვეული გარდამავალი ზმნის ფუძის აქტიურობით**: ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ იმავე გარდამავალ ზმნებს აწმყოში სუბიექტი სახელობითში დაესმის.

ზმნის ფუძის ბუნება უნდა განსაზღვრავდეს ობიექტის ბრუნვას ნამყო ძირთადშიცა (აორისტშიც) და აწმყოშიც.

11. მოთხრობითი ბრუნვის წარმოებისა და რაობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნ. მართან. მოთხრობითი ბრუნვის საკითხი იაფეტურ ენათმეცნიერებაში — განსაკუთრებით პირველ ეტაპზე — საკვანძო მნიშვნელობისა იყო იაფეტიდოლოგიური კონცეფციისათვის —

¹ უფრო დაწვრილებით იხ. ავტორის „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, § 29, 30, გვ. 102-106.

ქართველურ ენათა სტრუქტურის შესახებ.

მან- ნაცვალსახელში ნ. მარი ძირეულად გამოყოფდა **მ-**ს, **-ან** იყო ფორმანტი. ამ უკანასკნელში ბრუნვის ნიშნად **-ა-** იყო მიჩნეული. არაბული ენის მიმსგავსებით¹, სადაც **-ა-** მიცემითი ბრუნვისთვისაა ნიშანდობლივი, ნ. მარი **მ-ან-**ს აცხადებდა მიცემით ბრუნვად. ამრიგად, ქართულს ჰქონდა ორი მიცემითი: **მა-ს** და **მა-ნ**. ამ უკანასკნელის დართვით ნაწარმოები „კაც-მან, ძმა-მან“ იწოდებოდა „ნაცვალსახელურ მიცემით“ ბრუნვად (**дательный местоименный**).

რაკი ეს „მიცემითი“ გარდამავალ ზმნათა სუბიექტად იხმარებოდა (მან აკეთა...), გარდამავალი ზმნა პასიური კონსტრუქციისად იყო გამოცხადებული („მან აკეთა“ იმავე წყობისად მიიჩნეოდა, როგორცაა „მას უკეთებია“)...

მოთხრობითის მიცემითად გაგება სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად საბუთდებოდა, მაგრამ **მან-** სიტყვის ანალიზი ერთნაირი იყო. 1925 წელს გამოსული „ძვ.-ქართ. სალიტ. ენის გრამატიკის“ შესავალში ნ. მარი **მან-** ნაცვალსახელს სხვაგვარად შლის: **მა-** არის ფუძედ მიჩნეული, აფიქსად რჩება მხოლოდ **-ნ**. ამით მოხსნილია **მან-** ნაცვალსახელის მიცემითობის საკითხი²: რაც მას მიცემითად აქცევდა (-ა-), ახლა ფუძის კუთვნილებად არის მიჩნეული. ეს ცვლილება მარტო სახელთა ბრუნვის გაგებას კი არ ეხება, ობიექტურად ის ზმნის უღვლილების წინანდელ ინტერპრეტაციას მთლიანად აუქმებს: ქართული ენის სტრუქტურის შესახებ შემუშავებული წინანდელი კონცეფცია იხსნება.

და მაინც, წინანდელი გაგება — „**მან**“ მიცემითია, ისტორიულად მოთხრობითი ბრუნვა მიცემითიაო — და საამისო არგუმენტაცია დაწვრილებითს განხილვას საჭიროებს, რამდენადაც მასში მოცემულია პასიური კონსტრუქციის დასაბუთების ტიპური ცდა. ამ წერილისთვის ეს, რასაკვირველია, საჭირო არაა (თუმცა საამისო სამუშაო ჩატარებული გვაქვს). ნარკვევში პასიური კონსტრუქციის შესახებ მას დავუბრუნდებით.

¹ არაბულისა (და სხვა სემიტურ ენათა) ნათესაობა ქართველურ ენებთან ამოსავალი დებულება იყო იაფეტური თეორიისა.

² მოხსნილია წარმოდგენილი გაგების დამცველთათვის. სხვათათვის მოთხრობითის მიცემითობა დამაჯერებელი არც მანამდის ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოთხრობითის რაობის გასარკვევად ისიც იკმარებდა, რომ ეს **ბრუნვა** (მესამე პირის სახელთან) **ყოველთვის სუფიქსით აღინიშნება** (მან აკეთა-ა...) ისევე, როგორც (სუბიექტად ხმარებული) სახელობითი (იგი აკეთებ-ს)... **მიცემითში დასმული სახელის პირი კი ყოველთვის პრეფიქსთანაა ზმნაში წარმოდგენილი** (მას ჰკითხეს... ს-თხოვეს...).

ზოგი სხვა მოსაზრება იხ. ჩვენს რეცენზიაში (პროფ. გ. ახვლედიანის თანაავტორობით) აკად. ნ. მარის „ძველი სალიტერატურო ქართულის ენის გრამატიკაზე“ (იხ. „საისტ.-საეთნოგრ. საზოგად. მიმომხილველი“ I (1926), გვ. 285-330).

დასკვნითი დებულებები:

1. მოთხრობითი ბრუნვის ქონა და ბრალდებითის (აკუზაციის) უქონლობა ნიშანდობლივია ერგატიული კონსტრუქციისათვის. სახელთა ბრუნების ამ თავისებურების წყაროა გარდამავალი ზმნა. ამისდა კვალად ერგატიული კონსტრუქციის ანალიზი მოითხოვს გარდამავალი ზმნის ფუძის ანალიზსაც და მოთხრობითის წარმოებისა და ფუნქციის გათვალისწინებას.

2. ქართველურ ენებში მოთხრობითი ყველგან ორგანული წარმოებისაა გარდა ქართულისა, რომელშიაც ორგანული წარმოების მოთხრობითი მხოლოდ ორ ნაცვალსახელს აქვს მა-ნ, ვი-ნ; სხვა სახელების ფუძე დაირთავს **მა-ნ**- ნაცვალსახელს: კაც-მა-ნ... მოთხრობითს ქართულში **-ნ** აწარმოებს.

მეგრულსა და ჭანურში მოთხრობითისათვის **-ქ** გვაქვს: კოჩ-ქ (კაც-მა), ჯიმა-ქ (ძმა-მ), მუ-ქ (მან)...

სვანურში მოთხრობითის ძირითადი ნიშანია **-დ**: დინა-დ (ქალიშვილ-მა); ძარ-დ (ვინ).

მეორე მაჩვენებელი **-ემ**: ეჯემ (იმან), მუჯემ (მამამ) ადიდეურიდან შეთვისებული ჩანს (სიმ. ჯანაშია).

3. მოთხრობითის ნიშნად გამოყენებული **-ნ** (ქართ.), **-ბ** (ჭან.-მეგრ.), **-დ** (სვან.) წარმოშობით ნაცვალსახელური ძირებია: **მოთხრობითი ნაცვალსახელური ძირით დეტერმინირებული ფუძეა.**

ამით ცხადი ხდება იმ დეტერმინაციის ხასიათი, რომელიც მოთხრობითს შეაქვს სახელში.

ამითვე აიხსნება, რატომ შეეძლო ძვ. ქართულში ადამიანის სახელს მოთხრობითი არ ეხმარა, მის ნაცვლად ფუძე გამოეყენებინა.

4. ისტორიულად მოთხრობითი წინ უსწრებს სახელობითს, რომლის ნიშანიც **-ი** (ქართ.), **-ი,/-ე** (ჭან.-მეგრ. და სვან.) აგრეთვე ნაცვალსახელური წარმოშობისაა. ამდენად პრინციპული სხვაობა სახელობითსა და მოთხრობითს შორის, როგორც სუბიექტის ბრუნვებს შორის, არ არსებობს. **მოთხრობითი — ესაა ისტორიულად პირველი სახელობითი.**

მოთხრობითისა და სახელობითის, როგორც სუბიექტის ბრუნვათა, სინტაქსური ფუნქციების მკვეთრი განსხვავება დაკავშირებულია ამ ბრუნვათა ჩამოყალიბების დროის სხვაობასთან: სუბიექტად სახელობითიც იხმარება (აწმყო დროში).

5. არც სახელთა ბრუნების ისტორიით, არც ზმნის უღვლილების პრინციპებით არ მართლდება, თითქოს მოთხრობითი ბრუნვა ისტორიულად მიცემითს წარმოადგენდეს (აკად. ნ. მარი).

6. მოთხრობითის საწარმოებლად გამოყენებული ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები ლოკატიურ ზმნისართებშიც დასტურდება.

7. მოთხრობითი ბრ. ქართულში და სხვა ქართველურ ენებში მუდამ სუბიექტის ბრუნვაა და, თუ სუბიექტად მესამე პირია, სუფიქსით აღინიშნება ზმნაში.

ქართულში (დაწყებული ძვ. სალიტერატურო ქართულის უძველესი ძეგლებით) და სვანურში მოთხრობითი ბრუნვა იხმარება ნამყო ძირითადის (აორისტის) ჯგუფის დრო-კილოებში **მარტოოდენ გარდამავალ ზმნებთან.**

მეგრულში იგი იხმარება იმავე ჯგუფის დრო-კილოებში, **როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან.**

ჭანურში მოთხრობითი **მხოლოდ გარდამავალ ზმნათა** სუბიექტია, მაგრამ **დროთა სამსავე ჯგუფში.**

ცხადია, ძველი ვითარება (მაგრამ არა პირვანდელი მდგომარეობა!) მოცემულია ქართულსა და სვანურში, მეგრულსა და ჭანურში მოთხრობითი ბრუნვის არე შემდგომშია გაფართოებული.

К ГЕНЕЗИСУ ПОВЕСТОВАТЕЛЬНОГО ПАДЕЖА (ЭРГАТИВА) В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

(РЕЗЮМЕ)

1. Отсутствие винительного падежа и наличие повествовательного падежа (*ergativus, activus*) характерно для языков с эргативной конструкцией. Эта особенность склонения имен обусловлена своеобразной природой глагола; поэтому анализ эргативной конструкции немаловажен без соответствующего анализа основы переходного глагола, равно как без уяснения строения и функции повествовательного падежа (эргатива).

2. Во всех картвельских языках повествовательный падеж (эргатив) органического образования; исключение составляет грузинский язык, в котором повествовательный падеж (эргатив) образуется органически только в двух местоимениях: მათ **-n** "он" и ვინ **-n** "кто"; флексией является **-n**; в прочих же именах повествовательный падеж образуется описательно: к именной основе прибавляется личное местоимение третьего лица в повествовательном пад. (эргат.) მათ **-n** : კაც-მათ **-n** *qas-ma-n* "человек" (букв.: "человек-он"); флексией повествовательного падежа в грузинском языке служит таким образом **-n**.

В мегрельском и чанском диалектах занского языка флексия повествовательного пад. (эргатива) — **-k** : მეგრ. კობი-**k** || ჰან. კობი-**k** мегр. *qoc-k* || чан. *qoci-k* "человек"... მე-**k** *tu-k* – груз. მათ **-n** он (сам)...

Основной показатель повествовательного падежа в сванском яз. — **-d** : დინა-**d** *dina-d* "доч".

Второй же показатель **-em** — მეგრ-ემ *tu-v-em* "отец" — усвоен сванским языком из адыгейских яз. (проф. С. Н. Джанашиа).

3. Флексии повествовательного падежа (эргатива) **-n** (груз. яз.), **-k** (чан.-мегр.), **-d** (сван. яз.) генетически восходят к местоименным корням; повествовательный падеж (эргатив) в картвельских языках представляет основу, детерминированную местоименным корнем.

Этим уясняется характер детерминации, привносимый повествовательным падежом; этим же объясняется, почему в древнейших памятниках грузинской письменности (V — VIII вв.) при склонении личных имен повествовательный падеж представлен в виде основы — отсутствует падежная флексия,

местоименный корень (ср. отсутствие члена, артикля, при склонении личных имен в др.-греческим, в немецком, во француз. яз.).

4. Исторически образование повествовательного падежа предшествовало образованию именительного падежа (место последнего занимала чистая основа: კაც- *қас-*); флексия именительного падежа **-ი -i** (груз.), **-იჲ -i/-e** (чан., мегр., сван.) также местоименного происхождения; постольку повествовательный и именительный падежи принципиально не могут быть противопоставлены друг другу (в картвельских языках): **п о в е с т в о в а т е л ь - н ы й п ა დ ე ჯ ის თ ი რ ი ც ე ს კ ი " პ ე რ ვ ყ ი ი მ ე ნ ი თ ე ლ ნ ყ ი " პ ა დ ე ჯ**.

Резкое различие синтаксических функций повествовательного и именительного падежей, как падежей субъекта, связано с различием во времени их формирования¹; нельзя не учитывать факта, что при переходных глаголах субъект может выступать и в именительном падеже (в настоящ. врем. ...).

5. Несостоятельно мнение, будто повествовательный падеж (эргатив) картвельских языков исторически является дательным падежом (акад. Н. Марр): не находит оно подтверждения ни в истории склонения имен, ни в принципах спряжения глагола в картвельских языках.

6. Местоименные частицы, используемые в качестве флексий повествовательного падежа, наличны и в наречиях места (местоименного происхождения).

7. Повествовательный падеж (эргатив) в картвельских языках всегда выступает в роли субъекта и, если субъектом является третье лицо, обозначается суффиксом в глаголе.

И в грузинском (начиная с древнегрузинского литературного языка), и в сванском языках повествовательный падеж (эргатив) служит падежом субъекта при переходных глаголах во временах второй группы (аорист, сослагат. II).

В менгрельском диал. он употребляется в тех же временах, но при всех глаголах, как переходных, так и непереходных.

В чанском диалекте повествовательный падеж — падеж субъекта лишь переходных глаголов, но во всех временах.

Вне сомнения, что в менгрельском и чанском диалектах занского яз. налицо расширение функций повествовательного падежа, в грузинском же и сванском языках фиксировано относительно древнее (но отнюдь не первоначальное!) состояние.

¹ **Именительный падеж**, выступающий в роли объекта, тогда по всей вероятности, являлся чистой основой.

A PROPOS DE LA GÉNÈSE NARRATIF (ergatif) DANS LES LANGUES KHARTHVÉLIENNES

(RÉSUMÉ)

1. L'absence de l'accusatif et l'existence du narratif (ergativus, activus) sont distinctives pour les langues ayant une construction ergative. Cette particularité de la déclinaison des noms dépend de la nature particulière du verbe. Aussi l'analyse de la construction ergative est-elle inadmissible sans une analyse correspondante du thème du verbe transitif ainsi que sans que la construction et la fonction du narratif (ergatif) soient élucidées.

2. Dans toutes les langues kharthvéliennes le narratif (ergatif) est de formation organique; il n'y a que le géorgien qui fait exception dans lequel le narratif (ergatif) se forme organiquement dans deux pronoms seulement: მა-**ნ** ma-**n** "lui" et ვი-**ნ** vi-**n** "qui"; La flexion en est -**ნ** -**n**. Dans d'autres noms le narratif se forme descriptivement: on ajoute au thème nominal le pronom personnel de la 3-me personne au narratif (ergatif) მა-**ნ** ma-**n**: კაც-მა-**ნ** *ķac*-ma-**n** "homme" (au pied de la lettre: "homme-lui");

Ainsi c'est -**ნ** -**n** qui sert comme flexion en géorgien.

Dans les dialectes mégrélien et tchane de la langue zane la flexion du narratif (ergatif) est **ქ** k: mgr. კობ-**ქ** *ķoc*-k, tch. *ķoc*-k (homme), მუ-**ქ** mu-k – géorg. მა-**ნ** ma-**n** "lui".

L'indice fondamental du narratif en svane est -**ღ** -d: დინა-**ღ** *dina*-**d** "fille".

Le second indice -**ემ** -em – მუვ-**ემ** *muv*-em "père" — a été assimilé par le svane de la langue adyghé (S. N. Djanachia).

3. Les flexions du narratif (ergatif) -**ნ** -**n** (géorg.), -**ქ** -**k** (tchane-mégr.), **ღ** -**d** (sv..) remontent génétiquement aux radicaux pronominaux: le narratif (ergatif) présente dans les langues kharthvéliennes un thème déterminé par un radical pronominal.

Ceci explique le caractère de la détermination, apporté par le narratif; cela explique aussi pourquoi dans les anciens monuments de la littérature géorgienne (V-VIII siècles), pour la déclinaison des noms propres, le narratif se trouve représenté sous la forme du thème, c'est-à-dire, la flexion casuelle, le radical pronominal sont absents (cf. l'absence de l'article dans la déclinaison des noms de personnes en grec ancien, en allemand, en français).

4. Historiquement, la formation du narratif a précédé celle du nominatif (c'est le thème pur qui occupait la place de celui-ci: კაც- *ḱac-*); la flexion du nominatif **-ი** (géor.), **-ი/-ე -ი/-ე** (tchane, még., sv.) est aussi de formation pronominale; en tant que cela le narratif et le nominatif ne peuvent être opposés (dans les langues kharthvéliennes): le narratif est, historiquement, "le premier nominatif".

La distinction prononcée des fonctions syntaxiques du narratif et du nominatif, comme cas du sujet, est liée à la différence de leur formation¹; il n'y a pas à nier dans les verbes transitifs le sujet peut se produire comme nominatif (au présent).

5. L'opinion que le narratif (ergatif) des langues kharthvéliennes est, historiquement, un datif (acad. N. Marr), est dénuée de tout fondement: elle n'est confirmée ni dans l'histoire de la déclinaison des noms, ni dans les principes de la conjugaison du verbe dans les langues kharthvéliennes.

6. Les particules pronominales, employées comme flexions du narratif, sont présentes aussi dans les adverbes de lieu (d'origine pronominale).

7. Le narratif (ergatif) joue toujours dans les langues kharthvéliennes le rôle d'un sujet et est marqué par un suffixe dans le verbe, si la 3-me personne figure comme sujet.

En géorgien (à partir de l'ancien géorgien littéraire) comme en svane le narratif (ergatif) fonctionne comme cas sujet pour les verbes transitifs dans les temps du deuxième groupe (aoriste, conditionnel II).

En mégrélien il s'emploie dans les mêmes temps, mais pour tous les verbes, transitifs comme intransitifs.

En tchane le narratif est le cas du sujet des verbes transitifs seulement, mais dans tous les temps.

Nul doute qu'en mégrélien et en tchane il y a extension des fonctions du narratif tandis qu'en géorgien et en svane il y a fixation d'un état relativement ancien (mais aucunement primitif!).

¹ Le nominatif jouant le rôle de l'objet a probablement été un thème pur.

მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში¹

1. მესამე პირის სუბიექტად შეიძლება იყოს **სახელი მოთხრობითა** და **სახელობით** ბრუნვაში; ასეა ეს ძველ-ქართულშიაც და ახალ ქართულშიაც: **იგი** აკეთებს — **მან** აკეთა (ახ. ქართ.: **ის** აკეთებს — **მან** აკეთა)... იგი ზის... თამაშობს... იზრდება...

როგორც ნაცვალსახელებში, ისე სხვა სახელებშიც ეს ორი ბრუნვა განსხვავებულია მესამე პირის სახელებთან. მეორე და პირველი პირის ნაცვალსახელებში სამი ბრუნვის ფუნქციაა შეთავსებული ერთ და იმავე ფონეტიკურ კომპლექსებში (მე... შენ... ჩუენ... თქუენ...); ამათ ეს ფუნქციები მესამე პირის სახელებთან შეპირისპირებითა და ზმნის აგებულებასთან დაკავშირებით განუვითარდათ; ფუნქციები ეცვალა ამ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს, სტრუქტურა კი წინანდელი დარჩათ: ამ სტრუქტურის მიხედვით კი **მე... შენ...** სხვა სახელთა **ფუძეს** უფრო უღრის, ვინემ რომელსამე ბრუნვას.

ამიტომაც, რომ წინადადების კონსტრუქციის ის თავისებურება, რომელიც სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვათა ცვლაში მდგომარეობს, გამოხატულებას პოვებს მესამე პირის სახელთა ხმარებისას სუბიექტად და ობიექტად: **იგი** აკეთებს **მას** — **მან** აკეთა **იგი**. სხვანაირად რომა ვთქვათ, **წინადადების სტრუქტურის თავისებურება მესამე პირის პრობლემად წარმოგვიდგება**.

მესამე პირის სუბიექტს რომ დავუბრუნდეთ, თავში თქმულს შემდეგი უნდა დავუმატოთ: ძვ.-ქართულში თუ სუბიექტად ადამიანის სახელი გვევლინება, სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის მაგივრობა შეიძლება გაუფორმებელმა (უღეტერმინაციო) ფუძემ² გასწიოს:

¹ წაკითხულია მოხსენებად ენიმკი-ს საჯარო სხდომაზე 1938 წ. 16 ივნისს.

² ამ გაუფორმებელ ფუძეს ხშირად წრფელობითის ბრუნვას უწოდებენ; ეს უხერხულია:

1. წრფელობითი ზედმიწევნითი თარგმანია ბერძ. ἰσμή-სი და ბერძნულ გრამატიკაში „სახელობითს“ აღნიშნავს („წრფელი“, „პირდაპირი“ ბრუნვა), წრფელობითი სახელობითის სინონიმია (ტერმ. „სახელობითი“ რომაელებმა დაამკვიდრეს „წრფელობითის“ ნაცვლად). ანტონიც თავის ქართულ გრამატიკაში ტერმინ „წრფელობითს“ სახელობითის გაგებით ხმარობს.

ისაკმან შვა იაკობი (ადიშის ოთხთავი, ტაბ. 1a2), მაგრამ იქვე გვაქვს: **იაკობ შვა იუდა... იუდა შვა ფარჭ** და **ზარა... ფარე** შვა **ეზრომ... სოლომონ** შვა **რობოამ...** და სხვა.

2. მესამე პირის სუბიექტის ნიშნად იხმარება სუფიქსები **-ს, -ა, -ო.** ასეა ეს ჯერ კიდევ V-VI საუკუნის ხანმეტ ძეგლებში. ამათგან **-ს** გამოყენებულია აწმყოში, ნამყო ხოლმეობითა და სამივე კავშირებითში, **-ა** ნამყო უსრულში და ნამყო ძირითადში (აორისტში), **-ო**-ც ამ უკანასკნელ დროში გვაქვს: იგი წარმომდგარია ან **-ა**-საგან წინამავალ თანხმოვანთან შერწყმით, ანდა ამგვარი წარმოშობის მოვლენათა ანალოგიით.

საილუსტრაციო მასალა მოგვყავს, პირველ ყოვლისა, ძველი ქართულის უძველესი, ხანმეტური, ძეგლებიდან:

ს₃ – ს - ს უ ფ ი ქ ს ი:

... ყლი რლი ხითხოვს მიიღის და რლი ხეძიებს პოვის და რლი ხირეკს განხელის: ხიყოს მე ვინ თქნგანი კაცი რლი ხთხოვდეს ძმ მისი პურსა ქვად ნუ მიხცესა მას: ანუ თუ სათევზსა (!) ხთხოვდეს. გუელი ნუ მიხცესა... (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“: ტფილ. უნივერსიტ. მოამბე, ტ. II (1922-23 წ., გვ. 379).

... სადა იგი მატლი მათი არა დახესრულების და ცეცხლი არა დახეშრტების რ ყლი ცეცხლითა დახიმარილოს (იქვე, გვ. 381).

... რი არა დაძუელდეს საუნ(ჯ)მ მოუკლებელი ცათა შინა სადა იგი მპარავი არა მიჰხეების და არცა მლიმან განყუნის: სადაცა ხიყოს საფასმ თქუენი მუნცა ჰიყოს გული თქნი (იხ. ა. შანიძე: „ქართული ხელნაწერები გრაცში“, „ხანმეტი ლექციონარი“ — ტფილ. სახელმწ. უნივერ. მოამბე, ტ. IX, 1929 წ., გვ. 342).

ს₃ – ა - ს უ ფ ი ქ ს ი:

... რბიოდა და მოვიდა სიმონ პეტრქსა და ერთისა მის მოწაფისა რი ხუყუარდა ივს და ხრქუა მათ (იქვე, გვ. 336).

... ნ პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად და შთახხედა და იხილნა ტილონი იგი... და წარვიდაა თვსაგან და დახუკვრდა საქმეს ესე (იქვე, გვ. 333).

... და მოხუკდა მათ ივ ხეტყოდა მათ და ხქა: მომეცი მე ყოველი

2. „იუდა“ ისეთივე ერთეულია, როგორც „წინადაწარ“ (წინადაწარ-მეტყველი), „დალადა“ („და და და-ყო“), „ნელ“ („ნ ე ლ -საცხებელი“), „სრულ“ (იყვენით ს რ უ ლ ... ადიშის ოთხთავი, ტაბ. 12 b₁). ამგვარ ოდენობას კი მხოლოდ ფუძე დაერქმის.

ველმწიფებად ცათა შინა (იქვე, გვ. 3307).

... სიბრძნემან იშვნა თავისა თვისისა სახლ და ქუეშე შეხუდგნა
შვდნი სუეტნი დაკლა საკლველი და განზავა ტაკუკთა თვსთა ღვნოდ...
წარავლინნა მონანი თვსნი (იხ. ივ. ჯავახიშვილი, *op. cit.*, გვ. 372).

S₃ — ო- ს უ ფ ი ქ ს ი:

... რ⁷ გარდაგორვებულ ხიყო ლოდი იგი რ⁷ ხიყო დიდ ფრიად (იხ.
ა. შანიძე, *op. cit.*, გვ. 331).

... და იწყო მოსწისითგან (იქვე, გვ. 335)...

... მოიღო პური... და განტეხნა (იქვე, გვ. 335).

... მიხუგო ერთმან... (იქვე, გვ. 334).

ეგვე სუფიქსები გვაქვს ჰაემეტსა და შემდგომი ხანის, — IX—XI საუ-
კუნის, ძეგლებში.

3. მესამე პირის სუბიექტის აფიქსებთან დაკავშირებით ქართულში
სამი რამაა აღსანიშნავი:

ა. მესამე პირი რამდენიმე აფიქსით აღინიშნება — **-ს, -ა (-ო)** მა-
შინ, როდესაც სუბიექტისა და ობიექტის სხვა პირები თითო აფიქსს
იყენებენ: **S₁ — ვ, S₂ — ხ** ანდა **ჰ** და მისი ფონეტიკური ვარიანტები (**-ს**
სალიტერატურო ქართულში, *ა/ს... დ, ხ, ზ, ყ* — ხევსურულ დიალექტში...
— **O₁ — მ, O₂ — გ, O₃ — ხ** ანდა **ჰ** და მისი ფონეტიკური სახეცვლანი...
ს და **ა** ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტად შეუძლებელია დავსახოთ,
ესაა ორი ფონეტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ერთი და იმავე მო-
რფოლოგიური ფუნქციისა.

ბ. მესამე პირის სუბიექტის ნიშნები — სუფიქსებია, ყველა სხვა პი-
რი — იქნება ეს სუბიექტის თუ ობიექტის პირები — პრეფიქსებითაა
წარმოდგენილი. პრეფიქსაცია პ ი რ ი ს აღნიშვნაში ქართული ზმნის
უღვლილების პრინციპია, და ამ პრინციპს არღვევს მესამე პირის წარმოე-
ბა.

გ. მესამე პირის სუბიექტის ნიშნები ზმნას მხოლოდობითში აქვს,
მრავლობითში კი — არა.

ა- სუფიქსის შესახებ შეეძლო კაცს ეთქვა: დაიკარგა ფონეტიკური
მიზეზის გამო, რადგანაც მომდევნო სუფიქსი მესამე პირის მრავლობითისა
ხმოვნით იწყებაო: აკეთ-ა — აკეთ-ეს (← აკეთ-ა-ეს?!). მაგრამ **ს-** სუფიქსის
არქონა მრავლობითში ამავე მიზეზით შეუძლებელია აგხსნათ:

აკეთებ-ს	*„აკეთებ-ს-ენ“
აკეთებდ-ე-ს	*„აკეთებდ-ე-ს-ენ“
აკეთო-ს	*„აკეთ-ო-ს-ენ“...

ფონეტიკურად არავითარ სიძნელეს არ ხვდება; და თუ არსად არა გვაქვს, **იმიტომ კი არა, რომ დაიკარგა**, არამედ იმიტომ, რომ **არც უოფილა** ქართულში ისევე, როგორც არა გვაქვს ამჟამადაც სვანურში (აწმყოში)¹.

სვანურს აწმყოში დღემდე შენარჩუნებული აქვს ის მდგომარეობა, რომელიც ქართულ ზმნას ახასიათებდა გარკვეულ პერიოდში:

ხ-ჟ-არი, ხ-წ-არი, **წ-არი** — ხ-ჟ-არი-დ, ხ-არი-დ **წ-არი-ხ**: მესამე პირის სუბიექტის ნიშანი არ გააჩნია, მრავლობითის მესამე პირში მხოლოდ რიცხვის ნიშანია მოცემული (*იგი *არი — იგინი არი-ან). სვანური შერჩა ამ საფეხურს, ქართულმა კი პირის ნიშანი დაუბრუნა მხოლოდობით (არი-ს, ზი-ს, აკეთებ-ს), მაგრამ არ მოუხდენია არავითარი ცვლილება მრავლობითში, მრავლობითის სათანადო ნაკვთი დამთავრებულ-ჩამოყალიბებულ სახეს ატარებდა: მრავლობითობის ნიშანი ზმნის ბოლოს უკვე იჯდა.

ეს ნიშნავს: **მრავლობითის სუფიქსების დამკვიდრება ზმნაში წინ უსწრებს მესამე პირის სუფიქსის გამოყენებას** (მხოლოდობითში), **მესამე პირის სუფიქსი ზმნაში შედარებით ყველაზე ახალი ფორმაციისა: მას წინ უსწრებს არა თუ სხვა პირთა ჩამოყალიბება, არამედ მრავლობითის გაფორმებაც.**

რელატიური ქრონოლოგიის ამ ცნობებს ერთიც უნდა დავუმატოთ: მესამე პირის ნიშნის გაჩენა არ შეიძლება არ იყოს დაკავშირებული მოთხრობითისა და სახელობითის დიფერენციაციის პროცესთან: **ა-** სუფიქსი მოთხრობითის ჩამოყალიბების ხანისაა, **-ს** — სახელობითისა; პირველი უსწრებს მეორეს (**-ს-** სუფიქსი აშკარა ნაცვალსახელური წარმოშობისაა — იგი ნივთიერ კავშირშია ი-ს-ი ნაცვალსახელთან).

ბუნებრივად იბადება კითხვა: როცა მესამე პირის ნიშანი ზმნას გაუჩნდა, რატომ მაინცა და მაინც სუფიქსის სახით მოგვევლინება, რა უშვლიდა, პრეფიქსად მოვლენოდა ზმნას და სხვა პრეფიქსების, პირის ნიშნების, მწკრივში დაეჭირა მისთვის განკუთვნილი ადგილი? რატომ აღმოჩნდა ეს შეუძლებელი?

ეჭვს გარეშეა ამის მიზეზი უნდა იყოს რაღაც **დიდი გარდატეხა**, რომელიც იმ დროისათვის მომხდარი იყო სათანადო ენობრივი კოლექტივის სამეტყველო ფსიქიკაში: **პრეფიქსული წყობის ენა** (მხედველობაში გვაქვს პირთა აღნიშვნა) **სუფიქსაციის გზას ადგება**. ვიმეორებთ, რომ ეს დიდი გარდატეხაა და ეს მხოლოდ მესამე პირის სუბიექტის აღნიშვნაში არ გამოიხატება. ამავე მიზეზის გამო — როგორც უკვე გვქონდა შემთხვევა თავის დროზე აღგვენიშნა — ქართულმა დაკარგა „ვინ“ და „რა“ კატეგორიათა სპეციფიკური განმასხვავებელი წარმოება ზედსართავებში და სახელზმნებში, და იქაც პრეფიქსაცია დაზიანდა: ეს კატეგორიები პრეფიქსებით გაირჩეოდა...

¹ ვკლისხმობთ **ს-** სუფიქსის შესაბამ სუფიქსს.

ამ კონტექსტში ბუნებრივად ჩნდება ვარაუდი, რომ ჩვენს ენაში ეს გარდატეხა მოხდა ისეთ ენებთან შეხვედრასთან დაკავშირებით, რომლებიც სუფიქსაციით ხასიათდებიან — ეს კი ურალ-ალტაური ან ინდოევროპული ენები უნდა ყოფილიყო.

მრავალ მხრივ საგულისხმოა, რომ „ვინ“ და „რა“ კატეგორიათა საკითხშიც (და სუბიექტის მესამე პირის საკითხშიც) ყველაზე უფლებლად გადაჩნდა სვანური და ყველაზე დიდი ცვლილება განიცადა ქართულმა: იმ ენამ, რომელიც ყველაზე სამხრეთ-აღმოსავლეთით მოქცეულ ფრთას შეადგენდა ქართველურ ენებში; გამვლენელი ენების გეოგრაფიული მდებარეობის გასარკვევად ეს ანგარიშგასაწევი ფაქტია.

საინტერესოა, რომ სვანურში ორიოდ ზმნამ შემოგვინახა მესამე პირის ნიშნად პრეფიქსი (**ლ-**: **ლ-**გგ „დგას“, **ლ-**ი „არის“),¹ მაგრამ პრეფიქსად ზმნაში ეს **ლ-** არ დამკვიდრდა, სუფიქსის სახითაც არ შეგვჩნდა.

ქართულს რომ დაეუბრუნდეთ, ქართულში მესამე პირის სუბიექტის **ნიშანი** მართოდენ **მხოლოდობითში** გვაქვს, ეს ნიშანი **სუფიქსია** და იგი ერთზე მეტი აფიქსითაა წარმოდგენილი; ეს აფიქსებია: **-ხ, -ა (|| -ო)**.

4. ამ ნიშნთა გარდა მესამე პირის სუბიექტურ სუფიქსად უნდა მივიჩნიოთ: **ნ-**: არ-**ნ**, ზი-**ნ**, დგა-**ნ**...

არ-ნ:

მკვლარი ვიდრე წყობასა არა შესრულ არ ნ. ძლევად მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არ ნ. არცა მეფეთაგან ნიჭი მიიღის... „ცხოვრებად გრიგოლ ხანძთელისადა“, გამოც. ნ. მარის მიერ, *Тексты и разыскания по арм.-груз. филол. VII, 1911, გვ. მა [41], სტრ. 18-20* ზემ.

... დაღაცათუ ენაბრგუნვილი ვინმე წადიერ არ ინ (!) შესხმად მეფისა. არა შეურაცხ ყვის მეფემან ბრგუნვილებად იგი ენისადა... „კიმენი“, ტ. I, გამოც. კორნ. კეკელიძის მიერ, ტფილ., 1918, გვ. 176₂₃.

იკურთხევი-ნ... არ-ნ...

... ერთი წიგნის-მკითხველი მცირეთა მსმენელთა და მრავალთა თუს სწორად კმა არ ნ. და ეგრძთვე უკუეთუ ერთი იკურთხევი ნ ანუ მრავალნი. მაკურთხეველი იგი ერთი კმა არ ნ... გრ. ხანძთ. გვ. პ [80] სტრ. 12 ქვ.

ჰნებაგ-ნ:

ხოლო შესაძლებელ თუმცა იყო, ყოვლადვე არა ჰნებაგ ნ მეფესა, რომელ ერთსამცა დღესა კიდე იყო მისგან... „ცხოვრებად... გიორგი მთაწმინდელისა“, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლ. ხელნაწერი, ტფილ. 1901, გვ. 320.

¹ იხ. ვ. თოფურია: სვანური ენა: ზმნა, ტფილ. 1930, გვ. 2-4.

უბნობ-ნ... აღმოდინ-:

და იტყოდა ნეტარი იოანე, ვითარმედ მუნ ჟამამდე ძნიად უბნობნ ქართულად... ხოლო მიერთგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროდ, აღმოდინ... „ცხორებად... იოანესი და ეფთჳმესი“, ათონის... 1074 წლის ხელნაწერი, ტფილ. 1901, გვ. 26.

მიმოვალ-ნ... კრებ-ნ...

და გამოვიდის იგი ქუაბით თჳსით. და მიმოვალნ უდაბნოსა და კრებნ იგი მელადრისა... „კიმენი“, გვ. 2023.

უმძიმ-ნ... უხარი-ნ...

საჯორეს ყოველნი ძმანი იყვნიან მეჯორედ და ორნი ერისაგანნი იყვნიან მსახურად და მხუეტელად და სხუანი ძმანი იყვნიან და არა თუ უმძიმნ, არამედ უფროდსად უხარინ... „ცხ. იოან. და ეფთჳმ“. ათონის... 1074 ხელნ., გვ. 48.

მიხუდები-ნ:

და შრომისა დღეთა შინა მყოფნი და ხუცესნი ჰმსახურებდიან, ვითარცა მიხუდები... იქვე, გვ. 41.

გამოიცადები-ნ... იპოვები-ნ... დააკლდები-ნ...

რჳ ოქროდ იგი რავდენცა გამოიცადები: უწმიდეს იპოვებინ: და არა რად დააკლდები... იოანე ბოლნელ ეპ. ქადაგ. გვ. 64.

უთქუამ-ნ... სწადინ-ნ... გარდამოცვი-ნ...

ესე ლაზარჳ იღვა დავრდომილი ბჳეთა თანა მის მდიდრისათა... და გლი უთქუამნ და სწადინ მას განძლებად: ნაბიჳევისაგან რი გარდამოცვი... ტაბლისაგან მის მდიდრისადა... იქვე, გვ. 68.

ჰრცხუენი-ნ:

და არა სადა განშიშულდის: და არცა იბანის სადა: და ჰრცხუენინ ხილვად ვისამე... კიმენი, გვ. 1620.

ეტყუნ-:

და მარადის ეტყუნ დიდსა იოანეს... „ცხ. იოან. და ეფთ.“ ათონ. ხელნ. გვ. 15.

... ეტყუნ მამად იოანე ვითარმედ „შვილო ჩემო! ქართლისა ქუეყანად დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან“... იქვე, გვ. 26.

ევედრები-ნ:

და მარადის ევედრები ძმათა რა მოსწრაფე იყვნენ მისლვად ეკლესიად... იქვე, 35.

ეყოფი-ნ:

წერილ არს „ტჳრთი განწესებული ეყოფინ ნავსა“... გრიგ. ხანძთ. გვ. მც 16 ქვ.

ესმი-ნ:

... გუერდით მივიდის და თაყუანის სცის და უთხრის, რომელ მას ოდენ ესმინ... იქვე, 36.

ეუბნები-ნ:

... და მიერთვან მონასტრისა ძმათა არღარა ვის ეუბნებიან გა-
რნა თუ უცხოვ ვინ მოვიდის... იქვე, 16.

ალუდგები-ნ... ექმნები-ნ:

ხოლო რომელთამე რეცათუ ცილობით წინა ალუდგებიან არა-
მედ მიზეზ სწავლის ექმნებიან მას... აბო ტფილელი, გვ. 16.

ეგმარები-ნ:

კელარნი კულა სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოსა მივიდიან... და ეგ-
რეთვე მევაჟინენი, მაგრა კელართა მწუხრსა თუ რადმე ეგმარებიან,
შინა იგმარიან... ათონ. ხელნაწ. გვ. 48.

ივლტი-ნ... ეძიებ-ნ:

და რაჟს არა პოვის. სადგური იგი ვა მს ჰნებავ-ნ. მოიძულის ადგი-
ლი იგი და მოიძაგის ნაშრომიცა იგი: მერე კდ გმოვიდის და ივლტიან
იგი და ეძიებნ სხუასა ადგილსა... იოანე ბოლ. ქად. 83.

ეძიებ-ნ... ვმობ-ნ... დალადებ-ნ... მიმო იხედავ-ნ... ისტუანავ-ნ...

განჰმარტნის ფრთენი თჳსნი ვა იგი განჰმარტნის მფრინველმან
ფრთენი თჳსნი და ეძიებნ მართუეთა თჳსთა შეკრებად მათა ვმობნ
გლს მოდგინედ: დალადებნ სურვიელად ეძიებნ წადიერებით...
მიმო იხედავენ და ისტუანავნ... ვე პოვნადმდე მისა: და რაჟს
პოვის... იქვე, გვ. 31.

ეუბნები-ნ... ასწავებ-ნ... ამხილებ-ნ... ნუგეშინის სცემ-ნ... დაჰვედრებ-ნ...

... უკუეთუ კულა ვინმე იხილნის უდებნი და დაქსნილნი და ახალ-
მოსრულნი, მათ ზედადსზედა ეუბნებიან, ასწავებნ, ამხილებნ
და ნუგეშინის სცემნ და ჯელოსანთა დაჰვედრებნ, რადთა მარჯუ-
ედ ექცეოდინ და არა რასა მიაჭირვებდენ... ათონ. ხელნ. გვ. 38.

ამცნები-ნ:

... ესმის ვდ არს იგი ამპარტავან და ზუავ მიუვლინის მას და ამ-
ცნებნ სიყუარულსა... „ცხოვ. საბა ასურისაჲ“, გამოც. ს. ჯანაშიას მი-
ერ, „არილი“, გვ. 1235.

შემუსრავ-ნ:

რ ამპარტავანთა ლი შემუსრავნ; ხოლო მდაბალთა მოსცის
მადლი... იოანე ბოლნ. ქადაგ. გვ. 55.

დაჰკლავ-ნ... დაიკლვი-ნ:

მღვდელი ყოვლისა სოფლისა-თჳს კრავსა მას... დაჰკლავნ. და
იგი მის-თანავე დაიკვლინ... „წარტყუენვაჲ იერუსალჴმისაჲ“ —
გამოც. ნ. მარის მიერ, 1909, გვ. იჭ [156].

ლოცავ-ნ... ითხოვ-ნ:

ლოცავნ ღამჴ ყოველ მარადის ფარულად სამოსლითა პირველი-
თა და ითხოვენ... საწუთრომსა წილ საუკუნესა... ძვ. სასულიერო პოე-

ზია, გამოც. პ. ინგოროყვას მიერ, ტფილ. 1913, გვ. 25.

ტირ-ნ... ეგლოვ-ნ... ამხილებ-ნ... ასწავებ-ნ...

ხოლო ტირნ და ეგლოვნი მათ-თჳს წმ ტიმოთჳ მოციქული: და ამხილებნი მათ და ასწავებნი დღჳ და ღამჳ გზასა მას ჭეშმარიტებისასა... კიმენი, 105₃₁...

... ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა რნი იგი მოვალნი მისა ზედადს ზა (და) ეტყუნ მას: მისაჲ მე მოვალისა ჩემისაგან და არა ის-მინის მისი მრავალ ჟამ: ხ ქურივი იგი ფდ აწყინებდა მას და მივალნი მისა ზედადს ზა უწყინოდ (და) თაყუანის სცემნი მას და შეუვირდეები: ტირნი: ცრემლოვნი: მოეხუევინი ფერჯთა მისთა (აკოცებნი მუჯლთა მისთა) ამბორს უყოფნი ხელთა მისთა... ხ მსაჯული იგი ჰრისხავნი მას და აგინებნი და განაძებნი მას გარე: ადზინ იგი წე მისსა: აწყინებნი და ეტყუნ მას: მისაჲ მე მოვალისა ჩემისა გან... იოანე ბოლნელ ეპ. ქადაგ., გვ. 50.

მრავლობით რიცხვში ამ ნ-ს შესაბამისად -ედ გვაქვს:

არი-ედ:

ვერვინ ორთა ოლთა ჰმონოს რნი ურთი-ერთას არა სათნოდ არიედ ... კიმენი, 189₂₂.

უყოფ-ედ:

მეზუერჳ იგი არს მეზაჳჳ, ხოლო საზუერჳ იგი არს ადგილი, სადა იგი ბაჳსა უყოფედ ... იოანე ბოლნ. ქადაგ., გვ. 9.

ეტყუ-ედ:

ცრუჳ მოძლუჳარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყუედ რომელნიმე რეცა სიტყუთა ლიქნისადთა... აბო ტფილ. 25.

შფოთებ-ედ... დასთხევ-ედ:

და აქუნ ჳელთა მათთა სახეები კერპებისად და კუერთხები... ადესრჳთ შფოთებედ: და მრავალსა სისხლსა დასთხევედ: მამათა და დედათა... კიმენი, 105₂₅.

აშინებ-ედ

და რომელნიმე მათგანნი აშინებედ მას... აბო ტფილ. 26.

ხედვ-ედ:

რომელნი ხედვედ მას. ვერ იკადრიან უდბად განცხრომად კრძალულებათაგან მისთა... გრიგ. ხანძთ. მბ. [42 ჳევ.]...

ჳლოშნი-ედ:

ად ძალღნიცა მოვიდიან და ჳლოშნიედ ჳუზდასა მისსა... იოანე ბოლნ. ქადაგ. 68.

მორბი-ედ:

და რნი მორბიედ მისა სიყუარულით შეიტყობს... კიმენი, 14₃₆.

მიეგებვი-ედ:

მოძლუჳარი სამე ყრმათად ვარი რნი გონიერად მიეგებვიედ

ჭეშმარიტებისა გარდამაქცეველთა... კიმენი, 4623.

5. ზემოხსენებული **-ნ** აკად. ნ. მარს ნამყო უსრულის მაჩვენებლად მიაჩნდა და მას **დ-** სუფიქსის პარალელურ ოდენობად სახავდა:

„ნამყო უსრულს აქვს ორი ფორმა: ძველი სამწერლობო და ხალხური. ორივე სახეობის მაჩვენებელი აწმყოს ფუძეს მიემატებიან: ა) ძვ. სამწერ. სახეობის მაჩვენებელი **ნ** გვევლინება მესამე პირში მხოლ. რიცხვისა; ასე, მაგ. იკითხავნ — **ონ** читал, იტყუნ — **ონ** говорил, გუცემ-ნ — **ონ** давал нам, განგუწესებ-ნ — **ონ** приводил нас в порядок¹... ბ) ხალხური სახეობის მაჩვენებელი — **დ**. ისიც გვევლინება ხშირად ყოველგვარი გახმოვანების გარეშე, ამასთან მხოლოდობითის ყველა პირში: ვ-კრებ-დ, [ჰ]-კრებ-დ, კრებ-დ“ (იხ. "Грамматика древнегруз. литер. яз." Ленингр. 1925, გვ. 159, § 192).

ერთ სიბრტყეზე მოთავსება ამ **ნ**-სა და **დ**-სი შეუძლებელია: **-ნ**-მესამე პირშილა გვაქვს, სხვაგან — არსად, **-დ**- ყველა პირში მეორდება, როგორც ეს დროის საწარმოებელ სუფიქსს შეშვენის... **დ**-თი წარმოებულ ნამყო უსრულ ხოლმეობითში ეს **-ნ**-ც შეიძლება გამოჩნდეს: კრებ-დ-ი-**ნ**... აქუნ-**დ**-ი-**ნ** (მაგალითები, იხ. ქვ.), რაიც აგრეთვე ამ სუფიქსების ფუნქციითა სხვაობითაა განსაზღვრული². მოკლედ: **-ნ** და **-დ** ფონეტიკურად ერთი მეორის მონაცვლედ შეიძლება მოგვევლინოს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ მათი მორფოლოგიური ფუნქცია ერთი და იგივეა... იკითხავ-**ნ**, იტყუნ-**ნ** და მსგავსნი ოდენობანი ნამყო უსრულად ვერ მიიჩნევა.

პროფ. ა. შანიძე **ნ**-იან აწმყოს ხოლმეობითის ფორმად თვლის; იგი წერს: „აწმყოს მესამე პირში ძვ. ქართულს ორგვარი დაბოლოებანი მოეპოვება: ერთი მხრით **-ს** და **-ენ** (**-ან**), მეორე მხრით **-ნ** და **-ედ**; მაგ. ერთი მხრით არ-**ს** და არი-**ან**, მეორე მხრით არ-**ნ** და არი-**ედ** და მისთ. მეორე მხრის ფორმები ხოლმეობითის ფორმებია, ე. ი. ხოლმეს გაგებას შეიცავენ; სხვანაირად რომ ვთქვათ, წერ-**ნ** ამას ნიშნავს: „წერს ხოლმე, წერ-**ედ** კი ამას: „წერენ ხოლმე“. პირველსა და მეორე პირში ასეთი გარჩევა არ იყო“ (მოსდევს „აწმყო ხოლმეობითის“ მაგალითი — იხ. „ძველი ქართული ენა“ ა. შანიძის, ალ. ბარამიძის და ილ. აბულაძის სახელმძღვანელოში „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“, ტფილ. 1934, გვ. 024, § 43).

„წერენ“ და მსგავს ფორმებს ხოლმეობითი შინაარსი აქვთ **ჩვეულებრივად**; ეს უდაოა³. მაგრამ კითხვა ისმის — რა კავშირშია ეს ხოლმეობი-

¹ დედანში ნაჩვენებია ტექსტები, საიდანაც ამოღებულია ეს ზმნები.

² ზოგი სხვა გარემოება აღნიშნულია ჩვენს რეცენზიაში ნ. მარის „ძვ. ქართ. სალიტ. ენის გრამატიკისა“ — იხ. საისტ.-საეთნოგრ. საზოგად. მიმოხილველი I (1926), გვ. 320-321.

³ თუმცა ძირითადი მნიშვნელობა ეს ისტორიულად არ უნდა ყოფილიყო; ამის შესახებ — ქვემოთ.

თი შინაარსი **ნ-** სუფიქსთან? ხოლმეობითობა **ნ-**იან წარმოებაში მყლაფნდება, მაგრამ არის თუ არა მისი მატარებელი **-ნ** სუფიქსი (მრავლობითში **-ედ** სუფიქსი)?

პასუხი უარყოფითი იქნება და აი რატომ:

1. ხოლმეობითობა ნამყოში ყველა პირში იჩენს თავს, აქ კი მხოლოდ მესამე პირითაა მისი გამოყენება შეზღუდული; დროის საწარმოებელი აფიქსი ყველა პირში უნდა გვქონდეს და არა მხოლოდ ერთში.

2. თუ აწყოში ეს **-ნ** ხოლმეობითის ნიშანია, რაღაა პირის ნიშანი? **-ნ** იჭერს **-ს** სუფიქსის ადგილს ძვ. ქართულში ისევე, როგორც **-ედ**, **-ან**, **-ენ** სუფიქსთა მონაცვლედ გამოდის. ამიტომ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს **-ნ** (და **-ედ**) იმავე მორფოლოგიური ღირებულებისა უნდა ყოფილიყო, როგორც **-ს** (**-ან**, **-ეს** სუფიქსებს) აქვთ.

3. **-ნ** სუფიქსი ძვ. ქართულში გვხვდება **-ი-** სუფიქსით ნაწარმოებ ნამყო ხოლმეობითშიც; ხოლმეობითობა რომ ამ **ნ-**სთან იყოს დაკავშირებული, ამგვარი წარმოება გაუგებარი იქნებოდა...

მოიღ-ი-ნ:

...[ხი]რეკდით და განგელო[ს] [თ]ქუენ. რ̄ ყოველი რ̄ნი ხითხოვნ მოიღინ... იხ. ივ. ჯავახიშვილი: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები“ — ტფილ. უნივ. მოამბე, II, გვ. 377.

მოუძღურდ-ი-ნ... დაშრტ-ი-ნ... განკეთრდ-ი-ნ... აღატყდ-ი-ნ... განქარდ-ი-ნ... გვდებდ-ი-ნ...

... იძლიენ ძნელი იგი. მოუძღურდინ მღუმჴ იგი. და - შრტინ საჯმილი იგი გეჴენისაჲ... სატანაჲ განკეთრდინ... გულის წყრომაჲ მისი აღატყდინ... სატანჯველი მისი განქარდინ და ზედამოსლვაჲ გვდებდინ... კიმენი, 201გ.13.

მაგალითების ეს უკანასკნელი წყება შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც ნამყო ძირითადისაგან ნაწარმოები ფორმები (მოუძღურდინ, დაშრტინ, განკეთრდინ, აღატყდინ, განქარდინ), თუმცა საკმარისია **-ნ** სუფიქსი **ს-**თი შეგცვალოთ, რომ ნამყო ხოლმეობითის უცილობელი ფორმები წარმოგვიდგეს: მოუძღურდის, დაშრტის, განკეთრდის, აღატყდის, განქარდის...

მოიღინ კი არავითარ ეჭვს არ ბადებს, რომ ნამყო ხოლმეობითია...

ამრიგად, **ნ-** სუფიქსი სუბიექტის მესამე პირის უძველესი ნიშანია აწყოში. თუ **ნ-**იან აწყოს ძვ. ქართულში (VI-XI სს.) ხოლმეობითობა ახასიათებს, ეს იმას კი არ მოწმობს, რომ **ნ** S₃ არ ყოფილა, არამედ იმის გასაღებს იძლევა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ აწყო დროს ძველის-ძველად, მაშინ, როდესაც S₃-ად **ნ** იხმარებოდა.

ხოლმეობითობა აწმყოს დამახასიათებელი ძველი ფუნქციაა; უფრო ზუსტად რომა ვთქვათ, ეს **უნდა ეოფილიუო „აწმყო ზოგადი“** დაახლოებით ისეთივე შინაარსისა, როგორც ახალს ქართულში გვაქვს გამოთქმებში: „მზე ანათებს“; „მოწაფე სწავლობს“; „მასწავლებელი ასწავლის“...¹

ხოლმეობითობა ამგვარ მნიშვნელობას უკავშირდება: „ზოგადად რაც ხდება“ → „ჩვეულებრივად რაც ხდება“... ამიტომაც, რომ **ნ**-იანი აწმყო ზედგამოჭრილია იმ შემთხვევებისათვის, როცა რაიმე წესი, ნორმაა გადმოსაცემი, ანდა უცვლელი დამახასიათებელი თვისებაა აღსანიშნავი (ხშირად ამგვარ შემთხვევაში ძნელი გადასაწყვეტია ხოლმეობითი შინაარსი გადაწონის თუ „ზოგადობა“)...

მკედარი ვიდრე წყობასა არა შესრულ არ ნ. ძლევაჲ მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არ ნ... (იხ. ზემ. გვ. 17).

აქ დებულებაა წამოყენებული: როგორ იცნობა მხედარი... „ხოლმე“-ს აქ გამართლება არა აქვს. ეგევე ითქმის შემდეგი მაგალითის შესახებ:

... და არა სადა განშიშულდის: და არცა იბანის სადა: და ჰ რ ც ხ უ ე ნ ი ნ ხილვად ვისამე... (იხ. ზემ. გვ. 18).

„მორცხვობა“ აქ დამახასიათებელი თვისებაა: ჰ რ ც ხ უ ე ნ ი ნ ამაზე მიუთითებს.

უფრო მეკვეთრად ეს ჩანს მაგალითებში:

... მეორჳ სახჳ ლომისად. რჳს ს ძ ი ნ ა ვ ნ მღუძარჳ არ ი ე დ თუ-ალნი მისნი. რამეთუ ჳჳ უ ხ ი ლ ვ ე დ ... „სახისა სიტყუად“, გამოც. ნ. მარის მიერ, **Тексты и разыск. кн. VI, 1904, СПб.** გვ. 346...

... მესამჳ სახჳ ლომისად. რჳს შუნის ძჳმან ლომმან. ლეკუნი მკუ-დარნი სხნის და ჳ ი ნ და ს ც ა ვ ნ ლეკუთა მათ მოსლვადმდჳ მამისა მის დღჳსა მესამესა. ჰბერის შუბლსა და აღადგინნის ლეკუნი იგი... იქვე 458...

სამი სახჳ არს ჳინჳგლისად. პირველი სახჳ რჳს დასკუდვილად ვ ლ ე ნ ე დ გზასა ურთიერთას. თითოეულად თჳსი მარცჳული მ ი ა ქ უ ნ პირთა და ცუდთა მათ რლთა არა აქუნ არა ჰრქჳან ტჳრთოსანთა მათ გდ გუეციოთ ჩუენცა... არლაცა ჰ შ უ რ ნ ... იქვე 191-12.

ამგვარი მნიშვნელობა სრულებით არ ეუცხოება ნამყო ხოლმეობით-საც:

¹ არსებითად ამგვარი აზრი უნდა ჰქონდეს შენიშვნას, რომელიც ა. შანიძეს „დროის“ განმარტებისათვის აქვს დართული (იხ. „ქართული გრამატიკა“ § 105, შენიშვნა I, გვ. 121), თუმცა ავტორის დასკვნები სხვაგვარია; ვგულისხმობ დებულებას: „თეგზი ცურავს“, „ჩიტი ფრინავს“... „გველი ხოხავს“ — „ყველა ესენი არსებითად უდროვო ფორმებია“ (იქვე).

...რჟს დაბერდის და თუალთა მოაკლდის და ჰნებავნ განჭაბუკ-
ნებად. მარხვად დგის. და მვნდის და იმარხის გუელმან მან ორმეოც დღჳ
და ორმეოც ღამჳ ვჲ წყალი განველტის. და განუთხნის. იძიის ნაპრალი
და პოვის კლდისად იწროდ და შევდის იწროდ და დააგდის ტყავი იგი მი-
სი ძუელი და განჭაბუკნის... იქვე, 17... –18...

ამავე მიზეზის გამოა, რომ აწმყო ხოლმეობითი და ნამყო ხოლმეობი-
თი ერთი მეორის გვერდითაა მოცემული ერთსა და იმავე ფრაზაში (მა-
გალ. იხ. ზემოთ, გვ. 17-20).

პერმანსიობა აწმყოსა და ნამყოს წარმოებას იმდენად აახლოებს,
რომ იშლება ზღვარი აწმყოს ჯგუფისა და ნამყო ძირითადის ჯგუფს შო-
რის...¹. ამ ნიადაგზე პოულობს ახსნას „იცის“, „უწყის“, „ჰრქვან“ ზმნათა
აწმყოში გადმოსვლა, ამავე ხაზით ზოგი სხვა უფრო არსებითი საკითხიც,
საფიქრებელია, რომ გადაიჭრება...

დავუბრუნდეთ აწმყოს საკითხს.

„ხოლმეობითს“ (უკეთ „პერმანსიის“) ნამყო **-ი-** სუფიქსი აწარმოებს.
თუ კი აწმყოს მსგავსივე მნიშვნელობა ჰქონდა და თუ კი **-ნ-** სუფიქსი ამ
მნიშვნელობის მატარებელი არ იყო, საკითხავია, რით გადმოიცემოდა ის
აწმყოში?

აქ ძალა-უნებურად ყურადღებას იქცევს ის **-ი-** სუფიქსი, რომელიც
გარდაუვალ ზმნებს ხან აქვთ და ხან არა: ვარ || ვარ-**ი**... ვტირ || ვტირ-**ი**...
სძულს || სძულ-**ი**-ს... სურს || სურ-**ი**-ს... სწადს || სწად-**ი**-ს...

ეს **-ი-** პერმანსიობის **-ი** უნდა იყოს. ეგევე **-ი-** სუფიქსია, ალბათ,
აწმყოს ფუძის საწარმოებელი **-ი** გარდამავალ ზმნებთან: გზავნ-**ი**-ს... შლ-
ი-ს... **-ავ, -ამ, -ებ, -ობ, -ოფ** სუფიქსიან ზმნებს რომ არაფერი ამგვარი
მოეპოვებათ? ეს უკვე დროთა წარმოების ისტორიის ძირითად საკითხთა-
ნაა დაკავშირებული და სპეციალურ განხილვას მოითხოვს. აქ მხოლოდ ის
ითქმის, რომ ამგვარ ზმნათა უარყოფითი ჩვენება ზემოხსენებულ მსჯელო-
ბას უფრო განამტკიცებს, ვინემ დაბრკოლებას უქმნის...

დავასკვნით: **-ნ** ხოლმეობითობას არ აღნიშნავს, **ნ** — მესამე პირის
სუბიექტური სუფიქსია იმ ეპოქისა, როცა აწმყოში „ზოგადი“, „პერმანსი-
ული“ („ხოლმეობითი“) შინაარსი მკვეთრად იგრძნობოდა და როცა ამ
პერმანსიულობის ნიადაგზე აწმყო და ნამყო ერთმანეთთან იმდენად ახ-
ლოს იყვნენ, რომ პერმანსიული ნამყოს აწმყოდ ქცევა შესაძლებელი იყო...

¹ პროფ. ა. შანიძე შენიშნავს: ხოლმეობითის ფორმები აწმყო-ნამყოს გაგებას
„გარკვევით საზოგადოდ ვერ იძლევიან, ამიტომ შესაძლებელია მათი ერთმანეთში გა-
რევა“-ო, იხ. „ძვ. ქართ. ენა და ლიტერ.“ §44 ბ, შენიშ. 1, გვ. 025. ფაქტი სწორად
არის შენიშნული.

მოკლედ, აწმყო და ნამყო გამიჯნული და დაპირისპირებული დროები არ იყვნენ (ე. ი. დროებს არც წარმოადგენდნენ).

-ნ სუფიქსსა და პერმანსიულობას („ხოლმეობითობას“) **თანადროულობა** აკავშირებს ერთმანეთთან. ამიტომაც **ნ**-იანი აწმყო ძვ. ქართულში პერმანსიული („ხოლმეობითი“) შინაარსისა გამოდის. ეს ძველის-ძველი ვითარების გამოკრთომაა.

ბ. შვ-ის უძველესი ნიშანი **-ნ** აწმყოში ხოლმეობითის გარდა შერჩა ბრძანებითს — ესაა **ნუ** ნაწილაკის გამოყენებით ნაწარმოები უარყოფითი ფორმა:

ნუ გეშინი-ნ:

... ნუ გე შ ი ნ ი ნ თქნ სამწყსოო მცირეო... სახისა სიტყ. 119.

... კუალად მოვალ და ყლადვე შენთანა ვარ ნუ გე შ ი ნ ი ნ: ნუ გე შ ი ნ ი ნ არა დაგიტეო შენ ობლად... იოანე ბოლნ. ებ. ქად. 65.

... იოსებ ძეო დავითისო ნუ გე შ ი ნ ი ნ მიყვანებად მარიამისა... აღიშ. ოთხთ. ტ. 6a1.

ნუ იყოფი-ნ:

... და მიუგო ყრმამან მან ვითარცა სრულმან კაცმან და ჰრქუა. ნუ ი ყ ო ფ ი ნ ... წარტყუენ. იერუსალჴმ... ნე5.

... ვითარცა ხედავთ, ფრიად სიგრილე იხილვების ჩუენ შორის; ნუ უკუე ვინმე ჰგონებდეს და აცთუნებდეს თავსა თვსსა, თუ პირველითგან ესრეთ იყვნეს ძმანი ჩუენნი — ნუ ი ყ ო ფ ი ნ ... ათონ. ხელნაწ. 5.

ნუ განაყენებ-ნ:

რლი იგი ღთმან შეაუღლნა კაცნი ნუ გან ა ყ ე ნ ე ბ ნ ... აღიშ. ოთხ. ტ. 40b1.

ნუ უკუმოიქცევი-ნ:

... რლი ველსა გარე იყოს ნუ უკუ მო ი ქ ც ე ვ ი ნ უკუ მიმართ... იქვე, ტ. 52a2.

ნუ ჭამ-ნ:

ვითარცა იტყვს პავლე. რომელი არა შურებოდის. ნუცალა ჭ ა მ - ნ ო ... გრიგ. ხანძთ. ო12 ზევ.

ნუ უკვრ-ნ:

... არა უწყოდა საფასჴ. იგი რნი იყო მის თანა. და ნუ ვის უკვრ ნ ესე... კიმენი, 1732.

ნუ იურვი-ნ:

ნუ ი უ რ ვ ი ნ გული შენი მთავრისა მის-თვს... წარტყუენ. იერუს. ნ28.

ნუ იქადი-ნ:

ნუ ი ქ ა დ ი ნ აწ მძლავრი. ამბარტავანი. მოშურნე... ძვ. სასულ. პოეზ. ტპზ9 ზევ.

ნუ **გეშინინ** = ნუ გეშინის [ის შენ მისგან]; აქედან: ნუ გეშინის-ცე-
მად, ახლანდელი ნუგეშის ცემა, ე. ი. „ნუ გეშინია“-ს თქმა („მიცემა“); აქე-
დანვეა: „ნ უ გ ე შ ი“ ნაწილი „ნუ გეში(ნი)-ს“-ა, გასუბსტანტივებული.

სხვა მაგალითებშიც ასევე **-ნ**-ს უჭირავს შემდეგი ხანების **ს**-ს ადგი-
ლი: ნუ იყოფი-ნ = ნუ იყოფი-ს, ნუ განაყენებ-ნ = ნუ განაყენებ-ს, ნუ ჭამ-
ნ = ნუ ჭამ-ს და სხვ.

7. **ს**-ის უძველესი ნიშანი **-ნ** ძველ ქართულში მრავალ შემთხვევაში
შენახული აქვს კავშირებითს პირველს, როცა იგი ბრძანებითი კილოს
მნიშვნელობითაა ნახმარი (— მოწოდებითი ბრძანებითი მესამე პირისა):

გიხაროდენ-ნ:

... გ ი ხ ა რ ო დ ე ნ გამოჩეხულო მადლისა მიერ... აბო ტფილ. 41.

... მზრუნველო ცხორებისა თჳს ჩუენისა... შენ გ ი ხ ა რ ო დ ე ნ და
მხიარულ იყავ... გრიგოლ ხანძთ. **ოზ**¹⁷ ქვ.

... და ჰრქჳს შთ ჩემთანა გ ი ხ ა რ ო დ ე ნ და იხარებდით დღეს...
იოანე ბოლნ. ქადაგ. 31.

... იხილე უბიწოო და გ ი ხ ა რ ო დ ე ნ ... ძვ. სასულ. პოეზია, **სმ**⁷
ზევ.

უხაროდენ-ნ:

და უ ხ ა რ ო დ ე ნ ყლსა სოფელსა: ... იოანე ბოლნ. ქადაგ. 79.

განსცხრებოდენ-ნ:

... დაჰბერეთ ნესტუსა საფუძველთა სოფლისათა და გ ა ნ ს ც ხ რ ე -
ბ ო დ ე ნ ზღუად ოხრითურთ... ძვ. სასულ. პოეზია, **პ**² ზევ.

გ ა ნ ს ც ხ რ ე ბ ო დ ე ნ ქუეყანად... იქვე, **ტბდ**⁴ ზევ.

გრცხუნოდენ-ნ:

... იხილეთ... და გ რ ც ხ უ ე ნ ო დ ე ნ ... იქვე, **რო**¹ ზევ.

ჰრცხუნოდენ-ნ... კდემებოდენ-ნ:

... ჰ რ ც ხ უ ე ნ ო დ ე ნ ნისტორს კრებულთურთ მისით... იქვე
რმვ⁷ ზევ.

... ჰ რ ც ხ უ ე ნ ო დ ე ნ და კ დ ე მ ე ბ ო დ ე ნ ყლთა რნი ეძიებენ
სლთა მონათა შენთასა... კიმენი, 120¹¹.

გეშინოდენ-ნ:

ნუ გ ე შ ი ნ ი ნ მათგან რლთა მოწყუდნეს ჳორცნი თქნი... ად
გ ე შ ი ნ ო დ ე ნ მისა რლსა ჳელმწიფებაჲ აქუს წარწყმედად სულისა...
კიმენი, 9³⁰.

გ ი ხ ა რ ო დ ე ნ — ესაა გ ი ხ ა რ ო დ ე ს შემდგომი ხანებისა: გიხა-
როდეს შენ იგი: ეს „იგი“-ა **-ნ** სუფიქსით გადმოცემული; ეს რეალური
ობიექტი სუბიექტის ნიშნითაა გადმოცემული, რადგანაც ჳმნა ინვერსიუ-
ლია.

„გიხაროდენ“ ფორმა იმდენად განმტკიცებული იყო გარკვეული დარ-

გის მწერლობაში, რომ გასუბსტანტივდა:

და უღალადა მათ გიხაროდენი. ევადს მწუხარებისა დამჯსნელი... ძვ. სასულ. პოეზია **რმგვ** ზევ.

... მღალადებელი. გიხაროდენსა მქადაგებელი... იქვე, **სღგ** ზევ.

... ვა გიხაროდენი ქალწულმან ეგრეთ შეიწყნარე ჳმა ზეციერი... აბო ტფილელი 46.

გიხაროდენ-ის გარდა ზემოხსენებულ მაგალითებში ინვერსიულია ზმნები: გრცხუენოდენ, გეშინოდენ: -ნ სუფიქსი რეალურად ობიექტს აღნიშნავს, მაგრამ ეს ობიექტი ზმნისათვის სუბიექტია.

განსცხრებოდენ პირდაპირი წყობისაა და მასში **-ნ** სუფიქსი რეალური სუბიექტის სუფიქსია: განსცხრებოდეს იგი...

8. ძვ. ქართულში არა იშვიათია კავშირებითი პირველის ადგილას ნამყო უსრულის ხმარება; კავშირებითი პირველი ნამყო უსრულის დიფერენციაციას წარმოადგენს:

აწმ. აკეთ-ებ-ს → ნამყო უსრ. აკეთ-ებ-დ-ა: კავშირი I: აკეთებდ-ეს.

„ „ ხოლმ. აკეთ-ებ-დ-ის

დროის საწარმოებელი სუფიქსი **-დ-** ნამყო უსრულისა რჩება კავშირებითს პირველშიაც. როცა მოსალოდნელია კავშირებითი, ხოლო ნახმარია ნამყო უსრული, ეს, ცხადია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ დიფერენციაცია ნამყო უსრულსა და კავშირებით I-ისა ჯერ კიდევ დამთავრებული არაა. ამგვარად, ეს საკმაოდ ძველი ვითარებაა.

ამ კონტექსტში სრულიად ბუნებრივია, რომ **-ნ** აღმოაჩნდეს **S₃**-ის ნიშნად ისეთ ნამყო უსრულს, რომელიც კავშირებითი I-ის ადგილასაა ნახმარი და ბრძანებითი კილოს მნიშვნელობითაა გამოყენებული: თუ **-ნ**-იანი კავშირებითი I ბრძანებითისათვის იყო გამოყენებული (მაგალ. იხ. ზემ. გვ. 363), კავშირებითის მონაცვლე ნამყო უსრულსაც მესამე პირის სუბიექტი სუფიქსად ისევ **-ნ** აქვს.

ნათობდ-ი-ნ (= ნათობდეს):

აწდ ეგრე ნათობდინ ნათელი იგი თქნი წე კაცთა. იოანე ბოლნ. ქად. 21.

ბრწყინევდ-ი-ნ (= ბრწყინავდეს):

... ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა...

აბო ტფილელი 21.

... ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა...

გრიგ. ხანძთ. **ლ**₁₃ ქვ.

გალობდ-ი-ნ (= გალობდეს):

... იხარებენ ცანი და გალობდინ ქუეყანა... ძვ. სასულ. პოეზია

სკ₁₇ ზემ.

... ამისკვცა იხარებლით ცანი და... გალობდინ ქუეყანად... იქვე,
პ₁ ზევ.

იქორწინებოდ-ი-ნ (= იქორწინებოდენ!):

... ოდეს აღდგენ მკუდრეთით არცა იქორწინებოდინ არცა
განპქორწინებდენ... აღიშ. ოთხთავი, ტ. 91b₁.

სუემდ-ი-ნ (= სვამდეს):

რლსა სწყუროდის მოვედინ ჩემდა. და სუემდინ ... იოანე ბოლნ.
24.

იხარებდ-ი-ნ (= იხარებდეს):

... ამიერთგან იხარებდინ უდაბნოდ ესც... გრიგ. ხანძთ. თ₁₃
ზევ.

... იხარებდინ ცად და განსცხრებოდენ ქუეყანად, უგალობდით
(= უგალობდეთ) აღამეანნი სიხარულით სიკუდილისა დამთრგუნველისა...
ძვ. სას. პოეზ. სმე₇ ზევ.

გაქუნდ-ი-ნ (= გქონდეს):

... ნუ იტყვ, თუ კაცთა ვჰმსახურებ, არამედ ესრეთ გაქუნდინ, ვი-
თარმცა ანგელოსთა... ჰმსახურებლი... ათონის ხელნაწ. 40.

... ესე ვითარნი ნუგეშინის ცემა გაქუნდინ თქუცნ, ძმანო... იქვე,
343.

გუაქუნდ-ი-ნ (= გვქონდეს):

... და აწ წრაფად სულისა მიმართ წდისა გუაქუნდინ ... სახისა
სიტყ. 40₁₆ ზევ.

იხარებდ-ი-ნ... უხაროდ-ი-ნ... განისუენებდ-ი-ნ... იშუებდ-ი-ნ:

... ივ ქწ იხარებდინ ჩწ თანა კეთილად მყოფებასა მას ჩწსა:
უხაროდინ კეთილად ცხორებასა მას ჩწსა: განისუენებდინ
ღირსებით... ქცევასა მას თქუნსა... სათნო ეყოფოდენ (= ეყოფოდეს) თა-
ნაზიარებად ჩუენი... იშუებდინ მოყუარებად ჩწნი მისა მიმართ: ...კი-
მენი, 198₁₉₋₂₂.

-ნ-იანი ნამყო უსრული შეიძლება შეგვხვდეს ჩვეულებრივი კავშირე-
ბითის ნაცვლადაც — არა ნაწილაკის შემდეგ: რა არა იქმოდ-ი-ნ (= რა
არა იქმოდეს):

... და მისცა მათ ყწ სოფელი ვა სახლი და საფასც ურიცხვ... რა
არა იქმოდინ ბოროტსა ად კეთილსა... იოანე ბოლნ. ქადაგ. 34.

საკელოდსა წესი ესრეთ გაეწესა რათა საჭმელსა არა იქმოდინ,
გარნა თუ უცხონი იყვნინ ანუ მშრომელნი ვინმე... ათონ. ხელნ. 49.

რა არა **გურცხუენოდ-ი-ნ** (= რომ არ გვრცხვენოდეს):

... უპყრიეს მხიარულად პირი თვისი: რა არა შეგუაშინნეს და
გურცხუენოდინ ჩწ ჩუენებად მისა წყლულებად იგი ჩუენი... იო-
ანე ბოლნ. ქად. 8.

უკუეთუ **მოვიდოდ-ი-ნ** (= თუ მოდიოდეს, მოვიდეს):

... უკუეთუ ესე ადგილისა მრორინენი მონაზონნი მოვიდოდინ, უკუეთუ მწუხრსა მოვიდენ, ისერონ და სამხარი ჭამონ... და დაუმოწმე, რომელ უჟამოდ არა მოვიდოდინ... ათონ. ხელნ. 49.

ყველა ზემოხსენებულ მაგალითებში **ნ** — **-ნ**-ს წინ უძღვის **-ი-**: ნათობდინ, ბრწყინედინ, იხარებდინ, გაქუნდინ, იქმოდინ...

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ნამყო უსრული ხოლმეობითი (პერმანსივი) დაირთავდეს **-ნ** სუფიქსს, როცა ამ ნამყო უსრულს კავშირებითი მაგივრობის გაწევა უხდება.

უინო ფორმები (ნათობდ-ნ, იხარებდ-ნ, იქმოდ-ნ) არა გვხვდება, ე. ი. გამოდის, თითქოს ნამყო უსრული, თუ ის ხოლმეობითი არ არის, **-ნ**-სუფიქსს არ დაირთავდეს, სხვანაირად რომა ვთქვათ: ის ისე ძველი არ უნდა იყოს, როგორც ხოლმეობითი.

მაგრამ სანამ ასეთ დასკვნას გავაკეთებდეთ, უნდა გაირკვეს, ხომ არ არის ჩვენთვის საინტერესო **-ი-** მრავლობითის ანალოგიით გაჩენილი: ვიხარებდ-თ, იხარებდ-ი-თ... ვიქმოდ-ი-თ, იქმოდ-ი-თ ყოველთვის **-ი-**-ს დაირთავს, სულ ერთია, იქნება ნამყო უსრული ხოლმეობითი თუ არა: ვიხარებდ^თ, იხარებდ^თ — ფონეტიკურად აუტანელ კომპლექსს იძლევა. მაგრამ რაღა **-ი-**-ს დაეკისრა ამ თანხმობების გათიშვა?

აქ ისევ აორისტის ხოლმეობითის **-ი-**-ს უნდა დავუბრუნდეთ: ან **-ი-**-ანი წარმოება, ხოლმეობითი, უფრო ძველია ნამყო უსრულში, ანდა, თუ ის ისტორიულად უპირატესი არ არის, საანალოგიო მასალას (**-ი-**-ს) ხოლმეობითი ნამყო აწვდის ნამყო უსრულს არახოლმეობითის შინაარსისას.

ვფიქრობთ, მეორე შესაძლებლობაა სინამდვილესთან უფრო ახლოს. მართალია, ფაქტი ისაა, რომ **-ნ**-იან ნამყო უსრულს მესამე პირი მხოლოდ ხოლმეობითის წესზე აქვს გაწყობილი, უინო წარმოება აქ ისევე შეუძლებელია, როგორც აორისტში **-დ**-თი ნაწარმოებ ზმნებთან ვნებითი გვარისა: გამდიდრდინ, განმხიარულდინ, მოუძლურდინ (მაგ. იხ. ქვემოთ)¹.

მაგრამ არის ერთი კრიტერიუმი, რომლითაც შეგვეძლო კონტროლი გავვეწია ნამყო უსრულია თუ არა ხოლმეობითი, **-ნ**-ს რომ დაირთავს. ვგულისხმობთ მრავლობითის მესამე პირს: თუ ხოლმეობითია ამოსავალი, აქ **-ი-ედ-** გვექნებოდა (იხარებდ-ი-ედ...), და არა **-ედ** (იხარებდ-ედ).

ამგვარი შემთხვევები სამწუხაროდ მცირეა, ისეთი მაგალითი, როგორიცაა: **იგლოვდედ**:

— შეილნი მისნი იგლოვდედ და ძირი მისი უპოვარ იყავნ (კი-

¹ როგორც ცნობილია, ამგვარ ზმნებს პირველსა და მეორე პირში ყოველთვის **-ი-** აქვთ: განგმხიარულდი, განჰმხიარულდი... (მდრ. ვთქუ, სთქუ...).

მენი, 201₁₃) — შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც კავშირებითი I-ის მრავლობითის მესამე პირი: იგი იგლოვდენ — იგინი იგლოვდედ — და არა: იგი იგლოვდ-ი-ნ (= იგლოვდ-ა) — იგინი იგლოვდედ...

სამაგიეროდ მაგალითში, როგორცაა:

ხ^ნტ^ქნ გ ი ყ უ რ დ - ე დ მტერნი თ^ქნი კეთილსა უყოფდით და ავასხებდით... (ადიშ. ოთხთავი, ტაბ. 115b₁), გიყურდედ = გიყუარდედ ნამყო უსრულის ძველებური **-ედ**-იანი მრავლობითი ჩანს — კავშირებითის მნიშვნელობით ნახმარი: მომდევნო ზმნები — უყოფდით, ავასხებდით — ამას ცხადყოფს. ამგვარად **გიყურდედ** არის **გიყუარდინ**-ის (= გიყუარდა)-ს მრავლობითი და არა **გიყუარდენ** — კავშირებითისა.

ამრიგად, იმ მაგალითების ჩვენება, რომლებშიაც ნამყო უსრულის ფუძეს **-ედ** სუფიქსი დაერთვის, **გარკვეულ შემთხვევებში** ისეთია, რომ გ ი ყ უ რ დ ი ნ ... ი ხ ა რ ე ბ დ ი ნ და მსგავსი ფორმები ხოლმეობით ნამყო უსრულისა კი არ არის, არამედ ჩვეულებრივი ნამყო უსრულისა.

9. აქამდის განხილული მასალიდან ირკვევა, რომ **-ნ**, როგორც სუბიექტური სუფიქსი მესამე პირისა, ძვ. ქართულში დასტურდება **აწყოში, ნამყო უსრულში** და **კავშირებითს პირველში**. ეგევე ითქმის **-ედ** სუფიქსის შესახებ, რომელიც მესამე პირთან მრავლობითობას აღნიშნავს, როცა მხოლოდობითში S₃ **-ნ** არის.

როგორია საქმის ვითარება დრო-კილოთა მეორე ჯგუფში? **-ნ** სუფიქსი (და შესაბამისად **-ედ**) **იქაც გვხვდება**. არსებითად იმავე პირობებში, როგორშიაც ნამყო უსრულსა (და კავშირებით I-ში) მიმართავდა ძველი ქართული ამ **-ნ**-ს.

რა მიმართებაშიცაა ნამყო უსრული და კავშირებითი I, ისეთსავე მიმართებაშია აორისტი და კავშირებითი II ერთმანეთთან: მთელ რიგ შემთხვევაში აორისტი ენაცვლება კავშირებითს მეორეს. სახელდობრ:

ა) **-მცა** ნაწილაკის დართვისას აორისტი კავშირებითი II-ის როლს კისრულობს:

ბ) მესამე პირის ბრძანებითის წარმოებისას ძვ. ქართულში აორისტი გამოყენებული, ახლა იქ კავშირებით მეორეს მივმართავთ (მაგალ. იხ. ქვ.).

აიხსნება ეს იმით, რითაც ნამყო უსრულისა და კავშირებითი I-ის ურთიერთობა (შენაცვლება) იხსნებოდა: ეს დრო-კილოები ერთი და იმავე წარმოების დიფერენციაციას წარმოადგენენ.

საფიქრებელია, რომ ეს დიფერენციაცია დრო-კილოთა მეორე ჯგუფში უფრო ადრე მოხდა, ვინემ დრო-კილოთა პირველ ჯგუფში. ეს დრო-კილოთა ისტორიის პრობლემას განეკუთვნება და მასზედ აქ არ შევჩერდებით.

აქ მხოლოდ შევამოწმებთ, რამდენად მართლდება **S₃ -ნ-** საკითხზე აორისტისა და კავშირებითი II-ის ურთიერთობის ის გაგება, რომელიც ზემოთ არის წამოყენებული.

დრო-კილოთა პირველ ჯგუფში — ნამყო უსრულში, კავშირებითს I-ში (ნაწილობრივ — აწმყოშიც) **ნ-** სუფიქსი ბრძანებითის მნიშვნელობით ნახმარმა ფორმებმა შემოგვინახეს ყველაზე მეტად.

აორისტშიაც მესამე პირს **-ნ-** სუფიქსი აქვს ბრძანებითში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სხვაგვარი წარმოება მესამე პირის ბრძანებითისა ძველმა ქართულმა არ იცის, დროთა პირველ ჯგუფში კი ნამყო უსრულით მესამე პირის ბრძანებითის გადმოცემა ერთადერთი საშუალება სრულებითაც არ არის, იქ კავშირებითი I-იც ფართოდ არის გამოყენებული ამავე მიზნით. სხვანაირად რომ ვთქვათ, აორისტში უფრო ძველი ვითარებაა დაცული, ვინემ დრო-კილოთა პირველ ჯგუფში.

როგორ იწარმოება მესამე პირის ბრძანებითი (დადებითი ფორმა!) აორისტისაგან? ესაა **აორისტის მესამე პირი**, განსხვავებული ჩვეულებრივი მესამე პირისაგან **-ნ- სუფიქსის** გამოყენებით (**ა, ო-**ს ნაცვლად).

ყავ-ნ (= ყოს):

... უფალმან ყ ა ვ ნ ნებადცა გულისა ჩემისაჲ... გრიგ. ხანძთ. **კვ**₁₈ ზევ.

... რლსა უყუარდე მე, უვარ ყ ა ვ ნ თავი თჳსი... იოანე ბოლნ. ქად. 58.

იყავ-ნ (= იყოს):

... ოქროჲ და ვერცხლი შენი შენთანვე ი ყ ა ვ ნ ... აბო ტფილ. 25.

... და ი ყ ა ვ ნ ჳელი ში მაცხოვრად ჩნდა... იოანე ბოლნ. 87.

... ი ყ ა ვ ნ ნათელი... ჩუენ ზა... გრიგ. ხანძთ. **ო₅** ქვ.

გუეყავ-ნ (= გუეყოს, გადაგვექცეს):

... და გ უ ე ყ ა ვ ნ ჩნ წყალი ესე... განმანათლებელ გულთა... კიმენი, 56₂₅...

მეყავნ (= მეყოს, გადამექცეს, გამიხდეს):

... ჰქა მას სირცხვილი ესე მე ყ ა ვ ნ მე... კიმენი, 820.

... მე ყ ა ვ ნ მე მსგავსად სიტყჳსა შენისა... კიმენი, 181₂₁.

... მეოხებაჲ თქუენი მარადის შემწე მე ყ ა ვ ნ ჩნ... გრიგ. ხანძთ.

მ₃ ზევ.

გეყავ-ნ (= გეყოს):

... კმა გ ე ყ ა ვ ნ როჭიკი თქნი... ადიშ. ოთხთ. ტაბ. 108_{b2}.

ეყავ-ნ (=ეყოს):

... წმიდათა ოხაჲ მარადის შემწე ეყავნ მას აქა და საუკუნოდ... გრიგ. ხანძთ. **მ₁₉** ქვ.

დაიყავ-ნ (= „დაიყოს“):

... დაიყავნ პირი შენი... ათონ. ხელნაწ. 32.

ალიძარ-ნ (=ალიძრას):

... დაჰბერეთ ნესტუსა სოფლისა საფუძველთა, ალიძარნ ზღუად სავესბითურთ... ძვ. სასულ. პოეზ. სიბ¹³ ქვ.

... იხარებენ ცანი მაღალნი და განსცხრებოდენ ქუეყანად, ალიძარნ ზღუად... იქვე, სვ¹⁵ ზევ.

ალიღე-ნ (= ალიღოს):

... რლთა უნებს შემოდგომად ჩემდა უვარ ყავნ თავი თჳსი და ალიღენ ჯუარი თჳსი დღითი დღედ და მომდევდინ მე... ადიშ. ოთხთავი ტაბ. 123 ა2. აგრეთვე: იქვე, ტაბ. 82 ბ¹; იოანე ბოლნ. 58.

ბრძანე-ნ (= ბრძანოს):

... აწ ბრძანენ სიწმიდემან შენმან მეფობისა ჩუენისაგან მსახურებად ღირსებისა შენისა... გრიგ. ხანძთ. კმ¹³ ქვ.

... არამედ ბრძანენ ჳელმწიფებამან შენმან და მოვიდენ იგინი ჩუენდა... იქვე, კმ⁵ ზევ.

... აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყუად, რომლისა მიერ დაებუროს წმიდად ეკლესია... ათონ. ხელნაწ. 302.

ალიღე-ნ (= ალიღოს):

... უფალმან ორითავე ცხორებითა ალიღენ ვითარცა დიდი კოსტანტინე... იქვე, 320.

დაამყარე-ნ (= დაამყაროს):

... რომლისა ლოცვითა დაამყარენ ღმერთმან... მეფობა შენი... იქვე, 331.

მიაგე-ნ (= მიაგოს):

... რომელთა იგი დიდად აღგუპურეს ჳელი წყალობისა, ათას წილად მიაგენ უფალმან... იქვე, 64.

გუაკურთხე-ნ... აღგუაორძინე-ნ (= გუაკურთხოს... აღგუაორძინოს):

... მამათა ჩუენთა... და სათნოთა ძმათა ჩუენთა... მაღლითა და ლოცვითა გუაკურთხენ და აღგუაორძინენ უფალმან... იქვე, 67.

განამართლე-ნ... შეამკვე-ნ (= განამართლოს... შეამკოს):

... ქრისტემან სრულიად შეამკვენ მაღლითა მისითა და განამართლენ წინაშე მისსა საუკუნოდ... მაკარი... გრიგოლ ხანძთ. პ¹⁷ ზევ.

დაამტკიცე-ნ (= დაამტკიცოს),

... დაამტკიცენ ქრისტემან ყოვლისა შემძლებელმან ქებისა ბრძანებად ეგვ... იქვე, თ¹⁷ ზევ.

დაიჯერე-ნ (= დაიჯეროს):

... დაიჯერენ სიწმიდემან შენმან... [ჰამბავი]... იქვე, ძდ¹¹ ქვ.

დაგიმკვდრე-ნ (= დაგიმკვდროს),

... ქრისტემან საუკუნოდ დიდებად... დაგიმკვდრენ კეთილთა თანა შვილთა... იქვე, იგ⁴ ქვ.

ჰკითხე-ნ (= ჰკითხოს მათ):

... და რომელსა ჰნებავს გულის ხმის ყოფად, თუ რა შეემთხვა იერუსალიმელთა. ჰკითხენ მათ... წარტყუნ. იერუსალ. **ია**⁸.

აღაშენე-ნ (= აგაშენოს):

... უფალმან... აღთქუმისაჲებრ აღაშენენ შენ... იქვე, **ლ**⁵.

განკურნე-ნ (= განკურნოს):

... არცა მას ვსწყევ ქრისტემან... განკურნენ სულით და ჯორციოთ... გრიგ. ხანძთ. **ნ**¹⁷ ქვ.

დაემორჩილე-ნ (= დაემორჩილოს):

... სულები წინადაწარმეტყუელთა და წინადაწარმეტყუელთა დაემორჩილენო... გრიგ. ხანძთ. **ი**¹¹ ზევ.

ესიძე-ნ... აღუდგინე-ნ (= ესიძოს... აღუდგინოს):

... მო-თუ-ვინმე=კუდეს უშვილოდ ესიძენ მას ძმად მისი და... აღუდგინენ თესლი ძმას მას თუსსა... აღიშ. ოთხთავი. ტ. 48ა¹.

მეწიე-ნ (= მეწიოს):

... მსწრაფლ მეწიენ ჩუენ წყალობად შენი... წარტყუნ. იერუსალ. **კ**².

განგიშადე-ნ (= განგიშადოს):

... ღმერთმან განგიშადენ შენ პური ცხოვრებისად ზეგარდამო... კიენი, 194²⁴.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ **-ე**-თი წარმოებული აორისტი სამსავე პირში ინარჩუნებდა ამ **ე**-ს:

მე	ვ-ადიდ-ე	ვ-ბრძან-ე
შენ	ადიდ-ე	ჰ-ბრძან-ე
მან	ადიდ-ე-ნ	ბრძან-ე-ნ
ჩუენ	ვ-ადიდ-ე-თ	ვ-ბრძან-ე-თ
თქუენ	ადიდ-ე-თ	ჰ-ბრძან-ე-თ
მათ	ადიდ-ე-დ	ბრძან-ე-დ

ამ **-ნ**-ს წინ **-ი-** უძღვის ყველა იმ შემთხვევაში, როცა ბოლოს აღმოჩნდება ძირეული თუ სუფიქსეული **დ, ნ, რ** (ხშირად **ც, გ** და **ვ-ც**):

მო-ვედ — მოვედ-ი-ნ (მოსალოდნელი იყო: მოვედ-ნ)

გრწმენ-ა — გრწმენ-ი-ნ (და არა: გრწმენ-ნ)

შენ ჰყავ- იგი — ჰყავ-ენ იგინი: მან ყვ-ენ-ი-ნ იგინი...

წარვედ-ი-ნ... შევედ-ი-ნ (= წარვიდეს... მოვიდეს):

აღხუტყორცვებ ტყავსა ამას ზე აერთა.

წ ა რ ვ ე დ ი ნ და შ ე ვ ე დ ი ნ ეკლესიასა არხიას ქალაქისასა... ივ. ჯავახიშვილი, ხანმეტი ტექსტების ნიმუშები, ტფილ. უნივ. მოამბე, ტ. II, 391.

... რლსა სწყუროდის მ ო ვ ე დ ი ნ ჩემდა... იოანე ბოლნ. 24.

... გ ა მ ო ვ ე დ ი ნ სიძე ეზოდსაგან თვისისა... იქვე, 24.

... ამას ჯერსალა მ ო ვ ე დ ი ნ აპოლონ და გ ა ნ გ ა რ ი ნ ე ნ შენ... კიმენი, 141¹⁶.

მოკუედ-ი-ნ (= მოკუედეს):

ლაღად ყვეს ყლა სარკინოზთა... ანუ მ ო კ უ ე დ ი ნ მონაზონი ანუ მოვწყდეთ სარკინოზნი... კიმენი, 171⁹.

... შეგადე იგი სატანჯველსა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაპმედ მოციქულისა ჩუვენისად, უკუეთუ არა, მ ო კ უ ე დ ი ნ იგი... აბო ტფილელი, 23.

შემომიდგე-ი-ნ (= შემომიდგეს):

... რომელსა უყუარდე მე — უვარ ყავნ თავი თვისი და შ ე მ ო მ ი დ ე გ ი ნ მე: იოანე ბოლნ. 58.

მიცე-ი-ნ (= მისცეს):

... ქრისტემან განსუენებად მი ე ც ი ნ მათ... გრიგოლ ხანძთ. ლგ⁴ ქვ.

მოგეც-ი-ნ... მომეც-ი-ნ (= მოგეცეს... მომეცეს):

... მ ო გ ე ც ი ნ უფალმან შრომისა თქუენისა სასყიდელი... გრიგოლ ხანძთ. ოზ¹ ზევ.

... ლწ მ ო მ ე ც ი ნ მე სიბრძნე... სახისა სიტყ. 42²⁴.

... და მ ო გ ე ც ი ნ ქრისტემან დიდებად სრული... გრიგოლ ხანძთ.

ლბ¹¹ ქვ.

მოიქეც-ი-ნ (= მოიქეცეს):

... მშვიდობად იგი თქნი თქნდავე მ ო ი ქ ე ც ი ნ ... აღიშ. ოთხთ. ტ. 20^{a2}.

დაიცევ-ი-ნ... დაგაცევ-ი-ნ (= დაიცვას, დაგაცვას):

... ქრისტემან უმეტესად დიდებით და ი ც ე ვ ი ნ მეფობად შენი... იქვე იგ⁶ ქვ.

... მშვიდობად შენდა. დიდებულო ქუეყანაო... და გ ი ც ე ვ ი ნ შენ ქრისტემან მშვიდობით... წარტყუენ. იერუსალ. ლგ²².

დაშრტ-ი-ნ (= დაშრტეს):

და შ რ ტ ი ნ საგმილი იგი გეჰენისად... კიმენი, 201⁸.

დაადგერ-ი-ნ (= დადგეს, დაისადგუროს):

... მოვედინ ოი... განვიწმედ საცნობელთა ჩემთა. და ა დ გ ე რ ი ნ მას შა... კიმენი, 182⁹.

განიხრწენ-ი-ნ (= განიხრწნეს):

... ყლსა ჟამსა გან ი ხ რ წ ე ნ ი ნ და განეშორენ უჩინოთაგან

სულთა შენთა. სიძვად მრუშებად თავვედებად... სახისა სიტყ. 30¹⁸ ქვ.

გარდამოჰსენ-ი-ნ (= გარდამოხსნას):

... და გ ა რ დ ა მ ო ჰ ს ე ნ ი ნ ეგე ღმერთმან თჳსმან აპოლონ... კი-
მენი, 141¹⁰.

მივსენ-ი-ნ (= მიხსნას):

... სადა არს ბუნებად ცეცხლისად და ძალი მზისად მოვედინ შემწედ.
მსახურისა თჳსისა და მი ვ ს ე ნ ი ნ მე აწ ჟამსა ამას ჭირისასა...
წარტყუნ. იერუს. ნგ¹⁰.

იქმენ-ი-ნ (= იქმნეს):

... ი ქ მ ე ნ ი ნ განკურნებულ ველნი შენნი... გრიგ. ხანძთ. ნე⁶ ქვ.

გრწმენ-ი-ნ (= გრწამდეს ის...): შდრ. -ა სუფიქსით აორის-

ტი: **გრწმენ-ა:**

... და ნუ იყოფი ურწმუნო: ა დ გ რ წ მ ე ნ ი ნ... იოანე ბოლნ. 81.

... გ რ წ მ ე ნ ი ნ ჩემი. ჭეშმარიტსა ვიტყვ... გრიგოლ ხანძთ. ნბ² ქვ.

... რწნი ურწმუნო ხართ მოვედით ჩემდა და გრწმენინ ჩემი... იოანე
ბოლნ. 24.

... იხილეთ აწ და გ რ წ მ ე ნ ი ნ განხრწნილთა განახლებად... ძვ.
სასულ. პოეზია სპგ¹³ ზევ.

დაგიცვენ-ი-ნ (= დაგიცვას მან თქუნენ):

... და მშვიდობამან უფლისამან და გ ი ც ვ ე ნ ი ნ თქუნენ... აბო
ტიფილ. 29.

გაკურთხენ-ი-ნ (= გაკურთხოს მან თქუნენ):

... გ ა კ უ რ თ ხ ე ნ ი ნ ყოველნი პირმან ქრისტესმან... გრიგოლ
ხანძთ. იგ¹⁵ ქვ.

ალადგინენ-ი-ნ (= ალადგინოს მან იგინი):

... უკუეთუ შემძლებელ არს იგი... მივედინ და ა ლ ა დ გ ი ნ ე ნ ი ნ
შვილნი იგი შენნი... კიმენი, 147¹⁷.

გუყვენ-ი-ნ (= გყვოს მან ჩვენ):

... უფალმან მოგვბოძენ და ღირს გ უ ყ ვ ე ნ ი ნ ჩუნენ... გრიგოლ
ხანძთ. ძგ¹² ქვ.

დ- სუფიქსით ნაწარმოებ ვნებითებს აორისტის პირველსა და მეორე
პირში **-ი-** ყოველთვის აქვთ, მესამე პირში კი — არა; **-ნ-** სუფიქსის წინ
-ი- აქ, მესამე პირში, უცილობლად წარმოგვიდგება; ასეთ პირობებში აო-
რისტი და იმავე ფუძის ხოლმეობითი ერთმანეთისაგან აღარ გაირჩევა
(მხოლოდობითში).

განახლდ-ი-ნ (= განახლდეს):

... დავითმან თქუა. გა ნ ა ხ ლ დ ი ნ ვ ა ორბისა სიჭაპუკჳ შენი...
სახისა სიტყ. 13¹ ზევ.

აღმომიცენდ-ი-ნ (= აღმომიცენდეს):

... იფქლისა ჩემისა წილ აღმომიცენდინ მე ქრთილი... იქვე, 20₁₆ ზევ.

განმხიარულდ-ი-ნ (= განმხიარულდეს):

... ცანი განათლდით. ქუეყანად განმხიარულდინ ... ძვ. სასულ. პოეზია, ტბბ₇ ქვ.

მოუძღურდ-ი-ნ (= მოუძღურდეს):

... იძლიენ ძნელი იგი. მოუძღურდინ მღვმე იგი... კიმენი, 201₈.

განკეთრდ-ი-ნ (= განკეთრდეს):

... ეშმაკსა პირი დაეყავნ. სატანად განკეთრდინ ... იქვე, 201₁₁.

აღატყდ-ი-ნ (= აღატყდეს):

... გულის წყრომად მისი აღატყდინ ... იქვე, 201₁₂.

განქარდ-ი-ნ (= განქარდეს):

... სატანჯველნი მისი განქარდინ ... იქვე, 201₁₃.

ნ-ს წინამავალი **-ი-** არ უნდა იყოს ხოლმეობითის სუფიქსი; ამას გვაფიქრებინებს, ჯერ ერთი, ის, რომ ამ **-ი-**ს დართვა ფუძის შეკუმშვას არ იწვევს, ხოლმეობითის **-ი-** კი რედუქციას იწვევს; შდრ.: **იქმენ-ი-ნ** (იხ. აქვე მზე); ხოლმეობითი: **იქმნ-ი-ს...** **იქმნი...** **ვიქმნი...**

გარდა ამისა მრავლობითში **-ედ** სუფიქსის წინ **-ი-** არა გვაქვს; გარკვეულ შემთხვევაში უთუოდ უნდა გვქონოდა, თუ ხოლმეობითის **-ი-** იქნებოდა **ნ**-ს წინ მოქცეული **-ი**:

... ეშმაკნი შეძრწუნდედ. მთავრობანი და ძალი დაეცენ ედ ... კიმენი, 201₁₀. თუ სუბიექტს მხოლოდობითში დავსვამდით, გვექნებოდა:

... ეშმაკი შეძრწუნდინ ... ძალი დაეცინ (შდრ. „მიეცინ... მოგეცინ“ აქვე ზემოთ, გვ. 32).

ამგვარად, ეს **-ი-** მრავლობითის მესამე პირში არა ჩანს; უნდა კი ჩანდეს, თუ ხოლმეობითისად დავსახავთ: შეძრწუნდ-ი-ს — შეძრწუნდ-ი-ან...

დაეც-ი-ს — დაეცნ-ი-ან...

ამით იმ **-ი-**ს საკითხსაც ვუბასუხებთ, ნამყო უსრულში რომ გვქონდა **-ნ**-ს წინ: გუაქუნდ-**ი-ნ**, იქმოდ-**ი-ნ**, იშუებდ-**ი-ნ**, იხარებდ-**ი-ნ**...

ხოლმეობითისა არც ეს **ი-ა**, იგი ამ ხოლმეობითის **ი-**ს ანალოგიითა განვითარებული, მაგრამ მისი ფონეტიკური თვისებები და გავლენის უნარი აკლია.

10. კი მაგრამ:

1. არის თუ არა მოვედი-**ნ**, იყავ-**ნ**, ადიდე-**ნ** და მსგავს ფორმათა **-ნ** იგივე სუფიქსი, რაც აწმყოში და მისგან ნაწარმოებ დროებში აღმოჩნდა?

2. თუ **-ნ** მესამე პირის ნიშანია, თუ **-ნ**-იანი ფორმა მესამე პირია, რატომაა დაცული შეუკუმშავად ფუძე ზმნებში: იყავ-**ნ**, მოკუედი-**ნ**, შემომიდეგი-**ნ**, დაიცავი-**ნ** და სხვ. კერძოდ, რატომ გვაქვს **მოვედ-ი-ნ**, როცა მესამე პირში **ვიდ-** არის ფუძე: **მოვიდ-ა?**

პირველ კითხვაზე პასუხი დადებითი იქნება: მთავარი საფუძველია მრავლობითის მესამე პირთან **-ედ** სუფიქსის გამოყენება **-ნ**-ს შესაბამისად: მხოლოდობითში **ნ** — **-ნ**, მრავლობითში — **-ედ** (რიცხვის ნიშანი), სწორედ ისევე, როგორც აწმყოსა და ნამყო უსრულში იყო:

აწმყო:	ადიდებ- ნ იგი მას	ადიდებ- ედ იგინი მას
ნამყო უსრ.:	ადიდებდ- ი-ნ იგი მას	ადიდებდ- ედ იგინი მას
ნამყო ძირით. (აორისტი):	ადიდ- ე-ნ იგი მას	ადიდ- ედ იგინი მას

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი დ ა ნ :

იყავ-ნ — იყვნ-ედ:

... სადაცა საუნჯენი მუნცა იყვენედ გლნი თქნნი... იოანე ბოლნ. 67.

დაგეყავ-ნ — დაგეყვნ-ედ:

ნუ იყოფინ შენდა კეთილო მ ეშმაკო განუცხოებულლო ჭეშმარიტები-საგან დაგეყვენედ თუალნი ევე შენნი... კიმენი, 159¹².

დადუმენ-ი-ნ — დადუმნ-ედ || დადუმ-ედ:

... უკუეთუ არა იყოს თარგმანი, დუმენინ... დედანი თქუენნი ეკლე-სიასა შინა დუმნედ ... „სამოციქულო“, საქარ. მუზ. წ. კ. ფონდ. №1138, 79¹.

... დადუმედ ენანი ღმრთის მბრძოლთანი და პირი იგი მგომბა-რი მწვალებელთად დაიყავნ... ძვ. სასულ. პოეზია, გვ. სივ¹⁴ ზევ.

გამოჩნდი-ნ — გამოჩნდ-ედ:

... და თქუა: გამოჩნდედ დიდებანი შენნი ორ და საცნაურ იყვენედ ძალნი და სასწაულნი შენნი... კიმენი, 147²⁵.

მივედი-ნ — მივიდედ:

... მივედინ და აღადგინენინ შვილნი იგი შენნი და მივი-დედ მის თანა მცველნიცა იგი საპურობილისანი მის... კიმენი, 147¹⁸.

შეძრწუნდ-ედ... დაეცნ-ედ... ეგნედ...

... დაშრტინ საწმილი იგი... დაჰენინ ურცხვნოდ იგი. ანგელოზთა შე-ეშინენ. ეშმაკნი შეძრწუნდედ. მთავრობანი და ძალნი დაეცნედ. მარჯუენითნი აღილნი ვემდევე ეგნედ. მარცხენითნი ნუმცა ჰვიან... კი-მენი, 201⁸⁻¹¹.

მიგეტევი-ნ — მიგეტევნედ:

და ჰრქუა მას კაცო მიგეტევნედ შენ ცოდვანი შენნი... აღიში ტ. 113^{ა1}.

საინტერესოა **-ედ**-იანი ფორმის ხმარება „რადთა“-ს შემდეგ:

ძმანო უფროდს არს ესჴ ყოველთა სათნოებათა თქუენთა რაჲთა თუ-
აღნი თქუენნი ი ყ ვ ნ ე დ მარადის ამათ ზედა... გრიგ. ხანძთ. 37 ქვ.

ახლა — მეორე კითხვის შესახებ. **-ნ-** სუფიქსი, აორისტში რომ გვაქვს და ბრძანებითის მესამე პირს რომ აწარმოებს, მართლა მესამე პირია აორისტისა თუ არა? კითხვა უცნაური ჩანს: თუ **-ნ** მესამე პირის ნიშანია და თუ ეს **-ნ**-იანი ფორმა (იყავ-**ნ**, აღიდე-**ნ**, აღიდე-**ნ**...) მესამე პირის ბრძანებითის გამომხატველია, როგორღა შეიძლება ის არ იყოს მესამე პირი? მესამე პირის ნიშანი, ცხადია, მხოლოდ მესამე პირში შეიძლება იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა მესამე პირის ნიშანი.

აქამდის რაც ითქვა, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ **-ნ** სწორედ მესამე პირის სუბიექტის აღმნიშვნელია, უძველესი ფორმაციისა სალიტერატურო ქართულში.

მაგრამ, თუ ეს ასეა, რატომ გვაქვს ურედუქციო ფორმები: იყავ-**ნ**, მოკუედ-**ი-ნ**, შემომიდეგ-**ი-ნ**, მიეც-**ი-ნ**, დაადგერ-**ი-ნ**, მივსენ-**ი-ნ** და სხვა. მესამე პირში ჩვენ ჩვეული ვართ ხმოვან-ამოღებულ ფუძეს: მოკუედ-**ა**, შემომიდეგ-**ა**, მისც-**ა**, დაიცვ-**ა**, დაადგერ-**ა**, მივსენ-**ა**... ურედუქციო ფორმები კი პირველსა და მეორე პირში გვაქვს: მო-**ჰ**-კუედ, შემო-**მი**-დეგ, მი-**ეც**-, დაი-**ცვ**-, და-**დგერ**-, მი-**ვსენ**...

ახსნა მარტივია: რედუქცია მესამე პირში გამოწვეულია **-ა** ხმოვნით, ე. ი. მესამე პირის სუბიექტის სუფიქსით; ეს ბუნებრივია.

ასევე ბუნებრივია, რომ იმავე მესამე პირში ფუძე შეუკუმშავად დარჩეს, როცა მას **-ნ-** სუფიქსი ერთვის სუბიექტის ნიშნად:

S₃ — **-ა**: მე ვიყავ, შენ იყავ, იგი ***იყავ-ა** → ***იყვ-ა** → **იყო**;

S₃ — **-ნ**: მე ვიყავ, შენ იყავ, იგი **იყავ-ნ**;

მესამე პირში იყავ- ფუძე უკვე აღარაა ვარსკვლავით აღსანიშნავი: იგი რეალურადაა მოცემული იყავ-ნ-ში.

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, სადაც **-ნ-** სუფიქსს **-ი** უძღვის წინ (შემომიდეგ-**ი-ნ**, დაადგერ-**ი-ნ**, მივსენ-**ი-ნ**...), ეს **-ი** მხოლოდობითში ისევე არ იწვევს ხმოვნის ამოღებას, როგორც მრავლობითის პირველსა და მეორე პირში — ზმნებში: მოგკუედ-**ი-თ**, მოჰკუედ-**ი-თ**... მი-ვეც-**ი-ით**, მი-ეც-**ი-თ**... დავდეგ-**ი-თ**, დასდეგ-**ი-თ**. ამ მხრივ ეს **-ი** არსებითად განსხვავდება ხოლმეობითის **ი**-საგან: ეს უკანასკნელი ყველა პირში იწვევს ფუძის შეკუმშვას¹:

¹ ამის შესახებ იხ. ავტორის წერილი: „რით არის აღნიშნული მრავლობითის სახელობითში დასმული MO ძვ. ქართულ ზმნაში?“ ტფილ. უნივერ. მოამბე, ტ. IX, 1929, გვ. 107 და შემდ.

მოკუდ-ი,	მოჰკუდ-ი,	მოკუდ-ი-ს...	მოკუდ-ი-თ,	მოჰკუდ-ი-თ,	მოკუდ-ი-ან...
მივსც-ი,	მისც-ი,	მისც-ი-ს...	მივსც-ი-თ,	მისც-ი-თ,	მისც-ი-ან..
დავდგ-ი,	დასდგ-ი,	დადგ-ის	დავდგ-ი-თ,	დასდგ-ი-თ,	დადგ-ი-ან
		(იგი)...			(იგინი)...

ცალკე განხილვას საჭიროებს „**მოვედ-ი-ნ**“. ამ ზმნას მესამე პირში ფუძე ეცვლება: მო-ვედ, მო-ნ-ვედ — მო-ვიდ-ა.

-ნ-იან ფორმაში ვედ- არის; მო-ვედ-ი-ნ, ე. ი. არის არა მესამე პირის ფუძე, არამედ მეორე პირისა (და პირველი პირისა) — ვედ; სხვანაირად რომ ვთქვათ, ბრძანებითი მესამე პირისაგან არ იწარმოება, — ასეთია პირველი შთაბეჭდილება.

მაგრამ ამ შთაბეჭდილებას აქარწყლებს მრავლობითი: მო-ვიდ-ედ იგინი (და არა: მო-ვედ-ედ იგინი! თუმცა პირველსა და მეორე პირში მრავლობითში ისევ ვედ- გვაქვს და არა ვიდ-).

მრავლობითის ჩვენება ეჭვმიუტანელს ხდის, რომ **ბრძანებითის მესამე პირი მხოლოდ მესამე პირს ემყარება, ის მეორე პირისაგან ნაწარმოები არ არის.**

ამიტომ **მოვედ-ი-ნ ფორმაზე დაყრდნობით წესი კი არ უნდა გამოვიმუშაოთ — ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს ა ი წ ა რ მ ო - ე ბ ა მ ე ო რ ე პ ი რ ი ს ა გ ა ნ ა ო , — არამედ თვით ეს მოვედ-ი-ნ უნდა ავხსნათ დადგენილი წესის საფუძველზე.** და ეს ახსნა იმავე ხასიათისა იქნება, როგორც ურედუქციო იყავ-ნ, მოკუდ-ი-ნ, დაიცევ-ი-ნ და მაგვც. შემთხვევათათვის იყო მოცემული: არც **-ნ**- სუფიქსი, არც წინამავალი **-ი**- არავითარ გავლენას ფუძისეულ ხმოვანზე არ ახდენს. გასარკვევად გვრჩება:

როგორ მივიღეთ: მო-ვიდ-ა? ფუძისეული ე → ი სუფიქსეული -ა-ს ზეგავლენით; ე-ს რედუქცია მის დავიწროებაში მდგომარეობს.

მრავლობითის მესამე პირში სუფიქსისეული **-ე** იწვევს ფუძისეული ე-ს ი-დ დავიწროებას: მოვედ-ი-თ, მოხვედ-ი-თ, მოვიდ-ეს...

ნამყო ხოლმეობითში ვიდ- გვაქვს ყველა პირში ფუძედ, ამის მიზეზია ხოლმეობითის **-ი**; მის ზეგავლენითაა, რომ ე → ი:

მოვიდ-ი, მოხვიდ-ი, მოვიდ-ი-ს... მოვიდ-ი-თ, მოხვიდ-ი-თ, მოვიდ-ი-ან...

ამგვარად, ვედ- ფუძე იქცევა ვიდ- ფუძედ **-ა, -ეს, -ი სუფიქსის ზეგავლენით** (მრავლობითის პირველსა და მეორე პირში — მოვედ-ი-თ, მოხვედ-ი-თ — გვაქვს აგრეთვე **-ი**-, მაგრამ იგი ფუძისეული ხმოვნის რედუქციას ვერ იწვევს: იგივე **-ი**-ა, რაც გვქონდა მოკუდ-ი-ნ, ეც-ი-ნ, დაადგერ-ი-ნ და მაგვარ ზმნებში).

ვედ- და **ვიდ-** ფუძეთა მონაცვლეობა **ფონეტიკური ვითარებით** აიხსნება, **მორფოლოგიური პროცესი** — სხვადასხვა პირობებში განსხვავებული ფუძეების გამოყენებისა — **აქ არა გვაქვს.** ასეთია დასკვნა, რომელ-

საც ვიღებთ **მოვედ-ი-ნ** და **მოვიდა-**ფორმათა ურთიერთობის კვალიფიკაციის ნიადაგზე.

მაგრამ თუ **ე**-ს რედუქცია **ი**-დ ფონეტიკური პროცესია, იგი **ვედ-**ზმნის გარდა სხვაგანაც უნდა დადასტურდეს. გვაქვს კი სხვა შემთხვევები ამავე რიგისა? ესაა ფუძედრეკად ზმნებში აორისტის წარმოებისას:

გრ**ე**ხ-ს — გრ**ი**ხ-ა... გლ**ე**ჯ-ს — გლ**ი**ჯ-ა.... დრ**ე**კ-ს — დრ**ი**კ-ა...

აღ**ე**ნ-ს — აღ**ი**ნ-ა... ავლ**ე**ნ-ს — ავლ**ი**ნ-ა.... არბ**ე**ვ-ს — არბ**ი**-ა....

ყველა ამ ზმნას აორისტში და ხოლმეობითის ნამყოში დაერთვის სუფიქსები: **-ე-** დროის საწარმოებელი, **-ი-** ხოლმეობითისა, **-ა** მესამე პირის სუბიექტისა, **-ეს** მრავლობითობის ნიშანი მესამე პირში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ვედ-** ზმნასთან ყველა ამათ შეუძლიათ მოგვცენ **ე**-ს რედუქცია **ი**-დ:

დავდრიკ-ე, დასდრიკ-ე, დადრიკ-ა || დადრიკ-ენ...

დავდრიკ-ე-თ, დასდრიკ-ე-თ, დადრიკ-ეს || დადრიკ-ედ...

ხოლმეობითი:

დავდრიკ-ი

დავდრიკ-ი-თ

დასდრიკ-ი

დასდრიკ-ი-თ

დადრიკ-ი-ს || დადრიკ-ი-ნ

დადრიკ-ი-ან || დადრიკ-ი-ედ

(ნამყო ძირითადი)

აღვადგინ-ე

აღვადგინ-ე-თ

აღადგინ-ე

აღადგინ-ე-თ

აღადგინ-ა || აღადგინ-ენ

აღადგინ-ეს || აღადგინ-ედ

ხოლმეობითი:

აღვადგინ-ი

აღვადგინ-ი-თ

აღადგინ-ი

აღადგინ-ი-თ

აღადგინ-ი-ს || აღადგინ-ი-ნ

აღადგინ-ი-ან || აღადგინ-ი-ედ

ეს უნდა იყოს მიღებული: დ ა ვ დ რ **ე** კ - ე... დ ა ვ დ რ **ე** კ - ი...
ა ღ ვ ა დ გ **ე** ნ - ე... ა ღ ვ ა დ გ **ე** ნ - ი და მსგავსი ფუძეებისაგან...

თუ ეს ასეა, რატომ აწმყოში **-ენ** სუფიქსის დართვისას არ ხდება რედუქცია? რატომ რჩება უცვლელად: გრ**ე**ხ-ენ, გლ**ე**ჯ-ენ, დრ**ე**კ-ენ, აღ**ე**ნ-ენ, არბ**ე**ვ-ენ?

საფიქრებელია, იმიტომ, რომ აწმყოს წარმოება უფრო ახალი ფორმაციისა და **-ენ** სუფიქსის გამოყენება ისეთი დიალექტური წრიდან მომდინარეობს, სადაც რედუქცია ისე ძლიერი არ უნდა ყოფილიყო.

არც იმ გარემოების უგულვებლყოფა შეიძლება, რომ აწმყოში ხმოვ-

ნით დაწყებული სუფიქსი მხოლოდ და მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მესამე პირში გვაქვს, და ამ შემთხვევაში, ამჟამად, არა თუ ე-ს ო-დ რედუქცია, არამედ უფრო მარტივი მოვლენა ხმოვნის ამოღებისა არათანამიმდევრობითაა წარმოდგენილი: დგამ-ენ || დგმ-ენ, ფარავ-ენ || ფარვ-ენ, გორავ-ენ (|| გორვ-ენ?), ცურავ-ენ || ცურვ-ენ...

ამ საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება. ქართული აგლუტინაციური წყობის ენაა და ეს გვავალებს — იმ თავითვე ეჭვით მოვეკიდოთ ფუძის ფლექსიის ცალკეულ შემთხვევებს, რომლებიც აქა-იქ თავს იჩენს, და შევამოწმოთ, ხომ არ არის ეს ფლექსიურობა მოჩვენებითი ხასიათისა (ისევე, როგორც, ვთქვათ, მრავლობ. 3 პ. აღნიშვნის შემთხვევაში, სადაც, ერთი შეხედვით, ერთ სუფიქსს ორი ფუნქცია აქვს, — ანდა -თა სუფიქსის ხმარებისას სახელთა მრავლობითში, სადაც აგრეთვე მხოლოდ რიცხვის მაჩვენებელი სუფიქსი ამჟამად ბრუნვის ნიშანიც ჩანს).

11. ბრძანებითის მესამე პირის წარმოება აორისტიისაგან და მესამე პირის ნიშნად -ნ სუფიქსის გამოყენება ამ შემთხვევაში შესაძლებლობას ქმნის ზმნის ძველი უღვლილება ამ დროში შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ (ვიღებთ იმ ზმნებს, რომელთა -ნ-იანი ფორმანტები ზევით მოხსენებული იყო):

აორისტი (ნამყო ძირითადი):

მე	ვადიდ-ე...	მე	მოვუძღურ-დ-ი	მოვკუეღ	ვიყავ
შენ	ადიდ-ე...	შენ	მოუძღურ-დ-ი	მოკუეღ	იყავ
მან	ადიდ-ე-ნ...	იგი	მოუძღურ-დ-ი-ნ...	იგი მოკუეღ-ი-ნ...	იგი იყავ-ნ
ჩუენ	ვადიდ-ე-თ...	ჩუენ	მოვუძღურ-დ-ით	მოვკუეღ-ი-თ	ვიყვ-ენ-ით
თქუენ	ადიდ-ე-თ...	თქუენ	მოუძღურ-დ-ით	მოკუეღ-ი-თ	იყვ-ენ-ით
მათ	ადიდ-ე-დ...	იგინი	მოუძღურ-დ-ედ...	იგინი მოკუედ-ედ...	იგინი იყვ-ნ-ედ

ე-თი წარმოებული ზმნები (ვადიდ-ე, ვბრძან-ე, ვჰკითხ-ე, განვკურნ-ე, აღვაშენ-ე, დავამყარ-ე, დავამტკიც-ე...), როგორც ზევითაც იყო აღნიშნული (იხ. გვ. 31), ინარჩუნებენ ამ სუფიქსს მესამე პირშიაც.

ადიდ-ა, ბრძან-ა, ჰკითხ-ა, აღაშენ-ა, დაამყარ-ა... მიღებულია მაწარმოებელი ე-ს დაკარგვით -ა სუფიქსის (S₃) დართვისას, როგორც ეს ნავარაუდევია ჰქონდა ვარ. თოფურთისასაც.

ამჟამად ეს რეალური ფაქტია, და არა ვარაუდი.

დ-თი ნაწარმოებ ვნებითში აორისტის მესამე პირი ხვდება ხოლმეობითის მესამე პირს, უკეთ რომა ვთქვათ, ხვდება მესამე პირიც (პირველსა და მეორე პირში სხვაობა არ დასტურდება): ოღონდ S₃ -ს-ს ნაცვლად -ნ არის.

აორ. მე განმხიარულ-დ-ი **ხოლმეობ.** მე განმხიარულდ-ი
 შენ განჰმხიარულ-დ-ი შენ განჰმხიარულდ-ი
 იგი განმხიარულ-დ-ი-**ნ** იგი განმხიარულდ-ი-**ს**

ერთნაირია მრავლობითის პირველი და მეორე პირიც; განსხვავებას ადგილი ურჩება მხოლოდ მესამე პირში:

აორ. (ნამყო ძირით): იგინი განმხიარულდ-ედ...
ხოლმეობ. იგინი განმხიარულდ-ი-ან...

იმ ზმნებში, რომელთაც აორისტის საგანგებო მაწარმოებელი არ გააჩნიათ, აორისტი და ნამყო ხოლმეობითი გარჩეული აქვთ მაშინაც, როცა **ნ-** სუფიქსს წინ **-ი** უძღვის: აორისტში ეს **-ი** ფუძის შეკუმშვას არ იწვევს, ნამყო ხოლმეობითში ფუძის შეკუმშვა **-ი** სუფიქსის დართვის შედეგია:

აორ.: მოკუედ ვიქმენ **ნამყო ხოლმეობ.** მე მოკუედ-ი ვიქმენ-ი
 მოჰკუედ იქმენ მოჰკუედ-ი იქმენ-ი
 იგი მოკუედ-ი-**ნ** იქმენ-ი-**ნ** მოკუედ-ი-**ს**... იქმენ-ი-**ს**

12. აორისტის გარდა ნამყო ხოლმეობითშიაც დასტურდება **S₃ — ნ** თითო-ოროლა შემთხვევაში:

მოიღ-ი-ნ:

[ხი]რეკდით და განგელო[ს] [თ]ქუნენ, რ^{ნი} ხითხოვნ მოიღინ... იგ. ჯავახიშვილი, ტფ. უნივერ. მოამბე, II, გვ. 377.

დაშრტ-ინ:

დაშრტინ საწმილი იგი გეჰენისაჲ... კიმენი, 2019.

მოიპოვება თითო-ოროლა შემთხვევა **-ნ** სუფიქსის ხმარებისა თურმეობითს პირველშიაც — რ^{ნი} მოვიმკი სადა არა დავსთესი. და შევიკრიბი სადა არა განმიბნევიე **ნ** — აღიშ. ტაბ. 55a₂, მაგრამ ეს პრინციპულად ახალს არაფერს წარმოადგენს (თურმეობითი აწმყოს ინვერსიული ვარიანტია გარდამავალ ზმნებში): მთავარია **-ნ-** სუფიქსის გამოყენება დროთა აწმყოს ჯგუფში და აორისტის (ნამყო ძირითადის) ჯგუფში.

13. მესამე პირის სუბიექტური სუფიქსი **-ნ**, ამრიგად, ძვ. ქართულს შემონახული აქვს:

აწმყოში, რომელსაც ამ შემთხვევაში ხოლმეობითის მნიშვნელობა აქვს ანდა **ნუ-** ნაწილაკის დართვით ბრძანებითის უარყოფითს ფორმას გადმოგვცემს;

კავშირებითს პირველში, რომელიც ბრძანებითი კილოს მესამე პირს აღნიშნავს;

ნამყო უსრულში, რომელიც კავშირებითს პირველს ენაცვლება ზემოხსენებული ფუნქციით;

აორისტში (ნამყო ძირითადში) და ნამყო ხოლმეობითში, რომელიც ბრძანებითი კილოს მესამე პირის აღმნიშვნელად გვევლინებიან და ახლანდელი კავშირებითი მეორის მაგივრობას ეწევიან.

ეს **-ნ** სუფიქსი უძველესი სუფიქსია მესამე პირისა; იგი გამოყენებული იყო, როგორც დროთა მეორე ჯგუფში, ისე დროთა პირველ ჯგუფში — შემდგომი ხანების **-ა** სუფიქსისა და **-ს** სუფიქსის ნაცვლად:

მდრ.:	აშენებ- ნ	} იგი მას	აშენებ- ს
	აშენებ-ი- ნ		აშენებდ- ა აშენებ-დ-ი- ს
	აშენებდ-ე- ნ		აშენებდ-ე- ს
	აშენე- ნ	} მან იგი	აშენ- ა ...
	აშენ-ი- ნ		აშენ-ი- ს ...

პრეფიქსად ხმარებული პირის ნიშნები დროთა მიხედვით არ იცვლება: **გ-, მ-, გ-, ხ-, ჰ-, ს-** პრეფიქსები ყველა დროში ერთნაირად იხმარება. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მესამე პირის სუბიექტის სუფიქსი, რომელიც აწმყოში, კავშირებით I, II, III-ში და ნამყო ხოლმეობითში — **-ს** სახითაა მოცემული, აორისტსა და ნამყო უსრულში **-ა**-ს სახით (აორისტში **-ო** ვარიანტით)...

-ნ სუფიქსი მესამე პირისა გვარწმუნებს, რომ **მესამე პირის სუბიექტის სუფიქსიც დროთა მიხედვით არ იცვლებოდა, — აქ დაცული იყო ის საზი, რომელიც სხვა პირის აღმნიშვნელთა ხმარებაშია წარმოდგენილი.**

S₃-ისათვის სხვადასხვა ნიშნების ხმარება მერმინდელი მოვლენაა; თვით ნიშნები **-ს, -ა** ან სხვადასხვა ფორმაციისა ან სხვადასხვა დიალექტური წრისა (ანდა, რაც უფრო ნაკლებ არის მოსალოდნელი, სხვადასხვა ზმნებისთვისაა განკუთვნილი).

14. სხვა ქართველური ენების ჩვენებანი რომ გავითვალისწინოთ, გაირკვევა, რომ **-ნ** სუფიქსი მეგრულსა და ჭანურს მოეპოება, ოღონდ მართოდენ გარდაუვალ ზმნებში:

ჭან.: რე-ნ (არის) — რე-**ნ**—ან... (არიან) — ხე-**ნ** (ზის) — ხე-**ნ**-ან¹ (სხედან)

¹ იხ. „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ § 22 (გვ. 89), § 28 (გვ. 101).

ულუ-**ნ** (ვალს) — ულუ-**ნ**-ან (ვლენან)... ტუბ-უ-**ნ** — ტუბ-უ-**ნ**-ან

ეს **-ნ**- სუფიქსი ზმნას მრავლობითშიც გადაჰყვება: ქართულში **ნ**-სუფ. კი მრავლობითში აღარა ჩანს.

ეს სხვაობა იმდენად არსებითია, რომ კითხვას ბადებს: ხომ არ არის ზანურის **ნ**- სუფიქსი ძვ. ქართულის **ნ**- სუფიქსი სხვადასხვა ოდენობა, მით უფრო, რომ **-ედ** მრავლობითში ზანურს არ გააჩნია: თუ ეს **-ნ** ერთი და იგივე ოდენობაა, ხომ არ უნდა გვევარაუდებინა, რომ იმ კილოს, საიდანაც **-ნ** ძვ. ქართულ სალიტერატურო ენაში შემოვიდა, **-ნ** მრავლობითშიც გადაჰყვებოდა.

ძნელია ამჟამად გადაჭრით თქმა, რომელი შესაძლებლობაა სინამდვილესთან უფრო ახლოს; ერთი შეხედვით, — მეორე; ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს: დგ-ა-**ნ**-ან ზმნის აგებულება; მრავლობითის **-ან** სუფიქსს აქწინ უსწრებს **-ნ**, მესამე პირის სუბიექტური სუფიქსი:

მხოლ.: დგ-ა-**ს** || დგ-ა-**ნ**
მრავლ.: დგ-ა-**ნ**-ან¹ || დგ-ა-**ნ**-ედ...

სალიტერატურო ენაში ახალი ფორმაციის **-ს**- სუფიქსის გამოყენების შემდეგ მრავლობითში შეგვენახა **-ნ**.

დგა-**ნ**-ან-ის რიგისა უნდა იყოს: სხ-ე-**ნ**-ან, ჰყვ-ა-**ნ**-ან, ჰ-ქო-**ნ**-ან (→ *ჰ-ქუ-ა-**ნ**-ან), წვ-ა-**ნ**-ან...

მაგრამ ამ ფაქტების ჩვენება გაქარწყლდება, თუ გამოირკვეოდა, რომ ამ ზმნაში **-ნ** ზანიზმია.

ნ- სუფიქსის ვარიანტია **ლ**- აფიქსი სვანურში; იგი შემონახულია რამდენიმე ზმნაში:

- | | |
|------------------------------|------------------------------------|
| 1. ლ -ი (არის) | 2. ლ -გგ (დვას) |
| ლ -ასუ (იყოს) | ლ -გგან (იდგა) |
| ლ -ესუ | |
| 3. ლა- ლ -ემ (შეჭამა) | 4. ლა- ლ -ემ ლაშხ. (დალია). |

ვ. თოფურია სამართლიანად შენიშნავს: „ლ-ი, ლ-გგ, ლ-ასუ (ლ-ესუ, ლ-ესეს), ლა-ლ-ემ და ლა-ლ-ემ ზმნებში დაცული **ლ**- ნიშანი ნაშთად უნდა მივიჩნიოთ III სუბ. პირისა“ („სვანური ენა: I. ზმნა — § 1, გვ. 3)...

„...ზმნის სხვა დროში მოქცეული **ლ**-ს მდგომარეობა არ იცვლება..., რაც იმის მაუწყებელია, რომ **ლ**- არც დროის წარმოებას კისრულობს... იგი მესამე პირის ფორმანტად ჩაითვლება“ (იქვე, § 1, გვ. 2).

¹ დგა-**ნ**-ან და მსგავს ზმნათა ანალიზი იყო სავანი მოხსენებისა, რომელიც ავტორმა წაიკითხა ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1927 წ.

ავტორის მტკიცება: „სვანურს ოდესღაც I და II პირის მსგავსად III პირისთვისაც გამოყენებული ჰქონია პრეფიქსი: იგი ყოფილა **ლ-**“ (იქვე, გვ. 3-4), კითხვას აღძრავს: თუ ზმნის უღვლილებაში S₃- **ლ-** ყველა ზმნას ჰქონდა, როგორღა მოხდა, რომ ის მხოლოდ რამდენიმეს შერჩა? ხომ არ იქნებოდა უფრო ბუნებრივი გვევარაუდებინა, რომ სვანურმა ენამ სწორედ ისეთ დროს განიცადა გარდატეხა, როცა S₃- — **ლ** ზმნის თავსართად დამკვიდრების პროცესში იყო.

მაგრამ, ასეა თუ ისე, სვანურის ჩვენება ეჭვმიუტანელს ხდის, რომ S₃- **ლ** სვანურს მოეპოვება; ესაა **ლ-** პრეფიქსი, და იგი აწმყოშიც შეიძლება იქნეს ხმარებული, ნამყო უსრულშიც, კავშირებითს I-შიც და აორისტიშიც, ე. ი. S₃ პრეფიქსი დროთა მიხედვით ისევე არ იცვლება, როგორც **ნ-** სუფიქსი ქართულში.

ნ- სუფიქსთან შედარებით სვან. ლ- პრეფიქსი უფრო ძველ ვითარებას ამჟღავნებს: ის პრეფიქსია და არა სუფიქსი, მაშასადამე, იმ დროისაა, როცა პრეფიქსაცია პირის აღნიშვნის განუხრელი პრინციპი იყო, სუფიქსაციის ჯერ კიდევ ადგილი არა ჰქონდა.

15. ზმნის ის ფორმები, რომლებშიაც S₃- **ნ** დასტურდება, მნიშვნელობის მხრივ გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებები ძვირფას მასალას წარმოადგენენ, კერძოდ, ძირითად დროთა გენეტური ურთიერთობისათვის, რის გარკვევის გარეშე შეუძლებელია პასუხი გაიცეს მარტივი წინადადების სტრუქტურის მთავარ საკითხზე: რატომ იცვლება გარდამავალ ზმნასთან S-ისა და O-ის ბრუნვა, რატომ არის: **იგი** აკეთებს **მას**, მაგრამ: **მან** აკეთა **იგი**?

ამაზე — შემდეგ.

S₃-სთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი კერძოობითი საკითხიც: სახელდობრ, ზმნის შეუთანხმებლობა რიცხვში სახელთან, როდესაც ზმნაში S₃ — **ნ**: უკუეთუ... მრონინენი მონაზონნი მოვიდოდინ ..., დაუმოწმე, რომელ უყამოდ არა მოვიდოდინ (ათონ. ხელნაწ. გვ. 49). ასეთი ფაქტები სხვა ძეგლებშიც გვხვდება სპორადულად. შემთხვევითი ეს არ უნდა იყოს, მას სინტაქსური საფუძველი უნდა გააჩნდეს.

ამ საკითხსაც სპეციალური შესწავლა სჭირდება.

დასასრულ, ერთი შენიშვნა S₃ **-ნ** ამჟამად არ ჩანს ქართულს კილოებში, არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში, არც ბარსა და არც მთაში; არ შემოუნახავს ის ისეთ კილოსაც კი, როგორცაა ხევსურული, რომელსაც ძველი ქართულის მორფოლოგიური და სინტაქსური ინვენტარიდან ბევრი რამ დღემდის მოუტანია.

ერთგვარი გამონაკლისი თითქოს მოხეტური უნდა იყოს. ასპირ. კ. გუგუშვილის ცნობით, მოხეტურმა იცის შემთხვევები **-ნ** = S₃ ხმარებისა; სა-

მწუხაროდ, მასალა მეტად მცირეა. სასურველია სპეციალურად შემოწმდეს ამ მხრივ მოხეური.

ქართულ კილოებში ამ სუფიქსის დადასტურებაზეა ერთგვარად დამოკიდებული, თუ რა კვალიფიკაცია მიეცემა იმ წყაროს (დიალექტს), რომლიდანაც ძვ. სალიტერატურო ქართულმა **სვ -ნ** შეითვისა.

P. S. -ნ სუფიქსი, რომ მესამე პირის უძველესი ნიშანია ამის შესახებ — ავტორის გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან — ლაპარაკია რეცენზიაში აკად. ნ. მარის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაზე“; იქ ნათქვამია:

„იკითხავ-**ნ** არ არის ნამყო უსრული, არამედ ე. წ. აწმყო მრავალგზითი... **ნ** აქ **ს**-ს მაგიერია, ისევე, როგორც მრავლობითში **ედ** (იკითხვ-ედ) **ენ**-ს მაგივრობას ეწევა. ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთის **ლიტერატურულად უძველესი ფენის კუთვნილება**, რომელიც ძველი ქართულის რთულ სახეშია წარმოდგენილი“¹.

(„საქართ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგ. მიმოხილველი, ტფილ., 1926 წ., გვ. 321).

ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც „იმავე ხანებში იყო წაკითხული ავტორის მიერ საენათმეცნიერო საზოგადოებაში და „დგანან“ — ტიპის ზმნათა უღვლილებას ეხებოდა, ხსენებული **ნ**- სუფიქსი შედარებული იყო სვან **ლ**- პრეფიქსთან (და მეგრ. **ნ** სუფიქსთან).

¹ შდრ. მეგრულის აწმყოს სუფიქსი მესამე პირისა **-ნ** გარდაუვალ ზმნებში.

ДРЕВНЕЙШИЙ ПОКАЗАТЕЛЬ СУБЪЕКТА ТРЕТЬЕГО ЛИЦА В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

(РЕЗЮМЕ)

1. И в новогрузинском, и в древнегрузинском литературном языке показатель субъекта третьего лица:

- а) наличен лишь в единственном числе (во множественном числе суффикс числа одновременно выполняет функцию личного показателя);
- б) является суффиксом;
- с) представлен несколькими аффиксами;
- д) изменяется по временам.

2. Использование с у ф ф и к с а в качестве показателя субъекта третьего лица в то время, как все остальные лица (первое и второе лица субъекта, первое, второе и третье лица объектов) представлены в глаголе п р е - ф и к с а м и, дает основание предположить, что:

- а) форма третьего лица субъекта (в глаголах) образовалась сравнительно поздно;
- б) в языковой психологии соответствующего языкового коллектива к тому времени произошел определенный сдвиг под влиянием языков суффиксового строя; это подтверждается и другими фактами морфологии грузинского языка.

3. Уже в древнейших памятниках грузинского литературного языка (V-VI вв..) субъективными суффиксами третьего лица служат **-ბ -s, -ჲ -a, -მ -o**.

Разнообразие показателей по всей вероятности восходит к разным диалектным слоям и характерно для разных периодов развития.

4. В древнегрузинском литературном языке пережиточно сохранился и древнейший показатель субъекта третьего лица — **-ბ -n** (соответственно во множественном числе — **-ეფ -ed**).

Суффикс **-ბ -n** встречается:

- а) в настоящем времени, которое в этом случае имеет значение "общего настоящего времени" (или пермансива): не суффикс **-ბ -n** является показателем пермансива, а глагольная форма, использующая этот суффикс, выступает в древнем значении;
- б) в настоящем же времени, когда оно используется с частицей **ბჟ nu** и обозначает одну из отрицательных форм повелительного наклонения;

- с) в conjunctivus I, когда оно передает повелительное наклонение третьего лица;
- d) в прошедшем несовершенном вр., когда этим последним замещается conjunctivus I с вышеотмеченной функцией;
- е) из 3 лица аориста, когда он используется для обозначения повелительного наклонения третьего лица;
- f) в пермансиве (группы аориста) — спорадически.

5. Использование суффикса **-ბ -n** в качестве показателя субъекта третьего лица дает возможность:

- a) установить древнее значение настоящего времени ("настоящее общее");
- b) выявить генетическое взаимоотношение прошедшего несовершенного в conjunctivus I и аориста — с conjunctivus II;
- с) восстановить древнейшую форму третьего лица аориста;
- d) объяснить альтернацию глагольных основ (დრეკ-ს *drek-s* – დრიკა *drik-a* гнет — погнул он ч.-л.) на фонетической основе.

6. Использование одного и того же суффикса **-ბ -n**, как в настоящем времени, так и в аористе показывает, что употребление различных суффиксов для субъекта третьего лица явление вторичное: суффикс третьего лица так же не изменялся по временам, как и префиксы остальных лиц.

Это же подтверждается употреблением **ლ- l-** префикса в качестве S_3 в сванском языке (проф. В. Т. Топуриа).

7. Суффикс **-ბ -n** представлен и в занских диалектах: в чанском (лазском) и мингрельском — но лишь при непереходных глаголах, причем фигурирует и во множественном числе; эти обстоятельства могут возбудить сомнение об идентичности этого суффикса **-ბ -n** древнегрузинского литературного языка.

L'INDICE LE PLUS ANCIEN DU SUJET DE LA 3^{me} PERSONNE DANS LES LANGUES KHARTHVÉLIENNES

(RÉSUMÉ)

1. Dans le géorgien littéraire (ancien et nouveau) l'indice du sujet de la 3^{me} personne:

- a) n'apparaît qu'au singulier (au pluriel le suffixe de nombre remplit en même temps la fonction de l'indice personnel);
- b) se présente comme suffixe;
- c) est représenté par plusieurs affixes;
- d) varie selon les temps.

2. L'emploi du suffixe comme indice du sujet de la 3^{me} personne tandis que les autres personnes (1^{re} et 2^{me} personne du sujet, 1^{re}, 2^{me} et 3^{me} personne des objets) sont représentées dans le verbe par des préfixes, donne lieu à croire que:

- a) la forme de la 3^{me} personne du sujet (dans les verbes) s'est formée relativement tard;
- b) dans la psychologie linguale du collectif lingual correspondant un déplacement s'est produit sous l'influence des langues ayant une structure suffixale, ce qui est confirmé par d'autres faits la morphologie du géorgien.

3. Dans les plus anciens documents du géorgien littéraire (V — VI siècles) ce sont **-ბ -s**, **-ა -a**, **-მ -o** qui servent comme suffixes subjectifs de la 3^{me} personne.

La diversité des indices remonte, selon toute vraisemblance, aux diverses couches dialectales et est particulière pour diverses périodes de développement.

4. Dans l'ancien géorgien littéraire le plus ancien indice du sujet de la 3^{me} personne s'est conservé comme survivance. C'est **-ბ -n** (au pluriel **-ებ -ed** respectivement).

Le suffixe **-ბ -n** se rencontre:

- a) au présent qui dans ce cas a la valeur du "présent commun" (ou permansif) ce n'est pas le suffixe **-ბ -n** qui sert d'indice du permansif, mais c'est la forme verbale qui tout en gardant ce suffixe garde aussi son ancienne valeur;
- b) au présent encore quand il s'emploie avec la particule **ნუ nu** et désigne une des formes négatives de l'impératif;
- c) au conjonctif I, quand il remplace la 3^{me} personne de l'impératif;
- d) à l'imparfait remplaçant le conjonctif I avec la fonction susnommée;
- e) à la 3^{me} personne de l'aoriste quand on s'en sert pour désigner la 3^{me} personne de l'impératif;

f) au permansif (du groupe de l'aoriste) — sporadiquement.

5. L'usage du suffixe: **-ფ -n** comme indice du sujet de la 3^{me} personne nous met à même:

- a) d'établir l'ancienne valeur du présent ("présent commun");
- b) d'éclaircir la relation génétique entre l'imparfait et le conjonctif I aussi bien qu'entre l'aoriste et la conjonctif II;
- c) de restituer la plus ancienne forme de la 3^{me} personne de l'aoriste;
- d) d'expliquer l'alternance des thèmes verbaux (დრეკ-ს *drek-s* – დრიკა *drik-a*, il ploie — il a ployé) sur la base phonétique.

6. L'usage du même suffixe **-ფ -n** au présent aussi bien qu'à l'aoriste indique que l'usage des suffixes différents pour le sujet de la 3^{me} personne est un phénomène secondaire: de même que les préfixes des autres personnes celui de la 3^{me} personne ne variait pas selon les temps.

Nous en trouvons la preuve encore dans l'usage du préfixe **ლ- -l** comme S₃ dans la langue svane (V. Topouria).

7. Le suffixe **-ფ -n** est représenté dans les dialectes zanes aussi — en tchane (laze) et en mégrélien, mais dans les verbes intransitifs seulement; alors il figure aussi au pluriel. Ces circonstances peuvent éveiller un doute sur l'identité de ce suffixe avec le suffixe **-ფ -n** de l'ancien géorgien littéraire.

ქართული ძვალ-ფუძის ზანური შესატყვისისათვის¹

სახელი **ძვალ-ი** ამჟამად მეგრულშიაც ამ სახითაა მოცემული: „ძვალი“ — ძვალი... „ძელი დო ძვალი“ — „ძვალ-ლბილი“ (ზუსტად: „ხორცი და ძვალი“)... „ძვალში მატახალი“ „თავის მომჭრელი“ (სიტყვა-სიტყვით: „ძვალის გამტეხი“ — „გამტეხელი“...); „ნაძვალი“ გამაგრებული ძვალივით; ითქმის მეორე წლამდის დარჩენილი ჭარხლისა, თეთრი მხლისა და სხვ. შესახებ.

პროფ. ი. ყიფშიძე თავის ლექსიკონში უჩვენებს მხოლოდ „ძვალ“-სიტყვას და შენიშნავს სამართლიანად — „ქართულიაო“. ცხადია, ეს სიტყვა ქართულიდანაა შესული და, ალბათ, არც თუ ახლო წარსულში.

ჭანურში სულ სხვა ძირია მოცემული; ესაა:

ყვ-ილ-ი ხოფურ კილოკავში,

ცილ-ი } ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში.
ილ-ი }

ამ სახელის შესახებ ჩვენ ვწერდით: „**ყვილ-** ხოფური ვარიანტია; **ცილ-** არქაბულსა და ათინურში გვაქვს; ათინურში **ილ-**იც გვხვდება (ნ. მარს მხოლოდ ეს უკანასკნელი აქვს ნაჩვენები ვიწურისა და ათინურისათვის). **ცილ-** || **ილ-**ში დაკარგულია **ვ** (შდრ. შქით ← შქვით — „შვიდი“).

მეგრულში ეს ძირი არა ჩანს. ქართული **ძვალ-** სულ სხვა ძირია; მაგრამ ქართულისთვისაც **ყვილ-** არ არის უცხო; შენახულა იგი ნაწარმოებ ფუძეში **ყვილივ-**, რაიც საბას განმარტებით „მჯრის ძვალს“ ნიშნავს [1, გვ. 71].

ქეთ. ლომთათიძემ ჩემი ყურადღება მიაქცია მეორე ქართულ სახელზე — **ბაყვ-**ზე, რომელშიაც იგივე **ყვ-**ძირი უნდა იყოს წარმოდგენილი: „**ბაყვი** — მუკლს ზეითი“ (საბა).

ეგევე ძირი შეიძლება გვქონდეს სახელში **ბოყვ-**: „გულ-ბოყვი ჩაუნგრია“.²

თუ ეს ასეა, **ბა-** თავსართი აქ კლას-კატეგორიის ნიშანი იქნებოდა (შდრ. ბა-შვი და მსგავსი შემთხვევები ივ. ჯავახიშვილთან [2, გვ. 184-190],

¹ წაკითხულია მოხსენებად ენიმკიში 13. XI. 1938.

² ამაზე მიმითითა სიმ. ჯანაშიამ მოხსენების გამო მსჯელობისას.

ხოლო ძირეულ ნაწილად **-ყვ-** გამოიყოფოდა.

ეს უნდა იყოს იგივე ძირი, რაც აფხაზურის ბა-ზ-შია მოცემული, როგორც ამას ქეთ. ლომთათიძე ვარაუდობს. მაგრამ რომელი ენიდან რომელშია იგი შეთვისებული, ძნელი სათქმელია. შეიძლება საერთო მასალა იყოს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იგივე ძირი უნდა დასტურდებოდეს ზოგ სხვა კავკასიურ ენაშიც (წახურულში, აღულურში). ჩვენ აქ ქართველური ენებით შემოვიფარგლებით.

ფაქტია, მაშასადამე, რომ ქართულს ორი ძირი გააჩნია ძვლის აღსანიშნავად **ყვ-** (ფუძეებში: ყვ-ლ-ივ ← **ყვ-**ილ-ივ, ბა-ყვ-ი) და **ძვ-** (ფუძეში: **ძვ-**ალ-ი).

ბ ი რ ვ ე ლ ი ძ ი რ ი **-ყვ-** ჭანურშიც დასტურდება: ქართულისა და ჭანურისათვის საერთოა; **-ილ-** დეტერმინანტი ფუძისა ჭანურშიც არის და ქართულშიც. **ბა-** თავსართი მართოდენ ქართულს მოეპოება.

მ ე ო რ ე ძ ი რ ი **ძვ-** აქვს ქართულს და მეორდება მეგრულში, მაგრამ არა ჩანს ჭანურში.

თვით მეგრულში ეს არაა კანონზომიერი შესატყვისის სახით მოცემული, არამედ ქართულიდან შეთვისებული ფუძეა, მასთან შეთვისებულია უცვლელად (იხ. აგრეთვე: კვერცხი „მარქვალის“ ნაცვლად...).

როგორი უნდა ყოფილიყო მისი მეგრულ-ჭანური სახეობა? ქართულ **ძვ-ალ-**ში **-ალ** ძირეული არა ჩანს, ფუძის დეტერმინანტი უნდა ყოფილიყო (შდრ. თუ-**ალ-**ი, ბრჭ-**ალ-**, ბარკ-**ალ-**ი, ჯირკუ-**ალ-**ი... ამაზე საუბარი გვქონდა მოხსენებაში „სახელთა ფუძეების უძველესი შემადგენლობა ქართველურ ენებში“ 17. XI. 1937). ძირეულად გვრჩება **ძვ-**.

-ალ დეტერმინანტი ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ა დ ი მ ა ვ ე სა ხ ი თ მე ო რ დ ე ბ ა ზ ა ნ უ რ შ ი ც, თ უ კ ი გა ა ჩ ნ ი ა ს ი ტ ყ ვ ა ს...

ძვ- ძირს ქართულ-ზანურ შესატყვისობათა ნორმების მიხედვით უნდა მოეცა **ჭვ-**; ასეთი ძირი, ძვლის მნიშვნელობის მქონე, არც მეგრულში ჩანს, არც ჭანურში.

მაგრამ იგი შენახული უნდა იყოს გურულში დაცულ სიტყვაში **ჭიჭვი**-ი.¹ დოც. დ ი მ. მ გ ე ლ ა ძ ი ს ჩვენებით მას წინა თაობის მეტყველებაში ხშირად გაუგონია გამოთქმები: **ჭიჭვი** ბავშვია, ე. ი. — „ძვალ-მსხვილი ბავშვია“... „**ჭიჭვი** კაცი“ ძვალ-მსხვილი, ზორბა ტანის კაცი, ცოტათი უშნოც.

საკითხავია, ამ გურულ სიტყვაში გვაქვს კი „ძვალთან“ საქმე: სემასიოლოგიურად იგი „ძვალს“ უკავშირდება, მაგრამ სიტყვის აღნაგობა რომ არსებითად განსხვავებულია?

¹ მოხსენების შესახებ მსჯელობისას სიმ. ჯანაშიამ მიგვითითა გურულში ხმარებული სიტყვაზე „სავარჯვალი“: „ქათმის სავარჯვალი“. არ ჩანს, ოღონდ, რა უნდა იყოს მაშინ „სავარ“-?

საქმე ისაა, რომ ზანური ექვივალენტი შედგენილობითაც უფრო რთულია და ფონეტიკური ცვლილებებიც განუცდია.

ძირეულია ამ სიტყვაში **ჩგვ-**; იგი მიღებულია **ჩგ-**საგან: **გ- ჩ-**სთანაა განვითარებული.

რაც შეეხება თავკიდურ **ჩი-**ს, იგი **დი-** თავსართის სახეცვლაა; ეს უფრო **დ-**ს გააფრიკატებას უნდა მოეცა, ვინემ მომდევნო მარცვლის **ჩ-**სთან ასიმილაციას.

დი- თავსართი იმავე ღირებულების აფიქსი უნდა ყოფილიყო, როგორც აქვს მას ჭანურ სახელებში: **დი-**მჭკუ, (მეგრ. ჯგიჯიტია, ჭკიჭკი-ტია), — „ჭიანჭველა“, **დი-**ცხირ-ი, მეგრ. ზი-სხირ-ი „სისხლი“, **დი-**შქა (ასევე მეგრულადაც) „შეშა“ და სხვა; **დი-** ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი ერთ-ერთი თავსართია.

მაშასადამე: **ჩიჯგი** ← **ჩი-ჯგი** ← **დი-ჯგი**.

ე. ი.: ქართულ **ძვალ-** სიტყვის ზანურ ეკვივალენტს არ გააჩნდა ფუძის დეტერმინანტი **-ალ**, არც მისი შესატყვისი, სამაგიეროდ კლას-კატეგორიის მაჩვენებელი თავსართი (**დი-**) მოეპოვებოდა (მდრ. ჭან. ყვ-ილ-, რომელსაც ფუძის დეტერმინანტი აქვს, მაგრამ კლას-კატეგორიის თავსართი არ მოეპოვება და ქართ. ბა-ყვ-ი: კლას-კატეგორიის ნიშანი აქვს, ფუძის დეტერმინანტი კი არ გააჩნია).

კი მაგრამ, ეგების ასეთი ინტერპრეტაცია გურულში დადასტურებული ფუძისა ნებისმიერია, ეგების **ჩგვ-** (ჯგ-) კი არაა ძირეული მასალა და **ჩი** (← **დი**) წინსართი, არამედ **ჩიჯგ-** არის ძირეული და მას ძვალის აღნიშვნასთან გენეტური კავშირი სრულებითაც არა აქვს?

ამ ეჭვებს აქარწყლებს ძვლის სვანური სახელწოდება: **ჩიჯგ** — ძვალი; **ჩიჯვიშ** — ძვლისა; **ჩიჯვარ** — ძვლიანი...

სვანური ამ შემთხვევაში ზანურს მისდევს, ზანურ ფენს ააშკარავებს. საინტერესო ისაა, რომ მასში შეუცვლელადაა დაცული **ძგ-** ძირის ეკვივალენტი **ჩგ-**, სვანურს დაცული აქვს გურულ **ჩიჯგვ-**ის წინა საფეხური — უგანო, — რომლის არსებობა თეორიულად ივარაუდებოდა **ჩიჯგვ-**ის მიერ გამოვლილ სახეცვლათა გზაზე.

ჩიჯგი ← **ჩიჯგი-ი** ← **დი-ჩგი-ი**.

მაგრამ ამ ფუძის ვარიანტები ამით, ვფიქრობთ, არ ამოიწურება. მეგრულში გვაქვს ზმნა: **ჩგვიჯგვ-** ფუძიდან ნაწარმოები.

ოშუმეში **უჩგვიჯგვანს** „უხეში, მსხვილი უღვაშები აქვს წაშვერილი“.

„ჯგვეჯგვერე“ — ზემოხსენებული თვისების მქონე.

საპირისპიროა: „იწვიწვინანს“ ტურფად, ნაზად გამოიყურება „წვეწვერე“ — (მიმღობაა ამ ზმნისა...). გადაჭრით ძნელია იმის თქმა, არის თუ არა ამავე ძირთან კავშირში **ჩგვაჩგვ-**:

ქოჯგაჯგუ — „ხეთქა მაგარი რამ“;

ქააჯგაჯგუ „ეცა, ეძგერა ძლიერი, ღონიერი რამ“...

დაბრკოლებას ქმნის **ი** და **ა**-ს მონაცვლეობა.

ყოველ შემთხვევაში „**უჯგვიჯგვანს**“ ზმნაში იგივე **ჯიჯგვ-** ფუძეა წარმოდგენილი, ოღონდ აქ მას პირველ **ჯ**-ს შემდეგაც განუვითარებია **-გვ-** (მსგავსი მაგალითები მეგრულში ხშირია: იხ. მაგ., მეგრულში ჭკიჭკიტია || ჭვიჭვიტია, — ჭანურში: დიმჭკუ, ქართული ჭინჭველი. „გოჭყაჭყუ“ — ქართული გაჭეჭყა...).

სემასიოლოგიურადაც მეგრულ **ჯგვიჯგვ-** ფუძის დაკავშირება გურულ **ჯიჯგვ-** ფუძესთან დაბრკოლებებს არ ხვდება.

ამგვარად, ირკვევა, რომ **ჯიჯგვ- || ჯიჯგვ || ჯგვიჯგვ-** ვარიანტები ზანურს გააჩნდა და გააჩნია, ოღონდ არც ჭანურსა და არც მეგრულს ის არ დაუცავს მისი პირვანდელი მნიშვნელობით; ამიტომ საფიქრებელია, რომ ჭანურში **ყვილ-** ფუძემ გამოდევნა ის ხმარებიდან, მეგრულში მისი ძირითადი მნიშვნელობის გადმოცემა **ძვალ-** ფუძემ იკისრა... მხოლოდ ნაწარმოებ ფუძეებში (ზმნაში) შერჩა იგი მეგრულს.

თვით სახელად ეს ზანური ფუძე გურულმა და სვანურმა შემოგვინახეს: გურულმა ერთგვარი სემასიოლოგიური გადახრით, სვანურმა პირვანდელი (ძირითადი) მნიშვნელობით.

ზოგადი მნიშვნელობა აქვს ერთ გარემოებას: მეგრულში **უჯგვიჯგვანს, იჯგვიჯგვინანს-** ზმნები ამჟამად იმ ზმნათა წყებას განეკუთვნება, რომელთაც სპეციფიკური ზმნური მოდიფიკაციის გადმოცემა ეკისრებათ და რომელთა ზუსტი გადაცემა სხვა ენაზე, ქართულზედაც კი, ყოველთვის არ ხერხდება (იხ. მაგ.: იწკვირინანს, იცქვირინანს, იძღვირინანს... მძვადვალუ, მწიარჩალუ, მწიარქალუ, მწიანცალუ, მწიანწალუ, მწიგავგალუ, მწიქაქვალუ, მწიართალუ...).

ჯგვიჯგვ- ფუძის წარსულის გათვალისწინებამ ცხადყო, რომ მას საფუძვლად უდევს კონკრეტული, რეალური საგნის წარმოდგენა. ასევე უნდა იყოს სხვაგანაც... სათანადო ფუძის წინანდელი მნიშვნელობის აღდგენა სათანადო ენის ლექსიკის ისტორიის თვალსაზრისით მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ძვალ- სიტყვის მნიშვნელობით ხმარებულ ფუძეთა სქემა ქართველური ენებისათვის ზემოთქმულის მიხედვით ასე წარმოიდგინება:

ჭან. **ყვილ (ცვილ || ილ-)** — ქართ. **ყვლ-ივ-ი, ბა-ყვ-** (აფხ. ბა-ვ...)

ქართ. **ძვალ-** (ძვ. ქართ. **ძუ-ალ-ი**) — ზანური: ***დი-ჯგ-**

სვან. **ჯი-ჯგი-ი**

გურ. **ჯი-ჯგვი-ი** (გარკვ. გამოთქმებში)

მეგრ. **ჯგვი-ჯგვი-** (ზმნურ ფუძეებში):

იჯგვიჯგინანს, მიმლ. ჯგვეჯგვერე...).

(შემოვიდა რედაქციაში 29. 12. 1939)

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს
ფილიალი. აკად. ნ. მარის სახელობის ენის,
ისტორიისა და მატერიალური კულტურის
ინსტიტუტი

თბილისი

ЗАНСКИЙ ЭКВИВАЛЕНТ ГРУЗИНСКОЙ ОСНОВЫ ძვალ- ZVAL- ("КОСТЬ")

(РЕЗЮМЕ)

Закономерный занский эквивалент грузинского ძვალი zvali ("кость"), казалось бы, отсутствует в обоих занских диалектах, и в чанском, и в мегрельском: в чанском диалекте налицо корень ყვ- qv- (ყვილ-, qv-il-), наличный и в грузинском языке (в производных основах со значением кости); в мегрельском же диалекте используется усвоенное из грузинского языка слово ძვალ-ი zval-i.

закономерный же занский эквивалент грузинского ძვალ-ი zval-i сохранился в сванском языке, _ в лексическом составе и в морфологической структуре, которого занские элементы составляют один из основных слоев: _ в виде слова ჯი-ჯგ- ჯი-ჟვ – "кость"; корневая часть -ჯგ- -ჟვ-, закономерный занский эквивалент грузинского ძვ- zv- (детерминант грузинской основы -ალ- -al- отсутствует), префикс же ჯი- ჯი- (← -დი- -di-) один из показателей грамматического класса вещей в картвельских языках (ср. мегр. დი-შქ-ა di-šk-a "дрова", чан. დი-ცხ-ირ-ი di-cx-ir-i "кровь"...); корень ჯგ- ჟვ- сохранился и в гурийском диалекте грузинского языка, как занское отложение в слове ჯი-ჯგ-ი ჯი-ჟგვ-ი "костистый", "толстокостый" (доц. Д. Мгеладзе), причем ჯგ- ჟვ- → ჯგ- ჟგვ-, что вполне обычно в занском языке; тот же корень обнаруживается также и в мегрельском диалекте в отыменных глагольных основах: ი-ჯგვი-ჯგვი-იბ-ან-ს i-ჟგვი-ჟგვი-in-an-s "имеет вид грубый, неуклюжий".

Корень ყვ- qv-, наличный и в чанском диалекте, и в грузинском языке, вскрывается в составе производных основ абхазского языка, а также в некоторых языках Южного Дагестана.

ციტირებული ლიტერატურა – ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. არნ. ჩიქობავა. შედარებითი ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილ., 1938.
2. აკად. ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილ., 1937.

დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი

დიმიტრი ყიფიანი არსებითად გრამატიკოსია და არა ენათმეცნიერი. ეს ნიშნავს, რომ 1) ავტორის შესწავლის საგანი უწინარეს ყოვლისა სამწერლო ენა იქნება (და არა ცოცხალი მეტყველება), 2) ავტორი აღწერის მეთოდს მოიხმარს (შედარება და ისტორია საერთოდ უგულებელყოფილი იქნება) და 3) მეტყველების მოვლენათა შესწავლისას ავტორი მიზნად დაისახავს მართებული, სწორი ფორმები დაადგინოს, ხოლო უმართებულო — უკუაგდოს. ღირებულების, შეფასების თვალსაზრისი იხატება ამ მესამე პოსტულატში და იგი განსაზღვრავს პირველი ორი დებულების აუცილებლობას. ამიტომაც სპეციფიკური სწორედ ეს უკანასკნელია; შეიძლება სამწერლო ენა იყო შესწავლის საგანი, შეიძლება აღწერითი მეთოდი მოვიხმაროთ, მაგრამ შედეგად ენათმეცნიერული ნარკვევი მივიღოთ და არა სპეციფიკურ გრამატიკული. თვალსაზრისზე იქნება ეს დამოკიდებული: რა მოვლენები გვაქვს და რა გზით მივიღეთ იგინი? რა მოვლენები გვაქვს და რომელია მათში სწორი და მართებული? აი, ორი არსებითად განსხვავებული დასმა საკითხისა — ენათმეცნიერული და სპეციფიკურ გრამატიკული.

დიმიტრი ყიფიანი არსებითად გრამატიკოსია და არა ენათმეცნიერი. მისი „ახალი ქართული გრამატიკა“ 1881 წელს არის დამთავრებული (გამოსულია 1882 წელს). ამ დროს ენათმეცნიერებას ინდოევროპეისტიკის სახით განვითარების პირველი პერიოდი გავლილი ქონდა და ე. წ. ნეოგრამატიკული მიმდინარეობა მკვიდრად იდგა ფეხზე. დიმ. ყიფიანისთვის შეუმჩნეველი რჩება ენათმეცნიერების არსებობა; მისი გზა ტრადიციულია.

„გრამატიკა სწავლა იყო კანონიერად წერაკითხვისა და ლაპარაკისა და ახლა მნიშვნელობა აქვს, სწავლა არის სასაუბრო თუ სალიტერატურო ენის თვისებათ გაცნობისა, ენის კანონთ შეკრებისა და ისეთი წესით დაწყობისა, რომ შესწავლა გაადვილებული იყოს, რამდენადაც კაცის მეცადინეობით მოხერხდებოდეს“ (გრამ. გვ. 11).

რას გულისხმობს ავტორი „ენის კანონში“? პასუხი ავტორის შემდეგ სიტყვებშია მოცემული: „როგორც ყოველი სამოქალაქო ან საპოლიტიკო კანონი იმისთვის იწერება, რომ საზოგადოებაში რიგი დაწესდეს

ვნებათ დამაცხრობელი, დამამშვიდებელი და მართლმსაჯულებით კაცობრიობის სიცოცხლის განმავითარებელი, გრამატიკის კანონებიც განსაკუთრებითაც იმისთვის იწერება, თვითან ენის თვისებათაგან გამოკრებილი, რომ სიტყვიერებაში რიგი დაწესდეს უკმეხობის განმდევნელი, ყურთასმენის დამატკობელი და მართლმოუბნობით ენის დამამშვენებელი“ (გვ. 62). მნიშვნელოვანია ავტორის თქმა, კანონი „თვითან ენის თვისებათაგან გამოკრებილი იყოსო...“ ეს შემთხვევით არ წამოცდენია ავტორს. ამ დებულების ფასს ჩვენ ბოლოს დავინახავთ, აქ კი კანონის საკითხი მოითხოვს განმარტებას. კანონი იმისთვის გვჭირდება, რომ ენაში „რიგი დაწესდეს, უკმეხობის განმდევნელი, ყურთასმენის დამატკობელი და მართლუბნობით ენის დამამშვენებელი“-ო... მაშასადამე, კანონი, რომლის შესახებაც დ. ყიფიანი ლაპარაკობს, ენობრივ მოვლენათა ახსნის ნიადაგზე წარმოდგენილი წესი კი არ არის, არამედ ნორმა, საფუძველი მართლუბნობის, რიგის დამაწესებელი და უკმეხობის განმდევნელი. შემთხვევით კი არ მოგონებია ავტორს სამოქალაქო ან საპოლიტიკო კანონი, ნორმა საზოგადოებრივის ცხოვრებისა...¹

გრამატიკამ უნდა დააწესოს (ენის შესაფერი) კანონები, შეარჩიოს, დაამკვიდროს მართებული ფორმები, უარყოს — უმართებულო. მაგრამ ენა ხომ ცვალებადია? ავტორს ეს გათვალისწინებული აქვს, მაგრამ ამით გრამატიკის ამოცანებში არაფერი იცვლება: „მეცნიერება გვიმტკიცებს მთელს მსოფლიოში უძრავი არა არის რაო... ენაც დაუცხრომელ მოძრაობაში არის, თუ წინ მიდის, ქება და დიდება იმის ფაქტორებს, და თუ უკან რჩება... ფუი იმათ კაცობას“-ო (ე. ი. ფაქტორების?! ა. ჩ.) (გვ. 62), შენიშნავს დ. ყიფიანი... როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს წინსვლა ან ჩამორჩენა? როგორ უნდა მოიქცეს ენა, რომ არ ჩამორჩეს? პასუხი შემდეგს სიტყვებშია მოცემული: „ენამაც უნდა იმდინარეოს; რაც ახალი სწავლისა ან ახალი აზრისათვის საჭირო ლექსი იქნება ან შეხამება სიტყვებისა, უნდა შეითვისოს ენამ, როგორც მდინარე პატარ-პატარა წყაროებს ითვისებს. ყოველი საუბრის დამამშვენებელი სიტყვათწყობილე-

¹ თითქოს სხვანაირ შთაბეჭდილებას ტოვებს დ. ყიფიანის კატეგორიული დებულება მის რეცენზიაში დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაზე: „Живая речь не принимает законов, а дает их. Дело грамматики уяснять эти законы, но отнюдь не отвергать“ (იხ. ალ. ცაგარელის „Свед. о памят. груз. письм. т. I, ნაკ. III, გვ. 60). აქ თითქოს ენათმეცნიერი ამეტყველდა გრამატიკოსის ნაცვლად, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას ანელებს შენიშვნა, რომელიც უწყებულ დებულებას აქვს გაკეთებული: „Живая речь просвещенных людей должна повиноваться правилам грамматики“: ნორმატივისტ-გრამატიკოსმა დასძლია ობიექტივისტი-ენათმეცნიერი: ცოცხალი მეტყველება იძლევა კანონებს — გვეუბნება სალი ალლო, მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ი ნ ტ უ ი ც ი ა მოაზროვნის; ცოცხალი მეტყველება (განათლებულ პირთა) გრამატიკის წესებს უნდა დაექვემდებაროსო — კატეგორიულად კარნახებს გ რ ა მ ა ტ ი კ ო ს ი: კანონების მომცემი ცოცხალი მეტყველება გრამატიკის სანქციას მაინც ვერ აღწევს თავს.

ბა, ფორმა, ყოველი აზრის მოხდენილი გამოხატვა, სახე, მოყვანილობა — დიად უნდა მიიღებოდეს, მაგრამ სიფრთხილით, წინმხედველობით, გარჩევით, რომ სიგონჯე და უმსგავსობა არ შემოგვეპაროს“ (გვ. 63). ნორმატივისტი ავტორი ევოლუციასაც შემფასებლის თვალსაზრისით უყურებს და ახალ ფაქტებს კარანტინსა და სადღეინფექციო კამერაში ატარებს: სიგონჯე და უმსგავსობა არ შემოგვეპაროს... ასეთი დასკვნა აუცილებელი იყო, რაკი გრამატიკის ძირითად მიზნად სწორის დაკანონება და უსწორის აღკვეთაა გამოცხადებული. ენის ევოლუციის შესწავლამ ენათმეცნიერებას ისტორიული თვალსაზრისი შესძინა, უკეთ, ენათმეცნიერება შექმნა, ენის ევოლუციამ კი გრამატიკოსს საზრუნავი გაუმრავლა, ახალი სირთულეები გამოუვლინა...

ენათმეცნიერებისათვის უცხოა არა მარტო გრამატიკის ასეთი მიზანი, არამედ ის ინტერპრეტაციები, რომელთაც დ. ყიფიანი გზადაგზა ქართული ენის ცალკე ფაქტებს უკეთებს. შესაძლებელია კაცს ეფიქრა: გრამატიკა შვილებისათვის არის შედგენილი და ეს უაღრესად ორიგინალური ინტერპრეტაციები დიდაქტიკურ მიზნებს ემსახურებო! შეიძლება ეს მართლაც ასეც იყოს, მაგრამ დამახასიათებელი სწორედ ისაა, რომ ასეთი ინტერპრეტაციები **შესაძლებელი** გახდა იმისდამიუხედავად, თუ რა მიზანი ქონდა ავტორს. აი, სათანადო ადგილებიც.

გვ. 22-ზე შემასმენლობით ბრუნვის შესახებ შემდეგი იკითხება: „შემასმენლობითი არის პირდაპირი თარგმანი ლათინურისა **Accusativus**, როგორც რუსული **винительный** და ჰნიშნავს „ბრალდებულებას“, „დაწამებას“, „შესმენას“, შემასმენლობას. ქართულს ენაში ამ ბრუნვას სრულებით არა აქვს ადგილი; ახლა შეიძლება აქა-იქ ისეთი კაცი იპოვებოდეს, რომ იმის დასახელებით სიტყვა გამიმტყუნონ, მაგრამ თვითან მე მასსოვს ის დრო, როდესაც მოყვასის გაცემა, დაბეზლება, დასმენა ისეთი სათაკილო საქმე იყო საქართველოში, როგორც, მაგალითად, ქურდობა, — და შემასმენლობითი ბრუნვა რალათ გვექნებოდა; — **ამას გარდა** (ხაზი ჩვენია ა. ჩ.) ყოველს შემთხვევაში თითონ საკითხავიც პირველი ბრუნვის სახის მექონია და პასუხიცა: მაგალ.: უყურეთ ერთი იმ საძაგელსა, აკი დაასმინა ბატონსა პავლე, მართალი, პატიოსანი, უბრალო“... ქართულს ენას შემასმენლობითი ბრუნვა არ ქონია, რადგანაც: 1. კითხვა, რომელზედაც ეს ბრუნვა მიუგებს (და პასუხიც), არ განირჩევა სახელობითის ბრუნვის კითხვისაგან, პასუხადაც სახელობითის მსგავსს ფორმას ვიღებთ და 2. ქართველებში საძრახისი იყო დასმენა, დაწამება, შესმენა... ეს უცნაური ეთნო-ფსიქოლოგიური დასაბუთება განხილვას, რა თქმა უნდა, არ საჭიროებს. ჩვენ მხოლოდ იმას ვაქცევთ ყურადღებას, რომ შემასმენლობითის ბრუნვის არსებობა უარიყოფის უწინარეს ყოვლისა ამ არგუმენტით. რომ ამ ბრუნვის ფორმა არ მოიპოება — მოხსენებულია მეორე რიგში: **„ამას გარდა**

თვითონ საკითხავიც პირველი ბრუნვის სახის მექონია“ და სხვ.

გვ. 75-ზე ნათქვამია: „ჩვენში ზმნა რომ უფრო პირით გაირჩევა, ამის მიზეზი იქნება ის იყოს, რომ ჩვენი ძველები ყველას პირში უშიშრად შეჭხედავდნენ ხოლმე, ვნახოთ საქმე ვისთან უნდა ვიქონიოთ; — უკან მოქცევა კი ძალიან სათაკილოდ თურმე მიაჩნდათ“...

ქართულში სქესის უქონლობა ავტორის ვრცელს ინტერპრეტაციას იწვევს: „მამრობითად და მდედრობითად სიტყვის დაყოფა ქართული ენისათვის არასდროს არც ყოფილა (!) და არც არის საჭირო... ქართველები ამას ვადგევართ და ვამბობთ, რომ კაციცა და ქალიც ორნივე ადამიანები ვართო და ერთი რომ მეორეზე უფრო ნარნარი და უფრო სატრფო იყოს, საქმით მეუღლეობას, დიად, მაგრამ საგრამმატიკო ბრუნვასა და მერყეობას რა ხელი აქვს. ქალი რომ ჩვენი სატრფოა, რომ საფუძველია ამ წუთისოფელში ჩვენის ბედნიერებისა, და იმედიანი ბურჯი ჩვენის საოჯახო მყუდროებისა, ეს ძველთაგანვე დამკვიდრებული ხასიათი არის ჩვენის ყოფა-ცხოვრებისა. — როდესაც ორივე სქესი ერთად იხსენება ლაპარაკში ან წერა-კითხვაში, უსათუოდ ჯერ ქალს ვახსენებთ, მერე კაცს; მაგალ. ქალ-ვაჟი, და-ძმა, დედ-მამა, გოგო-ბიჭი, ცოლ-ქმარი, რძალ-მამული... ერთად-ერთ შემთხვევაში ვახსენებთ ჯერ მამაკაცსა, მაშინ როდესაც გვირგვინოსანზე ვლაპარაკობთ: მეფე-დედოფალი. სხვა რომელი განათლებული ხალხი დაიტრახებებს ქალებთანაც და საქვეყნოთაც. — ღმრთის წინაშე ჩვენი ქალებიც ყოველთვის ღირსნი ყოფილან ამისი... აბა თუ გამოიცნობთ, რაზედ გვემოწმება თვითან ეს ძველებური ჩვენი ჩვეულება? — გვემოწმება ჯერ იმაზედ, რომ ზნეობა გვქონია ძველთაგანვე წმინდად დაცული; — უამისოდ რაც ჩვენ აქამდინ ავგიტანია, როგორ ავიტანდით? დროთა კანკლედობას როგორ გადვურჩებოდით. — მერე ამას გვემოწმება, რომ არც ქალებს დაუვიწყნიათ დღევანდლამდინ თავისი დიდი მნიშვნელობა — და თავის განთქმულს მშვენიერობასთან სახიერი გული არასდროს არ აუცრუვებიათ ოჯახობაზედ და სამშობლო ქვეყანაზედ. — და კიდევ იმაზე გვემოწმება, რომ ...ვთქვა ესეცა თუ ნულარ ვიტყვი? „მეფე-დედოფალიო“ რომ ვამბობდით, ჩვენ ამით იმ საერთო „აღსარებას ადვიარებდით“, რომ ყოველთვის „აღმსარებელნი“ ვყოფილვართ ერთ მთავრობისა“ (Sic!) — ისტორიას ვერავინ გადუღდება.

თავისთავად საყურადღებო ფაქტში, რომ კომპოზიციის პირველი წევრი ქალია, მეორე კი კაცი, ავტორმა საკმაოდ მოულოდნელად შორეული წარსულის ქართველთა ზნეობრიობის, ქალის მნიშვნელობის და ერთმთავრობისადმი მიდრეკილების სასარგებლო ჩვენება ამოიკითხა... იმავე წესით მსჯელობამ ავტორს დებულება წამოაყენებინა: სქესის მიხედვით გარჩევა ქართულში არც ახლა არის საჭირო და არც თუ ოდესმე ყოფილაო...

ფსევდო-სოციოლოგიზმი კულმინაციას აღწევს, როცა ავტორი ერთ

გრამატიკულ ტერმინის გამართლებას ლამობს. ეს ტერმინია „მერყეობა“ — აწინდელი ბრუნება.

გვ. 20-ზე ავტორი განგვიმარტავს, რატომ არჩია მან „მერყეობა“ ტერმინი „დრეკას“ თუ „კანკლედობას“. „1. დრეკით — იმდენჯერ და იმდენხანს ვყოფილვართ ხოლმე თავის დრეკაში, რომ ღუთის წინაშე გვეყოფა და ახლა მაინც დავიჭიროთ თავი, როგორც სნება მოხდილის რიგია; — ან როგორც ისეთ კაცს მოაქვს თავი, რომელსაც გულში ცუდი არა უძეგს რა; —

2. კანკლედობით — ჩვენს ვალდებულებას რომ არას დროს არ გადავსდგომივართ, თუ არ სიკვდილისაგან დასახსნელად და რაც გვრწმენია, იმაზედ შეუბოვრად უკანკლედობოთა ვმდგარვართ, არამედ არა თუ ჩვენი ისტორია, ყველა იმ ხალხთა ისტორიაც დაგვემოწმება, ვისაც კი ჩვენთან საქმე ჰქონია რამე; და

3. მერყეობით — ხომ რყევა სწორედ ზედგამოჭრილი თვისება არის ჩვენი, დღევანდელი ხასიათია ჩვენი, რომ ვერა საქმეს ვერ დავადგებით, თუ არ დიდი ყოყმანით, დიდი გაჭირვებით, რაღაცნაირი ზოზინით, გაუბედვრობით, ერთი სიტყვით, რყევითა...“

დიმიტრი ყიფიანი რომ გაცნობილი ყოფილიყო ენათმეცნიერებასთან, ასეთი ინტერპრეტაციები, ვფიქრობთ, შეუძლებელი იქნებოდა. დიმიტრი ყიფიანის გრამატიკა რომ მხოლოდ ზემოხსენებულით იქცეოდა ჩვენს ყურადღებას, ის „ახალი ქართული გრამატიკა“ კი არ იქნებოდა, არამედ კურონების გრამატიკა, ნამდვილად კი **ეს გრამატიკა ობიექტურად, მართლაც, ახალი გრამატიკაა; იგი ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც კი დაწერილა ამ დარგში მეცნარამეტე საუკუნის განმავლობაში**. დიდ დეფექტებს ფარავს დიდი მნიშვნელობა იმ დებულებათა, რომელნიც ქართულის ენობრივ სინამდვილის ანალიზს წარმოგვიდგენს. შინაარსი გრამატიკისა და არა არქიტექტონიკა არის ჩვენთვის ფასეული. ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, იმას ადასტურებს, რომ არა მეცნიერულია ის თვალსაზრისი, რომლითაც იგი ენობრივ მოვლენათა შესწავლას უდგება, მას არ გააჩნია მეცნიერული შეხედულება ენის მოვლენებზე და მაინც, სისტემის უვარგისობისდა მიუხედავად, დიმიტრი ყიფიანი ახერხებს იმის აღნიშვნას ქართულ ენის აგებულებაში, რაც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდა და რაც მის შემდეგაც, როგორც ვნახავთ, კარგა ხანს გაურკვეველ საკითხად ითვლებოდა (ალბათ იმიტომ, რომ დ. ყიფიანის გრამატიკა გათვალისწინებული არ ქონდათ). მოაზროვნის დიდი თავისთავადობა და გამჭრიახი გონება იყო ამისთვის საჭირო. ჩანს, დ. ყიფიანს ერთიც ახასიათებდა და მეორეც.

სანამ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს მივწვდებოდეთ, სქემატურად მიმოვიხილავთ გრამატიკას.

გრამატიკა სამ ნაწილად გაიყოფაო, ამბობს დ. ყიფიანი: პირველი —

ეტიმოლოგია (ქართულად ლექსთწარმოება), მეორე — სინტაქსის (ქართულად ლექსთხზულება), მესამე — ორთოგრაფია (ქართულად მართლწერა) (გვ. 11-12). დიმ. ყიფიანის გრამატიკა მხოლოდ ეტიმოლოგიას შეიცავს — ეს გავრცელებული ტრაფარეტიკა. ეტიმოლოგიაში სიტყვათა სხვადასხვაგვარობა ირკვევა. სიტყვის ნაწილის რაოდენობის შესახებ ავტორი ამბობს: სხვა ენების მიხედვით 8 სიტყვის ნაწილი გამოჰყავდათ, მაგრამ მიუბაძავად რომ ვთქვათ, არის 7: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნისზედა, კავშირი (გვ. 14). იგი უმართებულოდ თვლის თვისებითი სახელის (ზედმესრულის) და მიმღობის ცალკე „სიტყვის ნაწილად“ გამოყოფას. ამ შემთხვევაში (კერძოდ, ზედსართავის შესახებ) იგი უფრო მართებულად მსჯელობს, ვინემ ქართული ენის გრამატიკის შემდეგი ავტორები ვიდრე დღენდელად დღედმდე.

სახელის განსაზღვრება ტრადიციულია: „ყოველს თვალთ დასანახავს ან ფიქრით წარმოსადგენ საგანს უთუოდ სახელი ჰქვია“ (გვ. 15). როგორც მიღებული იყო ხოლმე სასკოლო გრამატიკებში, აქაც მოცემულია სახელთა მნიშვნელობის მიხედვით კლასიფიკაცია, ფუძეთწარმოება და ფლექსია. ჩვეულებრივია პირველი ორი, ჩვენთვის საინტერესო — ეს უკანასკნელი. ქართულში ბრუნვა ოთხიაო, ამბობს დ. ყიფიანი (გვ. 20-22): სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი. მოთხრობითი ბრუნვა, როგორც ცნობილია, ანტონ პირველმა დაასახლა ქართულს გრამატიკაში. მისი მიმდევარი გრამატიკოსები (მაგ. გაიოზი, ვარლამი, ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი) მოთხრობითს ადგილს უთმობენ თავის ნაშრომებში. ამ ბრუნვის საწინააღმდეგო გამოსვლები ბროსემ დაიწყო. მის ზეგავლენით დ. ჩუბინაშვილმა თავის გრამატიკაში ასეთ ბრუნვის გამოყოფა ზედმეტად ჩათვალა; ეს იგივე სახელობითიაო. და თუ ჩუბინაშვილის ქართულს გრამატიკაში (1887 წლის გამოცემა) ეს ბრუნვა მაინც დარჩა და შემდეგშიაც თავისი არსებობა უზრუნველყო, ამას დიმ. ყიფიანს უნდა ვუმაღლოდეთ. დ. ჩუბინაშვილის გრამატიკის ვრცელ და მრავალმხრივ საყურადღებო რეცენზიაში, რომელიც მას ეკუთვნის, იგი აუცილებლად თვლის ამ სპეციფიკურ ბრუნვის დატოვებას ქართულს გრამატიკებში.

როგორ საფრთხეს გადაარჩინა დ. ყიფიანმა მოთხრობითი, იქიდანაც ჩანს, რომ ალ. ცაგარლის 1872 წ. გამოსულს „შედარებითს მიმოხილვაში იბერიის ენათა მორფოლოგიისა“ — მოთხრობითი ბრუნვათა შორის აღარ იხსენიება (ბრალდებითი კი სახელობითის გვერდით ჯერ კიდევ მოჩანს).

დ. ყიფიანი ბრალდებითს ბრუნვას უარყოფს და სრულიად სამართლიანად.¹ რანაირი არგუმენტაცია არ იყოს მომველიებული, თვით

¹ ამ ბრუნვის უადგილობა რომ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი იყო, იქიდან ჩანს, რომ 7 წლის შემდეგ (1889 წ.) გამოსულს თ. ჟორდანიას გრამატიკაში შემასმენლობითი ბრუნვა სახელობითის შემდეგ არის მოთავსებული და თავს არხეინად გრძნობს.

უარყოფა უთუოდ მიზანშეწონილი და მნიშვნელოვანი საქმეა. პრინციპში ეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მოთხრობითის დაცვა: ბრალდებითის უქონლობა ისევე ნიშანდობლივია ქართულისათვის, როგორც მოთხრობითის ქონა. ორსავე შემთხვევაში დ. ყიფიანმა სწორად აუღო ალლო ქართულ ენის თავისებურებას, მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკული სისტემა, რომლის ნიადაგზეც იგი იდგა, ამას ოდნავადაც არ უწყობს ხელს.

დიმ. ყიფიანი წინააღმდეგია თანდებულისანი ფორმები (სახლში, სახლზე, სახლიდან...) ცალკე ბრუნვებად იყოს გამოცხადებული, მაგრამ ამათ რიგს განუკუთვნებს მოქმედებითს (სახლით...), ვნებითს (სახლად...): ესენიც თანდებულისანიებიაო და ბრუნვათა სისტემიდან რიცხავს. ამ შემთხვევაში ავტორის ორიგინალობა მარცხით თავდება.

მეტყველების სხვა ნაწილთაგან ავტორს ორიგინალური და მნიშვნელოვანი ბევრი არაფერი უთქვამს ნაცვალსახელის, ზმნისართის, თანდებულის, კავშირისა და შორისდებულის შესახებ. მათ იგი მოკლედ მიმოიხილავს. სამაგიეროდ, ზმნას ავტორმა სათანადო ადგილი დაუთმო: 137 გვერდიდან 60 ზმნას უჭირავს. განსაზღვრება ზმნისა შაბლონურია (67): „ზმნა იმ სიტყვას ჰქვია, რომლითაც ან მოქმედება გამოითქმის რამე ან მდგომარეობა“. მაგრამ ამ შაბლონს არ დაუხშავს ავტორის აზროვნება. ეს უკვე მომდევნო სიტყვებიდან ჩანს: „მეტად ბევრია და ბევრგვარია ქართული ზმნა: სახელი არ არის ისეთი, რომ ზმნად გადაქცევა არ შეიძლებოდეს... და ზმნა არ არის ისეთი, რომ შემთხვევის მიხედვით არ იცვლიდეს სახესაცა და მოყვანილობას“. რას გულისხმობს ავტორი ამაში, ცხადია საილუსტრაციო მაგალითიდან: მიყვარს — უყვარვარ, ვჰყვარობ, მყვარობს; ვაყვარებ — მაყვარებს... ავტორი ადარებს ქართულ ზმნას ევროპულ ენათა ზმნებს და ასეთ დასკვნამდე მიდის: (გვ. 72): ქართულს ევროპულთან შედარებით აკლია: 1) განუსაზღვრებელი დახრა (*infinitivus*), 2) გარჩევა სქესებისა, 3) ერთგზისი და მარვაღზისი ფორმები. სამაგიეროდ ქართულ ზმნას ახასიათებს ისეთი რამ, რაც ევროპულ ენათა ზმნებისათვის უცხოა; ავტორი აღნიშნავს შემდეგ მოვლენებს:

1) ქართულში ერთი ზმნა ოთხგვარად იცვლის მოყვანილობასაცა და მნიშვნელობას, ერთი ზმნა ოთხ ხმად (= გვარად) გამოდის:

a) პირველი ხმა — ზმნა მარტივი, **პირველსახე**: ვწერ, ვაშენებ, ვწევარ, მძინავს...

b) მეორე ხმას დაჰყვება ისეთი სამში ტრიალი, რომ მოქმედება თუ მდგომარეობა ერთი პირსაგან მეორესა და მესამეზე გადადიოდ-გადმოდიოდეს:

მწერ (შენ) — მწერს (იგი)... გწერ — გწერს

მძინებ — მძინებს... გაძინებ — გაძინებს...

ეს არის სახე ურთიერთარსობითი.

c) მესამე ხმას დაჰყვება ისეთნაირად გამოცვლილი ზმნა, რომ პირველი პირის მოქმედება ან გავლენა მეორე პირზედ გადაჰქონდეს: ვაწერინებ, ვაწვენ, ვაძინებ... ამ სახეს ჰქვია სხმითგადასვლითი.

d) მეოთხე ხმას დაჰყვება ზმნა, რომელსაც ამგვარივე მოქმედება თუ გავლენა მეორე პირს საშვალეებით მესამეზედ გადააქვს: ვაწერინებინებ, ვაწვენინებინებ... ამას ჰქვია მრჩობლსხმითგარდასვლითი.

2) ევროპულ ენებში არ არის, რომ ერთი პირის მოქმედება სხვასაც ბევრს მიემართებოდეს და სხვა მრავალი პირისა ერთსა: გწერ (შენ) — გწერთ (თქვენ); მწერ (მე) — გვწერს (ჩვენ); მწერენ (მე) — გვწერენ (ჩვენ).

3) უცხო ენებში ზმნას ყოველთვის საკუთარი ნიშანი აქვს, რომლის მიხედვით იგი ყოველთვის გამოიცნობა; მაპიროვნებელი არის მარტო დაბოლოება და არა დასაბამი (დასაბამშიც დაუჭდება ზმნას მარცვალი, მაგრამ მხოლოდ დროს გასარჩევად)...

4) ევროპულს ენებში „მდგომარებითი“ მოქმედებითად და პირიქით არ გადაკეთდება, ქართულში — კი:

ვდგევარ, ვადგენ, ვამდგომარებ... ვაშენებ, ვშენდები, ვმშენებლობ... (რუსულში იშვიათად თუ არის ანალოგიური მოვლენაო: **сиджу — сажаю, стою — ставлю, сплю — усыпляю...**)

5) ევროპულს ენებში დასაქმებითი (ბრძანებითი) არ განიყოფა ისე, როგორც ქართულში: რჩევითი — სწერე

დაშლითი — ნუ დასწერ

ბრძანებითი — არ დასწერო

6) ევროპულს ენებში ზმნა რა ხმისაც ან რა სახისაც უნდა იყოს, ბოლოთი იცნობება, ჩვენი ზმნისთვის უმთავრესი ნიშანი თავი არის...

7) ევროპული ზმნა რა სახისაც უნდა იყოს და რა დროისაც, ყოველთვის ერთსა [და] იმავე ბრუნვას ან ბრუნვებს მოითხოვს, ქართული ზმნა კი თავ-თავისს დროს სხვადასხვა ბრუნვას ითხოვს...

писать, пишу, писал, написал, напишу, пишу, пиши— просьбу...

მე ვსწერ, დი, დე, ის მწერს, და, დეს — ლექსებსა || მე ვსწერე, ვსწერო, მიწერია, მეწერა, მეწეროს, იმან მწერა, იმას ეწერა ლექსები...

ამ შვიდ დებულებიდან 3 და 6 შეიძლება გაერთიანდეს; ამ ექვს დებულებაში კი, როგორც ვხედავთ, გარკვევით ნათქვამია:

1) ქართულში რომ ზმნა რელატიურ ფორმების მქონეა

- 2) რომ კაუზატივები მოქმედებითისაგან მიღებული სახეა
- 3) რომ საშუალო გვარის ზმნა მომქედებითში თანდათან გადადის ფუძისწარმოების წესით
- 4) რომ უღვლილება ქართულში პრეფიქსულია (ზმნის პრეფიქსი წარმოგვიდგენს ზმნის განპიროვნებას და სუფიქსი ხან პირსაც გამოხატავს, მართალია, მაგრამ უფრო კი ხმასა, რიცხვსა, დროსა და სახეს გვიჩვენებს ზმნისას, გვ. 115)
- 5) რომ სინტაქსური კონსტრუქცია ფრაზის ცვალებადია ზმნის დროთა მიხედვით.

ქცევალა დარჩა ავტორს შეუნიშვნელი, თუმცა იგი ფუძეწარმოებაში შეიძლება იგულისხმებოდეს. ერთის სიტყვით, ბრწყინვალედ არის შენიშნული ქართულ ზმნის ძირითადი მორფოლოგიური და სინტაქსური თვისებები... არ შეგვიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, რომ ავტორმა ეს ევროპულ ენებთან შედარებთ მოახერხა; *Comparatio est mater scientiae* (თუნდაც ეს შედარება ზოგადი ტიპოლოგიური ხასიათისა იყოს)...

შემდეგ: ზმნის უღვლილების შესახებ დ. ყიფიანი ლაპარაკობს (გვ. 78): (ჩვენებითი) დახრა (= უღვლილება) იშლება ორნაირად: მიუმართველად და მიმართულებითად (ქვემოთ ნახმარია: მიუმართავად და მიმართვით): ...ეს უკანასკნელი წარმოადგენს სამში ტრიალს ან ურთიერთარსობას:

- | | | |
|--|---|--|
| a) მიუმართავად მოქმედებას ან მდგომარეობას სამი პირისას ცალ-ცალკე | } | ჩვენებითი დახრის შესახებ თქმული ეხება პირობითს, ნატვრითს დახრას... |
| b) პირველი პირის მიმართულებას მეორესთან და მესამესთან | | |
| c) მეორე პირის მიმართულებას პირველთან და მესამესთან | | |
| d) მესამე პირის მიმართულებას პირველთან და მეორესთან | | |

ნიმუშად დ. ყიფიანს მოყავს ზმნა „ვაკეთებ“...

მიუმართავად:	მიმართვით 1 პირისაგან 2 და 3-თან	მიმართვით 2 პირისაგან 1-თან და 3-თან:	მიმართ. 3 პირ.—1 და 2-თან
ვაკეთებ—ვაკეთებთ	ვაკეთებ—ვაკეთებთ	ვაკეთებ—ვაკეთებთ	ვაკეთებ—ვაკეთებთ
აკეთებ—აკეთებთ	აკეთებ—აკეთებთ	აკეთებ—აკეთებთ	აკეთებ—აკეთებთ
აკეთებს—აკეთებენ	აკეთებს—აკეთებენ	აკეთებს—აკეთებენ	აკეთებს—აკეთებენ

ერთადერთი კორექტივი, რომელსაც ეს სქემა საჭიროებს, ისლაა,

რომ „ვაკეთებ, აკეთებ, აკეთებს“ არ არის მიუმართავი ფორმა; ეს შეცთო-
მა გაიმეორა ნ. მარმა თავის ტაბულებში: ვხატავ, ვღებ, ვგმობ, „ვაქებ“ მას
აბსოლუტურ ფორმებად მიაჩნია; ასეთი გაგების მცთარობა სამართლიანად
აღნიშნა პროფ. აკ. შანიძემ (იხ. პრეფქსები, გვ. 22: გარდმავალ ზმნებს
არა აქვთ აბსოლუტური ე. ი. დაუმატებელი ფორმები, როგორც პროფ.
ნ. მარი ჰფიქრობს, არამედ აქვთ მხოლოდ რელატიურები, ე. ი. ისეთი
ფორმები, რომელიც დამატების პირსაც გვიჩვენებენო, წერს იგი)...

დ. ყიფიანს მოყავს ყველა მიმართვითი ფორმები და შენიშნავს: „დი-
დება შენთვის, უფალო! 82 ცვლილება ერთის ზმნისა? — მაშ, ერთი ამდე-
ნი სხმით გადასვლითს მოუნდება; ამდენივე მრჩობლსხმით გადასვლითსა;
სულ გამოვიდა 246 ცვლილება ერთის ზმნისა. სხვა აქედამვე გამომავალი
ზმნები რომ დავატრიალოთ, მაგალითად: ვიკეთებ, გიკეთებ, ვუკეთებ;
კვეთდები, ჰკეთდები, ჰკეთდება — ესენიც ხომ ამდენჯერვე იცვლიან სახე-
სა“ და რომ „ახალმოსწავლე არ შეუშინდეს ამ სირთულეს, საჭიროაო —
დასძენს იგი, — 1) სამში ტრიალს ერთად მოვუყაროთ თავი. 2) ერთხელ
ითქვას, რომ ზმნას სახე სრული ყოველთვის მაშინ მიეცემა, როდესაც
თავს პრეფიქსად ერთ-ერთი მიმძლოლი თანდებული მოუჯდებაო. ამის შემ-
დეგ გამარტივებული სქემა მოყავს:

(გვ.105)	ვაკეთებ	ვაკეთებთ	ამ 21 ფორმაში წარმოდგენილია სა- მივე პირის ურთიერთობაში შესაძ- ლო ყველა ფორმა მხოლოდობითსა და მრავლობითში. (ავტორი შენიშნავს, რომ მდგომარეობითი ზმნის მიმო- ხვრას ბევრჯერ არა აქვს პირთა შო- რის ტრიალი და სხვა მნიშვნელობა, თუ არ პირველსაზე, გვ. 113).
	გაკეთებ	გაკეთებთ	
	გაკეთებთ		
	აკეთებ	აკეთებთ	
	გაკეთებ	გაკეთებთ	
	გვაკეთებ	გვაკეთებთ	
	აკეთებს	აკეთებენ	ავტორი მნიშვნელოვნად თვლის გაი- ოზის მიერ ზმნების ვ და მ-თ დაწყებულად დაყოფას: თუ ზმნა პირნაკლი არ არის, ერთ-ერთით უნ- და დაიწყოსო... ერთსა და იმავე ზმნას მნიშვნელობის მიხედვით ხან ვ უჯდება თავში და ხან მ-იო... და იძ- ლევა ორ სქემას ფორმანტებისა (პრეფიქს-სუფიქსებისა):
	გაკეთებს	გაკეთებენ	
	გვაკეთებს	გვაკეთებენ	
	გაკეთებს	გაკეთებენ	
	გაკეთებსთ		

ერთში ობიექტური ფორმანტების მიხედვით აწყობს პრეფიქს-
სუფიქსებს (გვ. 116), მეორეში სუბიექტური ფორმანტების მიხედვით (117).

დასასრულ (გვ. 119) ორივე სქემის სინთეზად წარმოგვიდგენს ასეთ ცხრილს:

	მხოლოდობითი:		
პირველი პირი	მეორე პირი	მესამე პირი	
ვ	ჰ/ს	ჰ, ს, ა	
მ	გ	ჰ—ს, ს—ს	
	მრავლობითი:		
გვ	გ—თ	ჰ—თ, ს—თ	
გ—თ	ჰ, ს—თ	ჰ, ს—ნ...	

ეს არის უცვალებელი კანონი ყოველი ქართული ზმნისათ (— დასძენს ავტორი, გვ. 120), გარდა იმ ზმნათა, რომელთაც ბოლოში მეშველი ზმნა დაერთვისთ (ვზივარ...) და პირნაკლთაო...

აკად. ნ. მარი ქართველურ ენათა სემიტურთან ნათესაობის დამამტკიცებელ საუკეთესო არგუმენტად იმას თვლიდა, რომ ეს თეორია გასაღებს იძლევა ქართული ენის აგებულების გასარკვევად: „მხოლოდ მასზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ვწვდომოდით ქართულ ენის აგებულებას და გაგვეხსნა რთული, ერთის შეხედვით, გადაუწყვეტარი საკითხები ქართული გრამატიკისა, ასე მაგალ. ქართულ ზმნების უღვლილებაო...“ (ძირითადი ტაბულები, გვ. 6-7). ეს გასაღები, როგორც ჩანს, უფრო ადრე იყო დაძებნილი¹ და სამწუხარო ისდაა, რომ არც ნ. მარს, არც მათ, ვისაც

¹ აკად. ნ. მარის „ძირითადი ტაბულები“ 1908 წელს გამოვიდა, დ. ყიფიანის გრამატიკა კი (როგორც ვიცით) 1882 წელს, მაგრამ ქართულ ზმნის ძირითად თვისებაზე — მიმართებით ფორმათა ქონაზე — გარკვეული მითითება მოიპოება იმ რეცენზიაში დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაზე, რომელიც 1853 წლის 31 მარტს „სახელმძღვანელოთა შემდგენელ კომიტეტში“ იყო წარდგენილი (იხ. ალ. ცაგარლის „Сведения о памятниках грузинской письменности“, ტ. I, ნაკვეთი III, გვ. 65-67). აქ წარმოდგენილია „სამი დებულება ქართულ ენის განსაკუთრებულ, უაღრესად ღირსშესანიშნავ თვისებათა შესახებ“ (გვ. 65); მესამე დებულება გვეუბნება: „Один и тот же глагол выражает посредством своих видоизменений действие, взаимно переходящее от одного лица к другому и третьему, без помощи имен и местоимений [— или действие, сообщаемое от одного лица через другое к третьему, или через другое и третье к четвертому]“... გვ. 65:

66-ე გვერდზე მოყვანილია ამის მაგალითები:

Пишу ვჰსწერ или ვსწერ (როგორც ვთქვით, ეს ფორმა შემცთარად არის გაგებული: ვსწერ ნიშნავს: пишу ему то... Ты ко мне пишешь — მიწერ || Я для тебя пишу — გიწერ || Ты для меня пишешь — მიწერ

Я к тебе пишу — გწერ || Я для него пишу — ვუწერ || Он для меня пишет — მიწერს

Он для тебя пишет — გიწერს

Заставляю его писать — გიწერინებ (?!)

Заставляю тебя писать — გაწერინებ

Заставляю его через этого писать — ვაწერინებინებ... Все подобные изменения одного данного глагола было бы весьма полезно показать в одном общем спряжении этого глагола-თ შენიშნავს დ. ყიფიანი (გვ. 67).

შემდეგში ქართული ენის აგებულებისა და, კერძოდ, ქართულ ზმნის უღვლილების პრობლემებზე მუშაობა უხდებოდათ, არსად, ერთის სიტყვი-თაც არ მოუხსენებიათ ის შესანიშნავი ნაშრომი, რომელშიაც უკვე ამო-ცნობილი იყო ძირითადი თვისება ქართულის ზმნისა — მიმართვითი ფორ-მების არსებობა.

დ. ყიფიანის საგრამატიკო აზროვნება ტრადიციულ გრამატიკის პრინციპებიდან ამოსული, შაბლონურ სისტემით შებოჭვილი მაინც ახერ-ხებს ქართულ მეტყველების ძირითად თავისებურებათა სწორად აღნუს-ხვას. ეს არის მის აზროვნების სიძლიერის საუკეთესო მოწმობა.

საქმის ვითარებას გაცნობილი მკითხველი შეამჩნევს, რომ ზემოხსენებული მე-სამე დებულება მოგვიტოვრობს ფორმათა რელატიობას გარდა ქცევისა და კაუზატივე-ბის შესახებაც, ე. ი. ყველა იმ ფორმამცვლელ თუ ფუძისმწარმოებელ სპეციფიკურ კატეგორიათა შესახებ, ქართულისათვის რომ ნიშანდობლივია.

ДИМИТРИЙ КИПИАНИ И ВОПРОС ОСОБЕННОСТЕЙ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА *

(РЕЗЮМЕ)

В 1882 году была издана "Новая грузинская грамматика" Димитрия Кипиани. Книга была предназначена для учебных целей. Автор является продолжателем традиционных идей: он по своей сути грамматик, а не языковед. Это значит: 1) объектом изучения автора является прежде всего литературный язык, а не разговорная речь; 2) автор в основном пользуется описательным методом (сравнительно-исторический метод не учитывается); 3) при изучении речевых явлений автор ставит целью установление правильных форм.

Грамматика Д.Кипиани, говоря объективно, действительно новая грамматика; она самая значительная из всех грамматик, написанных в XIX веке. Существенным является содержание грамматики, а не архитектоника, которая заслуживает замечаний. В книге есть неточности, но их покрывает значение тех положений, которые получены в результате анализа грузинского языка. Несмотря на то, что грамматическое мышление Д.Кипиани исходит из принципов традиционных грамматик и сковано системой шаблонов, автору все-таки удается правильно описать основные особенности грузинской речи. Это является лучшим доказательством силы его мышления.

* Резюме составила М. Букия.

შენიშვნები

1. **რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?** — პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „ახალი სკოლისაკენ“ 1928 წელს (№3; გვ. 161-171). წერილი გადაიბეჭდა კრებულში „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“; წიგნი I, თბილისი, 1956 წ. (გვ. 1-9). წინამდებარე პუბლიკაცია რიგით მესამეა. რეზიუმე საგანგებოდ ამ გამოცემისათვის მომზადდა.

2. **რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში?** — პირველად გამოქვეყნდა 1929 წელს (ტ. 9, გვ. 107-119). წერილი გადაიბეჭდა „ბერძნულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXX ტომში 1991 წელს (გვ. 91-106). წინამდებარე პუბლიკაცია რიგით მესამეა. რეზიუმე საგანგებოდ ამ გამოცემისათვის მომზადდა.

3. **რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?** — დაიბეჭდა 5 ნაწილად 1929-1930 წლებში: ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ“; წერილი I, 1929, №4, გვ. 57-67; წერილი II, 1929, №9-10, გვ. 46-64; წერილი III, №11-12, გვ. 73-91; წერილი IV, ჟურნალი „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, №5, გვ.487-503; წერილი V, ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ“, 1930, №7-8, გვ. 705-741.

ნაშრომი ცალკე წიგნად გამოსცა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა 1991 წელს (122 გვ.). წინამდებარე პუბლიკაცია რიგით მესამეა. იგი ემყარება II გამოცემას. რეზიუმე საგანგებოდ ამ გამოცემისათვის მომზადდა.

4. **ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა** — ნაშრომი გამოიცა ლითოგრაფიულად 1932 წელს ორ განაკვეთად: განაკვ. I, 38 გვ.; განაკვ. II, 36 გვ.

რეზიუმე საგანგებოდ ამ გამოცემისათვის მომზადდა.

5. **სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში** — ნაშრომი ორ წერილად გამოქვეყნდა ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“: 1. სახელის ანალიზის პრინციპები ქართულში, 1933, №10-12, გვ. 34-43; 2. ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში, 1934, №4-5, გვ. 35-54.

1998 წელს ეს წერილები გამოიცა ერთ წიგნად (38 გვ.). წინამდებარე მესამე პუბლიკაცია ემყარება მეორე გამოცემას. რეზიუმეც საგანგებოდ ამ გამოცემისათვის მომზადდა.

6. **მთიულურის თავისებურებანი** — პირველად დაიბეჭდა „ენიკის

მოამბეში“ 1937 წელს: ტ. 2, ნაკვ. I, გვ. 43-65.

7. 1937 წელს „ენიმკის მოამბის“ I ტომში გამოქვეყნდა „ისტორიულ-მედარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან“, 6 წერილი.

I. **მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის** (ქართველური ენებისა და ხალღურის ურთიერთობისათვის), გვ. 9-31.

II. **პოტენციალის კატეგორია ქართველურ ენებში**, გვ. 32-39.

III. **წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში**, გვ. 40-47.

IV. **სიტყვა „ზოგი“-ს ეტიმოლოგიისათვის**, გვ. 48-54.

V. **ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში**, გვ. 55-65.

VI. **ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში**, გვ. 66-77.

8. **ქართული ზმნის ზოგი საკვანძო საკითხი. I. პოლიპერსონალიზმის გარკვევის ისტორიიდან** — გამოქვეყნდა ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1938, №4-5, გვ. 41-48.

რეზიუმე საგანგებოდ ამ გამოცემისათვის მომზადდა.

9. **მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში** — გამოქვეყნდა თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 10, 1939 წ., გვ. 167-183.

10. **მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში** — გამოქვეყნდა „ენიმკის მოამბეში“, ტ. 5-6, 1940 წ., გვ. 13-46.

11. **ქართული ძვალ-ფუძის ზანური შესატყვისისათვის** — გამოქვეყნდა სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბეში, ტ. 1, №1, 1940 წ., გვ. 93-97.

12. **დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი** — პირველად გამოქვეყნდა 1998 წელს „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების“ VII ტომში (გვ. 306-314). რედაქციისათვის ხელნაწერი მიუწოდებია დოც. თ. ჯოლოგუას. ნაშრომის ხელნაწერი ინახება გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (№027157). ნაშრომი 30-იან წლებს ეკუთვნის და, პუბლიკატორების აზრით, დაწერილი უნდა იყოს ს. ხუნდაძის თხოვნით (იხ. I პუბლიკაციის სქოლიო — გვ. 306-307).

რეზიუმე საგანგებოდ ამ გამოცემისათვის მომზადდა.

ტომის რედაქტორისაგან

არნოლდ ჩიქობავას შრომათა მეორე ტომში იბეჭდება 1929-1940 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები (გამოკვლევა დ. ყიფიანის შესახებ მოგვიანებით დაიბეჭდა, მაგრამ ისიც, როგორც გაირკვა, ამ წლებშია დაწერილი).

კრებულში შევიდა ამ პერიოდში შექმნილი გამოკვლევები ძირითადად ქართული და ქართველური ენების შესახებ. ამავე დროის ქართული სიტყვის კულტურისა და მწერლის ენის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომები გამოქვეყნდება V ტომში.

წინამდებარე ტომში გამოქვეყნებული ნაშრომი „ენათმეცნიერების პრობლემეტიკა და ზოგადი ფონეტიკა“ (1932, გ. ახვლედიანის თანაავტორობით) იყო სახელმძღვანელო თეორიული ენათმეცნიერებისა (განკუთვნილი პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტებისათვის).

რამდენიმე ნაშრომი მეთოდოლოგიური ხასიათისაა (მაგ., სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები), რომელთაც თავის დროზე ძალიან დიდი როლი შეასრულეს ქართული ენის მორფოლოგიის საკითხების შესწავლისა და სწავლების საქმეში. მათ მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

კრებულში გამოქვეყნებულ ნაშრომთა დიდი ნაწილი ქართული ენათმეცნიერების კლასიკაა და რამდენადაც უმეტესობა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, მათი გამოცემა საშური და აუცილებელი საქმეა.

დაკვირვებული მკითხველი იოლად შეამჩნევს, რომ სტილური თუ ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური თვალსაზრისით ტომში შემავალი ნაშრომები არაა ერთგვაროვანი; ჩვენ, ცხადია, ამ თვალსაზრისით ტექსტში ვერ ჩავერეოდით (გასწორდა მხოლოდ აშკარა პუნქტუაციური თუ კორექტურული შეცდომა).

შვიდ გამოკვლევას რეზიუმეები არ ჰქონდა და ისინი ამ პუბლიკაციისათვის მოამზადეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა (მ. ბუკიამ, გ. გოგოლაშვილმა, ვ. შენგელიამ, რ. ჭკადუამ, მ. ჯღარკავამ... რუსული ვარიანტები — მ. აბალაკმა, ე. საბანაძემ).

საკორექტორო ფურცლების კითხვის სიმძიმე გაიზიარეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომლებმა. ტექსტის სირთულის გამო არ გამოვრიცხავთ, რომ გაიპარა შეცდომები, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით უპირველესად ავტორის ნათელ სულს და შემდეგ — მკითხველებს. ყოველგვარ შენიშვნას მაღლობით მივიღებთ.

მაღლობის ღირსნი არიან რუსუდან გრიგოლია, რომელმაც მონდომებით ააწყო და დააკაბადონა წიგნი, და ლევან ვაშაკიძე — ამ გამოცემის ტექნიკური რედაქტორი.

გ. გოგოლაშვილი

შინაარსი

რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?	5
რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში?	19
რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?.....	37
ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა	144
სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში	191
მთიულურის თავისებურებანი	223
ისტორიულ-შედარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან	
I. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის	249
II. პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში	276
III. წარ- პრეფერბის მნიშვნელობისათვის ქართულში	287
IV. სიტყვა „ ზოგ “-ის ეტიმოლოგიისათვის	296
V. ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში	305
VI. ს- ბგერის დასუსტება ქიზიყურში	318
ქართული ზმნის ანალიზის ზოგი საკვანძო საკითხი	
I. პოლიპერსონალიზმის გარკვევის ისტორიიდან	332
მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში	345
მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში	364

ქართული ძვალ- ფუძის ზანური შესატყვისისათვის	402
დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი	409
შენიშვნები	422
ტომის რედაქტორისაგან	424

Contents

Why is it essential to change case order in Georgian?	5
How a morphological object in plural nominate is represented in Old Georgian?	19
What peculiarities are characteristic of the structure of Georgian?	37
Propedeutics of linguistics and general phonetics	144
Analytical principles of a noun and a verb in Georgian	191
Mtiulurian peculiarities	223
Historical-comparative studies from the Kartvelian languages	
I. Towards importance, formation and history of an allative case	249
II. Category of potentialis in the Kartvelian languages	276
III. Towards the meaning of tsar- preverb in Georgian	287
IV. Towards the etymology of zog- word	296
V. One unknown postposition in New Georgian	305
VI. Weakening of s- sound in Kiziqian	318
Some issues of analysis of a Georgian verb. I. From the history of reassembling the poly-personalism	332
Towards the genesis of an ergative case in the Kartvelian languages	345
The ancient third subjective personal marker in the Kartvelian languages	364
Towards the Zan correspondence of Georgian ძვალ- ჯვალ- stem	402
Dimitri Qipiani and the issues of the Georgian language's peculiarities	409
Comments	422
From the editor of the volume	424

Содержание

Почему необходимо видоизменить последовательность падежей в грузинском языке?	5
Чем представлен в древне-грузинском морфологический объект, стоящий в именительном падеже множественного числа?	19
Каковы структурные особенности грузинского языка?	37
Лингвистическая пропедевтика и общая фонетика (вып. I-II)	144
О принципах анализа имени и глагола в грузинском языке	191
Особенности мтиульского говора	223
Сравнительно-исторические очерки по картвельским языкам	
I. Об образовании, значении и истории направительного падежа в грузинском языке	249
II. К категории возможности (потенциалиса) в картвельских языках	276
III. О начальном значении преверба tsar- в грузинском языке	287
IV. К этимологии грузинского слова zogi	296
V. Об одном неизвестном послелого в грузинском языке	305
VI. К ослаблению звука ႁ s в кизикском говоре грузинского языка	318
Некоторые узловыe вопросы анализа грузинского глагола	
I. Из истории выявления полиперсонализма в грузинском глаголе	332

К генезису повествовательного падежа (эргатива) в картвельских языках	345
Древнейший показатель субъекта третьего лица в картвельских языках	364
Занский эквивалент грузинской основы ძვალ- zval- ("кость")	402
Димитрий Кипиани и вопрос особенностей грузинского языка	409
П р и м е ч а н и я	422
О т р е д а к т о р а т о м а	424

